სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი III, №2

Volume III, No 2

2021

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2019 წლის 15-16 ნოემბერს ჩატარებულ მეთორმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, პრობლემები, პერსპექტივები“ სექციებზე - „მათემატიკა და ინფორმატიკა“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, „სოციალური მეცნიერებები და სამართალი“ წარმოდგენილი ნაშრომები.

In the current issue of LEPL – Gori State Teaching University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the works, that were presented at the sections – “Mathematics and Informatics”, “Natural Sciences”, “Business and Economics”, “Social Sciences and Law” at the The Twelfth International Scientific Conference “Innovative Development of Education and Science: Directions, Challenges, Perspectives”, held by Gori State Teaching University on November 15-16, 2019.

სარედაქციო კოლეგია:

- **გიორგი სოსიაშვილი** - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- **ვიანორ ახალაია** (საქართველო);
- **გიზო გოგიჩაიშვილი** (საქართველო);
- **გიორგი გოგიჩაძე** (საქართველო);
- **იან მალიცკი** (პოლონეთი);
- **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (საქართველო);
- **დიმიტრი ნადირაშვილი** (საქართველო);
- **იურგიტა რაუდელიუნიენე** (ლიტვა);
- **ზვიად როგავა** (საქართველო);
- **მანანა რუსიეშვილი** (საქართველო);
- **სოსო სიგუა** (საქართველო);
- **იანის სტრადინში** (ლატვია);
- **ომარ ფურთუხია** (საქართველო);
- **ჰარუნ ჩიმქე** (თურქეთი);
- **ჯემალ ძაგანია** (საქართველო);
- **ქეთევან ჭკუასელი** (საქართველო);
- **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili** - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- **Vianor Akhalaia** (Georgia);
- **Gizo Gogichaishvili** (Georgia);
- **Giorgi Gogichadze** (Georgia);
- **Jan Malicki** (Poland);
- **Teimuraz Mtibelashvili** (Georgia);
- **Dimitri Nadirashvili** (Georgia);
- **Jurgita Raudeliuniene** (Lithuania);
- **Zviad Rogava** (Georgia);
- **Manana Rusieshvili** (Georgia);
- **Soso Sigua** (Georgia);
- **Janis Stradinsh** (Latvia);
- **Omar Purtukhia** (Georgia);
- **Harun Chimke** (Turkey);
- **Jemal Dzagania** (Georgia);
- **Ketevan Chkuaseli** (Georgia);
- **Mikheil Jibuti** (Georgia).

TECHNICAL EDITOR:
Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author`s or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

ISSN 2587-4683

შ ი ნ ა ა რ ს ი

მათემატიკა და ინფორმატიკა

ზურაბ ზერაკიძე, ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური, სოსო ცოტნიაშვილი – *გაუსის შემთხვევითი სიდიდეების დაყვანა დამოუკიდებელ გაუსის შემთხვევით სიდიდეებამდე* – 7
თამარ ნასყიდაშვილი, ია ირემაძე – *გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების გამოყენების თავისებურებები საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მონაცემების სტრუქტურიზაციის მაგალითზე* – 10

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ლალი აზმაიფარაშვილი – *ფიზიკური ვარჯიშის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე* – 14
ნელი გოგინაშვილი, რობერტ მაღლაკელიძე – *ნიადაგის, როგორც ლანდშაფტის კომპონენტის ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობის შესწავლა ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით* – 16
ტრისტან გულბიანი, მერაბ მაისურაძე, ზვიად მიქაძე – *მწვრთნელის პედაგოგიური როლი სპორტსმენის მომზადებაში* – 18
ტრისტან გულბიანი, მერაბ მაისურაძე, ზვიად მიქაძე – *უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური შრომისუნარიანობის ჩამოყალიბების ასაკობრივი თავისებურებანი* – 22
ალექსანდრე იაშვილი, მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი – *საჯარო სკოლებში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სწავლების ხელშემწყობი პირობები* – 24
გიორგი მძინარაშვილი – *თავისუფალი სტილის მოჭიდაველების ფიზიკური მომზადება* – 28
ნელი პაპუკაშვილი – *ტანვარჯიში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე უმცროს სასკოლო ასაკში* – 30
მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი, ალექსანდრე იაშვილი – *ჯანსაღი ცხოვრების წესი, როგორც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების ეფექტური საშუალება* – 36
მარიამი უბირია – *ეკოლოგიური ფაქტორების გავლენა ბავშვთა ფიზიკურ განვითარებაზე* (რუსულ ენაზე) – 41

ბიზნესი და ეკონომიკა

მაია აზმაიფარაშვილი – *რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე არსებული ტენდენციები და მათი შესწავლა* – 43
ლია ბიბილაშვილი – *მოტივაციის თეორიები თანამედროვე მენეჯმენტში* – 47
გიული გიგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი – *ავანგარდული ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში* – 50
მანია გოგიძე, თეა ანესაშვილი – *დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მაგალითები ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან* – 54
ციური დურული – *დონორი ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის* – 60
მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი – *ბიზნესის ემპირიული კვლევის ზოგადი ალგორითმი* – 66
ნინო ლიპარტელიანი, გიორგი კასრაძე – *მსხვილი საინვესტიციო პროექტები და სწორი საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში* – 74
ლეილა მამულაშვილი, იზოლდა გაბადაძე, ნინო მუშკუდიანი, ინეზა წერეთელი – *ინტეგრაციის სინერგეტიკული ეფექტის კლასიფიკაცია და ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები* – 79
რუიზან მექვაბიძე, ლეჟეკ კარჩევსკი, რომან შმიეტანსკი – *მეოთხე ინდუსტრიული ერა და მისი გავლენა საგანმანათლებლო ტრენდებზე კონკურენტუნარიანი ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში* (ინგლისურ ენაზე) – 83
ნანა ნადირაძე – *ბიზნეს გარემოს სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები* – 89
ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი, მარინე ბუზიაშვილი – *საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ეფექტები* – 94

ლალი ოსაძე – *მარკეტინგის თანამედროვე ტენდენციები* – 99
მაკა სოსანიძე – *სამომხმარებლო ბაზარი და მისი ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში* – 103
ლალი სრესელი – *ადგილობრივი თვითმმართველობების როლი უმუშევრობის დაძლევაში* – 107
გიორგი ყაზიშვილი – *მომსახურების ხარისხი, როგორც საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი* – 111
დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე – *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის* – 116
თეა ხორგუაშვილი, ნათია ჟოჟუაშვილი, ნათია ხორგუაშვილი – *მონეტარული თარგეთირების თავისებურებანი* – 119
თინა ჯოლბორდი – *შრომის ბაზრის და განათლების გამოწვევები საქართველოში* – 125

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი – *მეტაფიზიკის ცნების ისტორიული საზრისისათვის (ანტიკურობიდან კანტამდე)* – 128
მანანა გაგოშიძე – *ეროვნულობის ბედი გლობალიზაციის ეპოქაში* – 133
დავით გეფერიძე – *„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციისა და ამავე კონვენციის საფუძველზე შექმნილი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 75-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით* – 138
მაკა დოლიძე – *კულტურის საკითხების გაშუქება მედიაში* – 142
კლარა ელჩიბეგაშვილი – *„იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“* – 147
ანა იმნაძე – *საწარმოს საკომუნიკაციო სტრატეგია* – 150
ნარგიზა კანკია – *ძალადობის თემატიკა ქართულ გასართობ ტელეგადაცემებში* – 153
ქეთევან ლომსაძე – *სკინერის „ოპერანტული განპირობებულობიდან“ „ვერბალურ ქცევამდე“* – 156
ნიკოლოზ მიდოდაშვილი – *უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის მოდელების თავისებურებანი* – 161
არკადიუშ მოდრჟეჟევსკი – *მესამე სექტორის განვითარება პოლონეთში* (ინგლისურ ენაზე) – 167
ალექსანდრე მღებრიშვილი – *ცხინვალი პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე (ეკონომიკური ასპექტი)* – 172
მაკა სალხინაშვილი – *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის განმარტებისათვის* – 185
მარიკა შერაზადიშვილი – *სინტაქსური სტრუქტურების სპეციფიკა მედიატექსტის მიხედვით* – 189
სოფო ჩქოფოია – *მიგრაციისა და უსაფრთხოების ურთიერთკავშირი მსოფლიოსა და საქართველოში* – 192
აგნეშ ჰორვატი – *არასამთავრობო ორგანიზაციების როლი რეგიონალური განვითარების პროცესში: უნგრეთის მაგალითი* (ინგლისურ ენაზე) – 197

C O N T E N T S

Mathematics and Informatics

Zurab Zerakidze, Lela Aleksidze, Laura Eliauri, Soso Tsotniashvili – *Reduction of Gaussian Random Variables to the Independent Gaussian Random Variables* – 7
Tamar Naskidashvili, Ia Iremadze – *Peculiarities of Using Decision-Making Support Systems on the Example of the Data Structuring in Educational Institutions* – 10

Natural Sciences

Lali Azmaiparashvili – *Impact of Physical Exercise on the Human Body* – 14
Neli Goginashvili, Robert Maghlakelidze – *The Study of Soil as a Physical and Chemical Landscape Component in Relation with Ecological Factors* – 16
Tristan Gulbiani, Merab Maisuradze, Zviad Mikadze – *Pedagogical Role of a Trainer in Training an Athlete* – 18
Tristan Gulbiani, Merab Maisuradze, Zviad Mikadze – *Age Characteristics of Forming Physical Labor Skills of Younger Students* – 22
Aleksandre Iashvili, Mamia Tughushi, Nelly Papukashvili – *Facilitating Conditions for Teaching Physical Education and Sport in Public Schools* – 24
Giorgi Mdzinarashvili – *Physical Training for Freestyle Wrestlers* – 28
Nelly Papukashvili – *Gymnasties in Class of Physical Education at Junior Age* – 30
Mamia Tughushi, Nelly Papukashvili, Aleksandre Iashvili – *Healthy Lifestyle as an Effective Way to Prolong Human Life* – 36
Mariami Ubiria – *Influence of Ecological Factors on Physical Development of Children* (in Russian) – 41

Business and Economics

Maia Azmaiparashvili – *Trends in the Regional Tourism Market and their Study* – 43
Lia Bibilashvili – *Motivation Theories in Modern Management* – 47
Giuli Giguashvili, Tamar Makasarashvili – *Prospects for the Introduction of Avant-garde Technologies in Georgia* – 50
Mania Gogidze, Tea Anesashvili – *State Employment Policy Tools and Examples from the Countries of the Former Soviet Space* – 54
Tsiuri Duruli – *Activities of Donor Organizations for the Development of Agriculture in Georgia* – 60
Merab Vanishvili, Nino Vanishvili – *A General Algorithm for Business Empirical Research* – 66
Nino Liparteliani, Giorgi Kasradze – *Large Investment Projects and the Right Investment Policy in Georgia* – 74
Leila Mamulashvili, Izolda Gabadadze, Nino Mushkudiani, Ineza Tsereteli – *Classification of Synergistic Effects of Integration and Determinants of Growth* – 79
Ruizan Mekvabidze, Leszek Karczewski, Roman Śmietański – *The Fourth Industrial Age and its Impact on Educational Trends in Relation of Competitive Market Requirements* (in English) – 83
Nana Nadiradze – *Social, Technological, Economic and Political Aspects of the Business Environment* – 89
Nino Orjonikidze, Manana Japiashvili, Marine Buziashvili – *Effects of the Activities of the Georgian Competition Agency* – 94
Lali Osadze – *Modern Marketing Trends* – 99
Maka Sosanidze – *Consumer Market and Problems of Its Economic Security in Georgia* – 103
Lali Sreseli – *Local Municipalityies Role to Solve Unemployment Problem* – 107
Giorgi Kazishvili – *Service Quality of as a Key Factor in Determining the Competitiveness of a Retail Enterprise* – 111
Davit Tchiotashvili, Khaliana Chitadze – *Significant Issues and Problems of the International Financial Reporting Standard for Small and Medium Enterprises* – 116
Tea Khorguashvili, Natia Zhozhuashvili, Natia Khorguashvili – *Peculiarities of Monetary Targeting* – 119
Tina Jolbordi – *Challenges of the Labor Market and Education in Georgia* – 125

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili – *For the Historical Understanding of the Notion of Metaphysics (From Antiquity to Kant)* **–** 128
Manana Gagoshidze – *The Fate of Nationality in the Era of Globalization* **–** 133
Davit Geperidze – *On the Occasion of the 75th Anniversary of the International Civil Aviation Convention and the International Civil Aviation Organization Established Under the Same Convention* **–** 138
Maka Dolidze – *Highlighting of Cultural Issues in Media* **–** 142
Klara Elchibegashvili – *„It Uplifts to Heaven the Soul of Those Who Endure Love's Anguish"* **–** 147
Ana Imnadze – *Enterprise Communication Strategy* **–** 150
Nargiza Kankia – *The Topic of Violence in Georgian Entertainment Programs* **–** 153
Ketevan Lomsadze – *From Skinner's "Operant Conditioning" to "Verbal Behavior"* **–** 156
Nikoloz Midodashvili – *Specificity of Governance Models of Higher Educational Institution* **–** 161
Arkadiusz Modrzejewski – *Development of the Third Sector in Poland* (in English) **–** 167
Aleksandre Mghebrishvili – *Tskhinvali on The Press Sheets of the First Independent Republic (Economic Aspect)* **–** 172
Maka Salkhinashvili – *For the Definition of Article 273 of the Code of Administrative Offenses of Georgia* **–** 185
Marika Sherazadishvili – *Specific Characteristics of Syntactic Structures According to Mediatext* **–** 189
Sopo Chkopoia – *Interconnection of Migration and Security Both in the World and in Georgia* **–** 192
Agnes Horvath – *The Role of NGO in Hungary at the Local Level* (in English) **–** 197

ზურაბ ზერაკიძე, ლაურა ელიაური, სოსო ცოტნიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ლელა ალექსიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

გაუსის შემთხვევითი სიდიდეების დაყვანა დამოუკიდებელ გაუსის შემთხვევით სიდიდეებამდე

საკვანძო სიტყვები: გაუსის განაწილება, კორელაცია, შემთხვევითი სიდიდეები, დამოუკიდებლობა.

ვთქვათ, მოცემული გვაქვს გაუსის კორელირებული შემთხვევითი სიდიდეები $_1$. ჩვენი მიზანია ამ შემთხვევითი სიდიდეებიდან შევადგინოთ ისეთი შემთხვევითი სიდიდეები $z_1, z_2, \ldots, z_n$ განსაზღვრული წრფივი გარდაქმნით $z_k = \sum_{i=1}^{n} A_{k_i}\left(x_i - m_{x_i}\right), \quad k = 1,2,\ldots,4$ (1), სადაც A_{k_i} ნებისმიერი არაშემთხვევითი სიდიდეებია, m_{x_1} -მათემატიკური ლოდინია x_i შემთხვევითი სიდიდისა. ცხადია, რომ ჩვენი მიზანია (1) განტოლება უნდა იყოს ამოხსნადი $\left(x_i - m_{x_i}\right)$ მიმართ. ე.ი. დეტერმინანტი $\left|A_{k_i}\right| \neq 0$. ჯერ ჩვენ უნდა მოვძებნოთ ისეთი გარდაქმნა, რომ $z_1, z_2, \ldots, z_n$ შემთხვევითი სიდიდეები იყოს არაკორელირებული ე.ი $M\left[z_k - m_{z_k}\right]\left[z_i - m_{z_i}\right] = 0 \quad k = \overline{1,n},\ i = \overline{1,n},\ k \neq i$ (2). (1)-დან გამოდის, რომ $m_{z_i} = m_{z_k} = 0 \ \ \forall k, i$. ე.ი. ჩვენი მიზანია, რომ $Mz_k z_i = 0 \ \ \forall k \neq i$ ანუ $\sum_{i}^{n}\sum_{i}^{n} A_{k_i} A_{i_j} \operatorname{cov}\left(x_i, x_j\right) = 0, \quad k = \overline{1,n},\ i = \overline{1,n},\ k \neq i$ (3), სადაც $\operatorname{cov}\left(x_i, x_j\right) = Mx_i x_j - Mx_i \cdot Mx_j$. A_{k_i} მუდმივობის რაოდენობა უდრის n^2, ხოლო (3) პირობების რაოდენობა არის $n^2 - n = n(n-1)$. ადვილი მისახვედრია, რომ საბოლოოდ A_{k_i} მუდმივებზე მოთხოვნილი პირობების რაოდენობა იქნება $\frac{n(n-1)}{2}$, ხოლო A_{k_i} მუდმივების რაოდენობა n^2 ტოლია.

ამრიგად, $x_1, x_2, \ldots, x_n$ გაუსის შემთხვევითი სიდიდეების დაყვანა $z_1, z_2, \ldots, z_n$ არაკორელირებულ შემთხვევით სიდიდეებზე შეიძლება განხორციელდეს უამრავი გზით.

რადგან (1) გარდაქმნა არის წრფივი, ამიტომ მიღებული $z_1, z_2, \ldots, z_n$ შემთხვევითი სიდიდეები არიან გაუსის არაკორელირებული შემთხვევითი სიდიდეები. რადგან $z_1, z_2, \ldots, z_n$ შემთხვევითი სიდიდეები არიან განაწილებული ნორმალურად და ეს შემთხვევითი სიდიდეები არაკორელირებულია, ამიტომ შემთხვევითი სიდიდეები წყვილ-წყვილად დამოუკიდებლობიდან და ნორმალურად განაწილებულობიდან გამოდის, რომ $z_1, z_2, \ldots, z_n$ შემთხვევითი სიდიდეები ერთობლივად დამოუკიდებლებია.

ამ სტატიაში განვიხილავთ ერთ-ერთ გზას. განვსაზღვროთ $\left(x_i - m_{x_i}\right) z_k$ შემთხვევითი სიდიდეები შემდეგი სახით:

$$\left.\begin{array}{l} x_1 - m_{x_1} = z_1 \\ x_2 - m_{x_2} = a_{12}z_1 + z_2 \\ x_3 - m_{x_3} = a_{13}z_1 + a_{23}z_2 + z_3 \\ \dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots \\ x_n - m_{x_n} = a_{1n}z_1 + a_{2n}z_2 + \dots + a_{n-1,n}z_{n-1} + z_n \end{array}\right\} \quad (4).$$

a_{ij} მუდმივები განვსაზღვრეთ მიმდევრობით. ავიღოთ (4) განტოლებათა სისტემის მარცხენა და მარჯვენა მხარის კვადრატების მათემატიკური ლოდინები ე.ი. $M\left[z_1^2\right] = M\left[x_1 - m_{x_1}\right]^2 = Dx_1$ a_{12}კოეფიციენტის საპოვნებად გადავამრავლოთ (4) განტოლებათა სისტემის I და II განტოლებები და შემდეგ მიღებული შედეგების მათემატიკური ლოდინი გამოვთვალოთ, მივიღებთ: $a_{12}M\left[z_1^2\right] + M\left[z_1 z_2\right] = M\left[\left(x_1 - m_{x_1}\right)\left(x_2 - m_{x_2}\right)\right]$. რადგან ჩვენ გვინდა, რომ $M\left[z_1 z_2\right] = 0$, მივიღებთ $a_{12} = \dfrac{\operatorname{cov}(x_1, x_2)}{D(x_1)}$. რადგან $M\left[z_1{}^2\right] = Dx_1$ და ვიცით a_{12}მივიღებთ $M\left[z_2{}^2\right] = Dx_2 - a_{12}^2 M\left[z_1^2\right] = Dx_2 - \dfrac{\operatorname{cov}^2(x_1, x_2)}{Dx_1}$ (5). a_{13}კოეფიციენტის საპოვნელად გადავამრავლოთ (4) განტოლებათა სისტემის პირველი და მესამე განტოლებები და და შემდეგ გამოვთვალოთ მათემატიკური ლოდინი ამ ნამრავლებისა, მივიღებთ $a_{12}a_{13}M\left[z_1^2\right] + a_{23}\left[z_2^2\right] = \operatorname{cov}(x_2, x_3)$ უკანასკნელი ტოლობიდან განვსაზღვროთ a_{23}, მივიღებთ $a_{23} = \dfrac{\operatorname{cov}(x_2, x_3) - a_{12}a_{13}Dx_1}{D(x_2) - a_{12}^2 D(x_1)}$. რადგან უკვე ვიცით $M\left[z_1^2\right]$, $M\left[z_2^2\right]$, a_{13}, a_{23} და ავიღოთ (4) განტოლებათა სისტემის მესამე ტოლობის მარცხენა და მარჯვენა მხარის კვადრატების მათემატიკური ლოდინი. შეგვიძლია ვიპოვოთ $M\left[z_2^2\right]$ ე.ი. $M\left[z_2^2\right] = D(x_3) - a_{13}^2 D(x_1) - a_{23}^2\left(D(x_2) - a_{12}^2 D(x_1)\right)$.

ანალოგიური გზებით შეიძლება ვიპოვოთ ყველა დანარჩენი a_{ke}კოეფიციენტები. ე.ი. თუ ვიცით $x_1, x_2, \dots, x_n$ შემთხვევითი სიდიდეების მათემატიკური ლოდინები, დისპერსიები და კოვარიაციები, შეიძლება ვიპოვოთ $a_{12}, \dots, a_{n-1,n}$ სიდიდეები და $z_1, z_2, \dots, z_n$ დისპერსიები.

კარგადაა ცნობილი, რომ ინფორმაცია „ალბათობით ერთი“, მთელ რიგ შემთხვევაში, არის მეტად ღარიბი, რაც შეიძლება ჩაითვალოს არათავსებადი სტატისტიკური გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ მიზეზად.

მათემატიკური სტატისტიკის თანამედროვე თეორიისა და ჰიპოთეზათა შემოწმების შედეგებს შორის არსებული განსხვავების ასახსნელად, წრფივ ერთგანზომილებიან სტოქასტურ მოდელში ცნობილია სასარგებლო სიგნალის უსასრულო შერჩევითი სუბიექტური და ობიექტური შეფასებების კოეფიციენტები (იხ. 4).

ყველა ნამდვილ რიცხვთა მიმდევრობების სივრცე R^N წარმოადგენს უსასრულო-განზომილებიან პოლონურ ტოპოლოგიურ ვექტორულ სივრცეს აღჭურვილს ტიხონოვის მეტრიკით, რომელიც თამაშობს მეტად მნიშვნელოვან როლს სტატისტიკური გადაწყვეტილებების მიღების თეორიაში, ვინაიდან უცნობი პარამეტრისათვის რაიმე ძალდებული შეფასების აგება სხვადასხვა სტოქასტურ მოდელში შეუძლებელია უსასრულო შერჩევის გარეშე.

R^N სივრცე ჰაარის ნულ სიმრავლეთა თეორიის საშუალებით ჩვენ შევეცდებით ავხსნათ ნუნალისა და კოენის მოსაზრებები. (Nunnally, 1960; Cohen, 1994)

ჩვენი ზემოთ აღწერილი მეთოდით, ნებისმიერი გაუსის შემთხვევითი სიდიდეები დაგვყავს $x_1, x_2, \dots, x_n, \dots$ დამოუკიდებელ ნორმალურად განაწილებული შემთხვევით სიდიდეთა მიმდევრობად პარამეტრებით $(\theta, 1)$, სადაც θ საშუალო უცნობია და საშუალო კვადრატული გადახრაა 1.

ჩვენი ამოცანაა ამ უსასრულო შერჩევის გამოყენებით შევაფასოთ უცნობი საშუალო, მაშინ სამეული $\left(R^N, B\left(R^N\right), \mu_\theta, \theta \in R\right)$ არის სტატისტიკური სტრუქტურა.

დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის თანახმად ვღებულობთ

$$\mu_\theta\left\{(x_k)_{k\in N} : (x_k)_{k\in N} \in R^N \;\&\; \lim_{n\to\infty}\frac{\sum_{k=1}^{n} x_k}{n} = \theta\right\} = 1 \ldots. \quad (1)$$ ნებისმიერი $\theta \in R$ პარამეტრებისათვის. (1)-ის გამოყენებით შეგვიძლია ავაგოთ უცნობი θ პარამეტრისა შერჩევითი ძალდებული შეფასება T შემდეგნაირად $T\left((x_k)_{k\in N}\right) = \lim_{n\to\infty}\frac{\sum_{k=1}^{n} x_k}{n}$.

ნულოვანი ჰიპოთეზის შემოწმება $H_0 : \theta = \theta_0$ გულისხმობს შემდეგ პროცედურას: თუ უსასრულო შერჩევაა $(x_k)_{k\in N} \in T^{-1}(\theta)$, მაშინ მიიღება H_0 ჰიპოთეზა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება H_0 ჰიპოთეზის უარყოფა. ცხადია, რომ S სიმრავლე ყველა იმ უსასრულო $(x_k)_{k\in N}$ შერჩევებისა, რომელთათვისაც არსებობს პირველი n წევრის საშუალო არითმეტიკულების ზღვარი წარმოადგენს R^N სივრცის, ბორელის აზრით, ზომად ვექტორულ წრფივ ქვესივრცეს. ქრისტენსენის (Christensen, 1973) ერთი შედეგის თანახმად პოლონური ტოპოლოგიური ვექტორული სივრცის ყოველი ბორელის აზრით ზომადი საკუთრივ ვექტორული ქვესივრცე არის ჰაარის ნულ სიმრავლე. ამიტომ S სიმრავლე არის ჰაარის ნულ სიმრავლე და ამიტომ T სტატისტიკა არ არის განსაზღვრული „თითქმის ყველა“ უსასრულო შერჩევისათვის. უკანასკნელი ნიშნავს, რომ „თითქმის ყველა“ უსასრულო შერჩევისათვის H_0 ჰიპოთეზა უარყოფილია. ეს მსჯელობა შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ჰიპოთეზის ასახსნელად: თუ გადაწყვეტილებები ეყრდნობიან შეთანხმებას, მაშინ მათ უწოდებენ ნებისმიერს ან უაზროს, მაშინ როცა წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება ვუწოდოთ სუბიექტური.

ვთქვათ, $T_1 : R^N - R$ არის ზემოთ მოყვანილი მეთოდი აგებული უცნობი θ პარამეტრის ძალდებული შეფასება. ე.ი. $\mu_\theta\left\{(x_k)_{k\in N} : (x_k)_{k\in N} \in R^N \;\&\; T_1\left((x_k)_{k\in N}\right) = \theta\right\} = 1 \quad \forall\theta \in R$.

ამ მიმართულებით, პირველ რიგში უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ თუ რაიმე $\theta_0 \in R$ პარამეტრისათვის $T_1^{-1}(\theta_0)$ არის ჰაარის ნულ სიმრავლე, მაშინ „თითქმის ყველა“ შერჩევისათვის $H_0 : \theta = \theta_0$ ჰიპოთეზა იქნება უკუგდებული. მეორე მხრივ, არ უნდა არსებობდეს $\theta_1 \in R$, რომლისთვისაც $T_1^{-1}(\theta_1)$ იქნეს გავრცელება (რაც იგივეა, რაიმე ჰაარის ნულ სიმრავლის დამატება), მაშინ „თითქმის ყველა“ შერჩევისათვის ნულჰიპოთეზა $H_0 : \theta = \theta_2$ იქნეს უკუგდებული ყოველი $\theta_2 \neq \theta_1$-თვის. ამ მსჯელობას მივყავართ დამატებით პირობამდე, რომ T_1 სტატისტიკისათვის $T_1^{-1}(\theta)$ სიმრავლე არ უნდა იყოს არც ჰაარის ნულ სიმრავლე და არც გავრცელდეს ნებისმიერი $\theta \in R$ პარამეტრისათვის.

სიმრავლეს, რომელიც არ არის არც ჰაარის ნულ სიმრავლე და არც გავრცელება, ეწოდება ჰაარის ემბივალენტი. ასეთი შეფასებები, რომელთათვისაც პარამეტრის წინარე სახეები წარმოადგენენ ჰაარის ემბივალენტებს ეწოდებათ ობიექტური შერჩევითი ძალდებული შეფასებები.

ბიბლიოგრაფია:

Christensen, J. R. (1973). Measure Theoretic Zero Sets in Infinite Dimensional Spaces and Applications to Differentiability of Lip-Schitz Mappings. *Publications du Département de mathématiques, 10* (2), 29-39.

Cohen, J. (1994). The Earth is Round (p < .05). *American Psychologist, 49* (12), 997–1003.

Nunnally, J. (1960). The Place of Statistics in Psychology. *Educational and Psychological Measurement, 20* (4), 641-650.

Pantsulaia, G., & Kintsurashvili, M. (2014). Why is The Null Hypothesis Rejected for “Almost Every” Infinite Sample by Some Hypothesis Testing of Maximal Reliability? *Journal of Statistics: Advances in Theory and Applications, 11* (1), 45-70.

Zurab Zerakidze, Laura Eliauri, Soso Tsotniashvili
Gori State Teaching University;
Lela Aleksidze
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

REDUCTION OF GAUSSIAN RANDOM VARIABLES TO THE INDEPENDENT GAUSSIAN RANDOM VARIABLES

RESUME

In this work, any Gaussian random values will result with linear transformations to the Independent random Gaussian values, and then observations of these Gaussian random values can be made by forcing estimates of the parameters.

Keywords: Gaussian distribution, Correlation, Random values, Independence.

თამარ ნასყიდაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ია ირემაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების გამოყენების თავისებურებები საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მონაცემების სტრუქტურიზაციის მაგალითზე

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ნაკადები, მეტამონაცემები, მასივები, მონაცემთა ბაზები, OLAP-კუბები, განზომილებები, ანალიზი.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სათავეს იღებს მონაცემთა დამუშავების ახალი, კონცეპტუალური მიდგომა - მონაცემთა ბაზების შექმნა და კომპიუტერული უზრუნველყოფა. ასეთი მიდგომა გამოწვეული იყო ელექტრონულ მატარებლებზე დაგროვილი სულ უფრო და უფრო მზარდი ინფორმაციული ნაკადების არსებობით და, რაც მთავარია, ინფორმაციის დამუშავების და გადამუშავების პროცესის გამარტივებით.

ინფორმაციული ნაკადების დამუშავების პროგრამულმა უზრუნველყოფამ განსაკუთრებით გაამარტივა სამუშაო პროცესი და აქტიურად დაინერგა ყველა იმ სფეროში, სადაც არსებობს მრავალფაქტორიანი მონაცემთა ანალიზის აუცილებლობა. გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების შექმნა ძირეულად განიხილავს ცალკეული პროგრამული რესურსების - OLAP პროგრამის რეალიზებას, რომელიც წარმოადგენს მეტამონაცემების საცავს და ინახავს მონაცემთა წყაროებიდან მიღებულ პარამეტრებს, მონაცემებს მონაცემთა წყაროებამდე და ასევე დამუშავებულ ანალიზურ ანგარიშებს. ასეთი სისტემები წარმატებით გამოიყენება ყველა მიმართულებით - მარკეტინგულ სფეროში, ბიზნეს სისტემებში, კონტროლის და საინფორმაციო დარგებში, ლოგისტიკურ პროცესებში და სხვა უამრავ სფეროში, თავისთავად განათლების მიმართულებით. ინფორმაციული ნაკადების დამუშავების პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებისას, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საგნობრივი სფეროს ანალიზირება, აქედან გამომდინარე, ასეთი ინფორმაციის წარმოდგენის ყველაზე მოსახერხებელ მეთოდად მიიჩნევა გარკვეულ პარამეტრებს შორის დამოკიდებულებები. მაგალითისთვის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემებიდან განიხილება სტუდენტთა რაოდენობის დამოკიდებულება საგნობრივ დატვირთვასთან და მიმაგრებულ აკადემიურ პერსონალთან. მონაცემთა ანალიზისას გადაწყვეტილებების ძებნის პროცესში ხშირად საჭირო ხდება ასეთი დამოკიდებულებების

დადგენა განსხვავებულ პარამეტრებს შორის, გარდა ამისა, ასეთი პატარა მეტრების რიცხვის ცვლილება შესაძლებელია ხორციელდებოდეს დიდ დიაპაზონში. აქედან გამომდინარე, მონაცემთა ანალიზის ტრადიციული საშუალებები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ცხრილების სახით, რელაციურ მონაცემთა ბაზებში, სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სწორედ ეს გახდა მიზეზი რელაციური მონაცემთა ბაზების ფუძემდებლის, ე. კოდის მიერ განხორციელებული ერთგვარი „რევიზია“ ამ ბაზების ნაკლოვანებების წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა დაფიქსირდა შეუძლებლობა „მონაცემთა გაერთიანება, გადახედვა და ანალიზირება განზომილებათა სიმრავლის კუთხით“ - როგორც ყველაზე გასაგები მეთოდი ანალიტიკოსებისათვის. გამოიკვეთა, რომ განზომილება - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები და მნიშვნელოვანი მონაცემი გასაანალიზებელი პარამეტრებიდან. მაგალითისთვის, პარამეტრი „სტუდენტი“-ის შემთხვევაში ეს მნიშვნელობა შესაძლებელია იყოს გვარი და სახელი, პირადი ნომერი, „აკადემიური მოსწრება“-ში კი იყოს ჩათვლილი საგნების ჩამონათვალი და დაგროვილი კრედიტების რაოდენობა.

განზომილებათა მრავლობითობა ითვალისწინებს მონაცემთა წარმოდგენას მრავალგანზომილებიანი მოდელების სახით. მრავალგანზომილებიან მოდელებში წარმოდგენილი არიან პარამეტრები, რომლებიც განეკუთვნებიან ამა თუ იმ ანალიზირებად საგნობრივ სფეროს. კოდის თეორიის წარმოდგენით, მრავალგანზომილებიანი კონცეპტუალური წარმოდგენა ეს არის მრავლობითი პერსპექტივა, რომელიც თავის მხრივ შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი განზომილებისგან, რომელთა მიმართებაშიც იქნება გაანალიზირებული მონაცემების განსაზღვრული თავსებადობა; ერთდროული ანალიზი კი რამდენიმე განზომილების მიხედვით განიხილება როგორც მრავალგანზომილებიანი ანალიზი. თითოეული განზომილება შესაძლებელია წარმოვადგინოთ იერარქიული სტრუქტურის სახით. კერძოდ, განზომილება „შემსრულებელი“-ს შესაძლებელია ჰქონდეს შემდეგი იერარქიული დონეები: „საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო ერთეული, საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტი“. უფრო მეტიც, რამდენიმე განზომილებას შესაძლებელია ჰქონდეს იერარქიული წარმოდგენის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი. მაგალითად, განზომილება „სტუდენტი“ შესაძლებელია ჩართული იქნეს იერარქიის შემდგომ ორ საფეხურზე: „საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო ერთეული, საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტი“ და „სწავლების წელი (სემესტრი) - სტუდენტი“. განზომილებათა ღერძების გადაკვეთაზე განლაგდებიან მონაცემები, რომლებიც რაოდენობრივად ახასიათებენ ანალიზირებულ ფაქტებს - განზომილებებს; ესენი შესაძლებელია იყოს სტუდენტების რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. ამრიგად, მონაცემთა მრავალგანზომილებიანი მოდელი შესაძლებელია წარმოვსახოთ როგორც ჰიპერკუბი, სადაც წახნაგები წარმოადგენენ პირობითად განზომილებებს, უჯრედები კი მათ ზომებს. აქ იკვეთება ერთი საინტერესო მომენტი - რა ოპერაციების განხორციელების საშუალებას მოგვცემს ასეთი კუბები. ნათელია, რომ უპირველესად ეს არის მონაცემთა ჭრილები ანუ ერთმანეთის დაქვემდებარებაში მყოფი მონაცემები, რომლებიც ერთგვარად ქმნიან თანაქვემონაცემებს; უფრო კონკრეტულად, ისეთი მრავალგანზომილებიანი მასივების ფორმირება, რომლის დროსაც გამოსახულების ერთ ან რამდენიმე ელემენტს შეესაბამება ერთი გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც ამ სიმრავლეს არ განეკუთვნება. მაგალითად ელემენტი „კრედიტი“-ს არჩევისას განზომილება „აკადემიური მოსწრება“-დან მონაცემთა ჭრილი წარმოადგენს ქვეკუბს, რომელშიც ერთიანდება ყველა დანარჩენი განზომილება. ის მონაცემები კი, რომლებიც ამ ფორმირებულ კუბში ვერ მოხვდნენ, დაკავშირებულნი არიან განზომილება „აკადემიური მოსწრების“ იმ ელემენტებთან, რომლებიც არ განიხილებოდნენ როგორც „განმსაზღვრელის“ მაჩვენებლად. თუ „ჭრილს“, როგორც ტერმინს, განვიხილავთ საბოლოო მომხმარებლის პოზიციიდან, მაშინ მისი როლი უმეტესწილად წარმოჩინდება კუბის ორგანზომილებიან პროექციად. ჰიპერკუბების ოპერაციებად განიხილებიან ასევე - მონაცემების ბრუნვა, კონსოლიდაცია და დეტალიზაცია. განზომილებათა განლაგების ცვალებადობა აისახება ანგარიშებში ან გამომსახველობით გვერდზე. მაგალითისთვის, ბრუნვის ოპერაცია შესაძლებელია მდგომარეობდეს ცხრილის სვეტების და სტრიქონების გადაადგილებებში ან ფორმირებული დოკუმეტში მონაცემების გადაადგილებაში სვეტების და სტრიქონების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა მივცეთ სასურველი სახე ფორმირებად დოკუმენტს. ამას გარდა, კუბის ბრუნვა ითვლება არაცხრილურ განზომილებად წარმოდგენილ შესაბამის გვერდზე გაზომვის ადგილზე, და პირუკუც (არაცხრილური განზომილება ხდება სვეტების ან სტრიქონების ახალ განზომილებად). განზომილებათა განლაგება მარტივად აიხსნება შემდგომი ფორმით: კუბის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ღერძებზე განლაგებული იქნება განზომილებები „საგანმანათლებლო ერთეული“, „საგანმანათლებლო მიმართულებები“, სხვა შემთხვევაში „სწავლების წლები“. განიხილება სხვადასხვა შემთხვევები და მიიღება სხვადასხვა გამომსახველობითი გამოსახულებები მონაცემთა და განზომილებათა ბრუნვადობის შედეგად. მნიშვნელოვანია მონაცემთა კონსოლიდაციის და

დეტალიზაციის ოპერაციები, რომელთა საშუალებით განისაზღვრება მონაცემთა დეტალური წარმოდგენიდან აგრეგირებადისკენ გადაადგილება და შესაბამისად პირიქით; დეტალიზაცია, იგივე მიმართვა, შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც ცალკეული განზომილებების იერარქიის მიხედვით, ისე განზომილებათაშორისი და ცვლილებათა საზღვრებში არსებული სხვა დამოკიდებულებების თანახმად.

მონაცემთა მრავალგანზომილებიანი ანალიზი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოპერაციულ ანალიზთან, რომელიც ცნობილია OLAP სისტემების სახელწოდებით (ონლაინ ოპერაციული ანალიზირება). ამ სისტემების ძირითადი დანიშნულებაა მომხმარებელ-ანალიტიკოსების ანალიტიკური საქმიანობის განხორციელების მოთხოვნათა მხარდაჭერა. ძირითადი მიზანი OLAP-ანალიზის სისტემებისა არის იმ ჰიპოთეზების გადამოწმება, რომლებიც წარმოიშვებიან მუშაობის პროცესში. OLAP ტექნოლოგიების წყაროების საწყისად მიიჩნევა მათდამი რელაციური მიდგომები.

იმიტაციური მოდელირების და კიბერნეტიკის მიმართულების განვითარებამ საკმაოდ დადებითი მომენტები წარმოშვა ინფორმაციული ნაკადების მართვის და ფორმირების მხრივ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში და მათ შორის, ცხადია, არც განათლების სისტემაა გამონაკლისი. ამ მიდგომების წყალობით მკვეთრად ჩამოყალიბებული ფორმა მიიღო ამოცანის გადაწყვეტამ კონკრეტულ სფეროში. მაგალითისთვის, ცნობილი იქნება რა განათლების სისტემაში არსებული სწავლების მეთოდების და სასწავლო პროცესის მახასიათებელი მონაცემები და პარამეტრები, ადვილად შესაძლებელი ხდება ამ პროცესების დაგეგმვა და შედეგების გათვლა ცალკეული კომპონენტების მიხედვით, როგორიცაა სასწავლო რესურსების გათვლა, სტუდენტების ცოდნის დონის და შედეგების მართვა და პროგნოზირება, მთლიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ეს სისტემები და მიდგომები აანალიზებენ არსებულ ინფორმაციას, მაგრამ არ განიხილავენ პირველადი მონაცემების შენახვის ორგანიზაციის მეთოდებს. ამ საკითხის მთლიანად გადაჭრა მოხერხდა სწორედ OLAP ტექნოლოგიების დანერგვით და იმ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით, რომელთა მეშვეობით ხდება მრავალგანზომილებიანი მასივების ავტომატიზირებული ანალიტიკური დამუშავება. დღესდღეობით OLAP კუბები ითვლება როგორც ფინანსური და ეკონომიკური, ასევე ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ინფორმაციის მართვის საუკეთესო საშუალებად. OLAP ტექნოლოგიების უფრო კონკრეტულად წარმოდგენისთვის განვიხილოთ OLAP კუბების აგების ასპექტები სასწავლო პროცესში მათი გამოყენების მიზნით.

OLAP ტექნოლოგიების შექმნის იდეას მარტივად ჩავწვდებით კონკრეტული მაგალითის განხილვით, როდესაც აუცილებელია საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციის ერთდროულად გადამუშავება, რომლებიც ქმნიან მრავალგანზომილებიან მასივებს. ადამიანის გონებას აქვს შესაძლებლობა აღიქვას და დაამუშაოს მაქსიმუმ ორგანზომილებიანი მასივი ან ისეთი მონაცემები, რომლებიც ფორმირებულია ცხრილის სახით, მაგალითად დაგროვილი კრედიტების რაოდენობა წლების მიხედვით. დიდი მოცულობის ინფორმაციის შემთხვევაში, როდესაც ეს ეხება არა ერთ რომელიმე პატარა ჯგუფს - დავუშვათ სტუდენტებისას, არამედ მთლიანი საგანმანათლებლო დაწესებულების კონტინგენტს, მისი ემპირიულად აღქმა და დამუშავება არათუ რთული, შეუძლებელიცაა, ამიტომ მთელი ინფორმაცია, რომელიც საწყის მონაცემთა ბაზებში ინახება განსაზღვრული არქიტექტურით და შესაბამისი ცხრილების სახით, წარმოისახება კუბის სახით შესაბამისი განზომილებებით, შესაბამის პირობითად საკოორდინაციო ღერძებზე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მაჩვენებლები შესაძლებელია იყოს საწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ცალკეული კომპონენტები. კერძოდ, ცოდნის მაჩვენებლები, დატვირთვა, კრედიტები; დროებითი ჭრილები (სემესტრები, კურსები, სტუდენტების მოძრაობა), ასევე მათი მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში. OLAP კუბების უჯრედები შეიცავენ ძირითადად რიცხვითი სიდიდეების მქონე მონაცემებს. რამდენადაც ადამიანი ადვილად აღიქვამს ერთ ან ორგანზომილებიან მონაცემებს, იმდენად მრავალგანზომილებიანი კუბი საშუალებას გვაძლევს მისგან ისეთი მონაცემების აღებისა, რაც საკმარისია ორგანზომილებიანი ცხრილების გასაგებად. ამ ოპერაციას უწოდებენ სწორედ კუბის „გაჭრას“. პირობითად სასწავლო პროცესის მართვისთვის აგებული OLAP კუბი შესაძლებელია ჭრილის სახით დაიყოს ცალკეულ სივრცეებად, მაგალითად „სტუდენტების ჯგუფები სასწავლო კურსების ან მიმართულებების მიხედვით“, „სასწავლო დატვირთვები და მოდულები“, „ათვისებული კრედიტები“. ასეთი ოპერაციების განხორციელების შედეგად ვიღებთ იმ მონაცემებს, რომლებიც შეესაბამებიან არსებული კატეგორიის შესაბამის მაჩვენებლებს. ერთი მხრივ OLAP კუბების სტრუქტურა მოგვაგონებს რუბიკის კუბიკს, რომლის ბრუნვა ღერძების მიხედვით გვაძლევს შესაძლო შედეგების განსაკუთრებულად მრავალრიცხოვან ვარიანტებს. OLAP კუბების უჯრედებში განთავსდება ძირითადად შედგენილი მონაცემები. შედგენილი მონაცემები ფორმირდება მონაცემთა ბაზების საცავებში არსებული ინფორმაციიდან. მაგალითად, სტუდენტების ჯგუფები სასწავლო წლების მიხედვით ფორმირდება ჩარიცხვის წლების და დაგროვილი

კრედიტების გათვალისწინებით; სასწავლო პროცესი იყოფა საფეხურებად, როგორიცაა საბაკალავრო ან სამაგისტრო და შესაბამისად სასწავლო წლებად, სემესტრებად, კვირეებად. როდესაც მთლიანობაში ვახდენთ ყველა ამ მონაცემების ერთიან სივრცეში წარმოდგენას, ვიღებთ იერარქიულ სტრუქტურას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰიპერკუბები ძირითადად მოიცავს აგრეგირებულ ინფორმაციას, გააჩნია რა სფეროში ვახდენთ ინფორმაციის დამუშავებას. განათლების სისტემაში მოქმედი სასწავლო დაწესებულებების ფუნქციონირება სასწავლო პროცესს აქცევს ერთიან სისტემად, სადაც სწავლების პროცესის მთლიანი მონიტორინგის შედეგად, შესაძლებელი ხდება სრულყოფილად იმ მონაცემების შეგროვება, რაც საბოლოოდ მთლიანობაში უზრუნველყოფს გაერთიანებული და ერთმანეთზე გარკვეული წესით აგრეგირებული ინფორმაციის ფორმირების და მართვის საშუალებას.

ბიბლიოგრაფია:

Gundeploy, M., & Sneath, T. (2011). *SQL Server Developer's Guide to OLAP with Analysis Services.* Sybex.

Thomsen, E. (2002). *OLAR Solutions, Building Multimdimensional Information Systems.* Jon Wilei&Sons, Inc.

Барсегян, А. А., Куприянов, М. С., Степаненко, В. В., & Холод, И. И. (2007). *Технологии анализа данных.* Санкт-Петербург.

Tamar Naskidashvili

Gori State Teaching University

Ia Iremadze

Gori State Teaching University

PECULIARITIES OF USING DECISION-MAKING SUPPORT SYSTEMS ON THE EXAMPLE OF THE DATA STRUCTURING IN EDUCATIONAL INSTITUTIONS

RESUME

The article - "Peculiarities of Using Decision-making Support Systems on the Example of the Data Structuring in Educational Institutions" is the data structuring analysis in light of „DATA PROCESSING ANALYSIS AND THEIR SUPPORT SYSTEMS" on the example of managing formation of information flows of learning process in educational institutions. Based on the consideration of the specific data, there is clearly outlined the existing data to be analysed, specification, and dimensions of a certain area (learning process) as well as formation of conceptual models on their basis. Processing of multidimensional arrays through OLAP cubes is also described, pre-formation of which is one of the advantages with regard of generating questions and achieving outcomes.

Keywords: Information flows, Metadata, Arrays, Databases, OLAP-cubes, Dimensions, Analysis.

ლალი აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფიზიკური ვარჯიშის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური ვარჯიში, ადამიანის ორგანიზმი, სპორტი, ფიზიკური აღზრდა.

ადამიანის ფიზიკური აღზრდისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფიზიკური ვარჯიში. ფიზიკური ვარჯიში შედარებით ფართო ცნებაა, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ხასიათის კუნთურ მოქმედებას. იგი უნდა მივიჩნიოთ ისეთ მოძრაობად, რომელსაც დასახული აქვს გარკვეული მიზანი, რათა სწორად გადაწყდეს ესა თუ ის ამოცანა. ფიზიკური ვარჯიში ფიზიკური აღზრდის ძირითადი საშუალებაა. მისი ათვისებისათვის მეტად რთული ნერვულ-რეფლექსური მექანიზმების საშუალებით მეცადინეობის (ვარჯიშის) პროცესში წარმოებს ამა თუ იმ სახის მოძრაობითი ჩვევის განვითარება.

გარდა ფიზიკური ვარჯიშისა ადამიანის ფიზიკური აღზრდის საშუალებებს მიეკუთვნება აგრეთვე ბუნებრივი ფაქტორები: წყალი, ჰაერი, მზე, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ორგანიზმის გაკაჟება-წრთობა.

ფიზიკური აღზრდის მესამე საშუალებაა ჰიგიენური რეჟიმი, მხოლოდ ამ საშუალებათა რაციონალურად გამოყენებამ შეიძლება განაპირობოს ადამიანის ორგანიზმის ჰარმონიული ფიზიკური სრულყოფა, პირველ რიგში კი მისი გაჯანმრთელება.

სისტემატური და ხანგრძლივი ფიზიკური ვარჯიშის ზეგავლენით ვითარდება ორგანიზმის ფიზიკური თვისებები: ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, და სიმარჯვე (მოქნილობა, სიმარდე). ამ თვისებების განვითარება ადამიანის ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას გულისხმობს და ამის მიღწევა წვრთნის პროცესით შეიძლება.

თვითონ სპორტული წვრთნა რთული პედაგოგიური და ფიზიოლოგიური პროცესია, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანის ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობათა გაძლიერებას და ფიზიკური მუშაობის უნარის გაზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, სპორტის ამა თუ იმ სახეობის დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური და არასპეციფიკური მოძრაობითი ჩვევების დაუფლებას, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

ორგანიზმის ფუნქციური თვისების ძალის განვითარება ძალისმიერი ვარჯიშებით შეიძლება. იგი დაკავშირებულია კუნთების შეკუმშვის დროს დიდი დაძაბულობის გამოვლინებასთან. ამ დროს ფიზიკური ვარჯიში უფრო ხშირად შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. ძალისმიერი ტიპის ვარჯიშებს მიეკუთვნება ფიზიკურ ვარჯიშთა ის ელემენტები, რომლებიც გამოყენებულია სიმძიმის აწევის (ძალოსნობაში, შტანგა, გირებით, ჰანტელებით და ესპანდერებით ვარჯიში და სხვ.), ტანვარჯიშის, ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, ბადროს და ბირთვის ტყორცნის დროს და სხვ.

სიმძიმის აწევის დროს ორგანიზმში ვითარდება სამი ფაზა: პირველ ფაზაში სიმძიმის აწევა წინასწარ ღრმა შესუნთქვას საჭიროებს. ამ დროს გული სისხლით ივსება და გულ-მკერდის ყაფაზზე ერთგვარად ფიქსირდება, მეორე ფაზაში (ყიის დახურვის პირობებში) ამოსუნთქვისას კუნთების დაძაბულობა გულ-მკერდისა და მუცლის ღრუს შიგა წნევა მატულობს, კუნთოვანი სისტემა თვალსაჩინოდ დაძაბულია და მაქსიმალური კუნთური ძალით გამოვლინდება.

მეორე ფაზაში ხდება სიმძიმის აწევა. ამ დროს სისხლის მიმოქცევის, მცირე წრეში (ფილტვებში) ვითარდება შეგუებითი მოვლენა (არტერიული სისხლის წნევა მცირდება, ვენური წნევა კი მატულობს).

მესამე ფაზაში კუნთების დაჭიმულობა და ჭინთვა წყდება და გულ-მკერდის ყაფაზში წნევა მკვეთრად ეცემა. გულში ძლიერდება სისხლის მიმოქცევა, აირცვლა და ჟანგვითი პროცესები. ძალისმიერი ვარჯიშები სწორი მეთოდით ჩატარებას საჭიროებს, ვინაიდან გადამეტებამ ზოგ

შემთხვევაში (ახალგაზრდა და ხნიერ ასაკში გაუვარჯიშებლობის შემთხვევაში და სხვ.), შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადამიანის ორგანიზმზე.

სისწრაფეზე ფიზიკურ ვარჯიშს ისეთი ვარჯიშები მიეკუთვნება, რომლებიც მეტად დიდი სიჩქარით, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში სრულდებიან. ამ დროს კუნთოვანი აპარატი მაქსიმალურად დაძაბულია, სისწრაფეზე ვარჯიში შეიძლება იყოს ადგილობრივი (მაგალითად სირბილი 60, 100 მეტრზე), ცურვა მოკლე მანძილზე, ველოსიპედით 1 კილომეტრზე, გიტით სვლა და სხვ.). სისწრაფეზე ვარჯიშის დროს ორგანიზმში ყველა ფიზიკური პროცესი (ნივთიერებათა ცვლა, სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა და სხვ.) თვალსაჩინოდ აქტიურია. 100 მეტრზე სირბილის დროს მაჯისცემის სიხშირე მატულობს (150-200 მდე). მაქსიმალური არტერიული სისხლის წნევა 200 მმ-მდეა, იწყება გაძლიერებული ოფლიანობა, შარდშიც ცილის გამოყოფა, სისწრაფეზე ვარჯიშის დროს ორგანიზმი ვერ ასწრებს ინტენსიური მუშაობის შედეგად „ჟანგბადოვანი შიმშილის“ მდგომარეობიდან სწრაფად გამოსვლას, ამიტომ კუნთური მუშაობის დამთავრების შემდეგ ჟანგვა-აღდგენითი პროცესები ძლიერდება. სისწრაფეზე ვარჯიშის შესრულების დროს არ ხერხდება დიდი ხნის განმავლობაში მაღალი შრომისუნარიანობის შენარჩუნება. ფიზიკური ვარჯიშის შემთხვევაში თვალსაჩინოდ იცვლება მაჯისცემის რიცხვი (წუთში 150-180-მდე მაქსიმალური არტერიული სისხლის წნევა მატულობს (ე.წყ.ს.ვ. 50-80 მმ-ით). იზრდება ფილტვების ვენტილაცია (50-80 ლიტრით) და სხვ. გამძლეობაზე ფიზიკური ვარჯიშის დროს სისხლში შაქრის მარაგი თვალსაჩინოდ მცირდება, რაც ორგანიზმში საერთო შაქრის მარაგის შემცირებაზე მიუთითებს, ვინაიდან გამძლეობაზე ფიზიკური ვარჯიში შედარებით ნაკლები ინტენსივობით (კუნთური დაძაბულობით) სრულდება, ამიტომ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა ამ შემთხვევაში შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს მაღალი შრომისუნარიანობა.

თანამედროვე სპორტი ადამიანისგან ყველა ზემოაღნიშნული ფიზიკური თვისების განვითარებას მოითხოვს, რაც ზრდის (სპორტულ) შრომისუნარიანობას.

ბიბლიოგრაფია:

კახიძე, გ. (2002). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები.* თბილისი.

სვანიშვილი, რ., & კახაბრიშვილი, ზ. (2010). *სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია.* თბილისი.

Lali Azmaiparashvili

Gori State Teaching University

IMPACT OF PHYSICAL EXERCISE ON THE HUMAN BODY

RESUME

Modern sport calls for the development of physical aspects that increases physical fitness, promotes a healthy lifestyle and improves health.

Keywords: Physical exercises, Human organism, Sport, Physical culture.

ნელი გოგინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
რობერტ მაღლაკელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიადაგის, როგორც ლანდშაფტის კომპონენტის ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობის შესწავლა ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით

საკვანძო სიტყვები: ნიადაგი, ლანდშაფტი, ეკოლოგია, ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი.

უკანასკნელ ხანს მსოფლიოში მოსახლეობის ზრდასთან და მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესთან ერთად, მნიშვნელოვანი გახდა მოსახლეობის, როგორც უხვი სასოფლო სამეურნეო პროდუქტებით მომარაგება, ასევე მათთვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდება. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, როგორც ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესწავლა, ასევე მისი თანამედროვე „ცხოვრებაში“ გარკვევა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, ნიადაგის განხილვა ლანდშაფტის უმთავრეს კომპონენტად და ნიადაგის შემადგენელ კომპონენტებთან ურთიერთკავშირში.

სტატიაში წარმოდგენილი საკითხები აქტუალურია, რადგან გვაძლევს ინფორმაციას, რომ ტრადიციულ ვ. დოკუჩაევისეულ მოძღვრებასთან ერთად, შემუშავებულია ლანდშაფტურ-გეოფიზიკური მიდგომის საფუძველზე, წარმოდგენა ნიადაგზე - როგორც ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის (ბტკ-ის) მიწისქვეშა ნაწილის ვერტიკალურ პროფილზე და როგორც სივრცე-დროით სისტემაზე, შემდგარზე მრავალი დღე-ღამური მდგომარეობით.

თავის დროზე გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა პროფესორმა ვ. დოკუჩაევმა ნიადაგის შესახებ თეორიის დამუშავებისას შექმნა ახალი მეცნიერება ნიადაგწარმომქმნელი პროცესების და ნიადაგის, როგორც ბუნების „ცალკე სამეფოს შესახებ“.

ვ. დოკუჩაევის თვალსაჩინო ნაშრომებში ნიადაგი წარმოდგენილია, როგორც ერთიანი სისტემა, შემდგარი მრავალი სხვადასხვა, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრელი კომპონენტებისაგან. თუმცა ნიადაგის, როგორც სისტემის გარდა, არსებობს ბევრი მასზე მაღლა მდგომი სისტემების მთელი იერარქია; მათ შორის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი, რომელშიც ნიადაგი განიხილება, როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

გეოგრაფიაში გაბატონებული სისტემური პარადიგმის მიხედვით, ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კომპონენტები, ობიექტები და მოვლენები, რომლებსაც სწავლობს ეს დისციპლინა, განიხილება, როგორც რთული სისტემები. ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებსა და მათ კომპონენტებში სხვადასხვა პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა დროით მასშტაბში. კერძოდ, გეოგრაფიასა და ნიადაგმცოდნეობაში განმტკიცდა აზრი კომპონენტების „სხვადასხვა სიხშირითობის“ შესახებ, როგორც მათ უწოდებს თ. ურუშაძე და ნ. ბერუჩაშვილი. (Урушадзе & Беручашвили, 1978, გვ. 681-687), ან „მახასიათებელი“ დრო, როგორც წარმოგვიდგენს მათ ვ. ტარგულიანი, ა. როდე, ე. დიმიტრიევი, ა. არმანდი. (Таргульян, Роде, Дмитриев, & Арманд, 1976, стр. 294-304) სხვადასხვა მახასიათებელ დროს მივყავართ ეგრეთ წოდებულ „ნიადაგი მახსოვრობა“-სა და „ნიადაგი მომენტის“ ფორმირებასთან.

ნიადაგი მახსოვრობა - ესაა ნიადაგის პროფილის მდგრადი და კონსერვატიული თვისებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების მოქმედების ინტეგრალურ შედეგს, ნიადაწარმოქმნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ვ. დოკუჩაევმა თავის თეორიაში ნიადაგის, როგორც ბუნების დამოუკიდებელი სხეულის შესახებ, ნიადაგის პროფილის მდგრადი და კონსერვატიული თვისებების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენს ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების მოქმედების ინტეგრალურ შედეგს, ნიადაგწარმოქმნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გამოყო ნიადაგის პროფილი, ნიადაგის გენეტიკური ჰორიზონტები, შექმნა ნიადაგწარმოქმნის თეორია.

ნიადაგი მომენტი - ესაა დინამიური ლაბილური თვისებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ფაქტორებისა და პროცესების ერთობლიობის შედეგს დაკვირვების მომენტში ან მის მახლობლად.

სამეცნიერო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნიადაგის ბლოკის მიმდინარე ფუნქციონირებაში გარკვევა ძალზე რთული პრობლემაა. სტატიაში მოკლედ გვინდა ავხსნათ ეს ამოცანა. უფრო ღრმად

გარკვევისთვის შეგვიძლია რ. მაღლაკელიძის მონოგრაფიაში (Маглакелидзе, 2017) განხილული საკითხების გაცნობა.

ბუნებრივია, გავერკვეთ ნიადაგის „მიმდინარე“ ცხოვრებაში და გადავჭრათ აღნიშნული პრობლემა შეუძლებელია კონკრეტული ემპირული მასალის გარეშე. ამიტომ, საკითხის დამუშავებისას გამოვიყენეთ შესაბამისი მეთოდიკა და შევისწავლეთ შიდა ქართლის, მარტყოფის სტაციონარის მიმდებარე ტერიტორიის ყავისფერი ნიადაგების ქიმიური და ფიზიკური თვისებები, მათი წყლისა და ტემპერატურის რეჟიმი. შევისწავლეთ გეომასები - ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ელემენტარული სტრუქტურულ-ფუნქციონალური ნაწილები, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული მასით, სპეციფიკური ფუნქციონალური დანიშნულებით, ასევე ცვალებადობის სიჩქარით დროში და/ან გადაადგილებით დროში.

გეომასების კრებადობის და შეთანწყობის საფუძველზე ნიადაგში გამოიყოფა სპეციფიკური ფენები - გეოჰორიზონტები, რომლებიც განსხვავდება ნიადაგის გენეტიკური ჰორიზონტებისაგან.

გეოჰორიზონტების გარკვეული შეთანწყობის საფუძველზე გამოიყო სივრცე-დროითი სინთეზის ახალი ერთეულები, ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალური პროფილის მიწისქვეშა ნაწილის დღე-ღამური მდგომარეობები.

დღე-ღამური მდგომარეობის შერჩევასთან არის დაკავშირებული ეგრეთწოდებული „უკუ ამოცანა“. მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნიადაგის მდგომარეობის საფუძველზე მისი მახასიათებლები ანუ სტექსების საშუალებით განვსაზღვროთ ბტკ-ის მიწისქვეშა ნაწილის მდგომარეობები, შემდეგ კი მათი მახასიათებლები - ნიადაგის ტემპერატურა და სინოტივე.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ბტკ-ის ნიადაგის ბლოკის მიმდინარე ფუნქციონირების - ნიადაგის „მიმდინარე“ ცხოვრების შესახებ, დინამიური ლაბილური თვისებების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფაქტორების და პროცესების ერთობლიობის შედეგს, დაკვირვების მომენტში ან მასთან ახლოს.

ნიადაგში გეომასების კრებადობის და შეთანწყობის საფუძველზე გამოიყოფა სპეციფიკური ფენები - გეოჰორიზონტები. გეოჰორიზონტები გამოიყოფა არა ნიადაგის პროფილში, არამედ სტექსურ ფენაში - ნიადაგის პროფილის მიმდინარე ფუნქციონირების ზონაში. სპეციფიკური ფენები - გეოჰორიზონტები, არ ემთხვევა, განსხვავდება ნიადაგის გენეტიკური ჰორიზონტებისაგან.

გამოიყო ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალური პროფილის მიწისქვეშა ნაწილის დღე-ღამური მდგომარეობები.

შემუშავებულია ნიადაგის დინამიური მახასიათებლების ადვილი და საკმაოდ ზუსტი განსაზღვრის ეფექტური მეთოდი, როგორიცაა სინოტივე და ტემპერატურა. შეიქმნა ნიადაგებთან დაკავშირებით წარმოდგენა, როგორც ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის დინამიური ბლოკის შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

Маглакелидзе, Р. (2017). *Состояния почв и природно-территориальных комплексов: анализ связи.* Тбилиси: Универсал.

Таргульян, В. О., Роде, А. А., Дмитриев, Е. А., & Арманд, А. Д. (1976). Почва как компонент природных экосистем: изучение её истории, современной динамики и антропогенных изменений. В *Материалы Советского-Американского симпозиума по биосфер-заповедником.*

Урушадзе, Т., & Беручашвили, Н. (1978). Особенности изучения почв как компонентов горно-лесных биогеоценозов. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე., 91* (3).

Neli Goginashvili

Gori State Teaching University Professor

Robert Maghlakelidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE STUDY OF SOIL AS A PHYSICAL AND CHEMICAL LANDSCAPE COMPONENT IN RELATION WITH ECOLOGICAL FACTORS

RESUME

The work gives information on the important issues of soil, that have been developed, the soil as a dynamic block of natural and territorial complex, the ‘current’ life of the soil, which is a combination of factors and processes at the moment of observation or being close to it. Based on the congregation and combination of geomass, there are

certain layers - geohorizons. Geohorizons appear not in the soil profile, but in the current functional layer of the soil profile. Geohorizons do not coincide and they differ from genetic geohorizons. Day and night conditions of subsoil part of vertical profile of natural and territorial complex are noticed. An easy and rather accurate and effective method of defining the dynamic characteristics of soil are developed, for example, humidity and temperature.

Keywords: Soil, Landscape, Ecology, Natural-territorial complex.

ტრისტან გულბიანი, მერაბ მაისურაძე, ზვიად მიქაძე
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მწვრთნელის პედაგოგიური როლი სპორტსმენის მომზადებაში

საკვანძო სიტყვები: მწვრთნელი, სპორტსმენი, პედაგოგიკა, პიროვნული თვისებები, ზემოქმედება.

სპორტსმენის მომზადება, რომელიც მწვრთნელის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, რთული და ხანგრძლივი პროცესია. მომავალმა სპორტსმენმა სპორტულ ჩვევათა რთული კომპლექსი უნდა შეიძინოს, რომელიც ხანგრძლივ მომქანცველ შრომას მოითხოვს. ამ პროცესში სისტემატურად მონაწილეობს მწვრთნელი, რომელსაც ასევე მძიმე, დამქანცველი მუშაობის ჩატარება უწევს. აქ მწვრთნელი გამოდის როგორც მომავალი სპორტსმენის აღმზრდელი, პედაგოგი. მწვრთნელი არის პედაგოგი, აღსაზრდელს აძლევს გარკვეულ პროფესიას და, ამავე დროს, აქტიურად მონაწილეობს მისი პიროვნების ფორმირებაში.

მწვრთნელის მუშაობის პედაგოგიური ასპექტები რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა, თუ სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი ძირითადად მოსწავლის ფსიქიკურ (უპირატესად შემეცნებით) პროცესებს იყენებს, რათა მისცეს მას ცოდნა და აღუზარდოს დადებითი პიროვნული თვისებები, მწვრთნელმა უნდა გამოიყენოს არა მარტო აღსაზრდელის ფიზიკური ძალები, არამედ ფიზიკური შესაძლებლობებიც. ამ უკანასკნელთა სერიოზული განვითარების გზით შეიძლება სპორტულ ჩვევათა სრულყოფილად ჩამოყალიბება. ამიტომაა მწვრთნელის პედაგოგიური საქმიანობა ძნელი და რთული.

სამწუხაროდ სპორტის პედაგოგიკა ვერ დაიკვეხნის მსგავსი მიღწევებით. დღეს ჩვენ ამის შესაძლებლობა არა გვაქვს, რომ მწვრთნელებს მივაწოდოთ სანდო რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მათი, პედაგოგის, დამოკიდებულება აღსაზრდელისადმი, რა პედაგოგიური ხერხები გამოიყენოს თავის საქმიანობაში, როგორი მიდგომა განახორციელოს აღსაზრდელისადმი. აქ ლაპარაკია არა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მწვრთნელი მუშაობის სპეციფიკაზე, არამედ ამ ზოგადპედაგოგიურ პრინციპებზე, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს მწვრთნელსა და აღსაზრდელს შორის მათი ხანგრძლივი მუშაობის პროცესში.

მწვრთნელს აღსაზრდელთან მუშაობის ორი ასპექტი გააჩნია. ერთი წმინდა პედაგოგიური (პროფესიული) ზემოქმედება, სადაც მწვრთნელი გამოდის როგორც საქმის მცოდნე, რომელიც ფლობს სპორტულ ჩვევებს და გადასცემს (ასწავლის) მათ აღსაზრდელს. ამ პროცესში მან უნდა გამოიყენოს სწავლების მთელი რიგი პედაგოგიური ხერხები და საშუალებები, ეს მწვრთნელის მუშაობის წმინდა პედაგოგიური ასპექტია.

მეორე, მწვრთნელის პიროვნული თვისებების ზემოქმედება აღსაზრდელზე, ხანგრძლივი ერთობლივი მუშაობის პროცესში მწვრთნელსა და აღსაზრდელს შორის მყარდება პირადი ურთიერთობები. მწვრთნელი ჩამოყალიბებული პიროვნებაა. აღსაზრდელის პიროვნება ჯერ კიდევ ყალიბდება. მწვრთნელი, მართალია, არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც მონაწილეობს ამ პროცესში. ამ

ასპექტითაც ის პედაგოგია (აღმზრდელია). მწვრთნელსა და აღსაზრდელს შორის ურთიერთობა ყოველთვის არ არის იდეალური. მწვრთნელის ზოგიერთი პიროვნული თვისება შეიძლება ამძიმებდეს მათ პირად ურთიერთობას. ესეც გასარკვევია, რადგანაც ისიც ცნობილია, რომ მწვრთნელს შეუძლია თავიდან აიცილოს ზოგიერთი მათგანის ნეგატიური გავლენა მის პედაგოგიურ საქმიანობაზე

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმება კითხვა: როგორი უნდა იყოს მწვრთნელის დამოკიდებულება აღსაზრდელისადმი როგორც პროფესიული, ისე პიროვნული ასპექტები? ამის შესწავლის ორი გზა არსებობს. ერთია, პედაგოგიკაში აპრობირებული გზა - დაკვირვებით, პედაგოგიური ექსპერიმენტებით შესწავლა იმ ხერხებისა და მეთოდებისა, რომლებიც ყველაზე მეტ ეფექტს იძლევიან სამწვრთნელო მუშაობაში.

არის მეორე გზაც, რომელიც არ უპირისპირდება პირველს, არამედ ავსებს მის მონაცემებს. მისი არსი ისაა, შევისწავლოთ თვითონ აღსაზრდელების აზრი მწვრთნელის პედაგოგიური მუშაობის საქმიანობის შესახებ, გავიგოთ მათი აზრი, მწვრთნელის მიერ გამოყენებული პედაგოგიური ხერხებიდან რა მოსწონთ მათ და რა ახდენს მათზე უარყოფით გავლენას.

მწვრთნელი, ისე როგორც ნებისმიერი პედაგოგი, ახალგაზრდებისთვის მუშაობს და თუ მისი საქმიანობა არ მოსწონთ მის აღსაზრდელებს, შედეგიც არ იქნება სახარბიელო. ასეა ეს პედაგოგიური საქმიანობის ყველა სფეროში. წარმოვიდგინოთ, რომ სტუდენტმა ვერ გაიგო ლექტორის ლექცია ან დაიძაბა ურთიერთობა მათ შორის და ამიტომ აღსაზრდელმა აითვალწუნა მისი აღმზრდელი. რა მოჰყვება ამას? სტუდენტი არ უსმენს ლექტორს ან ზერელედ იღებს მიწოდებულ ინფორმაციას და არ ახდენს მის შემოქმედებით გადამუშავებას. ცხადია, ასეთი ლექცია მიზანს ვერ მიაღწევს.

ამ კონტექსტში ყველაზე ცუდი ისაა, რომ მეტწილ შემთხვევებში, პედაგოგმა არ იცის, რომ სწავლების მის მიერ გამოყენებული ხერხები მიზანს ვერ აღწევს. იხარჯება შრომა, მატერიალური რესურსები, შედეგი კი უმნიშვნელოა.

ამიტომ, გამოყენებული იქნა სტუდენტთა გამოკითხვა, რომელშიც აისახა სტუდენტთა აზრი „კარგი“ და „ცუდი“ ლექციების შესახებ. მათ შესაფასებლად ეძლეოდათ მრავალი მახასიათებელი და ბალური სისტემით აფასებდნენ თითოეულ მათგანს. შედეგად მიღებული ქულების რაოდენობით დადგინდა თუ ლექციების რომელი მახასიათებელი მოსწონდათ მათ მეტად და რომელი ნაკლებად. ამრიგად, ლექტორის პედაგოგიური მუშაობა ფასდება სტუდენტის პოზიციიდან.

ანალოგიური მდგომარეობაა სამწვრთნელო მუშაობაშიც. მწვრთნელი პედაგოგია და მისი მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ის საინტერესოდ, გასაგებად, მისთვის მისაწვდომ ფორმებში მიაწოდოს აღსაზრდელს ის სპორტული ჩვევები და ცოდნა, რომელთა დაუფლებაც არის გათვალისწინებული.

მწვრთნელს პედაგოგიური საქმიანობის მრავალი ასპექტი აქვს გასათვალისწინებელი: ახალგაზრდის ფსიქიკური და ფიზიკური მონაცემები, მისი პიროვნული თვისებები. ამათ უნდა დაეფუძნოს ის პედაგოგიური ხერხები, რომლებიც ჩვევების სწრაფად და მტკიცედ დაუფლებას შეუწყობენ ხელს.

პედაგოგიურ ოსტატობას ემატება მწვრთნელის პიროვნული თვისებები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ აღსაზრდელზე. შედეგი ისაა, რომ ამ უკანასკნელს მოეწონება (შეუყვარდება) თავისი მწვრთნელი ან ანტიპათიურად განეწყობა მის მიმართ. ესეც მნიშვნელოვნად განაპირობებს მწვრთნელის საქმიანობის ეფექტურობას.

დგება კითხვა - როგორ გავაკეთოთ ეს? როგორ გავიგოთ აღსაზრდელის აზრი მწვრთნელის მიერ გამოყენებული მეთოდების ავკარგიანობასა და მისი მოსაწონი თუ დასაწუნი პიროვნული თვისებების შესახებ? ერთი შეხედვით ძალიან ადვილი ჩანს. თვითონ სპორტსმენებს ვთხოვთ შეაფასონ მწვრთნელის მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, დაასახელონ პედაგოგის „დადებითი“ და „უარყოფითი“ თვისებები. მოკლედ, შევისწავლოთ მწვრთნელის საქმიანობა აღსაზრდელების პოზიციიდან, ისე როგორც ეს უმაღლესში ლექციური მუშაობის დროს გაკეთდა.

აღმოჩნდა, რომ ეს გზა არასწორია. როცა სცადეს უშუალოდ სტუდენტთა გამოკითხვით დაედგინათ ლექციის მათთვის მისაღები თუ დასაწუნი ნიშნები, რესპონდენტებმა ძლივს მოახერხეს 3-4 ნიშნის დასახელება და გაჩერდნენ. არადა, ლექციებს ძალიან ბევრი მახასიათებელი გააჩნია და საჭიროა ყველა მათგანის ღირებულების გარკვევა. მიზეზი ისაა, რომ ამ საკითხზე სტუდენტები მწირ ინფორმაციას ფლობენ, რომ მათ არავინ სთხოვს გაანალიზოს ლექციის შესაძლო მახასიათებლები და შეაფასოს ისინი მოწონება-დაწუნების ნიშნებით. ცხადია, უკეთესი მდგომარეობა არც აღსაზრდელის მიერ მწვრთნელის მუშაობისას იქნება. სპორტსმენები კიდევ უფრო ნაკლებად შეძლებენ გაანალიზონ წვრთნის ელემენტები და მისცენ მათ შეფასება, ვიდრე ამას უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები აკეთებენ.

ამ ძნელი მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი მოინახა. ჩამოწერეს ლექციის შესაძლო მახასიათებელი და სტუდენტებს მიაწოდეს შესაფასებლად. შეფასება ხდება ბალური სისტემით, აღმოჩნდა, რომ სტუდენტი პირდაპირი გამოკითხვის დროს 3-4 ნიშანს რომ ძლივს ასახელებდა, ახლა ლექციის ათობით მახასიათებელს აფასებდა. ამრიგად, ჩატარებული კვლევით უაღრესად საინტერესო შედეგები მიიღეს. მათ გამოავლინეს არა მხოლოდ ლექციის სტუდენტებისათვის ღირებული მახასიათებლები, არამედ მოახდინეს მათი რანჟირება მიღებული ბალების მიხედვით, გაირკვა ლექციის რომელი მახასიათებელია სტუდენტების მიერ ყველაზე დაფასებული და რომელი - ნაკლებად.

ვთვლით, რომ მწვრთნელის მუშაობა არის პედაგოგიური საქმიანობა და მასაც მრავალი მახასიათებელი გააჩნია. საეჭვოა ისინი ერთნაირად ფასობდეს აღმზრდელის თვალში, ასევე, მწვრთნელს, როგორც პიროვნებას, მრავალი თვისება აქვს, რომელსაც ერთნაირად დადებითად არ აღიქვამს აღმზრდელი. ჩვენ ვთვლით, რომ თუ სპორტსმენებს შევაფასებინებთ წვრთნის პროცესში გამოყენებულ სხვადასხვა პედაგოგიურ ხერხს და მწვრთნელთა პიროვნულ ნიშნებს, რომლებიც აღსაზრდელთან ურთიერთობებს არეგულირებენ, ბევრ საყურადღებო რამეს აღმოვაჩენთ. დარწმუნებული ვართ, რომ მიღებული შედეგები გამოადგებათ თვითონ მწვრთნელებს. თუ მათ ეცოდინებათ წვრთნის პროცესში მათ მიერ გამოყენებული ხერხებიდან და აღსაზრდელთან პიროვნული დამოკიდებულებებიდან რას აფასებენ ისინი მასში დადებითად და რას უარყოფითად, მაშინ შესაძლებლობა ექნებათ დაარეგულირონ მათი პედაგოგიური ქცევა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პედაგოგს შეუძლია როგორც მისი პედაგოგიური ხერხების არსენალის შევსება-გამდიდრება, ისეთებისგან გათავისუფლება, რომელიც დაბლა წევს მათი პედაგოგიური საქმიანობის ნაყოფიერებას.

განსაკუთრებული ნაყოფიერი უნდა იყოს ასეთი გამოკვლევების შედეგების გაცნობა და მათი გათვალისწინება ახალბედა მწვრთნელებისათვის, რომელთაც მუშაობის საკმარისი გამოცდილება არ გააჩნიათ და, თანაც, ჯერ კიდევ არ აქვთ დაფიქსირებული აღსაზრდელთა მიერ უარყოფითად შეფასებული წვრთნის მახასიათებლები.

ამრიგად, ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემა ასეთია: სპორტსმენების დიდი კონტინგენტის გამოკითხვით დავადგინოთ მწვრთნელის პედაგოგიური საქმიანობის როგორც მოსაწონი, ისე დასაწუნი მახასიათებლები. მათი ბალური სისტემით შეფასება რანჟირების შესაძლებლობას მოგვცემს და დავადგენთ მათ შორის ყველაზე ღირებულ და ყველაზე დასაწუნ მახასიათებლებს. აქ შედის მწვრთნელის ოსტატობა, პედაგოგიური ტაქტი და პიროვნული ნიშნები. მიღებული შედეგები შეიძლება რეკომენდებული იქნეს მწვრთნელებისათვის მათი პედაგოგიური საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ისმება კითხვა - ასეთი კვლევისათვის კონკრეტულად როგორი მეთოდი შეიძლება შემუშავდეს? აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ურთიერთობის აღმზრდელის პოზიციიდან შესწავლის მნიშვნელობა პედაგოგიკამ გვიან გაიცნობიერა. ამ საკითხის შესწავლისადმი მიძღვნილი პირველი შრომები რამდენიმე ათეული წლის წინ გამოქვეყნდა. ამ მიმართულებით სამი წლის განმავლობაში ოთხი შრომა გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ბ. კუპერი, და რ. ფოიე, 1967, ე. სპეიტსი 1967, დ. მუზელა და რ. რაში 1968, ა. სმიდერსი 1970).

თავდაპირველად, მათ სტუდენტთა უშუალო გამოკითხვით სცადეს დაედგინათ თუ როგორი ლექციები მოსწონდათ სტუდენტებს. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. გამოკითხულები ლექციის მხოლოდ რამდენიმე ნიშანს ახასიათებდნენ და მერე ჩერდებოდნენ. ამიტომ, ავტორებმა ასეთ ხერხს მიმართეს - თვითონ ჩამოწერეს ლექციების ყველა შესაძლო მახასიათებელი და ისინი მიაწოდეს სტუდენტებს შესაფასებლად ბალური სისტემით. მაგალითისთვის დავასახელებთ მათ მიერ შერჩეულ ზოგიერთ მახასიათებელს: სტუდენტს მასალა მიეწოდება ნათლად და გასაგებად, ლექტორი მეტყველებს ხმამაღლა და გასაგებად, მეტყველებს გამართული ენით, ყურადღებას აქცევს, გაიგო თუ არა სტუდენტმა ლექტორის ნათქვამი, იცავს მეტყველების ზომიერ ტემპს, ლექციებში ის ერთ მასალას ჩართავს, რომელსაც სახელმძღვანელოში ვერ იპოვი და მრავალი სხვა.

რამდენადაც ჩვენ მწვრთნელსა და აღსაზრდელს შორის ურთიერთობის პრობლემით დავინტერესდით, კვლევის ამ მეთოდს მივმართეთ. საკვლევ პრობლემატიკაში ჩვენ ორი სიახლე შევიტანათ. ჯერ ერთი მკვლევრებმა შეისწავლეს ლექციების დადებითი მახასიათებლები, მათი მეტ-ნაკლები ღირებულების თვალსაზრისით. ჩვენ კი გადავწყვიტეთ დავადგინოთ არა მხოლოდ ის, თუ რა მოსწონს აღსაზრდელს მწვრთნელის პედაგოგიურ საქმიანობაში, არამედ ისიც, რაც მას არ მოსწონს, რის მიმართაც ის ანტიპათიურადაა განწყობილი. ამიტომ შესაფასებლად შერჩეულ მახასიათებლებში დადებითებთან ერთად უარყოფითებიც შევიტანეთ, მაგალითად „გვიხსნის გასაგებად“, „გვიხსნის ბუნდოვნად“ და ა. შ.

მეორე სიახლე, ჩვენ რომ საკვლევ პრობლემატიკაში შევიტანეთ, შემდეგშია - მწვრთნელი აღმზრდელია არა მხოლოდ თავისი პედაგოგიური საქმიანობით, არამედ მისი პიროვნული თვისებებითაც. ისინი ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში გავლენას ახდენენ აღსაზრდელზე და ხელს

უწყობენ მისი პიროვნების ფორმირებას. ამასთან მწვრთნელს, როგორც ადამიანს, შეიძლება უარყოფითი პიროვნული თვისებებიც ჰქონდეს. ამიტომ მეთოდში შევიტანეთ ადამიანის ბევრი შესაძლო პიროვნული თვისება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

კვლევის მეთოდი ასე შევადგინეთ. რამდენიმე კომპეტენტურ სპეციალისტთან ერთად ჩამოვწერეთ მწვრთნელის საქმიანობისა და მისი პიროვნული თვისებების რვა ათეულზე მეტი მახასიათებელი. ამის შემდეგ ჩავატარეთ მათი აპრობაცია. სპორტსმენთა გარკვეულმა რაოდენობამ აღნიშნული მახასიათებლები შეაფასა სამბალიანი სისტემით. მათ ეძლეოდათ ინსტრუქცია - შეეფასებინათ ნიშნები იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისინი სამწვრთნელო მუშაობისათვის, სულ ერთია დადებით როლს ასრულებენ თუ უარყოფითს. თუ რომელიმე მახასიათებელს ამ ასპექტით არავითარი ღირებულება არ ჰქონდა, მას ეწერება ნული ბალი. ამის შემდეგ ნაკლებად მნიშვნელოვან მახასიათებელს უწერდნენ 1-ს, უფრო მნიშვნელოვანს - 2-ს, ხოლო ყველაზე ღირებულს - 3-ს, ნული ბალით შეფასებული მახასიათებლები ამოვიღეთ და დანარჩენებისგან შევადგინეთ გამოსაკითხი ანკეტა.

გამოკითხვა იწყებოდა ინსტრუქციის გაცნობით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყველა მათგანს ჰყავს მწვრთნელი. ზოგს რამდენიმე მწვრთნელის ხელშიც გაუვლია. მწვრთნელი პედაგოგია და იყენებს წვრთნის გარკვეულ ხერხებს, რომელთაგან თქვენ ზოგი მოგწონთ (მოგწონდათ), ზოგი კი - არა. ჩვენ თქვენგან გვინდა მივიღოთ ინფორმაცია წვრთნის პროცესისა და მწვრთნელი პიროვნების დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების შესახებ. აქ ლაპარაკია არა კონკრეტულ მწვრთნელზე, არამედ წვრთნის პროცესში გამოყენებული კონკრეტული ხერხების მოწონება-დაწუნებაზე (ცხადია, თქვენი აზრით).

თქვენს წინაა ანკეტები მწვრთნელის პედაგოგიური საქმიანობისა და მისი პიროვნული ნიშნების ჩამონათვალით. თქვენ ეს მახასიათებლები უნდა შეაფასოთ 7 ბალიანი სისტემით. რაკი არ ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ რესპონდენტები კარგად გაერკვეოდნენ წვრთნისა და მწვრთნელის პიროვნული ნიშნების ნიუანსებში, ჩვენ ვკითხულობდით პირველ ნიშანს და დეტალურად ვუხსნიდით, თუ რას ვგულისხმობდით მასში. შემდეგ გადავდიოდით მეორე მახასიათებელზე და აქაც იგივე პროცედურას ვატარებდით. ამგვარად, ჩავდიოდით ბოლომდე. მახასიათებლების განმარტების დროს ჩვენ არ გამოვხატავდით მათდამი ჩვენს დამოკიდებულებას.

გამოკითხვა ტარდებოდა რესპონდენტთა პატარ-პატარა ჯგუფებზე ისე, რომ გამოსაკითხ პირთაგან არცერთს არ ჰქონდა შესაძლებლობა ჩაეხედა დანარჩენების ნამუშევრებში

მიღებული მასალა დამუშავდა. ყოველი მახასიათებლის მიერ მიღებული ბალების დათვლის შემდეგ მოხდა მათი რანჟირება და გამოიკვეთა მწვრთნელის პედაგოგიური საქმიანობისათვის როგორც ღირებული, ისე უარყოფითი მახასიათებლები. ჩვენ ვთვლით, რომ მათი ცოდნა სასარგებლო იქნება ნებისმიერი მწვრთნელისათვის.

ბიბლიოგრაფია:

Bannister, R. (1989). Special presentation. Health, fitness, and sport. *The American Journal of Clinical Nutrition, 49* (5).

Апанасенко, Г. Л. (1985). Физическое развитие детей и подростков. *Здоровье*, 80.

Аршавский, И. А. (1982). *Физиологические механизмы и закономерности индивидуального развития: основы негэнтропийной теории онтогенеза.* Москва: Наука.

Бахрах, И. И., & Дорохов, Р. Н. (1980). Исследование и оценка физического развития детей и подростков. В *Детская спортивная медицина.*

Tristan Gulbiani, Merab Maisuradze, Zviad Mikadze

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

PEDAGOGICAL ROLE OF A TRAINER IN TRAINING AN ATHLETE

RESUME

The work deals with an original, unstudied prodlems of the sport Pedagogics.

The pedagogic aspests of activity of a moden trainer age more diverse and complicate than the activity of a school or institute teacher, because the trainer in his work employs not only the trainer's functions, but those which are characterized by their pedagogical rofessional aspect as well.

The author suggests a method of many – sided study of relations between the pedagogue-trainer and his pupils. The results of pilot research seem to be very interesting.

Keywords: Trainer, Athlete, Pedagogy, Personal qualities, Impact.

ტრისტან გულბიანი, მერაბ მაისურაძე, ზვიად მიქაძე
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური შრომისუნარიანობის ჩამოყალიბების ასაკობრივი თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: სასკოლო ასაკი, ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარება, კარდიორესპირატორული, გულის ინდექსი.

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის პრაქტიკული საქმიანობის მეცნიერებასთან შეკავშირება. პედაგოგიკაში, ფიზიოლოგიაში, სპორტული მედიცინის დარგში უკანასკნელი წლების მიღწევები, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტის განვითარებაზე, აფართოებენ ფიზიკური მომზადებულობის სხვადასხვაგვარი საშუალებების ასაკის, სქესის, პროფესიების მიხედვით, განამტკიცებენ საზოგადოების ჯანმრთელობას, ხელს უწყობენ ავადმყოფობის შემცირებას.

მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების სრულყოფის ეფექტურობის შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს. სპეციალურად ორგანიზებული მოძრაობითი აქტიურობის რეჟიმისა (კუნთოვანი დატვირთვების ინტენსივობა და ხანგრძლივობა, მეცადინეობის სიხშირე, დასვენების ხანგრძლივობა და სხვ.) და ადრეული ინტოგენეზის დროს ფუნქციონალური მეტაბოლური სისტემების უზრუნველსაყოფად (ისეთი ფიზიკური თვისებების გამოვლინების, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა) ბიოლოგიურ კანონზომიერებათა ძირითადი პარამეტრების სრულ შესაძლებლობაში აყვანა. ამ მიმართულებით, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა შიდა სტრუქტურის, სუბიექტური სიმძლავრის ხანგრძლივ მუშაობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან მის საფუძველს კარდიორესპირატორული სისტემა წარმოადგენს.

ჟანგბადის მოხმარების მაქსიმალური სიჩქარე, როგორც კარდიორესპირატორული მწარმოებლობის ინტეგრალური გამოვლენა 6 წლის ასაკში შეადგენს რა 0,93± 0,02 ლ/წ., ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად მკვეთრად მატულობს, მაგალითად, თუ 7 წლის ასაკში იგი საშუალოდ, ჯერ მხოლოდ 9%-ით გაიზარდა, 8 წლის ასაკში 46%-ით, ხოლო 9 წლის ასაკში 95%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჟმმ-ის აბსოლუტური სიდიდეების ცვლილებები სავსებით უტყუარია.

მაქსიმალური აერობული სიმძლავრის ხვედრითი სიდიდეები, ე.ი. ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარების სიდიდეები, ადრეული სხეულის მასასთან მთლიანად ასახავენ კარდიორესპირატორული მწარმოებლობის ასაკობრივ ზრდას. მასთან, ხვედრითი ჟმმ-ის ნამატის ოდენობა უმცროს მოსწავლეთა ასაკის მიხედვით, არსებითად დაბალია მის აბსოლუტურ სიდიდეზე უფრო მეტიც, 7 წლის ბავშვების ხვედრითი ჟმმ მოხმარება რამდენჯერმე დაბალია 6 წლის ბავშვების საშუალო სიდიდეზე. ეს აიხსნება სხეულის მასის უტყუარი განსხვავებით, ვინაიდან 7 წლის ბავშვი 6 წლიანზე მძიმეა, საშუალოდ 7%-ით, მაგრამ უკვე 8 წლის ასაკში ხვედრითი აერობული სიმძლავრე აღემატება 6 წლიანთა საშუალო სიდიდეებს 26%-ით, 9 წლიანებში კი 34%-ით.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა კარდიორესპირატორული მწარმოებლობის, როგორც აბსოლუტური, ასევე ხვედრითი სიდიდეების ასაკობრივი ევოლუციის აღნიშნული ტემპები საშუალებას იძლევიან მთლიანად ავხსნათ ჩვენს მიერ მოყვანილი ენერგოხარჯვების დინამიკა აერობული წყაროებიდან, კუნთის მუშაობის ინტენსიურობით. კუნთის ინტენსიური მუშაობა ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარების დონეზე დადგენილია, რომ 6 წლის ასაკში, ჟმმ-ს რეჟიმით კუნთის მუშაობისას, აერობული ენერგოხარჯვები შეადგენენ 11,31+_0,52კ.კალ. რხევის ზღვარი 7-დან 15კალ-მდე. 7 წლის ასაკში მათი სიდიდე 48%- მდე იზრდება, 8 წლისას უკვე 169%-მდე, ხოლო 9 წლისას აერობული ენერგოხარჯვები ჟმმ-ს დონეზე აჭარბებენ ექვსწლიანებისათვის დამახასიათებელ სიდიდეს 600%-ით, რაც შეეხება აერობული ენერგოხარჯვების ხვედრითი სიდიდეებს, კუნთური მუშაობისას ჟანგბადის მოხმარების მაქსიმალური სიჩქარის მიღწევის მომენტში, 6 წლის ასაკში იგი 49+_ კალ./-ს აღწევს და 7 წლის ასაკში საშუალოდ 3%-ით მატულობს, 8 წლისას - 123%-ით და 9 წლის ასაკში აღწევს 395%, რაც უმცროსი სასკოლო ასაკისთვის მაქსიმუმს წარმოადგენს.

იმის გამო, რომ უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა მიერ ჟმმ-ს მიღწევის მომენტში რა ოდენობისაა ხვედრითი აერობული ენერგოხარჯვები, მართებული

იქნებოდა მოგვეყვანა მათი მაქსიმალური ოდენობები წლების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ 6 წლის ბავშვებთან (664 კალ./კგ) შედარებით, ჟმმ-ს დროს აერობული წყაროებიდან 7 წლიანთა უმეტესი ენერგოხარჯვაა - 970კალ/კგ, 8 წლიანების 2382 კალ/კგ, 9 წლიანებისა კი - 3580 კალ./კგ.

ცნობილია, რომ დაძაბული კუნთოვანი მუშაობის დროს ენერგოპროდუქციის აერობული სისტემის სიმძლავრის ფაქტორის ფორმირებაში მთავარ როლს სისხლის მიმოქცევის ინტენსიურობა ასრულებს, რაც უფრო მატულობს უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ჟანგბადის მოხმარება წლების მიხედვით, ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვასთან ერთად აღენიშნება გულის დებიტის გამოკვეთილი ზრდა მასში შემავალი მაჩვენებლების მიხედვით. პირველ რიგში ეს ეხება გულის მწარმოებლობას, რომელიც აიხსნება გულის ცემის მაქსიმალურ სიდიდეებში. თუ 6 წლის ბავშვთა დაძაბული კუნთოვანი მუშაობისას მისმა მაქსიმალურმა ოდენობამ 6,6+_0,25 ლ/წმ-ში მიაღწია მერყეობის ზღვარით 3,6-დან 8,8 ლ/წმ 7 წლის ასაკში ეს მონაცემი 10%-ით გაიზარდა, 8 წლისას - 43%-ით 9 წლისაში კი უკვე 92%-ით, ამავე პირობებში 6 წლიანების საშუალო სიდიდეებთან შედარებით.

ხვედრითი სიდიდეების ასაკობრივი ევოლუციის განხილვისას მაქსიმალური გულის ინდექსის სახით იპყრობს ყურადღებას, უმცროსი სასკოლო ასაკის ვაჟთა ასეთივე დინამიკა სიცოცხლის წლების მიხედვით, თუმცა გულის ინდექსის ნამატის დინამიკა არსებითად ჩამორჩება გულის წუთიერ მოცულობას, მაგ, 7 წლის ასაკში გულის ინდექსის მატება 6 წლიანებთან შედარებით მხოლოდ 4%-ს შეადგენს, 8 წლისას ეს მაჩვენებელი 27%-ს შეადგენს, ხოლო 9 წლის ასაკში 51%-ს აღწევს. ამასთან უნდა აღინიშნოს გულის ინდექსის მაქსიმალურ - ინდივიდუალურ სიდიდეთა არსებითი ასაკობრივი სხვაობანი, წარმოქმნილი დაძაბული კუნთოვანი მუშაობისას. ჩვენი მონაცემების თანახმად, 6 წლის ასაკში მან შეიძლება მიაღწიოს 8,6 ლ/წთ.მ, 7 წლისას 8,9 ლ/წთ.მ-2, 8 წლიანებში გულის ინდექსის მაქსიმალიზაცია 12 ლ/ წთ.მ-2 -ს აღწევს, ხოლო 9 წლიანებში 13,5 ლ/წთ,მ-2

პრინციპულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2-9 წლის ბავშვთა სისხლი მიმოქცევის ასაკობრივი ინტენსიფიკაციის მექანიზმების ანალიზს სიმძლავრის მიხედვით მძლავრი კუნთოვანი მუშაობის დროს. შედარებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, ასაკთან ერთად გულის დებიტის ზრდა დაძაბული კუნთოვანი მუშაობის დროს უზრუნველყოფა სისტოლური ცემისა და ქრონოტროპული რეზერვის არათანაბარი წვლილით, ასე მაგალითად, ზემოთ აღნიშნულთა 7 წლიანთა ზრდა 6 წლიანების გულის ცემასთან და გულის ინდექსთან შედარებით უფრო მეტად დამოკიდებულია სისხლის დარტყმითი მოცულობის ვიდრე გულის შეკუმშვის სიხშირეზე. ეს კანონზომიერება უფრო მეტად გამოვლინდება, შესაბამისად 8 და განსაკუთრებით 9 წლის ასაკში. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ დადგენილი, მათი სისხლის დარტყმითი მოცულობა, შესაბამისად 42 და 82 პროცენტზე. ამავე დროს ამავე ასაკობრივი ჯგუფების ბავშვთა ქრონოტროპული რეზერვის მატება დაძაბული კუნთოვანი მუშაობის დროს შეადგენს მხოლოდ 14 და 18 პროცენტს.

რაც შეეხება სისტოლური ცემის ხვედრითი სიდიდეების ან დარტყმითი ინდექსის ევოლუციას, 7 წლიანთა ნამატი მხოლოდ 2%-ს აღწევს, 8 და 9 წლის ასაკში კი, შესაბამისად, 26 და 46 პროცენტს. დაძაბული კუნთოვანი მუშაობის მეტაბოლური უზრუნველყოფისათვის გულის მოქმედების დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს მარცხენა პარკუჭის ჟანგბადოვანი მოთხოვნილების ასაკობრივი დინამიკა მაქსიმალური სიჩქარით ჟანგბადის მოხმარებისას.

ბიბლიოგრაფია:

Bannister, R. (1989). Special presentation. Health, fitness, and sport. *The American Journal of Clinical Nutrition, 49* (5).

Апанасенко, Г. Л. (1985). Физическое развитие детей и подростков. *Здоровье*, 80.

Аршавский, И. А. (1982). *Физиологические механизмы и закономерности индивидуального развития: основы негэнтропийной теории онтогенеза.* Москва: Наука.

Бахрах, И. И., & Дорохов, Р. Н. (1980). Исследование и оценка физического развития детей и подростков. В *Детская спортивная медицина.*

Tristan Gulbiani, Merab Maisuradze, Zviad Mikadze
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

AGE CHARACTERISTICS OF FORMING PHYSICAL LABOR SKILLS OF YOUNGER STUDENTS

RESUME

In the previous work the process of organism development in young children as a result of physical exercises is considered. The article uses the information obtained as a result of modern research. This information shows what changes in physiological processes we encounter in the development of certain physical properties.

Keywords: School age, Maximum oxygen consumption, Cardiorespiratory, Cardiac index.

ალექსანდრე იაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მამია ტულუში, ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საჯარო სკოლებში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სწავლების ხელშემწყობი პირობები

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური დატვირთვა, ფიზიკური მომზადება, სასკოლო ასაკი, ხერხემლის გამრუდება, ჯდომა და სიარული, სპორტული ინვენტარი.

მოძრაობითი აქტივობა ხელს უწყობს არა მარტო ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარებას, ასევე ამაღლებს შემეცნების, აღქმის, წარმოდგენების, განსჯისა და სხვა ინტელექტუალურ პროცესებს. ფიზიკური აქტივობით ვაღწევთ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური მხარეების (სფეროების) განვითარების ერთიანობას და ჰარმონიას.

ფიზიკური აქტივობა უნდა გავიგოთ არა როგორც მოძრაობა მოქმედებისათვის, არამედ როგორც შეგნებული, მიზანდასახული პედაგოგიური პროცესი, რომელშიც შერწყმული იქნება ზნეობრივი, გონებრივი, ესთეტიკური, შრომითი აღზრდის კომპლექსური განვითარება. ფიზიკური აღზრდის პროცესში მოსწავლე იძენს სპეციალურ ცოდნას, განსჯისა და ანალიზის, შეძენილი მოძრაობითი გამოცდილების კრიტიკულად შეფასების და სპორტში მათი გონივრულად გამოყენების უნარებს.

განვითარებულმა ტექნოლოგიებმა და ნაკლებმა ფიზიკურმა აქტივობამ განაპირობა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის სხეულის მასის თვალსაჩინოდ მომატება. ადამიანს ავიწყდება, რომ მისი ყოველდღიური ულუფა შეიცავს ცილეულით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებით, მინერალური მარილებით და წყლებით გამდიდრებული საკვებს. ამ ფონზე პიროვნება ეწევა მეტად არასაკმარის კუნთურ მუშაობას. ამგვარად, თანამედროვე ცხოვრების პირობები ზღუდავს ადამიანის ფიზიკურ აქტივობას, მას დღის განმავლობაში ნაკლები მოძრაობა უხდება. ქალაქში მცხოვრებთა უმეტესობა ტრანსპორტით სარგებლობს, სახლში ლიფტს იყენებს; წარმოებაში ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეამცირა მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკური დატვირთვა; ნაკლები ფიზიკური ენერგიის დახარჯვა უხდება სოფლად მცხოვრებსაც, რადგან მექანიზაციამ იქაც გაათავისუფლა ისინი მძიმე დატვირთვებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად გადაჭარბებული შრომა არ ითვლება ნორმალურ ფიზიკურ აქტივობად და ხშირად უკუეფექტს იძლევა.

რაც შეეხება საკვებს, მისი არანორმირებული მიღება აქვეითებს ადამიანის არა მარტო შრომისუნარიანობას, არამედ მნიშვნელოვნად უმოკლებს მას სიცოცხლეს. არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ის, რომ მხოლოდ მკაცრი დიეტით ვებრძოლოთ სიმსუქნეს და ჭარბწონიანობას. აღნიშნული გართულებების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ფიზიკურ დატვირთვას ენიჭება, თუ იგი, რასაკვირველია რაციონალურად და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით იქნება გამოყენებული.

ზნეობრივი ნორმების ფორმირება ფიზიკური აღზრდის პროცესში ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ქმედებაა, ხოლო დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლის აღზრდა წარმოუდგენელია ამ თვისებათა გარეშე. სხეულის გაკაჟება, ჯანმრთელობის განმტკიცება, ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციათა როლის სრულყოფა, თავის მხრივ, მოძრაობითი მოქმედებების ამაღლების საფუძველია. ეს ფაქტორები იწვევენ ფიზიკური მხარეების სილამაზისადმი მისწრაფებას, ვარჯიშობისადმი შეგნებულ და სწორ დამოკიდებულებას, საკუთარი ძალების მიზანშეწონილად და სრულყოფილად მართვის ინტერესს, სხეულის ფორმისა და ფუნქციების ჰარმონიულ განვითარებას. აქ იკვეთება ფიზიკური აქტივობის ესთეტიკური ფუნქცია.

ესთეტიკური გემოვნების, იდეალების, შეხედულებების, სილამაზის, ახლის ძიებისაკენ მისწრაფების გამომუშავება ფიზიკურ აღზრდაში ხორციელდება ობიექტურად, ხოლო ზოგჯერ ყურადღების საგანგებოდ გამახვილების გარეშეც. ხშირია შემთხვევები, როცა ფიზიკური აღზრდის უშუალო ამოცანა უკანა პლანზე გადაინაცვლებს, ზნეობრივი და ესთეტიკური ამოცანები - წინა პლანზე. ასეთი დანიშნულების მეცადინეობები განსაკუთრებით საჭიროა მოზარდთა ფიზიკური აღზრდის პროცესში, თუმცა იგი არც უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვისაა ზედმეტი.

საქმიანობის არცერთ სფეროში არ სჭირდება ადამიანს საკუთარი მოძრაობების აღქმის ისეთი ზუსტი გაკონტროლება, როგორც ფიზიკური აღზრდის პროცესში. მოსწავლეს (მოვარჯიშეს) უხდება იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობაშია მისი სხეული, რა მიმართულებით და რა ფორმით მოძრაობს იგი, როგორია მოძრაობითი მოქმედებების ტრაექტორია, აჩქარება, რიტმი, ტემპი და ა.შ.

სხეულის მოძრაობის და გარე საგნების აღქმაში შეგრძნების მრავალი ორგანო მონაწილეობს. წამყვანი ამ შემთხვევაში არის ***მხედველობა.*** საკუთარი სხეულის აღქმისას წინა პლანზე კუნთურ-კინესთეტიკური, შეხებისა და ვესტიბულარული შეგრძნებები გამოდიან. გავარჯიშების კვალობაზე ამ გზით მიღებული ინფორმაცია სულ უფრო და უფრო ზუსტი ხდება.

აქტიური აღქმის უმაღლესი სახეა ***დაკვირვება***, რომლის აღმოცენება და შინაარსი პიროვნების განზრახვაზეა დამოკიდებული. ფიზიკური აღზრდის პროცესში დაკვირვების, როგორც სპეციალიზებული აღქმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი სპეციალური სწავლების შედეგად შეძენილი თვისებაა. სწორად გააზრებული მოძრაობითი მოქმედებების სწავლების და შესაბამისი ტექნიკის დაუფლების უკეთ წარმართვისათვის სასკოლო ასაკი ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია. მოსწავლეებში მოძრაობითი ანალიზატორის ინტენსიური განვითარება აადვილებს მათში მოძრაობითი შემძლეობა-ჩვევების ჩამოყალიბებას.

სასკოლო ასაკში ფიზიკური ვარჯიშების სწავლებისას პედაგოგი ხელმძღვანელობს იმ მოთხოვნებით, რომლებიც გამომდინარეობენ სწავლების ზოგადპედაგოგიური პრინციპებიდან, როგორიცაა: შეგნებულობის და აქტიურობის, თვალსაჩინოების, მისაწვდომობისა და ინდივიდუალიზაციის, სისტემატურობის და მოთხოვნათა თანდათანობით ზრდის პრინციპები. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპები არახალია, მათ სრულიად ახლებურად უდგებიან მასწავლებლები და განსხვავებულად იყენებენ თანამედროვე მოსწავლე-ახალგაზრდებთან სასწავლო პროცესის პოზიტიურ მართვასა და მზადებაში. ეროვნული სასწავლო გეგმებიდან გამომდინარე ისინი მუდმივად გადიან განვითარებას და შესაბამისად იკვეთება განსხვავებული მიდგომები. სწავლების ხელშემწყობი პირობებიდან მეტად მნიშვნელოვანია მოზარდი თაობის საშუალო სასკოლო ასაკის (გარდამავალი) სწორი და მართებული გააზრება.

საშუალო სასკოლო ასაკს, რომელიც სქესობრივი მომწიფების გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ასაკი ხშირად ართულებს სოციალურ გარემოსთან მოზარდის შეგუებას, რითაც მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ბევრჯერ მრავალი პრობლემების წინაშე აყენებს. ბოლო ხანებში მოიმატა ამ ასაკის ახალგაზრდებში სუიციდმა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გარდამავალი ასაკის სირთულესა და პრობლემატურობაზე.

საშუალო სასკოლო (გარდამავალი) ასაკი დაახლოებით 10-10,5 წლიდან იწყება და 15-16 წელს მთავრდება. ყველა მოზარდი ერთი ხნისა არ შედის ამ ასაკში, ზოგს დაგვიანება ემჩნევა, ზოგს კი - აჩქარება. ამ ასაკის მიმდინარეობაზე დიდ გავლენას ახდენს კლიმატური პირობები. როგორც პროფ. შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, სახელწოდება „გარდამავალი ასაკი“ ფიზიკური განვითარების ერთ მიმართულებასთან - ბიოლოგიურ ანუ სქესობრივ მომწიფებასთანაა დაკავშირებული. იგი მიუთითებს,

რომ ამ სახელწოდებით აღნიშნული პერიოდი ბიოლოგიური ბავშვობიდან ბიოლოგიურ მოწიფულობაში გარდამავალი პერიოდია.

11-12 წლიდან შესამჩნევად ვითარდება და მაგრდება კუნთები, რის გამოც მოზარდს ხშირად გადაჭარბებული წარმოდგენა ექმნება საკუთარ ძალებზე. რიგ შემთხვევაში ბავშვი ისეთი ფიზიკური წინააღმდეგობის დაძლევას ცდილობს, რისთვისაც საჭირო ძალები მას არ გააჩნია. გარდამავალ ასაკში, უფრო მეტად მის მეორე ნახევარში, მოზარდის ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემები იმდენად მომაგრებულია, რომ შეიძლება ბავშვის შრომით საქმიანობაში ჩაბმა, მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ ასაკის თავისებურებანი და მოზარდს ავარიდოთ მეტისმეტი ფიზიკური გადატვირთვა, რასაც მოქმედების (ემოციებით) დროს იგი ვერც კი ამჩნევს.

ასაკობრივი თავისებურებების შესწავლა და გამოვლენა საჭიროა სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების განვითარების სწორი მეთოდიკის შერჩევა-გამოყენებისათვის. რამდენადაც მეტ მოქმედებებს ასრულებს იგი, იმდენად ფართო დიაპაზონით ფორმირდება დროებითი კავშირები მოძრაობით და სხვა ანალიზატორებს შორის. ამიტომაც ბუნებრივია, ფიზიკური აღზრდის პროცესში ჩაბმული ბავშვების ფიზიკურ თვისებათა განვითარების დონე თვალსაჩინოდ სჭარბობს იმ თანატოლებისას, რომლებიც ფიზიკურ აღზრდაში მხოლოდ პასიური აკადემიური მეცადინეობებით და იშვიათი ყოფითი მოქმედება-თამაშობებით იფარგლებიან.

ფიზიკურმა აღზრდამ, როგორც სასწავლო საგანმა, პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს საგანმანათლებლო ამოცანები, რაც დაკავშირებულია სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასთან. სკოლაში ფიზიკური აღზრდის ფუნქციაა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის კონკრეტულ ამოცანათა გადაჭრა და ფიზიკური თვისებების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება; ასევე, მოსწავლეთა ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის ამოცანების გადაწყვეტა და ა.შ.

საქართველოს კანონი განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ სასწავლო დაწესებულებების უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვას და განმტკიცებას, ფიზიკური აღზრდის სრულყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრების ამაღლებას, თავისუფალი დროის გამოყენების პრობლემის გადაწყვეტას და სხვ. ეს ამოცანები ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში, როგორიცაა - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები, შიდა სასკოლო შეჯიბრებები, საქალაქო, რეგიონული და ქვეყნის მასშტაბის შეჯიბრებები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ორგანიზაციის მეთოდებს, რასაც მასწავლებელი იყენებს მეცადინეობების ჩატარების პროცესში. ესენია: ფრონტალური, ჯგუფური, ინდივიდუალური და წრიული წვრთნის მეთოდები. ამ მეთოდთა სხვადასხვაგვარი შეხამება ქმნის მომეცადინეთა ორგანიზაციის კომბინირებულ საშუალებებს, რომლებიც ბევრად უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარების საშუალებას იძლევა.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე ფიზიკური დატვირთვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მომეცადინეთა ორგანიზმის ყველა სისტემასა და ფუნქციაზე. მრავალფეროვანი მოძრაობითი მოქმედებანი სპორტის ცალკეული სახეობებიდან, მნიშვნელოვნად ააქტიურებს გულისა და სასუნთქი სისტემის მუშაობას (მაგალითად, რბენები, ხტომები, ტყორცნები, მოძრავი და სპორტული თამაშები და სხვ.).

ფიზიკურმა დატვირთვამ მოსწავლეთა ორგანიზმზე მრავალმხრივი დადებითი გავლენა რომ მოახდინოს, პედაგოგი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს დატვირთვის განსაზღვრას, მის რეგულირებას, რადგან ძირითადად მასზეა დამოკიდებული ფიზიკური ვარჯიშებით გამოწვეული შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სუფთა ჰაერზე (ბუნების წიაღში) სიარულს. გაკვეთილი არ უნდა ტარდებოდეს ერთფეროვნად, ტრაფარეტულად, ერთი და იმავე მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით, რაც იწვევს მოსწავლეთა აქტიურობისა და მეცადინეობისადმი ინტერესის დაკარგვას და გამოუსწორებელ დარღვევებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში.

ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობები შესანიშნავი საშუალებაა აცილებულ იქნეს ხერხემლის გამრუდება (სკოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი), რომლის დროსაც მოსალოდნელია ფილტვების, გულის და ორგანიზმის სხვა ორგანოების ფუნქციათა დარღვევა. სათანადო ფიზიკური ვარჯიშებით სისტემატური მეცადინეობებისას შეიძლება დარღვევების თავიდან აცილება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები და მშობლები უნდა აკონტროლებდნენ, რომ მოსწავლეებს ჯდომისა და სიარულის დროს ხერხემალი სწორ მდგომარეობაში ჰქონდეთ. ბავშვებს უნდა ეძინოთ სწორ, მაგარ საწოლზე. გამართული წარმოსადეგობა სხეულის ისეთი ჩვეულებრივი მდგომარეობაა, როცა თავი

პირდაპირ გვიჭირავს, მხრები გაშლილი გვაქვს, მკერდი - გამოწეული, მუცელი - შეწეული, ფეხები გამართული, ტანდეგობა კი - საერთო სიმხნევის გამომხატველი.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მასობრივად ჩაბმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია სკოლების სპორტული ბაზებითა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის ნაკლებობა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდ კონტინგენტიან სკოლებში არასაკმარისია ერთი დარბაზის არსებობა, უმრავლესობას არ აქვთ გასახდელები, ხოლო საშხაპე თითქმის არცერთ სკოლაში არ ფუნქციონირებს. მოსწავლეთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის შემაფერხებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია - კადრები. ამ საგნის სწავლების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ვერ ზრდის მათ მოტივაციას ამ საგნის მიმართ. საგანი - „ფიზიკური აღზრდა და სპორტი“ ნაკლებად პასუხობს მოსწავლეთა თანამედროვე მოთხოვნებს, არ იწვევს ინტერესს და სათანადოდ ვერ უწყობს ხელს მათ ფიზიკურ აქტივობას. პასიური ცხოვრების წესი კი ახალგაზრდებს უბიძგებს ისეთი მავნე ჩვევებისაკენ, როგორიცაა თამბაქოს, ალკოჰოლის, მოხმარება და სხვ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სასწავლო დაწესებულებებისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების მოქნილი მოდელის შეთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ეფექტურ ჩართულობას.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. საქმიანობის არცერთ სფეროში არ სჭირდება ადამიანს საკუთარი მოქმედებების გაკონტროლება ისე, როგორც ფიზიკური აღზრდის პროცესში;
2. სასკოლო ასაკში ფიზიკური ვარჯიშების სწავლებისას პედაგოგი ხელმძღვანელობს ზოგადპედაგოგიური პრინციპებით. ამდენად, ფიზიკურმა აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასთან;
3. მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მასობრივად ჩაბმის მნიშვნელოვან ფაქტორს სპორტული ბაზებით და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა წარმოადგენს;
4. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმება, მათი ეფექტურად გამოყენება მეტად მნიშვნელოვან პრობლემად იქცა და სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს;
5. უნდა აღინიშნოს, რომ დიდ კონტინგენტიან სკოლებში არასაკმარისია ერთი დარბაზის არსებობა, სკოლების უმრავლესობას არ აქვთ გასახდელები, ხოლო საშხაპე თითქმის არცერთ სკოლაში არ არის.

ბიბლიოგრაფია:

ვასაძე, ნ. (2000). *პედაგოგიკა.* თბილისი.

ზარანდია, მ. (1980). *მასწავლებლის ავტორიტეტის როლი მოსწავლეთა სასწავლო წარმატების საქმეში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კახიძე, გ. (რედ.). (2002). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები* (ნაწ. 1). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კახიძე, გ. (რედ.). (2004). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები* (ნაწ. 2). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაჭარაშვილი, დ. (1979). *ადამიანის ფიზიკური თვისებების (ძალის, გამძლეობის, სისწრაფის, სიმარჯვისა და მოქნილობის) დახასიათება.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მერკვილაძე, გ. (1980). *ფიზიკური აღზრდა დაწყებით კლასებში.* თბილისი: განათლება.

ტუღუში, მ. გ., & ტუღუში, მ. ა. (2007). *მძლეოსნობა (7-12 წლის ბავშვებთან მძლეოსნობის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელო).* თბილისი.

შუბლაძე, ვ. (პროექტ. ხელმძღვ.). (2011). *ჯანსაღი სკოლისათვის.* თბილისი.

ჩხარტიშვილი, შ. (1975). *აღზრდა გარდამავალ ასაკში.* თბილისი.

Бениаминова, М. В. (1981). *Воспитание детей.* Москва.

Матвеев, Л. П. (1991). *Теория и методика физической культуры.* Москва.

Aleksandre Iashvili
Gori State Teaching University
Mamia Tughushi, Nelly Papukashvili
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

FACILITATING CONDITIONS FOR TEACHING PHYSICAL EDUCATION AND SPORT IN PUBLIC SCHOOLS

RESUME

Physical activity for students in public schools should ensure the development of physical qualities and promote their mental development.

In today's conditions, teachers use general pedagogical principles and methods in the learning process, taking into account the characteristics of students of different ages, based on the National Curriculum of Physical Education.

Students with systematic, active participation in physical education and sports will develop skills in controlling the movement performed and used in everyday life.

The task of physically educating students in public schools is impossible without the well-equipped sports facilities and equipment.

Keywords: Physical culture, Physical activity, Physical training, School age, Curvature of the spine, Sitting and walking, Sports equipment.

გიორგი მძინარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თავისუფალი სტილის მოჭიდავეების ფიზიკური მომზადება

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ფიზიკური მომზადება, თავისუფალი ჭიდაობა, ფიზიკური ვარჯიში.

სპორტის თეორიასა და პრაქტიკაში განასხვავებენ სპორტსმენის მომზადების მხარეებს. ესენია: ტექნიკური მომზადება, ტაქტიკური მომზადება, ფიზიკური მომზადება, ფსიქოლოგიური მომზადება, ინტელექტუალური (გონებრივი, თეორიული) მომზადება.

მომზადების ყველა მხარეს, თავის მხრივ, პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მეთოდებს, საშუალებებსა და ხერხებს, რომელსაც იყენებს როგორც მწვრთნელი, ასევე სპორტსმენი.

ფიზიკური მომზადება, როგორც სპორტსმენის მომზადების მხარე, არის სპორტული წვრთნის საფუძველი. როცა სპორტსმენს არა აქვს სათანადო დონეზე განვითარებული ფიზიკური თვისებები: ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე, მოქნილობა - შედეგის მიღწევა ფაქტიურად შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენი ტექნიკურად და ტაქტიკურად მომზადებულია. სუსტი ფიზიკური მომზადების ფონზე ის ვერ ახორციელებს ტექნიკურ ილეთებს და ტაქტიკურ ჩანაფიქრებს.

როგორც ზემოთ ითქვა, სპორტის ყველა სახეობას ესაჭიროება ფიზიკური მომზადება და მასში შემავალი ფიზიკური თვისებების განვითარება და სრულყოფა. განსაკუთრებული ყურადღება სპორტის სახეობებს შორის ფიზიკურ მომზადებას ენიჭება ისეთ სპორტის სახეობაში, როგორიც არის თავისუფალი ჭიდაობა.

თავისუფალი ჭიდაობის არსენალი მოიცავს რაოდენობრივი თვალსაზრისით 1000-ზე მეტ ილეთს როგორც დგომში, ასევე ჩოქბჯენში. რამდენად მეტი ილეთია ამა თუ იმ სპორტის სახეობაში, იმდენად სპორტსმენი მეტად მომზადებული უნდა იყოს როგორც ტექნიკურად, ასევე ფიზიკურად. იმდენად მეტი

კუნთი მუშაობს მოქმედების პროცესში, როცა მოჭიდავე გადადის იერიშზე ასრულებს საწინააღმდეგო ილეთს, ან იცავს თავს. თავისუფალი სტილის მოჭიდავეს, სხვა სპორტსმენებთან შედარებით, მეტი აქვს საყრდენი წერტილი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეს აქვს დიდი გამძლეობა, ძალა, სისწრაფე და სხვა ფიზიკური თვისებები კარგად აქვს განვითარებული. თუ ესე არ არის და მოჭიდავეს არ აქვს სათანადო ფიზიკური მომზადება, ის მოჭიდავე, რომელიც კარგად არის როგორც ტექნიკურად, ტაქტიკურად, ფსიქოლოგიურად, გონებრივად და ამასთან ერთად ფიზიკურად მომზადებული, ამარცხებს მოჭიდავეს, რომელსაც სუსტი ფიზიკური მომზადება აქვს.

თავისუფალ ჭიდაობაში ფიზიკური თვისებები კარგად უნდა იყოს განვითარებული.

თავისუფალი სტილის წამყვანი მწვრთნელები და სპორტსმენები ფიზიკურ თვისებებს შორის მთავარ ფიზიკურ თვისებად ასახელებენ: კუნთის გრძნობას, ფეთქებად ძალას, რეაქციის სიჩქარეს, კოორდინაციას, გამძლეობას, სისწრაფეს, ძალის გამძლეობას. ძირითად ფიზიკურ თვისებებს მიაკუთვნებენ: სიმარჯვეს, მოქნილობას, ძალის სიჩქარეს, სასტარტო სიჩქარეს, მაქსიმალურ ძალას, დამატებით ფიზიკურ თვისებად თვლიან სტატიკურ ძალას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოჭიდავეს უნდა ჰქონდეს განვითარებული ძალა ისე, როგორც აქვს ძალოსანს, გამძლეობა კი როგორც მორბენალს. აუცილებელია ფიზიკური თვისებების ისეთი ოპტიმალური შესაბამისობა, რომელიც ხელს შეუწყობს ჭიდაობის განვითარებასა და სრულყოფას არჩეულ სახეობაში.

ფიზიკური თვისებების გასავითარებლად ძირითადი საშუალებები არის ფიზიკური ვარჯიშები. ფიზიკური ვარჯიშები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: საშეჯიბრო, სპეციალური ვარჯიშები, ზოგადმოსამზადებელი და ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები. პირველ ჯგუფს თავისუფალ ჭიდაობაში შეიძლება მივაკუთვნოთ საშეჯიბრო, საკონტროლო, საწვრთნო და სასწავლო-საწვრთნო შეხვედრები, რომელთა ხანგრძლივობა შეესაბამება შეჯიბრის წესებს. შეხვედრები ამ შემთხვევაში ტარდება სხვადასხვა დონისა და მომზადების პარტნიორებთან, სხვადასხვა წონის მოწინააღმდეგეებთან, მაგრამ მოჭიდავეები ერთი წონის უნდა იყვნენ. სპეციალურ ვარჯიშებს მიეკუთვნება სასწავლო-საწვრთნო და საწვრთნო შეხვედრები, რომლის ხანგრძლივობა ნაკლებია (ან მეტი) საშეჯიბრო შეხვედრებთან შედარებით. ეს არის ცალკეული ილეთები, რომლებიც სრულდება მომზადების, სხვადასხვა დონისა და წონით კატეგორიის პარტნიორებთან. ვარჯიშები სიმძიმეებით და ტრენაჟორებზე, რომლებიც თავის ხასიათით შეესაბამება ცალკეულ ტექნიკურ მოქმედებებს, ამ ვარჯიშების ჯგუფს აგრეთვე მიეკუთვნება ვარჯიშები, რომლებიც ავითარებს ცალკეული კუნთების ჯგუფს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საშეჯიბრო მოძრაობის შესრულებაში. აქ შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ ილეთების ცალკეული ფაზების დამუშავება მათ ტაქტიკურ მომზადებასთან ერთად გაადვილებული ან გართულებული პირობებით. ზოგადმოსამზადებელ ვარჯიშებს მიეკუთვნება ისეთი ვარჯიშები, რომლებიც თავისი სტრუქტურით არ შეესაბამება თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკურ ილეთებს. ამ ვარჯიშებს მიეკუთვნება: სირბილი სხვადასხვა სიჩქარით და სხვადასხვა მანძილზე, სკამზე გადახტომა ერთი ან ორი ფეხით არეკვლით, ლახტით ნახტომები, ხტომები სიმაღლეზე, სიგრძეზე, სამხტომი, მაგიდაზე ახტომები ადგილიდან, კოტრიალები, წინ, უკან, უკან ხელებზე აწევით, წინკოტრიალი - სიგრძეზე, წინკოტრიალი სიმაღლეზე, გვერდითი კოტრიალები ორივე მხარეს და სხვ.

ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს მიეკუთვნება ისეთი ვარჯიშები, რომლებიც ამზადებს ორგანიზმს (ახურებენ) ვარჯიშის ძირითად ნაწილისათვის. ამ ვარჯიშებით ხდება მოჭიდავეთა მოთელვა. მათ მიეკუთვნება: სიარული, სირბილი, ხტომები, თამაშები, აკრობატული და იმიტაციური ვარჯიშები.

ბიბლიოგრაფია:

Егиазарян, А. Д. (1976). Пути совершенствования специальной скоростно - силовой подготовленности юных борцов. В *Спортивная борьба.* Москва: ФиС.

Закарьяев, Ю. М. (1982). Методика развития и совершенствования скоростно - силовых качеств и выносливости у борцов. В *Спортивная борьба.* Москва: ФиС.

Замятин, Ю. П., Романов, Б. Ф., & Тараканов, Б. И. (1982). Взаимосвязь физической подготовленности с техническим мастерством борцов вольников. В *Спортивная борьба.* Москва: ФиС.

Медведь, А. В., & Кочурко, Е. И. (1985). *Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы.* Минск: Полымя.

Туманян, Г. С. (1985). *Спортивная борьба.* Москва: ФиС.

Giorgi Mdzinarashvili
Gori State Teaching University

PHYSICAL TRAINING FOR FREESTYLE WRESTLERS

RESUME

Physical training for the athlete is the basis to his success in the preparation process.

Free style wrestling requires the development of physical conditions at a high level.

The wrestler who is well-prepared technically, but has no appropriate physical training doesn't reach success at the competition.

In the process of physical training we can use the set of different exercises.

Keywords: Sport, Physical training, Freestyle wrestling, Physical exercise.

ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ტანვარჯიში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე უმცროს სასკოლო ასაკში

საკვანძო სიტყვები: ტანადობა, მოქნილობა, კოორდინაცია, ძალა, უმცროსი ასაკის ბავშვთა თავისებურებანი.

უმცროს სასკოლო ასაკში ხდება ჩონჩხის ინტენსიური განვითარება. იგი ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით შეიცავს ხრტილოვან ნივთიერებას და გაძვალების პროცესი დასრულებული არ არის. ამიტომ სასურველია ფიზიკური დატვირთვა შეიზღუდოს. რადგან ძვალ-სახრსროვანი აპარატი ისევ ელასტიკურია, უნდა ვერიდოთ ისეთ ვარჯიშებს, რომლებსაც შეიძლება ხერხემლისა და კიდურების დეფორმაცია მოჰყვეს. უნდა შეიზღუდოს ხტომები (განსაკუთრებით გოგონებში), ვარჯიშები კიდსა და ბჯენში, რადგან ამ დროს ნეკნების მოძრაობა ხერხემალთან და მკერდის ძვალთან მიმართებაში უფრო დინამიკურია, უფრო აქტიურია. მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მუცლისა და ზურგის კუნთების ძალის განვითარებას, რადგან ეს ერთ-ერთი პირობაა კარგი ტანადობის ჩამოყალიბებისათვის. ამ ასაკში მნიშვნელოვანია ცურვის სწავლება (თუ ამის პირობებია). წყალში შესრულებული ვარჯიშები აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, დადებითად მოქმედებს ორგანიზმის ადაპტაციაზე გარემოს ცვალებადი ტემპერატურის მიმართ, ხელს უწყობს სწორი ტანადობის ჩამოყალიბებას და ა.შ.

ამ ასაკში შემეცნებით და ემოციურ პროცესებთან ერთად აგრეთვე ინტენსიურად იწყებს განვითარებას ნებელობა, ნებისყოფა. 6-8 წლის ბავშვებს მიზნის მისაღწევად მოთმინება არ ჰყოფნით. დამარცხებისას გუნება-განწყობილება ხშირად ეცვლებათ, უცებ ღონდებიან, მაგრამ წყენაც მალევე ავიწყდებათ. თამაშები, მხიარული შეჯიბრებები, საინტერესო ვარჯიშები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მდგარდი ინტერესისა და დისციპლინის განსავითარებლად. პედაგოგიური ზეგავლენით, ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშების საშუალებით ბავშვს აგრეთვე უვითარდება ნებელებითი თვისებები: თავშეკავება, საკმაო გამბედაობა და სიმტკიცე, ახალი ვარჯიშების შესრულებისას დასახული მიზნის მისაღწევად მეტი მუშაობის შესრულების უნარი და ა.შ. ნებელობის განვითარება სწავლების მთელ პერიოდში მიმდინარეობს, მაგრამ ყველაზე მაღალ საფეხურს უმცროსი სასკოლო ასაკის ბოლო წლებში აღწევს. მათ უკვე შეუძლიათ თავიანთთვის არასაინტერესო მასალის დასწავლა. ამიტომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ისეთი მოძრაობითი მოქმედებების შესწავლასაც (მაგ., საერთო-განმავითარებელი ვარჯიშები), რომლებიც შეიძლება ბავშვებს დიდად არ

აინტერესებდეთ, მაგრამ პირდაპირ კავშირშია სწორი აღნაგობის ჩამოყალიბებასა თუ ჯანმრთელობის განმტკიცებასთან.

უმცროს სასკოლო ასაკის ტანვარჯიშის გაკვეთილის მოსამზადებელი ნაწილი:

(ნიმუში)

(10 წთ.):

1. მოწყობა, მისალმება, გაკვეთილის ამოცანების გაცნობა;
2. დარბაზის გარშემო მწყობრი ნაბიჯით სიარული (მხრები გაშლილი, ტანი გამართული, მოკლე ნაბიჯი);

ა) სიარული ფეხის ცერებზე (ხელები თავს უკან, იდაყვები გაშლილი, სიარულის დროს წინ არ გადავიხაროთ, მოკლე ნაბიჯი);

ბ) სიარული ქუსლებზე (ნელი ტემპი, წინ არ გადავიხაროთ, მხრები გაშლილი);

გ) სიარული მუხლების მაღლა აწევით (დოინჯი, მუხლები მაღლა, უკან არ გადავიხაროთ);

3. სირბილი დარბაზის ირგვლივ - ტემპი ნელი, თითოეული დარბის როგორც შეუძლია,
4. სიარული დარბაზის ირგვლივ - სუნთქვის აღდგენა;

ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები:

ვარჯიშები უსაგნოდ

I. ს.მ.ძ.დ. გამეორება 4-ჯერ

1-2 გარერკალებით ზემკლავი;
3-4 გარერკალებით ქვემკლავი.

II. ს.მ.ძ.დ. გამეორება 4-ჯერ
1. წინმკლავი;
2-3. ორი დრეკადი წინზნექი;
4 ს.მ. დაბრუნება.

III. ს.მ.ფეხშლითდგომი დოინჯი გამეორება 4-ჯერ
1. წინზნექი განმკლავი;
2. ზემართი ზემკლავი;
3. უკუზნექი გარეზემკლავი;
4. ს.მ. დაბრუნება.

IV. ს.მ. დოინჯი გამეორება 8-ჯერ
1. ვარდნა მარჯვნივ, განმკლავი;
2. ს.მ. დაბრუნება;
3. ვარდნა მარცხნივ, განმკლავი;
4. ს.მ. დაბრუნება.

V. ს.მ. ფეხშლითდგომი გარეწინმკლავი გამეორება 4-ჯერ
1. მარჯვენის აქნევი მარცხნივ, ხელისგულთან;
2. ს.მ. დაბრუნება;
3. მარცხენის აქნევი მარჯვნივ, ხელისგულთან;
4. ს.მ. დაბრუნება.

VI. ს.მ.ძ.დ. გამეორება 8-ჯერ
1. ბუქნბჯენი;
2. მარჯვენა განზე;
3. ბუქნბჯენი;
4. ადგომი ს.მ.

VII. ს.მ. დოინჯი
ტყუფეხწახტომი 8 თვლა

VIII. ადგილზე სიარული 20 თვლა

ტანვარჯიშული გაკვეთილის ნიმუში 1-2 კლასებისთვის

დღის თემა - **სწორი ტანადობის და სწორად დგომის შესწავლა**

თემის ამოცანა:

- მოსწავლეს ავუხსნათ, რა არის ტანადობა, რას ნიშნავს სწორად დგომა, რატომ არის მნიშვნელოვანი სწორად დგომა;

- მოსწავლეს უნდა ავუხსნათ რას ნიშნავს არასწორი ტანადობა და რა ზიანი მოაქვს ჯანმრთელობისთვის;

- ავუხსნათ ტანადობის დარღვევის, ხერხემლის გამრუდების ჩამოყალიბების მიზეზები;

ინვენტარი - ტანვარჯიშული სკამი, ტანვარჯიშული კედელი.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ვარჯიშები ტანადობაზე დაეხმარება მოსწავლეებს როგორც ზურგის, ისე მუცლის კუნთების განვითარებაში.

ვარჯიში ტანადობაზე - იატაკზე გავლებულ სწორ ხაზზე მხრებგაშლილი, თავი ოდნავ აწეული, ნიკაპი იატაკის პარალელურად გავლა, გამოვლა რიგითობის დაცვით;

იატაკზე გავლებულ სწორ ხაზზე ხელები განმკლავში, ცერებზე გავლა-გამოვლა;

დარბაზის ირგვლივ ცერებზე სიარული, დოინჯი, ამავე მდგომარეობაში ქუსლებზე სიარული; მაღალ ცერებზე სიარული;

ტანვარჯიშულ სკამზე (მასწავლებლის თანხლებითა და დაზღვევით) სიარულისა და ჩამოხტომის შესრულება; (სიარულში ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მუცელი ჰქონდეს შეწეული, მუხლები მაქსიმალურად გამართული. თავი ოდნავ აწეული, მზერა სკამისკენ მიმართული)

ტანვ. სკამზე ცერებზე სიარული, ტანგამართული, ხელები განმკლავში და ჩამოხტომი;

ტანვ. სკამზე წონასწორობის ვარჯიში ე.წ. „მერცხალა“ - მერცხალას შესრულების დროს თავი აწეულია, მუხლები გამართული, აწეული ფეხის ცერი გაჭიმული, სკამის ბოლომდე მივდივართ ცერებზე დგომით, ფეხები მუხლებში გამართული, ჩამოხტომი;

ტანვარჯიშულ კედელთან შესასრულებელი ვარჯიშები ასევე ემსახურება **ტანადობისა და დგომის** ჩვევების გამომუშავებას:

მოსწავლეების მცირე ჯგუფი პირისახით დგას კედელთან, ხელები ჩაკიდებული აქვთ მანაზე, ხელები უნდა იყოს მხრების სიგანეზე და სიმაღლეზე და ასრულებენ ნახევარ ჩაჯდომებს და უკუზნექებს. (მოგვიანებით ღრმა ჩაჯდომებს) შემდეგ შეასრულებს იგივე ვარჯიშებს მეორე ჯგუფი მოსწავლეებისა;

ტანვარჯიშულ კედელთან გვერდით დგომი, ცალი ხელი მანაზე, მეორე დოინჯში, ფეხის გაქნევები გვერდით, წინ და უკან. შემდეგ იცვლება მხარე და მეორე ფეხით გაქნევები გვერდით, წინ და უკან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ გაქნევების დროს ფეხები იყოს გამართული, ამქნევი ფეხის ცერი გაჭიმული, თავი ოდნავ აწეული;

ტანვარჯიშულ კედელთან პირისახით დგომი, ხელები მანაზე, ხელები მხრები სიგანეზე და სიმაღლეზე. პირველ მანაზე ასვლა-ჩამოსვლა ისე, რომ ბავშვებს ტანი ეჭიროთ გამართულად, თავი პირდაპირ.

დანარჩენები მოსწავლეები ელოდებიან, რაც მოსწავლეებს შეაჩვევს დისციპლინას.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მოეწყობიან, შეასრულებენ სუნთქვით ვარჯიშებს, მასწავლებელი ბავშვებს შეაფასებს განმავითარებელი შეფასების მეთოდით.

თემა - **მოქნილობა და სწორად სიარული**

თემის (გაკვეთილის) ამოცანა:

მოსწავლეებს ავუხსნათ რა არის მოქნილობა და რატომ არის მნიშვნელოვანი მოქნილობის განვითარება; ვასწავლოთ ლამაზი და სწორად სიარული. გავიგოთ, რა ზიანი მოაქვს არასწორ სიარულს, რატომ უწყობს ხელს მოხრილი, მხრებჩამოყრილი სიარული ტანადობის დარღვევას და ხერხემლის გამრუდებას, რა ზიანი მოაქვს ხერხემლის გამრუდებას.

ინვენტარი - ტანვარჯიშული ლეიბები, ტანვარჯიშული სკამი სწორად სიარულის ვარჯიშები ტანვ. სკამზე ცერებზე სიარული, ტანგამართული, ხელები განმკლავში, მუხლები შეძლებისდაგვარად გამართული, თავი ოდნავ აწეული;

ტანვ. სკამზე წონასწორობის ვარჯიში ე.წ. „მერცხალა“ - „მერცხალას“ შესრულების დროს თავი აწეულია, აწეული ფეხის ცერი გაჭიმული, სკამის ბოლომდე მივდივართ ცერებზე დგომით, ფეხები მუხლებში გამართული, ჩამოხტომი

მოქნილობის ვარჯიშები:

წინკოტრიალისა და ბეჭყირის (ე.წ. „სანთელი“) შესწავლა.

კოტრიალი ეწოდება წინ და უკან, მთელი ტანის გადატრიალებით შესრულებულ წრიულ მოძრაობას, როდესაც იატაკს თანამიმდევრულად ეხება ხელები, თავი, კისერი, ბეჭები, მხრები. მას მერე ხდება გადაგორება ზურგზე და ტემპიანი ადგომი. მიმართულების მიხედვით არჩევენ კოტრიალის ნაირსახეობებს - ბუქნბჯენიდან წინკოტრიალი, ბუქნბჯენიდან უკუკოტრიალი;

ახალი მასალის უკეთ შესწავლად მასწავლებელი ატარებს თამაშს ახალი ილეთების გამოყენებით. მაგ.: „ავანთოთ სანთელი“ - მოსწავლე მასწავლებლის ნიშანზე აკეთებს წინკოტრიალს, წვება ზურგზე, მოხრის ფეხებს მუხლებში, ნელა სწევს მაღლა მოხრილ ფეხებს, ხელების დახმარებით ტანის ქვედა ნაწილს იატაკიდან მაღლა სწევს და მართავს (ასწორებს) ფეხებს. „ამ ვარჯიშის შესრულების დროს წელი უნდა იყოს გამართული, ცერები გაჭიმული. მასწავლებელი უნდა აზღვევდეს გვერდიდან, ცალი ხელი წელზე, მეორე ხელით მუხლებზე

თემა - **მოქნილობის, ძალის და კოორდინაციის ვარჯიშები**
ბაგირზე ცოცვა, ვარჯიშები ტანვარჯიშულ კედელზე

გაკვეთილის მიზნები:

- ძალის, მოქნილობისა და კოორდინაციის განვითარება;
- საერთო გამძლეობის განვითარება;
- ბაგირზე ცოცვის ტექნიკის დახვეწა.

ინვენტარი - ბაგირი, ტანვარჯ. სკამი, შვედური კედელი, 2 თარჯი

ძალის განმავითარებელი ვარჯიშები:

დახრილ სკამზე (თარჯზე გავდებთ) მუცელზე წოლით მდგომარეობაში ხელების დახმარებით აზიდვა;

დავწვეთ მუცელზე, გავცოცდეთ წინ ხელების დახმარებით. ვარჯიში გავიმეოროთ 3-ჯერ.

ძალისა და მოქნილობის ვარჯიში:

ბაგირზე ცოცვა:

ა. გამართული ხელის სიმაღლეზე ორივე ხელით მოვეჭიდოთ ბაგირს;

ბ. მკერდის სიმაღლეზე მოვხაროთ ხელები და ავიზიდოთ;

გ. ფეხებით (მუხლებში მოხრილი და რაც შეიძლება მაღლა აწეული, ტერფები გადაჯვარედინებული) მაგრად მოვეჭიდოთ ბაგირს;

დ. ფეხებზე დაყრდნობით, ,,ფეხებით დაჭერილის'' მდგომარეობაში, გავსწორდეთ ბაგირის გასწვრივ, მაგრად მოვეჭიდოთ ხელებით (ხელები მოვჭიდოთ ზემოდან)

ე. ცოტათი შევამციროთ ფეხების მოჭიდულება, ტანს ვაკავებთ ხელებით, ფეხები მუხლებში მოვხაროთ და ავზიდოთ რაც შეიძლება მაღლა;

ვ. ჩამოსვლისას შევამციროთ ფეხების მოჭიდულება და ხელების მონაცვლეობით ჩამოვცოცდეთ ბაგირიდან.

4. **მოქნილობისა და კოორდინაციის ვარჯიში:** დახრილ ტანვარჯიშულ სკამზე ქვემოდან ზევით გავლა წონასწორობით, ორივე ფეხზე დახტომით

5. ტანვარჯიშულ კედელზე **მოქნილობის, კოორდინაციის და სიმარჯვის ვარჯიშები:**

ა. ავიდეთ ტანვარჯიშულ კედელზე ბოლომდე, ხელი მივარტყათ ბოლო საფეხურის ზევით და ისევ ჩამოვიდეთ. არ გამოვტოვოთ არცერთი საფეხური.

ბ. შევასრულოთ ,,ქანქარა'' - ავიდეთ მე-2 საფეხურზე, ხელები მოვკიდოთ რაც შეიძლება ზედა საფეხურს, მოვბრუნდეთ სახით დარბაზისაკენ, ჩამოვეკიდოთ ხელებზე, ფეხები ერთად. გავაქნიოთ ფეხები მარჯვნივ და მარცხნივ.

ტანვარჯიშული გაკვეთილის ნიმუში 3-4 კლასისთვის

თემა: **კოორდინაცია, მოქნილობა, სიმარჯვე.**

წონასწორობის, ძალისა და სრაფძალისმიერი უნარების განვითარება.

გაკვეთილის მიზნები:

1. ტანვარჯიშულ სკამზე სხვადასხვა მეთოდებით ცოცვა;
2. აკრობატული ვარჯიშები

ინვენტარი: ტანვარჯიშული ლეიბები, ტანვარჯიშული სკამი.

მოქნილობისა და კოორდინაციის ვარჯიშები:

აკრობატული ვარჯიშები:

- 2-3 წინ კოტრიალი მიჯრით;
- 2-3 უკუკოტრიალი მიჯრით;

ყურადღება მივაქციოთ ხელებით არეკნს უკუკოტრიალის დროს.

მიჯრით შესრულება მოითხოვს კოორდინაციას

ვარჯიშები ძალასა და წონასწორობაზე;

ტანვარჯიშულ სკამზე მუცელზე ხოხვა:

ყურადღება მივაქციოთ იდაყვების მდგომარეობას, მენჯი არ ავწიოთ. მარცხენა ფეხს მოყვება მარჯვენა ხელი

დახრილ სკამზე ცოცვა:

სკამის ერთი ბოლოს სიმაღლეა 50-100 სმ. გადავაადგილოთ ჯერ ხელი, შემდეგ ფეხი

წონასწორობისა და სრაფძალისმიერი ვარჯიშები

ტანვარჯიშულ სკამზე სიარული და გარბენი;

ხელები თავისუფლად, დავიცვათ ტემპი და წონასწორობა.

თემა: **მოქნილობის, კოორდინაციის და სიმარჯვის ვარჯიშები.**

ინვენტარი: ტანვარჯიშული ლეიბები, შვედური (ტანვარჯიშული) კედელი, ტანვარჯიშული სკამი.

1. მოქნილობის, სიმარჯვის და კოორდინაციის ვარჯიში - თავყირა:

(ვაჟები) ლეიბზე წარმოვიდგინოთ (ან დავხაზოთ) ტოლგვერდა სამკუთხედი. ორ წვეროზე დავეყრდნოთ ხელებით (ჩაცუცქულები), ხელის თითები რაც შეიძლება ფართოდ გავშალოთ (დიდ ფართობზე დასაყრდნობად). ავწიოთ მენჯ-ბარძაყის სახსარი ისე, რომ მუხლებით არ შევეხოთ ლეიბს, დავაყრდნოთ თავი (შუბლი), სამკუთხედის მესამე კუთხეს, ვეხებით თითქმის გამართული. გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი ვერტიკალურ მდგომარეობაში, მოვწყვიტოთ ფეხის წვერები იატაკს, მოვხაროთ ფეხები - თავყირაზე და ხელებზე მდგომი, დაზღვევაზე მასწავლებელი დგება. ეხმარება, რომ მოსწავლეს ზურგზე არ დაეცეს.

„ხიდი“ (გოგონები). საწყისი მდგომარეობა - ზურგზე წოლა. ფეხები მოხრილი მუხლებში, ტერფები მხრების სიგანეზე. ხელები მოხრილია იდაყვებში თავს ზემოთ. ავიწიოთ ხელებზე და ფეხებზე ერთდროულად, გავიზნიქოთ.

1. **ვარჯიშები წონასწორობაზე, სიმარჯვეზე.**

ტანვარჯიშულ კედელზე ასვლა (აცოცება):

ავიდეთ ტანვარჯიშულ კედელზე 50-100 სმ. სიმაღლეზე. ჩამოვეკიდოთ ხელებზე, დავდგათ ფეხი მანაზე, ხელები გადავანაცვლოთ, მივბრუნდეთ სახით კედლისაკენ. ვარჯიში გავიმეოროთ 3-6 ჯერ.

2. **სიმარჯვისა და კოორდინაციის ვარჯიში:**

ტანვარჯიშულ სკამზე სიარული (გარბენი):

ტანვარჯიშული სკამი დგას სიმაღლე 20-100 სმ-ის შემაღლებაზე. ის მოსწავლეები, რომლებიც სიმარჯვისა და კოორდინაციის ვარჯიშს გარბენით ვერ ასრულებენ, მაშინ უნდა შეასრულონ გავლით - სიარულში. დანარჩენები შეასრულებენ - გარბენით.

თემა: **მოქნილობა, სიმარჯვე, ძალა, კოორდინაცია**

გაკვეთილის მიზნები:

1. ბაგირზე ცოცვის ტექნიკის შესწავლა;
2. აკრობატული ვარჯიშების სრულყოფა;
3. ძალისა და კოორდინაციის განვითარება.

ინვენტარი: ბაგირი, ტანვარჯიშული ლეიბები, ტანვარჯიშული სკამი, ნაირსიმაღლის ორძელი, ან სხვდასხვა სიმაღლის ძელები, სახტუნელა ან ჯოხი.

სიმარჯვისა და მოქნილობის ვარჯიში:

აკრობატული ვარჯიშები: წინ კოტრიალი. კოტრილის დაბოლოების მომენტში ტემპიანი ახტომი. ორი ჯგუფი სხვადასხვა მხარეს ორ ტანვარჯიშულ ლეიბზე მუშაობს, დავიცვათ დისტანცია წინ კოტრიალის დროს.

მოქნილობის ვარჯიში:

გამართული და მოხრილი ხელებით ქნევები (განზე, წინ, ზევით, უკან);

გამართული და მოხრილი ხელებით წრიული მოძრაობა (ერთდროული და თანმიმდევრული გვერდით სიბრტყეში). მოძრაობა უნდა შესრულდეს დიდი ამპლიტუდით. შეიძლება დამამძიმებელი საშუალებების გამოყენება. მაგ. მსუბუქი წონის ორბირთვები.

გამართული ხელების გრეხილი (სახტუნელას ან ჯოხის მეშვეობით ხელებს ერთდროულად აწევენ ზევით და მხრის სახსრებში გრეხილის შემდეგ დაუშვებენ ზურგს უკან. (დასაწყისში ჯოხზე ხელების ტაცი განიერია, მხოლოდ ვარჯიშის შედეგად უნდა შეამცირონ მაქსიმალურად;

ერთდროულად 2-3 უკუკოტრიალი: ყურადღება მივაქციოთ ხელებით არეკნს, თავის მდგომარეობას უკუკოტრიალისას (თავი მჭიდროს მიბჯენილია მკერდთან)

ბეჭყირა: მასწავლებლის დახმარებით და დაუხმარებლად გავიმეოროთ ვარჯიში. ვარჯიშის შესრულებისას წელი გამაგრებული გვაქვს, ფეხები გამართული, ცერები გაჭიმული

ძალის, სიმარჯვისა და მოქნილობის ვარჯიში:

ბაგირზე ცოცვა:

ა. გამართული ხელის სიმაღლეზე ორივე ხელით მოვეჭიდოთ ბაგირს;

ბ. მკერდის სიმაღლეზე მოვხაროთ ხელები და ავიზიდოთ;

გ. ფეხებით (მუხლებში მოხრილი და რაც შეიძლება მაღლა აწეული, ტერფები გადაჯვარედინებული) მაგრად მოვეჭიდოთ ბაგირს;

დ. ფეხებზე დაყრდნობით, ,,ფეხებით დაჭერილის'' მდგომარეობაში, გავსწორდეთ ბაგირის გასწვრივ, მაგრად მოვეჭიდოთ ხელებით (ხელები მოვჭიდოთ ზემოდან)

ე. ცოტათი შევამციროთ ფეხების მოჭიდულება, ტანს ვაკავებთ ხელებით, ფეხები მუხლებში მოვხაროთ და ავზიდოთ რაც შეიძლება მაღლა;

ვ. ჩამოსვლისას შევამციროთ ფეხების მოჭიდულება და ხელების მონაცვლეობით ჩამოვცოცდეთ ბაგირიდან.

ტანვარჯიშული სკამი: **წონასწორობა**

გავიაროთ სკამი ფეხის ცერებზე, განმკლავი. (ტანი გამართული, თავი ოდნავ აწეული, ფეხები შეძლებისდაგვარად გამართული).

გავიაროთ სკამი 4-ზე დგომით ხელებით და ფეხებით. დავდივართ ხელ-ფეხით, თავი აწეული

ძალისმიერი ვარჯიში:

• ნაირსიმაღლის ორძელზე მიზიდვები: გოგონები ვარჯიშს დაბალ ძელზე ასრულებენ, ბიჭები ცდილობენ, მაღალ ძელზე შეასრულონ. მაღალ ძელზე მიზიდვებისას საჭიროა ავხტეთ და ორივე ხელით მოვეჭიდოთ ძელს. მივიზიდოთ ხელებზე და ნიკაპი მივიტანოთ ღერძამდე. დავეშვათ, ფეხები გამართულია, ცერები დაჭიმული.

• ტანვარჯიშულ სკამზე მიზიდვები:

გავიმეოროთ ტანვარჯიშულ სკამზე მიზიდვით ვარჯიში (2-ჯერ). გავართულოთ ვარჯიში: სკამის ერთი ბოლო 20-40 სმ-ით ავამაღლოთ (დავდოთ მეორე სკამზე). ფეხები სკამზე, ხელები ებჯინება იატაკს.

• ტანვარჯიშულ სკამზე ხელებით ცოცვა:

დავწვეთ სკამზე მუცელზე, ხელები მოვკიდოთ სკამის კიდეებს, გავაცოცოთ ტანი ხელების დახმარებით წინ, გადავიტანოთ ხელები წინ და ზევით, ისევ გავცოცდეთ და ასე სკამის ბოლომდე.

ბიბლიოგრაფია:

ვასაძე, ნ. (2000). *პედაგოგიკა.* თბილისი.

თედეევი, ს. (1970). *ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა სანიმუშო კომპლექსები IV კლასისათვის.* თბილისი.

თედეევი, ს. (1971). *ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა კრებული ტანვატჯიშულ სკამზე.* თბილისი.

პაპუკაშვილი, ნ., ბერიანიძე, ნ., ლეშკაშელი, ნ., & ლუაშვილი, ვ. (2019). *აკრობატული ვარჯიშები საჯარო, სპორტული სკოლებისა და სპორტული კლუბებისათვის.* თბილისი.

სანებლიძე, თ. (1992). *ტანვარჯიში* (ნაწ. 1). თბილისი: განათლება.

ტუღუში, მ. გ., & ტუღუში, მ. ა. (2007). *მძლეოსნობა.* თბილისი.

Nelly Papukashvili
Georgian State University of Physical Education and Sport

GYMNASTIES IN CLASS OF PHYSICAL EDUCATION AT JUNIOR AGE

RESUME

At junior ages (6-10 years) occurs intensive development of body and accomplishment of coordination. Skeleton is developing intensively, but bones are not formed completely yet. Thick mascules are developing intensively and because of this, children at this age can do complex activities much easily, than the smaller ones, which need great accuracy. At this age excitable processes predominate self-control processes, that's why there is much more excitability. Children are strongly movable, but they get tired easily. Tiredness in increasing after similar activities. Particularly , after activities that need great accuracy, concentration of attention and effort. So, we have to avoid using that kind of exercises.

Teaching and educational process effects juniors' feelings and clearly define them. Pupils get new duties at school. All results of their behaviour are appreciated, which cause pleasure and unpleasantness in them. A teacher of physical education has to approach nearly to appreciate all their exercises and activities. Juniors are emotional, they react all pressure. Their emotions are caused by all novelty, unexprected, happy, interesting things. Monotonous, boring classes ake their cognitive interest slower, cause negative emotions and finally, negative attitude to studing.

Keywords: Stateliness, Flexibility, Coordination, Strength, Characteristics of younger children.

მამია ტულუში, ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ალექსანდრე იაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯანსაღი ცხოვრების წესი, როგორც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების ეფექტური საშუალება

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ნაადრევი სიბერე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, გონებრივი განვითარება, ორგანიზმის მოტორიკა.

მკვლევართა მტკიცებით, ჩვენი ეპოქის ადამიანები დღეს ფაქტიურად საკუთარ შესაძლებლობათა მხოლოდ ნაწილს თუ ავლენენ. დაფარულ შესაძლებლობათა გამოვლენა-ამოქმედება ჯერჯერობით თავისთავად არ ხდება. ეს პირველ ყოვლისა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა ჰარმონიულ განვითარებას მოითხოვს. მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფორმირება შეუძლებელია და ამიტომაც უნდა ჩავრთოთ გონება. ინტელექტი არ შეიძლება სრულყოფილი იყოს ფიზიკური განვითარების გარეშე და პირიქით. ფიზიკური აღზრდა ინტელექტისა და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის გარეშე გახდებოდა თვითმიზანი.

სულიერი და ფიზიკური აღზრდის ერთიანობის აუცილებლობაზე პირველად ბერძენმა მწერალმა ლუკიანემ გაამახვილა ყურადღება. მანვე გამოთქვა აზრი, რომ ადამიანის სულიერი ფორმირება დიდადაა დამოკიდებული ფიზიკურ აღზრდაზე. ცნობილია, რომ რაც უფრო ძლიერია ორგანიზმის მოტორიკა, მით უფრო სრულყოფილია ინტელექტი. სულიერი და ფიზიკური სრულყოფის ერთიანობისაკენ მუდამ ისწრაფოდა საზოგადოება.

უძველესი დროიდან ადამიანის ოცნება იყო დიდხანს ეცოცხლა და შორეული გაეხადა სიბერე. ამავდროულად, შეენარჩუნებინა ფიზიკური და სულიერი მხნეობა, მტკიცე ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და ნათელი აზროვნება. იგი ვერ ურიგდებოდა ბუნების მიერ ნაჩუქარი სიცოცხლის უაღრესად მოკლე ხანგრძლივობას. მაგრამ, სამწუხაროდ ათასეული წლების მანძილზე მეცნიერებისა და საზოგადოების ყოველმხრივი მცდელობის მიუხედავად ამ საკითხების დადებითად გადაჭრა ჯერჯერობით უშედეგო აღმოჩნდა. (ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, მეტ-ნაკლებად არის გადაჭრილი ეს პრობლემა, თუმცა იქაც არ აქვს მასობრივი ხასიათი).

როგორც ჩვენი სტატისტიკა გვეუბნება, ადამიანთა დიდი უმეტესობა 60-70 წლის ასაკში ბერდება, კვდება და ვერ აღწევს სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმალურ ზღვარს. სიბერისა და სიკვდილის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ეკოლოგია - დაბინძურებული გარემო, გენდემოფიცირებული საკვები; სიღარიბე - არასრულფასოვანი კვება, ძვირი მედიკამენტები, არასრულფასოვანი დაზღვევა, რაც იწვევს ქრონიკულ დაავადებებს და მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ათეროსკლეროზული ეტიოლოგიის გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებებს. ათეროსკლეროზი ვითარდება ორგანიზმში ნივთიერებათა, კერძოდ, ცხიმოვანი ნივთიერებების ცვლის მოშლის შედეგად, რაც იწვევს არტერიულ სისხლძარღვთა კედელში ქოლესტერინის დალაგებას ფოლაქების სახით. ადამიანის ცხოვრების მანძილზე ფიზიკური მოძრაობის თვალსაჩინოდ შემცირება სასუნთქი აპარატის, სისხლის მიმოქცევის, შინაგანი სეკრეციის და ნერვული სისტემის და მთელი რიგი სხვა ორგანოების ფუნქციების დაქვეითების მიზეზი ხდება.

ფიზიკური აღზრდა ფიზიკური განვითარებისა და პიროვნების აღზრდის სპეციფიკური პროცესია. იგი აღზრდის შემადგენელი ნაწილია და მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით მიმართულია მომეცადინის სპეციალური ცოდნის, უნარების, მოძრაობითი შემძლეობა-ჩვევებით უზრუნველყოფისა და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისაკენ. ჩვენი ქვეყნის ფიზიკური აღზრდის სისტემის ძირითადი მიმართულება შრომითი და თავდაცვითი უნარიანობის ამაღლებაში მდგომარეობს. ამ პროცესის სრულყოფა დამოკიდებულია ადამიანის ორგანიზმის ყველა პოტენციური შესაძლებლობების განვითარებაზე, რაც ხორციელდება ერთდროულად, სხვადასხვა მიმართულებით.

საზოგადოების განვითარების პარალელურად, ფიზიკური აღზრდის გამოყენებითი მნიშვნელობა კი არ სუსტდება და ქვეითდება, არამედ დღითიდღე მატულობს. მეცნიერების, ტექნიკის, ცივილიზაციის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეპოქაში, შრომითი პროცესის ავტომატურ მართვაზე თანდათანობით გადასვლა ადამიანისაგან მოითხოვს მოქმედებათა არაჩვეულებრივ სიზუსტეს, კოორდინაციას, რაც, თავის მხრივ, ფიზიკური აღზრდის წინაშე აყენებს მზარდ მოთხოვნებს მოტორული აქტივობის დიფერენცირებული განვითარებისათვის.

რა არის საჭირო, რომ გონივრულად და სისტემატურად გამოყენებულმა ფიზიკურმა აღზრდამ და სპორტმა განამტკიცოს და შეუნარჩუნოს ყოველ ადამიანს ჯანმრთელობა?

პასუხი ერთია - ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომელიც მოხერხებულად უნდა იქნეს გამოყენებული ყოფა-ცხოვრებაში. ეს არის ***დღის რეჟიმი*** - საკუთარი ცხოვრების ის წესი, რომელიც სისტემატურად სრულდება და რომელსაც საფუძვლად ***რიტმი*** უდევს და რაც ყოველ სასიცოცხლო პროცესს ახასიათებს.

ახლა მოკლედ განვიხილოთ ის რჩევა-დარიგებები, რაც მოწონებულია თანამედროვე მეცნიერების მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის განსახორციელებლად.

ნორმალური ძილი მტკიცე ჯანმრთელობის საწინდარია. უძილობა ადამიანს მეტისმეტად ვნებს და შეიძლება გარდაცვალებამდეც მიიყვანოს. ყოველი ჩვენგანის სამუშაო დღე მეტ-ნაკლებად დატვირთულია განცდებით, სიხარულით, უსიამოვნებებით და მღელვარებებით. ძილის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ინდივიდუალურ თავისებურებებზე. როგორც წესი, რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, მით უფრო მეტხანს უნდა ეძინოს. დადგენილია, რომ ძილის რეჟიმის დარღვევა - ქრონიკული გამოუძინებლობა, დაძინებისა და ადგომის დროის ხშირი დარღვევა, შენობის ცუდი განიავება, კაშკაშა სინათლე და ხმაური - იწვევს ნერვული სისტემის ფუნქციონალურ აშლილობას, შრომისუნარიანობის დაკარგვას და იგი შეიძლება ჰიპერტონული დაავადების წყაროდაც კი იქცეს. უძილობა აქვეითებს გონებრივ შესაძლებლობებს და ორგანიზმის სხვა ფუნქციების მოშლას იწვევს. ძილი იმდენად მნიშვნელოვანი ფენომენია, რომ ჯერ დასავლეთში და მოგვიანებით ჩვენს ქვეყანაშიც დაარსდა ძილის შემსწავლელი სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც შეისწავლიან ძილთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.

კვება სრულფასოვანი უნდა იყოს, ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის შესაბამისი თანაფარდობის ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მინერალური მარილები და წყლები. წყალი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. მოზრდილმა, ჯანმრთელმა ადამიანმა დღე-ღამეში უნდა მიიღოს 2,5-3 ლიტრამდე წყალი (მასში შედის მიღებულ საკვებში შემცველი წყლის რაოდენობაც). წყალი აქტიურად მონაწილეობს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესში; ხოლო, საკვების კალორიულობა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმებს; სასურველია, რომ კვების რაციონის 50%-ს შეადგენდეს ხილი და

ბოსტნეული. ცნობილია, რომ ვიტამინების შემცველობით ბოსტნეულსა და ხილს ვერცერთი პროდუქტი ვერ შეედრება. კვების რეჟიმს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ასაკთან, ჯანმრთელობასთან, ადათ-წესებთან, შრომით საქმიანობასთან და სხვ. რომ დავრწმუნდეთ დადებითად მოქმედებს თუ არა ორგანიზმზე გამოყენებული საშუალებანი და თავისი დოზით შეესაბამებიან თუ არა ისინი ორგანიზმის თავისებურებებს, თვალყური უნდა ვადევნოთ სხეულის წონას, რაც ჯანმრთელობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. იგი მყარი უნდა იყოს. კვირაში ერთხელ დილით უზმოზე ავიწონოთ. როგორი უნდა იყოს ადამიანის ნორმალური წონა? ნორმალურ წონად მიღებულია - ჩაითვალოს იმდენი კილოგრამი რამდენიცაა სხეულის სიმაღლეს გამოკლებული 100. (თუ თქვენი სხეულის სიმაღლეა 180 სმ., ასეთ შემთხვევაში თქვენი ნორმალური წონა დაახლოებით 80 კილოგრამს უნდა უდრიდეს); „დაახლოებითს“ იმიტომ ვამბობთ, რომ სხეულის ნორმალური წონის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ინდივიდის ასაკი, სქესი, აღნაგობა და სხვა მონაცემები.

გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. სეჩენოვმა შემოიღო ცნება აქტიური დასვენების შესახებ. იგი ამბობდა, რომ მუშაობის დროს იღლება არა მარტო კუნთები, ასევე ნერვული სისტემა. ამიტომ საჭიროა მოძრაობის ერთი სახე მეორით შეიცვალოს. სამუშაო მოქმედებებში უნდა ჩავრთოთ: ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სათხილამურო სპორტი, ტურისტული ლაშქრობები, ცურვა, სპორტული და მოძრავი თამაშობები, გასეირნებები სუფთა ჰაერზე და სხვ. მხოლოდ ვარჯიშობით შეიძლება უზრუნველვყოთ ორგანიზმის ჰარმონიული განვითარება, კარგი ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და შრომის მაღალი ნაყოფიერება.

დილის ჰიგიენური ვარჯიში (სამი წლიდან ღრმა სიბერემდე) - პირველი ელემენტია, რითაც დღის რეჟიმი იწყება. იგი ხელს უწყობს ძილიდან საბოლოოდ გამოფხიზლებას, აწონასწორებს დიდი ნახევარსფეროების ქერქში აღგზნება-შეკავების პროცესებს და ამით ამაღლებს ორგანიზმის ცხოველმოქმედებას. დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის გავლენით ძლიერდება სისხლის მიმოქცევა, ღრმავდება სუნთქვა, რაც ნივთიერებათა ცვლის ზრდას იწვევს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ყველა სისტემისა და ორგანოს კვების გაუმჯობესებას. ამგვარად ხდება ადამიანის ორგანიზმის განვითარების უზრუნველყოფა, მოზარდებისათვის ახალგაზრდობის შენარჩუნება და ხანში შესული პირებისათვის ნაადრევი სიბერის დადგომის შეფერხება.

ტურისტული ლაშქრობანი გამოიმუშავებენ სამგზავრო ჩვევებს და აცნობენ ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. ადგილმდებარეობის ცვლის პირობებში ხანგრძლივად ყოფნა განამტკიცებს და განავითარებს ფიზიკურ შესაძლებლობებს; აწონასწორებს და ამტკიცებს ნერვულ სისტემას; ავითარებს ჯანსაღ სოციალურ გარემოს და სრულყოფს ურთიერთობებს.

ჰაერით, წყლით და მზით გამოწრთობა დღის რეჟიმის აუცილებელი ელემენტი უნდა გახდეს. მათი საერთო მნიშვნელობა ცხოველმყოფელობისათვის კარგადაა ცნობილი. საკმარისია ითქვას, რომ გამოწრთობის გამოყენების პრობლემა დღეისათვის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა (შემთხვევითი არ არის, რომ იუნესკოსთან არსებობს ბუნების დაცვის სპეციალური კომისია). ბუნებრივი ფაქტორების მიზანშეწონილად გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ფიზიკური ვარჯიშობის პროცესში ადამიანის ორგანიზმის გაკაჟება, ე. ი. ცვალებად გარემოსთან - სიცივე, სიცხე, ქარი, წვიმა, მზის რადიაცია და სხვა მერყევ პირობებისადმი ორგანიზმის შეგუება-გამოწრთობა, რაც იწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მუშაობისუნარიანობის ამაღლებას. ფიზიკური აღზრდის პროცესში ***ჰიგიენური წესების დაცვა*** მნიშვნელოვნად განაპირობებს მეცადინეობის ეფექტს.

ფიზიკური ვარჯიშები ფიზიკური აღზრდის ძირითადი სპეციფიკური საშუალებაა; ხოლო ბუნებრივი პირობები და ჰიგიენური ფაქტორები ფიზიკური აღზრდის - დამხმარე საშუალებებია. ამგვარად, ფიზიკური აღზრდა მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშებით არ ამოიწურება, ის მოიცავს შრომისა და ყოფის საზოგადოებრივ და პირად ჰიგიენას, იყენებს ბუნებრივ ძალებს, შრომისა და დასვენების სწორ რეჟიმს. მათი სათანადო ერთობლივი გამოყენებით ფიზიკური აღზრდის პროცესში მომეცადინეზე ხდება დადებითი ზეგავლენა მთლიანად, როგორც მის ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ სფეროზე.

აქტიური ცხოვრების რეჟიმი დადებითად მოქმედებს ადამიანის სასუნთქ სისტემაზე, რომლის ფუნქციური მდგომარეობა განაპირობებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქმედით უნარიანობას და პირიქით. ადამიანის სუნთქვის ორგანოების (ფილტვების) ფუნქციური სრულყოფის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ სისტემატურად წარმოებული ფიზიკური ვარჯიშებით შეიძლება. ფიზიკური ვარჯიშები უებარი საშუალებაა სუნთქვითი ფუნქციის, სუნთქვის გაღრმავების, ფილტვების ვენტილაციისა და აირთა ცვლის რეგულირებისათვის. მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშობით შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს სწორი სუნთქვის ჩვევის გამომუშავება, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული მაღალი შრომისუნარიანობა.

საინტერესოა, თუ როგორ სუნთქავენ ასაკოვანი ადამიანები - ღრმად და ნელა, თუ ხშირად და ზერელედ. სამედიცინო გასინჯვის დროს, ჯანმრთელი დღეგრძელები ჩვეულებრივად სუნთქავენ. მათში არ შეინიშნებოდა ზერელე ან ღრმა სუნთქვის ნიშნები. ამდენად, უნდა ვისუნთქოთ ისე, როგორც ამას

თქვენი ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს, ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებული ხასიათის სუნთქვას, იგი ექიმმა უნდა გირჩიოთ.

როგორც ცნობილია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის სულიერ სფეროზეც. ვარჯიშები, რომლებიც გამოიყენება საერთო ფიზიკური მომზადებისათვის ზოგადი ხასიათისაა და უმთავრესად ზემოქმედებს მთელს ორგანიზმზე, მის ფუნქციათა გაუმჯობესებაზე, შრომისუნარიანობის ამაღლებაზე, საერთო ტონუსის გაუმჯობესებასა და დადებითი განწყობის შექმნაზე. ოპტიმისტური გუნება-განწყობა მტკიცე ჯანმრთელობის უშრეტი წყაროა, მაგრამ თუ ბუნებრივად ოპტიმისტი არ ხართ, მისი შეძენა არცთუ იოლია. ოპტიმისტური ხასიათის ჩამოყალიბებისათვის სპეციალისტები გვირჩევენ: ვეცადოთ ვიცხოვროთ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც გვიყვარს, არ ვიგრძნოთ უმწეობა და არ ჩავიქნიოთ ხელი, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გამოვნახოთ საყვარელი და საინტერესო სამუშაო, რაც ჩვენს სულიერ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ მხნე განწყობა, მომავლის რწმენა, იუმორი, კეთილი საქმეების კეთება თქვენი ჯანმრთელობის საწინდარია. ადამიანი სულიერ სიამოვნებას გრძნობს, როდესაც კეთილ და კარგ საქმეს აკეთებს. პესიმისტები ჩვეულებრივ უფრო ადრე კვდებიან, ვიდრე ოპტიმისტები.

ფიზიკურ ვარჯიშთა გამოყენებასთან ერთად განსაკუთრებულ როლს თამაშობს ***მუსიკა, ლიტერატურა, თეატრი, მხატვრობა და სხვ.*** ის, რაც ჩვენს ცხოვრებას ალამაზებს, სიამოვნებას გვგვრის, სასიცოცხლო ენერგიას გვმატებს და სხვ. ისინი ხელს უწყობენ საკუთარი შესაძლებლობების მართვის ხარისხის, ფიზიკურ თვისებათა უკეთ განვითარების, მოძრაობათა ტექნიკის ათვისებისა და სხვა პროცესების გაუმჯობესებას.

მოძრაობითი აქტივობა ადამიანის ორგანიზმის ფუნქციების რეგულაციის ერთ-ერთი ელემენტია. იგი ზრდის ადაპტაციის შესაძლებლობებს. მაგალითად, ჰაერის აბაზანების კურსის მიღების შემდეგ, აშკარად შეიმჩნევა გუნება-განწყობისა და მადის გაუმჯობესება, სტრესული მოვლენების მოხსნა, ნერვული სისტემის დამშვიდება, პერიფერიულ სისხლში ერითროციტების რაოდენობის მომატება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქალებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რამდენიმე წლით უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებში. მაგალითად 2003 წლის მონაცემებით აშშ-ში, საფრანგეთსა და იაპონიაში ეს განსხვავება უდრის 6 წელს, ინგლისში, კანადასა და შვეიცარიაში - 5 წელს, რუსეთში - 9 წელს, საქართველოში კი დაახლოებით 6 წელს. 70 წლის ასაკის ზემოთ ქალებსა და მამაკაცებში ***სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში განსხვავება კლებულობს, 80 წლის ასაკში და მის ზემოთ - თითქმის თანაბარია.*** ამ მოვლენების მიზეზები საბოლოოდ ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. ავტორთა უმრავლესობის აზრით, იგი გამოწვეულია გასულ საუკუნეში მეორე მსოფლიო ომის მძიმე შედეგებით და ისეთი სოციალურ - ჰიგიენური ფაქტორების ზეგავლენით, როგორიცაა მამაკაცებში ტრავმული დაზიანებები, მავნე ჩვევები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის გავრცელების უფრო მაღალი დონე. ზოგიერთი ავტორი ამ მოვლენებში წამყვან როლს ანიჭებენ გენეტიკურ (ბიოლოგიურ) ფაქტორებს, რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, მას შეუძლია გააღრმავოს ან, პირიქით, შეამციროს ქალთა და მამაკაცთა შორის სიცოცხლის ხანგრძლივობის სხვაობა.

როგორ მივიღოთ ალკოჰოლური სასმელები? ჩვენი აზრით ქართველ კაცს ეროვნული ტრადიციები უნდა შევუნარჩუნოთ და შემდგომ იგი უფრო უნდა დავხვეწოთ. დრო მოითხოვს, სპირტიანი სასმელები იმ რაოდენობით მივიღოთ, რომ კარგი გუნება-განწყობა შეგვექმნას და სუფრაზე მეტი დრო დავუთმოთ მხიარულებას, სიმღერას, ცეკვას, პოეზიას, საინტერესო საუბრებს და სხვ. ამჯერად, თანამედროვე მედიცინა არ უარყოფს სასმელების მცირე დოზებით მიღებას, მაგრამ ამ დოზებს ინდივიდუალური ხასიათი უნდა ჰქონდეთ.

თამბაქოს მწეველებმა უნდა დაიმახსოვრონ, რომ ისინი ამით გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ორგანიზმის სასიცოცხლო სისტემებს. ჯანსაღი ცხოვრების წესი ნაადრევი სიბერის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. მისი მიზანია ორგანიზმმა სრულად გამოიყენოს ის ენერგია, რაც უჯრედების ცხოველმყოფელობის შედეგად წარმოიშობა.

მოსახლეობაში ჯანმრთელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დაბალი დონე ხელს უშლის პიროვნების ფუნქციონალური აქტიურობის ზრდას, ეს კი დაავადებათა პრევენციის დაბრკოლების ძირითადი ნიშანია. ეკოლოგიური ვითარების გაუარესება, სოციალური უსაფრთხოების სისტემის არქონა, მედიცინის სფეროში არსებული პრობლემები და მოსახლეობაში ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის დაბალი დონე ამძიმებს დემოგრაფიულ სიტუაციას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის გაუარესება. მოზარდ თაობაში პროგრესირებს სკოლიოზის, გულის რევმატიული, ჰიპერტონიის, მხედველობის, ნევროზის, ართრიტის და სხვა დაავადებები. სიტუაციას აუარესებს ბავშვებსა და ახალგაზრდებში ისეთი გასართობ ღონისძიებათა მზარდი პოპულარობა, როგორიცაა: ავტომატური და კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი და სხვ.

ბიბლიოგრაფია:
ალადაშვილი, ვ., & სვანიშვილი, რ. (1971). *უმოძრაობა ჩვენი საუკუნის დაავადებაა.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ასტახიშვილი, კ. (1966). *ტურიზმი მასობრივი სპორტია.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
გუმოვსკა, ი. (2000). *სწორი კვების 19 მცნება.* თბილისი.
დიასამიძე, ი., & ვოლსკი, ვ. (1970). *ემოციები, რელიგია და ჯანმრთელობა.* ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
მამარდაშვილი, შ. (1981). *გამოყენებითი ფიზიკური მომზადება.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ტუღუში, მ. გ., & გობირახაშვილი, ა. (2018). *მძლეოსნობა* (ნაწ. 1). თბილისი: უნივერსალი.
ტუღუში, მ. გ., & გობირახაშვილი, ა. (2019). *მძლეოსნობა* (ნაწ. 2). თბილისი: უნივერსალი.
შენგელია, მ., ჩხეიძე, ც., ქორჩილავა, ჯ., & მიქაბერიძე, ნ. (1985). *გერონტოლოგიისა და გერიატრიის საკითხები საქართველოში.* თბილისი.
ციბაძე, ა. (1968). *ვარძიიდან ზაჰესამდე.* თბილისი: ნაკადული.
Альперович, В. (1991). *Социальная Геронтология.* Ростов на дану.
Бедный, М. С. (1967). *Продолжительность жизни.* Москва.
Брег, П. (1997). *Здоровье и долголетие.* Москва.
Кристоль, Р. (1995). *Секрети молодости.* Минск.
Пицхелаури, Г. З. (1976). *Долгожители Грузии.* Тбилиси.
Россет, Э. (1981). *Продолжительность человеческой жизни.* Москва.
Селье, Г. (1972). *Стресс без дистресса.* Москва.
Фролькис, В. В. (1988). *Старения и увеличение продолжительности жизни.* Ленинград.
Чоботарев, Д. Д. (1984). *Долгажительство, медицинские и социальние аспекти.* Киев.

Mamia Tughushi, Nelly Papukashvili
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport
Aleksandre Iashvili
Gori State Teaching University

HEALTHY LIFESTYLE AS AN EFFECTIVE WAY TO PROLONG HUMAN LIFE

RESUME

From the ancient times the dream of people have been to maintain vitality, health, ability to work and clear thinking for a long period of time.

In addition, scientists from around the world have been working on this problem for decades, but it can be said that the issue has not been resolved yet.

Only in the United States and a few countries in Western Europe there are some successes.

Based on statistics, it can be said that most people in the world die between the ages of 60-70. The main causes of death are contaminated environment, genetically modified food, malnutrition and widespread diseases of the cardiovascular system.

Based on the analysis of our research, we present several issues in the paper, the resolution that will partially change the situation.

First - despite of the age, it is necessary to apply healthy lifestyle in every day life.
second- Adherence to the day routine.
Third-normal sleep.
Fourth-full-fledged meal.
fifth- Systematic use of morning hygiene exercises.
Sixth - Active participation in the tourist hikes.
Seventh: Exhaustion of the body with air, water and sun.

Keywords: Physical culture, Physical education, Healthy lifestyle, Premature aging, Life expectancy, Mental development, Body motor skills.

Мариам Убирия
Грузинский государственный учебный университет
физического воспитания и спорта

ВЛИЯНИЕ ЭКОЛОГИЧЕСКИХ ФАКТОРОВ НА ФИЗИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ДЕТЕЙ

Ключевые слова: Физическое развитие, Экологические факторы, Физическое воспитание.

В процессе систематических занятий физическими упражнениями, в частности на открытом воздухе, в организме детей происходят функциональные изменения. По данным ВОЗ, экологические факторы обуславливают более 25% всех заболеваний человека, а в некоторых регионах этот показатель может достигать и 40%.

В процессе онтогенеза индивидуум в большей степени взаимодействует с двумя физическими факторами – температурой окружающей среды и атмосферным давлением. Реакция организма на эти факторы самым непосредственным образом связана с массой, геометрическими размерами и пропорциями тела, то есть с физическим развитием. Интенсивность производства тепла в организме пропорциональна его массе, а скорость теплоотдачи пропорциональна площади поверхности тела.

Для изучения влияния экологических факторов в процессе занятия физическими упражнениями мы обследовали детей старшей и подготовительной групп, мальчиков и девочек отдельно.

Мы проанализировали в динамике функциональные показатели: частоту сердечных сокращений (ЧСС), артериальное давление (АД), жизненную емкость легких (ЖЕЛ), пульсовое давление, индекс выносливости, индекс Кетле и антропометрические показатели. В первый год исследования одни и те же дети находились в средней группе, во второй год – в подготовительной (как контрольная, так и экспериментальная группы). В экспериментальной группе дети старшей и подготовительной групп выполняли физические упражнения на открытом воздухе в течение всего года. В контрольной группе занятия проходили в спортивном зале. Исследования проводились с учетом всех гигиенических, педагогических и психологических требований, предъявляемых к занятиям физическими упражнениями с детьми данного возраста.

В старшей экспериментальной группе антропометрические показатели мальчиков и девочек находились в норме. В подготовительной группе у девочек и мальчиков рост и окружность грудной клетки (ОГК) имели высокий показатель (10), а вес – средний. В контрольной группе девочек и мальчиков, как в средней, так и в подготовительной группе, длина и масса тела определялись как низкие, окружность грудной клетки - как средняя.

С возрастом происходило урежение числа сердечных сокращений. По нашим данным, в контрольной группе девочек и мальчиков урежение недостоверно. Так, у девочек показатели ЧСС в старшей группе составили 94 ± 0,3 уд/мин, а в подготовительной - 93 ± 0,4 уд/мин. В экспериментальной группе девочек уменьшение показателей ЧСС достоверно ($p<0,05$), у мальчиков урежение частоты сердцебиений в 2,4 раза больше, чем у девочек и также достоверно ($p<0,001$).

Число сердечных сокращений мальчиков и девочек дошкольного возраста имеет тенденцию к изменению, причем в возрасте 4-6 лет различия только намечаются (в пределах 1-3 уд/мин). (Безруких & Фарбер, 2000, стр. 168) По нашим данным, эти различия составляют в среднем 1-2 уд/мин. Реакция сердечно - сосудистой системы детей 6-7 лет на нагрузки зависит от тренированности сердца: резервные возможности детей, систематически занимающихся физическими упражнениями, увеличиваются (Абзалов & Ситдиков, 1998, стр. 21)

Задача физического воспитания детей 6 лет – развитие моторики. В программу занятий с учетом гигиенических требований мы включили длительные прогулки, пробежки в течение 5-7 мин; с учетом погоды занятия продолжались до 35 мин. (Бальсевич, 2000, стр. 206) Совместно с родителями детям прививали элементарные правила личной гигиены, проводили теоретические занятия. Нельзя не вспомнить педагога – новатора Я.А.Коменского, который около 350 лет назад говорил об огромном значении физического воспитания, необходимости возбуждения положительных эмоций в процессе физического воспитания детей. «Веселое настроение – половина здоровья», - утверждал он, то есть ребенок должен испытывать удовольствие от движений. А к основным правилам гигиены и поведения Я.А.Коменский рекомендовал приучить ребенка уже с двух лет. (Коджаспиров, 2000, стр. 8)

При организации исследований мы учитывали абиотические факторы. Известно, что на человека, особенно на обеспечение крови кислородом и на работоспособность головного мозга, активно влияют положительные и отрицательные ионы атмосферного воздуха. С возрастом же, и это проявляется в 6-7 лет, снижается бронхиальная активность. С 5 до 6 лет наблюдается увеличение объемной скорости спокойного дыхания благодаря развитию дыхательной мускулатуры. (Безруких & Фарбер, 2000, стр. 168) Показателем хорошего развития дыхательной системы служит достаточная жизненная емкость легких. (Хрипкова, Антропова, & Фарбер, 1990, стр. 227) ЖЕЛ с возрастом увеличивается и зависит от пола, степени развития

грудной клетки и дыхательных мыщц и служит одним из показателей физического развития, определяющих здоровье человека.

Анализ выявил существенные изменения жизненной емкости легких у мальчиков исследуемых групп. Так в экспериментальной подготовительной группе жизненная емкость легких была выше возрастной нормы (Хрипкова, Антропова, & Фарбер, 1990, стр. 227), в контрольной подготовительной группе показатели более низкие.

Достоверное увеличение ЖЕЛ зарегистрировано во всех группах, но степень ее увеличения в экспериментальной группе почти в два раза больше, чем в контрольной группе. У девочек 6 лет физиологическая норма жизненной емкости легких составляет 1100 мл, а в 7 лет – 1200 мл (Хрипкова, Антропова, & Фарбер, 1990, стр. 227), что меньше, чем у мальчиков.

У девочек показатели жизненной емкости легких от старшей к подготовительной группе увеличиваются во всех исследуемых группах. В контрольной группе увеличение недостоверно, а в экспериментальной группе – достоверно ($p<0,05$).

Показатель индекса Кетле (упитанности, см /кг) во всех группах девочек и мальчиков был меньше нормы. Индекс выносливости у детей во всех группах соответствует среднему показателю.

Таким образом, проведенные нами исследования позволяют обобщить фактический материал. Экологические факторы, в частности абиотические, при занятиях физическими упражнениями на открытом воздухе положительно влияют на физическое развитие детей дошкольного возраста. Учет индивидуальных особенностей детей, гигиенических норм при проведении систематических занятий, а также использование различных средств, форм и методов физического воспитания способствовали снижению показателей числа сердечных сокращений и увеличению жизненной емкости легких у дошкольников экспериментальной группы. Социальные факторы в большей степени повлияли на антропометрические показатели детей контрольной и экспериментальной групп. Научно обоснованное сочетание педагогических, психологических и медико – биологических методов положительно воздействует на физическое развитие организма.

Библиография:

Абзалов, Р. А., & Зиятдинова, А. И. (1997). Экология физической культуры человека. *Теория и практика физической культуры* (7).

Абзалов, Р. А., & Ситдиков, Ф. Г. (1998). *Развивающееся сердце и двигательный режим.* Казань.

Бальсевич, В. К. (2000). Онтокинезиология человека. *Теория и практика физической культуры* (3).

Безруких, М. М., & Фарбер, Д. А. (2000). *Физиология развития ребенка.* Москва.

Зиятдинова, А. И. (1999). Экология физической культуры человека. *Теория и практика физической культуры* (8).

Коджаспиров, Ю. Г. (2000). Физическое воспитание молодых протестантов. *Теория и практика физической культуры* (3).

Матвеев, Л. П. (1999). Категории «развитие», «адаптация» и «воспитание» в теории физической культуры и спорта. *Теория и практика физической культуры* (1).

Хрипкова, А. Г., Антропова, М. В., & Фарбер, Д. А. (1990). *Возрастная физиология и школьная гигиена.* Москва: Просвещение.

Mariami Ubiria

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

INFLUENCE OF ECOLOGICAL FACTORS ON PHYSICAL DEVELOPMENT OF CHILDREN

RESUME

For studying the influence of ecological factors during physical exercises the author surveyed children of the senior and preparatory groups, boys and girls separately.

The researches allow to generalize an actual material. Ecological factors, in particular abiotic, at physical exercises on the open air render a positive effect on the physical development of children of preschool age. The account of specific features of children, hygienic norms at realization of regular classes and as the use of various means, forms and methods of physical training promoted decrease of cardiac rate in preschool children of experimental group. Social factors in the greater degree have affected anthropometrical parameters of children of control and experimental groups. The competent combination of pedagogical, psychological and medical and biologic methods renders positive influence on physical development of an organism.

Keywords: Physical development, Environmental factors, Physical education.

მაია აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე არსებული ტენდენციები და მათი შესწავლა

საკვანძო სიტყვები: ვიზიტორები, ტენდენციები, ტურ-პროდუქტი, რეგიონი, ანალიზი, ბაზარი.

შესავალი

„ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის“ 2017 წლის ანგარიშის წინასიტყვაობაში მოყვანილია „გაერთიანებული ერების“ გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის სიტყვები: „ყოველდღიურად 3 მილიონზე მეტი ადამიანი კვეთს საერთაშორისო საზღვარს. ყოველწლიურად თითქმის 1.2 მილიარდი ადამიანი მიემგზავრება სამოგზაუროდ საზღვარგარეთ. ტურიზმი იქცა ეკონომიკის საყრდენად, საშვად კეთილდღეობისაკენ და ძალად, რომელიც სასიკეთოდ ცვლის მილიონობით ადამიანის ცხოვრებას (World Tourism Organization (UNWTO), 2018).“ ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია, რომელმაც მხოლოდ 2018 წელს 1.32 მილიარდზე მეტ ტურისტს გაუწია მომსახურება, მოიხსენიება „გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებში“. მაგალითად, მერვე მიზნის „ღირსეული დასაქმება და ეკონომიკური ზრდა“ ქვეშ მოცემულია: „2030 წლისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს პოლიტიკა მიმართული მდგრადი ტურიზმის, დასაქმების, ადგილობრივი კულტურისა და პროდუქციის განვითარებაზე (Division for Sustainable Development Goals (DSDG), 2015).

რეგიონის ტურიზმის დარგი არის სოციალური და ეკონომიკური სისტემა, შიდა და გარე ფაქტორებისგან შემდგარი, რომლის დროსაც ტურისტული პროდუქტი წარმოიქმნება და რეალიზდება. ტურისტები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი მოსახლეობა, ხელისუფლების ორგანოები და სხვა, რომელთა საქმიანობაც მიმართულია იმისათვის, რომ ყველა საუკეთესო პირობა შეუქმნას ტურისტს და მათ მოთხოვნები დააკმაყოფილოს წესების და ნორმების დაცვით.

ტურიზმის სექტორის ზრდის მიხედვით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. ტურისტული ნაკადები ჩვენს ქვეყანაში მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ვერ დაიკავა საქართველომ საპატიო ადგილი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. ნაშრომში შესწავლილია რეგიონული ტურისტული ბაზრის დინამიკა. ტურიზმის დარგის მდგომარეობის ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რეგიონალური ტურისტული პროდუქტი, სტატისტიკა, ტურების სახეობები, მათზე მოთხოვნა და სხვ.

საერთაშორისო ტურიზმი საქართველოს მომავალია. საქართველო ტურისტისთვის ერთი დიდი დესტინაციაა და სწორი პროდუქტის და ხარისხიანი სერვისის შექმნის შემთხვევაში, ქვეყანაში შემომსვლელმა ტურისტმა თავისუფლად შესაძლებელია რეგიონებისკენ აიღონ გეზი.

ლიტერატურული მიმოხილვა

რეგიონული ტურიზმის განვითარების ტენდენციები და ასპექტები ფართოდაა გაშუქებული როგორც ქართულენოვან, ისე უცხოურ ლიტერატურასა და სამეცნიერო შრომებში. შესწავლილი იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები და კვლევები, ტურიზმთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციების მასალები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გამოქვეყნებული ანგარიშები, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთ მეცნიერთა შრომები, როგორიცაა: Glover, P., & Prideaux, B., John Adams, Dwyer, L. David White, B.H, Ryan, C, Rickman, Dwyer, L, D.S, Schwer, R.K. და სხვა. ტურიზმის დარგის საკითხებზე განსაკუთრებული კვლევები აქვთ ქართველ მეცნიერებს მარინა მეტრეველს, ლარისა ყორღანაშვილს, ლილი კოჭლამაზიშვილს, ლარისა დოლიკაშვილს, მაია მარგველაშვილს, ნიკო კვარაცხელიას და სხვ.

მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სოციალური კვლევა, რაც გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას და გაანალიზებას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა დადგინდეს ტურიზმის დარგისადმი საზოგადოების დამოკიდებულება. სოციალური კვლევის მეთოდები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. რაოდენობრივი კვლევით მონაცემთა მოპოვება ხდება. მონაცემების შეგროვების მთავარი ინსტრუმენტი მასობრივი გამოკითხვაა, რაც გულისხმობს კითხვარის შედგენას ამა თუ იმ საკითხის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად, კვლევაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფის გამოყოფას, კვლევის ჩატარებას, მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, და ბოლოს, კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას. მასობრივი გამოკითხვა ორი ტიპისაა: ანკეტირება და ინტერვიუ. (წულაძე, 2008).

სტატისტიკური ინფორმაციის უდიდესი წყაროა სტატისტიკის ეროვნული ბიურო, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს თემატურ ანგარიშებს და ხელმისაწვდომია მათ საიტზე. ასევე ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს გამოქვეყნებული აქვს ანგარიშები და კვლევები წლების თუ სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით. ადგილზე ტურიზმის ტენდენციების შესასწავლად ძალიან სასარგებლოა ადგილობრივი მთავრობების თუ ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მიერ წარმოებული სტატისტიკა. ტურისტული ობიექტები თვითონაც ახორციელებენ თავიანთი მომხმარებლების და მათი დემოგრაფიის აღწერას. ინფორმაციის მესამე მნიშვნელოვანი წყარო არის ინტერვიუები დაინტერესებულ კომპეტენტურ პირებთან. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ტურიზმის სფეროში დასაქმებული ნებისმიერი პირი, რომელიც პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლებს თავისი დაკვირვების, მოსაზრებების, კონკრეტული შემთხვევებისა და მაგალითების გაზიარებას.

შედეგები და დისკუსია

ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრიის ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის მცირე არ არის. ამ დარგთან დაკავშირებული ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 21.5%-ით გაიზარდა და 6.53% ანუ 2,68 მილიარდი ლარი შეადგინა (საქსტატი, 2019). აღსანიშნავია მისი მნიშვნელობა ექსპორტისათვის, სადაც 2018 წელს 5.75 მილიონი საერთაშორისო სტუმრის მთლიანი დანახარჯი (მაგალითად, სასტუმრო, მგზავრობა, საკვები და სასმელი, გართობა, სხვადასხვა საყიდლები, თუ სხვა) ≈0.66 მილიარდ ლარს შეადგენდა. ეს სიდიდე სავსებით შესადრისია ≈11.3 მილიარდ ლარ მომსახურების ექსპორტთან და მის 5.82%-ს შეადგენს (საქსტატი, 2019). ამასთან ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის სექტორია. მთლიან შიდა პროდუქტში მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის წილის ზრდა ბოლო ხუთი წელია აღემატება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას (საქსტატი, 2019), მაგალითად, 2018 წელს ≈2.5-ჯერ.

ტურიზმის ეკონომიკის ანალიზის დროს საინტერესოა ვიზიტორების, ვიზიტების და ტურისტული დანიშნულების რეგიონების ურთიერთკავშირი. ასევე მნიშვნელოვანი მახასიათებელია გათეული ღამეების რაოდენობა. 2014-2018 წლების მონაცემებზე დაყრდნობით უცხოელი ვიზიტორებისათვის ვიზიტების შეფარდება ვიზიტორების რაოდენობასთან შეადგენს 1.28, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეული ვიზიტორი საშუალოდ 1.28-ჯერ ეწვევა საქართველოს სტუმრად. ამ სიდიდეს ზომიერი კლების ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, 2014 წელს ის 1.30 შეადგენდა, ხოლო 2018 წელს 1.25-მდე შემცირდა (საქსტატი, 2019). თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა ამ წლებში იზრდებოდა, ამ ინდექსის კლება მიუთითებს განმეორებითი ვიზიტების სიმცირეზე. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი სიგნალი იყოს. რაც ეხება ვიზიტის დროს მონახულებული რეგიონების რაოდენობის შეფარდებას ვიზიტების რაოდენობასთან, იგი 1.35 შეადგენს. ანუ ვიზიტორი ვიზიტის დროს 1.35 რეგიონს ეწვევა სტუმრად. ამ სიდიდეს დადებითი დინამიკა ახასიათებს, რაც პოზიტიური სიგნალია. განმეორებითი ვიზიტების მსგავსად, ღამისთევის მაჩვენებლის სიდიდე უცხოელი ვიზიტორებისათვის უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება და 2014 წლის 4.65-დან 2018 წელს 4.19-მდე შემცირდა (საქსტატი, 2019). ესეც შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი სიგნალი იყოს. რაც ეხება ადგილობრივ ტურიზმს, 2014-2018 წლების მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორის მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის შეფარდება ვიზიტორების რაოდენობასთან შეადგენს 1.23. მისი დინამიკაც, უცხოელი ტურისტების მსგავსად, უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს იგი 1.27 შეადგენდა, ხოლო 2018 წელს კი 1.20. რეგიონი - ვიზიტის შეფარდებაც საქართველოს რეზიდენტებისათვის უფრო მცირეა, ვიდრე ეს უცხოელი ვიზიტორებისათვის და 1.01 შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რეზიდენტი საშუალოდ ნაკლები რაოდენობის რეგიონს ეწვევა სტუმრად ვიზიტის დროს, ვიდრე უცხოელი ვიზიტორი. ვიზიტის დროს გათეული ღამეების რაოდენობა ასევე ნაკლებია საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორისათვის და გამოირჩევა კლების ტენდენციით. ასე 2014 წელს იგი 2.36 შეადგენდა და 2018 წელს კი 1.89 (საქსტატი, 2019).

სოციალური თვალსაზრისით ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვანია დასაქმებისათვის. მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული ადამიანების რიცხვი 2018 წელს 18.9%-ით გაიზარდა 2017 წელთან შედარებით და ≈44.4 ათას ადამიანს მიაღწია, რაც დაქირავებულთა 5,16%-ს, უხეშად ყოველ მეოცე მუშაკს წარმოადგენს. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება ამ სექტორში 2018 წელს 885.6 ლარს შეადგენდა, შესაბამისად შრომის წლიურმა ანაზღაურებამ 2018 წელს 470 მილიონ ლარს გადააჭარბა (საქსტატი, 2019). ამასთან, ანგარიშგასაწევია თვითდასაქმება ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში, იქნება ეს საოჯახო სასტუმრო, მცირე ზომის საზოგადოებრივი კვების ობიექტი, ადგილობრივი სამანქანო სატრანსპორტო მომსახურება, საკვები პროდუქტების მიწოდება, ექსკურსიამძღოლისა თუ გიდის მომსახურება და სხვ.

მოქალაქეობის მიხედვით ვიზიტორთა განაწილება 2014-2018 წლებში ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ვარიაბელობით. სულ ამ წლებში საქართველოს ტურისტის სახით ეწვია ≈23.6 მილიონი სტუმარი მრავალი სხვადასხვა ქვეყნიდან (საქსტატი, 2019). ამ ადამიანების ნახევარზე მეტი წარმოდგენილი იყვნენ სომხეთის (19.6%), აზერბაიჯანისა (19.6%) და რუსეთის (17.8%) მოქალაქეებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2014-2018 წლებში სომხეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეთა რაოდენობას ახასიათებდა უმნიშვნელო, მაგრამ კლების ტენდენცია, ხოლო რუსეთის მოქალაქეების რაოდენობას კი პირიქით სავსებით გამოხატული ზრდის ტენდენცია. შესაბამისად, თუ 2014 წელს რუსეთის მოქალაქეთა წილი უცხოელ ვიზიტორებში შეადგენდა 15.5%-ს, 2018 წელს იგი 20.9%-ს გაუტოლდა, და რუსეთის მოქალაქეებმა ვიზიტორთა რიცხვით საქართველოში პირველი ადგილი დაიკავეს. საპირისპიროდ, სომხეთის მოქალაქეები, რომლებიც 2014 წელს პირველ ადგილზე იყვნენ ვიზიტორთა რაოდენობით საქართველოში. და მათი წილი 20.4%-ს შეადგენდა, შეამცირეს მოგზაურობა საქართველოში, და მათი წილი ვიზიტორთა შორის 2018 წელს 16.0% გახდა. ვიზიტორთა საკმაოდ დიდი ნაწილი არიან თურქეთის მოქალაქეები, რომელსაც საქართველოსთან სამხრეთ-აღმოსავლეთით სახმელეთო საზღვარი აქვს. თუმცაღა მათ რაოდენობასაც ახასიათებდა კლების ტენდენცია 2014-2018 წლებში. ასე 18.8%-დან 2014 წელს იგი 2018 წელს 13.3%-მდე შემცირდა. რაც ეხება ევროკავშირის ქვეყნებს, მათი მოქალაქეების წილი ვიზიტორთა შორის არ არის დიდი და 2018 წელს 6.2%-ს უდრიდა, მაგრამ ამ რაოდენობას 2014-2018 წლებში ზრდის მაღალი ტენდენცია ახასიათებდა. საქართველოში ვიზიტორებს შორის ზრდის ტენდენციით 2014-2018 წლებში გამოირჩევა ასევე ირანისა (0.7%-დან 4.7%-მდე ანუ 6.5-ჯერ) და ისრაელის (1,2%-დან 2.7%-მდე ანუ 2.3-ჯერ) მოქალაქეთა რაოდენობაც. რაც ეხება საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უდაო ლიდერი თბილისია (საქსტატი, 2019). თუმცაღა თბილისელთა რიცხვი ვიზიტორებს შორის პრაქტიკულად არ იზრდება. მაგალითად, პერიოდში 2014 წლიდან 2018 წლამდე იგი მხოლოდ 0,9%-ით გაიზარდა. ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევიან მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და აჭარის მკვიდრნი, რომლებიც სულ უფრო ხშირად მოგზაურობენ საქართველოს ფარგლებს შიგნით. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და განსაკუთრებით სამცხე ჯავახეთის მაცხოვრებელთა რიცხვი ვიზიტორებს შორის ამ წლებში კი მცირდებოდა. თუ უცხოელი ვიზიტორისათვის მოგზაურობის მიზანს უმეტესწილად წარმოადგენს დასვენება, გართობა და რეკრეაცია (2014–2018 წლის მონაცემების მიხედვით ვიზიტების 37.1%) და მხოლოდ შემდეგ მეგობრებისა და ნათესავების მონახულებას (იგივე მონაცემებით ვიზიტების 22.1%), საქართველოს რეზიდენტები მოგზაურობის მიზნად ყველაზე ხშირად სწორედ მეგობრებისა და ნათესავების მონახულებას ასახელებენ (იგივე მონაცემებით 52.3%) (საქსტატი, 2019). ამასთან, უცხოელი ვიზიტორებისათვის დასვენება, გართობა და რეკრეაცია ტურიზმის ის ფორმებია, რომელიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამ მიზნით განხორციელებული ვიზიტების წილი 2018 წელს 2014 წელთან შედარებით 40.6%-ით გაიზარდა. უცხოელი ვიზიტორების მოგზაურობის მიზნად ასევე საკმაოდ ხშირად სახელდება ტრანზიტი, პროფესიული საქმიანობა და საყიდლები. რაც შეეხება სამედიცინო ტურიზმს, მისი წილი უმნიშვნელოა (იგივე მონაცემებით 3.4%) და კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორები თითქმის ხუთჯერ უფრო იშვიათად მოგზაურობენ საქართველოში საყიდლების, მკურნალობის და დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით ვიდრე მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად. ამავდროულად ვიზიტის სამივე აღნიშნული ფორმა ხასიათდება ზრდის ტენდენციით. მოგზაურობის დანიშნულების მთავარ ადგილად თბილისი წარმოადგენს პირველ არჩევანს, როგორც უცხოელ, ასე საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებს შორის. აჭარა მეორე ადგილზეა უცხოელ ვიზიტორებს შორის, ხოლო იმერეთი მესამეზე. საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებს შორის კი პირიქით, მეორე ადგილზეა იმერეთი, ხოლო პირველ ადგილზე კი აჭარა. საინტერესოა, რომ თბილისი, იმერეთი და აჭარა შეადგენენ დანიშნულების მთავარ ადგილს უცხოელი ვიზიტორების მიერ 70.6% შემთხვევაში, ხოლო საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებისა 56.5% შემთხვევაში. სამწუხაროა,

რომ ისეთი რეგიონები, როგორიცაა სამეგრელო და ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია იშვიათად სახელდებიან მოგზაურობის დანიშნულების მთავარ ადგილებად (საქსტატი, 2019). თუ გავითვალისწინებთ ამ რეგიონების ტურისტული რესურსის სიმდიდრეს, ამგვარი განაწილება შეიძლება მიუთითებდეს ტურისტული პროდუქტების და დამხმარე ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე. რაც ეხება კახეთს, იგი ახლოს არის პირველ სამეულთან და როგორც უცხოელ, ასევე საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებში მეოთხე ადგილს იკავებს. (USAID, 2019)

ტურისტების კმაყოფილების ანალიზი 2014–2018 წლებში აჩვენებს, რომ უცხოელი და საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებიც კმაყოფილნი არიან საქართველოში გატარებული დროით. გამოკითხულთა 80%-ზე მეტი გამოკითხვისას ამბობს, რომ კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია. ამასთან კმაყოფილების საშუალო შეწონილი ქულის ანალიზი აჩვენებს უცხოელი ვიზიტორებისათვის მცირე, მაგრამ კლების ტენდენციას. ასე, უცხოელი ვიზიტორებისათვის 2014 წელს იგი შეადგენდა 4.50 ქულას მაქსიმალური 5 ქულიდან, ხოლო 2018 კი 4.35 ქულას. საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორისათვის კმაყოფილების შეფასების რაიმე ცალსახა ტენდენცია არ იკვეთება. (საქსტატი, 2019)

ტურისტული ადგილის განვითარებისთვის და მარკეტინგისთვის ტურისტული პროდუქტების განსაზღვრა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ყველა შემდგომი გადაწყვეტილებების ორიენტირება ხდება. აუცილებელია შერჩეული პროდუქტების მიზნობრივი განვითარება და პოზიციონირება ბაზარზე დივერსიფიცირებულ მოთხოვნაზე საპასუხოდ. ტურისტული პროდუქტების აზრიანი შერჩევა და მათში პრიორიტეტიზაცია ფინანსური სახსრების მიზნობრივად გამოყოფის საშუალებას იძლევა. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018)

ტურიზმის მნიშვნელობის განხილვისას ყურადღება ეთმობა მის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს. თანამედროვე სამყაროს წინაშე არსებული გამოწვევები - კლიმატის გლობალური ცვლილება, ჰაბიტატის დეგრადაცია, თვითმყოფად კულტურათა და წეს-ჩვეულებათა ეროზია, ცხოველთა სამყაროსა და მცენარეული საფარის ნაირსახეობათა განადგურება, სიღარიბე და უთანაბრობა - მწვავეა, როგორც არასოდეს აქამდე. მძაფრდება პოლემიკა გაბატონებულ ნეო-ლიბერალურ შეხედულებებთან ბიზნეს-ეთიკასა და სამომხმარებლო ქცევაზე. აუცილებელი ხდება ფუნდამენტური ცვლილებები, მეტი პასუხისმგებლობა და ყურადღება ყველა იმ საკითხს, რომელიც განსაზღვრავს სიცოცხლისუნარიანობას ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. „ტურიზმი არ არის მხოლოდ დასვენება და გართობა. იგი ფლობს უზარმაზარ პოტენციალს წაახალისოს სოციალური და კულტურული ცვლილებები, დაამკვიდროს აზროვნების ახალი პარადიგმა... მილიარდი ტურისტი შეიძლება გახდეს მილიარდი სტიუარდი - გლობალური ძალა, რომელიც ზრუნავს ჩვენს პლანეტაზე და ყველა ადამიანის მომავალზე," - ამბობს ტალებ რიფაი, „ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის" გენერალური მდივანი.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2019). ვებგვერდი: https://www.geostat.ge.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2018). *სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად.* თბილისი.

წულაძე, ლ. (2008). *რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.* თბილისი.

Division for Sustainable Development Goals (DSDG). (2015).

Globaldit Firm. (2018). *Global Report on Inclusive Tourism Destinations.* Madrid: World Tourism Organization (UNWTO).

Glover, P., & Prideaux, B. (2016). Implications of Population Ageing for the Development of Tourism Products and Destinations. *Journal of Vacation Marketing*.

Gómez, M., Medina, F., & Puyuelo, J. (2016). New Trends in Tourism? From Globalization to Postmodernism. *International Journal of Scientific Management Tourism, 2* (3).

USAID. (2019). *შექმენი შენი ტურისტული პროდუქტი შენი რეგიონის გათვალისწინებით.*

World Tourism Organization (UNWTO). (2018). *World Tourism Organization Annual Report.* Madrid, Spain: World Tourism Organization (UNWTO).

Maia Azmaiparashvili
Gori State Teaching University

TRENDS IN THE REGIONAL TOURISM MARKET AND THEIR STUDY

RESUME

Georgia is one of the leading countries in the growth of tourism sector. Tourist flows are increasing in our country even though Georgia has not yet occupied an honorable place in the world tourist market. The paper studies the dynamics of the regional tourism market. When analyzing the state of the tourism industry, special attention is paid to issues such as: regional tourism product, statistics, types of tours, demand and so on. Social research was used in the course of the work, which involved collecting and analyzing data. When analyzing the tourism economy, it is interesting to see the interrelationships between visitors, visits and tourist destinations. Tbilisi is a prime destination for travelers, both foreign and resident visitors of Georgia. Adjara ranks second among foreign visitors and Imereti third. Tourist Satisfaction Analysis 2014 - 2018 shows that both foreign and Georgian resident visitors are satisfied with the time spent in Georgia.

Keywords: Visitors, Trends, Tour product, Region, Analysis, Market.

ლია ბიბილაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მოტივაციის თეორიები თანამედროვე მენეჯმენტში

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, მიმართულება, ძალისხმევა, აღიარება, სტიმულირება, დაჯილდოება.

მოტივაცია - ეს არის უნარი, ადამიანი იქამდე მიიყვანოთ, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა, იმიტომ რომ ეს თვითონ მას სურს“
დ. ეიზენჰაუერი

შესავალი

თანამედროვე პირობებში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციული განვითარების პრობლემებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესურსული პოტენციალის სწორად განსაზღვრა-შეფასებისა და რაციონალური გამოყენების საკითხებს.

ამ პოტენციალის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ადამიანური რესურსები, რომლის სწორმა ფორმირებამ, ბაზრის კონკრეტული სეგმენტისადმი შესაბამისობამ და ოპტიმალურმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზაციათა ეფექტიან ფუნქციონირებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ორგანიზაციაში პერსონალის მოტივაციის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და განვითარება.

მოტივაციის არსი და თეორიები

ცნობილია, რომ მოტივაცია არის კონკრეტული მიმართულებით ქცევის განხორციელების სურვილი. მას ხშირად უწოდებენ მამოძრავებელ ძალას, ანუ მექანიზმს, რომელიც უბიძგებს ადამიანს, გადალახოს წინააღმდეგობები და მიაღწიოს სასურველ მიზანს. განასხვავებენ შინაგან და გარეგან მოტივაციას. ეგზოგენური, ანუ გარეგანი მოტივები უშუალოდ დასმული ამოცანებიდან არ აღმოცენდება, თუმცა მათი გარეგანი მხარეა. ისინი მოტივირებულს ხდიან დასაქმებულს სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და არა იმ სიამოვნების მინიჭებით, რაც მათ ამოცანის წარმატებულმა განხორციელებამ შეიძლება მოუტანოს. ენდოგენური, ანუ შინაგანი მოტივები თანამშრომელს უბიძგებს, იმუშაონ იმ

კმაყოფილების მისაღებად, რომელიც ამოცანის შესრულებასა და კონკრეტული შედეგის მიღწევას მოჰყვება ხოლმე. ამ შემთხვევაში ქცევა პროვოცირებულია შედეგით, ანუ წახალისებით. შრომის ეფექტიანობასთან უშუალო კავშირში უფრო მეტად შინაგანი მოტივაცია იმყოფება. ცხადია, შინაგანი მოტივაცია განაპირობებს ხანგრძლივ პერსპექტივაში თანამშრომლის ინტერესს საკუთარი მოვალეობისადმი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოტივირება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებებთან. მოთხოვნილება არის ადამიანის მიერ აღქმული უკმარისობის გრძნობა იმის მიმართ, რაც მისთვის მიუწვდომელია და აუცილებელია მისი ნორმალური ცხოვრებისთვის. თანამედროვე ლიტერატურაში არსებობს ადამიანის მოთხოვნილებების საკმაოდ ბევრი, მეტ-ნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაცია, მათგან ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მასლოუს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციაა. მასლოუს მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნილებათა იერარქიის კლასიფიკაციაში გამოყოფილია პირველადი და მეორადი მოთხოვნილებანი, პირველადს მიეკუთვნება ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებანი; მეორადს - აღიარება პატივისცემის, სოციალური და თვითგამოხატვის. ამასთან, მოთხოვნილებათა თითოეული ჯგუფის კომპონენტები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

1. ფიზიოლოგიური (საკვები, წყალი, ჰაერი, ტანსაცმელი, ანუ ის მოთხოვნილებები, რომლებიც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის არსებობას უზრუნველყოფს);

2. უსაფრთხოების (შემოსავლის მუდმივი წყაროს, საიმედო სამუშაო ადგილის, ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოების არსებობის);

3. სოციალური (სოციალური, კონტაქტების, კოლეგებთან არაფორმალური ურთიერთობების, ორგანიზაციული კულტურის გათავისების მოთხოვნილებანი);

4. აღიარება-პატივისცემის (ინდივიდის პატივისცემა კოლეგების მიერ, ხელმძღვანელების მხრიდან მათი მიღწევების აღიარება);

5. თვითგამოხატვის (საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენა-რეალიზების, შემოქმედებითი განვითარებისა და პიროვნული ზრდის).

თუ გადავხედავთ მოტივაციის თეორიებს, მასში იკვეთება კლეიტონ ალდერფერის თეორია ERG, რომელშიც განზოგადებულია მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის კონცეფცია. ალდერფერმა მოთხოვნილებები სამ ძირითად კატეგორიად დაყო: არსებობის, ურთიერთობათა და განვითარების. მისი არსებობის მოთხოვნილებები ახლოსაა მასლოუს ფიზიოლოგიურ და უსაფრთხოების მოთხოვნილებებთან. ურთიერთობათა მოთხოვნილებებში იგულისხმება სოციალური ჯგუფის წევრობა და აღიარება, განვითარების მოთხოვნილებებში კი შედის მასლოუს თვითრეალიზაციის მოთხოვნილებები. მოტივაციის შემდეგი მნიშვნელოვანი თეორია ეკუთვნის ფრედერიკ ჰეცბერგს, მან თავისი თეორია დააფუძნა კვლევაზე, რომლის დახმარებითაც დაასკვნა, რომ სამუშაო გარემოში თანამშრომელთა დათრგუნვის გამომწვევი ფაქტორებია: საწარმოს პოლიტიკა, მართვის მეთოდი, თანამშრომლებთან ურთიერთობა, უსაფრთხოება, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და სპეციფიკური სამუშაო. მათთვის კმაყოფილების მომტანი და სასურველი კი - რესპონდენტთა მიღწევები, მათი აღიარება, პასუხისმგებლობა, დაწინაურების პერსპექტივა, განვითარების შესაძლებლობა და საინტერესო შინაარსის სამუშაოა.

ფაქტები ადასტურებს, რომ კარგად ორგანიზებული სამუშაო დადებით გავლენას ახდენს როგორც თანამშრომელთა კმაყოფილებაზე, ისე მათი სამუშაოს ხარისხზე. პიროვნების ფუნქციური დატვირთვა არის ის ვალდებულება, რომელსაც თანამშრომელი იღებს ორგანიზაციის წინაშე, თანამშრომლის ფუნქციური დატვირთვის მოტივაციური დიზაინი გულისხმობის საქმიანობის ისე დაგეგმვას, რომელიც აამაღლებს შრომისაგან მიღებული კმაყოფილების დონეს, გაზრდის მის ხარისხსა და მწარმოებლურობას. ფუნქციური დატვირთვის დიზაინში გამოიყენება გამარტივების, როტაციისა და გაფართოების მიდგომები. ფუნქციური დატვირთვის დიზაინის კონცეფციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანეს რიჩარდ ხეკმანმა და გრეგ ოლდხემმა. მათ ჩამოაყალიბეს საკვანძო პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ თანამშრომლებს ჰქონდეთ საქმის კარგად შესრულების სურვილი.

მენეჯმენტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამართლიანობის განცდაზე, პორტერისა და ლოულერის მიერ წარმოდგენილი მოტივაციის თეორიები მოლოდინისა და სამართლიანობის შემდეგ ელემენტებს მოიცავს: დახარჯული სამუშაო ძალა, აღქმა, მიღებული შედეგი, გასამრჯელო და კმაყოფილების ხარისხი. ამ მოდელის მიხედვით მიღწეული შედეგი დამოკიდებულია მუშაკთა მიერ დახარჯულ სამუშაო ძალაზე, მათ უნარსა და საკუთარი როლის შეცნობაზე. ამ თეორიის მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ შრომის მაღალი შედეგიანობა სრული კმაყოფილების მიზეზია.

მოტივაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ქართულ კომპანიებს ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის საშუალებას უნდა აძლევდეს. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოტივაციაზე საუბრისას ხელმძღვანელთა უმეტესობას ბონუსებისა და პრემიების ასოციაცია უჩნდებათ. სინამდვილეში კი, ფინანსური წახალისება მოტივაციის ერთ-ერთი, თუმცა ხშირად არცთუ ისე ეფექტიანი სტრატეგიაა. თანამედროვე მენეჯმენტში მოტივაციის მრავალი სტრატეგიაა ცნობილი, თუმცა, სამწუხაროდ, მათ მენეჯერები რეალურად არ იყენებენ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ წახალისება. ცხადია, დიდია წახალისების მნიშვნელობა კვალიფიციური კადრების მოზიდვის, კადრების დენადობის ნორმალურ საზღვრებში შენარჩუნებისა და ორგანიზაციისადმი ერთგულების გაღვივების თვალსაზრისით, მაგრამ ქართულ ორგანიზაციებში წახალისების ფორმებიდან ყველაზე მეტად პრემია, მადლობის გამოცხადება და ფულადი ჯილდო გამოიყენება. მოტივაციისადმი ასეთი მიდგომა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. შინაგანი მოტივაციის ჩანაცვლება ხდება გარეგანით. შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან კი უფრო მჭიდრო კავშირი შინაგან მოტივაციას აქვს. გარეგანი მოტივირებით - ადამიანი ერთგვარად ეჩვევა წახალისებას და კარგავს პირვანდელ, ანუ შინაგან ინტერესს;

2. თანამშრომელთა პასუხი: „რაშიც მიხდიან მხოლოდ იმას ვაკეთებ“, - იმაზე მიუთითებს, რომ რაოდენ კეთილსინდისიერიც არ უნდა იყოს თანამშრომელი, წახალისების ხშირად გამოყენება განაპირობებს მის ფოკუსირებას სამუშაოს მხოლოდ იმ ასპექტზე, რომლისთვისაც მას შეუძლია წახალისების მიღება;

3. ადგილი აქვს არაჯანსაღი კონკურენციის სტიმულირებას, რადგან წახალისება ლიმიტირებულია და ზრდის კონკურენციას თანამშრომლებს შორის. ადამიანები უფრო მეტად ორიენტირებულნი ხდებიან საკუთარი თავის წარმოჩენაზე, ვიდრე გუნდურ მუშაობაზე;

4. რადგან ყველას სურს წახალისების მიღება, ხშირად თანამშრომლები არაადეკვატურად დიდ დატვირთვას იღებენ საკუთარ თავზე, რაც ხშირად აისახება ხოლმე შრომის მწარმოებლურობის ვარდნაში;

5. თანამშრომლებს ხშირად უჩნდებათ უსამართლობის განცდა იმის გამო, რომ ყოველთვის მოიძებნება მოტივაციის ისეთი ფაქტორი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული მიზნის სტიმულირებისას. ქართულ ორგანიზაციებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის წახალისება ხდება, წახალისების გარეშე დარჩენილი თანამშრომლები კარგავენ მოტივაციას.

თანამედროვე პირობებში მეცნიერები მოტივაციის ახლებურ, ეფექტიან და გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებულ გზებს ეძებენ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ კომპანიათა მენეჯერები ორიენტირებულნი არ არიან თანამშრომელთა წახალისების ამა თუ იმ ფორმის ძიებაზე და თანამშრომელთა მოტივირების ნაცვლად დასჯის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას ცდილობენ. „დასჯის, როგორც მოტივაციის ზრდის მექანიზმი“-ს მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ დასჯის თავიდან არიდების მიზნით, თანამშრომელი მაქსიმალურად მოინდომებს მასზე დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებას. საყვედურის გამოცხადება, ხელფასის დაკავება და, უკიდურეს შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვნა, არ იწვევს სასურველ შედეგს. დასჯით მოტივირება არ გვგონია, რომ ეფექტიან სტრატეგიად ჩაითვალოს.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ტრადიციულ ორგანიზაციებში თანამშრომლებს არ რჩებათ სივრცე ავტონომიური ფუნქციონირებისთვის. გადაწყვეტილებებს უშუალოდ ხელმძღვანელი იღებს, სამუშაოს შესრულების პროცესი კი დარეგულირებულია შიდა ნორმებით. ცხადია, ასეთ პირობებში სამუშაო რუტინულია, რის გამოც პერსონალი კარგავს მოტივაციას. ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება თანამშრომლებისთვის ავტონომიის მინიჭებით, დამოუკიდებელი აზროვნებისა და თავისუფალი მოქმედების სივრცის შექმნით, როდესაც ხელმძღვანელი აგრძნობინებს პერსონალს, რომ ენდობა მათ კომპეტენციას და ამით ქმნის ხელსაყრელ გარემოს სამუშაოს მაღალი სტანდარტებით შესრულებისთვის. ავტონომია არის თანამშრომლისათვის თავისუფლების მინიჭება და დასახული მიზნის მიღწევა კონკრეტული სტრატეგიის გათვალისწინებით. რადგან პროფესიული ზრდა მოითხოვს ახალი ცოდნისა და უნარების რეალიზებაში, ძალიან მალე ხდება მოსაბეზრებელი. თითოეული თანამშრომლისთვის კი მნიშვნელოვანია საკუთარი როლის გაცნობიერება, იმის ცოდნა, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო ღირებული და მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის.

დასკვნა

მოტივაციის თანამედროვე მეთოდების შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ადამიანური რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმოო რესურსია, რომელიც დიდ როლს ასრულებს ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებაში. აღსანიშნავია, რომ ქართველი მენეჯერები რეალურად არ იყენებენ

მეცნიერთა მიერ აპრობირებულ მოტივაციის ისეთ ეფექტიან მეთოდებს, როგორიცაა ავტონომია, პროფესიული ზრდის შესაძლებლობა და თანამშრომლის საკუთარი როლის გაცნობიერება. აღნიშნული ფაქტორები შინაგანი მოტივაციის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა, რომლებმაც თანამედროვე ორგანიზაციების გრძელვადიანი წარმატებები უნდა უზრუნველყოს.

ბიბლიოგრაფია:

ბერიძე, რ. (2011). *ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.* თბილისი.

ზუმბურიძე, ო. (2008). *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

საჯარო სამსახურის ბიურო. (2014). *საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: www.csb.gov.ge

შუბლაძე, გ., მღებრიშვილი, ბ., & წოწკოლაური, ფ. (2008). *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი.

Barber, M. (2008). *Instruction to deliver.*

Price, A. (2011). *Human Resource Management.*

Waitley, D. (2005). *Motivation.*

Lia Bibilashvili

Gori State Teaching University

MOTIVATION THEORIES IN MODERN MANAGEMENT

RESUME

In the article it is reviewed existing theories of motivation. Explored approaches to motivate personnel. Is analyzed the situation in Georgian organizations. Are done corresponding conclusions and offered recommendations for increasing personnel motivation.

Keywords: Motivation, Direction, Effort, Recognition, Stimulation, Reward.

გიული გიგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ავანგარდული ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ავანგარდული ტექნოლოგია, ინოვაცია, ციფრული ეკონომიკა.

შესავალი.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა განვითარებად ქვეყნებს და იქ მცხოვრებ ადამიანებს შესაძლებლობა მისცა ესარგებლათ ცხოვრების იმ მაღალი სტანდარტებით, რომლებიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს აქვთ. რასაკვირველია, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყნების სიმდიდრის და მათი მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის ერთადერთ მსაზღვრელს არ წარმოადგენს, თუმცა უდავოა, რომ მათ განსაკუთრებული როლი აკისრიათ ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში. 21-ე საუკუნეში თვალსაჩინოა არა მხოლოდ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოვრების დონის სტანდარტს, არამედ თვით ტექნოლოგიური ცვლილებების პროცესიც, რომელიც შეუქცევად ხასიათს ატარებს. თანამედროვე ტექნოლოგიები უზარმაზარ პერსპექტივებს ქმნიან ეკონომიკური ზრდისა და მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად.

ლიტერატურის მიმოხილვა.

ტექნოლოგიური ცვლილებებისა და მათი დანერგვის ზრდის ტემპების, ტექნოლოგიური ცვლილებების გამომწვევი ფაქტორების კვლევა ყველა დროის მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მათი უმრავლესობა აღიარებს ტექნოლოგიური ზრდის ტემპების შეუქცევად ხასიათს, თუმცა არსებობენ ისინიც, რომლებიც ამაში დარწმუნებულები არ არიან და ცდილობენ კვლევის პროცესში წინ წამოწიონ პროგრესის შემაფერხებელი ის მიზეზები, რომლებიც შესაძლოა ახალი იდეების მარაგის ამოწურვით იყოს გამოწვეული. (უეილი, 2016, გვ. 239) ამასთან, თუ ისტორიულ პროცესებსაც გადავავლებთ თვალს, ფაქტია, რომ მოწინავე ტექნოლოგიების უმრავლესობა, რომლებიც თავის დროზე რევოლუციურ გამოგონებებს წარმოადგენდნენ დღეს საერთოდ აღარ გამოიყენება, მაგალითად საბეჭდი მანქანა, ან ტელეგრაფი. გასული საუკუნის მნიშვნელოვანი გამოგონების მაგალითია ARPANET-ი - (Advanced Research Project Agency Network - პერსპექტიული კვლევითი პროგრამების მართვის ქსელი) (1969 წ.) - რომელიც თანამედროვე ინტერნეტის წინამორბედს წარმოადგენს და საწყის ეტაპზე მხოლოდ აშშ თავდაცვის სამინისტროს 4 კომპიუტერთან იყო დაკავშირებული. სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ 188 მთავარი კომპიუტერი შეიქმნა, 2011-ში კი ინტერნეტსერვერების რაოდენობამ 849 მილიონს გადააჭარბა. (უეილი, 2016, გვ. 240)

დღეისათვის ციფრულ ეკონომიკაში უკვე დასაქმებულია 200 მილიონი ადამიანი. 2020 წლამდე ეს რიცხვი 50%-ით გაიზრდება; საპროგნოზო მაჩვენებლებით, ევროპის მასშტაბით, 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავებს დამატებით 5 მილიონი ადამიანი; Intel-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში 19 მილიონი პროგრამისტია, მათი რიცხვი 2019 წელს 25 მილიონამდე გაიზრდება; 2020 წელს 50 მილიარდი უკაბელო მოწყობილობა დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას; 2020 წელს ახალი სამუშაოს დაწყების მსურველი კანდიდატების 90% დადგება სავალდებულო მოთხოვნის წინაშე, რომ მათ უნდა იცოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. (ენუქიძე & ბატიაშვილი, 2015)

ერთი მხრივ, გლობალიზაციის პროცესმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა გაამარტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მეორე მხრივ, გაიზარდა საზოგადოების მოთხოვნები.

ძირითადი ნაწილი.

გლობალიზაციის ეპოქა შესაძლებლობას გვაძლევს ავანგარდული ტექნოლოგიური ტრენდები დავნერგოთ ჩვენს ქვეყანაშიც. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვით გამოწვეული საზოგადოებრივი ცვლილებები ასახულია დოკუმენტში „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“. სტრატეგიაში წარმოდგენილი ძირითადი მიმართულებები ელექტრონული მმართველობის სრულყოფასთან ერთად, უზრუნველყოფს ხელსაყრელი გარემოს შეიქმნას ინოვაციებით დაინტერესებული ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის და ხელს უწყობს ინოვაციების სტიმულირებას ეკონომიკური და მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად. (ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018)

საჯარო სექტორში, კერძოდ, ელექტრონულ მმართველობაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების სერვისები თანაბრად უკავშირდება მთავრობას, მოქალაქეებსა და ბიზნესს. საქართველოს ელექტრონული სტრატეგიის მისიაა:

— სანდო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, უზრუნველყოს ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი, უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისთვის;

— მაღალი ხარისხის, ეფექტური, ეფექტიანი, სანდო და უსაფრთხო სერვისების მიწოდების გზით წაახალისოს მოქალაქეებისა და ბიზნესის მიერ ელექტრონული სერვისების მოთხოვნისა და მოხმარების ზრდის პროცესი;

— ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართვას ინოვაციებში და ელექტრონული სერვისების განვითარებას ღია და გამჭვირვალე გარემოში;

— შექმნას მდგრადი ურთიერთთავსებადობის საფუძველი უსაფრთხო და სანდო წყაროებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების გაზიარება როგორც სახელმწიფო სააგენტოებში, ისე ადგილობრივ თვითმმართველობებში, მუნიციპალიტეტებსა და კერძო ორგანიზაციებში;

— ხელი შეუწყოს კონკურენტულ და ინოვაციურ ბიზნესგარემოს; მეწარმეობის განვითარებას; საჯარო და კერძო სექტორების აქტივობებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში;

— გაატაროს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის ეფექტური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული და კიბერთავდასხმებისგან დაცვას.

გამოწვევას წარმოადგენს თემატური პრიორიტეტების შერჩევა. სტრატეგიაში გამოკვეთილია თერთმეტი თემატური პრიორიტეტი: მომსახურების ზონა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მაღალი კომპეტენციისა და რეპუტაციის მოპოვება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშემწყობი საშუალებები, ასევე ხელშემწყობი სტრუქტურები, მმართველობა და ცნობიერების ამაღლება.

ციფრული მეწარმეობის მხარდასაჭერად, ევროკომისიამ სახელმწიფო აქტივობების 5 ძირითადი მიმართულება გამოყო:

- ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების არსებობა;
- ციფრული ბიზნესგარემოს სტიმულირება და მხარდაჭერა;
- გამარტივებული წვდომა ფინანსებთან;
- ციფრული უნარებისა და ნიჭის მხარდაჭერა;
- ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება.

განსაკუთრებით დამაჯერებლად ჟღერს საქართველოში ციფრული ეკონომიკის წარმატება, თუ განვიხილავთ ბერლინის მაგალითს, სადაც დაბალი საცხოვრებელი ხარჯის გამო, მაღალტექნოლოგიურ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები ემიგრირებენ. ქვეყანა მათთვის განსაკუთრებულ საგადასახადო შეღავათებს აწესებს იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტები ინოვაციურ ბიზნესს წამოიწყებენ.

თუმცა, ყველაზე შთამბეჭდავი ციფრული ეკონომიკური ზრდა სინგაპურს აქვს. ქვეყნის მთავრობა უწყვეტად ეძებს შესაძლებლობებს მაღალი ტექნოლოგიების დასანერგად. ინოვაციური სტარტაპ-ეკოსისტემის ხელშეწყობისთვის სამთავრობო დონეზე შექმნილი სააგენტოები იძიებენ ინვესტორებს, ვენჩურულ კაპიტალისტებსა და მაღალტექნოლოგიურ სპეციალისტებს, რომლებიც სხვადასხვა ინდუსტრიის ციფრულ პლატფორმაზე გადაწყობას შეძლებენ. შედეგად, არსად ბიზნესის მართვა ისე მარტივი არ არის, როგორც სინგაპურში. მთავრობის აქტიური ქმედებები და სწორი პოლიტიკა სინგაპურის წარმატების განმსაზღვრელია.

საქართველოში არსებული ლეგალური, ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი მნიშვნელოვანწილად აფერხებს ციფრული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობებს. საერთაშორისო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ციფრული ეკონომიკა ქვეყნის მშპ-ის ზრდის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს. ევროკომისიის მიერ რეკომენდებული აქტივობების (თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში, 20%-იანი ზრდა საკმაოდ რეალისტური მიზანია საქართველოსთვის.

განვითარებადი ქვეყნების ციფრული ეკონომიკის ზრდის ყოველწლიური საშუალო მაჩვენებელი 18%-ს აღწევს. განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში კი საშუალოდ 8%-ს.

აღნიშნული ტენდენციის დასამკვიდრებლად ამოქმედებულია რამდენიმე გლობალური პროექტი: „ევროკავშირის ინიციატივა – Digital Agenda For Europe, Europe 2020 Initiative"; „ეკონომიკური ფორუმის ინიციატივა – Grand Coalition for Digital Jobs-ი და სხვა. ევროკავშირის მხრიდან იგეგმება მილიონობით ინვესტიციის განხორციელება პერსონალის გადამზადებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის. საერთაშორისო ორგანიზაცია დელოიტის მიერ, ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგად, იდენტიფიცირებულია რიგი აქტივობებისა, რომლებიც გადააწყობს ქვეყნის ეკონომიკას ციფრულ პლატფორმაზე და ამ გზით უზრუნველყოფს ეკონომიკურ კეთილდღეობას. რეკომენდაციებს შორისაა:

- ციფრული ინოვაციების შესახებ მარკეტინგული კამპანიის ჩატარება;
- არსებული ინდუსტრიის კლასტერული გაძლიერება;
- სპეციფიკური ინდუსტრიებისთვის შესაბამისი ციფრული პლატფორმების შეთავაზება და გაძლიერება;
- ციფრული მეწარმეობის შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიის ჩატარება;
- ახალგაზრდა მეწარმეების გაცვლითი პროგრამების სტიმულირება;
- ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;
- მეწარმეობის სწავლების კომპონენტის გაძლიერება;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წახალისება ციფრული ბიზნესის დასაწყებად (და სხვა). (ენუქიძე & ბატიაშვილი, 2015)

2016 წლის 22 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ", (საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, 2016) ამ კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე

ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო)

ინოვაციების შესახებ საქართველოს სრულიად ახალი კანონის მიღებამ საფუძველი დაუდო ერთი მხრივ უფრო მეტი ინოვაციური სტარტაპების გაჩენას და მეორე მხრივ წამყვანი კომპანიების წახალისებას მიმართონ თავიანთი ფინანსები კვლევებსა და განვითარებებზე, რაც მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის ჩვენს მთავრობას სტრატეგიაში შემდეგი მიზნები აქვს დასახული:

მიზნები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის:

(საქართველოს მთავრობა, 2014)

მაჩვენებელი	**საბაზისო**	**2018 წ.**	**2020 წ.**
ქვეყნის პოზიცია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსის მიხედვით	68	55	45
პოზიცია გლობალური ინოვაციების ინდექსის მიხედვით	73	65	60
ფაქტორების ჯამური მწარმოებლურობა, %	2,7	3,0	3,2
პოზიცია ინოვაციების შესაძლებლობების ინდექსის მიხედვით	44	40	36
პოზიცია გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსის მიხედვით	65	58	50

ჩნდება კითხვა: რამდენად რეალურია ეს მიზნები იმ პირობებში, როცა მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყანაში მცირეა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსება კი ინოვაციებზე არაა ორიენტირებული? აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით აქტუალურია, რომ საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას დაეფუძნოს, რისთვისაც არსებითია ინფორმაციასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. იმისათვის, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს მივაღწიოთ, აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რათა ქვეყანაში შეიქმნას შესაფერისი გარემო ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად.

დასკვნა.

ამრიგად, ციფრული ტექნოლოგიის დანერგვა და განვითარება ახალი შესაძლებლობების გაჩენის საწინდარია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შედეგები ეკონომიკის განვითარებისათვის.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ამცრებს ადამიანური კაპიტალის გამოყენებას, რაც თავის მხრივ ზრდის უმუშევრობის დონის ზრდის რისკებს. მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი საგანგაშო პარამეტრებს აღწევს: საბერძნეთი – 55%, ესპანეთი – 52%, ევროპის სხვა ქვეყნები – 20-22%, საქართველო – 31%. საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები შრომის ბაზარზე, სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტული სპეციალობების განსაზღვრა და მათი დაფინანსება, რათა თავიდან ავიცილოთ ახალგაზრდებში უმუშევართა რიცხვის ზრდა.

ციფრული ეკონომიკის განვითარება, ინოვაციების ხელშეწყობა, მაღალტექნოლოგიური სისტემების მცირე ორგანიზაციებში დანერგვა საგრძნობლად შეამცირებს რისკებს.

ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მცირე ბიზნესერთეულების მხოლოდ 10% რჩება ბაზარზე, კომერციალიზაციიდან 3 წლის შემდეგ. მძლავრი კონკურენცია მარტივად განდევნის ბაზრიდან სუსტ ერთეულებს. (ენუქიძე & ბატიაშვილი, 2015)

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „გაციფრულება“ არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სტარტაპების გაჩენას ბაზარზე. მთავარია, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს. ეკონომიკური ზრდა სხვაგვარად შეუძლებელი გახდება. ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს განათლებაში გასატარებელ რეფორმას, ციფრული სამეწარმეო კულტურის არარსებობასა და რიგ რეგულაციებს, რომელთა მოგვარება სახელმწიფოს აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია:

ენუქიძე, ნ., & ბატიაშვილი, მ. (2015 წლის 11 დეკემბერი). *ციფრული ეკონომიკა: კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://forbes.ge/news/1007/cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciuri-gza

საქართველოს მთავრობა. (2014 წლის 17 ივნისი). *საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე* (№400). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855?publication=0

BIBLIOGRAPHY საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. ვებგვერდი: http://www.gita.gov.ge/ge/agency.

საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ 2016. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0

უეილი, დ. ნ. (2016). *ეკონომიკური ზრდა.* (ნ. ხადური, სამეცნ. რედ., მ. ჩიქობავა, & ნ. კაკულია, მთარგმნ.) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL_GEO.pdf

Giuli Giguashvili, Tamar Makasarashvili

Gori State Teaching University

PROSPECTS FOR THE INTRODUCTION OF AVANT-GARDE TECHNOLOGIES IN GEORGIA

RESUME

The innovative development is a long process. Modern, competitive technologies, education reform and scientific development requires targeted policies and strategies. At present, enterprises with limited financial capacity direct their financial resources to fund current needs, rather than implement innovative projects.

Implementing of innovative policy is impossible without technology parks, innovation centers, laboratories and business incubators. Creation of industrial parks is one of the necessary conditions of innovative business development in Georgia.

Keywords: Avant-garde technology, Innovation, Digital economy.

მანია გოგიძე, თეა ანესაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მაგალითები ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან

საკვანძო სიტყვები: პროფესიული გადამზადება, სტანდარტები, რეაბილიტაცია, სტარტაპი, პასიური პოლიტიკა, დაზღვევა.

ნაშრომის შესავალი:

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც პრიორიტეტულია ნებისმიერი ეკონომიკური პოზიციის მქონე სახელმწიფოსათვის. „სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა განისაზღვრება ორი მიმართულებით: აქტიური და პასიური პოლიტიკა. აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში

გადასვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია. აქტიური პოლიტიკისგან განსხვავებით, პასიური პოლიტიკის მიზანი არ არის სამუშაო ძალის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება. პასიური პოლიტიკა ორიენტირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრების კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ. უმუშევრობის დაზღვევა და ვადამდელ პენსიაზე გასვლის უზრუნველყოფა პასიური პოლიტიკის ტიპიური ინსტრუმენტებია.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც პრიორიტეტულია ნებისმიერი ეკონომიკური პოზიციის მქონე სახელმწიფოსათვის. „სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა განისაზღვრება ორი მიმართულებით: აქტიური და პასიური პოლიტიკა. აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია. აქტიური პოლიტიკისგან განსხვავებით, პასიური პოლიტიკის მიზანი არ არის სამუშაო ძალის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება. პასიური პოლიტიკა ორიენტირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრების კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ. უმუშევრობის დაზღვევა და ვადამდელ პენსიაზე გასვლის უზრუნველყოფა პასიური პოლიტიკის ტიპიური ინსტრუმენტებია.“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

საერთაშორისო სტანდარტებით დასაქმების აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებია:

- საჯარო დასაქმების მომსახურებები (Public Employment Services);
- პროფესიული გადამზადების პროგრამები (Labor Market Training);
- დასაქმების წახალისება (Employment Incentives);
- შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (Sheltered and Supported Employment and Rehabilitation);
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა (Direct Job Creation);
- სტარტაპების წახალისება (Start-up Incentives).

ხოლო დასაქმების პასიური სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებია:

- უმუშევრობის დაზღვევა;
- ვადამდელი პენსია.

საჯარო დასაქმების მომსახურებები (Public Employment Services) - მისი მიზანია „პოტენციურ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ინფორმაციული ნაკადების სწრაფი დენადობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ინსტრუმენტი ხშირად მოიცავს ღია საინფორმაციო პორტალების უზრუნველყოფას, სამუშაოს მაძიებელთა ინდივიდუალური პროფილების შექმნას, სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელებას, სამუშაოს ძებნის ხარჯების ფინანსურ უზრუნველყოფას და ა.შ. აღნიშნული პროგრამები საბოლოო ჯამში გათვლილია შრომის მაძიებელთა ძალისხმევისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე.“ (შამუგია, 2015)

პროფესიული გადამზადების პროგრამები (Labor Market Training) - მოიცავს „ინსტიტუციურ და სამუშაო ადგილზე გადამზადების, ასევე ინტეგრირებულ და ხელობის შემსწავლელ პროგრამებს. მათი მთავარი მიზანია ერთის მხრივ შრომის მაძიებელთა ცოდნის კაპიტალის გაზრდა და მეორეს მხრივ დასაქმების ბაზარზე პროფესიებთან დაკავშირებული მოთხოვნისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.“ (აბესაძე, 2017) **დასაქმების წახალისება (Employment Incentives)** - მოიცავს „დასაქმების სუბსიდირების, სამუშაო ადგილების შენარჩუნების, სამუშაო ადგილების როტაციისა და გადანაწილების ინსტრუმენტებს. პროფესიული გადამზადების პროგრამებისგან განსხვავებით, დასაქმების წახალისების ინსტრუმენტები ზეგავლენას ახდენენ სამუშაო ძალის მოთხოვნაზე.“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის (Sheltered and Supported Employment and Rehabilitation) პროგრამები „გათვლილია საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებზე. მათი მიზანია შრომის უნარს მოკლებული ადამიანების ინტეგრირება სამუშაო ძალაში, ასევე დამსაქმებლების მოტივირება და ხელშეწყობა ინტეგრაციის პროცესში მათი მაქსიმალური ჩართვისთვის.“ (აბესაძე, 2017)

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის (Direct Job Creation) პროგრამები „ორიენტირებულია ან საზოგადოებრივად სასარგებლო დასაქმების უზრუნველყოფაზე ან კერძო სექტორში დამატებითი

სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭრაზე, სახელფასო სუფსიდიების უზრუნველყოფის გზით.“ (აბესაძე, 2017)

სტარტაპების წახალისების (Start-up Incentives) პროგრამები ორიენტირებულია კერძო მეწარმეობის წახალისებაზე საწყისი კაპიტალის უზრუნველყოფით. ასეთი პროგრამები მიმართულია ახალი საქმიანობის დაწყების ან არსებული საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობაზე. როგორც აღვნიშნეთ, პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტებით სახელმწიფო აქტიურად არ ერევა შრომით ურთიერთობებში. „**უმუშევრობის დაზღვევის** მექანიზმი, დაზღვევის სქემაში მონაწილე ადამიანს, შეზღუდული დროის განმავლობაში, უხდის გარკვეულ თანხას. უმუშევრობის დაზღვევის გარდა, ხშირად ქვეყნებს აქვთ უმუშევრობის დახმარების პროგრამები, რომლებიც ვრცელდება ისეთ ადამიანებზე, რომელთაც არ აქვთ უმუშევრობის დაზღვევა ან დაზღვევის მოქმედებას ვადა გაუვიდა. რიგ შემთხვევებში გვხდება ე.წ. გაკოტრებასთან დაკავშირებული კომპენსაციები, როცა ადამიანები ვერ ღებულობენ ხელფასს მათი დამსაქმებელი ფირმების გაკოტრების გამო.

ვადამდელი პენსიის პროგრამები ძირითადად გათვლილია ასაკოვან ადამიანებზე, რომელთაც დასაქმების ძალიან დაბალი შანსები აქვთ ან მათი ჩანაცვლება ახალგაზრდა სამუშაო ძალებით ხდება.“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რომელ კონკრეტულ ინსტრუმენტს გამოიყენებს ქვეყანა, ეს დამოკიდებულია ამ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. „დასაქმების მექანიზმის ოპტიმალური მოწყობის მზა რეცეპტი არ არსებობს. ოპტიმალური ინსტიტუციური უზრუნველყოფისთვის საჭიროა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც დაეფუძნება კონკრეტული ქვეყნის შრომის ბაზრის საჭიროებებს, ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის ანალიზს და საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებას. საქართველოსთვის დასაქმების მექანიზმის შემუშავების პროცესში საინტერესოა ლატვიისა და ესტონეთის, როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნების, სახელმწიფო დასაქმების სერვისების სტრუქტურებისა და საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მიმოხილვა და ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. საერთაშორისო კვლევითი ცენტრი - Kalvane (2015) 13 აანალიზებს ლატვიის, ესტონეთისა და დანიის სახელმწიფო დასაქმების სერვისების მოდელებს.“ (აჩუაშვილი & კიკნაძე, 2017)

ლატვიაში დასაქმების პოლიტიკით სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საკუთარ ქვეუწყებებთან და სხვა სოციალურ პარტნიორებთან, ეს ურთიერთთანამშრომლობა შემოიფარგლება საკითხების განხილვითა და რეკომენდაციებით. „ლატვიის სდს-ის სტრუქტურა ორ დონიანია, იგი შედგება ცენტრალური ოფისისა და 28 რეგიონური ფილიალისაგან, რომელთა ხელმძღვანელები აგნარიშვალდებულნი არიან სდს-ის ცენტრალური მმართველობის წინაშე. ლატვიის სდს-ის საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო და სპეციალური ბიუჯეტებიდან, ასევე ევროკავშირის „სტრუქტურული ფონდები“-დან და სხვა მოზიდული საინვესტიციო პროექტებიდან.“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

ლატვიის დასაქმების სახელმწიფო სამსახური თავისი საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ინდივიდთა რაოდენობა;
- 6 თვის განმავლობაში აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ინდივიდთა შორის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ინდივიდთა შორის გრძელვადიან უმუშევართა პროცენტული წილი;
- 6 თვის განმავლობაში აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ახალგაზრდათა შორის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შედეგად, უმუშევართა მიერ შევსებულ ვაკანსიათა პროცენტული მაჩვენებელი;
- იმ რეგისტრირებულ უმუშევართა უმუშევრობის ხანგრძლივობის მედიანური მაჩვენებელი, რომელთა დასაქმება მოხერხდა. თითოეული რეგიონული ფილიალისთვის მისაღწევი მიზნები ყოველწლიურად განისაზღვრება.

ესტონეთიც პოსტ საბჭოთა სივრცის წევრი ქვეყანაა და შესაბამისი რეფორმების დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების მიზნით ამ ქვეყანამაც განახორციელა. „ესტონური სდს არის დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუტი. მის მართვას ახორციელებს სამი აპარატი, რომლებიც დაკომპლექტებულია მთავრობის, პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. სამივე აპარატს გააჩნია თანაბარი უფლებები და ვალდებულებები. ესტონურ სდს-ის სტუქტურა შედგება სამი დონისაგან - ცენტრალური ოფისი, 15 რეგიონული ოფისი და 26 სერვის-

ცენტრი. ესტონეთის სდს-ის საქმიანობა ფინანსდება ესტონეთის „უმუშევრობის დაზღვევის ფონდი“-საგან, ასევე სამთავრობო და ევროკავშირის „სტრუქტურული ფონდები“-დან. ფინანსური რესურსების გამოყენების მიზნებსა და მათ პროპორციებს განსაზღვრავს „უმუშევრობის დაზღვევის ფონდის“ სამმხრივი საბჭო.“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

ესტონეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახური თავისი საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ახლად დარეგისტრირებულ უმუშევართა შორის 12 (6 ან 4) თვის განმავლობაში დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- უმუშევრობის დაზღვევის სარგებლის ახალ მიმღებთა შორის 12 (6 ან 4) თვის განმავლობაში დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- გრძელი ვადით (12 თვეზე მეტი) უმუშევართა შორის ბოლო 12 თვის განმავლობაში აქტიურ ღონისძიებებში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი;
- აქტიურ ღონისძიებებში შემოდინების მაჩვენებელი (საშუალო-თვიური შემოდინება);
- სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსი.

უნგრეთიც პოსტ საბჭოთა სივრცის წევრი ქვეყანაა და შესაბამისი რეფორმები დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების მიზნით ამ ქვეყანამაც განახორციელა. „დასაქმების მექანიზმის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. საწყის ეტაპზე უნგრეთის სდს შედგებოდა 20 საოლქო შრომის ცენტრისა და 170 ფილიალისაგან. შრომის ცენტრების მართვასა და კოორდინირებას ახორციელებდა „დასაქმების ოფისი“. 2011 წელს შრომის ცენტრებს სახელწოდება შეეცვალათ და მოხდა მათი საოლქო სამთავრობო ოფისების შემადგენლობაში გაერთიანება. სდს-ის სტრუქტურა კიდევ უფრო კომპლექსური გახდა, როდესაც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საჯარო დასაქმების პროგრამის კოორდინირება და ამ კუთხით საოლქო შრომის ცენტრებთან თანამშრომლობა. 2012 წელს შეიქმნა „ეროვნული შრომის ოფისი“, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ „ცენტრალური დასაქმების ოფისი“, „ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექცია“ და „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ეროვნული ინსტიტუტი“. 2015 წელს სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის გავლის გარეშე „ეროვნული შრომის ოფისი“ დაიხურა და მოხდა მისი უფლებამოსილებების ორ სამინისტროს შორის განაწილება. დასაქმებასა და შრომის ბაზართან დაკავშირებული საკითხები მიეკუთვნა „ეროვნული ეკონომიკის“ სამინისტროს სამუშაო სფეროს. დღესდღეობით, პროფესიული გადამზადების ორგანიზებას ახორციელებს ახლადშექმნილი „ეროვნული პროფესიული გადამზადების ოფისი“. (აჩუაშვილი & კიკნაძე, 2017)

უნგრეთში სავალდებულო სოციალური დაზღვევის მექანიზმი მოქმედებს, რომელიც ფინანსდება დასაქმებულთა სახელფასო ანარიცხებიდან, ეს ანარიცხები თვითდასაქმებულებმაც უნდა გადაიხადონ. ქვეყანაში მოქმედებს უმუშევრების დახმარების 2 პროგრამა „სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება და „პენსიამდელ სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება, ეფუძნება. „სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარებით სარგებლობა შეუძლიათ უმუშევრებს, რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში მინიმუმ 360 დღე აქვთ ნამუშევარი. დახმარების მოცულობა შეადგენს პრეტენდენტის ბოლო 4 კვარტლის საშუალო ხელფასის 60%-ს და ზედა ზღვარს წარმოადგენს მინიმალური თვიური ხელფასი (354 ევრო 2016 წელს). იმ შემთხვევაში, თუკი შეუძლებელია საშუალო ხელფასის დადგენა, დახმარება შეადგენს მინიმალური ხელფასის 130%-ს. დახმარებით სარგებლობა შესაძლებელია მაქსიმუმ 90 დღის ვადით, რაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მოკლე პერიოდია. „პენსიამდელ სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება ორიენტირებულია ხანშიშესულ უმუშევართა ჯგუფზე. დახმარების მიღება შეუძლიათ უმუშევრებს, რომელთაც საპენსიო ასაკს 5 წლამდე პერიოდი აშორებთ. დახმარება გაიცემა საპენსიო ასაკამდე დარჩენილი სრული პერიოდის განმავლობაში. იმისათვის, რომ გახდეს დახმარების მიმღები, პირველ რიგში ინდივიდმა უნდა ამოწუროს მისთვის განკუთვნილი „სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება, ასევე მას უნდა ჰქონდეს ნამუშევარი საკმარისი პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი, 20 წელი). დახმარება შეადგენს ბენეფიციარის წინა პერიოდის საშუალო ხელფასის 40%-ს და არ აღემატება მინიმალური ხელფასის 40%-ს (142 ევრო 2016 წელს).“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

საქართველოსთვის ასევე საინტერესოა **ჩეხეთის** რესპუბლიკის 1990-1999 წლების გამოცდილება. „ჩეხეთის რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო იყენებდა დასაქმების გაუმჯობესების შემდეგ ინსტრუმენტებს: ახალ სკოლადამთავრებულებისთვის გადამზადების პროგრამები, შშმ პირებისთვის სამუშაო ადგილების ადაპტირების პროგრამები და გადამზადების პროგრამები რომელიც მიმართული იყო დასაქმების ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული დისბალანსის დასარეგულირებლად. გატარებული ღონისძიებების შედეგიანობა და ეფექტურობა შეფასდა ორი

სხვადასხვა მხარის მიერ. შეფასება, რომელიც ჩაატარა თვითონ სამინისტრომ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, გვეუბნება, რომ შედეგები 70%-დან 100%-მდე ეფექტურობით გამოირჩეოდა.“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი, 2017)

2014 წლის ივნისში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის მიზანია, საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაარსებული სამი სააგენტო - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე არიან ჩართულები „აწარმოე საქართველოს“ პროგრამაში და სთავაზობენ ფინანსურ დახმარებას შესაბამის კომპანიებს.

„2016 წელს პროგრამის - „სტარტაპ საქართველო“ ფარგლებში განხორციელდა 55 მაღალტექნოლოგიური (20) და ინოვაციური სტარტაპ (33) პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 5 087 712 ლარი. ინოვაციური სტარტაპების ჯამური ღირებულება იყო 3 087 712 ლარი, აქედან სახელმწიფოს მიერ გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა - 2 471 796 ლარი, რაც პროგრამების საერთო ღირებულების 80%. მაღალტექნოლოგიური სტარტაპების ფარგლებში დასაქმდა 114 ადამიანი, ხოლო ინოვაციური სტარტაპების ფარგლებში - 287. ამ უკანასკნელიდან მუდმივად დასაქმდა - 185, დროებით - 52 და სეზონურად 50 ადამიანი.“ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016)

2019 წელს საქართველოს ბიუჯეტში შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამის განსახორციელებლად 4 290 000 ლარი გამოიყო. ეს თანხა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკით გათვალისწინებული მუხლების შესრულებას მოხმარდება, ესენია:

- ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება;
- შრომის ბაზარზე, შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა;
- სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება;
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა;
- ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების მომზადება-გადამზადება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში დასაქმების მაჩვენებელი გასულ ათ წელთან შედარებით გაზრდილია, ქვეყანაში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალ ნიშნულს იკავებს. წლების მანძილზე დასაქმების ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და მას გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია არ ახასიათებს. ასევე ჩანს, რომ არსებულმა ეკონომიკურმა ზრდამ უმუშევრობის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, რადგან ეკონომიკის არასტაბილური ზრდის პირობებში არასტაბილურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნაც. არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ ის, რომ ქვეყანაში არსებულ სამუშაო ძალას აქვს დაბალი კვალიფიკაცია და არ ფლობს სამუშაო ადგილის შესაბამის უნარ-ჩვევებს.

ბიბლიოგრაფია:

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი: ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი. (2017). *დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf

აბესაძე, რ. (2017). ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. *ეკონომისტი, XIII* (2), 6-21.

აჩუაშვილი, ნ., & კიკნაძე, ნ. (2017). უმუშევრობა, როგორც მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. *ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა, 1* (38), 236-241.

გრძელიშვილი, ნ. (2018). უმუშევრობა და შრომის ბაზრის რეგულირება. *სამართალი და ეკონომიკა* (9), 27-34.

ნაცვლაძე, კ. (2017 წლის ნოემბერი). ესტონეთში არ არის უმუშევრობა. *ახალი აგრარული საქართველო, 11* (79), 7-9.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2017). *საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=3f4d3d8f-e53a-4292-923e-ee2527bcb2f3

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2018 წლის ნოემბერი). *საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_November%202018.pdf

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (2016). *შრომის ბაზრის ძირითადი ინდიკატორების შესახებ: ანგარიში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=9fd3b5b3-171d-449a-8502-e271cbf651ea

შამუგია, ა. (2015). თანამედროვე შრომის ბაზარი და დასაქმების პრობლემა საქართველოში. *პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი: სამეცნიერო შრომების კრებული* (8), 481–484.

ცარციძე, მ. (თ. გ.). საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია, უმუშევრობის და სიღარიბის ნაწილი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/murman.pdf

Mania Gogidze, Tea Anesashvili
Gori State Teaching University

STATE EMPLOYMENT POLICY TOOLS AND EXAMPLES FROM THE COUNTRIES OF THE FORMER SOVIET SPACE

RESUME

Our research topic, State employment policy tools and examples from the countries of the former Soviet Union is about state employment policy instruments in Georgia. Although in recent years, the employment rate in Georgia has increased compared to the last ten years, unemployment in the country is still high. The employment growth rate over the years is quite low and it is not characterized by a pronounced growth trend. It is also shown that the current economic growth has not had a significant impact on reducing unemployment. The problems of employment and unemployment in Georgia are related to the economic development of the country, because in the conditions of unstable economic growth, the demand for labor is also unstable. There are also different opinions, namely that the labor force in the country is low-skilled and does not possess the relevant skills in the workplace. Which specific instrument of the state employment policy the country will use depends on the economic and social situation in the country. There is no ready-made recipe for the optimal arrangement of the employment mechanism. Optimal institutional provision requires decisions based on the needs of a particular country's labor market, analysis of economic and financial potential, and consideration of important aspects of the practical experience of foreign countries.

Keywords: Vocational training, Standards, Rehabilitation, Startup, Passive policy, Insurance.

ციური დურული
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დონორი ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, ტექნოლოგია, კონკურენცია, საკონტაქტო აუდიტორია, გლობალიზაცია, თანამშრომლობა, ინფორმირებულობა.

ნაშრომის შესავალი:

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით არაერთი დონორი ორგანიზაცია მუშაობს, მათ შორისაა ევროპის კავშირი, სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირი ქვეყნის მთავარი დონორია. დახმარების მიზანი 2014-2017 წლების სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, მცირე ფერმერების ცოდნის გაუმჯობესება და მათთვის უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ასევე, მათი როლის ზრდა კომერციულ ფერმერულ საქმიანობაში.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან. „2013 წელს განახლდა ვაჭრობა რუსეთთან და მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. კორუფციის და ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგები ისევ ხელსაყრელი რჩება. 2016 წლის ივლისში ამოქმედებული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად მთავრობა გეგმავს ინტეგრაციის გაღრმავების კაპიტალის და მუშახელის უფრო პროდუქტიულ ინდუსტრიებში გადადადგილების ხელშეწყობის გზით, დამხმარე ფირმების დაფუძნებით ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზაციას, სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმჯობესებას ვაჭრობის ხელშეწყობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის და ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით.“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმოხილვა: 2006-2015, 2017, გვ. 4)

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით არაერთი დონორი ორგანიზაცია მუშაობს, მათ შორისაა ევროპის კავშირი, სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირი ქვეყნის მთავარი დონორია. დახმარების მიზანი 2014-2017 წლების სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, მცირე ფერმერების ცოდნის გაუმჯობესება და მათთვის უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ასევე, მათი როლის ზრდა კომერციულ ფერმერულ საქმიანობაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ევროკავშირის მთავარ პოლიტიკის ინსტრუმენტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) წარმოადგენს. შემოთავაზებული სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის მიზანი იყო საქართველოში სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება, კონკრეტული ამოცანა კი სექტორის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისათვის მხარდაჭერა და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცება.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

საქართველო გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წევრი 1995 წელს გახდა. 2004 წელს FAO-ს სუბ რეგიონალური წარმომადგენელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გახდა FAO-ს წარმომადგენელი საქართველოში. 2004 წლის 4 ნოემბერს თბილისში ოფიციალურად გაიხსნა . FAO-ს მანდატი საქართველოში ითვალისწინებს ეროვნული ძალისხმევის მხარდაჭერას სურსათის უვნებლობის და სოფლის მეურნეობის, სატყეო და წყლის მართვის სექტორების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით. ორგანიზაცია თავის მრავალ ფუნქციას ახორციელებს ტექნიკური დახმარების საშუალებით. რომელსაც უზრუნველყოფს მთავრობის მიერ ან მისი მეშვეობით წარმოდგენილი საპროექტო მოთხოვნების ფორმით. საქართველოში FAO-ს ძირითადი პრიორიტეტებია მთავრობის მხარდაჭერა ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნისა

და გაძლიერებისას, სოფლის მეურნეობის უკეთ განვითარების ხელშეწყობის მიზნით. „საქართველოს მთავრობა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია შვიდ პრიორიტეტულ სფეროში თანამშრომლობდა, რომლებიც ქვეყნის პროგრამირებულ ჩარჩოში იყო ჩამოყალიბებული (CPF 2010–2015):

- პოლიტიკა და ინსტრუმენტები სოფლის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
- ცხოველთა ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება და მცენარეთა დაცვა;
- სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა დაცვა;
- მიწის რესურსების მენეჯმენტი და მიწათსარგებლობა;
- მეტყევეობა;
- თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარება.“ (სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო, 2012, გვ. 41)

FAO საქართველოს მთავრობასთან, გაეროს ორგანიზაციებთან, სამოქალაქო და კერძო სექტორთან ერთად, აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ მიგრაცია სოფლიდან ქალაქში გახდეს ადამიანების არჩევანი და არა იძულებითი ნაბიჯი თვითგადარჩენისთვის. ჩვენ ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერებას, რომ ქვეყანაში ეფექტური პოლიტიკა გატარდეს სოფლის განვითარებისა და სურსათის უსაფრთხოების მიმართულებით.

FAO-ს განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

- კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მიგრირებად და სხვა მავნებელ მწერებთან ბრძოლის გაუმჯობესება (2009-2011);
- აფრიკული ღორის ცხელების გავრცელებაზე კონტროლის გაძლიერება (2008-2009 წწ.);
- საქართველოში კონფლიქტის შემდგომ სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო უსაფრთხოების საჭიროებათა შეფასება გადაუდებელი და სარეაბილიტაციო დახმარებისათვის (2008 - 2008);
- პირუტყვის კომბინირებული საკვების განაწილება კონფლიქტით დაზარალებული მცირე ზომის საოჯახო მეურნეობებისათვის და სოფლის მეურნეობის სექტორისა და სასურსათო უსაფრთხოების კლასტერული კოორდინაციის მხარდაჭერა საქართველოში;
- სასოფლო სამეურნეო საშუალებების გადაუდებელი მიწოდება და სოფლის მეურნეობის სექტორისა და სასურსათო უსაფრთხოების კლასტერული კოორდინაციის მხარდაჭერა საქართველოში (2009-2009);
- ეპიზოტიისაგან დაზარალებულ ქვეყნებში „გადაუდებელი და სარეაბილიტაციო ღონისძიებების სპეციალური პროგრამის“ (SFERA) მეშვეობით „ფრინველის გრიპის წინააღმდეგ საპასუხო ღონისძიებების“ პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა (2007-2009);
- ფრინველის გრიპის სადიაგნოსტიკო და პრევენციული ღონისძიებების შესახებ FAO-ს გლობალურ პროგრამაში კანადის მთავრობის შენატანი აფრიკისა და სხვა რეგიონების მხარდასაჭერად (2007-2010);
- EC/FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის II ფაზა (2006-2008);
- სასურსათო უვნებლობის განმტკიცება II ფაზა (2008-2009);
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარკეტინგისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველოს ფუნქციური გაძლიერება (2007-2008);
- აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიოუსაფრთხოების სფეროში შესაძლებლობების ზრდა (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა) (2007-2009).

გაეროს პროგრამა საქართველოში

გაეროს განვითარების დახმარების სქემა (UNDAF) (2011-2015) საკონსულტაციო პროცესის შედეგად შეიქმნა და იგი აღწერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის სფეროებს 2011-2015 წწ. იგი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, რომლებიც დადგინდა პროგრამისთვის „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, ასევე ათასწლეულის განვითარების ეროვნულ მიზნებთან (MDGs) და სხვა ძირითად დოკუმენტებთან. „მასში გამოკვეთილია სამი ურთიერთდაკავშირებული თემატური სფერო, რომლის ფარგლებშიც გაეროს სისტემას საქართველოს პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე უფრო ეფექტიანი რეაგირება შეუძლია:

- სიღარიბის შემცირება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას, განათლებას და ძირითად სოციალურ მომსახურებებს, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
- დემოკრატიული განვითარება, რომლის მიზანია დაბალანსებული, დამოუკიდებელი, სამართლიანი და ინკლუზიური მმართველობის სისტემისა და პროცესების ხელშეწყობა ყველა დონეზე,

რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და თანასწორობის პრინციპებზე.

➢ კატასტროფების რისკის შემცირება, რომლის მიზანია საქართველოს გაძლიერება კატასტროფების მიმართ, პრევენციული ზომებისა და გადაუდებელ შემთხვევებში ზიანისა და დანაკარგების შემცირების გზით.“ (სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო, 2012, გვ. 41-42)

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო ძირითადი დონორები არიან, რომლებიც დახმარებას უწევენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მათი მიმდინარე პროექტების ნუსხა ასე გამოიყურება:

დონორი	პროექტები	მილიონი €	ტიპი	ხანგრძლივობა
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ს/მ მექანიზაციის პროექტი	4	გრანტი	2009/2012
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	15	გრანტი	2011/2015
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა	10	გრანტი	2010/2014
აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი	ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამა	1	გრანტი	2008/2012
შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა	საბაზრო კავშირების სიღარიბის წინააღმდეგ	7	გრანტი	2008/2014
მსოფლიო ბანკი	კახეთის რეგიონალური განვითარება	45	სესხი	2011/2013
ევროპის რეკონსტრუქც. და განვით. ბანკი	სოფლის მეურნეობის კრედიტის საშუალებები-ბანკები	40	სესხი	2011/2013
რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი	სოფლის მეურნეობის საკრედიტო საშუალება-MFLS	9	სესხი	2011/2013
დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო	შერჩეული ღირებულების ქსელის მხარდაჭერა	9	გრანტი	2012/2015

(სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო, 2012, გვ. 42-43)

„ამ პროექტთაგან, სოფლის განვითარებაზე ფოკუსირებულია მხოლოდ კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების პროექტი (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო), დანარჩენი პროექტები ძირითადად სოფლის მეურნეობის ღირებულების ქსელის განვითარებას ისახავს მიზნად. ცხრილში ქვემოთ მოცემულია სოფლის მეურნეობის სფეროში მთავრობის ის ხუთი პრიორიტეტული სფერო, რომლებზეც დონორები მუშაობენ.“ (სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო, 2012, გვ. 43)

სტრატეგიული პრიორიტეტები	ძირითადი დონორები
კონკურენტულობის გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარების მეშვეობით	EU, EBRD, KfW, SDC, USAID
სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესება	EU, UNDP, FAO
სურსათის უსაფრთხოება	EU, FAO
სურსათის ღირებულების ქსელის მხარდაჭერა	USAID, SDC, DANIDA
სასოფლო ინსფრასტრუქტურის განვითარება	Government, WB, USAID

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. „მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით" (ასოცირების შეთანხმება, მუხლი 333).“ (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ. 6)

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებში აქტიურად არიან ჩართულები: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID/REAP;USAID/ZRDA), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), მსოფლიო ბანკი (WB), ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო.

რამდენიმე წელია პანკისის ხეობაში **USAID-ის** პროექტი Zrda მიმდინარეობს. პროექტი Zrda პანკისის ხეობის ოთხივე თემში მოსახლეობას დახმარებას უწევს საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობის გზით. გარდა ამისა, პროექტი ტექნიკურ დახმარებას უწევს რეგიონის ცნობადობის გაზრდას პანკისის ხეობაში წარმოებული პროდუქციის ბრენდის ფორმირებისა და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში, პანკისის ხეობაში უკვე მოეწყო სასათბურე სადემონსტრაციო ნაკვეთები და მიმდინარეობს ბოსტნეულის ჩითილების წარმოება, რაც ფერმერებს შემოსავლების მიღების გაზრდაში დაეხმარება. პროექტი ხორციელდება **სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD)** ერთად. პროგრამის ფარგლებში ფერმერებმა შეიძინეს ხელის ტრაქტორები და ხელსაწყოები, რომლის ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ მოახდინა.

საქართველოში რძის პროდუქტების წარმოების მხარდასაჭერად, **გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)** და **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)** ძალისხმევას აერთიანებენ. ინიციატივა მიზნად ისახავს რძის სექტორის განვითარებას, რძის პროდუქტების მწარმოებლებისა და ფერმერების კომერციული მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, რათა სექტორი უფრო მიმზიდველი გახდეს ინვესტირებისთვის. პროგრამა მიზნად ისახავს რძის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობას, სურსათის უვნებლობის უახლესი სტანდარტების განხილვას და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის გავრცელებას, ასევე ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას სურსათის უვნებლობის ცვალებადი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან 2014 წელს ქვეყანამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA) და ამჟამად ახორციელებს სურსათის უსაფრთხოების სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. FAO-მ და EBRD-მ საქართველოს რძის სექტორის დეტალური ტექნიკური და საბაზრო კვლევა ჩაატარეს ხარვეზების შესასწავლად და განვითარებისათვის მომავალი რეკომენდაციების დასადგენად. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რძის პროდუქტების წარმოებაში დომინირებენ მცირე ზომის მწარმოებლები, მოძველებული საწარმოო ტექნიკითა და ჰიგიენის დაბალი სტანდარტებით. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ქართულ რძის მწარმოებელ ფერმებს შეუძლიათ 35%-ით გაზარდონ პროდუქტიულობა და გააუმჯობესონ რძის ხარისხი,

მხვილი ინვესტირების გარეშე, თუ ადგილობრივ ფერმებში გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები და ფერმების მენეჯმენტი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) წარმომადგენლების შემადგენლობით შედგა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სამუშაო ჯგუფი, რომელიც ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის (NAITS) გაუმჯობესებულ მოდელზე მუშაობს. ჯგუფის მიზანია, ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის სისტემას მოქნილს და საქართველოს საჭიროებებზე მორგებულს გახდის. რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის სისტემა ე.წ ცხოველთა რეესტრი, საქართველოში 2012 წლიდან არსებობს. პროგრამის ფარგლებში საქართველოში მსხვილფეხა საქონელს უმაგრდება საყურე ნიშნები, მფლობელობზე ინფორმაცია კი რეგისტრირდება ბაზაში. ბაზის საშუალებით, სახელმწიფო მონიტორინგს გაუწევს ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც პირდაპირ უკავშირდება სურსათის უვნებლობას. 2017 წლიდან საქართველომ ეტაპობრივად დაიწყო გადასვლა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის ახალ, გაუმჯობესებულ სისტემაზე – NAITS, რომელიც მისი წინამორბედი პროგრამის განახლებული ვერსიაა. სამუშაო ჯგუფის მიზანია, შექმნას სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია დეტალური ინფორმაცია, როგორც სისტემის ტექნიკური პარამეტრების ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობის, მფლობელობის და გადაადგილების შესახებ. კონცეფციის ნაწილია, საკანონმდებლო რეგულაციების და ევროდირექტივით გათვალისწინებული ვალდებულების, საქართველოს გამოწვევებთან ინტეგრირება. ესაა NAITS პროექტი, რომლის განხორციელებისათვის **შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC)** და ავსტრიის განვითარების სააგენტომ (ADC) ჯამში 5 მილიონი დოლარი გამოყო.

„საქართველოში საირიგაციო სისტემა თავისი განვითარების კულმინაციის დროს თითქმის 500 000 ჰექტარს მოიცავდა, ხოლო 1990 წელს - 386 000 ჰექტარს. დღეისათვის იგი 73-80 ათას ჰექტარს ფარავს, ანუ ქვეყნის დამუშავებული მიწის ფართობების დაახლოებით 25 პროცენტს. ეს მაჩვენებელი 33%-მდე გაიზრდება, თუკი სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმატებით შეასრულებს ირიგაციის გაფართოების გეგმას. ამ დროს კი საირიგაციო სისტემები ნადგურდება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილის რეკონსტრუქციას დონორები აფინანსებენ. ამავდროულად, ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში დაიწყეს წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნა, მაგრამ ამ პროცესს არაერთგვაროვანი შედეგები აქვს.“ (სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო, 2012, გვ. 16)

შპს „საქართველოს მელიორაცია“ თეძამის ხეობაში ახალი წყალსაცავის მშენებლობას 2018 წელს დაიწყებს. თეძამის წყალსაცავის პროექტის განხორციელება შიდა ქართლის ფერმერებს სარწყავი წყლის პრობლემას მოუხსნის. პროექტის განხორციელებით მკვეთრად შემცირდება კლიმატით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი ფერმერების სამელიორაციო მომსახურება. ახალი წყალსაცავი 72 სოფელს მოუხსნის სარწყავი წყლის პრობლემას. პროექტი ფერმერებისა და მოსახლეობის დაკვეთით შეიქმნა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „სართველოს მელიორაცია“ აქტიურად ემზადება სარწყავი სეზონის ჩასატარებლად. უკვე განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს ძირითადი სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მელიორაცია დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო აღდგენით სამუშაოებს, არამედ სამელიორაციო სისტემების შემდგომ ექსპლუატაციას. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული დონორი ორგანიზაციებიც. 2018 წლის სარწყავი სეზონის წარმატებით ჩასატარებლად **მსოფლიო ბანკმა,** ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში, საქართველოს მელიორაციას გადასცა სპეცტექნიკა, რომელიც აღიჭურვება სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობებით (გენერატორი, შედუღების აპარატი. ელ. მექანიკური ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და ა.შ). აღნიშნული ტექნიკის დახმარებით სამელიორაციო სისტემებზე ავარიის შემთხვევაში, მათ შორის სტაციონარულ და გადასატან სატუმბ სადგურებზე შესაძლებელი გახდება ოპერატიულად განხორციელდეს სარემონტო სამუშაოები. სპეციალური დანიშნულების ტექნიკა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადანაწილდება.

2016 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება განახორციელა, **ევროკავშირის (EU)** დახმარებით და **გაეროს ორი სააგენტოს - გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)** და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში. სტრატეგიაზე მუშაობა ნაკარნახევი იყო იმ მწვავე მდგომარეობით, რაც რეალურადაა საქართველოს სოფლებში.

„მიუხედავად იმისა, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით სავაჭრო სალდო ჯერჯერობით კვლავ უარყოფითია. ძირითადი

საექსპორტო პროდუქტებია: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური მტკნარი წყლები. მათი წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში 70%-მდე აღწევს. დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ქვეყნისთვის მეტი შემოსავლის გენერირებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. განსხვავებული მდგომარეობაა იმპორტის შემთხვევაში: ხორბალი, ხორცი და ხორცპროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, შაქარი, სპირტიანი სასმელები, მცენარეული ზეთი - ეს იმ პროდუქტთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მნიშვნელოვან საიმპორტო პროდუქტებს წარმოადგენს. აღნიშნული პროდუქტების წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში 42%-მდე აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არასეზონური ბოსტნეულის იმპორტი, რომლის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები არსებობს საქართველოში. ადგილობრივი წარმოების ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მიწოდება ძირითადად სეზონზე ხორციელდება." (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ. 24)

ბიბლიოგრაფია:

აგულაშვილი, გ. (2014). რას სთავაზობს აგროდაზღვევა ფერმერებს?: ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკურ პირისთვის გამოიყოფა 30 ათასი ლარი, ხოლო კოოპერატივისათვის - 50 ათასი. *ახალი აგრარული საქართველო, 9* (41), 4-5.

გოგლიშვილი, ი. (2015). ევროკავშირი და საქართველო: ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები დაზღვევის სფეროში. *საქართველოს ევროპული გზა* (4), 46-48.

ეჩანოვე, ი. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობა - რეალობა და მითები. *ახალი აგრარული საქართველო, 1* (45), 11-12.

იობაშვილი, თ. (2014). აგროდაზღვევა - მთავრობის ახალი რეცეპტი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. *აუდიტი. აღრიცხვა. ფინანსები, 8* (176), 17-20.

კახნიაშვილი, ქ. (2015). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის მეურნეობას. *ახალი აგრარული საქართველო, 1* (45), 12-14.

კილაძე, დ., & ქვარცხავა, მ. (2014). სოფლის მეურნეობა და ქვეყნის განვითარება. *ახალი აგრარული საქართველო, 6* (38), 21-24.

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/საქართველოს-სოფლის-განვითარების-სტრატეგია-2017-2020.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმოხილვა: 2006-2015. (2017). თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Agricultural-Review_GEO.pdf

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო. (2012). ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf

ფულე, შ. (2014). ევროკავშირი და საქართველო: უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებისკენ სვლა. *საქართველოს ევროპული გზა* (1), 8-11.

Tsiuri Duruli

Gori State Teaching University

ACTIVITIES OF DONOR ORGANIZATIONS FOR THE DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN GEORGIA

RESUME

The agricultural sector in Georgia is facing many challenges. Performance is very low. One of the reasons for the continued high level of poverty in the country is the failure of the modernization of agriculture in Georgia. The total number of fields decreased by 43%. The average yield per hectare has also been reduced. Agriculture continues to play a significant role, despite declining GDP, foreign exchange earnings, employment growth and poverty reduction. The village is heavily dependent on livelihoods and government transfers from agriculture. The share of the rural economy in total production is low, but it is an important means of supporting the majority of the population.

Keywords: Strategy, Technology, Competition, Contact audience, Globalization, Cooperation, Awareness.

მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნესის ემპირიული კვლევის ზოგადი ალგორითმი

საკვანძო სიტყვები: კვლევის ალგორითმი, ემპირიული კვლევა, გენერალური ერთობლიობა, რეპრეზენტატიული ამონარჩევი, პოზიტივიზმი, ინტერპრეტივიზმი, კონტექსტუალიზაცია, ტრიანგულაცია.

შესავალი: სამეცნიერო კვლევის ჩატარების ამოცანა მოითხოვს ფართო თვალსაწიერს და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას. ამ შემთხვევაში კვლევის ლოგიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმი არაფორმალური მეთოდების გამოყენებისას, დავაბალანსოთ თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება, განვახორციელოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, წარმოადგენს მეცნიერული შემეცნების დომინანტს.

სამეცნიერო კვლევის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს პირველადი ინფორმაცია. ბიზნესის კვლევის სფეროში პირველადი ინფორმაცია არის ამა თუ იმ სამეურნეო პროცესის, მოვლენის, ღონისძიების ამსახველი ფაქტები. საყოველთაო კომპიუტერიზაციის ეპოქაში ფაქტობრივი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება ინფორმაციულ სისტემებში და ინახება მონაცემებისა და ცოდნის ბაზებში სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული მონაცემების სახით.

ბიზნესის კვლევის ჩატარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემპირიული კვლევით დადგენილი ფაქტები, რომლებიც ეფუძნება მკვლევრის უშუალო პრაქტიკულ ურთიერთქმედებას საკვლევ ობიექტთან. შესაბამისად, ემპირიულ მეთოდთა ჯგუფს მიაკუთვნებენ რეალობის შემეცნების ისეთ მეთოდებს, რომლებიც მოქმედებენ ცდების დონეზე (მაგალითად, დაკვირვება, გამოკითხვა, გაზომვა, ექსპერიმენტი). ამ მეთოდების გამოყენება ვარაუდობს ადამიანის გრძნობის ორგანოების მიმართვას საქმიანობის ამა თუ იმ ფორმაში, სინამდვილის ასახვის გრძნობით ფორმებზე დაყრდნობას.

კვლევის ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, მათი საერთო მიზანია ადამიანთა ცოდნის გამდიდრება არსებული რეალური ბიზნეს-სამყაროს შესახებ. ამდენად, კვლევის ზოგადი თანმიმდევრობა ერთნაირია რიგ სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განიხილება ბიზნესის ემპირიული კვლევის ზოგადი ალგორითმი.

ლიტერატურის მიმოხილვა: ბიზნესის კვლევის მეთოდებს ეძღვნება უამრავი უცხოელი და ქართველი მეცნიერის შრომა. ჩვენ მიერ მიმოხილული ლიტერატურით შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს სტატიაში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად, რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებების აღმოფხვრას ითვალისწინებს წინამდებარე ნაშრომი.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, უცხოენოვან ლიტერატურულ წყაროებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი სახელმძღვანელო:

1. Business research Methods. Donald R. Cooper; Pamela S. Schindler, McGraw-Hill/Irwin, 12th Edition, 2013, ISBN 978-0-07-352150-3. - 692 p. – ბიზნესის კვლევის მეთოდების აღნიშნული გამოცემა მოიცავს არა მხოლოდ სასწავლო სახელმძღვანელოსათვის ჩვეულ პრინციპებსა და თეორიულ დებულებებს, არამედ ასევე ღირებულ პრაქტიკულ მითითებებს მომავლისათვის. მასში სასწავლო-პრაქტიკული საკითხები წარმოდგენილია შემდეგ ოთხ განყოფილებად: შესავალი ბიზნესის კვლევაში, ბიზნესის კვლევის დიზაინი, მონაცემთა წყაროები და კოლექცია, მონაცემთა ანალიზი და პრეზენტაცია.

2. Методология и методы научных исследований в экономике и менеджменте [Текст]: пособие для вузов / Завьялова Н.Б., Головина А.Н., Завьялов Д.В., Дьяконова Л.П., Мельников М.С. и др.; под ред. Н. Б. Завьяловой, А.Н. Головиной – Москва- Екатеринбург:, 2014. – 282 с. – განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ბიზნეს-კვლევების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, კვლევის ინსტრუმენტული საშუალებები, კვლევის ორგანიზაციის პრინციპები, კვლევის ემპირიული მეთოდები, კვლევის თეორიული მეთოდები, საპროგნოზო კვლევის მეთოდები, მარკეტინგული კვლევის მეთოდები, ინვესტიციური ანალიზი და ფინანსური მოდელირება. ავტორები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებას სამეცნიერო კვლევაში. ეს

გამოწვეულია კვლევის საინფორმაციო ბაზის ზრდით და სამეცნიერო კვლევაში მისი უფრო სრულყოფილი გამოყენების აუცილებლობით, ბიზნესის განვითარების ყველა სფეროში ახალი ცოდნის მისაღებად.

ქართულენოვანი ლიტერატურული წყაროებიდან, ჩვენი კვლევის ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გამოირჩევა ორი სახელმძღვანელო:

1. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. პირველი ქართული გამოცემა / ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი. - თბილისი, 2009. – 585 გვ. - ასახულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ემპირიული კვლევის საფუძვლები, კვლევის დიზაინი და სტრუქტურა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.

2. ბაღათურია გ., ბაღათურია ო., კვლევის მეთოდების საფუძვლები. დამხმარე სახელმძღვანელო. - თბილისი, 2018. – 536 გვ. - სახელმძღვანელო იყოფა ოთხ ნაწილად. პირველ, შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი განსაზღვრებები და ტერმინები, კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები (თავი 1-4). მეორე ნაწილში (თავი 5-8) განხილულია კვლევის თვისებრივი მეთოდები. მესამე ნაწილში (თავი 9-14) - კვლევის რაოდენობრივი და შერეული მეთოდები, დასასრულ (თავი 15) მოცემულია აგრეთვე რეკომენდაციები კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და გაფორმების თაობაზე. მეოთხე ნაწილი წარმოადგენს სხვადასხვა სახის დანართებს, რომლებშიც განხილულია როგორც სხვადასხვა კვლევის ქეისები, ასევე მკვლევარისთვის საინტერესო კვლევითი ფრაგმენტები, რომლებიც დაეხმარება მას გაიძლიეროს წარმოსახვა, განავითაროს კრეატიულობა და, საბოლოო ანგარიშით, უკეთ წარმართოს დაგეგმილი კვლევები. განხილულ თეორიულ მასალას თან ახლავს პრაქტიკული ქეისები, რომლებიც გამიზნულია თეორიული მასალის პრაქტიკული განმტკიცებისათვის.

მთლიანობაში, მაღალ შეფასებას ვაძლევთ რა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ მიღებულ მეცნიერულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ შედეგებს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბიზნესის სფეროში სამეცნიერო კვლევების წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა ახალი მეთოდების ძიების გაგრძელება, რომლებიც შესაძლებლად აქცევენ მიღებული შედეგების სათანადოდ გაფორმებას.

საკვლევ თემასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური დებულებების აქტუალობამ და სადისკუსიო ხასიათმა, აგრეთვე მათმა მაღალმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა მოცემული კვლევის შესატყვისი მეთოდოლოგიისა და ინფორმაციული ბაზის შერჩევა.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპს, სისტემურ მიდგომას, შედარებით ანალიზს, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს, სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის ხერხებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია დაჯგუფების, შედარებისა და ანალოგიის მეთოდები.

კვლევის ინფორმაციული ბაზა მრავალფეროვანია და მოიცავს ქართველი და უცხოელი ავტორების მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში, სასწავლო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მონაცემებს; ინტერნეტის ქსელის, საინფორმაციო და სარეიტინგო სააგენტოების რესურსებს; ავტორთა მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგები: კვლევის პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ზოგადი ალგორითმის[1] სახით (ნახაზი 1). ეს ალგორითმი უფრო ზუსტად შეესაბამება კვლევის თეორიულ მეთოდებს, მაგრამ კვლევის პროცესის არსის გასაგებად სასარგებლოა ემპირიული მეთოდების შემთხვევაშიც.

[1] ალგორითმი არის იმ მოქმედებათა ერთობლიობის ზუსტი და სრული აღწერა, რომელთა მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით შესრულება განაპირობებს დასმული ამოცანის ამოხსნას, ან სხვანაირად, - ეს არის თანმიმდევრული, საფეხურებრივი პროცედურა, რომლის საშუალებითაც ვპოულობთ სწორ პასუხს კონკრეტული ტიპის პრობლემის გადასაჭრელად. დღეისათვის თანამედროვე ენაში გამოიყენება ტერმინი algorithm, რომელიც „მეთოდს, წესს“ გულისხმობს და სხვადასხვა სახის ცალკეული წესების კრებითი სახელია.



ნახაზი 1. კვლევის პროცესის ზოგადი ალგორითმი

ქვემოთ მოკლედ იქნება წარმოდგენილი 1-ელ ნახაზზე ასახული კვლევის პროცესის ცალკეული ეტაპების შინაარსი.

<u>საკვლევი საკითხი:</u> თავდაპირველად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საკვლევი საკითხი, - თუ რა მიზანი აქვს კომპანიის მენეჯმენტს თუ მკვლევარს. საკვლევი საკითხი შესაძლებელია იყოს რომელიმე ბიზნეს-კომპანიის მიმზიდველობა ინვესტორისათვის, გარკვეული სახის მარკეტინგული კვლევა, მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა, კომპანიის ორგანიზაციული ეფექტიანობის დადგენა, საინვესტიციო პროექტის მომზადება და ა.შ. საკითხის ხასიათიდან ან სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევა შეიძლება უკავშირდებოდეს საკითხის გარშემო არსებული სათანადო სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერატურის მოძიებასა და ანალიზს. არსებული სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზებას და სხვ.

საკვლევი საკითხი შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან ფართო ან ძალიან ვიწრო. კვლევის პროცესში შესაძლებელია საკვლევი საკითხის დაზუსტება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: რამდენად ზოგადია ეს საკითხი, რა თეორიულ-პრაქტიკული დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ასეთ კვლევას, როგორი მონაცემების მოპოვება არის შესაძლებელი და სხვ. კვლევის ჩატარების შედეგად საკითხი შეიძლება გაფართოვდეს ან დავიწროვდეს მიღებული შედეგებისგან დამოკიდებულებით.

<u>ცვლადები:</u> საკვლევი საკითხის შესასწავლად უნდა ვიცოდეთ, თუ რა მახასიათებლებით შეიძლება მისი თვისებების გამოკვლევა. საკვლევი საკითხის ისეთ მახასიათებელს, რომლის დაკვირვება და გაზომვა შესაძლებელია, ეწოდება ცვლადი[1]. ამრიგად, კვლევის კორექტულად ჩასატარებლად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის ცვლადები, რომლებიც განაპირობებენ საკვლევი საკითხის შინაარსსა და სპეციფიკას. საზოგადოდ, ცვლადების განსაზღვრაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს უკვე მოძიებული ინფორმაცია, მათ შორის ჩატარებული ლიტერატურული ანალიზი.

[1] ცვლადი არის მახასიათებელი, ნიშანი, რომელსაც ერთზე მეტი კატეგორია აქვს და რომლის გაზომვა შესაძლებელია, ან სხვანაირად, ცვლადი შესასწავლი ობიექტის საერთო თვისებაა, რომლის კონკრეტული გამოვლინებები ობიექტის შესაბამისად იცვლება. ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება ემპირიულ კვლევებში.

როდესაც ვიცით, თუ როგორი ცვლადებით არის შესაძლებელი მოვლენის შესწავლა-დახასიათება, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია გვჭირდება და როგორ მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია ამ ცვლადების შესახებ. მაგალითად, ბიზნეს-კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობისათვის მრავალი ცვლადი გვექნება: კომპანიის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მახასიათებლები და ა.შ.

საკვლევი საკითხის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება საჭირო იყოს ცვლადების სხვადასხვა ფორმის გამოყენება **(ცხრილი 1).**

ცხრილი 1. ცვლადების კლასიფიკაცია

საკლასიფიკაციო ნიშანი	**ცვლადის ტიპები**	**შინაარსი**
1	2	3
მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირი	დამოუკიდებელი	ცვლადი, რომლის მნიშვნელობაზე მოცემულ ვითარებაში სხვა ცვლადი ან მოვლენა არ ახდენს გავლენას
	დამოკიდებული	ცვლადი, რომლის მნიშვნელობაზე მოცემულ ვითარებაში სხვა ცვლადი ან მოვლენა ახდენს გავლენას
	შერეული	გარდამავალი საშუალება, რომლითაც დამოუკიდებელი ცვლადი გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე
მნიშვნელობათა მიღების წესი	პირველადი	ცვლადი, რომლის მნიშვნელობები უშუალოდ მონაცემების მოპოვებისას მიიღება
	მეორადი	ცვლადი, რომლის მნიშვნელობები მონაცემების დამუშავების შედეგად მიიღება
მნიშვნელობათა შედარების სპეციფიკა	სახელდებითი (ნომინალური)	ცვლადები, რომელთა მნიშვნელობებს შორის მხოლოდ იგივეობის/განსხვავების მიმართება შეიძლება არსებობდეს
	რიგის	ცვლადები, რომელთა მნიშვნელობებს შორის შეიძლება დამყარდეს არა მხოლოდ იგივეობის/განსხვავების, არამედ, მეტობის/ნაკლებობის მიმართებაც, მაგრამ ვერ განვსაზღვრავთ, თუ რამდენით ან რამდენჯერ მეტია/ნაკლებია ერთი მეორეზე
	რაოდენობრივი	ცვლადები, რომელთა მნიშვნელობები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რამდენით ან რამდენჯერ მეტია/ნაკლებია ერთი მნიშვნელობა მეორეზე

<u>გენერალური ერთობლიობა:</u> ცვლადების დადგენის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის და რა ოდენობის ინფორმაცია ახასიათებს გამოსაკვლევ მოვლენას მთლიანობაში. ეს არის მონაცემთა ე.წ.

გენერალური ერთობლიობა ან, სხვანაირად, სამიზნე ერთობლიობა - სრული ინფორმაცია მოვლენის შესახებ, ყველა ის მონაცემი, რომელიც უკავშირდება საკვლევ საკითხს. მაგალითად, თუ კომპანიას სურს ახალი პროდუქციის გამოშვება, მაშინ მისთვის სამიზნე ერთობლიობა იქნება ამ პროდუქციის სავარაუდო მომხმარებელი მოცემულ რეგიონში. ბიზნეს-კომპანიის საქმიანობის შესწავლისთვის გენერალური ერთობლიობა ძირითადად წარმოადგენს მისი საბალანსო უწყისის მონაცემებს წლების განმავლობაში. ამასთან, შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე მონაცემები კომპანიის თანამშრომლების შესახებ, მათი დენადობა, შინაგანაწესი, დისციპლინის დარღვევების ოდენობა და ხასიათი და ა.შ.

<u>რეპრეზენტატიული ამონარჩევი:</u> საკვლევი საკითხის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად და შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად მთელი სამიზნე ერთობლიობის გამოკვლევა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი ან საჭირო. კვლევის პრაქტიკულად ჩატარების მიზნით საკმარისია ე.წ შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რაც გულისხმობს გენერალური ერთობლიობიდან მცირე რაოდენობის ისეთი ინფორმაციის შერჩევას, რომელიც ობიექტურად და სრულყოფილად დაახასიათებს მთელ გენერალურ ერთობლიობას. ასეთ, შედარებით მცირე სიდიდის ცალკეულ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურად ახასიათებს გენერალურ ერთობლიობას, ეწოდება რეპრეზენტატიული (წარმომადგენლობითი) ამონარჩევი (a representative sample)[1].

<u>მონაცემების შეგროვება:</u> მას შემდეგ, რაც დადგენილია რეპრეზენტატიული ამონარჩევის მახასიათებლები და მისი ფორმირების წესი, იწყება სათანადო პირველადი ან/და მეორადი ინფორმაციის (მონაცემების)[2] შეგროვება. მონაცემები შეიძლება იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი. რიგ შემთხვევაში თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების წესები ერთნაირია, მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც: თვისებრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, როგორც წესი, ერთდროული პროცესია, ხოლო რაოდენობრივი კვლევების შემთხვევაში ჯერ ხდება რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება, ხოლო შემდეგ მისი დამუშავება (როგორც წესი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით). მონაცემთა შეგროვების პროცესის ზოგადი თანმიმდევრობა შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

- ⇨ ცვლადების განსაზღვრა;
- ⇨ მონაცემთა შეგროვების მეთოდის არჩევა;
- ⇨ მონაცემთა საცდელი შეგროვება და მეთოდის საჭიროებისამებრ მოდიფიცირება;
- ⇨ საკვლევი ერთობლიობის (ამონარჩევის) განსაზღვრა;
- ⇨ კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება.

აღნიშნული თანმიმდევრობა არის ინფორმაციის შეგროვების პროცესის მხოლოდ საილუსტრაციო სურათი. სინამდვილეში მონაცემების შეგროვების პროცესი არ არის ისეთი თანმიმდევრული, როგორც ეს აქ არის წარმოდგენილი. უფრო მეტიც, კვლევის მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან და ამისთვის, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი.

თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესი რიგი ნიშნებით მსგავსია. თუმცა, არის არსებითი განსხვავებაც, რაც პარადიგმების დაშვებებით გამოიხატება. თვისებრივი მონაცემები ჩვეულებრივ გარდამავალია, მათი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მოცემულ კონტექსტში და უკავშირდება ინტერპრეტივისტულ პარადიგმას, რაც შედეგად იწვევს ვალიდურობის მაღალ ხარისხს. აღნიშნულის საპირისპიროდ, რაოდენობრივი მონაცემები ჩვეულებრივ არის ზუსტი, მათი მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა კონტექსტში, დაკავშირებულია პოზიტივისტურ მეთოდოლოგიასთან, შედეგები კი გამოირჩევა სანდოობის მაღალი ხარისხით. ამიტომ, კვლევის პროექტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები.

---

[1] *გასაგებია, რომ* ელექტორატის განწყობის დასადგენად შეუძლებელი იქნება მთელი მოსახლეობის სისტემატური გამოკითხვა. გარკვეული წესით შერჩეული მცირე რაოდენობის დაკვირვება (რეპრეზენტატიული ამონარჩევი) სავსებით საკმარისია ამომრჩევლის აზრის გასაგებად.

[2] *ზოგადად,* ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ინფორმაცია და მონაცემები. მონაცემები განისაზღვრება, როგორც ცნობილი ფაქტები, რომლებიც გამოიყენება დასკვნებისა და გაანგარიშებებისთვის. რაც შეეხება ინფორმაციას - ეს არის გარკვეული, სასარგებლო ფორმით ორგანიზებული მონაცემები, რაც აუცილებლად მოითხოვს ისეთი საკითხების გარკვევას, თუ როგორ არის მონაცემები მოპოვებული (შეგროვილი) და როგორ გამოიყენება. მაგალითად, შესაძლებელია შევაგროვოთ მონაცემები კითხვარების სახით და შემდეგ ჩავატაროთ მისი ანალიზი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. ეს იქნება მონაცემების ინფორმაციად გარდაქმნის პროცესი, რაც გარკვეულ ცოდნას მოითხოვს. მეორე მხრივ, ჩვენმა რესპონდენტმა შეიძლება ჩათვალოს, რომ მან ინფორმაცია მოგვცა. როგორც ვიცით, მონაცემები შეიძლება იყოს რაოდენობრივი (რიცხვითი ფორმით) ან თვისებრივი (არა რიცხვითი ფორმით, მაგალითად, ტექსტი, გამოსახულება). მონაცემები შესაძლოა განვასხვავოთ აგრეთვე მონაცემების მოპოვების წყაროს მიხედვით. სტატისტიკური ანალიზისთვის მონაცემები რაოდენობრივი ფორმით უნდა გვქონდეს. რაც მთავარია მონაცემები შეგროვებული უნდა იყოს ობიექტურად.

ზოგჯერ პოზიტივისტური პარადიგმის მიხედვით ჩატარებული კვლევაც მოითხოვს თვისებრივი მონაცემების შეგროვებას, რომლებიც შემდეგ რაოდენობრივ მონაცემებად უნდა გარდაიქმნას. ამ შემთხვევაში საჭიროა ე.წ. *„მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის“* გამოყენება[1].

იმასთან დაკავშირებით, რომ თვისებრივი მონაცემების გაგება შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტში, საჭირო ხდება წინასწარი ინფორმაციის შეგროვება სიტუაციის (კონტექსტის) გასაცნობად, რაც მონაცემთა *კონტექსტუალიზაციას* ნიშნავს. მონაცემები კონტექსტის შესახებ დაკავშირებულია დროსა და ადგილმდებარეობასთან, სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ზეგავლენასთან.

საინტერესოა, მაგალითად, რამდენად ოპტიმისტური იქნება ადამიანის შეხედულება მომავალზე, თუ იგი მუშაობს ნახშირის მომპოვებელ შახტაში, რომელიც ქალაქ ტყიბულში მდებარეობს, სადაც არ არის დაცული შრომის უსაფრთხოების პირობები და შახტაც შეიძლება დაიხუროს. მომავლის შესახებ მისი შეხედულება „ალბათ“ განსხვავებული იქნება იმ ადამიანის შეხედულებისგან, ვინც მუშაობს გერმანიაში თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ კომპანიაში კარგი ანაზღაურებით, ან იმისაგან, ვინც ანტალიაში ტურიზმის ბიზნესშია დაკავებული.

ამრიგად, თვისებრივი მონაცემების შეგროვების დროს კვლევის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელია არსებული კონტექსტში (სიტუაციაში) გარკვევა, რაც ხელს შეუწყობს მკვლევრის მგრძნობიარობას და გააუმჯობესებს მის მიერ მონაცემთა ინტერპრეტაციის ხარისხს.

კონტექსტუალიზაციისთვის საჭირო მონაცემები შესაძლებელია მოვიძიოთ ლიტერატურაში, სტატისტიკურ მასალებში, ქვეყნისა და დარგის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებაში და სხვ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მივიღოთ რეგიონების ადგილობრივი გაზეთებიდან, მკითხველთა წერილებიდან. ამ თვალსაზრისთ, შესაძლებელია ნაკლებად სანდო იყოს პოლიტიკური გაზეთები და რედაქტორის სტატიები.

თუ კომპანიას ვსწავლობთ, მაშინ საინტერესოა აგრეთვე კომპანიის ყოფილი თანამშრომლების აზრი ამ კომპანიის შესახებ. ოღონდ, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ყოფილი თანამშრომლების მიერ სამსახურის დატოვების მიზეზებიც. სასურველია ინფორმაციის აუდიო/ვიდეო ჩაწერა, აგრეთვე წერილობითი შენიშვნების გაკეთება ინფორმაციის შეგროვების დროს და ა.შ.

თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი ერთიანი პროცესია. განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რაოდენობრივი მეთოდების შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ჯერ შეაგროვო მონაცემები და შემდეგ დაამუშავო ინფორმაცია სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

თვისებრივ ინფორმაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ თვით ინფორმაციას, არამედ აგრეთვე წინადადების სტილს, წყობას, სასვენ ნიშნებს. სასვენი ნიშნების მცირე ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს წინადადების აზრის რადიკალური ცვლილება (მაგალითად, იმისდა მიხედვით, თუ სად არის დასმული მძიმის ნიშანი, გვექნება განსხვავებული აზრი).

<u>მონაცემების პირველადი დამუშავება:</u> შემდეგი ეტაპია მონაცემების პირველადი დამუშავება შერჩეული პარადიგმის მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს მონაცემების დახარისხება, გასუფთავება შესაძლო შეცდომების ან/და გაყალბებისგან, გრაფიკული წარმოდგენა, რიცხვითი მახასიათებელების გამოთვლა და ა.შ. არსებობს მონაცემების პირველადი დამუშავების მრავალი მეთოდი.

<u>სპეციალური ამოცანების გადაწყვეტა:</u> მონაცემების პირველადი დამუშავების შემდეგ უკვე შეიძლება კვლევის მიზნების შესაბამისი საკითხების დამუშავება. საკვლევის საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ეტაპი ამოცანათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ამ ეტაპზე შესაძლოა ჩატარდეს მონაცემების თვისებრივი ან/და რაოდენობრივი ანალიზი, მოდელირება, პროგნოზირება, კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, კვლევის დაგეგმვის დროს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების (თუ ასეთები არსებობს) შემოწმება და სხვ.

ინტერპრეტივისტული პარადიგმისთვის ჰიპოთეზების შემოწმება არაფორმალურ ხასიათს ატარებს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი პროცედურის მიხედვით ხორციელდება. პოზიტივისტური პარადიგმისთვის კი დამუშავებულია ჰიპოთეზების შემოწმების კარგად ფორმალიზებული სტატისტიკური მეთოდები.

ამ ეტაპით ფაქტობრივად დასრულებულია კვლევის ძირითადი „სამუშაო“ ნაწილი. ამის შემდეგ უკვე უნდა განხორციელდეს კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კვლევის საკითხთან

---

[1] *ტრიანგულაცია* სოციალურ მეცნიერებებში ეწოდება კონცეფციას, რომლის თანახმად, ერთი და იმავე ფენომენის (ემპირიული რეალობის) შესასწავლად გამოყენებული უნდა იქნეს მრავალგვარი მეთოდი, თეორიული მიდგომა და მეთოდოლოგიების კომბინაცია.

დაკავშირებული სათანადო გადაწყვეტილების მიღება, რაც კვლევის ალგორითმში უკუკავშირის პროცესით არის ნაჩვენები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით კეთდება სამეტაპიანი დასკვნა საკვლევი საკითხის შესახებ:

დასკვნა 1 - უკუკავშირის პირველი ეტაპი: ვინაიდან კვლევის შედეგები მიღებულ იქნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის ბაზაზე, ამდენად, სპეციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კეთდება დასკვნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ, მაგალითად, ვარგისია თუ არა შესამოწმებლად აღებული მოწყობილობათა პარტია, კარგ შედეგებს იძლევა თუ არა ახლად მიღებული/დამზადებული მედიკამენტები და ა.შ.

დასკვნა 2 - უკუკავშირის მეორე ეტაპი: რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ხდება დასკვნის განზოგადოება მთლიანად გენერალურ ერთობლიობაზე. მაგალითად, თუ მოწყობილობების/მედიკამენტების რეპრეზენტატიულმა ამონარჩევმა ვერ დააკმაყოფილა სტანდარტული მოთხოვნები, მაშინ ივარაუდება, რომ მთლიანად უვარგისია ამ დასახელების მოწყობილობების/მედიკამენტების ის პარტია, საიდანაც იქნა აღებული საცდელი ეგზემპლარები.

გადაწყვეტილების მიღება - უკუკავშირის მესამე ეტაპი: გენერალური ერთობლიობის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მიიღება დასკვნითი გადაწყვეტილება საკვლევი საკითხის შესახებ, რასაც შემდეგ შესაბამისი აქტივობა მოჰყვება. მაგალითად: მოწყობილობების/მედიკამენტების შესახებ უარყოფითი დასკვნის შესახებ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, რომ წაეყენოს პრეტენზია ამ მოწყობილობების/მედიკამენტების დამამზადებელ კომპანიას; ბიზნეს კვლევებისთვის, თუ ვარკვევთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა სახის პროდუქცია მოსწონს მომხმარებელს, ალბათ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ბიზნეს აქტივობა მოწონებული კომპანიის პროდუქციის წარმოების გაძლიერების შესახებ და სხვ.

სპეციალური აქტივობა: კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ხორციელდება სათანადო მოქმედება, რაც კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ნებისმიერი კვლევა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც ის კონკრეტული აქტივობით არის დაგვირგვინებული. და შესაბამისად, გამართლებულია კვლევის საჭიროებისათვის გაწეული ფინანსური და სხვა სახის დანახარჯები. ასეთი ბიზნეს აქტივობა გამომდინარეობს მიღებული გადაწყვეტილებიდან, მაგალითად: მოწყობილობების/მედიკამენტების შემთხვევაში აქტივობა იქნება მომწოდებლებთან კონტრაქტის გაწყვეტა, საკომპენსაციო თანხის მოთხოვნა, ახალი მომწოდებლების ძიება და ა.შ. ბიზნეს აქტივობის შესახებ - მოწონებული პროდუქციის წარმოების გაძლიერება/დაწყება, სათანადო დანადგარების შეძენა, პერსონალის გადამზადება და ა.შ.

მას შემდეგ, რაც გადავწყვეტთ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ემპირიული კვლევისას, დგება მონაცემთა შეგროვების ფაზა. შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მონაცემთა შეგროვების სამი ძირითადი ფორმა: დაკვირვება, გამოკითხვა და მეორად მონაცემთა ანალიზი[1].

დასკვნები: ჩატარებული გამოკვლევა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. კვლევის ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, მათი საერთო მიზანია ადამიანთა ცოდნის გამდიდრება არსებული რეალური ბიზნეს-სამყაროს შესახებ. ამდენად, კვლევის პროცესის ზოგადი თანმიმდევრობა ერთნაირია სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით. კვლევის პროცესის ზოგად ალგორითმში ყურადღება გამახვილებულია მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე;

2. თავდაპირველად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საკვლევი საკითხი - თუ რა მიზანი აქვს კომპანიის მენეჯმენტს/მკვლევარს. საკვლევი საკითხი შესაძლებელია იყოს, მაგალითად, რომელიმე ბიზნეს-კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობა, გარკვეული სახის მარკეტინგული კვლევა, მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა, კომპანიის ორგანიზაციული ეფექტიანობის დადგენა, საინვესტიციო პროექტის მომზადება. კვლევის პროცესში საკითხი შეიძლება გაფართოვდეს ან დავიწროვდეს მიღებული შედეგებისგან დამოკიდებულებით;

---

[1] *უნდა შევნიშნოთ, რომ,* რომ თუმცა ამ სამი ფორმიდან თითოეულს აქვს გარკვეული უპირატესობები, მათ ასევე აქვთ გარკვეული შეზღუდვებიც. მაგალითად, თუ მკვლევარი რესპონდენტებს სთხოვს დაასახელონ ყველაზე გავლენიანი წევრი სამუშაო ჯგუფში (გამოკითხვა), გამოტანილი დასკვნები (მიგნებები) შეიძლება განსხვავდებოდეს მონაცემებისაგან, რომელსაც მივიღებთ პირდაპირი დაკვირვების გზით. ეს მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ მკვლევრების მიერ გამოყენებულ მონაცემთა შეგროვების თითოეულ ფორმას აქვს „მეთოდის სპეციფიკურობის“ გარკვეული ხარისხი. შედეგად, მკვლევრებმა მიიჩნიეს რომ, როცა ეს შესაძლებელი იქნება, უპრიანია მეთოდთა ტრიანგულაცია, ანუ, ისინი ერთი და იმავე ჰიპოთეზის შესამოწმებლად იყენებენ მონაცემთა შეგროვების ერთზე მეტ ფორმას.

3. კვლევის კორექტულად ჩასატარებლად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის ცვლადები, რომლებიც განაპირობებენ საკვლევი საკითხის შინაარსსა და სპეციფიკას. ცვლადების განსაზღვრაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს უკვე მოძიებული ინფორმაცია, მათ შორის ჩატარებული ლიტერატურული ანალიზი. როდესაც ვიცით, თუ როგორი ცვლადებით არის შესაძლებელი მოვლენის შესწავლა-დახასიათება, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია გვჭირდება და როგორ მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია ამ ცვლადების შესახებ.

4. ცვლადების დადგენის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის და რა ოდენობის ინფორმაცია ახასიათებს გამოსაკვლევ მოვლენას მთლიანობაში. ეს არის მონაცემთა ე.წ. გენერალური ერთობლიობა ან, სხვანაირად, სამიზნე ერთობლიობა - სრული ინფორმაცია მოვლენის შესახებ, ყველა ის მონაცემი, რომელიც უკავშირდება საკვლევ საკითხს;

5. კვლევის პრაქტიკულად ჩატარების მიზნით საკმარისია ე.წ შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რაც გულისხმობს გენერალური ერთობლიობიდან მცირე რაოდენობის ისეთი ინფორმაციის შერჩევას, რომელიც ობიექტურად და სრულყოფილად დაახასიათებს მთელ გენერალურ ერთობლიობას. ასეთ, შედარებით მცირე სიდიდის ცალკეულ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურად ახასიათებს გენერალურ ერთობლიობას, ეწოდება რეპრეზენტატიული ამონარჩევი.

6. რეპრეზენტატიული ამონარჩევის მახასიათებლების და მისი ფორმირების წესის დადგენის შემდეგ იწყება სათანადო პირველადი ან/და მეორადი ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება. მონაცემთა შეგროვების პროცესის ზოგადი თანმიმდევრობა შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: ცვლადების განსაზღვრა; მონაცემთა შეგროვების მეთოდის არჩევა; მონაცემთა საცდელი შეგროვება და მეთოდის საჭიროებისამებრ მოდიფიცირება; საკვლევი ერთობლიობის (ამონარჩევის) განსაზღვრა; კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება. კვლევის მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან და სხვადასხვა მეთოდებით;

7. შემდეგი ეტაპია მონაცემების პირველადი დამუშავება შერჩეული პარადიგმის მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს მონაცემების დახარისხება, გასუფთავება შესაძლო შეცდომების ან/და გაყალბებისგან, გრაფიკული წარმოდგენა, რიცხვითი მახასიათებელების გამოთვლა და ა.შ. არსებობს მონაცემების პირველადი დამუშავების მრავალი მეთოდი;

8. მონაცემების პირველადი დამუშავების შემდეგ უკვე შეიძლება კვლევის მიზნების შესაბამისი საკითხების დამუშავება. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ეტაპი ამოცანათა საკმაოდ ფართო სპექტრს შეიცავს. ამ ეტაპზე შესაძლოა ჩატარდეს მონაცემების თვისებრივი ან/და რაოდენობრივი ანალიზი, მოდელირება, პროგნოზირება, კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, კვლევის დაგეგმვის დროს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების (თუ ასეთები არსებობს) შემოწმება და სხვ. ამ ეტაპით ფაქტობრივად დასრულებულია კვლევის ძირითადი „სამუშაო“ ნაწილი;

9. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით კეთდება სამეტაპიანი დასკვნა საკვლევი საკითხის შესახებ: (1) ვინაიდან კვლევის შედეგები მიღებულ იქნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის ბაზაზე, ამდენად, სპეციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კეთდება დასკვნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ; (2) რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ხდება დასკვნის განზოგადება მთლიანად გენერალურ ერთობლიობაზე; (3) გენერალური ერთობლიობის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მიიღება დასკვნითი გადაწყვეტილება საკვლევი საკითხის შესახებ, რასაც შემდეგ შესაბამისი აქტივობა მოჰყვება.

ბიბლიოგრაფია:

ბაღათურია, გ., & ბაღათურია, ო. (2018). *კვლევის მეთოდების საფუძვლები.* თბილისი.

ფრანკფორტ-ნაჩმიასი, ჩ., & ნაჩმიასი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Cooper, D. R., & Schindler, P. S. (2003). *Business Research Methods.* Mc Graw Hill.

Завьялова, Н. Б., Головина, А. Н., Завьялов, Д. В., Дьяконова, Л. П., Мельников, М. С., Сагинова, О. В., . . . Строганов, И. А. (2014). *Методология и методы научных исследований в экономике и менеджменте.* (Н. Б. Завьялова, & А. Н. Головина, Ред.) Москва- Екатеринбург.

Merab Vanishvili, Nino Vanishvili
Georgian Technical University

A GENERAL ALGORITHM FOR BUSINESS EMPIRICAL RESEARCH

RESUME

Empirical research based on the researcher's direct practical interaction with the research object plays an important role in conducting business research. Accordingly, the group of empirical methods is assigned to the methods of cognition that operate at the level of the test. The use of these methods suggests the appeal of the human sensory organs to one or another form of activity, based on a sense of reality.

Despite the vast differences between empirical and theoretical research methods, their overall aim is to enrich people's knowledge of the current real-world business world. Thus, the general sequence of research is the same in view of a number of specific features.

This article, based on the latest literature sources, discusses the general algorithm of the empirical research process.

Keywords: Research Algorithm, Empirical Research, General Cohesion, Representative Selection, Positivism, Interpretivism, Contextualization, Triangulation.

ნინო ლიპარტელიანი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
გიორგი კასრაძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მსხვილი საინვესტიციო პროექტები და სწორი საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში

საკვანძო სიტყვები: რესურსები, სტაბილურობა, სტრატეგიული ინვესტორი, კონსორციუმი, საინვესტიციო პროექტი, საინვესტიციო პოლიტიკა.

ნაშრომის შესავალი:

ქვეყანაში თვალნათელია საინვესტიციო პოლიტიკის ნაკლებეფექტურობა, აუცილებელია რეგიონული ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების საინვესტიციო მექანიზმების ჩამოყალიბება, საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების კვლევების შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. ერთი მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში არსებობს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორე მხრივ კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიღრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის უილიამ შარპის განმარტებით, ინვესტიციები ეს არის ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით. თანამედროვე ბიზნეს სკოლების განმარტებებით ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, ისინი აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სწორედ ინვესტიციები წარმოადგენენ სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას

სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე. საქართველოს კანონმდებლობით ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. „საქართველოს სურს, თავი დააღწიოს სიღარიბეს და დაეწიოს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებს. ამისათვის საჭიროა გარე რესურსები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიდა (ადგილობრივი) დანაზოგები ძალიან მცირეა, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია." (მახვილაძე, 2018, გვ. 82-86) „საბაზრო ეკონომიკური მოდელის მიღების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალი სახელმწიფოების მთავრობებმა გააცნობიერეს ინვესტიციების გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და აღმშენებლობის პროცესში და დაიწყეს პრაქტიკული ნაბიჯების განხორციელება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ერთ-ერთი უდიდესი უცხოელი ინვესტორი, რომელიც ჯერ კიდევ 1990-იან წლებში შემოვიდა საქართველოში, გახლდათ ბრიტანული მულტინაციონალური ნავთობისა და გაზის გიგანტი **კომპანია BP**. ის საწვავის ინდუსტრიის ყველა სფეროში მუშაობს: საწვავის აღმოჩენა და წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია და მარკეტინგი, ნავთობქიმია, ენერგიის გენერირება და ვაჭრობა, განახლებად ენერგიაზე მუშაობა ბიოსაწვავებსა და ქარის ენერგიაში. კომპანიის პირველი ინვესტიცია საქართველოში იყო ბაქო-სუფსის მილსადენი, იგივე „დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი" (WREP), რომელიც 830 კილომეტრის სიგრძისაა. იგი სუფსის ტერმინალამდეა გაჭიმული და გადააქვს კასპიის ზღვის შირაქის საბადოდან მოპოვებული ნავთობი. მილსადენის თითქმის ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე გადის, იგი 1999 წლიდან უსაფრთხოდ და წარმატებით მუშაობს. თუმცა ავარიული სიტუაციების გამო 2008 წლამდე ზესტაფონთან და აზერბაიჯანის ტერიტორიის მტკვარზე რაღაც მონაკვეთების შეკეთება მოუხდათ. ეს ყველაფერი ჯამში კომპანიას 53 მილიონი დოლარი დაუჯდა. უსაფრთხოების მიზნით მილსადენის მუშაობა აგვისტოს ომის დროსაც შეაჩერეს. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი პირველია იმ სამ ძირითად პროექტს შორის, რომელიც BP-მ საქართველოში განახორციელა. სუფსის ტერმინალი 1999 წლის აპრილში გაიხსნა, როდესაც ტერმინალიდან ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი გავიდა. პროექტში მრავალი ქართველი დასაქმდა, ასევე გაიცა კომპენსაციები მათზე, ვის საკუთრებაში არსებული მიწების დროებით გამოყენების აუცილებლობა წარმოიშვა მილსადენის მშენებლობის დროს.

„BP-ის მიერ მეორე მილსადენი საქართველოში გაყვანილ იქნა 2006 წელს, ესაა ყველასათვის კარგად ნაცნობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენია (BTC), იგი სამ ქვეყანაზე გადის: 433 კილომეტრი აზერბაიჯანში, 249 - საქართველოში და 1076 - თურქეთის ტერიტორიაზე (ჯამში 1 768 კმ-ს შეადგენს) და ბაქოს, საქართველოს გავლით, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა პორტთან, ჯეიჰანთან აკავშირებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი რეგიონალური მნიშვნელობის პროექტია, რადგან მან ბოსფორის გადატვირთული სრუტის გვერდის ავლით კასპიის ზღვა პირდაპირ ხმელთაშუა ზღვასთან დააკავშირა. მილსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა და ნედლი ნავთობის პირველი პარტიის ექსპორტი თურქეთში მდებარე ჯეიჰანის ტერმინალში 2006 წლის ივნისში განხორციელდა." (BP საქართველოში, 2010)

მესამე პროექტი, რომელიც საქართველოში BP-ის ეკუთვნის, 692 კილომეტრის სიგრძის სამხრეთ კავკასიის გაზსადენია (SCP), რომლის მშენებლობაც 2006 წელს დასრულდა და რომელიც აზერბაიჯანიდან, კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოდან, თურქეთამდე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პარალელურად გადის საქართველოს გავლით. მისი მთავარი მიზანი თურქეთისა და საქართველოს გაზით მომარაგებაა.

„ამჟამად, BP საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რომელმაც ინფრასტრუქტურის და სოციალური განვითარების პროექტებში 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დააბანდა. 1996 წელს BP-ის საქართველოში რამდენიმე თანამშრომელი ჰყავდა, მილსადენების მშენებლობისას მათი რიცხვი 6 ათასამდე გაიზარდა; დღეს BP-ის დაახლოებით 480 ადამიანი ჰყავს დასაქმებული, მათი 95% კი საქართველოს მოქალაქეა." (BP საქართველოში, 2010)

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საინვესტიციო პროექტი

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის განხორციელება 2016 წელს დაიწყო. იგი ანაკლიის მიმდებარედ, 340 ჰექტარის ფართობის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს. პორტის მშენებლობისა და განვითარების ღირებულება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ანაკლიის პორტი აშენება განისაზღვრა რამდენიმე ეტაპად, 9 ფაზად და, საბოლოო ჯამში, მისმა გამტარუნარიანობამ წელიწადში 100 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს. პროექტმა საქართველოში ათასობით ახალი სამუშაო ადგილი უნდა

შექმნას. „პორტის პირველი ფაზის გახსნა და პირველი გემების მიღება 2020-2021 წლებში იგეგმებოდა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის უპირატესობებია მისი სტრატეგიული მდებარეობა, მაღალი გამტარუნარიანობა, ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარება, ლოგისტიკური სერვისების შესაძლებლობა და გაფართოების პერსპექტივა, მას საქართველოს რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად, ხოლო აბრეშუმის გზის ისტორიულ მარშრუტზე სტრატეგიულ კვანძად აქცევს. ანაკლიის პორტი, რომელსაც უკვე უწოდეს „საუკუნის პროექტი“, რეგიონში დამატებითი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების წინაპირობაა.“ (ანაკლია, 2017)

2017 წლის 24 დეკემბერს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოების დაწყების ოფიციალური ღონისძიება გაიმართა. თითქმის ერთი წლის შემდეგ, რაც მთავრობასთან საინვესტიციო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, მშენებლობას „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ზედამხედველობს.

დღევანდელი გადასახედიდან ბევრი შეკითხვაა ამ პროექტთან დაკავშირებით...

პროექტის განსახორციელებლად სპეციალურად შექმნილმა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ მშვენივრად იცოდა, რომ პორტის მშენებლობის მხოლოდ პირველი ფაზისთვის 600 მილიონი აშშ დოლარი დასჭირდებოდათ. ამ 600 მილიონიდან დაფუძნებული კონსორციუმი საკუთარი კაპიტალის სახით 100 მილიონს დოლარს ჩამოდის.

კიდევ 100 მილიონს „საპარტნიორო ფონდიდან“, ანუ სახელმწიფოსგან იღებს სუბორდინირებული სესხის სახით. რაც შეეხება დარჩენილ 400 მილიონ დოლარს, ესეც სესხია, ოღონდ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან - EBRD, ADB, AIIB და OPIC.

პრობლემები შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოდ:

- გაირკვა, რომ ბანკები კონსორციუმს სესხს მხოლოდ სახელმწიფოს თავდებობით მისცემენ;
- კონსორციუმი და მთავრობა ამასთან დაკავშირებით შეთანხმებულები არ ყოფილან;
- პროექტში არ ჰყავთ არც სტრატეგიული ინვესტორი და არც პორტების ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ბანკების სესხების დაცვას და, მეორე მხრივ, ტვირთების მოზიდვის უზრუნველყოფას;
- როდესაც პროექტის განსახორციელებლად სპეციალურად შექმნილმა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ კონკურსში გაიმარჯვა, მაშინ აღინიშნა, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორი იქნებოდა ამერიკული „კონტი ჯგუფი“. თუმცა, ამ ეტაპზე „კონტის“ მხრიდან პროექტში რაიმე სახის ინვესტიცია არ ფიქსირდება, ხოლო 2018 წლის ბოლოს „კონტი ჯგუფის“ დამფუძნებელი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდანაც გავიდა;
- ასევე კონსორციუმმა პორტის ოპერატორად თავდაპირველად დაასახელა მსხვილი ამერიკული ოპერატორი SSA Marine, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული კომპანიის ნაცვლად ანაკლიის პროექტში მონაწილეობას სხვა კომპანია - SSA International აპირებს. ეს კომპანიაც SSA Marine-ს მსგავსად შედის Carrix ჯგუფში, თუმცა გაცილებით მცირე კომპანიაა.

„ეს პორტი საშუალებას მისცემს არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მცხოვრებლებს, სრულიად სხვა შესაძლებლობები გაიჩინონ საკუთარი ბიზნესისთვის, წამოიწყონ სრულიად ახალი საქმე. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება ჯერ მხოლოდ მშენებლობის პროცესში, ხოლო შემდეგ, დღეს ძნელიც კია, გამოვთვალოთ ის ეფექტი ჩვენს ეკონომიკაზე, რომელსაც ეს პორტი მოიტანს. ეს არის რეალობა, აქ არაფერია გადაჭარბებული. ამ პორტის გარშემო, რამდენიმე ათასი ჰექტარი განვითარდება როგორც საწარმოო, სასაწყობე, ლოგისტიკური და, რა თქმა უნდა, საცხოვრებელი ახალი ზონა. ეს იქნება უდიდესი დინამიკა, რომელიც გაჩნდება ჩვენს ქვეყანაში და ეს იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობები ინოვაციური, ლოგისტიკური, ინდუსტრიული ახალი საქართველოსთვის.“ (ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო, 2017, გვ. 10)

„Ferrero-ს ისტორია საქართველოში, მართლაც, ეფექტიანი უცხოური ინვესტიციის საუკეთესო მაგალითია – ამ ინვესტიციის წყალობით, ქართულ მიწაზე არა მხოლოდ მეტი თხილი მოდის, ის ტყის მასივითაც დაიფარა. ალბათ არც ერთ სხვა ქვეყანაში Ferrero-ს იმხელა გარდატეხა არ შეუტანია, როგორიც საქართველოში. ტრადიციულად, ღვინის სამშობლოდ წოდებულ ქვეყანაში კომპანიამ მალევე დაამტკიცა, რომ საქართველო შეიძლება თხილის ქვეყანაც იყოს. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხილი, სტაბილურად, საექსპორტო პროდუქციის სამეულშია. ქართული თხილის საექსპორტო წარმატება საქართველოს ბაზარზე Ferrero-ს გამოჩენით იწყება. დღეს, თითქმის 10 წლის შემდეგ, Agri Georgia ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა თხილის ადგილობრივ ბაზარზე. ის აწარმოებს როგორც იტალიურ ჯიშებს, ისე სხვა ევროპულ სახეობებს და, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის ქართულ ჯიშებსაც. Agri Georgia ფლობს ხუთ ფერმას, ორ სანერგეს და სატეხ-საშრობ საწარმოს. კომპანია 3500 ჰა მიწას ამუშავებს და წელიწადში 1 მილიონ ნერგს აწარმოებს.“

(კვანჭილაშვილი, 2017, გვ. 80-83) თხილის პირველი მოსავალი 2013 წელს მიიღეს. საინვესტიციო გეგმა თხილის გადამამუშავებელი ორი ქარხნის მშენებლობასაც ითვალისწინებდა. შედეგად, Ferrero-ს მიერ საქართველოში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობამ 20 მილიონ ევროს გადააჭარბა.

„ეკონომიკური განვითარების ინიციატივის პროგრამა, რომელსაც კომპანია Ferrero USAID-თან თანამშრომლობით სამი წლის განმავლობაში, 2012-2014 წლებში ახორციელებდა. ამ პერიოდში 3000-ზე მეტმა ფერმერმა გაიარა ინტენსიური ტრენინგები, სადაც ისინი თანამედროვე გამოცდილებასა და მიდგომებს საერთაშორისო ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ერთად ნერგავდნენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. პროგრამა დასრულდა, თუმცა იმისთვის, რომ ფერმერებს მიღებული ცოდნა არ დაეკარგათ და ეფექტიანობასა და პროდუქტიულობაზე ზრუნვა გაგრძელებულიყო, ხოლო ტრენინგებით მიღებული შედეგები განმტკიცებულიყო, 2013 წელს, ადგილობრივ ფერმერებთან ერთად, Agri Georgia-მ დააარსა თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, რომელსაც აქტიურად ეხმარება იმისთვის, რომ აგრონომებს რეგულარული ტრენინგები უტარდებოდეთ, ახალი ტექნოლოგიების შესახებ უახლეს ინფორმაციას იღებდნენ და ამით მუდმივად აუმჯობესებდნენ საკუთარ ბაღებს. Agri Georgia-ს ტრენინგ-კურსები ფარავს ყველა საჭირო მიმართულებას: დარგვას, მოსავლის აღებას, მოვლას, ლაბორატორიულ ტექნოლოგიებს, ლოგისტიკასა და მარკეტინგს.“ (კვანჭილაშვილი, 2017, გვ. 80-83)

Ferrero-ს საქმიანობა საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგს გამოცდილებას სძენს და საექსპორტო ბაზარზე პერსპექტივას უხსნის. Ferrero-ს ისტორია საქართველოში ეფექტიანი უცხოური ინვესტიციის საუკეთესო მაგალითია. მართალია, ამ პროგრამის წარმატებით განცხორციელების შემდეგ ბაზრის მოთხოვნა თხილის გაშრობასა და შენახვაზე დაკმაყოფილებული იქნება, თუმცა რჩება მთავარი კრიტიკული მიმართულება - თხილის წარმოება, რაც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს თხილის მაღალ ხარისხსა და პროდუქტიულობას. Ferrero-ს ამ მიმართულებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებიც დეტალურად აქვს შესწავლილი. მათ შორისაა: თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის - განსაკუთრებით კი სასუქისა და პესტიციდების კუთხით - გააზრების და დანერგვის დაბალი დონე: ტექნიკის გამოყენებით შეზღუდვა ბაღების არასწორი მოწყობის გამო: ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ახალი საწარმოო და მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვისათვის. ამ გამოწვევას Ferrero ორი კონკრეტული პროგრამით პასუხობს: ქართული თხილის გაუმჯობესების პროექტი (GHIP) და თხილის ბაღების პროექტი. პირველ პროექტში ჩართულები არიან როგორც დონორები - კერძოდ, გლობალური განვითარების ალიანსი და USAID-ი, ასევე - ადგილობრივი ასოციაციებიც - კერძოდ, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია და თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაცია. მეორე პროგრამაში კი Ferrero კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობს: პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკები გასცემენ გრძელვადიან, დაბალპროცენტიან კრედიტს, ექვს წლამდე საშეღავათო პერიოდით. შესაბამისად, თხილის ბაღების პროექტში Agri Georgia-ს ორკომპონენტიანი პროგრამა - Turkey solution-ი ინვესტორებს უზრუნველყოფს როგორც ტექნიკური დახმარებით, ისე მორგებული ფინანსური პაკეტით, რომელიც მათ მისცემს საშუალებას, ახალი პლანტაციები გააშენონ და უკუგება პირველი მოსავლის აღებიდან უკვე მეხუთე წელს მიიღონ.

ასეა - კომპანია Ferrero-ს გამოცდილება საქართველოს თხილის ბაზარს შესაძლებლობას უქმნის, თავისი პოტენციალი ბოლომდე აითვისოს. ზუსტად ისე, როგორც ეს თავად ამ კომპანიამ შეეძლო. 1946 წელს, როცა მიკელე ფერერო იტალიის პატარა ქალაქ ალბაში ბიზნესს იწყებდა, ალბათ რთულად წარმოიდგენდა, რომ წლების შემდეგ მისი კონსოლიდირებული ბრუნვა 10 მილიარდ ევროს გადააჭარბებდა და კომპანია შოკოლადის საკონდიტრო ნაწარმის გლობალურ ბაზარზე ყველაზე გავლენიანი კომპანიების მესამე ჯგუფში აღმოჩნდებოდა.

„თხილის ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე კრიტიკულ მიმართულებებში Ferrero მიზნობრივ პროექტებს ახორციელებს. ასეთია, მაგალითად, თხილის დატეხის, გაშრობისა და შენახვის საგრანტო პროგრამა, რომელიც Agri Georgia-მ 2016 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნას საშრობი ცენტრების ქსელი – 40 საშრობი ცენტრი სხვადასხვა რეგიონში. თუ თხილი მოსავლის აღებისთანავე არ დაიმტვრევა და გასაშრობად არ მომზადდება, ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის ხარისხზე. ეს განსაკუთრებით ეხება ადგილობრივი ჯიშის თხილს, რომელიც ხიდან მწვანე ნაჭუჭიანად ცვივა. არსებულ საშრობ და სასაწყობო სათავსოებში შესაძლებელია წლიური წარმოების მხოლოდ 9.5%-ის გაშრობა და 2.5%-ის შენახვა. შენახვა თხილის ბიზნესის აუცილებელი კომპონენტია, რადგან თხილის 50%-ის გაყიდვა მოსავლის აღებიდან მხოლოდ სამ თვეშია შესაძლებელი. თუ თხილი დაბალი ხარისხის სასაწყობო სათავსოებში ინახება (როგორც ეს დღეს ხდება), თხილის გულის ხარისხი და წონა 10-20%-ით ვარდება; დიდია მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგიც – საშუალოდ, 35%-მდე. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრა უნდა Ferrero-ს თავისი მიზანმიმართული საგრანტო პროგრამით. პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, ხუთი წლის განმავლობაში გაგრძელდება, წელიწადში ორი

გამართული სათავსოს მიღებაზეა ორიენტირებული. Agri Georgia-ს გრანტების მოცულობა დაახლოებით $55 ათასია. სათავსოები, რომელთა მოსაწყობადაც გაიცემა გრანტი, ათ სხვადასხვა სოფელში უნდა იყოს და გასაშრობად, მინიმუმ, 1000 მტ, ხოლო დასასაწყობებლად მინიმუმ 500 მტ თხილს უნდა იტევდეს. სათავსოების მფლობელების, მენეჯერებისა და პერსონალისთვის გათვალისწინებულია ტრენინგებიც." (კვანჭილაშვილი, 2017, გვ. 80-83)

დღეს Ferrero-ს ჯგუფი 41 ათას თანამშრომელს აერთიანებს 53 ქვეყანაში: გლობალურად 23 საწარმოს მართავს და უკვე მესამე წელია, ფლობს Ferrero-ს თხილის კომპანიას, რომელიც, თავის მხრივ, ექვს სასოფლო-სამეურნეო კომპანიას და რვა საწარმოს აერთიანებს. ისინი საქართველოში 3500 ჰექტარის ფართობის თხილის პლანტაციით არიან წარმოდგენილი. საერთო ჯამში მათი პროდუქცია 170 ქვეყანაში გადის ექსპორტზე, თუმცა ჯგუფის საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მაინც ის არის, რომ Ferrero განვითარებას არ წყვეტს. ბოლო ათი წლის განმავლობაში მათი ბრუნვა თითქმის გაორმოცდა და 2017 წელს 10,3 მილიარდი ევრო შეადგინა.

წარმოდგენილი სამი საინვესტიციო პროექტი სწორი საინვესტიციო პოლიტიკის მაგალითია, რასაც ვერ ვიტყვით ავსტრიული ხორცპროდუქტების და დელიკატესების **კომპანია „შირნჰოფერი"-ს** შესახებ, რომელიც საქართველოში არა მხოლოდ თავისი პროდუქციის გაყიდვას, არამედ საწარმოს დაარსებასაც აპირებდა. კომპანია „შირნჰოფერი" საქართველოში 2005 წელს დაფუძნდა. მისი ძირითადი საქმიანობა საქართველოში ძეხვის პროდუქტების იმპორტი და საბითუმო მიწოდება იყო. კომპანიას ავსტრიული ფირმა „შირნჰოფერის" პროდუქციის იმპორტისა და დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება ქონდა. 2006 წელს შირნჰოფერი გეგმავდა მცხეთაში ქარხნის აშენებას, რომელიც დაასაქმებდა 600-მდე ადამიანს. გარდა ამისა, კომპანია გეგმავდა ფერმერებისთვის გასაზრდელად მიებარებინა სპეციალური ჯიშის ხბოები. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის საქართველოში არ არსებობდა ლაბორატორია, რომელიც ჩამორთმეული პროდუქციის ხარისხს შემოაწმებდა, ფინანსურმა პოლიციამ შირნჰოფერის პროდუქციის კონფისკაცია სწორედ დაბალი ხარისხის ბრალდებით მოახდინა. ასეთი ხელოვნური დაბრკოლებების გამო „შირნჰოფერმა" იმ დროისათვის გადაიფიქრა საქართველოში ინვესტირება, ქარხანა ყაზახეთში ააშენა. 2017 წლიდან ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „შირნჰოფერი" ქართულ ბაზარზე უკვე ბრენდული მაღაზიებითაა წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფია:

BP საქართველოში. (2010). *BP საქართველოში მდგარდი განვითარების ანგარიში 2010.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/ka_ge/georgia/home/sustainabilityreportsgeo/sustrep2010.pdf

ანაკლია. (2017 წლის დეკემბერი). (5). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. (2017 წლის დეკემბერი). *ანაკლია* (5), 10. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf

ასლამაზიშვილი, ნ. (2018). *ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოს მრეწველობაში და მისი გადაჭრის გზები.* დისერტაცია.

კვანჭილაშვილი, ე. (2017 წლის ივლისი). გემრიელი ინვესტიციები: ქართული თხილის საექსპორტო წარმატება საქართველოს ბაზარზე Ferero-ს გამოჩენით იწება. *Forbes Property*, 80-83.

მახვილაძე, დ. (2018). *უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მათი რეგულირება.* დისერტაცია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18

საქართველოს მთავრობა. (2013). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020 (პროექტი).* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის პროექტი. (2016 წლის ივნისი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.ifc.org/wps/wcm/connect/81e3d065-3d86-4eb8-9ae6-92457521d76b/GEO_Georgia_Business_Perceptions_Survey_2015_Final.pdf?MOD=AJPERES

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2018 წლის ნოემბერი). *საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა.* მოძიებულია ვებგვერდიდან:

https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_November%202018.pdf
ჭარაია, ვ. (2015). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის - საქართველოს მაგალითზე.* დისერტაცია.

Nino Liparteliani
Gori State Teaching University
Giorgi Kasradze
David Agmashenebeli University

LARGE INVESTMENT PROJECTS AND THE RIGHT INVESTMENT POLICY IN GEORGIA
RESUME

Our topic "Large Investment Projects and the Right Investment Policy in Georgia" is devoted to the growth trends in investment activity and strategies for attracting foreign direct investment in Georgia. The investment attractiveness of an economic system is a combination of many objective characteristics, resources and capabilities of a system that determine the potential solvency of investments. The investment environment of a country, region and industry, investment attractiveness and investment activity are a combination. Improving the investment environment stimulates investors and also stimulates competition in the market of goods and services, which, in turn, helps to reduce prices and improve product quality. The document shows that FDI is attractive, which does not lead to a decrease in domestic consumption, a deterioration in living standards and an increase in public debt.

Keywords: Resources, Stability, Strategic Investor, Consortium, Investment Project, Investment Policy.

ლეილა მამულაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
იზოლდა გაბადაძე, ნინო მუშკუდიანი, ინეზა წერეთელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტეგრაციის სინერგეტიკული ეფექტის კლასიფიკაცია და ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები

საკვანძო სიტყვები: სინარგია, სინერგეტიკული ეფექტი, შერწყმა, შთანთქმა, საწყისი სინერგიზმი, ფარული სინერგიზმი, სუბადიტიულობა, სუპერადიტიულობა.

საქართველოს დღევანდელი რეალობა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან მოდის. იგი სახელმწიფო-მონოპოლისტური სისტემის ტიპს წარმოადგენდა, რამეთუ ყველა რესურსი, მისი განაწილება-გადანაწილების შესაძლებლობები და განკარგვის უფლება სახელმწიფოს ხელში იყო და „მზრუნველის" ფუნქცია მის ვალდებულებას შეადგენდა. ასეთ ეკონომიკაში ცხადია თავისუფალი კონკურენცია არ არსებობდა და კონკურენცია, როგორც პროგრესის საფუძველი დათრგუნული იყო. ამასთან, მომხმარებლის პოზიციიდან მაღალი ფასების გამო, მონოპოლიზმის არასასურველობა დაფარული იყო მზრუნველი სახელმწიფოს მიერ ყველასათვის ხელმისაწვდომი ფასებით. შედეგად მივიღეთ „მთლიანი ეკონომიკური კეთილდღეობა" „სახელმწიფო-მონოპოლისტის" კეთილდღეობის ნაცვლად. ამიტომ, ასეთი ეკონომიკა ვერ გახდა მყარი და მართლაც დაიშალა. პრივატიზაციით დაწყებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა კი ეკონომიკის ნგრევით წარმოჩინდა. მასიური წარმოების ეპოქიდან მივიღეთ ეკონომიკური სტაგნაცია, რაც, ცხადია, მხოლოდ ეკონომიკური პროცესების შედეგი არ იყო. იგი უპირველესად სსრკ-ს დაშლამ და პოლიტიკურ-იდეოლიგიურმა კრიზისმა განაპირობა.

ამასთან, თანამედროვე სამყაროში გართულდა კონკურენტული უპირატესობების, ცალკეული საწარმოების და კორპორაციული სტრუქტურების მუშაობის სინერგიული ეფექტის ამაღლების მიმართულებების და ხერხების ძიება-რეალიზაცია, რაც აისახა ზოგიერთი მათგანის გადაწყვეტილებაში განახორციელონ: თავიანთი საქმიანობის დივერსიფიკაცია; საწარმოების და საქმიანობის სახეების შერწყმა-შთანთქმა; სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულების (СБЕ) შესაძლებლობების გამოვლენა; კომპანიის პორტფელური სტრატეგიების უპირატესობა და ა.შ., რამეთუ სინერგიული ეფექტი მიიღწევა, როცა ორი ან მეტი ფაქტორის ჯამური ეფექტი აღემატება ცალკეული კომპონენტების მოქმედების შედეგების უბრალო არითმეტიკულ ჯამს ანუ ახალი მეტია ძველზე. მათ შორის შერწყმისა და შთანთქმის შედეგად სინერგიული ეფექტის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში, მით უფრო საქართველოში, როცა იგი კრიზისის პირობებში ბიზნესის გადარჩენის საშუალებად იქცა.

შერწყმას და შთანთქმას ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ეკონომისტთა უმრავლესობას იგი საბაზრო ეკონომიკის ფენომენად მიაჩნიათ და მფლობელების როტაციას ეფექტურობის შენარჩუნებისა და სტაგნაციის თავიდან აცილების საშუალებად მიიჩნევენ. ჩვენც იმ ეკონომისტებს ვუჭერთ მხარს (მათ შორის იური იგნატიშიანი) ვისაც, შერწყმისა და შთანთქმის პროცესი ორგანიზაციათა განვითარების ინსტრუმენტად მიაჩნიათ და მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში იძლევა სინერგეტიკულ ეფექტს. ასევე სხვადასხვაგვარია მიდგომა სინერგიული ეფექტის კლასიფიკაციისადმი. მაგალითად, ევანსისა და ბიშოპის მიერ შემოთავაზებულია შერწყმის სინერგეტიკული ეფექტის შემდეგი კლასიფიკაცია:

1. შემოსავლების ზრდა, რომელიც მიიღწევა შერწყმული ბიზნესის მიერ უფრო ფართო ბაზრის მომსახურების ან/და პროდუქციის უფრო გაფართოებული ასორტიმენტის შეთავაზების ხარჯზე;

2. ხარჯების შემცირება, რომელიც მიღწეულია ფუნქციების კონსოლიდაციის, ზედმეტი თანამდებობების, მსგავსი ძირითადი ფონდების ჩამოშორების, აგრეთვე ზედნადები ხარჯების შემცირების ხარჯზე;

3. პროცესების სრულყოფა, რომელიც მიიღწევა, როდესაც შერწყმული კომპანიები აღჭურვილი არიან უფრო შრომისუნარიანი ან ეფექტური მეთოდებით, რომლებიც გამოყენებულია კომპანია-მიზანის ან კომპანია-მყიდველის მიერ;

4. ფინანსური ეკონომია, რომელიც მიიღება შერწყმულ კომპანიებში კაპიტალზე დანახარჯების შემცირების შემთხვევაში, ბევრი რისკის აღმოფხვრის ხარჯზე ბიზნესის ზრდის გამო.

ეკონომიკური სინერგეტიკის კლასიკოსი ი. ანსოფი ნაშრომში „კორპორაციული სტრატეგია“ გამოყოფს სინერგეტიკული ეფექტების შემდეგ სახეებს:

1. სავაჭრო (ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მიეწოდება განაწილების იგივე არხებით, მათ დამუშავებას ხელმძღვანელობს იგივე ადმინისტრაცია ან თუ ისინი ინახება ერთ საწყობში);

2. ოპერაციული (წარმოადგენს საწარმოო სიმძლავრეების და პერსონალის უფრო მაღალი დონის გამოყენების, ზედნადები ხარჯების განაწილების, სწავლების საერთო მიმართულებების უპირატესობების და საქონლის მსხვილი პარტიების შესყიდვების შედეგს);

3. საინვესტიციო (შეიძლება იყოს ქარხნის მოწყობილობის ერთობლივი გამოყენების, ნედლეულის საერთო მარაგების, საინჟინრო დამუშავების მონაცემების ერთი საქონლიდან მეორეზე გადაადგილების, საერთო საჩარხო მოწყობილობის ექსპლუატაციის შედეგი);

4. მმართველობითი (თუმცა მენეჯმენტის ფაქტორი წარმოდგენილია მოგების კომპონენტების რიგში არამკაფიო ფორმით, სინერგიზმის მოცემული ტიპი ბევრად განსაზღვრავს საერთო დადებით ეფექტს).

უ. პურშე, ცნობილი სტატიის „საუკეთესო შეკვეთების შედგენისას: სინერგიები და შთანთქმის ფასები“ ავტორი, ახდენს სინერგეტიკული ეფექტების კლასიფიცირებას სამი მიმართულების მიხედვით:

1. უნივერსალური. ეფექტების მოცემული სახე ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია ნებისმიერი რაციონალური კომპანია-მყიდველისათვის, რომელსაც გააჩნია კომპეტენტური მენეჯმენტი და საჭირო რესურსები. მსგავსი სინერგიზმების მაგალითს წარმოადგენს მასშტაბის ეფექტი;

2. სპეციფიკური. ასეთი ეფექტები ხელმისაწვდომია მხოლოდ ზოგიერთი კომპანია-მყიდველისთვის, რომელიც ჩვეულებრივ მოქმედებს იგივე დარგში, რომელშიც მშთანთქავი კომპანია;

3. უნიკალური. ეს ეფექტები მიღწევადია კონკრეტული შერწყმის და შთანთქმის დროს, რთულია მათი სისტემატიზება და კლასიფიცირება.

ცალკეული კომპანიების დამოუკიდებელი მართვის დროს, რომლებიც შედიან შერწყმულ კორპორაციაში თავისი აქტივებით, მთელი კორპორაციის საერთო რესურსების ერთობლივი გამოყენებისას წარმოიქმნება მოდულური სინერგია. ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციებისათვის დამახასიათებელია მიმდევრობითი სინერგია, რომელიც წარმოიქმნება საბოლოო პროდუქტის გადაცემის დროს შერწყმულ კომპანიაში შემავალი ერთ-ერთი კომპანიის მიერ წარმოების

ტექნოლოგიურ ჯაჭვში მომდევნო კომპანიისათვის. შერწყმულ კორპორაციაში შემავალი კომპანიების რესურსების ერთობლივი გამოყენების დროს წარმოიქმნება ურთიერთ სინერგია. მაგალითად, კვლევების და დამუშავების შედეგები შეიძლება გადაცემული იქნას კომპანიებს შორის ყოველივე მათგანის მუშაობის ეფექტურობის გაზრდისათვის.

ა. დამოდარანმა ნაშრომში „სინერგიის შეფასება“ განსაზღვრა სინერგეტიკული ეფექტი, როგორც დამატებული ფასეულობა, რომელიც წარმოიქმნა ორი ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად, შექმნა შესაძლებლობები, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი ამ ორი ფირმისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობის დროს. მან გაყო სინერგეტიკული ეფექტების ყველა სახე ორ ჯგუფად: ოპერაციული (რომლებიც მოიცავენ ეკონომიას მასშტაბიდან, ფასების გაზრდის შესაძლებლობას და ზრდის უფრო მაღალი პოტენციალის რეალიზაციას) და ფინანსური, რომლებიც მოიცავენ საგადასახადო შეღავათებს, დივერსიფიკაციას, საკრედიტო დავალიანების გაზრდის და ჭარბი ფულადი მასის წვდომის შესაძლებლობას).

სინერგეტიული ეფექტის გამოვლინებები მეტად მრავალფეროვანია და მისი კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნით, რის შედეგად მიიღება სინერგიის შესაბამისი სახეები: მოგების წყაროს ნიშნით - მიიღება სავაჭრო, ოპერაციული, ინვესტიციური, მმართველობითი სახის სინერგია; საქმიანობის დაწყების ნიშნით - სინერგია ფულის და დროის ეკონომიაა; ოპერაციული საქმიანობით - მასშტაბის ეფექტი, ზედნადები ხარჯების განაწილება წარმოებული პროდუქციის დიდ მოცულობაზე; ფუნქციონალური დარგის ნიშნით - ზოგადი მენეჯმენტი და ფინანსები, კვლევები და შემუშავება, მარკეტინგი; ოპერატიული ნიშნით - მშობელი კომპანიის წვლილი, ახალი საწარმოს წვლილი, სასაქონლო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ერთობლივი შესაძლებლობების ფორმები; ეფექტების სიმეტრიის მიხედვით - ახალი სასაქონლო ხაზის უპირატესობები, მდგრადი ვალდებულებების ხელმისაწვდომობა; დროის პერიოდის ნიშნით - სტატიკური და დინამიური სინერგია; აქტივების სახეების მიხედვით - მაკომპლექტებელი და უხილავი აქტივები; სინერგიული ღირებულების შექმნის მექანიზმის ნიშნით - რესურსების განსაზოგადოება, „დაღვრის“ ეფექტი, „მსგავსი“ დარგები და საერთო იმიჯი; კომპლემენტარული შესაძლებლობების მიხედვით - „გარღვევის“ ეფექტი ფირმის რესურსებსა და ოპერაციების მოცულობას შორის, სიმძლავრეების დროში არათანაბარი გამოყენება; ქვედანაყოფებს შორის ურთიერთკავშირის ტიპის მიხედვით-მატერიალური, არამატერიალური და კონკურენტული; პორტფელური სტრატეგიის ნიშნით-საბაზრო, რესურსული, სამომხმარებლო და ტექნოლოგიური სახის სინერგია.

ამასთან, ინტეგრაციის სინერგეტიკული ეფექტები შეიძლება განვიხილოთ მათი გამოვლენის პერიოდებით, რომელიც ორ ფორმაში წარმოჩინდება:

1) საწყისი სინერგიზმი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში უშუალოდ ინტეგრაციის ხარჯზე მიიღება;

2) ფარული სინერგიზმი, რომელიც მიიღება გრძელვადიან პერიოდში შესაბამისი მმართველობითი ზემოქმედების განხორციელების დროს ინტეგრირებულ კომპანიაზე.

ინტეგრაციული გარიგების დაგეგმვის დროს გაერთიანებული კომპანიების ტოპ-მენეჯერს უფრო მეტად აინტერესებს როგორი სინერგეტიკული ეფექტის მიღებაა შესაძლებელი უშუალოდ შერწყმის ან შთანთქმის შედეგად. ამიტომ, კორპორაციის გრძელვადიან მიზნებს და პოტენციალს ნაკლები ყურადღება ეთმობა. მოკლევადიანი სინერგიზმისათვის დამახასიათებელია შემდეგი უპირატესობები:

1) ბაზარი მსჯელობს სავარაუდო სინერგეტიკული ეფექტების შესახებ, რომლის შედეგად წარმოიქმნება მაღალი მოლოდინი და თავისებური ზეწოლა კომპანიის მენეჯმენტზე ფინანსისტების მხრიდან;

2) სწრაფი წარმატებები ამართლებს შერწყმას თანამშრომლების თვალში და აძლევს იმპულსს კომპანიის განვითარებას. სინერგეტიკული ეფექტების 15%-მდე მიღება შესაძლებელია შერწყმის შედეგად პირველ ას დღეში;

3) დანახარჯების სწრაფი შემცირების დროს მარტივია კომპანიის სტაბილური ფუნქციონირების მოგვარება, რაც კორპორაციის გრძელვადიან პერსპექტივებზე კონცენტრირების საშუალებას იძლევა.

ფ. ევანსის და დ. ბიშოპის მტკიცებით გარიგებების უმრავლესობა, რომლებსაც გააჩნია პოტენციური სინერგეტიკული ეფექტები, იქმნება მყიდველის მიერ და არა გამყიდველის მიერ, ამიტომ აზრი არა აქვს გადაუხადოთ გამყიდველს ღირებულებისათვის, რომელსაც ქმნის მყიდველი. გრძელვადიანი სინერგეტიკული ეფექტები, როგორც წესი, მოითხოვენ არსებით ინვესტიციებს და სერიოზულ მმართველობით ძალისხმევას ინტეგრირებული სტრუქტურის შიგნით. ამიტომ, მშთანთქავი კომპანიის შეძენის ფასის გაანგარიშებაში მათ მონაწილეობა არ უნდა მიიღონ.

თუ როგორია ინტეგრაციის სინერგეტიკული ეფექტები რესურსების მოძრაობასთან დამოკიდებულების მიხედვით თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევს კინგსტონის უნივერსიტეტის (დიდი

ბრიტანეთი) პროფესორის რ. მეტიუზის მოდელი, რომლის მიხედვით სინერგია წარმოიქმნება სუბადიტიულობის და სუპერადიტიულობის წყაროს ხარჯზე.

სუბადიტიულობის ბუნება მდგომარეობს გაერთიანებული კომპანიების ერთობლივი დანახარჯების შემცირებაში გაყიდვების არსებული მოცულობის შენარჩუნების დროს. სუპერადიტიულობის კი - გაყიდვების ზრდის ხარჯზე მოგების გაზრდაში. ზოგიერთი ავტორის აზრით (Бурдина & Соловьева, 2014) სუბადიტიულობა მდგომარეობს არსებული რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებაში (როგორც ოპერაციულის, ასევე ფინანსურის და საინვესტიციოსი), ხოლო სუპერადიტიულობა - რესურსების ნაკადის ზრდაში (როგორც ოპერაციულის, ასევე ფინანსურის და საინვესტიციოსი).

ინტეგრაციის სინერგეტიკულ ეფექტებს კორპორაციის საქმიანობის მიმართულებების ჭრილში ყოფენ ოპერაციულ, ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობად. ოპერაციულს მიაკუთვნებენ საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს; ფინანსურს - ოპერაციებს, რომლებიც იწვევენ საკუთარი და ნასესხები საშუალებების მოცულობის და სტრუქტურის ცვლილებას; საინვესტიციოს - შრომის საშუალებების შეძენას და გაყიდვას. ამასთან შესაბამისად მიიღება: ოპერაციული სინერგია; ფინანსური სინერგია და საინვესტიციო სინერგია.

რაც შეეხება სინერგიული ეფექტის ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებს, იგი შეიძლება განვიხილოთ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლადი პარამეტრების მიხედვით. ამასთან, იგი შეძლება დაიყოს გარიგების დადებამდე და გარიგების შემდეგ მოქმედ ფაქტორებად. პირველს მიეკუთვნება: სინერგიის ეფექტის გამოვლენის მრავალფეროვანი ფორმები, გარიგების სახე და მისი დასრულების მიზეზები, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ციკლის სტადია, კომპანიის ზომა და დარგობრივი კუთვნილება გარიგებაში. მეორეს კი: სარგებლის ოდენობა სინერგიული ეფექტიდან, პროგნოზირებადი სინერგიული ეფექტის მიღწევის ალბათობა ან სინერგიის რისკის ზრდა %, სარგებლის მიღების დრო (წელი).

დღევანდელ პირობებში საქართველოში სახელმწიფო და საბიუჯეტო პოლიტიკა ორიენტირებულია ეკონომიკური ზრდის ისეთ ხელშეწყობაზე, როგორიცაა ორგანიზაციების ინტეგრაციის პროცესი. ამის ნათელი დასტურია სახელმწიფო უნივერსიტეტების შერწყმა-შთანთქმის პროცესი. მაგალითად, 2006 წელს გაერთიანდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო 2010 წელს სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელწოდებით ფუნქციონირებს. თუ გავაანალიზებთ სინერგეტიკული ეფექტის თვალსაზრისით, შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1. გაიზარდა ცნობადობა, გახდა მრავალპროფილიანი, მიმზიდველი და გახდა კონკურენტუნარიანი, ვიდრე ადრე ცალ-ცალკე ფუნქციონირების შემთხვევაში. 2. შემცირდა ხარჯები, ერთნაირი თანამდებობების და ზედნადები ხარჯების შემცირების ხარჯზე. 3. ბოლონიის პროცესთან ინტეგრაციის შედეგად სწავლების თანამედროვე მეთოდების და სხვადასხვა ტრენინგების საფუძველზე სასწავლო პროცესი უფრო სრულყოფილი გახდა. 4. შიდა გრანტების საფუძველზე განხორციელებული ინტერდისციპლინარული კვლევებით მიღებული იქნა ურთიერთსინერგია, რამაც გაზარდა კვლევის ეფექტიანობა.

ბიბლიოგრაფია:

გოცირიძე, მ. (2018). *კორპორაციული მენეჯმენტი.* თბილისი: უს ჯორჯია.

Ансофф, И. (1999). *Новая корпоративная стратегия.* Санкт-Петербург: Питер.

Бурдина, А. А., & Соловьева, И. В. (2014). Анализ Видов и Форм Синергетического Эффекта Слияния и Поглощения Предприятий Авиационной Отрасли. *Экономическая Теория, Анализ, Практика* (1). Получено из http://etap.instet.ru/images/etap/Etap_01_2014.pdf

Leila Mamulashvili
Gori State Teaching University
Izolda Gabadadze, Nino Mushkudiani, Ineza Tsereteli
Akaki Tsereteli State University

CLASSIFICATION OF SYNERGISTIC EFFECTS OF INTEGRATION AND DETERMINANTS OF GROWTH

RESUME

Today's reality in Georgia stems from a command economy. There was clearly no free competition in such an economy, and competition as a basis for progress was depressed. In the modern world, when competitive advantages are becoming elusive, it becomes important to study the synergistic effect of mergers and acquisitions. Especially in Georgia, due to the crisis, it has become a business survival tool. Therefore, the purpose of this article is to classify the synergistic effects of mergers and acquisitions and to determine their growth effects.

The article discusses the attitude of Georgian and foreign scientists and economists to the synergistic effects of absorption. Types and classifications of synergistic effects are given by different signs. The results, based on theoretical material, are analyzed by merging state universities in Georgia with current absorption processes. In particular, the conclusions and synergistic effects were made by the State University. Akaki Tsereteli: 1. Awareness raising, versatility, attractiveness and competitiveness than previously worked separately. 2. Lower costs, equal positions and overhead to reduce costs. 3. As a result of integration with the Bologna process, the educational process has become more complete on the basis of modern teaching methods and various trainings. 4. An interdisciplinary study conducted on the basis of internal grants led to mutual synergy, which increased the effectiveness of the study.

Keywords: Synergy, Synergistic effect, Merger, Absorption, Initial synergism, Latent synergy, Subdivision, Superraditability.

Ruizan Mekvabidze
Gori State Teaching University
Leszek Karczewski, Roman Śmietański
Opole University of Technology

THE FOURTH INDUSTRIAL AGE AND ITS IMPACT ON EDUCATIONAL TRENDS IN RELATION OF COMPETITIVE MARKET REQUIREMENTS

"We stand on the brink of a technological revolution that will fundamentally alter the way we live, work, and relate to one another. In its scale, scope, and complexity, the transformation will be unlike anything humankind has experienced before".[1]

Abstract. Today, globalization refers to become more and more integrated via moments of goods, capital, labor and ideas, education and research experience. At the same time, according to **The Fourth Industrial Age and its impact on** the orientation of education tends to reach substantial improvement of new generation learners and offers opportunities for the idea development of including research processes. But, what does Education Institution need to stay competitive as each individual has abilities, skills, experience, values and culture, which each uses to transform educational skills into knowledge?

The work considered an approach to find new educational trends with indicators/parameters that influenced on the competitive market requirements in the frame of the new industrial age. Study shows that skills indicators/parameters considered in the 2015 by OECD are replaced and challenges for the education system are required as it has to prepare individuals with knowledge and professional skills creation for competitive market requirements. The results are visible. Moreover, new technology will indeed create a challenge for educational institutions. Our higher education

[1] **Klaus Schwab**, Head of the World Economic Forum 2019, https://www.weforum.org/focus/davos-2019

system needs to adopt and transform the teaching method and learning environment for the benefit of all. It is very important to provide the future workforce with appropriate education as The Fourth Industrial Age will require profound changes in major aspects of education.

Keywords: The fourth industrial age**,** Business, Education study.

1 Introduction

Education in the fourth industrial Revolution age potentially transformed society from tasks based characteristics to the human centered characteristics and reduces the subject distance between humanities and social science because the science and technology require much more interdisciplinary teaching, learning, research, innovation and practice. The interest in The Fourth Industrial Age with the arisen new dataset so called "Big Data' is growing more intensively. Big Data represents a number of considerations and raises wider questions of what kinds of data should be combined and analyzed for any problem solving. Such considerations are vital and many debates are documented and the question how the data are used often debated in the educational area. *"In the field of education, Big Data is still a relatively topic, but it is clearly beginning to grow. The areas of Educational Data Mining and Learning Analytics are both developing a number of identifiers characteristic of an established field of study"* (Xing & Marwala, 2017, p. 13).
The issue of reforms of higher education as a social investment includes benefits from research and technological innovation with employed qualitative and quantitative methods to examine the expected professional level of the university graduates. The educational systems development demonstrate various reasons for the necessity of reforms and the difference in their objectives. We cannot research the problems that are observed in transition period without education development, as education is the process to thoughtful uncertainty and in present, it is the most important thing as education means growing of knowledge with professional skills (Mekvabidze, 2013), because after that a country is ready to develop economics, business, healthcare, technologies and so on. Individuals with their education, skills and professional experience determine economic changes of the country. (Woodhall, 2007)
In 21st century, so called „**The fourth industrial age"** education will become increasingly important. Investment in education contributes to enhanced labor force productivity accordingly to compettive market requirements. A major challenge faced by governments everywhere is the reform in response of rising demand for education that is borning the new trends of education development. On the other side, today, globalization refers to become more and more integrated via moments of goods, capital, labor and ideas, education and research experience. At the same time, according to **The Fourth Industrial Age and its impact on** the orientation of education tends to reach substantial improvement of a new generation learners and offers opportunities for the idea development of including research process development. But, what does Education Institution need to stay competitive as each individual has abilities, skills, experience, values and culture, which each uses to transform educational skills into knowledge? (Mekvabidze, 2016)
It is clear, that education and research approach categories included skills and professional experience and can be used for decision making management. But 21st century in the new era of industrial age demands and seeks a new environment of education activities. Research led that teaching and learning refers to initiatives to bring the T-L-R-P functions by disciplinary based research, as research and development are the challenges issues facing professionals today and it will be more demandable in future together with the development of new technologies. No doubt, and it's clear, that students' for whom are possible to access research –related recourses will be more competitive for labor market and next questions arise in general (Mekvabidze, 2015):

- What are the aspects of knowledge creation in The Fourth Industrial Age?
- Is the Modern Higher Education towards a knowledge creation in the framework of The Fourth Industrial Age?
- Are the teacher and student main players in knowledge creation?
- Can knowledge be considered as a function of Teaching-Learning-Research and practice (T-L-R-P)?

1.1.Situation at the Outset

New technologies form creativity and new ways of working and education and demand changes and to understand an importance these changes. We have to understand and assess the transformations of the developing process of industries:

- The first industrial revolution was catalyzed by Newton when he formulated his laws of motion: Industry 1.0. it is the end of the 18th century, 1760 to 1840 : Introducing mechanical production machines powered by water and steam;
- The second industrial revolution was catalyzed by Faraday and Maxwell who unified magnetic and electric forces and this led to electricity generation and electric motor which were instrumental in the assembly lines that have come to dominate many industries. lines powered by electric energy: Industry 2.0, beginning of the 20th century, 1870 to 1940 : Introducing mass production;
- The third industrial revolution was catalyzed by the discovery of a transistor which ushered the electronic age that gave us computers and internet: Industry 3.0, beginning of the 70th, 1960 to 2010 : using of electronics and IT further progression in autonomous production.

- The fourth industrial revolution will revolutionize industries so substantially that much of the work that exists today will not exists in 50 years Industry 4.0: „The strongest innovators and leading researchers draw on swiftness, well pruned processes, and the exploitation of advanced technology to explore and capture research opportunities“ (Xing & Marwala, 2017, p. 13)

Today, disruptive digital business models will focus on generating extra digital revenues and optimizing customer experience in terms of interaction and access. (Dhawan & Zanini, 2014; Hofmann & Ruesch, 2017)

1.1.1 Big Data

Big Data is today's technology hot topic. The term "Big Data" entered the mainstream vocabulary around 2010 when people became cognizant of the exponential rate at which data were being generated, primarily through the use of social media. (Lee, Begheri, & Kao, 2015) Engineers and computer scientists quickly realized that Big Data cannot be defined purely in terms of size. While it is certainly true that the volume of data has increased by orders of magnitude over the past decade, other factors have changed the informational landscape as well. Recently, industrial Big Data analytics has attracted extensive research interests from both Academia and Industry. Big Data allows for better prediction of economic phenomena and improves causal inference. Effective using of big data has the underlying benefits to transform econmics and delivering a new wave of productive growth. Industrial Big Data analitics became basic competition for todays enterprises.

Big Data represents a number of considerations and raises wider questions of what kinds of data should be combined and analyzed for any problem solving. The question how the data are used often debated in the educational area. Education in the fourth industrial revolution age potentially transformed society from tasks based characteristics to the human centered characteristics and reduces the subject distance between humanities and social science because the science and technology require much more interdisciplinary teaching, learning, research, innovation and practice. *"In the field of education, Big Data is still a relatively niche topic, but it is clearly beginning to grow. The areas of Educational Data Mining and Learning Analytics are both developing a number of identifiers characteristic of an established field of study*". (Romero & Ventura, 2010)

A discourse around Big Data and education is increasingly one of efficiency and cross-effectiveness, both in terms of he use of the data to improve education delivery and research. Big Data offers some really interesting opportunities for research and practice. It could help us to better understand a range of issues of learning and technology research. (Jeble, Kumari, & Patil, 2018) These massive new data sets can improve the track and describe the economic activity, but also how the development of new advanced data analytics methods and predictive modeling tools that have emerged in statistics and computer science may prove useful in economics. (World Economic Forum, 2011) „*We define Big Data as a cultural, technological, and scholarly phenomenon that rests on the interplay of: (1) Technology: maximizing computation power and algorithmic accuracy to gather, analyze, link, and compare large data sets. (2) Analysis: drawing on large data sets to identify patterns in order to make economic, social, technical, and legal claims. (3) Mythology: the widespread belief that large data sets offer a higher form of intelligence and knowledge that can generate insights that were previously impossible, with the aura of truth, objectivity, and accuracy*". (Acquisti & Gross, 2009)

Big Data not only refers to very large data sets and the tools and procedures used to manipulate and analyze them, but also to a computational turn in thought and research and creates a radical shift in how we think about research. Big Data changes the definition of knowledge and reframes key questions about the constitution of knowledge, the processes of research, how we should engage with information and the categorization of reality.

An influence of the fourth industrial age we are feeling to all directions as are: economy (Growth, Ageing, Productivity, Employment Labor substitution), business (Customer expectations, Data enhanced products, Collaborative innovation, New operating models), National & Global (Governments, Countries, regions & cities, International security), Society (Inequality, Community), The Individual (Identity, morality & ethics, Human connection) and ect. (Dijcks, 2013)

2 Educational Trends: Problems & Study Notes & Objectives

To formulate a comprehensive research strategy in accordance with research methodology, and to implement the research methods for the education trends, we need to consider and:

- To develop technological and economic criteria and sub-criteria for indicators , to be applied to study the current criteria situation and to create a model with categories;
- To describe the multivariable competitive market requirements support model and to apply research results to improve it further. The results of the example and case processes, and the features of intelligent field technology, change and diversify the competitive market requirements criteria;
- Understanding of new field technology solutions, and to accelerate their diffusion and acceptance on a case-by-case basis;
- To propose changes in the emphasis of automation and process technology education, based on the development of intelligent field technologies and the level of knowledge and professional skills they require;
- To discuss how innovations are diffused and adopted in situations involving changes and renovations in field technology and how knowledge and professional skills can also be enhanced by using innovation technologies;

- To improve economic decision-making criteria for reliability and availability performance, minimizing human-related risks, and improving production, productivity, product quality, installation, introduction, service and maintenance were the most significant economic criteria and besides its, overall technological quality also emerged as a very important criterion.

Different indicators (opportunities and challenges) for education systems require certain skills for 2015, as are (World Economic Forum, 2016):

Opporunities suggested by OECD in 2015
Complex problem solving
Coordinating wuith others
People management
Critical Thinking
Negotiation
Quality control
Service orientation
Judgment and decision making
Active listening
Cognitive Flexibility

The main Design Principles can be considered in this case:

- The ability of cyber-physical systems via the Internet of Things and the Internet of Services;
- Virtualization: virtual plant models and simulation models;
- The capability to collect and analyze data and provide the insights immediately;
- Service Orientation: offering of services via the Internet of Services;
- Flexible adaptation of Smart Factories for changing requirements of individual modules.

Together with Information and communication technology development through industry revolution, data growth process is continuing by internet and information services drives the industry to develop new models. There is an abundance of tools available in the market, they are underutilized by organizations due to their complexities. Usage of data, numbers of that is increasing greatly. Recently, the trend in the IT industry is towards developing data flow based programming models which offers a higher level of abstraction to increase using of big data as part of Industry 4.0 for vision of economic changes analysis and their impact on economic decision making optimization and enterprises of future. (World Economic Forum, 2018).

3. **Optimization of the Indicators through the Competitive Market Requirements**

21st century Education Institutions (EIs) face a world that is more interconnected, one in which knowledge, creativity, research and innovation are the essential elements of societies. Globalization and The Fourth Industrial Age refers to become more and more integrated via moments of goods, capital, labor and ideas, education, and research. But, what do EIs need to stay competitive as each individual has abilities, skills, experience, values and culture, which each uses to transform these information into knowledge? (Pike, Smart, & Ethington, 2012)

Knowledge and individual's professional skills are considered to be one of the most important sources for an individual and for any organization as socially constructed and embedded in practice. But they are systematically developing processes in time **and should be considered** and understood as at the confluence of several sciences of disciplines each contributing in full concept with correspondence of theories, tools and new technologies that demand the changes of educational reforms and provide successful modification of them that are based on the education and research approach categories can be described as education, research with practice skills or combination of data and information to which skills and professional experience are added, and can be used in practice. The studying is motivated by the fact that it is formatting by contribution from several areas and from various levels of studying beginning from the secondary school. There is suggested that knowledge should be considered as a function of education (teaching-learning) and research approach categories.

We attempt to answer the questions:

- What are the aspects of knowledge and practical skills creation for the competitive market requirements?
- Is the Modern Education System towards a knowledge and practical skills creation?
- Is the student motivated for knowledge and practical skills creation and knowledge in the frame of new educational reforms with the Fourth Industrial Age and how it will be done?
- Are the teacher and student main players in knowledge and practical skills creation?
- Can we assess knowledge by considering a teacher as a producer of knowledge and practical skills by considering a student as a co-producer of them?
- Can indicators be considered as the elements of knowledge and practical skills and can be created a new model?

Studies have to show:

- Direct causal relationship between student's motivation, student's engagement in study process and student achievement accordingly the suggested indicators of knowledge and practical skills;
- The critical aspects lifted forward in the syllabuses in educational science: Teaching, Learning, and research on the basis of fundamental indicators in a broad way.

Note. The indicators are considered as the parameters of knowledge and professional skills' creation

The questionnaires were spread in the internet for students and teachers according to the indicators suggested by OECD in 2015 with **the aim to show their vision and challenges, and to make the possible replacements of these indicators in the frame of the fourth industrial age.** The copies were returned, giving a response -786 unit. The response options into sections are: Strongly agree (SA), Agree (A), Neutral (N), Disagree (DA), Strongly Disagree (SD). The reliability of indicators in sections of the questionnaire was measured using Cronbach's alpha. Cronbach's alpha is a measure of internal consistency, that is, how closely related a set of items (indicators) are as a group. It is considered to be a measure of scale reliability. As the average inter-item correlation increases, Cronbach's alpha increases as well (holding the number of items constant). The results of Cronbach's alpha by positive answers are given in **Table1** below.

Table1. Reliability analysis of the indicators

	#	Indicator	Number of positive answers	Cronbach's alpha
Knowledge and Professional Skills	1	Critical Thinking	90	0.8512
	2	Creativity	85	0.8303
	3	Complex problem solving	80	0.8562
	4	Coordinating wuith others	73	0.7900
	5	People management	68	0.7930
	6	Judgment and decision making	60	0.7754
	7	Service orientation	60	0.7324
	8	Negotiation	51	0.7101
	9	Emotional Inteligence	42	0.7112
	10	Cognitive Flexibility	32	0.6911

Table 2. An Influence of the fourth industrial age on the realization of the indicators. A case of 2019

	Indicators	Frequency and %				
		SA	A	N	DA	SD
knowledge and professional skills	Critical Thinking	450 (57.25%)	180 (22.90%)	156 (19.85%)	0 0%	0 0%
	Creativity	438 (55.72%)	192 (24.43%)	138 (17.56%)	18 (2.29%)	0 0%
	Complex problem solving	420 (54.44%)	150 (19.10%)	90 (11.45%)	90 (11.45%)	36 (4.58%)
	Coordinating wuith others	408 (51.90%)	246 (31.30%)	120 (15.27%)	12 (1.53%)	0 0%
	People management	402 (51.14%)	114 (14.50%)	144 (18.32%)	72 (9.16%)	54 (6.87%)
	Judgment and decision making	360 (45.80%)	132 (16.79%)	270 (34.35%)	54 (6.87%)	30 (3.82%)
	Service orientation	360 (45.80%)	132 (16.79%)	207 (34.35%)	54 (6.87%)	30 (3.82%)
	Negotiation	208 (36.64%)	168 (21.37%)	210 (26.72%)	60 (7.63%)	48 (6.11%)
	Emotional Inteligence	270 (34.35%)	192 (24.43%)	156 (19.85%)	120 (15.27%)	48 (6.11%)
	Cognitive Fl**ndicators**exibility	216 (27.48%)	264 (33.59%)	252 (32.06%)	42 (5.34%)	12 (1.53%)

3. Analysis of results

Analysis of **results of Education Trend** by indicators in group of **Knowledge and Professional Skills** creation was used to explore the degree of consensus on each indicators (Critical Thinking, Creativity, Complex problem solving, Coordinating wuith others, People management, Judgment and decision making, Service orientation, Negotiation, Emotional Inteligence, Cognitive Flexibility).

Review of the indicator's statements related to the education trend of **Knowledge and Professional Skills** of academics and students shows that in general most academics and students have a positive towards **Knowledge and Professional Skills** creation by the listing indicators. Review of the indicators' statements related to the **Knowledge and Professional Skills** creation of academics and students shows that in general most academics and students have a positive towards knowledge creation as a trend of education. In this case, we want to state their point of view from the side of Knowledge and Professional Skills creation by the given indicators in group.

Knowledge creation on the modern university level is a key of educational environment, today and contributes intensively towards graduates performance for the competitive market and employability. The paper has revealed the importance of variables teaching-learning-research that are responsible for knowledge asset on the first step. This accumulation of the knowledge as a store for its management and decision making, adoption and evaluation on the work place that may be considered as knowledge – driven process.

Bearing in mind the importance of the problem, it is advisable to extend the frame of the experiment to obtain more significant results and simultaneously turn on the problem of assessing graduates' knowledge by GPA that it is not quite realistic assessment today. This question has long been a subject of discussion of universities of Europe and USA.

Bibliography

Acquisti, A., & Gross, R. (2009). Predicting social security numbers from public data'. *Proceedings of the National Academy of Sciences, 106*(27), 10975-10980. doi:10.1073/pnas.0904891106

Dhawan, V., & Zanini, N. (2014). Big data and social media analytics. *Research Matters: A Cambridge Assessment publication*(18), 36-41. Retrieved from http://www.cambridgeassessment.org.uk/research-matters/

Dijcks, J. (2013). *Big Data for Enterprise.* Retrieved from http://www.oracle.com/us/products/database/big-datafor-enterprise-519135.pdf

Hofmann, E., & Ruesch, M. (2017). Industry 4.0 and the current status as well as future prospects on logistics. *Computers in Industry, 89*, 23-34. doi:10.1016/j.compind.2017.04.002

Jeble, S., Kumari, S., & Patil, Y. (2018). Role of Big Data in Decision Making. *Operations and Supply Chain Management, 11*(1), 36-44. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/326408012_Role_of_Big_Data_in_Decision_Making

Lee, J., Begheri, B., & Kao, H. (2015). Recent Advances and Trends of Cyber-Physical Systems and Big Data Analytics in Industrial Informatics. *International conference industrial informatics 2014, November.* doi:10.13140/2.1.1464.1920

Mekvabidze, R. (2013). Responding tomorrows world – following educational reforms in Georgia: Studying trends of transformation of economic education. *5th International conference on education and new learning technologies.* 1-3 July, 2013. Barcelona.

Mekvabidze, R. (2015). Approaches to the Modern University: Student Engagement in Learning Outcome for Knowledge Creation According to the Competitive Market Requirements. *Journal of System and Management Sciences, 5*(4), 1-30.

Mekvabidze, R. (2016). The knowledge triangle as a main educational aspect of learning outcome. *Scientific Papers of Berdyansk State Pedagogical University. Series: Pedagogical sciences*(2), 126-132.

Pike, G. R., Smart, J. C., & Ethington, C. A. (2012). The Mediating Effects of Student Engagement on the Relationships Between Academic Disciplines and Learning Outcomes: An Extension of Holland's Theory. *Research in Higher Education, 53*, 550–575. doi:10.1007/s11162-011-9239-y

Romero, C., & Ventura, S. (2010). Educational Data Mining: A Review of the State of the Art. *IEEE Transactions on Systems Man and Cybernetics Part C (Applications and Reviews) , 40*(6), 601-618. doi:10.1109/TSMCC.2010.2053532

Woodhall, M. (2007). *Funding Higher Education:The Contribution of Economic Thinking to Debate and Policy Development.* Retrieved from http://siteresources.worldbank.org/EDUCATION/Resources/278200-1099079877269/547664-1099079956815/Funding_HigherEd_wps8.pdf

World Economic Forum. (2011). *Personal Data: The Emergence of a New Asset Class.* Retrieved from https://www.weforum.org/reports/personal-data-emergence-new-asset-class

World Economic Forum. (2016). *The 10 skills you need to thrive in the Fourth Industrial Revolution.* Retrieved from https://www.weforum.org/agenda/2016/01/the-10-skills-you-need-to-thrive-in-the-fourth-industrial-revolution/

World Economic Forum. (2018). *The future of education, according to experts at Davos.* Retrieved from https://www.weforum.org/agenda/2018/01/top-quotes-from-davos-on-the-future-of-education

Xing, B., & Marwala, T. (2017). Implications of the Fourth Industrial Age on Higher Education. *Tạp chí Nghiên cứu dân tộc*. doi:10.25073/0866-773X/87. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/315682580_Implications_of_the_Fourth_Industrial_Age_on_Higher_Education

ნანა ნადირაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნეს გარემოს სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, ტექნოლოგია, კონკურენცია, საკონტაქტო აუდიტორია, საფინანსო ინსტიტუტები, გლობალიზაცია.

ნაშრომის შესავალი:

ბიზნესი ფართო გაგებით გულისხმობს ახალ სამუშაო ადგილებს, სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, მოსახლეობის ზოგად კეთილდღეობას, წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. ფაქტია, რომ საქართველოში ბიზნეს-კლიმატი იცვლება, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე. მაგრამ კიდევ საჭიროა ძლიერი ინსტიტუტები, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირება, ტრადიციების აღორძინება და წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარება. ბიზნესის გარემო არის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე როგორც გარე, ისე შიდა მოქმედების გზით. ბიზნესის გარემოს ფაქტორებს ყოფენ შიდა და გარე ფაქტორებად.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

მეცნიერები, რომელიც საქართველოში ბიზნეს გარემოს ფორმირების პრობლემებს შეისწავლიან, ცდილობენ განსხვავებული განმარტებები შემოგვთავაზონ. ბიზნეს გარემო წარმოადგენს სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების ერთიანობას, სწორედ ეს ერთიანობა ახდენს ზეგავლენას ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებზე და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებას, ხოლო ბიზნესის განვითარებაზე გარემო ფაქტორების მოქმედების ხარისხს. ბიზნესი ფართო გაგებით გულისხმობს ახალ სამუშაო ადგილებს, სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, მოსახლეობის ზოგად კეთილდღეობას, წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. ფაქტია, რომ საქართველოში ბიზნეს-კლიმატი იცვლება, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე. მაგრამ კიდევ საჭიროა ძლიერი ინსტიტუტები, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირება, ტრადიციების აღორძინება და წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარება. „ბიზნესის გარემო არის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე როგორც გარე, ისე შიდა მოქმედების გზით. ბიზნესის გარემოს ფაქტორებს ყოფენ შიდა და გარე ფაქტორებად. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ექვემდებარებიან მართვას, მათ რიცხვშია: ბიზნეს-ერთეულის საერთო და კონკრეტული მიზნები, ბიზნეს-ერთეულის სტრუქტურა, რესურსები (მუშა ხელი, მოწყობილობა, ტექნოლოგია და სხვა), გარე ფაქტორები არ ემორჩილებიან ე.წ. შიდა წესრიგს. მათ მიეკუთვნება: მომწოდებლები, მომხმარებლები, კონკურენტები, იურიდიული კანონები, პოლიტიკური ვითარება და სხვა. ბიზნეს ერთეულის გარემოს კიდევ ყოფენ მიკრო და მაკრო გარემოდ, მიკრო გარემოს ქმნიან პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები, მაკრო გარემოს კი ირიბი ზემოქმედების ფაქტორები. მიკრო გარემო წარმოდგენილია ისეთი ფაქტორებით, რომელიც უშუალო კავშირში არიან თვით ბიზნეს-ერთეულთან, მის საქმიანობასთან და შიდა წესრიგთან. ეს ფაქტორები შემდეგია: ფირმა თავისი საწარმოო სტრუქტურებით აქვე შევა დამხმარე წარმოება, სასაწყობო და სატრანსპორტო მეურნეობა, საცდელ-საკონსტრუქტორო სამსახური და სხვა.“ (გოდერძიშვილი, 2013, გვ. 123-129)

საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექსპერტებისა და ქართველი მეწარმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიზნეს გარემო მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ზოგადად, ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. მსხვილი ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა. რამდენად დაბალიც არ უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, თუ

ქვეყანაში არ იქნება სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შეუძლებელი იქნება ვისაუბროთ განვითარებულ და მიმზიდველ ბისნეს გარემოზე.

ბიზნეს გარემოს ქმნიან ბიზნეს სუბიექტები: მომწოდებლები, მომხმარებლები, შუამავლები, კონკურენტები, საკონტაქტო აუდიტორია და ა.შ. **„მომწოდებლები** - ამ ჯგუფს მიეკუთვნება ყველა ის იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომლის მოცემულ ბიზნეს-ერთეულს აწოდებს რაიმე სახის რესურსს. მომწოდებლების რაოდენობაც და მოსაწოდებელი რესურსის სახეც დამოკიდებულია ბიზნეს-ერთეულის სპეციალიზაციაზე და მისი საქმიანობის მასშტაბზე. თუ ბიზნეს ერთეული მსხვილი ფირმაა და ამასთან მრავალფეროვან და დივირსიფიცირებულ საქმიანობას ეწევა, მას ცხადია, მრავალი მომწოდებელი ეყოლება, მცირე ფირმას კი თუ იგი ამასთან ერთად მონოპროფილისაც არის, 1-2 მომწოდებელიც ეყოფა. **მომხმარებლები** - მათ მიეკუთვნებიან ბიზნეს-ერთეულის პროდუქციის მომხმარებლები. მომხმარებლების როლში გამოდიან ადამიანებიც, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის ყიდულობენ საქონელს და ფირმებიც რომლებიც წარმოების საჭიროებისათვის ყიდულობენ ნახევრად ფაბრიკატებს, ენერგიას, სათბობს და სხვას. მომხმარებლის როლში არიან სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც თავისი საჭიროებისათვის იძენენ საქონელს და აგრეთვე უცხოელები მაშასადამე, ბიზნეს-ერთეულის მომხმარებლების როლში გამოდიან სხვადასხვა ტიპის კლიენტები, რომლებიც საჭირო საქონელს ან ერთი ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში იძენენ, ანდა სხვადასხვა ბაზარზე. **შუამავლები** - მათ მიეკუთვნებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეხმარებიან მოცემულ ბიზნეს-ერთეულს თავისი საქმის განხორციელებაში - პროდუქციის წარმოებაში, მარკეტინგულ საქმიანობაში, პროდუქციის რეალიზაციაში, ლოგისტიკაში და ა.შ. **კონკურენტები** - მათ მიეკუთვნებიან ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ამზადებენ რა მოცემულ ბიზნეს-ერთეულის მიერ დამზადებულ პროდუქციის ანალოგიურს იგივე ბაზარზე კონკურენციას უწევენ მას.“ (გოდერძიშვილი, 2013, გვ. 123-129)

საქართველოში ბიზნეს გარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა. ქვეყნის ეკონომიკის წარმატების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებული როლი, ბუნებრივია სახელმწიფოს აკისრია, თუმცა წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია გარემოს გაუმჯობესებაში წვლილი შეიტანოს და ძალისხმევა გასწიოს საზოგადოების სხვა სექტორებმაც - მას-მედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უშუალოდ კერძო სექტორმა.

მიუხედავად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნეს კლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებლია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღქმის უზრუნველყოფა. ასევე საკმაოდ დაბალია მეწარმეობრივი უნარები, რაც ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას არცთუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრობლემატურია შრომის ბაზარი - ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის დონე, მეორე მხრივ კი, დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ისევ გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნესუნარების ან/და უბრალოდ ინფორმაციის არქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

ბიზნეს მარეგულირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გაცილებით ლიბერალური გახდა. გაუმჯობესების პროცესმა მოითხოვა კანონების ხშირი ცვალებადობა - ხდება ახალი კანონების მიღება, ასევე უამრავი ცვლილება შედის ძველ კანონებში. მაგალითად, საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაშია 2005 წლიდან, შესულია 36 ცვლილებათა პაკეტი და უნდა ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილია ახალი ცვლილებების პროექტების წარმოდგენა. ასევე, ბიზნესგარემოსათვის პრობლემატური შესაძლოა იყოს ქვენორმატიული აქტების სიმრავლე, რომლებიც თავის მხრივ ასევე ხშირად იცვლებიან.

„ბიზნესი შეიძლება ვითარდებოდეს 7 ტიპის საკონტაქტო აუდიტორიასთან ურთერთობით. ესენია: საფინანსო ინსტიტუტები, მოქალაქეთა გაერთიანებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, შიდა საკონტაქტო აუდიტორია, ადგილობრივი საკონტაქტო აუდიტორია, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვები. ბიზნესის მაკრო გარემო უფრო ფართო სპექტრის ფაქტორების გამაერთიანებელია, აქ შედის: ეკონომიკური გარემო, ბუნებრივი გარემო, მეცნიერულ-ტექნიკური გარემო, კულტურული გარემო, დემოგრაფიული გარემო, პოლიტიკური გარემო, საერთაშორისო ვითარება. ეროვნული ეკონომიკის ბიზნეს-გარემო მასში შემავალი ბიზნეს-ერთეულების გარემოს ერთგვარი ჯამია, თუმცა ისიც უნდა

აღინიშნოს, რომ კონკურენტუნარიანობის ქვეყნის მასშტაბით განხილვისას მასზე დამატებით მოქმედებენ: საერთაშრისო პოლიტიკა, განათლების დონე, საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფო მართვაში, სამეცნიერო ბაზა, კანონის უზენაესობა, კულტურა, ინფორმაციის წვდომა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.“ (გოდერძიშვილი, 2013, გვ. 123-129)

გლობალიზაცია არის რეალური ობიექტური პროცესი, მისი წარმოშობის უამრავი მიზეზი არსებობს, მათ შორისაა: ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების შინაგანი მოთხოვნები, ბიზნესის მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება, მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური ენერგეტიკული, სასურსათო, უსაფრთხოების, მშვიდობის, სიღარიბის დაძლევის, ჭარბმოსახლეობის, ავადმყოფობის, ეკოლოგიური, სანედლეულო, ოკეანისა და კოსმოსის ათვისებისა და სხვ.) პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ და რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო გადაჭრას, აღსანიშნავია, რომ დანახარჯები გლობალურ პრობლემათა გადასაჭრელად ყოველწლიურად შეადგენს მსოფლიო მშპ-ის, გაანგარიშებულს მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით - 2,5 %.

„მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის თანამედროვე ტენდენციების განხილვისას ნაჩვენებია, რომ დღესდღეობით კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა კვლავ ფუნქციონირებს, თუმცა განსხვავებით 20-30 წლის წინანდელი მდგომარეობიდან, ახლა უკვე თითქმის მთელი მსოფლიო კაპიტალისტურია; შეიცვალა ტექნოლოგიები, უფრო მეტიც, მოხდა ნამდვილი ციფრული რევოლუცია. ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მოქმედებაც მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებთან. ასევე დასაბუთებულია, რომ დღეს ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს გლობალიზაციის ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე.“ (ბაღათურია & ბერუაშვილი, 2016, გვ. 90-95)

„საქართველოს ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების პროცესშია, რომლის საშუალებითაც ხდება გლობალური პროცესები. გლობალიზაციის პროცესების შედეგად მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო ღრმად იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში. იგი განსაზღვრავს მისი განვითარების მომავალს, ნორმებს და სტანდარტებს, თუმცა გავლენას არ ახდენს და არ ცვლის ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას. გლობალიზაციის პროცესი არის გარდამავალი პროცესი განვითარებადი, განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. გლობალური ეკონომიკის თავისებურება ისაა, რომ არცერთ სახელმწიფოს, მიუხედავად წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფის დონისა, არ შეუძლია ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ავტარკიის პირობებში. ე.ი. საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე კვლავწარმოების პროცესის ლოგიკის ძალით.“ (ბაღათურია & ბერუაშვილი, 2016, გვ. 90-95)

მსოფლიო გლობალურ სივრცეში უკეთ ინტეგრირებისათვის გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. თანამედროვე ეტაპზე საქართველო დაახლოებით 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. ამ დროის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებებმა და სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობით ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროგრამების ფარგლებში.

„ცნობილი ფონდი HERITAGE FAUNDATION ქვეყნების მიხედვით, ყოველწლიურად ადგენს „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს“. 2015 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. 2015 წლის შეფასებით საქართველოს ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის პირველი ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს. საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული. ხოლო 4 კომპონენტში გაუმჯობესდა როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პოზიციები. საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია შემდეგ 7 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება. საქართველოს ქულები, ისე როგორც რეიტინგი, გაუმჯობესებულია შემდეგ 4 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მხოლოდ ერთ კომპონენტში - შრომის თავისუფლება 11.3 ქულით შემცირდა და მე-5 დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო ვაჭრობის თავისუფლების კომპონენტში 178 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია

და მე-7 ადგილს იკავებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს სარეიტინგო ქულა 2,6-ით გაუმჯობესდა, ხოლო, ინდექსის 5 კომპონენტში - კორუფციისგან თავისუფლება, სამთავრობო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება, საქართველოს მდგომარეობა სტაბილურად უმჯობესდება.“ (ბაღათურია & ბერუაშვილი, 2016, გვ. 90-95)

ბიზნესის ფისკალურ, საინვესტიციო და შრომის ბაზრის სფეროებში საქართველოს თავისუფლების ხარისხი საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებითაა შეფასებული. ბიზნესის დაწყების პროცედურები საგრძნობლადაა გამარტივებული. საშუალო შეწონილი ტარიფების განაკვეთი უტოლდება 9,5%, ეს კი ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმზე მიუთითებს. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბზე სახელმწიფოს ხარჯების მოცულობის მიხედვით თუ იმსჯელებთ, იგი უარყოფითად შეიძლება შეფასდეს. უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ხარჯები მშპ-ს 30% შეადგენს. საინვესტიციო სფეროს ლიბერალიზაცია 70%-აა შეფასებული.

საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემების აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს. ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას გლობალურ ბაზარზე, ისეთი ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა: გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედების აცილება, კონკურენტუნარიანობის მოპოვება და შენარჩუნება, ძირითადი საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, ინვესტიციების მოზიდვა და სხვა.

„საქართველოს შესაძლებლობები, შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესს წარმოადგენს. საქართველოს, გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აუცილებელია, არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სატრანსპორტო დერეფნის გაფართოებასთან ერთად, მეტი უცხოური ინვესტიცია იქნება მოზიდული. სატრანსპორტო დერეფნის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებას, როგორიცაა; ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები. მაგრამ სატრანპორტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობის დინამიკურ სექტორში.“ (ბაღათურია & ბერუაშვილი, 2016, გვ. 90-95)

გლობალიზაციის თემა სულ უფრო აქტუალური ხდება ქართული საზოგადოებისთვის. ქვეყნის ბედსა და მის მომავალზე ფიქრის საფუძველს იძლევა დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, გაუსაძლისი სოციალური ფონი, მწვავე სოციალური სტრატიფიკაცია (საზოგადოების დაყოფა ფენებად), პოლიტიკური ვითარება, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სხვა ფასეულობები.

„საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ეკონომიკური განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ფსევდო რეფორმებზე დაყრდნობით, ქვეყანა ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. სამართლიანობის აღდგენაზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ ფსევდოდემოკრატიაზე, მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული მმართველობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორს ვართ საკუთრების პლურალიზმისკენ, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარუფლება, არ არის დაცული კერძო საკუთრება, დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა. საქართველოში სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 5.6%, საშუალო ბიზნესის წილად მოდის 7.2%, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 72.2%-ია და ორჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს.“ (ბაღათურია & ბერუაშვილი, 2016, გვ. 90-93)

ქვეყანაში დასაქმების პრობლემა ყველაზე მწვავეა და ლოგიკურია, რომ ის იკავებს პირველ ადგილს ყველა სოციალურ გამოკითხვაში. 2015 წლიდან უმუშევართა რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 12.5%-მდე. დასაქმებულთაგან 621.000 ეწევა დაქირავებულ შრომას. სახელმწიფო სექტორში 600 ათასი კაცი, მილიონზე მეტი კი თვითდასაქმებულია. დასაქმების პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ

საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის საკრედიტო რესურსების სიძვირე აფერხებს ბიზნესს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის დაწყება საქართველოში მარტივია, თვითონ მისი წარმოება ძვირია და რისკებთან არის დაკავშირებული. საქართველოში დღეს ძირითადად რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის პრობლემა არსებობს, რომელიც აწუხებს მოსახლეობის ნაწილს და საზოგადოებაში ქმნის დაძაბულ სოციალურ ფონს.

„თუ მოვახდენთ მათ რანჟირებას მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ; ინფლაცია, ფასების ზრდა, და ლარის კურსის გაუფასურება; იმპორტ-ექსპორტის დისბალანსი; ეკონომიკაზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორები; მსოფლიო სანავთობე ბირჟებზე ფასების ცვლილება და საქართველოში ნავთობის ფასების ასიმეტრიული ზრდა; გეოპოლიტიკური ფაქტორები; რუსეთ-უკრაინის ომი, დოლარის გამყარება; ენდოგენური ფაქტორები; საქართველოს ხელისუფლების საინვესტიციო პოლიტიკა და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე; ლუდზე და თამბაქოზე აქციზის ზრდა; პროტექციონისტული ტენდენციების შესუსტება სახელმწიფოში და სხვა ამ პრობლემებმა, მონეტარულ პოლიტიკაში დაშვებულმა უზუსტობებმა გამოიწვია 2014 წელს გამოწვეული ლარის კურსის ვარდნა, რაც კატასტროფულად აისახა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი სახელმწიფომ უნდა გამონახოს იმ ფაქტორების გააქტიურებით, რომლებიც იწვევენ დოლარის მასის ზრდას, მაგრამ ეს არის ხანგრძლივი პროცესი. ლარის გაუფასურების გადაბრალება მხოლოდ საგარეო ფაქტორებზე მცდარი პოზიციაა, უნდა ვაღიაროთ და გავითვალისწინოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დაშვებული შეცდომები, დავსახოთ მათ აღმოფხვრის გზები.“ (ბაღათურია & ბერუაშვილი, 2016, გვ. 90-93)

გამომდინარე იქიდან, რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, გლობალიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებს, ხოლო ზოგისას კი, პირიქით აუარესებს, თუმცა, უდავოა ის, რომ დღეს ნებისმიერი ქვეყნისთვის გლობალიზაციის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმა მათი სამომავლო განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ბიბლიოგრაფია:

ბაღათურია, მ., & ბერუაშვილი, მ. (2016). გლობალიზაცია და ბიზნესგარემო საქართველოში. *ბიზნეს-ინჟინერინგი* (3), 90-95.

გოდერძიშვილი, ბ. (2013). ბიზნეს-გარემო და გლობალური კონკურენტუნარიანობა. *ბიზნეს-ინჟინერინგი* (2), 123-129.

დათაშვილი, ვ., & პაპავა, ი. (2014). ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში. *სოციალური ეკონომიკა, 2* (32), 109-114.

რინკიაშვილი, ნ. (2013 წლის აპრილი). ბიზნეს-გარემო საქართველოში - პრობლემები და პერსპექტივები. *ინტელექტი, 1* (45), 128-129.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18

საქართველოს მთავრობა. (2013). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020 (პროექტი).* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის პროექტი. (2016 წლის ივნისი). მოპოვებული https://www.ifc.org/wps/wcm/connect/81e3d065-3d86-4eb8-9ae6-92457521d76b/GEO_Georgia_Business_Perceptions_Survey_2015_Final.pdf?MOD=AJPERES

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2018 წლის ნოემბერი). *საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_November%202018.pdf

ჩერქეზიშვილი, დ. (2015). რეგიონული სოციალური სივრცე და ბიზნეს–გარემო, როგორც რეგიონში მეწარმეობის განვითარების საფუძველი. *ბიზნეს-ინჟინერინგი, 1,* 66–68.

BP საქართველოში. (2010). *BP საქართველოში მდგარდი განვითარების ანგარიში 2010.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/ka_ge/georgia/home/sustainabilityreportsgeo/sustrep2010.pdf

Nana Nadiradze
Gori State Teaching University

SOCIAL, TECHNOLOGICAL, ECONOMIC AND POLITICAL ASPECTS OF THE BUSINESS ENVIRONMENT

RESUME

The topic of our research Foreign trade policy with Georgia's nearest neighbors concerns the social, technological, economic and political aspects of the business environment. The reason for Georgia's unfavorable economic indicators, first of all, must be sought in the wrong economic policy. The level of economic development and national interests were inadequate by the reforms carried out by the government, which formed the basis of the country's economic policy. Based on pseudo-reforms, the country found itself captive to illusions. Instead of a democratic economic system built on the restoration of justice, we have adopted a government based on pseudo-democracy, an illusory justice system that has nothing to do with the Western market economy. Property diversity has been established in Georgia, but we are far from property pluralism, as there is no equality of each form of property, private property is not protected, business activity is low, unemployment is high. Small and medium business cannot develop in Georgia under the influence of various factors.

Keywords: Strategy, Technology, Competition, Contact audience, Financial institutions, Globalization.

ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი, მარინე ბუზიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ეფექტები

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, მონოპოლია, ხარისხი, ბარიერი, მობილურობა, ლიკვიდაცია.

ნაშრომის შესავალი:
არცერთი ნორმალური კანონმდებლობა არ კრძალავს ისეთ მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება წარმატებული სტრატეგიით მოიპოვო. მხოლოდ ეს სტრატეგია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მონიტორინგის ქვეშ ექცევა. „მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა დააწესოს: სანქციები, ჯარიმები, საფასო შეზღუდვა. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს ზუსტად საზოგადოებრივი დანაკარგის სიდიდის ტოლი; ყველა შემთხვევაში, რესურსების გადანაწილების მექანიზმი ისევ არაეფექტიანი იქნება და წარმოქმნის უფრო მეტ დანაკარგს, ვიდრე ეს მონოპოლიის დროს მოხდა. მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს, მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს. მონოპოლიური ფასის დასადგენად, სააგენტომ პირველ რიგში უნდა შეისწავლოს საბაზრო მოთხოვნა, ანუ, ამა თუ იმ ფასის პირობებში რა რაოდენობის პროდუქტი გაიყიდება. ამის შემდეგ, სააგენტომ უნდა მახერხოს ინფორმაციის მოძიება კომპანიის დანახარჯებსა და შემოსავლებზე, რის საფუძველზეც უნდა გამოთვალოს ამ კომპანიის ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების მნიშვნელობები.
მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობის შედეგად ამოქმედდა კონკურენციის სააგენტო და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა მისი დებულება. კონკურენციის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშე. სააგენტოს მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კონკურენციის სააგენტო 4 სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან შედგება: კონკურენციის დეპარტამენტი; ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი; სამართლებრივი და მეთოდოლოგიური უზურნველყოფის დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი. ახალგაზრდა კონკურენციის სააგენტომ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო განახორციელა: მოიკვლია საქონლისა და მომსახურების 20-მდე ბაზარზე არსებული მდგომარეობა, განახორციელა 6 ბაზრის მონიტორინგი, კონცენტრაციის 6 შეტყობინების, სახელმწიფო დახმარების, გაიცა 60-ზე მეტი რეკომენდაცია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ისე ეკონომიკური აგენტების მიმართ.

2007 წელს საქართველოს მაშინდელი მთავრობის განკარგულებით ბრიტანულ კომპანია "Parkfield Investment Limited"-ს 99 წლის ვადით მართვის უფლებით გადაეცა სახელმწიფოს კუთვნილი შპს „საქართველოს რკინიგზის“ 100% წილი იმ პირობით, რომ მმართველი კომპანია საწყისი 10 წლის პერიოდში უზრუნველყოფდა საქართველოს რკინიგზაში 1 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციების განთავსებას, რისთვისაც ყოველწლიურად, 99 წლის მანძილზე, მართვის ჰონორარის სანაცვლოდ მიიღებდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სუფთა მოგებას. ამ გადაწყვეტილების მიღებისას არავის დაუსვავს შეკითხვა - პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად გამართლებული იყო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ბერკეტის – საქართველოს რკინიგზის მთლიანი პაკეტის (ინფრასტრუქტურა+გადაზიდვები) მართვის უფლებით უცხოური კომპანიისათვის გადაცემა?

თანამედროვე ეტაპზე სს „საქართველოს რკინიგზა“ აერთიანებს და მართავს საქართველოს სარკინიგზო ხაზებს (ჯამში 1,326 კმ და 114 სადგური) და მოძრავ შემადგენლობას, ახორციელებს სამგზავრო გადაყვანებსა და სატვირთო გადაზიდვებს. კომპანიის მოძრავი შემადგენლობა მოიცავს 139 ლოკომოტივს, 8,122 სატვირთო ვაგონს, 98 სამგზავრო ვაგონს. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულებთა რაოდენობამ 12,000 ადამიანს გადააჭარბა. იგი 100%-ით სს „საპარტნიორო ფონდს“ ეკუთვნის.

„საქართველოში სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურმა აგენტმა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზამ“ შეუქმნა ხელოვნური ბარიერი შ.პ.ს. „X“-ს, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული საქართველოს ფოსტისაგან 10 საფოსტო-საბარგო ვაგონი, ფოსტისა და ტვირთების გადაზიდვისათვის. საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურს ჰქონდა შესაძლებლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში (კონკურენციის სფეროში) ჩარეულიყო რკინიგზის რეგულირების საკითხებში. შ.პ.ს. „X“-მა საჩივრით მიმართა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რათა მისთვის დახმარება აღმოეჩინა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთის საქმეში. კერძოდ, საკითხი ეხებოდა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ეკონომიკური აგენტებისადმი დიფერენცირებული ტარიფების გამოყენებისა და შ. აღკვეთის საქმეში. კერძოდ, საკითხი ეხებოდა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ეკონომიკური აგენტებისადმი დიფერენცირებული ტარიფების გამოყენებისა და შ.პ.ს. „X“-სთვის ტვირთების გადაზიდვის ბაზარზე ხელშეკრულების გაფორმების გაჭიანურების საკითხებს. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად დომინირებული მდგომარეობის ეკონომიკურ აგენტს ეკრძალებოდა თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. ფაქტობრივად კი, იყენებდა რა დიფერენცირებულ ტარიფებს, შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“ მომხმარებელთა მიმართ არღვევდა კანონის ამ მოთხოვნას და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მეწარმე სუბიექტებს. ასევე, ამავე კანონთან მოდიოდა წინააღმდეგობაში დომინანტის მხრიდან მეწარმისათვის სამეწარმეო საქმიანობის ხელისშეშლა, რაც გამოიხატებოდა მასთან ხელშეკრულების გაფორმების დაუსაბუთებელ გაწელვაში.“ (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის დეკემბრის თვის საქმიანობის ანალიზი)

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურის ჩარევა აღმოჩნდა შედეგიანი და სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის მიერ მოწესრიგებულ იქნა სადაო საკითხი, აღკვეთილ იქნა გადაზიდვის ბაზარზე ცალკეული ეკონომიკური აგენტებისათვის დიფერენცირებული ტარიფის გამოყენება.

„შ.პ.ს. „X“-ს ტაფირების საკითხის მოწესრიგების პარალელურად კვლავაც სადაო და გადაუწყვეტელი დარჩა დომინირებულ ეკონომიკურ აგენტთა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში შედგა შეხვედრა ყველა დაინტერესებული უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით. უთანხმოება ძირითადად მდგომარეობდა შ.პ.ს. „X“-ს მიერ იჯარით აღებული ვაგონების კლასის გაურკვევლობაში. შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“ თანახმა იყო გაეფორმებინა ხელშეკრულება მხოლოდ საფოსტო გადაზიდვებზე იმ მოტივით, რომ ვაგონები განკუთვნილი იყო საფოსტო გადაზიდვებისათვის. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მოძიებული დოკუმენტაციიდან და ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების, მათ შორის „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხნის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ შ.პ.ს. „X“-ის ვაგონები წარმოადგენდნენ, „საფოსტო-საბარგო“ კლასის ვაგონებს, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებდნენ სატვირთო ვაგონებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა კატეგორიულად მოსთხოვა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზას“ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის დაუყოვნებლივ აღკვეთა და შ.პ.ს. „X“-თან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.“ (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის დეკემბრის თვის საქმიანობის ანალიზი)

კონკურენციის სააგენტოს ჩარევის შედეგად ეტაპობრივად აღიკვეთა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან დისკრიმინაციული ფასების გამოყენება და ხელშეკრულების გაფორმების უსაფუძვლო გაჭიანურება, რითაც საბოლოო ანგარიშით გადალახულ იქნა რკინიგზით სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ფაქტები.

„საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დემონოპოლიზაცია ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაციის პროცესები წარიმართა ქვეყანაში მიმდინარე ინტენსიური მაკროეკონომიკური გარდაქმნების ფონზე. ამ ეტაპზე სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაციის ამოცანა ხორციელდებოდა ძირითადად მმართველობის შუალედური გაერთიანებების ლიკვიდაციის, მსხვილი საწარმოების და წვრილერთეულებისა (სადაც ეს ტექნოლოგიურად შესაძლებელი იყო) და პრივატიზების მეთოდებით, რასაც თან სდევდა მრავალი მცირე საწარმოს შექმნა. ამ პერიოდში დემონოპოლიზაციისა და პრივატიზების პროცესები ხასიათდებოდა დარგობრივი ნიშნით და ძირითადად მოიცავდა მომსახურების, სოფლის მეურნეობისა მრეწველობის სფეროებს. დემონოპოლიზაციის პროცესები ნაკლებად შეეხო ინფრასტრუქტურის საკვანძო სფეროებს, მათ შრის სარკინიგზო ტრანსპორტს.“ (პავლიაშვილი & ჯანგულაშვილი, 2014, გვ. 12-20)

სს „საქართველოს რკინიგზა ბუნებრივი მონოპოლიაა საქართველოს ბაზარზე, რადგან სარკინიგზო ტრანსპორტი შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალებაა. სწორედ ამიტომ, სარკინიგზო ხაზი, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტი ექვემდებარებოდა მუდმივ სახელმწიფო რეგულირებას. „მუდმივი კონტროლის საგანს წარმოადგენდა რკინიგზის რიგი საწარმოების პოლიტიკა, სახელშეკრულებო პირობები და სხვა საკითხები. ამასთან, ამ საწარმოო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა მოძრავი შემადგენლობის შეკეთება, გზების შეკეთება, დისპეჩერიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა, არა თუ შესაძლებელი იყო, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე აუცილებელი იყო მოქცეოდა კონკრეტულ გარემოში. სარკინიგზო ტრანსპორტის განსაკუთრებული როლი სატრანსპორტო მომსახურების სისტემაში, ისევე როგორც საკანონმდებლ ბაზის არასრულყოფილება (მათ შორის ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაუთვალისწინებლობა) ქმნიდა რეალურ წინაპირობებს მომხმარებელთა უფლებების შელახვისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის, რაც პირველ რიგში გამოიხატებოდა სატვირთო გადაზიდვების მომსახურებაზე დანახარჯებისა და ტარიფების დაუსაბუთებელ ზრდაში.“ (ფეტელავა & გოგიაშვილი, 2014, გვ. 22-32)

კონკურენციის სააგენტოს მიერ მიერ განხორციელებულმა ფასწარმოქმნის პროცესების ანალიზმა აჩვენა, რომ „ხშირი იყო შეუსრულებელი სამუშაოები და ისეთი მომსახურების შეკვეთის „იძულება“ (რომელიც არ შედიოდა აუცილებელი მომსახურების ნუსხაში), სახელშეკრულებო ტარიფის გამოყენება იქ, სადაც არ იყო დაწესებული პრეისკურანტი და სხვა. ასევე, განსაკუთრებით ხშირი იყო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, ტრადიციად იყო ქცეული დაუსაბუთებელი ფინანსური ხასიათის მოთხოვნები, ხელშეკრულებაში კონტრაგენტისათვის არახელსაყრელი პირობების ჩართვა, რომელიც არ მიეკუთვნებოდა ხელშეკრულების საგანს და სხვა. დამახასიათებელი იყო აგრეთვე კალკულაციის დაუსაბუთებლობის შემთხვევები და, რაც მთავარია, ხშირი იყო ეკონომიკური აგენტების დისკრიმინაციის (ხელოვნური ბარიერების შექმნის) ფაქტები. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დარგობრივი მონოპოლიზმის დაძლევისა და დარგში კონკურენციის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ გატარებულიყო შემდეგი ღონისძიებები:

➢ ნორმატიულ მეთოდური ბაზის სრულყოფა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გათვალისწინებით;

➢ ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტის საზღვრების გამიჯვნა სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოთა დემონოპოლიზაციისა და მათ შორის კონკურენციის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების პროცესში;

➢ კონკურენტული ღონისძიებების შემუშავება სატარიფო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით;

➢ ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტთან მისასვლელი ბარიერების შესწავლა და შესუსტება და/ან აღმოფხვრა იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც არ შედიოდნენ სახელმწიფო სარკინიგზო ტრანსპორტის სისტემაში და რომლებიც თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყვნენ სარკინიგზო გადაზიდვებთან ან მათ მომსახურებასთან.“ (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის დეკემბრის თვის საქმიანობის ანალიზი)

რეკომენდაციების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტორი, რომ რკინიგზის სფეროში დემონოპოლიზაციის ღონისძიებების შემუშავება მომხდარიყო დარგის სპეციფიკის, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის, ბაზრის სტრუქტურის ან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გათვალისწინებით, აგრეთვე დარგის განვითარების გეგმის შესაბამისად.

„საქართველოში ინფრასტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული გადაზიდვის პროცესთან, შესაბამისად, რკინიგზას ბაზარზე მონოპოლისტური მდგომარეობა უჭირავს და შედეგებიც მეტად სავალალოა. რკინიგზის როლიც, მნიშვნელობაცა და შემოსავლებიც კნინდება. ამიტომ ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სარკინიგზო რეფორმების გატარება, რისთვისაც საჭიროა:

1. სარკინიგზო გადაზიდვებში კონკურენტული ბაზრის შექმნისა და განვითარებისთვის სტრუქტურული რეფორმების გეგმის შედგენა და მისი დამტკიცება მთავრობის განკარგულებით;

2. ფუნქციების გამიჯვნა. კერძოდ, უნდა შეიქმნას ღია სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“, რომელსაც გადაეცემა სამეურნეო მართვის უფლებები და ქონების 100%, ხოლო მთავრობას ან მთავრობის სპეციალურ ორგანოს დაევალოს სახელმწიფო რეგულირების ფუნქციები;

3. საორგანიზაციო სტრუქტურების გარდაქმნა და მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.“ (გადამზიდავი კომპანიები „საქართველოს რკინიგზის“ ჩიხში, 2018)

არც ერთი ნორმალური კანონმდებლობა არ კრძალავს ისეთ მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება წარმატებული სტრატეგიით მოიპოვო. მხოლოდ ეს სტრატეგია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მონიტორინგის ქვეშ ექცევა. „მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა დააწესოს: სანქციები, ჯარიმები, საფასო შეზღუდვა. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს ზუსტად საზოგადოებრივი დანაკარგის სიდიდის ტოლი; ყველა შემთხვევაში, რესურსების გადანაწილების მექანიზმი ისევ არაეფექტიანი იქნება და წარმოქმნის უფრო მეტ დანაკარგს, ვიდრე ეს მონოპოლიის დროს მოხდა. მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს, მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს. მონოპოლიური ფასის დასადგენად, სააგენტომ პირველ რიგში უნდა შეისწავლოს საბაზრო მოთხოვნა, ანუ, ამა თუ იმ ფასის პირობებში რა რაოდენობის პროდუქტი გაიყიდება. ამის შემდეგ, სააგენტომ უნდა მოახერხოს ინფორმაციის მოძიება კომპანიის დანახარჯებსა და შემოსავლებზე, რის საფუძველზეც უნდა გამოთვალოს ამ კომპანიის ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების მნიშვნელობები. უნდა იანგარიშოს, თუ პროდუქციის რა მოცულობის გაყიდვისათვის უტოლდება კომპანიის ზღვრული დანახარჯები და ზღვრული შემოსავლები ერთმანეთს და ამის საფუძველზე დაადგინოს შეზღუდული მოთხოვნის რაოდენობის შესაბამისობა მოთხოვნის ფასთან. მიღებული შედეგი უნდა შეადაროს საბაზრო ფასს და თუ დაემთხვა, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ საბაზრო ფასი სინამდვილეში არის მონოპოლისტური.“ (გრიგოლია, 2014, გვ. 162-166)

ჩამოყალიბებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ გაიზარდა კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა. სააგენტო უფლებამოსილია დამოუკიდებლად დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მოკვლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვის სათანადო ნიშნები და შექმნილი მდგომარეობა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ჩარევას საჭიროებს. „ვინაიდან სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობისა და ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღება, სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის დროულად წარმოებისათვის ცვლილებები და მისი წარმოების მარეგლამენტირებელ დებულებებშიც განხორციელდა. კანონით უქმდება სააგენტოსათვის განცხადების ან საჩივრის წარდგენის შემთხვევაში განმცხადებლის ან მომჩივნის მიერ სააგენტოს მომსახურების საფასურის გადახდაც. დაზუსტდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო

და კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან გამონაკლისების (მათ შორის, კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრები), რომლებზედაც არ ვრცდელდება იმავე კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები.“ (კეკელია, 2018, გვ. 531-534)

პოსტსაბჭოთა სივრცის შექმნამ საქართველოს უბიძგა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისაკენ, საქართველოს კანონმდებლობა ხდება აშშ-სა და ევროპული სივრცის მსგავსი, დაახლოების პროცესი მიმდინარეობს და კიდევ გაგრძელდება. ამ ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტებთან საქართველოს კონკურენციის სააგენტოც თანამშრომლობს. „თანამშრომლობის პროგრამის საშუალებით სააგენტო შეძლებს მიიღოს მოკვლევის მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქმედების შესახებ. მკვეთრად გაიმიჯნა სააგენტოსა და მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციები. აიკრძალა სახელმწიფოს ჩარევა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას. იზრდება კონკურენციის პოლიტიკის რაოდენობა და სააგენტოს ქმედითობა კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებების კონტროლის წინაშეც, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის ღიაობა და გამჭვირვალობა, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცულ იქნეს თანასწორუფლებიანობის პრინციპი და ხელისუფლების ორგანო არ აწესებდეს ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და დისრიმინაციულ ბარიერებს და არამართლზომიერად არ ზღუდავდეს კონკურენციას.“ (თალაკვაძე, 2017, გვ. 23-26) საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისთვის საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ზედმეტი რეგულირება, არამედ რეგულირების უსაზღვრო ლიბერალიზაციაც.

ბიბლიოგრაფია:

გადამზიდავი კომპანიები „საქართველოს რკინიგზის“ ჩიხში. (2018 წლის 04 ნოემბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://commersant.ge/ge/post/gadamzidavi-kompaniebi-saqartvelos-rkinigzis-chixshi

გრიგოლია, ნ. (2014). კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. *SEU and Science, 1* (1), 162-166.

თალაკვაძე, თ. (2017). გლობალიზაცია, კონკურენცია და თანამედროვე ბიზნესის პერსპექტივები. *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, IV* (2), 23-26.

კეკელია, მ. (2018). თანამშრომლობა, შეჯიბრება, კონკურენცია. *SEU and Science, 7* (7), 531-534.

პავლიაშვილი, ს., & ჯანგულაშვილი, ლ. (2014). საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები და პერსპექტვიები. *მეცნიერება და ცხოვრება, 2* (10), 12-20.

საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ 1996 (№288). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის დეკემბრის თვის საქმიანობის ანალიზი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://competition.ge/images/upload/კონკურენციის-სააგენტოს-2016-წლის-დეკემბრის-ანგარიში.pdf

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2017 წლის ანგარიში. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf

ფეტელავა, ს., & გოგიაშვილი, შ. (2014). ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები. *ეკონომისტი* (5), 22-32.

Nino Orjonikidze, Manana Japiashvili, Marine Buziashvili

Gori State Teaching University

EFFECTS OF THE ACTIVITIES OF THE GEORGIAN COMPETITION AGENCY

RESUME

The creation of the post-Soviet space has pushed Georgia to develop international relations, Georgian legislation is becoming similar to the US and European space, the process of rapprochement is underway and will continue. The Georgian Competition Agency also cooperates with the relevant institutions of these countries. Through

the cooperation program, the agency will be able to obtain the information needed for the purposes of the investigation about the anti-competitive action of the economic agent. The functions of the agency and regulatory bodies were sharply separated. Prohibited state interference in any form that hinders competition or creates a threat of its delay. Increasing the number of competition policies and the effectiveness of the Agency in controlling state aid related to the facts of unlawful restriction of competition, in order to ensure market openness and transparency, The principle of equality in the activities of economic agents should be observed and the government should not impose administrative, legal and discriminatory barriers to market entry and should not unjustly restrict competition. According to international experts, not only excessive regulation but also unlimited liberalization of regulation is dangerous for the purposes of economic policy.

Keywords: Competition, Monopoly, Quality, Barrier, Mobility, Liquidation.

ლალი ოსაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარკეტინგის თანამედროვე ტენდენციები

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, ციფრული მარკეტინგი, 4P, მომხმარებელი, კონკურენცია.

მარკეტინგი არის ადამიანური ძალისხმევის სახეობა, რომელიც მიმართულია, გამოავლინოს და გაცვლის გზით დააკმაყოფილოს ადამიანთა საჭიროებები და მოთხოვნილებები. ეს არის მარკეტინგის თეორიული განსაზღვრება, მაგრამ პრაქტიკაში მარკეტინგი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილება. დღეს, როდესაც სამყარო ისედაც გადატვირთულია მრავალფეროვანი საქონლითა და მომსახურებით, მარკეტინგის გარეშე თითქმის შეუძლებელია არსებობა. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო იზრდება არჩევანის საშუალება ბაზარზე, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მარკეტინგის როლი. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

XXI საუკუნე მომხმარებლის საუკუნედ მიიჩნევა, რადგან დღეს კომპანიების არსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ყიდულობს მომხმარებელი. დღეს ნებისმიერი ბიზნესსტრატეგიის მთავარი ამოცანაა მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა და მათთვის მოსაწონი პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება. შედეგად კომპანია იძენს მყიდველებს, რომლებიც მას ენდობიან და მზად არიან, მომავალში კიდევ მიმართონ. ჩვენს ეპოქაში ელვის სისწრაფით იცვლება და ვითარდება ტექნოლოგიები. ეს თავისთავად მოქმედებს კომპანიასა და მომხმარებლის ურთიერთობებზე, მათ ქცევაზე და მოლოდინებზე. თანამედროვე მარკეტინგს გააჩნია უამრავი საოცარი შესაძლებლობა, რაც განპირობებულია ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით. ონლაინსივრცე - მომხმარებლებთან კავშირის საუკეთესო ალტერნატივა: XXI საუკუნეში შეიცვალა მომხმარებლის ცხოვრების რეჟიმიც. თუ წლების წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტ დროს უთმობდა ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციას, სავაჭრო ობიექტებში იძენდა საჭირო პროდუქტს ან სასურველი სერვისის მისაღებად ლოდინი და ზედმეტი დროის ხარჯვა უწევდა, დღეს ურთიერთობისა და ოპერაციების ფორმატმა ელექტრონული სახე მიიღო. ონლაინსივრცე ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია დროისა და ფულადი სახსრების მინიმალური დანახარჯით მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია, ან პროდუქტი თუ მომსახურება, გაუზიაროს თავისი აზრი და შთაბეჭდილებები ახლობლებს, ნაცნობებს და უცნობებსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

საზოგადოება დღეს გაჯერებულია ინფორმაციისა და გასაღების სხვადასხვა საშუალებებით, მარკეტინგის რომელიმე კონკრეტული იარაღის გამოყენება აზრს კარგავს. მარკეტოლოგები ვალდებულები არიან ძალიან დიდი ძალისხმევა გასწიონ მხოლოდ იმისთვის, რომ თუნდაც

შემჩნეულები იყვნენ ბაზარზე. როგორ უნდა წარვმართოთ მარკეტინგი? გავუშვათ რეკლამები? ჩავატაროთ აქცია? დავაგზავნოთ პრესრელიზები? გავაკეთოთ გამოფენა-გაყიდვა? და მიანც, რას ნიშნავს ბიზნესის მარკეტირება?

მარკეტინგი - ეს არის ბევრი სხვადასხვა ნაბიჯის თანმიმდევრული ერთიანობა, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ განვსაზღვროთ, მოვიზიდოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი მომხმარებლები. მარკეტინგი მოიცავს ყველაფერს: ბაზრის კვლევიდან დაწყებული, რეკლამირებით, შეფუთვით, თანამშრომლების ჩაცმულობითა და მათ სახეზე ღიმილით დამთავრებული. ის ასევე მოიცავს მომსახურების სერვისს, მადლობის ბარათებს, „ნიუსლეთერებს“ და ა.შ.

მარკეტინგმა უნდა შექმნას თქვენ მიერ წარმოებული პროდუქტის ან მომსახურების ცნობადობა და მოთხოვნა ბაზარზე. მოიფიქრეთ ერთი ან ორი წინადადება, რომელიც განსაზღვრავს თქვენი პროდუქტის ღირებულებას და იმ სარგებელს, რომელსაც მიიღებს თქვენი მომხმარებელი მასში ფულის გადახდის შედეგად. (თანამედროვე მარკეტინგი – ახალი ერა!, თ. გ.) ნებისმიერი კომპანია, ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და განვითარების უწყვეტ მდგომარეობაში გადასასვლელად აუცილებლად უნდა იყენებდეს თანამედროვე მიდგომებს, პლატფორმებს და პროგრამულ გადაწყვეტილებებს. რატომ? იმიტომ რომ ინტერნეტის არსებობამ მოგვცა საშუალება გავიზიაროთ ჩვენ სფეროში ბაზრის საუკეთესო მონაწილეების გამოცდილებები და გავატაროთ ისინი პრაქტიკაში. ჩვენ ვიმყოფებით მარკეტინგის ახალ ერაში, სადაც წარმატების მისაღწევად თავს არ უნდა მივცეთ უფლება დავეყრდნოთ ძველ სწავლებებს და მოვითხოვოთ დიდი სარეკლამო ბიუჯეტი ბიზნესის დასაწყებად. დღეს ჩვენ შეგვიძლია ხმა მივაწვდინოთ ჩვენს სამიზნე აუდიტორიას თანამედროვე სარეკლამო პლატფორმების დახმარებით. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ძვირია და კონვერსიის მაჩვენებელიც დაბალი, კომპანიების უმეტესობა თავისი ბიუჯეტის უმეტეს ნაწილს ასეთი ტიპის მიდგომაზე ხარჯავს.

წარმატებული მარკეტინგი ნიშნავს სწორი პროდუქტის, სწორ ადგილზე, სწორი ფასითა და რეკლამით გაყიდვას. აღნიშნული „4P“-ს მეთოდის გათვალისწინება აუცილებელია მარკეტინგული მიზნების მისაღწევად. თქვენ ბევრი უნდა იფიქროთ იმაზე, თუ როგორ შექმნათ წარმატებული და საუკეთესო მარკეტინგული სტრატეგია. აღსანიშნავია, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება „4P“-ს (პროდუქტი, ადგილი, ფასი, წინ წაწევა) მეთოდის დროს:

პროდუქტი - გასათვალისწინებელი ფაქტები:

- ხარისხი;
- ზომა, მახასიათებლები და დამატებითი ნაწილები;
- სტილი;
- ბრენდი, შეფუთვა;
- გარანტია, გაყიდვის შემდგომი სერვისი.

შეკითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს:

- რა სახის პროდუქტებს / სერვისებს ყიდით (ტიპი, ფუნქციონირება, მახასიათებლები, ხარისხი და ა.შ.)?
- მოგვიყევით ბრენდის დასახელების შესახებ. შეფუთვა?
- რა სახის გარანტიას სთავაზობთ თქვენს კლიენტებს? გაქვთ თუ არა გაყიდვის შემდგომი სერვისი?

ადგილი - გასათვალისწინებელი ფაქტები:

- სავაჭრო არხები;
- სავაჭრო წერტილის ირგვლივ მუდმივი კლიენტები;
- მარაგების მართვა და წყობა;
- ლოგისტიკური საშუალებები;
- ხელმისაწვდომი ასორტიმენტი.

ის შეკითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს:

- როგორ მიეწოდება თქვენი პროდუქტები კლიენტებს? რა არხებს იყენებენ?
- რამდენად ეფექტურია თქვენი ლოგისტიკა? სად ინახავთ პროდუქტებს დისტრიბუციამდე?

ფასი - გასათვალისწინებელი ფაქტები:

- ხარჯები, ფასები;
- ფასდაკლებები;
- ანგარიშსწორების პირობები;
- საკრედიტო პირობები.

შეკითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს:

- რა ფასად ყიდით პროდუქტებს?
- როგორ განსაზღვრეთ საფასო პოლიტიკა?
- ეს „პრემიალური“ საფასო პოლიტიკაა?
- ეს „დაბალფასიანი“ საფასო პოლიტიკაა?
- ყიდით თუ არა სეზონურ პროდუქტს, რომლის ფასიც უნდა შეიცვალოს წლის განმავლობაში?

რეკლამა – გასათვალისწინებელი ფაქტები:

- რეკლამირება, ცნობადობა;
- გაყიდვის სტიმულირება;
- გაყიდვის რეკლამირების მხარდაჭერა;
- საზოგადოებრივი ურთიერთობები;
- პირდაპირი მარკეტინგი.

შეკითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს:

- როგორ ახდენთ თქვენი პროდუქტების შესახებ კომუნიკაციას? რომელ მედიასაშუალებებს იყენებთ?
- გაქვთ თუ არა სხვადასხვა კომუნიკაციის სტრატეგია სხვადასხვა სამიზნე აუდიენციისთვის თუ იყენებთ მასობრივი კომუნიკაციის არხებს?
- როგორ ახდენთ გაყიდვების სტიმულირებას?

მოკლე ვადაში შეიძლება მხოლოდ ფასის, გაყიდვის სტიმულირების მასშტაბისა და რეკლამირების სტრატეგიის შეცვლა; სხვა საკითხებს უფრო მეტი დრო სჭირდება. დარწმუნდით, რომ ზემოთ ნახსენები 4P-ს მარკეტინგული ტაქტიკა გათვალისწინებულია პროდუქტების ან სერვისების ბაზარზე რეკლამირებამდე. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა გაითვალისწინოთ: 4P-ს ტაქტიკის ზედმიწევნით შესრულება უმნიშვნელოვანესია კარგი მარკეტინგული სტრატეგიისთვის!

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ვიცოდეთ, რა არის digital-მარკეტინგი? (რა არის DIGITAL-მარკეტინგი?, 2017)

Digital - ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „ციფრულს“ მივუმატოთ მას "მარკეტინგი" და გამოვა ციფრული მარკეტინგი - ეს არის ტერმინი, რომელიც მოიცავს ისეთ მარკეტინგულ საქმიანობას, რომლის მიზანი ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებლების მოზიდვა და მათი მომხმარებლებად ქცევაა.

რით განსხვავდება digital მარკეტინგი *ტრატიციული მარკეტინგისგან?* ხშირად ავიწყდებათ მთავარი: digital მარკეტინგი ტრადიციული მარკეტინგისგან განსხვავებით იყენებს არხებს და მეთოდებს, რომლებიც მარკეტინგული კამპანიის ანალიზის საშუალებას იძლევა, მათი დახმარებით ადვილი გასაგები ხდება თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ის, რომ ეს ყველაფერი რეალურ დროში ხდება!

რატომ არის ასე მნიშვნელოვანი digital-მარკეტინგი**?** ციფრული არხები იმდენად მნიშვნელოვანი და გლობალურია, რომ მომხმარებელს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას აქვს ინფორმაციასთან წვდომა. წავიდა ის დრო, როცა ადამიანები პროდუქტზე იღებდნენ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელსაც თქვენ ამზადებდით და აწვდიდით მათ. ციფრული მედია არხები გამუდმებით ვითარდება. მომხმარებლებმა თქვენი კომპანიის და პროდუქციის შესახებ უკვე იციან არა მხოლოდ თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია, არამედ ის, თუ რას ფიქრობენ თქვენზე მედია საშუალებებში, სოციალურ ქსელებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მომხმარებლებს სხვისგან გაგონილი ინფორმაციის უფრო სჯერათ, ვიდრე თქვენი, მარკეტოლოგების და მართლებიც არიან, რადგან ისინი იმსახურებენ როგორც მართებულ რეკლამას, ასევე ხარისხიან პროდუქტს. მომხმარებლებს უნდა შესთავაზოთ ბრენდი, რომელსაც ისინი ენდობიან, პროდუქცია, რომელიც მოეწონებათ და მადლიერები იქნებიან. კომპანიას, რომელსაც სურს მომხმარებლებთან უფრო ახლოს ყოფნა, ვალდებულია დააკმაყოფილოს ყველა მათი მოთხოვნა.

კლიენტებთან ურთიერთობის მართვა – Digital-მარკეტინგი და მასთან დაკავშირებული არხები მნიშვნელოვანია. მომხმარებლებს კონკურენტებზე უკეთ უნდა იცნობდეთ. ზუსტად უნდა იცოდეთ როდის, რატომ და რა დროს არიან ისინი მზად მიიღონ თქვენი ინფორმაციული გზავნილი. ამ ინფორმაციის ცოდნისთვის საჭიროა გქონდეთ კონსოლიდირებული წარმოდგენა მომხმარებლების უპირატესობებზე და მოლოდინზე სხვადასხვა არხების მიხედვით: ვები, სოციალური ქსელები, მობილური კავშირი, პირდაპირი იმეილ გზავნილები, გაყიდვის პუნქტები და სხვა.

რაც უფრო კარგად გესმით კლიენტების, მით უფრო მარტივად გაზრდით კონვერსიას. *იყო ინტერნეტ მარკეტინგი, ახლა გვაქვს Digital-მარკეტინგი...*

Digital გარკეტინგი – ხელშეწყობის ინსტრუმენტების კომპლექტი, რომელიც მოიცავს ციფრულ არხებს. ის არ არის ინტერნეტ მარკეტინგის იდენტური, რადგან ის მოიცავს ისეთ არხებს, როგორიცაა ტელევიზია, რადიო და გარე რეკლამა. Digital მარკეტინგის არსი მდგომარეობს აუდიტორიის ონლაინ გარემოში ჩართვაში, თუმცა მისი ამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს ოფლაინ არხები. ამ ტიპის მარკეტინგის ძირითადი დანიშნულება –აუდიტორიასთან მჭიდრო კავშირის დამყარებაა და დღეს სწორედ ეს განსაზღვრავს Digital მარკეტინგის ტენდენციებს. იმის გამო, რომ ეს სფერო დინამიურია, ახალი ტენდენციებიც ისევე სწრაფად ჩნდება, როგორც კარგავს აქტუალობას, ამიტომ აუდიტორიასთან ეფექტური კონტაქტისთვის ბრენდს უწევს მუდმივ რეჟიმში ცვლილებების განხორციელება, რათა არ ჩამორჩეს აუდიტორიის მოთხოვნებს. თუმცა, ამ სირთულის გარდა Digital მარკეტინგს აქვს რიგი უპირატესობები. მათ შორის მთავარი – აუდიტორიასთან კომპლექსური მუშაობაა, რომელიც შეიძლება ერთდროულად მიმართული იყოს: იმიჯის ფორმირებაზე და შენარჩუნებაზე, გაყიდვებზე, მომხმარებლების მხარდაჭერაზე, უკუკავშირის ინფორმაციის შეგროვებაზე და სხვა. მიუხედავად უამრავი ინსტრუმენტისა Digital მარკეტინგი მცირე ბიზნესისთვისაც ხელმისაწვდომია, რასაც ვერ ვიტყვით ტელე რეკლამაზე. მარკეტინგის ეს არხი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, თუ ის მიმართულია რამე კრიტერიუმით შერჩეულ მომხმარებელთა ჯგუფზე, რომელიც ადვილად გამოირჩევა მომხმარებლების ფართო მასიდან. თუ ამასთან ერთად საჭირო აუდიტორია 35 წელზე ახალგაზრდაა მაშინ – Digital მარკეტინგი უფრო ეფექტური იქნება, რადგან ეს ასაკობრივი სეგმენტი უფრო აქტიურად იყენებს Digital მარკეტინგის მიერ გამოყენებულ მონაცემთა გაცვლის ყველა საშუალებას. გუშინდელი Digital-მარკეტინგი - ნიშნავს ისეთი არხების გამოყენებას როგორიცაა: ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, მობილური კავშირი და გარე რეკლამა. Digital-მარკეტინგი დღეს არის: საიტის, ბრენდის, პროდუქციის ყველა ციფრული არხით, სოციალური მედიით, მობილური აპლიკაციებით, საბანერო რეკლამით და ინტერაქტიული პრეზენტაციით, კონტექსტური რეკლამით, თიზერული და ბანერული რეკლამით, ემაილ მარკეტინგით, PR-კამპანიით და პარტიზანული მარკეტინგის ინსტრუმენტებით. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი digital-მარკეტინგის ძირითადი არხია, ის ასევე იყენებს სხვა არხებსაც, მაგალითად: მობილური კავშირი, მობილური აპლიკაცია, პოდკასტი, განცხადებების ონლაინ დაფა, ინტერაქტიული ეკრანები, ციფრული ტელევიზია და რადიო.

ხვალის Digital-მარკეტინგი - ეს არის ანალიტიკის სწრაფ ავტომატიზირებულ გადაწყვეტილებებთან და მაღალ ტექნოლოგიურ ციფრულ ინსტრუმენტებთან კავშირი, რომელიც მიმართულია საიტის, ბრენდის და პროდუქციის მეშვეობით კლიენტის მოქმედებებზე მაქსიმალური გავლენის მოსახდენად.

digital-მარკეტინგის პრობლემები მომხმარებლები ციფრულ არხებში უამრავ ინფორმაციას ტოვებენ და ეს ინფორმაცია ძალიან სწრაფად იზრდება, რაც ართულებს ყველა მონაცემის სწრაფ დამუშავებას. digital-მარკეტინგში თქვენი მთავარი მიზანი უზარმაზარი ინფორმაციის (Big Data-ანალიტიკა) ნაკადში საჭირო მონაცემების პოვნა, გაანალიზება, სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაა. მეორე პრობლემა - გაძლიერებული კონკურენციაა. იმის გამო, რომ ტრადიციულ მედიასთან შედარებით ციფრული არხები გაცილებით იაფია, რის გამოც ის ნებისმიერი ზომის ბიზნესისთვისაა ხელმისაწვდომი - ამიტომაც ამ სფეროში კონკურენციაც დღითიდღე იზრდება.

ციფრულ მარკეტინგში წარმატება დამოკიდებულია:

- *კლიენტებთან კომპლექსური კომუნიკაციის მართვა სხვადასხვაა - როგორც ტრადიციულ, ასევე ციფრულ არხებში;*
- *მომხმარებელთან დინამიური ურთიერთქმედების უნარზე;*
- *დიდი რაოდენობით მონაცემთა ანალიზის უნარი, პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადასაჭრელად.*

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ მარკეტინგი ახალი ხილია, ინდუსტრიული რევოლუციისა და ტექნიკური განვითარების შედეგი, თუმცა რეალურად მარკეტინგი ბიზნესის კეთების განუყოფელი ნაწილია, დასაბამიდან დღემდე, ხოლო თანამედროვე მარკეტინგი – ახლებური მიდგომაა ძველი პრინციპების გამოყენებით, დღეს არსებული ტექნიკური განვითარებისა და მიდგომების გათვალისწინებით.

ციფრული მარკეტინგი არა მხოლოდ უფრო მარტივს ხდის მომხმარებელთან კომუნიკაციას, არამედ გაცილებით ასწრაფებს პროცესს, შესაძლებელია მილიონობით ადამიანთან დაკავშირება სულ რაღაც რამდენიმე წუთში, სოციალურ მედიაში რეკლამირების გზით. ვებ-საიტები და მობილური აპლიკაციები საოცარ შესაძლებლობებს იძლევა ონლაინ ვაჭრობისთვის. Email შეუცვლელი არხია, როგორც რეკლამისთვის, ასევე ეფექტური კომუნიკაციისთვის სხვადასხვა სეგმენტის ადამიანთან.

თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მარკეტინგის განვითარება აჩქარებულია, ისევე, როგორც კაცობრიობის განვითარების ტემპი, ამიტომაც მუდმივად სიახლის მოლოდინში უნდა ვიყოთ: ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური რეალობა, და რობოტები ეს მარკეტინგული საქმიანობის შემდგომი განვითარების საფუძვლებია.

ბიბლიოგრაფია:

თანამედროვე მარკეტინგი – ახალი ერა! (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://spec.ge/თანამედროვე-მარკეტინგი/

მარკეტინგი – დასაბამიდან დღემდე. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://blh.com.ge/მარკეტინგი-დასაბამიდან/

რა არის DIGITAL-მარკეტინგი? (2017 წლის 28 დეკემბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://lemons.ge/ka/blog/49-პიარი/127-რა-არის-digital-მარკეტინგი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

Lali Osadze
Gori State Teaching University

MODERN MARKETING TRENDS

RESUME

Marketing - is the consistent unity of many different steps that are aimed at identifying, attracting and retaining our customers. Marketing covers everything from market research, advertising, packaging, employee attire and the smiles on their faces. Marketing should create awareness of and demand for the product or service you produce.

Any company, in order to remain competitive in the market and to be in a state of continuous development, must use modern approaches, platforms and software solutions. We are in a new era of marketing, today we can reach our target audience with the help of modern advertising platforms. Digital marketing not only makes it easier to communicate with consumers, but also speeds up the process.

Successful marketing means selling the right product, the right place, the right price and advertising. Contemporary marketing - is a new approach using old principles, taking into account current technical developments and approaches.

Marketing development is accelerating, as is the pace of human development, so we must keep up with the latest innovations: artificial intelligence, virtual reality, and robots.

Keywords: Marketing, Digital marketing, 4P, Consumer, Competition.

მაკა სოსანიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამომხმარებლო ბაზარი და მისი ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: სამომხმარებლო ბაზარი, სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური უსაფრთხოება, მომხმარებლის დაცვა, კონკურენცია.

სამომხმარებლო ბაზარი არის ადგილი, სადაც პირი შეიძენს საქონელს (მომსახურებას) პირადი მოხმარებისათვის. სამომხმარებლო ბაზარი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ დინამიურად მზარდ სეგმენტს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტემპები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყანაში სამომხმარებლო ბაზრის განვითარების მდგომარეობით. სამომხმარებლო ბაზარი

საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ქვესისტემაა, რომლის მნიშვნელობა მდგომარეობს წარმოებასა და მოხმარებას შორის, ასევე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის შენარჩუნებაში, ამის საფუძველზე მოსახლეობის სულიერ და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

სამომხმარებლო ბაზრის განვითარება არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებაზე, ასევე მრეწველობის, საფინანსო და აგროსამრეწველო სექტორის განვითარებაზე. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობა ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან, რაც მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ თუ ქვეყანა სწორად ვითარდება და სახელმწიფო ზრუნავს მომხმარებლებზე, შედეგად ვღებულობთ შეძლებულ მომხმარებელს, რომელიც იძენს სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ საქონელს. სამომხმარებლო ბაზრის შესწავლისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური უსაფრთხოება, მისი მონაწილეთა დაცვა.

რაც შეეხება ცნებას „სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური უსაფრთხოება“, მასში იგულისხმება სამომხმარებლო ბაზრის სასურსათო უსაფრთხოება, მომხმარებელთა უზრუნველყოფა უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საქონლით; სამომხმარებლო ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ ინტერესთა დაცულობა გარე და შიდა საშიშროებისაგან, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და სხვ. განვიხილოთ სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიცაა სასურსათო უსაფრთხოება.

სასურსათო უსაფრთხოება არის ქვეყნის უნარი - უზრუნველყოს სურსათზე საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებანი. სასურსათო უზრუნველყოფის დონე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია რესურსებსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელზეც სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, თითოეული ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე უამრავი პრობლემა არსებობს. ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული ფალსიფიცირებული, უხარისხო და ჯანმრთელობისთვის საშიში როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო პროდუქტებით. მიუხედავად ამისა, მომხმარებლების უმრავლესობა დაბალი შემოსავლების გამო იძულებულია იყიდოს ასეთი პროდუქტები. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული. ქვეყანაში მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქტის 70%-ზე მეტი იმპორტულია. ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის ისეთი სახეობებიც, რომლის ძირითადი მწარმოებელი თვით საქართველო იყო.

FAO-ს (გაეროს სურსათსა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) მონაცემებით, საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ არის და ყოველ წელიწადს ქვეითდება, ქართული სამომხმარებლო ბაზარი მესამე სამყაროს ერთ-ერთ ნაგავსაყრელადაა ქცეული. როგორც აღმოჩნდა, ბაზარი ვადაგასული პროდუქტითაა სავსე. მათ შორის კი უხვადაა ბავშვთა ტკბილეული, შოკოლადის ნაწარმი, რომლებიც ძირითადად მესამე სამყაროს ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. ქვეყნის შიდა ბაზარი გაჯერებულია გაყინული იმპორტული ხორცით, რომელიც სპეციალურად მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისათვის არის გამიზნული და ამ სახის ხორცი იმპორტიორი ქვეყნების ბაზრების დახლებზე არასოდეს არ გამოაქვთ.

სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიკაციის ფაქტებიც უამრავია. მწარმოებელი იაფი ინგრედიენტების, მარტივი ტექნოლოგიების გამოყენებით, ატყუებს მყიდველს. მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში არაა კომპეტენტური ფალსიფიცირებული პროდუქციის არაფალსიფიცირებულისაგან გარჩევაში, იგი ბრმად ენდობა რეკლამასაც. კვების პროდუქტებში ხშირად ადგილი აქვს ტყვიის გადაჭარბებულ რაოდენობას, რაც გონებრივი და ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენას, ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემებს, ინტოქსიკაციასა და ალერგიას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ 2005 წლის ჩათლით ხორციელდებოდა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგი. 2006 წლიდან კი საერთოდ გაუქმდა კონტროლი სასურსათო პროდუქციაზე, რამაც გზა გაუხსნა იმპორტიორებს შემოეტანათ საქართველოში სხვაგან დაწუნებული, ფალსიფიცირებული, ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებული, ასევე გენმოდიფიცირებული, დაბალი ღირებულების პროდუქტები, რამაც, გამოიწვია არა მარტო მომხმარებელთა მასიური დაავადებები, არამედ სურსათის ადგილობრივი წარმოების მოშლა. მცირე მეწარმეების მიერ მოყვანილმა ადგილობრივმა პროდუქციამ კონკურენცია ვერ გაუწია შედარებით იაფფასიან იმპორტულ პროდუქციას

და ფაქტიურად სამამულო წარმოება მოკვდა. ამან განაპირობა მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება. 2013 წლიდან ინტენსიურად დაიწყო სახელმწიფოს მიერ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლი, ამ მიმართულებით მუშაობს: სურსათის ეროვნული სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი, ასევე ქვეყანაში სპეციალურად შექმნილი რამდენიმე ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტ ISO-ს შესაბამისად.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ძნელად მოიძებნება ისეთი მიმართულება, სადაც ეს პრობლემები არ არსებობს. ფაქტები, რომ ბაზარზე ფალსიფიცირებული წამლები იყიდება, ოფიციალურად დადასტურებული არ არის, თუმცა უამრავი ადამიანი ჩივის, რომ მკურნალობას ხშირად არ მოაქვს შედეგი. წამლების ლაბორატორიული შემოწმება ძვირი ღირს, თანაც საქართველოში ასეთი შემოწმება ფაქტიურად არ ხდება. ამიტომაა, რომ ფარმაცია არის სამომხმარებლო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მოუწესრიგებელი მიმართულება.

თავისუფალინ სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს მნიშვნელობას არაერთი აკადემიური კვლევის შედეგები ადასტურებსი კონკურენციის პოლიტიკის (ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ხშირად ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას უწოდებენ) მეშვეობით ხდება საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდან რადგან თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასნ ფასების რეგულირებას (მათ შორისნ შემცირებას)ნ ხელს უწყობს სიახლეების დანერგვასნ პროდუქტიულობის ამაღლებას დან შესაბამისადნ საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების ზრდასნ მათი კეთილდღეობის ამაღლებასი

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პრობლემები უმთავრესად ბაზარზე კონკურენტული გარემოს და, ზოგადად, კონკურენციის სათანადო ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობითაა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით და ფორმალური (საკანონმდებლო, ადმინისტრაციული) ბარიერების სიმცირით ხასიათდება, არის იმის ნიშნები, რომ სამომხმარებლო პროდუქტების ბიზნესს ქვეყანაში კონცენტრაციის მაღალი ხარისხი ახასიათებს. ამასთანავე, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაზე დაკვირვება ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე მოქმედ სუბიექტთა გამსხვილების ტენდენციას ავლენს.

როგორც ვხედავთ საქართველოში უახლოეს მომავალში გადასაჭრელი პრობლემებიდან უმნიშვნელოვანეს პრობლემას ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

- კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება; კერძოდ, კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება, რათა განხორციელდეს კონკურენტული გარემოს ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა და შეიქმნას კონკურენციის ხელშემწყობი უკეთესი პირობები;
- საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სასურსათო ბაზრის განვითარებისაკენ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების, ტექნიკური, სამართლებრივი, საკადრო, სისტემის სრულყოფის გზით;
- სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ქვეყანაში აგრარულ სექტორში უნდა შემუშავდეს თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც პროდუქციის წარმოების მდგრადი განვითარების შესაძლებლობების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს;
- გაიზარდოს ქვეყანაში სურსათის ადგილობრივი წარმოება;
- განხორციელდეს ისეთი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზარზე უვარგისი პროდუქციის შემოტანის აკრძალვას.

დღეისათვის საქართველოს უმთავრესი პრიორიტეტია ევროპასთან ინტეგრაცია, რაც შეუძლებელია ევროკავშირის მიერ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა სურსათის უვნებლობის სფეროში თანამშრომლობა. საქართველო რეფორმების პროცესშია და მისი დეკლარირებული მიმართულება ევროპისკენ მნიშვნელოვან ცვლილებებს ავალდებულებს, მათ შორის პროდუქციის უსაფრთხოებისა და ხარისხის კუთხით. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს ევროკავშირის კანონმდებლობის უბრალოდ გადმოღებას და მის ამოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე.

ბიბლიოგრაფია:

თეთრუაშვილი, ზ., & თეთრუაშვილი-ქარდავა, მ. (2006). *საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საგაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში.* თბილისი.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. (2012). *საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/ფარმაცევტული%20ბაზარი%20საქართველოში_0.pdf

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. (2012). *კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2017). *სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა.*

Maka Sosanidze

Gori State Teaching University

CONSUMER MARKET AND PROBLEMS OF ITS ECONOMIC SECURITY IN GEORGIA

RESUME

The article discusses the significance and characteristics of the consumer market in Georgia, the problems of its economic security.

Consumer market is one of the fastest growing segments of the economy. The growth rate of the national economy is largely determined by the state of development of the consumer market. The consumer market is one of the main socio-economic subsystems of society, the importance of which lies between production and consumption, as well as maintaining a balance between supply and demand to meet the spiritual and social needs of the population.

The development of the consumer market has a significant impact on the life of the population, the competitiveness of the national economy, the stimulation of innovative activity, as well as the development of the industry, financial and agro-industrial sectors.

When studying the consumer market should focus on issues such as: the economic security of the consumer market and its participants. The economic security of the consumer market includes the protection of the economic interests of the participants in the consumer market, food security, consumer safety, quality and affordable goods; Formation of a healthy competitive environment, etc.

There are many problems in the Georgian consumer market. The consumer market is saturated with imported fake, low-quality and health-threatening food and non-food items. However, most consumers are forced to buy such goods due to low income. In fact, there are no penalties for the production and import of the product. There is no effective control over effective competition.

According to some experts, the problems existing in the consumer market of Georgia are mainly related to the lack of a competitive environment in the market and, in general, the lack of an appropriate institutional framework for competition.

Although Georgia's economy is characterized by a high level of liberalization and a lack of formal barriers, there are signs that the consumer goods business has a high degree of concentration in the country.

Keywords: Consumer market, Economic security, Consumer protection, Competition.

ლალი სრესელი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ადგილობრივი თვითმმართველობების როლი უმუშევრობის დაძლევაში

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, დასაქმება, შრომის ბაზარი, ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტი, ეკონომიკური პოლიტიკა.

ანოტაცია

უმუშევრობის დონე ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულის სტაბილურობის, მთლიანად სოციუმის და განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ეფექტურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია, ამიტომ ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფაა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლს. მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების როგორ სტრატეგიას აირჩევს ცენტრალური ხელისუფლება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარება წარმოუდგენელია ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე. სახელმწიფო მხარდაჭერით განხორციელებულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადი განვითარება. ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, უპირველესად დამოკიდებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტურ მუშაობასა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების როლი დასაქმების საკითხის გადაწყვეტაში გამოიხატება შემდეგში:

- დასაქმების, ადგილობრივი შრომის ბაზრის და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ეკონომიკური და სხვა მექანიზმების შემუშავება-რეალიზაცია;
- დასაქმების სფეროში მომუშავე მუნიციპალიტეტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ საწარმოების მმართველი ორგანოების კოორდინაცია და კონტროლი;
- საინფორმაციო დახმარების გაწევა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სამსახურს ეძებენ.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმატებული საქმიანობის შედეგად ადგილზე უნდა მოხდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და განავითარებს მცირე და საშუალო ბიზნესს.

შესავალი

დასაქმების მაღალი დონის მიღწევა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. იგი არსებით როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, თითოეულ ადამიანში პროფესიული შესაძლებლობების ფორმირებასა და განვითარებაში.

ქვეყნის რეგიონების განვითარება, მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, რეგიონების როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობის რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას.

მნიშვნელოვანია თვითმმართველობის როლის გაზრდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში და თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით, რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების განვითარებას და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და დასაქმებას.

თემის აქტუალობა

დღეს მოსახლეობის უმთავრესი პრობლემა დასაქმებაა.

შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსი და დასაქმების სტრუქტურა აერთიანებს მრავალ პრობლემას, რომელთა დაძლევაც ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას

წარმოადგენს. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზი როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მიმართულებით. აუცილებელია მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის, აუცილებელია სახელმწიფომ ინფორმაციული დახმარება გაუწიოს სამუშაოს მაძიებლებს პროფესიის არჩევის, მომზადების და გადამზადების კუთხით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტექნოლოგიური პროგრესის გამო სწრაფ ცვლილებებთან ერთად იზრდება ახლებური და მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების და ცოდნის მუშაკებზე მოთხოვნა, ამიტომ შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს მეწარმეებისა და განათლების სისტემის ინტეგრაცია. სასწავლო პროგრამები მეწარმეებზე მიმართული უნდა იყოს. სამუშაოს მსურველს ხშირად ის უნარ-ჩვევები არ აქვს, რაც მეწარმეს სჭირდება. ასევე პროფესიული კადრების მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეგიონში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკა.

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, არსებული გამოწვევების და პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრული სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის შემდგომ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უმუშევრობის შემცირებას და შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას. რეგიონში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება დადებითად აისახება სამეწარმეო საქმიანობაზე, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დასაქმების პრობლემის მოგვარებაში. ბაზრის პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომლებიც თითოეულ ადამიანს გარანტირებულად მისცემს მუშაობის შესაძლებლობას, ადამიანს კი აქვს უფლება აირჩიოს ადგილი და სახე შრომითი საქმიანობისა და თავად მიიღოს გადაწყვეტილება მასში მონაწილეობაზე. დღეს მოქმედი შრომის კოდექსით გათვალისწინებულია, რომ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს ნებისმიერი, კანონთან თანხმობაში მყოფი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, თვისუფლად აირჩიოს სამუშაოს ადგილი და შრომით საქმიანობის სახე. „შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი 2010, მუხლი 2.2)

მეწარმეობა და ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა, როგორც დასაქმების წყარო, ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივად არის მიჩნეული, ამიტომ ბიზნესის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად, მათ შორის ისეთი საკითხების მოგვარება, როგორიცაა მცირე მეწარმეობისთვის შესაბამისი საკადრო პოტენციალის ფორმირება. ადგილობრივმა შესაბამისმა უწყებებმა უნდა იზრუნონ იმ შეზღუდვების აღმოფხვრაზე, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას რეგიონში, რათა უფრო სწრაფად განვითარდეს ადგილობრივი წარმოება და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. „ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით“. (საქართველოს მთავრობა, 2013)

მე-20 ს-ის შუახანებიდან მოყოლებული მსოფლიოში აღინიშნება ზოგადი ტენდენცია - განვითარება რეგიონალიზაციისა და დერეგულირების პროცესების გაძლიერების მიმართულებით.

სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე თანაბარი და ეფექტიანი საარსებო გარემოს შექმნა მხოლოდ დეცენტრალიზაციის საშუალებით არის შესაძლებელი. დეცენტრალიზაციის პროცესი თანამედროვე მსოფლიო განვითარების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ისეთი სახელმწიფო სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უკეთ იცნობენ ადგილობრივ სპეციფიკას და საქმიანობას ნაკლები დანახარჯებითა და მეტი ეფექტურობით ახორციელებენ.

თვითმმართველობის სისტემის კიდევ უფრო გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით მუშავდება დეცენტრალიზაციის ახალი, 2018-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი. რეფორმის მთავარი მიზანია სუბსიდიარობის პრინციპებზე დაყრდნობით თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, თვითმმართველობის როლის გაზრდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში და თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით. უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების განვითარებას და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას. (თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა: სამთავრობო პროგრამა 2018-2020, 2017, გვ. 34)

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც არჩეულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერირტორიული ერთეულის მოსახლეობის მიერ და იღებს გადაწყვეტილებებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებზე.

მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ ადგილობრივი თვითმმართველობის სამ მოდელს: ანგლო-საქსონურს (ინგლისურს), კონტინენტალურს (ფრანგული) და საბჭოურს. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გამოცალკევებულნი არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისგან.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ძირითად მოვალეობებს წარმოადგენს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობაა. იგი საერთო ჯამში იწვევს მოსახლეობის საკუთარი შემოსავლების ზრდას. სწორედ ასეთი საკითხების გადაწყვეტას უზრუნველყოფენ ადგილობრივი მეწარმე-სუბიექტები, თუ მათ აქვთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან პოზიტიური (შედეგზე ორიენტირებული) დამოკიდებულება. (ჭიჭინაძე, 2014, გვ. 26)

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილებზე არსებული საწარმოების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობები რამდენიმე გზით ახდენენ ზეგავლენას ადგილობრივ საწარმოებზე, ესენია:

- პარტნიორობა და საქმიანი ურთიერთობა მუნიციპალიტეტსა და საწარმოებს შორის
- საწარმოების მონაწილეობის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ განხორციელებულ საქონლისა და მომსახურების შესყიდვაში;
- ადგილობრივი სატარიფო პოლიტიკა;
- ფინანსური დახმარება;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ადგილობრივი მიწათმოწყობის დაგეგმვა;
- ადგილობრივი საწარმოებისათვის მშენებლობის ნებართვების გაცემა;
- ადგილობრივ საწარმოებში დასაქმებული მოქალაქეების სისტემატური გადამზადება.

ადგილობრივ თვითმმართველობებს მიღებული ფინანსებით ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე, რაც საბოლოო ჯამში სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. (ჭიჭინაძე, 2014, გვ. 89)

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს და სტიმული მისცეს ისეთი პროექტების განხორციელებას, რაც გამოიწვევს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას.

სასურველია საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამოყენებულ იქნეს უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მიდგომები ადგილობრივ საწარმოებთან ურთიერთობის კუთხით - თვითმმართველობებში ერთობლივი შერეული კომპანიების დაფუძნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კაპიტალის მეშვეობით და სხვა.

რეგიონის მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიმართულებების ერთდროულად განვითარებას. რეგიონის განვითარების სტრატეგია მიმართული უნდა იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ფაქტორების გაუმჯობესებისაკენ.

რეგიონის სტრატეგიული განვითარების განსაზღვრის თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომები მდგომარეობს შემდეგში:

- პირველ რიგში, საკუთარ შესაძლებლობებზე ორიენტაცია;
- რეგიონის განვითარების ორიენტაცია არა მარტო მატერიალურ სფეროზე, არამედ ცოდნაზე, ინოვაციებზე და ინსტიტუციონალური სფეროს განვითარებაზე;
- რეგიონი განიხილება არა როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, არამედ როგორც კვაზიკომპანია, რომელსაც მივყავართ ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობის შეფასების აუცილებლობასთან და რეგიონის პროდუქციის მარკეტინგულ გამოკვლევასთან
- რეგიონის განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები დაკავშირებულია კორპორაციული წესის ფორმირებასთან და ამ თავისებური კორპორაციის განვითარებასთან.

ტერიტორიული რესურსები, როგორც რეგიონული პოტენციალის საფუძვლები, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ჯგუფის სახით:

- რეგიონის ძირითადი ფონდები;
- ბუნებრივი რესურსები;

- მიწა, როგორც ქონებრივი კომპლექსის ნაწილი;
- შრომითი რესურსები;
- ფინანსური რესურსები;
- ინფორმაციული რესურსები.

არსებული რესურსების გამოყენებისათვის რეგიონულმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ ორგანიზატორის როლი შემდეგი საკითხების გადაწყვეტაში:

- რეგიონის საინოვაციო წინადადებების პაკეტის ფორმირება დაინტერესებული ინვესტორებისათვის;
- ერთობლივი პროექტების ფინანსირების ორგანიზაცია წილობრივი მონაწილეობის პრინციპით (სამეწარმეო სტრუქტურები, მოსახლეობის სახსრები, კრედიტები, საბიუჯეტო სახსრები და სხვ.);
- რეგიონის ადმინისტრაციის მონაწილეობა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის.

რეგიონულმა ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო პროექტის ცალკეული ეტაპების განხორციელებას (საკონკურსო შერჩევა, ორგანიზაციული და ფინანსური მომზადება, საკონფლიქტო სიტუაციების დარეგულირება და ინტერესების თანხვედრა, კომერციული რეალიზაცია).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი ორგანოებისა და მცირე ბიზნესის ურთიერთობის საკითხს.

რეგიონული ორგანოების როლი პერსპექტიული განვითარების პრობლემის გადასაწყვეტად უაღრესად აქტუალური ხდება გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. ტერიტორიული ერთეულის თავისებურებების გათვალისწინებით მათ უნდა დაეკისროს რეგიონის განვითარების მაკროეკონომიკური პროგნოზის დამუშავების და მის საფუძველზე განვითარების ინდიკატორების დადგენა შემდგომი კომპლექსური პროგრამის ან ცალკეული პრობლემის შედგენისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების პირობების ეფექტიანად გაანალიზების ნაყოფიერ კონცეფციას წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე წარმოების კონცეფცია. ნებისმიერ რეგიონში შეიძლება გამოვყოთ ძირითადი მრეწველობა ანუ ის პროდუქცია, რომელიც ძირითადად გაიტანება რეგიონიდან და დამხმარე წარმოება, რომლის პროდუქციაც უპირატესად მოცემული რეგიონის ფარგლებში მოიხმარება.

ეროვნული მეურნეობრივი რესურსების შეზღუდულობის პირობებში ლოგიკურად წარმოიშობა პრიორიტეტების დასაბუთების აუცილებლობა. ეროვნული და რეგიონული მეურნეობის პრიორიტეტული სფეროებისა და დარგების დაჩქარებული განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყანას და მის რეგიონებს არსებული დისპროპორციების დაძლევაში და პერსპექტიული განვითარების ოპტიმალური პროპორციების ფორმირებაში.

ბიბლიოგრაფია:

ბარათაშვილი, ე., & ვეშაპიძე, შ. (2002). *რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა.* თბილისი.

ბარათაშვილი, ე., ზარანდია, ჯ., & აბრალავა, ა. (2009). *რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა.* თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა: სამთავრობო პროგრამა 2018-2020. (2017 წლის დეკემბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://gov.ge/files/68_63143_156281_სამთავრობოპროგრამა2018-2020.pdf

საქართველოს მთავრობა. (2013 წლის 02 აგვისტო). *საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.* (№199): მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981264?publication=0

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი 2010. (№4113-რს). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=17

სრესელი, ლ. (2018 წლის 16-17 ნოემბერი). შრომის ბაზრის რეგიონული თავისებურებების გავლენა დასაქმების ხარისხზე. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“.*

შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021. (2013). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://gov.ge/files/275_38364_967251_136417.09.13–1.pdf

ჭიჭინაძე, ბ. (2014). *საქართველოს მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები (ზესტაფონის მაგალითზე).* დისერტაცია.

Lali Sreseli
Gori State Teaching University

LOCAL MUNICIPALITYIES ROLE TO SOLVE UNEMPLOYMENT PROBLEM

RESUME

In Shida Kartli as a whole Georgia is the highest level of unemployment and it needs attention.

Level of unemployment is the main indicator, so local economic politics main aim is to employ population.

In region is critical situation, that's why its reason of economic situation and whole sphere.

Itd the most important the states role of region social –economic development, also its important which strategies choose authority.

Local municipality development is unimaginablr without central outhority,s support.

States supports arrangement must be guaranteeing regions social-ekonomic situation,s development.

Teritorials social economic development ,the first its depends local menejers effective workand their decided decisions.

Local municipality,s role in workink decision is next: unemployment spere,s working municipality,public organization,or production,s leaders. Coordination and control.

To help give information to people which lookink for a job.

Local municipality,s successful working must be instill new technology, which makes new places for job and develob small and big business.

Keywords: Unemployment, Employ, Toil market local municipality, Economic politic.

გიორგი ყაზიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მომსახურების ხარისხი, როგორც საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი

საკვანძო სიტყვები: მომსახურების ხარისხი, საცალო ვაჭრობის საწარმო, კონკურენტუნარიანობა, მარკეტინგი.

საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობის ფორმირება მრავალი ფაქტორის გავლენით ხორციელდება, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ: ადგილმდებარეობა, სასაქონლო ასორტიმენტი, პროდუქტის ფასი, სავაჭრო პერსონალის კვალიფიკაციის დონე, მომსახურების ხარისხის დონე და სხვ.

თანამედროვე ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, საცალო სავაჭრო საწარმოს კონკურენტუნარიანობისა და მისი სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია კონკურენტული უპირატესობების ფორმირება, რომელიც, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, შეიძლება ეფუძნებოდეს აგრეთვე:

- საწარმოსადმი ლოიალური მყიდველების რაოდენობის ზრდის ფაქტორებს;
- გრძელვადიანი ურთიერთკავშირის დამყარებას მიმწოდებლებთან;
- მასშტაბის ეფექტით გამოწვეულ დაბალ დანახარჯებს;
- მაღალი ხარისხის მომსახურებას;
- სავაჭრო პერსონალის კვალიფიკაციას;
- სავაჭრო ქსელის ლოგისტიკური უზრუნველყოფის დონეს და ა.შ.

მომსახურების ხარისხი წარმოადგენს საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორს. მომსახურების ხარისხისა და მომსახურების მარკეტინგის კვლევას არაერთი ნაშრომი მივუძღვენით.

არასათანადო მომსახურების მიზეზით კომპანიამ შესაძლებელია იმაზე მეტი მომხმარებელი დაკარგოს, ვიდრე უხარისხო პროდუქტის შეთავაზების შემთხვევაში. მეცნიერი პიტერ დოილი, ხაზს უსვამს რა მომხმარებელთა ლოიალურობის მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში, მას მარკეტინგული აქტივების ოთხ სახეს შორის ასახელებს. მისი აზრით, ფირმის მარკეტინგული უპირატესობა ბაზირდება მის შესაბამის აქტივებზე: მის მიერ ბაზრის ცოდნაზე, საკუთარ სავაჭრო მარკებზე, ფირმის მომხ-მარებლების ლოიალურობაზე და პარტნიორებთან სტრატეგიულ ურთიერთობებზე განაწილების არხებში. (Дойль, 2001, стр. 63)

ბრენდის ლოიალურობა (Brand Loyalty), რომელიც წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ფაქტორს, დაკავშირებულია მომხმარებელთა მიერ ბრენდის აღქმასთან. ეს არის ბრენდისადმი მიმხრობის, მოცემული ბრენდის არჩევის ძალა სხვა ალტერნატივების არსებობის პირობებში. ეს ძალა ხშირად იზომება განმეორებითი შეძენის სიხშირის ან ფასისადმი მგრძნობიარობის მეშვეობით.

კლიენტების ლოიალურობის მოპოვება და ურთიერთობის თვალსაზრისით მისი შენარჩუნება პირველ რიგში ხარისხიან მომსახურებას ითვალისწინებს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს: მზრუნველობას; თავაზიანობას; პატიოსნებას; მზაობას დასახმარებლად; ოპერატიულობას; ხელმისაწვდომობას; მეგობრულობას; ცოდნას; პროფესიონალიზმს. (Шоул, 2008, стр. 25)

ნებისმიერი ჩამოთვლილი ფაქტორი განაპირობებს მომსახურების ხარისხს და განსაზღვრავს საცალო (და არა მხოლოდ საცალო) სავაჭრო საწარმოს წარმატებას.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ უმთავრეს პირობას კვალიფიციური, განათლებული კადრების შერჩევა წარმოადგენს. მუშაკთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები უმთავრესად წარმოიშობა იმის გამო, რომ მრავალი საწარმო ჯერ კიდევ არ აღიარებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების აუცილებლობას. სწავლება ხშირად განიხილება როგორც ხარჯების გაზრდის და არა როგორც სტრატეგიული ინვესტიციის ფაქტორი, მაშინ, როდესაც საცალო სავაჭრო საწარმოების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პერსონალის კვალიფიკაციაზე.

მნიშვნელოვანია კლიენტთა მომსახურების პროცესში ჩართული პერსონალის საქმიანობის პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე მათი წახალისება. სასურველია თანამშრომელთა შეფასებისა და წახალისების სისტემა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. თანამშრომელმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით მოხდება მისი საქმიანობის შეფასება და რა შეიძლება მოჰყვეს დადებით ან უარყოფით შედეგებს. (ქარქუზაშვილი, 2012)

ფსიქოლოგისა და ბიზნეს-ტრენერის ეკატერინე ფუტკარაძის აზრით, ცუდ მომსახურებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის - არამოტივირებული მომსახურე პერსონალი; არასწორად განსაზღვრული სამუშაო მოთხოვნები; მომსახურე პერსონალის პიროვნული თვისებები; დამქირავებლის არასწორი დამოკიდებულება მომხმარებლის მიმართ და სხვ. პრობლემის მოსაგვარებლად სწორად უნდა შეირჩეს კადრები. სამსახურში აყვანისას უნდა დადგინდეს, რა პიროვნული თვისებების მატარებელია კანდიდატი... უნდა განემარტოს, რომ მომსახურება არ გულისხმობს მომხმარებლისთვის მხოლოდ პასუხის გაცემას ან მოთხოვნილი პროდუქტის მიწოდებას. პერსონალი მობილიზებული უნდა იყოს თავაზიანი მომსახურებისთვის... დამქირავებელმაც კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრებისა და გამარჯვების წინა პირობა სწორედ მომსახურების ხარისხია. (ლომიძე, 2015)

საცალო ვაჭრობის მომსახურების ხარისხის ძირითადი მაჩვენებელი - მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლებით:

– კომპეტენცია (კონკრეტული მომსახურების გასაწევად აუცილებელია პროფესიული განათლების ქონა, მოხერხება და უნარი);

– კომუნიკაბელობა (მომხმარებლებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა);

– თავაზიანობა (პერსონალის ქცევა);

– კულტურა (ქცევის წესების დაცვის და კონკრეტული მომსახურების ობიექტის შესახებ ინფორმაციის გასაგებად გადაცემის თვისება);

– დახვეწილობა (მომსახურების ობიექტის მიმზიდველობის უნარი);

– საიმედობა. (ამყოლაძე, ამყოლაძე, გიორგიშვილი, & ლომსაძე-კუჭავა, 2009, გვ. 12-13)

პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებისას, გასათვალისწინებელია მომსახურების ის დრო, რომელსაც იგი ანდომებს მომსახურების გაწევას, აგრეთვე მომსახურების სიჩქარე.

საცალო ვაჭრობის მუშაობის შედეგები და თავად საწარმოთა კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ მიღებულ მარკეტინგულ

გადაწყვეტილებებზე. ასეთი გადაწყვეტილებებიდან ფ. კოტლერი და გ. არმსტრონგი გამოყოფენ: მიზნობრივ ბაზარსა და მაღაზიის პოზიციონირებას, პროდუქტისა და მომსახურების ასორტიმენტს, ფასს, სტიმულირებასა და ადგილს. (არმსტრონგი & კოტლერი, 2006, გვ. 450) გადაწყვეტილებების თითქმის იდენტური ჩამონათვალი გვხვდება მარკეტინგის ქართულ სახელმძღვანელოებშიც. (თოდუა & მღებრიშვილი, 2009, გვ. 423)

საცალო სავაჭრო საწარმოებმა თავის საქმიანობა უნდა დაიწყონ მიზნობრივი ბაზრების შერჩევით, რაც უმნიშვნელოვანესი მარკეტინგული გადაწყვეტილებაა. სწორედ ამაზეა დამოკიდებული მარკეტინგის მიმართულებით საწარმოს მიერ მიღებული ყველა სხვა გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნებს. საწარმოს მარკეტინგის სამსახური რეგულარულად უნდა სწავლობდეს მიზნობრივ ბაზარს, რათა ყოველთვის იყოს დარწმუნებული მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეში. ბაზრის შერჩევა უშუალოდ უკავშირდება ამ ბაზრიდან მოსალოდნელი მოგების სიდიდეს და ის განსაზღვრავს სავაჭრო საწარმოს ადგილმდებარეობისა და მისი ფორმატის შერჩევას.

საცალო მოვაჭრემ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს თავისი საბაზრო მიზანი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს, როგორ განთავსდეს ამ ბაზრებზე: როგორ მყიდველზე უნდა იყოს საცალო სავაჭრო საწარმო ფოკუსირებული (მაღალი, საშუალო თუ დაბალი დონის)?; რა სურს მიზნობრივ მყიდველს (ფართო და მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ხელსაყრელი პირობები თუ დაბალი ფასები)? ბაზრის განსაზღვრამდე და პროფილს შერჩევამდე საცალო მოვაჭრე ვერ მიიღებს მტკიცე გადაწყვეტილებას პროდუქტის ასორტიმენტის, მომსახურების, ფასწარმოქმნის, რეკლამირების, სავაჭრო საწარმოს დიზაინის ან სხვა საკითხის შესახებ, რამაც მათი პოზიციონირების მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს.

ძალიან ბევრ საცალო მოვაჭრეს თავისი მიზნობრივი ბაზრისა და პოზიციონირების განსაზღვრა არ შეუძლია. ისინი ცდილობენ დააკმაყოფილონ ნებისმიერი მყიდველის სურვილი და, საბოლოო ჯამში, ვერცერთ ბაზარს ბოლომდე და სათანადოდ ვერ აკმაყოფილებენ. ამის საპირისპიროდ, წარმატებული საცალო მოვაჭრეები თავიანთ მიზნობრივ ბაზარს კარგად განსაზღვრავენ და ძლიერ პოზიციონირებასაც უზრუნველყოფენ.

ფ. კოტლერისა და გ. არმსტრონგის მიხედვით, საცალო მოვაჭრეებმა გადაწყვეტილება პროდუქტის შესახებ სამი ცვლადის - პროდუქტის ასორტიმენტის, მომსახურების კომპლექსისა და მაღაზიის ატმოსფეროს - გათვალისწინებით უნდა მიიღონ. (არმსტრონგი & კოტლერი, 2006, გვ. 454) საცალო მოვაჭრე პროდუქტის ასორტიმენტმა უნდა განასხვავოს სხვა საცალო მოვაჭრეებისაგან, მოახდინოს მისი იდენტიფიცირება და ამავდროულად თანხვედრა მიზნობრივი ბაზრის მოლოდინთან.

საცალო სავაჭრო საწარმოს ატმოსფერო გადამყიდველის არსენალის კიდევ ერთი ელემენტია. თითოეულ სავაჭრო საწარმოს აქვს ფიზიკური მოწყობის გეგმა, რომლის საშუალებით იგი რთულად ან ადვილად მოქმედებს. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი „აურა“ (ატმოსფერო); საწარმომ უნდა შეარჩიოს ის ატმოსფერო, რომელიც მის მიზნობრივ ბაზარს შეეფერება და მყიდველს შეძენისათვის განაწყობს.

მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების კომპლექსზე სწორი გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, საქონლის შეფუთვაზე, დადგმა-დამონტაჟებაზე, გადაკეთებაზე, შინ მიტანაზე და ა.შ. განსაზღვრავს საქონლის ხასიათზე დამოკიდებული მომსახურების სახეების შერჩევას. საქონლის ლამაზად და მოხერხებულად შეფუთვა, საქონლის უკან დაბრუნების პროცესის გაადვილება, გამყიდველების კონსულტაციები საქონლის გამოყენებაზე და ა.შ. ხელს უწყობს მომხმარებელთა მოზიდვასა და შენარჩუნებას.

მომსახურების მარკეტინგის კომპლექსის ანალიზის დროს შეიძლება გამოყოფილი იქნეს მომსახურების გარემო პირობების სამი ელემენტი:

1. ატმოსფერო (განათება, მუსიკა, პერსონალი და ა.შ.);
2. სივრცის გამოყენება (დიზაინი, დანადგარები, ავეჯი და ა.შ.);
3. სიმბოლიკა, ნიშნები, გამოსახულება (საფირმო ნიშანი, სლოგანი, სარეკლამო გამოსახულება, პოლიგრაფია და სხვ.). ეს ელემენტები ეფუძნება მომხმარებელთა მოლოდინს. (ქათამაძე & ქათამაძე, 2013, გვ. 174)

პროდუქტის ფასი უნდა შეესაბამებოდეს საცალო სავაჭრო საწარმოს მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ ბაზარზე პოზიციონირებას. საცალო სავაჭრო საწარმოების უმეტესობას აქვს მაღალი ფასები და გაყიდვების დაბალი მოცულობა ან დაბალი ფასები და გაყიდვების მაღალი მოცულობა.

მომხმარებელთა მოზიდვის და საცალო სავაჭრო საწარმოს იმიჯის შესაქმნელად საცალო ვაჭრობას შეუძლია სტიმულირების ბევრი ხერხის გამოყენება: რეკლამირება, გაყიდვების სტიმულირება, საზოგადოებრივი ურთიერთობები, პირდაპირი მარკეტინგი და სხვ. ამ მიმართულებით უდიდეს როლს ასრულებს ადგილმდებარეობის სწორად შერჩევა. ობიექტის ადგილმდებარეობაზე სწორი

გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია საწარმოს ფინანსურ შესაძლებლობებზე, საქონლის სახეზე, მიზნობრივი ბაზრის ხასიათზე, საცალო სავაჭრო საწარმოს მისადგომობასა და სხვა ფაქტორებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობის ფორმირებზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორი გახლავთ ადგილმდებარეობა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქ. გორში არსებული ორი წიგნის მაღაზია - „ბიბლუსი“ და „ლიბრა“. „ბიბლუსი“, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში (სტალინის გამზირი №9), ხოლო „ლიბრა“ შედარებით მიუდგომელ ადგილას (ვაჩნაძის 1). მაშასადამე, ადგილმდებარეობის მიხედვით „ბიბლუსს“ უფრო მომგებიანი პოზიცია უკავია, ვიდრე „ლიბრას“, რაც მის კონკურენტუნარიანობას ზრდის. თუმცა, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არც „ბიბლუსი“ მდებარეობს ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე. გორში ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ადგილმდებარეობად, სადაც ხალხის ნაკადი დიდია, შეიძლება მივიჩნიოთ ი. ჭავჭავაძის გამზირი. მიუხედავად ამისა, „ბიბლუსი“ ნამდვილად არ განიცდის მომხმარებელთა ნაკლებობას და სერიოზულ კონკურენციას უწევს „ლიბრას“. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის ძირითადია: 1). „ბიბლუსს“, რომელიც „პალიტრა“ ჰოლდინგის წევრია, წიგნების მაღაზიათა ყველაზე დიდი ქსელი აქვს საქართველოში და მეტი ფინანსური რესურსი გააჩნია, მეტ თანხასაც ხარჯავს რეკლამაზე, საკუთარი ბრენდის პოპულარიზაციაზე, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენ მიერ დასახელებულ მეორე ბრენდზე; 2). წიგნების ასორტიმენტი გაცილებით დიდია „ბიბლუსის“ ქსელში, ვიდრე „ლიბრაში“; 3). „ბიბლუსს“ ხშირად აქვს ფასდაკლებების აქციები, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში „ლიბრაში“ უფრო ნაკლებ ფასად შეიძლება წიგნის შეძენა მაშინ, როცა „ბიბლუსში“ არ არის წიგნი ფასდაკლებით. „ლიბრაში“ მოქმედებს ლოიალობის პროგრამა ერთგული მყიდველებისათვის და მათ წიგნის შეძენა 10-15%-იანი ფასდაკლებით შეუძლიათ. მაგალითად, მყიდველს „ბიბლუსში“ 15 ლარიანი წიგნის შეძენის შემთხვევაში ერიცხება 1 ლარი „ბიბლუსის“ დაგროვების ბარათზე (და არა ნაღდი ფული), ანუ უკან უბრუნდება 6,6%, მაშინ, როცა იმავე ღირებულების წიგნი „ლიბრაში“ ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ერთგულ მომხმარებელს 10-15%-იანი ფასდაკლებით, ანუ 12,75 ლარად შეუძლია, ანუ ნაღდი ფულის სახით უკან უბრუნდება 2,25 ლარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფასდაკლებების აქციების სიმრავლით „ბიბლუსს“ აქვს უპირატესობა. „ბიბლუსს“ ხშირად აქვს სეზონური ფასდაკლებები (ზაფხულის, საახალწლო და სხვ.), აგრეთვე შაბათ-კვირის ფასდაკლებების აქცია, კვირის შეთავაზება, როდესაც გარკვეული წიგნები მთელი კვირის განმავლობაში ფასდაკლებით იყიდება, აგრეთვე კვირის რჩეული, როდესაც ფეისბუქ მომხმარებლები ხმის მიცემით გამოავლენენ კვირის რჩეულ წიგნს და ეს წიგნი უკვე მომავალი კვირიდან გარკვეული ფასდაკლებით იყიდება ქსელში, ასევე უნდა აღინიშნოს კუპონებით ფასდაკლების აქცია, როდესაც მომხმარებელი გაზეთ „კვირის პალიტრის“ საშუალებით აგროვებს კუპონებს და შემდეგ „ბიბლუსში“ მათი წარდგენით იძენს წიგნს ფასდაკლებით. რაც შეეხება „ლიბრას“, მას, გარდა ზემოთ დასახელებული ფასდაკლების აქციისა, აქვს პარასკევი-შაბათის აქცია, როდესაც გარკვეული რაოდენობის (3-4) წიგნს ფასდაკლებით ყიდის, აგრეთვე აქვს თვის აქციები გარკვეულ წიგნებზე. მიგვაჩნია, რომ ადგილმდებარეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა წიგნების ყოფილი მაღაზიის „დილა“ ტერიტორია.

ვაჭრობის საწარმოების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის მომსახურების ხარისხი არის ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც თანამედროვე ბაზრის თავისებურებებისა და მომხმარებლებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში (მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, გლობალიზაცია, ბაზრის გაჯერება, სწრაფად ცვალებადი გარემო, ცვლილებები სავაჭრო ტექნოლოგიებში, მომხმარებელთა დემოგრაფიაში, ცხოვრების სტილსა და ყიდვის ტენდენციებში, მეგა საცალო მოვაჭრეების ზრდა, ონლაინ (ინტერნეტ) და მობილური მარკეტინგის განვითარების მზარდი ტენდენციები, მაღაზიის გარე საცალო ვაჭრობის ზრდა, მსხვილი საცალო მოვაჭრეების გლობალური ექსპანსია, ეკოლოგიურად სუფთა ვაჭრობის განვითარება და ა.შ.) განსაზღვრავს თანამედროვე საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობას და მომავალ წარმატებულ ფუნქციონირებას. მომსახურების ხარისხი განაპირობებს თანამედროვე მომხმარებლის ლოიალურობას და ბიზნესის წარმატებას.

საცალო სავაჭრო საწარმოში მომსახურებას მიეკუთვნება ყველაფერი: გაყიდვები, სასაწყობო მეურნეობა, მიწოდება, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, შეკვეთების დამუშავება, ადამიანური რესურსები, ურთიერთობა თანამშრომლებთან, დაყენება და მონტაჟი, კორესპონდენცია, ანგარიშების გამოქვეყნება, კრედიტით ვაჭრობა, ფინანსები, ბუღალტრული აღრიცხვა, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მონაცემთა დამუშავება და ა.შ. ამ მიმართულებით განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობის მთავარი ფუნქცია არსებული კლიენტების შენარჩუნება და პოტენციური მომხმარებლების მოზიდვაა, კლიენტებისათვის სასურველი მოთხოვნილების შექმნაა, რათა გააგრძელონ თანამშრომლობა საცალო სავაჭრო საწარმოსთან. მთლიანობაში თავისი საქმიანობით საცალო ვაჭრობა ემსახურება მწარმოებლებისა და მომხმარებლების ხანგრძლივ და ეფექტურ ურთიერთობებს.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში სავაჭრო საწარმოები წარმოდგენილი საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის პარალელურად მუდმივად უნდა ფიქრობდნენ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, გასაღების სტიმულირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე, ორიგინალური სახელწოდებების შერჩევაზე, შეფუთვის სრულყოფაზე, მომხმარებლებზე ზემოქმედების, მათი ლოიალურობისა და ნდობის მოპოვების ახალ მექანიზმებზე. მათ უნდა შექმნან ლოიალურ კლიენტთა ბაზა მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით.

საქართველო მომხმარებელთა მომსახურების ხარისხითა და კულტურით განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულ მომსახურების კულტურას ჩამორჩება. მომსახურების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემური საკითხებია: ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა, პერსონალის პროფესიონალიზმის დონე, მომსახურების ხარისხი და მასზე არსებული ფასები და სხვ.

ამრიგად, საცალო ვაჭრობაში მომსახურების ხარისხის, როგორც საცალო ვაჭრობის საწარმოს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორის, როლი და მნიშვნელობა დიდია. სავაჭ-რო მომსახურების ხარისხი კი დიდწილად დამოკიდებულია სავაჭრო პერსონალის კულტურის დონეზე, მათი პროფესიონალიზმის ხარისხზე, საცალო სავაჭრო საწარმოს პერსონალის მიერ მყიდველთა ფსიქოლოგიის ცოდნაზე. მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე მუშაობისადმი მიდგომა ორიენტირებული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, თავად მომხმარებლებზე, სამომხმარებლო ლოიალურობის ამაღლებაზე. საწარმოს ეფექტიანობა, მისი პოტენციალი, ბაზარზე საწარმოს ადგილი დღეისათვის მომსახურების დონეზეა დამოკიდებული.

ბიბლიოგრაფია:

ამყოლაძე, გ., ამყოლაძე, თ., გიორგიშვილი, ნ., & ლომსაძე-კუჭავა, მ. (2009). *კონკურენტუნარიანობა. ხარისხისა და პროექტის მენეჯმენტი.* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

არმსტრონგი, გ., & კოტლერი, ფ. (2006). *მარკეტინგი.* თბილისი: საქართველოს მარკეტინგის ასოციაცია.

თოდუა, ნ., & მღებრიშვილი, ბ. (2009). *მარკეტინგის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი.

ლომიძე, ე. (2015 წლის 04 მაისი). *რატომ გაძვირდა ღიმილი?* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.bpn.ge/article/4067-ratom-gazvirda-gimili

ქათამაძე, გ., & ქათამაძე, დ. (2013). *მომსახურების მარკეტინგი.* თბილისი: უნივერსალი.

ქარქუზაშვილი, ნ. (2012 წლის 10 აპრილი). *10 რჩევა მომსახურების ხარისხის განვითარებისთვის – რა არის და რა უნდა იყოს?!* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://strategy.ge/2012/04/10/10-advice-about-service-quality/

Дойль, П. (2001). *Маркетинг, Ориентированный на стоимость.* Санкт-Петербург: Питер.

Шоул, Д. (2008). *Первоклассный сервис как конкурентное преимущество.* Москва: Альпина Бизнес Букс.

Giorgi Kazishvili

Gori State Teaching University

SERVICE QUALITY OF AS A KEY FACTOR IN DETERMINING THE COMPETITIVENESS OF A RETAIL ENTERPRISE

RESUME

Quality of service - a modern retail industry's competitiveness and the future successful operation of determining one of the most important factors to be based on care, politeness, honesty, willingness to help, efficiency, availability, friendliness, knowledge, professionalism. At the present stage of the retail business in Georgia extensive development resources are there.

Customer service-oriented approach to improving the quality of the work must be, above all, to consumers, increasing customer loyalty. The efficiency of the enterprise, its potential in the market place today, the enterprise depends on the level of service.

Keywords: Service quality, Retail enterprise, Competitiveness, Marketing.

დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმო, ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, საერთაშორისო სტანდარტი.

აბსტრაქტი:
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საქართველოში რამდენიმე წელია მიმდინარეობს, თუმცა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოსი, აღნიშნული საკითხი დღემდე ღიად რჩება და გამართული, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მიდგომები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საქართველოში ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული საბოლოო შედეგის სახით.
ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გავაანალიზოთ, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური ანგარიშგებით დაინტერესებულ მომხმარებელთა ფართო წრეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ და არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა და უფლებამოსილება, რომ მათი ინტერესის სფეროში შემავალ საწარმოებს მოსთხოვონ შესაბამისი და სპეციფიკური ფინანსური ანგარიშების მომზადება, რაც მათ დაეხმარება კონკრეტული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.
გაანალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონცეფციები, ძირითადი პრინციპები და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომელთა მეშვეობითაც ხდება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მისაღებობა და სარგებლიანობა დაინტერესებული მომხმარებლებისათვის. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის ანგარიშვალდებულებას, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების მართვაზე, ასევე მისთვის მინდობილი ფინანსური, მატერიალური და საკადრო რესურსების ეფექტურ და უნარიან გამოყენებაზე.

შესავალი:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ბიზნესის ურთიერთობების საერთო გლობალურ ენას წარმოადგენს, რაც თითოეული კომპანიის ანგარიშგებას გასაგებსა და შესადარისს ხდის მსოფლიოს ნებისმიერი სხვა კომპანიის ანგარიშგებასთან.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით კერძო და საჯარო სექტორი ერთმანეთისაგან გაიმიჯნა და ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა გამოიწვია.

1995 წლიდან მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონის საფუძველზე საქართველოში მეწარმეობის მარეგულირებელი დოკუმენტი - საკანონმდებლო აქტი იყო კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტი, რომელიც წარმოადგენდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) გამარტივებულ ვერსიას.

2009 წლის 25 დეკემბერს საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილება მეწარმე სუბიექტების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნული ცვლილების შემდგომ, მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის განხორციელება საგადასახადო ორგანოს ნაცვლად დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2009 წელს ბასს-მა შეიმუშავა ფასს-ზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. 2016 წლის 24 ივნისს ცვლილება განხორციელდა კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ, ამ ცვლილების საფუძველი გახდა 2014 წლის 26 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება.

კანონის შესაბამისად განისაზღვრა სუბიექტის ზომითი კატეგორიები, რომლის ძირითადი მიზანი იყო ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მიმოხილვა:

ფასს-ს მიერ შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები,_რომლებიც მსს-ის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას მომხმარებლებისთვის სასარგებლოს ხდის:

აღქმადობა - ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს როგორც იმ სუბიექტებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა, ასევე მომხმარებლებისთვის. თუმცა, აღქმადობა არ შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად შესაფერისი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ძნელად გასაგები იყოს ზოგიერთი მომხმარებლისათვის.

შესაბამისობა - ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს. ინფორმაციას მაშინ გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ ეს გავლენას ახდენს მომხმარებელთა გარკვეულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

არსებითობა - თუ ინფორმაცია არსებითია, მაშასადამე, შესაბამისია და თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია არასწორად წარმოდგენილ ინფორმაციაზე, შეცდომის სიდიდესა და ხასიათზე, რისი განხილვაც უნდა ხდებოდეს შესაბამისი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

საიმედოობა - ინფორმაცია საიმედოა, თუ იგი არ შეიცავს არსებით შეცდომას, არ არის ტენდენციური და სამართლიანად წარმოაჩენს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს გონივრული მოლოდინის ფარგლებში. ფინანსური ანგარიშგება მიკერძოებული, ტენდენციური და არასაიმედოა, თუ ინფორმაცია იმგვარად არის წარდგენილი, რომ იგი გამიზნულად ახდენს გავლენას მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა - ფინანსური ანგარიშგების საიმედოობას ამაღლებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები და სხვა მოვლენები მათი შინაარსის საფუძველზე და არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად.

წინდახედულობა - განუსაზღვრელობები, რომლებიც თან ახლავს ბევრ მოვლენასა და სიტუაციას, ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს მათი ხასიათისა და სიდიდის შესაბამისად. წინდახედულობა გულისხმობს გარკვეული დონის სიფრთხილის გამოჩენას განუსაზღვრელობების პირობებში, რაც აუცილებელია სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად. წინდახედულობა არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვებია მიკერძოებულობა.

სისრულე - ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი, არსებითობის მოსაზრებებისა და ინფორმაციის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯების გათვალისწინებით. ინფორმაციის გამოტოვებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი საიმედოობისა და შესადარისობის ხარისხის დაქვეითება.

შესადარისობა - ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ საწარმოს სხვადასხვა წლების ფინანსური ანგარიშგებების შედარება, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების დასადგენად. გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით, მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ სხვადასხვა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მათი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შედარება და შეფასება. ამგვარად, მსგავსი ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისა და პირობების ფინანსური შედეგების შეფასება და ასახვა უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე მეთოდით მთელი საწარმოს მასშტაბით და კონკრეტულ საწარმოში - წლების მანძილზე, ასევე სხვა ანალოგიურ საწარმოებთან თავსებადი მეთოდებით. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ მომხმარებლები ინფორმირებულები იყვნენ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, მასში შეტანილი ცვლილებებისა და ამ ცვლილებებით გამოწვეული შედეგების შესახებაც.

დროულობა - იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია შესაბამისი იყოს, იგი გავლენას უნდა ახდენდეს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. დროულობა გულისხმობს იმას, რომ მომხმარებლებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადაწყვეტილებების მისაღებად შესაფერის ვადებში. თუ მიზანშეუწონლად დაყოვნდება ინფორმაციის მიწოდება, მან შეიძლება დაკარგოს შესაბამისობის თვისება. ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დროულად მიწოდებისა და ინფორმაციის საიმედოობის თვისებებს შორის

დაბალანსებულობის მიღწევა. ინფორმაციის შესაბამისობასა და საიმედოობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევა მომხმარებელთა უზრუნველყოფა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციით.

როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესის ხელის შეწყობაზე აქ აუცილებლად ძირითად და პირველ ფაქტორად უნდა ვიგულისხმოთ საკითხის განხილვა ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლისა და ადგილის თაობაზე. მცირე ბიზნესის, ისევე როგორც მთელი ბიზნესის ისტორია გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო წარმატებით ვერ იფუნქციონირებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეგულირების და მხარდაჭერის გარეშე. მცირე ბიზნესის განვითარება, როგორც საერთო და სახელმწიფო, ისე რეგიონულ დონეზე განსაკუთრებით მოითხოვს სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმებით რეგულირების გადაწყვეტას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და ა.შ. აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია. თუ ზოგიერთი მეცნიერი და ექსპერტი თვლის, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქტიურ საფინანსო პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკური წონასწორობა და გადალახოს მასობრივი უმუშევრობის პრობლემა, ზოგიერთი მეცნიერი და ექსპერტი კი თვლის, ეს მთლად ასეც არ არის. ბიზნესში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია მრავალი მიზეზითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, ესაა ისეთი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა, რომლებიც მოითხოვენ კოლექტიურ ძალისხმევას და შეუძლებელია მათი რეალიზება მხოლოდ საბაზრო მექანიზმის მეშვეობით.

ნამდვილად არ არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორია ზოგადად სახელმწიფოს ჩარევა, ცუდია და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას, ან პირიქით. მაგრამ აუცილებელია ითქვას, რომ ყველა ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო არეგულირებს ბიზნესს და საერთოდ ეკონომიკას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება შესაბამისი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება და ფორმირება.

საქართველოში დღესდღეობით ერთ–ერთ აქტუალურ საკითხად მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და გააქტიურება დგას. სწორედ სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ხასიათის განმსაზღვრელი არის მსს, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტიმულირების საქმეში. ბოლო ათეული წლების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფდა, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს არაეფექტური ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა წარმოადგენდა. არსებული სიტუაცია ეკონომიკურ საქმიანობას სერიოზულ ბარიერებს უქმნიდა. ვითარება თანდათან რთულდებოდა იმ გარემოებებითაც, რომ მის გასაუმჯობესებლად მასში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რაც კიდევ უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. ყოველივე ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად აუარესებდა საინვესტიციო გარემოს, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ინვესტორისათვის გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების შედეგად მისაღები ეფექტის გათვლას. აღნიშნული აგრეთვე ართულებდა უკვე მოქმედი ბიზნესის მართვას.

დღეს ბიზნესს სჭირდება დახმარება და მხარში ამოდგომა მთავრობის მხრიდან. ამ მიზნით შემუშავდა მსს სტანდარტები, რომელიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს სისტემის უკეთ ამუშავებას.

დასკვნა

ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტრანდარტები ბიზნესის ურთიერთობების საერთო გლობალურ ენას წარმოადგენს, რაც თითოეული კომპანიის ანგარიშგებას გასაგებსა და შესადარისს ხდის მსოფლიოს ნებისმიერი სხვა კომპანიის ანგარიშგებასთან. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია ფინანსური ანგარიშგებით დაინტერესებულ მომხმარებელთა ფართო წრეებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ და არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა და უფლებამოსილება, რომ მათი ინტერესის სფეროში შემავალ საწარმოებს მოსთხოვონ შესაბამისი და სპეციფიკური ფინანსური ანგარიშების მომზადება, რაც მათ დაეხმარება კონკრეტული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონცეპციები, ძირითადი პრინციპები და ხარისხობრივი მახასიათებლები გვიჩვენებს საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის ანგარიშვალდებულებას, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების მართვაზე, ასევე მისთვის მინდობილი ფინანსური, მატერიალური და საკადრო რესურსების ეფექტურ და უნარიან გამოყენებაზე.

საქართველოში უკვე ჩატარებულია დიდი სამუშაოები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ დღემდე ღიად რჩება და გამართული, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი პრინციპები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული საბოლოო შედეგის სახით.

ბიბლიოგრაფია:
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. ვებგვერდი: www.saras.gov..ge
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: www.economy.gov.ge
საქართველოს მთავრობა. ვებგვერდი: www.gov.ge
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი: www.matsne.gov.ge
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ვებგვერდი: www.mof.gov.ge
ჩიტაძე, ხ., & თენაძე, გ. (2017). *ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები; ფინანსური აღრიცხვა.* გორი: ფარნავაზი.
ხარაბაძე, ე. (2018). *ფინანსური აღრიცხვა.* თბილისი.

David Tchitotashvili, Khaliana Chitadze
Gori State Teaching University

SIGNIFICANT ISSUES AND PROBLEMS OF THE INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARD FOR SMALL AND MEDIUM ENTERPRISES

RESUME

International Financial Reporting Standards for investors and other stakeholders is a common global language of business relations, making each company's reporting comprehensible and comparable to any other companies in the world. Information on the financial condition of small and medium-sized enterprises and their activities is important for a wide range of consumers interested in financial reporting, who cannot and do not have the ability and authority to require relevant enterprises to prepare corresponding and specific financial statements to help them make specific economic decisions. Concepts, basic principles and qualitative characteristics of financial reporting of small and medium enterprises show the accountability of the top management of the enterprise, both for the management of small and medium enterprises, as well as for the efficient and effective use of financial, material and human resources entrusted to it.

Much work has already been done in Georgia on these issues, but the basic principles of financial reporting for international and small enterprises, harmonized with international standards, remain open and have not yet been established as a final result.

Keywords: Financial reporting, Small and medium enterprise, Qualitative characteristics of reporting, International standard.

თეა ხორგუაშვილი, ნათია ჟოჟუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ნათია ხორგუაშვილი
ევროპის უნივერსიტეტი

მონეტარული თარგეთირების თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: თარგეთირება, მონეტარული თარგეთირება, ინფლაციის თარგეთირება, მონეტარული აგრეგატი.

მრავალ ქვეყანაში სავალუტო კურსის თარგეთირება შეზღუდულია, რადგან ქვეყანა (ან ქვეყანათა ბლოკი) საკმაოდ დიდია, ან არ არსებობს ქვეყანა, რომლის ვალუტაც იქნებოდა საუკეთესო არჩევანი ყოფილიყო ნომინალური ღუზა. სავალუტო კურსის თარგეთირება უეჭველად არ არის განკუთვნილი აშშ-სთვის, იაპონიისთვის ან ევროპული სავალუტო კავშირისთვის. ეს ქვეყნები უნდა განიხილავდნენ სხვა სტრატეგიებს მონეტარული პოლიტიკის სამართავად, ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა მონეტარული თარგეთირება.

1970-იან წლებში მონეტარული თარგეთირება მიღებულ იქნა შემდეგი ქვეყნების მიერ: გერმანია, შვეიცარია, კანადა, გაერთიანებული სამეფო, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები. მოცემული სტრატეგია გულისხმობს მონეტარული (ფულადი) აგრეგატების გამოყენებით საბოლოო მიზნის - ფასების სტაბილურობის მიღწევას.

კანადა და დიდი ბრიტანეთი. ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, 1970-იან წლებში კანადის ბანკმაც ინფლაციასთან საბრძოლველად წამოიწყო მონეტარული თარგეთირება სახელწოდებით „მონეტარული გრადუალიზმი". ამ პოლიტიკის პირობებში, რომელიც 1975 წელს დაიწყო, M1-ის ზრდა უნდა გაკონტროლებულიყო და ასევე ამავდროულად უნდა დაწეულიყო მიზნობრივი მნიშვნელობები. ბრიტანეთში მონეტარული თარგეთირება შემოღებულ იქნა 1973 წლის ბოლოსთვის, ასევე ინფლაციური ტემპების მოსალოდნელი ზრდის აღსაკვეთად. ბრიტანეთის ბანკმა კანადის ბანკისა და აშშ-ს ბანკისგან განსხვავებით, M3-ის უფრო ფართო მონეტარული აგრეგატის თარგეთირება განახორციელა.

გაერთიანებულ სამეფოში მას შემდეგ, რაც მონეტარულმა აგრეგატებმა გადააჭარბეს თავიანთ მიზნებს და ინფლაციამაც 1970-იანი წლების ბოლოს მატება დაიწყო, 1980 წელს პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა შემოიღო საშუალო-ვადიანი ფინანსური სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა M3-ის ზრდის თანდათანობით შენელებას. სამწუხაროდ, M3-ის თარგეთირებამ ისეთივე პრობლემები წარმოშვა, როგორიც M1-ის თარგეთირებამ აშშ-ში: ისინი არ იყვნენ მონეტარული პოლიტიკის სიმჭიდროვის საიმედო ინდიკატორები. 1983 წლის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ბანკი მიხვდა, რომ M3-ის თარგეთირება ნელ-ნელა კარგავდა მნიშვნელობას, ხოლო 1987 წელს კი საბოლოოდ გაუქმდა იგი.

მონეტარული თარგეთირების თავისებურება კანადაში და განსაკუთრებით გაერთიანებულ სამეფოში იყო ორიენტირების ხშირი ცვლა: ამ ქვეყნების ცენტრალური ბანკები ახდენდნენ მრავალი აგრეგატის თარგეთირებას, უშვებდნენ ბაზის არასტაბილურობას (მიზნობრივი მაჩვენებლის ზრდის ტემპი გამოიყენებოდა ახალი ბაზისთვის, ამასთან მიზნობრივი მაჩვენებელი იცვლებოდა ყოველი შემდეგი პერიოდისთვის), რეგულარულად არ აცხადებდნენ ინფორმაციას მიზნობრივი მნიშვნელობების (target) შეცვლის შესახებ, იყენებდნენ ხელოვნურ საშუალებებს მიზნობრივი აგრეგატების ზრდის შესანელებლად, ასევე ხშირად მალავდნენ მიზეზებს თუ რატომ იყო გადაცდომა მიზნობრივი მაჩვენებლებიდან.

გერმანია და შვეიცარია. გერმანია და შვეიცარია ის ორი სახელმწიფოა, რომელიც ოფიციალურად მიმართავდა მონეტარულ თარგეთირებას თითქმის 20 წლის განმავლობაში, დაწყებული 1974 წლიდან. ამ ქვეყნებს მონეტარული პოლიტიკის წარმატებამ, ინფლაციის კონტროლის საშუალება მისცა. ამის გამო, მონეტარულ თარგეთირებას ჯერ კიდევ ბევრი მომხრე ჰყავს და იგი ევროპის ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ოფიციალური რეჟიმია.

სავალუტო აგრეგატი, რომელიც გერმანელებმა აირჩიეს, ცენტრალური ბანკის ფულად იწოდებოდა. იგი მოიცავდა მიმოქცევაში არსებულ ფულსა და საბანკო დეპოზიტებს. 1988 წელს ბუნდესბანკმა შეცვალა თარგეთირება ცენტრალური ბანკის ფულიდან M3-კენ. შვეიცარიამ დაიწყო M1 სავალუტო აგრეგატის თარგეთირება, მაგრამ 1980 წელს შეცვალა უფრო ვიწრო სავალუტო აგრეგატით – M0-ით.

ძირითადი ფაქტი მონეტარული თარგეთირების რეჟიმის შესახებ გერმანიასა და შვეიცარიაში ისაა, რომ იგი ძალიან შორს იყო ფრიდმანის მონეტარული თარგეთირების წესისაგან, რომელიც უპირატესად ფოკუსირებულია მონეტარულ პოლიტიკაზე. როდესაც 1974 წელს ბუნდესბანკმა პირველად დაიწყო მონეტარული თარგეთირება, მან განაცხადა საშუალოვადიანი მიზნობრივი ინფლაციის დონის შესახებ, რომელიც 4%-ს უტოლდებოდა. მან განმარტა, რომ საშუალოვადიანი ინფლაციის მაჩვენებელი განსხვავებული იქნებოდა მისი გრძელვადიანი მაჩვენებლისაგან. მომდევნო 10 წლის განმავლობაში გერმანია ფასების სტაბილურობით ხასიათდებოდა. 1984 წელს ტერმინი „საშუალოვადიანი მიზნობრივი ინფლაცია შეიცვალა ტერმინით „ფასების ზრდის ნორმატიული დონე" და დადგინდა 2%-ზე. 1997 წლამდე იგი 1.5-2%-ის ფარგლებში მერყეობდა.

მონეტარული თარგეთირების უპირატესობები. მონეტარული თარგეთირების მთავარი უპირატესობა გაცვლითი კურსის თარგეთირებასთან შედარებით არის ის, რომ ის საშუალებას აძლევს ცენტრალურ ბანკს მოაწესრიგოს (დაარეგულიროს) მონეტარული პოლიტიკა ისე, რომ ებრძოლოს შიდა მოსაზრებებს. ის საშუალებას აძლევს ცენტრალურ ბანკს შეარჩიოს მიზნობრივი დონეები ინფლაციისთვის, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა ქვეყნებისგან.

ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით ცენტრალურმა ბანკმა მიაღწია თუ არა მის მიზნობრივ მაჩვენებელს, ცნობილია, როგორც დაუყონებლივ-ფულადი აგრეგატების მაჩვენებლები. როგორც წესი, იგი წარმოდგენილია რამდენიმე კვირაში. ამგვარად, მონეტარულ თარგეთირებას თითქმის დაუყონებლივ შეუძლია ანიშნოს (სიგნალი მისცეს) საზოგადოებასა და ბაზრებს მონეტარული პოლიტიკის პოზიციისა და პოლიტიკოსთა განზრახვის შესახებ შეაკავონ ინფლაცია. თავის მხრივ, ამგვარი შეტყობინებები აფიქსირებს ინფლაციის მოლოდინს და შედეგია უფრო ნაკლები ინფლაცია.

მონეტარული თარგეთირების ნაკლოვანებები. ყველა ზემოთ აღნიშნული უპირატესობა მონატარული აგრეგატის თარგეთირებისა დამოკიდებულია „დიდ *თუ*-ზე“: მიზნობრივ ცვლადებსა (ინფლაცია თუ ნომინალური შემოსავალი) და თარგეთირებულ აგრეგატს შორის უნდა იყოს ძლიერი და სანდო კორელაცია. თუ ურთიერთობა მონეტარულ აგრეგატსა და მიზნობრივ ცვლადს შორის არის სუსტი, მონეტარული აგრეგატის თარგეთირება არ იმუშავებს. ეს, როგორც ჩანს, უკვე სერიოზული პრობლემაა კანადაში, დიდ ბრიტანეთსა და შვეიცარიაში, ისევე როგორც აშშ-ში. ამგვარი სუსტი ურთიერთობა ნიშნავს (გულისხმობს), რომ თარგეთირება არ მოგვცემს სასურველ შედეგს მიზნობრივ ცვლადებზე და ამდენად, მონეტარული აგრეგატი აღარ უზრუნველყოფს ადეკვატურ მინიშნებას მონეტარული პოლიტიკის პოზიციის შესახებ. შედეგად, მონეტარული თარგეთირება ვეღარ დააფიქსირებს ინფლაციის მოლოდინს და აღარ იქნება „კარგი გიდი“ ცენტრალური ბანკის ანგარიშვალდებულების შეფასებისთვის. გარდა ამისა, არასაიმედო ურთიერთობა მონეტარულ აგრეგატებსა და მიზნობრივ ცვლადებს შორის, მონეტარული თარგეთირებისათვის რთულს ხდის იმუშაოს, როგორც საკომუნიკაციო მოწყობილობამ (მექანიზმი), რომელიც ზრდის მონეტარული პოლიტიკის გამჭვირვალობას და ცენტრალურ ბანკს ხდის პასუხისმგებელს საზოგადოების წინაშე.

თუ გავითვალისწინებთ ურთიერთობას ფულადი აგრეგატებსა და მიზნის ცვლილებებს შორის, როგორიცაა ინფლაცია, ბევრ ქვეყანას სურს, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი ფულადი პოლიტიკა, ჰქონდეს მათი მონეტარული პოლიტიკის რეჟიმთან ადაპტირებული ინფლაციის თარგეთირების სისტემა.

ახალი ზელანდია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ფორმალურად მიიღო ინფლაციის თარგეთირება 1990 წელს, შემდეგ კანადამ, ავსტრალიამ და ესპანეთმა 1994 წელს. ისრაელს, ჩილეს და ბრაზილიას, სხვა დანარჩენებთან ერთად, აქვს ასევე მიღებული ინფლაციის თარგეთირება.

ინფლაციის თარგეთირება მოიცავს რამდენიმე ელემენტს: (1) საჯარო განცხადებებს, როგორც საშუალოვადიან სამიზნეს ინფლაციის წინააღმდეგ; (2) ინსტიტუციურ ვალდებულებას, პირველ რიგში, ფასების სტაბილურობისათვის, მონეტარული პოლიტიკის გრძელვადიან მიზნებს და ვალდებულებებს ინფლაციის მიზნის მისაღწევად; (3) საინფორმაციო ყოვლისმომცველ სტრატეგიას, რომელშიც მრავალი ცვლადი და არა მხოლოდ ფულადი აგრეგატები გამოყენება, მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას; (4) მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის მეშვეობით გაიზარდა გამჭვირვალობა, ურთიერთობა საზოგადოებასთან და ბაზრებთან, მონეტარული პოლიტიკის შემქმნელების გეგმებისა და ამოცანების საშუალებით და (5) გაიზარდა ანგარიშვალდებულება ცენტრალური ბანკის მიმართ, ინფლაციის მიზნების მისაღწევად.

ახალი ზელანდია. ხელისუფლების მთავარი რეფორმის ნაწილი ეკონომიკაში, იყო ის რომ, ახალი ზელანდიის პარლამენტმა მიიღო ახალი „Reserve Bank of New Zealand“ აქტი 1989 წელს, რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის 1 თებერვალს. გარდა ამისა, გაიზარდა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა, მან გადაინაცვლა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამოკიდებელი ცენტრალური ბანკიდან, ერთ-ერთ ყველაზე დამოუკიდებელთა შორის განვითარებულ ქვეყნებში, აქტი ასევე მხარს უჭერდა სარეზერვო ბანკს, რათა მიეღწია ფასების სტაბილურობისათვის. აქტი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ფინანსთა მინისტრსა და სარეზერვო ბანკის პრეზიდენტს უნდა მოელაპარაკათ და ამ მოლაპარაკების შედეგად მიეღოთ შეთანხმება სამიზნეების პოლიტიკაზე (Policy Targets Agreement), აქტი განსაზღვრავს მიზნებს, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის შესრულებით შეფასდება და მიუთითებს ვადებზე, როცა ისინი უნდა იქნას მიღწეული. არაჩვეულებრივი პუნქტი ახალი ზელანდიის კანონმდებლობისა ის არის, რომ სარეზერვო ბანკის პრეზიდენტი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია, მონეტარული პოლიტიკის წარმატების საკითხში. იმ შემთხვევაში, თუ ის მიზნები, რაც „Policy Targets Agreement“-შია მითითებული, არ დაკმაყოფილდა, პრეზიდენტი ექვემდებარება გადაყენებას.

კანადა. 1991 წლის 26 თებერვალს, ერთობლივი განცხადების საფუძველზე, კანადის ფინანსთა მინისტრმა და კანადის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, შეიმუშავეს ინფლაციის თარგეთირების სტრატეგია. სამიზნე დიაპაზონი იყო 2-4% 1992 წლის ბოლოსთვის, 1.5-3.5% 1994 წლის ივნისისთვის და 1-3% 1996 წლის დეკემბრისთვის. მას შემდეგ, რაც ახალმა მთავრობამ გადაიბარა ხელისუფლება 1993 წელს, სამიზნე დიაპაზონი 1995 წლის დეკემბრიდან 1998 წლის დეკემბრამდე შენარჩუნდა 1-3% დონეზე. კანადის ინფლაციის დონე, ასევე დაეცა მკვეთრად, მას შემდეგ რაც მიღეს, ინფლაციის თარგეთირების სტრატეგია, 1991 წლიდან 1995 წლამდე 5%-დან 0%-მდე, 1- 2% დიაპაზონში იყო 1990-იანი წლების ბოლოს. ისევე როგორც ახალ ზელანდიაში, ინფლაციის ეს შემცირება არ მიღწეულა უარყოფითი მხარეების გარეშე: უმუშევრობა გაიზარდა, რომელიც აღემატება 10% 1991 წლიდან 1994 წლამდე, მაგრამ თანდათანობით ის არსებითად შემცირდა.

გაერთიანებული სამეფო. დიდი ბრიტანეთის ცენტრალურ ბანკს (Bank of England) არ ჰქონდა ნორმატიული ძალაუფლება მონეტარულ პოლიტიკაზე 1997 წლამდე, მას მხოლოდ შეეძლო რეკომენდაციების შემუშავება მონეტარული პოლიტიკისათვის. ამგვარად, ხაზინის კანცლერმა

(ეკვივალენტი ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის მდივნისა), განაცხადა ინფლაციის თარგეთირების შესახებ 1992 წლის 8 ოქტომბერს. სამი კვირის შემდეგ, მან „მოიწვია“ ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, რათა დაეწყოთ ინფლაციის ანგარიშის და კვარტალური ანგარიშის მომზადება სამიზნე ნიშნულის დადგენისათვის - ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმაც მოწვევა მიიღო. ინფლაციის თარგეთირების დიაპაზონი დადგინდა 1-4%-ზე, სანამ მომდევნო არჩევნების შემდეგ, 1997 წლის გაზაფხულის ბოლოს, ინფლაციის დონის განახევრების მიზნით, დიაპაზონი არ შემცირდა (2,5% დაბალი). 1997 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც ახალი შრომის პარტია მოვიდა სათავეში, მან მიიღო ინფლაციის თარგეთირების დონე 2.5%-ზე და მისცა ცენტრალურ ბანკს უფლება, საპროცენტო განაკვეთების დაწესებისა და უფრო დამოუკიდებელი როლი ფულადი პოლიტიკაში.

ინფლაციის თარგეთირების მიღებამდე, ინფლაცია უკვე ეცემოდა დიდი ბრიტანეთში, 9%-იანი პიკიდან 1991 წლის დასაწყისში, 4%-მდე. გარდა იმ მცირე მომენტისა, როცა ინფლაცია მიმართულია ზევით 1993 წლის დასაწყისში, თანდათანობით ინფლაციის დონე შემცირებას განაგრძობს, სანამ 1994 წლის მესამე კვარტალში, 2.2%-ს არ მიაღწევს, რომელიც ხაზინის კანცლერის მიზანს შეესაბამებოდა. ამის შემდეგ ინფლაციის დონე გაიზარდა, ის ავიდა 2.5% დონეზე ოდნავ ზემოთ 1996 წელს, მაგრამ მას შემდეგ დარჩა 2.5%-ის დონეზე. იმავდროულად, ზრდის დონე დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში უკვე ძლიერია, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა უმუშევრობის დონე.

ინფლაციური თარგეთირების უპირატესობები

სავალუტო და მონეტარულ თარგეთირებასთან შედარებით, ინფლაციურ თარგეთირებას, როგორც მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიას, აქვს რიგი უპირატესობები. სავალუტო კურსის თარგეთირებისგან განსხვავებით, ინფლაციური თარგეთირება საშუალებას გვაძლევს მონეტარული პოლიტიკის ფოკუსირება მოვახდინოთ შიდა პრობლემების მოგვარებაზე და ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ვიმოქმედოთ. ინფლაციური თარგეთირების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სტაბილურობას ფულად მასასა და ინფლაციას შორის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმატების მისაღწევად, ვინაიდან ინფლაციური თარგეთირება არ ემყარება ასეთ კავშირს. ინფლაციური თარგეთირება საშუალებას აძლევს მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, გამოიყენონ არა ერთი ცვალებადი, არამედ მთელი არსებული ინფორმაცია, რათა უკეთ განსაზღვრონ მონეტარული პოლიტიკის ორიენტირები.

ინფლაციურ თარგეთირებას აქვს ისეთივე გადამწყვეტი უპირატესობა, როგორც სავალუტოს, იგი არის მთლიანად გასაგები და გამჭვირვალე მასებისთვის. მონეტარული თარგეთირება კი ინფლაციურ თარგეთირებასთან შედარებით ძნელად გასაგებია და თუ დამოკიდებულება ფულად მასასა და ინფლაციას შორის არაპროგნოზირებადია (მრავალი ქვეყნის გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ ხშირად ასე ხდება) მონეტარული თარგეთირება გამჭვირვალობას კარგავს, ვინაიდან აღარ შეუძლია მონეტარული პოლიტიკის ზუსტი მდგომარეობის ასახვა.

ინფლაციური თარგეთირების რეჟიმი მიისწრაფვის გახადოს პოლიტიკა გამჭვირვალე და უზრუნველყოს საზოგადოებასთან კავშირი. ინფლაციურ თარგეთირებაში ჩართული ცენტრალური ბანკები მჭიდრო კავშირში არიან მთავრობასთან, ამასთან ზოგიერთ მათგანს ამას კანონი ავალდებულებს, ხოლო ზოგს კი არაფორმალური მოთხოვნები.

ინფლაციური თარგეთირების კიდევ ერთი ძირითადი მახასიათებელია ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობის ზრდის ტენდენცია. და მართლაც, გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კავშირი აძლიერებს ცენტრალური ბანკის ანგარიშგებას. ამის ნათელი მაგალითი არის ახალი ზელანდია, სადაც მთავრობას შეუძლია გადააყენოს თანამდებობიდან სარეზერვო ბანკის მმართველი, თუ ერთ-ერთ კვარტალში მაინც დაირღვევა ინფლაციის თარგეთირების დიაპაზონი.

შეგვიძლია მოვიყვანოთ ნათელი მაგალითი ინფლაციური თარგეთირებისას გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უპირატესობის სადემონსტრაციოდ. პირველი მაგალითი დაფიქსირდა 1996 წელს კანადაში, სადაც კანადის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტმა გააკრიტიკა კანადის ცენტრალური ბანკი მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებისთვის. მისმა ამგვარმა გამოსვლამ გამოიწვია საზოგადო რეზონანსი. ქვეყნებში, სადაც არ იყენებენ ინფლაციურ თარგეთირებას, პოლიტიკურ დებატებს მივყავართ მონეტარული პოლიტიკის მყისიერი შერბილების ხშირ მოთხოვნამდე, რომელიც არ ითვალისწინებს გრძელვადიან შედეგებს. თუმცა, კანადაში ინფლაციური თარგეთირების არსებობამ ეს დისკურსები თარგეთირებისთვის მისაღებ ჩარჩოებში მოაქცია. ამასთან როგორც ცენტრალურს ბანკს, ასევე კრიტიკოსებს შეეძლოთ თვალნათლივ შეეფასებინათ ინფლაციის სხვადასხვა დონეების უპირატესობები და ნაკლოვანებები. ასეთმა რაციონალურმა მოქმედებებმა კანადის ცენტრალური ბანკის მხარდაჭერა გააძლიერა, რის შემდეგაც მის მიმართ კრიტიკა და მის მიერ განხორციელებული მონეტარული

პოლიტიკა არ იყო 1997 წლის არჩევნების დროს ძირითადი განსახილველი საკითხი, განსხვავებით 1993 წლის არჩევნებისგან.

ინფლაციურმა თარგეთირებამ შეარბილა ინფლაციური შოკების ზეგავლენა. მაგალითად, 1991 წლის თებერვალში, ინფლაციური თარგეთირების შემოღების შემდგომ კანადის ბანკი საქონელსა და მომსახურებაზე ახალი საგადასახადო ტარიფების შემოღების აუცილებლობის წინაშე დადგა, რასაც შეეძლო ინფლაციური შოკი გამოეწვია. ამის მაგივრად მივიღეთ მხოლოდ ფასების ერთჯერადი ზრდა ანუ არ მოხდა ფასებისა და ხელფასები ორმაგი ან სამმაგი ზრდა, რაც მიგვიყვანდა ინფლაციის დონის მკვეთრ გაზრდამდე.

ინფლაციური თარგეთირების უარყოფითი მხარეები

ინფლაციური თარგეთირების კრიტიკოსები ამ მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის ოთხ ძირითად ნაკლოვანებაზე საუბრობენ: შეტყობინების (სიგნალის) შეფერხება, გადაჭარბებული სიხისტე, წარმოების მერყეობის გაზრდა და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაქვეითება.

სიგნალის შეფერხება – სახელმწიფო ორგანოებისთვის რთულია აკონტროლონ ინფლაცია (განსხვავებით სავალუტო კურსისა და მონეტარული აგრეგატებისგან). მეტიც, მონეტარული პოლიტიკის ინფლაციური შედეგები ამოტივტივდება მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდგომ (long lags). ასე რომ, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში, მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გვიან მიდის საზოგადოებამდე და ბაზრამდე.

გადაჭარბებული სიხისტე – ზოგიერთი ეკონომისტი აკრიტიკებს ინფლაციურ თარგეთირებას, თვლის რა, რომ იგი უყენებს მკაცრ წესებს პოლიტიკოსებს და ზღუდავს მათ შესაძლებლობას, რეაგირება მოახდინონ გაუთვალისწინებელ გარემოებებზე. მაგალითად, ქვეყნების პოლიტიკა, რომლებმაც მიიღეს მონეტარული თარგეთირება, არ ითვალისწინებდა მონეტარულ აგრეგატებსა და სამიზნე ცვლადებს შორის კავშირის დარღვევას, როგორიცაა ნომინალური ხარჯები და ინფლაცია. მონეტარული თარგეთირების მკაცრი წესების დარღვევას შეიძლება მოყვეს ცუდი შედეგები. თუმცა, წესებისა და მოქნილობის ტრადიციულ განსხვავებასაც ზოგჯერ შეცდომამდე მივყავართ. არსებობს მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია, მსგავსი „წესებით მოქმედებებისა“ (rule-like), რომლებიც მოითხოვენ პოლიტიკოსებისაგან გონივრული ნაბიჯების გადადგმას, ვინაიდან მათ მოქმედებებს შეუძლიათ არასასურველი შედეგების მოტანა გრძელვადიან პერიოდში. ასეთი სტრატეგია საშუალებას გვაძლევს ავიცილოთ დროებითი სტაბილურობის პრობლემები და მას შეგვიძლია ვუწოდოთ „მოქნილობის შეზღუდვა“.

ფაქტია, რომ ინფლაციური თარგეთირება შეიძლება შეფასდეს სწორედ ასე. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ინფლაციური თარგეთირება შორს არის სიხისტისგან. პირველი, იგი არ ითვალისწინებს მარტივ მექანიკურ ინსტრუქციებს, რაზეც ცენტრალურმა ბანკმა უნდა გაატაროს მონეტარული პოლიტიკა. პირიქით, ის მოითხოვს ცენტრალური ბანკისგან, გამოიყენოს ყველა შესაძლო ინფორმაცია, თუ როგორი მოქმედებებია საჭირო ინფლაციური თარგეთირების მისაღწევად. მონეტარული პოლიტიკის მარტივი წესებისგან განსხვავებით, ინფლაციური თარგეთირება არ საჭიროებს ცენტრალური ბანკისგან ერთ ცვლადზე ფოკუსირების გაკეთებას. მეორე, ინფლაციური თარგეთირება პრაქტიკაში ვარაუდობს მონეტარული პოლიტიკის მოქნილობის დიდ ხარისხს. როგორც ვხედავთ, ინფლაციური თარგეთირება ცვლილებას განიცდის ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ინფლაციური თარგეთირების პირობებში, ცენტრალური ბანკი იტოვებს უფლებას რეაგირება მოახდინოს პროდუქტიულობის ცვლილებაზე რამდენიმე ინსტრუმენტის გამოყენებით.

წარმოების მოცულობის მერყეობის გაძლიერების საშიშროება – ინფლაციური თარგეთირების მიმართ ძირითადი კრიტიკული შენიშვნა იყო ის, რომ იგი კონცენტრირებული იყო მხოლოდ ინფლაციაზე და ამას შეეძლო მივეყვანეთ მკაცრ მონეტარულ პოლიტიკამდე, როცა ინფლაცია შორდებოდა თარგეთირების ჩარჩოებს, რაც, თავის მხრივ, წარმოების მნიშვნელოვან მერყეობას იწვევს. თუმცაღა, ინფლაციური თარგეთირება არ ითხოვს მხოლოდ ინფლაციაზე კონცენტრირებას. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი რეჟიმი ითვალისწინებს ყურადღების გამახვილებას წარმოების მოცულობის მერყეობაზე.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სხვა მოქნილობის (flexibility) ელემენტი არის ის, რომ ინფლაციის თარგეთიდან გადახრები რუტინულად დაშვებულია მიწოდების შოკის საპასუხოდ. შეზღუდვებს ენერგიის მიწოდებაში ან ნედლეულის მასალებში შეიძლება ჰქონდეთ ნაწარმოებ პროდუქტებზე დიდი უარყოფითი შედეგი. პირველი, ფასების დონე, საიდანაც ოფიციალური ინფლაციის თარგეთი დგება, ხშირად განისაზღვრება მიწოდების შოკის გამორიცხვით ან შერბილებით; მაგალითად, ოფიციალურად თარგეთირებულმა ფასების დონემ შეიძლება გამორიცხოს (უგულებელყოს) საკვებისა და

ენერგიის ფასების რაიმე კომბინაცია. მეორე, მიწოდების შოკის შემდეგ (ან მისი წინასწარ მოლოდინის დროს), ცენტრალური ბანკი პირველ რიგში თავის პოლიტიკისგან გადაუხვევს ისე, როგორც ამას სიტუაცია მოითხოვს და შემდეგ აუხსნის საზოგადოებას მათი ქმედებების მიზეზებს.

დაბალი ეკონომიკური ზრდა – სხვა ინფლაციის თარგეთირების ჩვეული კავშირი არის დაბალი/შენელებული ზრდა წარმოებასა და დასაქმებაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის შემცირება ასოცირებულია ნორმალურზე დაბალ წარმოებასთან დეზინფლაციის ფაზის დროს, მაშინვე როგორც კი ინფლაციამ დაბალ დონეს მიაღწია, წარმოების და დასაქმების კოეფიციენტებმა სულ ცოტა იმავე ნიშნულს მიაღწიეს, როგორიც ისინი იყო ადრე. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა, რომ დაბალი ინფლაციის დონეს მივყავართ იქამდე, რომ ინფლაციის თარგეთირება არაა საზიანო რეალური ეკონომიკისთვის.

არსებულმა დამოკიდებულებამ იმის შესახებ, რომ მხოლოდ ინფლაციაზე ფოკუსირებას მოაქვს წარმოებაში მერყეობები, ეკონომისტები დააფიქრა და შემოგვთავაზეს ინფლაციის თარგეთირების ვარიაცია (სახესხვაობა), სადაც ცენტრალური ბანკები განიხილავენ ნომინალური მშპ-ს თარგეთირებას (რეალური მშპ X ფასების დონე). ინფლაციასთან შედარებით, ნომინალური მშპ-ს ზრდას აქვს უპირატესობა იმისა, რომ ის წონას ანიჭებს როგორც წარმოებას, ისე ფასებს პოლიტიკის შემუშავების დროს. ნომინალური მშპ-ს თარგეთირებისას, რეალური წარმოების შემცირება ავტომატურად იგულისხმებს ცენტრალური ბანკის ინფლაციის თარგეთზე. ამ ზრდას სტაბილურობის ტენდენცია აქვს, რადგან ის ავტომატურად „შეარბილებს“ მონეტარულ პოლიტიკას.

ნომინალური მშპ-ს თარგეთირება არის ინფლაციის თარგეთირების მსგავსი და მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს უპირატესობები, როგორც აღვნიშნეთ, მას აგრეთვე აქვს ნაკლოვანებებიც. პირველი, ნომინალური მშპ-ს თარგეთირება აიძულებს ცენტრალურ ბანკს ან მთავრობას, რომ გამოაცხადონ პოტენციური მშპ-ს ზრდის დონე. ასეთი განაცხადი არის პრობლემატური იმის გამო, რომ პოტენციური მშპ-ს ზრდა შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს და შეიძლება შეიცვალოს კიდევაც დროთა განმავლობაში. მეორე, ინფორმაცია ფასებზე არის ყოველთვის დროული და ხშირად გამოცემადი, ვიდრე ნომინალური მშპ-ს მონაცემები. მესამე, ინფლაციის ცვლილების ფასებზე ასახვა არის უფრო ადვილად გასაგები ხალხისთვის, ვიდრე ნომინალური მშპ-ს ცნება, რომელიც შეიძლება ადვილად აირიოს რეალურ მშპ-ში. ასე რომ, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და გამჭვირვალობისთვის უკეთესია ინფლაციის თარგეთირების გამოყენება, ვიდრე ნომინალური მშპს ზრდის თარგეთირება. ბევრი ცენტრალური ბანკი მიმართავს ინფლაციის თარგეთირებას, ხოლო ნომინალური მშპ-ს თარგეთირებას - არცერთი.

და ბოლოს, ინფლაციის თარგეთირება, როგორც პრაქტიკაში ვნახეთ, მოკლევადიან პერიოდში პოლიტიკის შემუშავების დროს იძლევა მოქნილობის საშუალებას და ნომინალური მშპ-ს თარგეთირების ელემენტები ადვილად შეიძლება ჩაერთოს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში. ასე რომ, საეჭვოა, რომ ნომინალური მშპ-ს თარგეთირება იქნება უფრო ეფექტური, ვიდრე ინფლაციის თარგეთირება მოკლევადიანი სტაბილურობის მიღწევაში.

Tea Khorguashvili, Natia Zhozhuashvili
Gori State Teaching University
Natia Khorguashvili
European University

PECULIARITIES OF MONETARY TARGETING

RESUME

In many countries, exchange rate targeting is limited because the country (or bloc of countries) is quite large, or there is no country whose currency would be the best choice to be a nominal guise. Exchange rate targeting is certainly not for the USA, Japan or the European Monetary Union. These countries should consider other strategies to control monetary policy, one such strategy is monetary targeting. Targeting regime aspires to make policy transparent and ensure public access. Central banks involved in inflation targeting are closely linked to the government, with some required by law and some with informal requirements. Inflation targeting, as we have seen in practice, allows for flexibility in policy development in the short term, and elements of nominal GDP targeting can easily be incorporated into inflation targeting mode. So it is unlikely that nominal GDP targeting will be more effective than inflation targeting in achieving short term stability.

Keywords: Targeting, Monetary targeting, Inflation targeting, Monetary aggregate.

თინა ჯოლბორდი
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შრომის ბაზრის და განათლების გამოწვევები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, შრომის ბაზარი, კარიერის დაგეგმვა, უწყვეტი განათლება, განათლების გამოწვევები.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, რაც გავლენას ახდენს ყველა სფეროზე. მათ შორის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია შრომის ბაზრის მდგომარეობა და შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენება. საქართველოში შრომის ბაზარი გადატვირთულია სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობით, შრომითი რესურსების მიწოდება ჭარბია, მასზე მოთხოვნა კი მცირე. საქართველოს შრომის ბაზარი ისევე ვითარდება, როგორც საზღვარგარეთ, მაგრამ აქ არ ხდება შრომის ბაზრის შესწავლა, ამიტომ საჭიროა საზღვარგარეთის პრაქტიკის შესწავლა და მათი დანერგვა საქართველოში. საქართველოში ნაკლებია ლიტერატურა შრომის ბაზრის შესწავლის, კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს ეფექტური მოძიების და სხვა საკითხების შესახებ. მნიშვნელოვანია განისაზღვროს შრომის ბაზრის შესწავლის, კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს ეფექტური მოძიების და სხვა საკითხების თეორია და პრაქტიკა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თეორიაში?

თანამედროვე მსოფლიო იცვლება უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ხდებოდა ადრე. ცვლილებები ხდება ყველა სფეროში - ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში, ტექნოლოგიებსა და მეცნიერებაში. იცვლება პრაქტიკული სფერო და ასევე სწრაფად იცვლება მეცნიერებაც, გუშინ მიღებული ცოდნა დღეს უკვე მოძველებულია, საჭიროა სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაცია, უახლესი ინფორმაციის ფლობა და დისციპლინების სწრაფად განვითარება, რაც ახალ ამოცანებს უსახავს უნივერსიტეტებს. მეორე საკითხია რამდენად არიან მზად უნივერსიტეტები ამ ცვლილებებისათვის. ერთ-ერთი საჭირო და აუცილებელი დისციპლინა ამჟამად არის კარიერის დაგეგმვა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტებში ჯერჯერობით არ ისწავლება. კარიერის ცნება იცვლება ცვლილებების და განვითარების მიხედვით, იგი სცილდება თავის საზღვრებს, კერძოდ კი კონკრეტულ საქმიანობას, პროფესიას და ორგანიზაციას. კარიერის დაგეგმვის თვალსაზრისით სამუშაოს მაძიებელი უნდა იყოს შრომის ბაზრის ცვლილებებისადმი ადაპტირებული, მოქნილი და ინოვაციური, მუდმივად უნდა სწავლობდეს, ვითარდებოდეს, საჭიროა უწყვეტი სწავლება. ამასთან, თუ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიულ გადამზადებაზე ზრუნავს თავად დამსაქმებელი საწარმო, ამ მხრივ საქართველოში ჩამორჩენაა, ძალზე ცოტა ორგანიზაცია ახორციელებს თანამშრომელთა გადამზადებას თავის ხარჯზე და დასაქმებულს თავად უწევს იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა იყოს მოთხოვნადი შრომის ბაზარზე.

რა ხდება ქართულ შრომის ბაზარზე? გლობალურმა ცვლილებებმა გამოიწვია კონკურენციის გამწვავება შრომის ბაზარზე. ევროკავშირის საზღვრების გახსნამ გააფართოვა შრომის ბაზარი და გაჩნდა შანსი საზღვარგარეთ დასაქმებისა, ამიტომ საჭიროა ინფორმაციის ფლობა ევროკავშირის ქვეყნების სამუშაო ბაზრის შესახებ, სადაც მიმდინარეობს კონკურენცია შრომით რესურსებს შორის. გლობალური კონკურენცია ხასიათდება თავისებურებებით, სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები საჭიროებს ახალ ცოდნას და უნარებს. ცოდნის სასარგებლო გამოყენების ვადა ძალიან შემცირდა, ცოდნა სწრაფად „ძველდება“ და საჭიროებს შრომითი რესურსის უწყვეტი სწავლების პროცესში ჩართვას.

ამჟამად მიმდინარეობს მეცნიერების და ბიზნესის ინტეგრაცია, მეცნიერება უფრო მეტად ეხმარება ბიზნესს, ქმნის პრაქტიკულად გამოყენებად ცოდნას, რომელიც საფუძვლად ედება ბიზნესის სწრაფ განვითარებას, დაჩქარდა სწავლის პროცესი და ხდება თეორიის პრაქტიკასთან მაქსიმალურად დაახლოება, გაჩნდა მოთხოვნა განათლებულ კადრზე. თუ ადრე სამუშაოს მძებნელი ფლობდა მუშაობის პრაქტიკულ უნარებს და ეს საკმარისი იყო სამუშაოს მოძიებისთვის, ამჟამად უნდა ფლობდეს მინიმუმ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარს, რომ არაფერი ვთქვათ უცხო ენის ცოდნაზე, რომელიც ერთ-ერთი შანსია საზღვარგარეთ ან საქართველოში უცხოურ კომპანიაში დასქმებისათვის.

სამუშაოს მძებნელი თავისი კარიერის დაგეგმვის პროცესში უნდა აკვირდებოდეს მსოფლიო ცვლილებებს, რომელი დარგები ვითარდება უპირატესად, სად არის სამუშაო ადგილების დიდი რაოდენობა, რაც აუცილებელია გრძელვადიანი პროფესიული მიზნების განსაზღვრისა და კარიერის განვითარებისათვის. თავისუფალი, ინოვაციური და კომუნიკაბელური ადამიანი დღეს ხდება მსოფლიოს

ძირითადი მოთამაშე. სამსახური გარანტირებულია მათთვის, ვისაც აქვს საუკეთესო განათლება, კომპეტენციები და გამოცდილება.

საჭიროა შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ფლობა, რაც გულისხმობს „ხილული“ და „უხილავი“ შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. „ხილული“ ვაკანსიები მოიპოვება საინფორმაციო საიტებზე, ვებგვერდებზე, მაგრამ მის გვერდით არსებობს „უხილავი“ შრომის ბაზარიც, რომლის შესწავლაც სათანადო მეთოდიკით ხდება. საქართველოში სამუშაოს მოძიება უპირატესად ხდება „ხილული“ შრომის ბაზარზე, „უხილავი“ ბაზარი კი ყურადღების მიღმა რჩება. ყურადღება უნდა მიექცეს „უხილავი“ შრომის ბაზრის შესწავლას. „უხილავი“ შრომის ბაზარი არის ვაკანსიები ორგანიზაციებში, რომლებიც არ ცხადდება, ეს ერთ-ერთი რეზერვია უმუშევართა დასაქმებისათვის. „უხილავი“ შრომის ბაზრის ვაკანსიების მოძიების ერთ-ერთი მეთოდია ხალხთან კონტაქტი, როცა სამუშაოს მძებნელს ურჩევენ ხალხთან ლაპარაკს, უთხარით „ყველას თქვენი სამსახურის ძებნის თაობაზე“. აპრობირებული ანალიზის მეთოდიკა ასეთია: ჩამოწერეთ თქვენი არსებული კონტაქტები, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები, მეზობლები, კოლეგები, ძველი ლექტორები და დამსაქმებლები; გაარკვიეთ უფრო დეტალურად, თუ რას აკეთებენ ისინი და სთხოვეთ დახმარება სამსახურის მოძებნაში, ჰკითხეთ ხომ არ იცნობენ ვისაც შეუძლია ამაში დახმარება (1). აღსანიშნავია, რომ ჩვენთან ეს საკითხი განიხილება როგორც „ნეპოტიზმი“, კარიერის დაგეგმვაში კი განიხილება, როგორც სამუშაოს მოძიების ერთ-ერთი ხერხი.

შრომის ბაზრის შესწავლის ერთ-ერთი მეთოდით, სამუშაოს მძებნელი ეცნობა იმ კომპანიებს, რომლებიც ითვისებენ ახალ რეგიონებს, მათ უჩნდებათ ახალი ვაკანსიები.

სამუშაოს მოძიების ერთ-ერთი გზაა მოხალისედ მუშაობა, სადაც ეცნობიან სამუშაო გარემოს და ხშირ შემთხვევაში სამუშაო ადგილის გამოჩენის შემთხვევაში ხდება მათი რეალური დასაქმება.

ამრიგად, კარიერის დაგეგმვის დროს საჭიროა სამსახურის მოძიების სტრატეგიების დაგეგმვა როგორც ხილულ, ისე უხილავ შრომის ბაზარზე.

შრომის ბაზრის გამოკვლევამ აჩვენა, რომ არსებობს უშუალო კავშირი განათლებას, სამუშაოს და შემოსავალს შორის. ესე იგი ცოდნა არის გადამწყვეტი წარმოებისთვის და სწავლა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმატებული კარიერისათვის, იზრდება მოთხოვნა განათლებულ კადრზე.

კარიერის დაგეგმვის თეორია ითვალისწინებს, რომ სამუშაო არ უნდა შეფასდეს ცალმხრივად, არამედ მისგან მიღებული ყველანაირი სარგებლის გათვალისწინებით. მას ეწოდება გამოცდილებიდან მიღებული ერთობლივი სარგებელი, რაც გულისხმობს, რომ ხშირად უფასო სტაჟირებაც კი დასაქმებულს აძლევს შესაძლებლობას უფასოდ მიიღოს ცოდნა პროფესიის შესახებ, ასევე იგი უზრუნველყოფს სათანადო კონტაქტებს, თუ მომავალში გამოჩნდა სამუშაო ადგილი, მას შეეხმიანებიან, როგორც გამოცდილ მუშაკს. ასევე სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ აიღონ აკადემიური შვებულება თუნდაც ერთი სემესტრით და იმუშაონ პრაქტიკულად, რაც მათ შესძენს ცოდნას და გამოცდილებას მომავალში დასაქმებისათვის.

კარიერის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დამსაქმებლის ინტერესები, ისინი ეძებენ ახალგაზრდა კადრს, რათა შემდგომში იგი შეუერთდეს სამუშაო გუნდს და გახდეს მათი აქტიური თანამონაწილე. „ჩვენ ვეძებთ იმას, ვინც ნამდვილად ფიქრობს ხანგრძლივ კარიერასა და სარფიან შემოთავაზებაზე. ჩვენ ვამაყობთ იმ მენეჯერთა რაოდენობით, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაძლებლობებისა და კარიერის ზრდისთვის.

სხვა დამახასიათებელი თვისება, რომლითაც ჩვენ ვაფასებთ, არის ძალისხმევა და მომსახურების უნარ-ჩვევები. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ მათ სურვილი ჰქონდეთ შუერთდნენ კომპანიის მომსახურების სტრატეგიას“. (ბეროვსი, პავერსი, & რეინოლდსი, 2012, გვ. 36)

„ჩვენ ნამდვილად გვინდა, რომ სამუშაოს მთხოვნელი ფიქრობდეს მომავალ კარიერაზე და ჰქონდეს კონკრეტული მიმართულება ან მიზანი, ისინი უნდა ეგუებოდნენ გადაადგილებებსაც“. (ბეროვსი, პავერსი, & რეინოლდსი, 2012, გვ. 36)

ამრიგად, სამუშაო უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ფულადი შემოსავლით, არამედ ყველანაირი სარგებლით. ასე მაგალითად, საზაფხულო სამუშაო, სწავლა საზღვარგარეთ სტუდენტს აძლევს უცხოურ კულტურაში ცხოვრების გამოცდილებას, შესაძლებლობას ქმნის დაამყარონ კონტაქტები, რომელიც მათ დაეხმარება დასაქმებაში სწავლის დამთავრების შემდეგ.

ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყანაში დიდ ყურადღებას აქცევენ უწყვეტ განათლებას, რაც გულისხმობს მოზრდილთათვის უფასო პროფესიული გადამზადების ცენტრების შექმნას, სადაც ხანდაზმულები გაივლიან მოკლევადიან კურსს რომელიმე სპეციალობაში და მიეცემათ დასაქმების შანსი. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კოლეჯებში, სადაც სახელმწიფომ დააფინანსა მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები, მაგრამ პრაქტიკულად მათგან ძალზე მცირე რაოდენობა დასაქმდა. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროგრამებში, უნდა თანამშრომლობდეს ბიზნესსექტორთან, რათა უზრუნველყოს სერტიფიცირებული მსმენელების დასაქმება. სახელმწიფომ

დიდი როლი უნდა შეასრულოს შრომის ბაზრის რეგულირებაში, შესწავლილ უნდა იქნეს „ხილული“ და „უხილავი“ შრომის ბაზარი, უნივერსიტეტების და კოლეჯების პროგრამები მორგებული უნდა იყოს მოთხოვნად სპეციალობებზე, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს უნივერსიტეტებში ფაკულტეტები, რომლებიც მოამზადებს დეფიციტურ სპეციალობების კადრებს, რომელთა დასაქმებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს სახელმწიფო. მიზანშეწონილია საქართველოში შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც შეისწავლის შრომის ბაზარს და ითანამშრომლებს როგორც უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან, ისე ბიზნესსექტორთან და სხვა დამსაქმებლებთან. დამსაქმებლების მოტივაციისთვის საჭიროა დაწესდეს შეღავათები გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ჯგუფის, როგორც ახალგაზრდა კადრის, ისე გადამზადებული ხანდაზმულთა დასაქმებისთვის.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ საჭიროა სახელმწიფო რეგულირება მოსახლეობის დასაქმების საკითხში. ამასთან უნდა წახალისდეს პროფესიულად გადამზადებულ ხანდზმულთა მიერ შექმნილი საწარმოების მუშაობა საგრანტო სისტემით და საგადასახადო შეღავათებით. მიგვაჩნია, რომ შრომის ბაზრის და განათლების გამოწვევების საკითხები საქართველოში ამჟამად ფრიად აქტუალურია და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სახელმწიფო რეგულირება მოსახლეობის დასაქმების საკითხში;
- შრომის ბაზრის შესწავლა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში;
- შრომის ბაზრის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა;
- ახალი საწარმოების გახსნის და მათი განვითარების გეოგრაფიული არეალის შესწავლა;
- „ხილული“ და „უხილავი“ შრომის ბაზრის ათვისების დაგეგმა;
- უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ;
- დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინება.

მიგვაჩნია, რომ კარიერის დაგეგმვის შესწავლა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას შრომის ბაზარზე.

ბიბლიოგრაფია:

აკუდოვიჩიუტე, ა., ფორგაცი, ც., გრაკაუსკასი, ჟ., ჰაკინგი, პ., პენინგტონი, მ., & ვალიკასი, ა. (2014). *მართე შენი კარიერა.* თბილისი: შპს „ერა 2008“.

ბეროვსი, კ. ვ., პავერსი, ტ., & რეინოლდსი, დ. (2012). *შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში.* თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

Tina Jolbordi

Teaching University "Geomedi"

CHALLENGES OF THE LABOR MARKET AND EDUCATION IN GEORGIA

RESUME

The process of globalization goes on in the modern world and it has a great influence on the labor market. Georgian labor market develops as foreign labor markets. Although labor market is not studied here so it is necessary to study some foreign experience and introduce it in Georgia. The literature about studying labor market, career planning, looking for a job effectively and other issues are less in Georgia. It is important to identify the theory and practice of studying labor market.

The modern world is changing quicklier than before. The practical sphere as well as the science is changing. The knowledge that we gained yesterday is already old today. It is necessary to get used to a quickly changing environment, to own the latest information and to develop disciplines quickly. All these facts set new tasks for universities. The theory and practice of planning a career should be taught at universities. Universities should prepare innovative and communicational people who are becoming the world's main players today. They could find a job at "visible" and "invisible" labor markets. These are the challenges of education in Georgia. At the same time, we believe that it is advisable to create a state structure in Georgia that will study the labor market and cooperate with universities, colleges, business sector and other employers.

Career management issues in Georgia are currently actual and include the following stages:

- state regulation on employment of the population
- study of labor market in Georgia and EU countries;
- study the sectoral structure of the labor market;

- exploring the geographical area of opening new businesses and their development;
- planning for the acquisition of “visible” and “invisible” labor markets;
- provision of continuing education by the state;
- considering the interests of employers.

We believe that the study of career planning and its practical implementation will contribute to employment of the population in the labor market.

Keywords: Globalization, Labor market, Career planning, Lifelong education, Educational challenges.

სოციალური მეცნიერებები და სამართალი
Social Sciences and Law

ნუგზარ აბრამიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მეტაფიზიკის ცნების ისტორიული საზრისისათვის (ანტიკურობიდან კანტამდე)

საკვანძო სიტყვები: მეტაფიზიკა, თეოლოგია, ღმერთი, ლოგოსი.

სიტყვა „მეტაფიზიკა“ ბერძნული წარმოშობისაა („მეტა-ტა - ფიუსიკა“ და ნიშნავს, იმას, რაც ფიზიკის შემდეგაა). ტერმინის წარმოშობის ისტორია ამგვარია:

როგორც ცნობილია, არისტოტელეს ნააზრევში ანტიკური ფილოსოფია თავის მწვერვალს აღწევს. ამის შემდეგ იწყება მისი რღვევისა და დაცემის პროცესი. „ფილოსოფიის მთელი მონაპოვარი ნაწილდება სასკოლო დისციპლინებში. აზროვნება კარგავს ცოცხალი ფილოსოფოსობის სახეს და მეცნიერულ კვლევად გარდაიქმნება. წარმოიშობიან: „ეპისტემე ლოგიკა“, „ეპისტემე ფიუსიკა“ და ბოლოს „ეპისტემე ეთიკა“. (Хайдеггер, 1989, стр. 139) ფილოსოფიის ამგვარმა დანაწილებამ არსებითად განსაზღვრა მისი მთელი შემდგომი განვითარება. არისტოტელეს შემდეგ, პირველ საუკუნემდე, მისი თხზულებები თითქმის მთლიანად დავიწყებულ იქნა. მხოლოდ რამდენიმე იყო მათგან გამოქვეყნებული, სხვები შემოინახნენ ან ხელნაწერების, ან ლექციის მონახაზების, ანდა კონსპექტების სახით.

პირველ საუკუნეში ქ.წ-მდე სწავლულებმა ხელი მიჰყვეს არისტოტელეს შრომების სისტემატიზაციას, რათა ისინი მისაწვდომნი გაეხადათ სასკოლო სწავლებისათვის. ეს დალაგება განახორციელეს სამი დისციპლინის - ლოგიკის, ფიზიკისა და ეთიკის შესატყვისად. მაგრამ ტრაქტატთა შორის აღმოჩნდა ისეთებიც, რომლებიც ვერ თავსდებოდნენ ვერცერთი დისციპლინის საზღვრებში, რადაც იყოფოდა საზოგადოდ სასკოლო ფილოსოფია. ესენი ის თხზულებებია, რომელთაც თვითონ არისტოტელე „პირველი ფილოსოფიის“, საკუთრივ ფილოსოფოსობის სახელით მოიხსენიებს. ერთი მხრივ, მათი მიკუთვნება არცერთი დისციპლინისადმი არ შეიძლებოდა, მეორე მხრივ, არც თავიდან მოშორება შეიძლებოდა იმისა, რასაც თვითონ არისტოტელე ნამდვილ ფილოსოფიას უწოდებს.

წარმოიშვა პრობლემა, სად მოეთავსებინათ ნამდვილი ფილოსოფია. ამ მდგომარეობიდან ერთი გამოსავალი რჩებოდა, უნდა გამორკვეულიყო, ხომ არ ჰქონდათ რაიმე საერთო ამ ტრაქტატებს რომელიმე სასკოლო ფილოსოფიურ დისციპლინასთან. სინამდვილეში ეს ტრაქტატები ეხება ისეთივე საკითხებს,

რასაც „ფიზიკა“. „არსებობს რაღაც მსგავსება არისტოტელეს მიერ „პირველ ფილოსოფიაში“ განხილულ საკითხებსა და იმ საკითხებს შორის, რომელთაც სასკოლო ფილოსოფია განიხილავდა ფიზიკაში ერთი იმ განსხვავებით, რომ არისტოტელე ეხება რაღაც უფრო ფართოსა და უფრო პრინციპულს (Хайдеггер, 1989, стр. 139) ამიტომ შესაძლებელი იყო მათი დალაგება „ფიზიკის“ გვერდით, მის შემდეგ. ბერძნულად შემდეგ გამოითქმის „მეტა“. ამიერიდან ფილოსოფია იღებს სახელწოდებას „მეტაფიზიკა“. მისთვის ამგვარი სახელის დარქმევა მოხდა არა შინაარსის, არა მისი პრობლემების თავისებურების გამო, არამედ იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მან დაიკავა დალაგებულ თხზულებათა რიგში. ამრიგად, თავიდან ამ ტერმინს წმინდა ტექნიკური მნიშვნელობით მოიხმარდნენ და მას არაფერი ჰქონდა საერთო „პირველი ფილოსოფიის“ არსთან და პრობლემებთან. შემდგომში მეტაფიზიკა იცვლის მნიშვნელობას და შემეცნების იმ სახის აღმნიშვნელად იქცევა, რომელიც ზურგს აქცევს „ფიზიკას“ და მიემართება სხვაგვარად არსებულს, არსებულს, როგორც მთლიანს და არსებულს, როგორც არსებულს. „თუ ფიზიკური ნიშნავს ბუნებრივს, ცდისეულს, ემპირიულს, ხოლო ფიზიკა, როგორც მეცნიერება შეისწავლის ბუნებას ცდის, ანუ ემპირიის საფუძველზე, მეტაფიზიკა ის ფილოსოფიური მეცნიერებაა, რომელიც იმას შეისწავლის, რაც ბუნების მიღმურია, მის ფარგლებს გარეთაა. ეს იმას ნიშნავს რომ მეტაფიზიკური არის ზებუნებრივი და ზეემპირიული. მეტაფიზიკა, როგორც ფილოსოფიური დისციპლინა, არის მოძღვრება სამყაროს ზებუნებრივი და ზეემპირიული საფუძვლების შესახებ, რომელიც ცდილობს შეიმეცნოს სამყარო როგორც მთელი მისი პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების საფუძველზე. (ერქომაიშვილი, 1998, გვ. 27-28)

ტექნიკური მნიშვნელობის ტერმინი ფილოსოფიის შინაარსის გამომთქმელ ტერმინად იქცევა. ამის შემდეგ, როცა ჩვენ არისტოტელეს „პირველ ფილოსოფიას“ ვუწოდებთ მეტაფიზიკას, მხედველობაში გვაქვს საკუთრივ ფილოსოფია, ფილოსოფია, როგორც ასეთი, მაგრამ ისმის კითხვა, მეტაფიზიკის ცნების, ეს მეორე, შინაარსობრივი მნიშვნელობა და ცოდნის ის სახე, რომელზედაც მას პრეტენზია აქვს, რამდენადაა თანხმობაში არისტოტელეს „პირველი ფილოსოფიის“ შინაარსთან და მასში დასმულ პრობლემებთან.

არისტოტელე მეტაფიზიკის მეექვსე წიგნს, სადაც ის ეხება „პირველ ფილოსოფიას“, მის საკითხებს, ორ ნაწილად ყოფს. ამ დაყოფის თანახმად, საკითხი პირველ რიგში დგას არსებულის, როგორც არსებულის (ონ ე ონ) შესახებ, თუ რა ახასიათებს თითოეულ არსებულს, როგორც არსებულს, რამდენადაც ის არის არსი, იმის მიუხედავად, როგორია ის და სად იმყოფება ის. ხოლო, მეორე მხრივ, საკითხი დგას მთლიანი არსებულის შესახებ. საკითხი, რომელიც შემდეგ დაიყვანება უმაღლეს და უკანასკნელ არსებულზე, თუ რას წარმოადგენს მთლიანი, როგორც მთლიანი? თუ როგორია ბუნება მთლიანობისა - ესაა შემეცნება არსებულზე ზეაღმატებული რეგიონისა, რომლისგანაც განისაზღვრება არსებული მთლიანად.

როგორც თვითონ არისტოტელეც მიუთითებს, აქ თავს იჩენს გაორება პრობლემისა. მაგრამ „ეს ერთგვარი გაორება, ისევე როგორც პრობლემა არსებულისა და მთლიანობისა, პირველად არისტოტელესთან არ იჩენს თავს; იგი საკვანძო პრობლემაა მთელი ანტიკური ფილოსოფიისთვის დასაბამიდან“. (Хайдеггер, 1996, стр. 5) არისტოტელე ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს თავის წინამორბედებად მოიხსენიებს და მათ „ფუსიოლოგებს“ უწოდებს. „ფუსიოლოგი“, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ თანამედროვე ფიზიოლოგის მნიშვნელობით. ეს სახელი იმათ მიეწერებათ, ვინც ცდილობდა („ფიუსისის“) - ბუნების, როგორც მთლიანის ახსნას და ამ მთლიანობის სიტყვაში გამოხატვას. „ძველი ბერძენი ფილოსოფოსები „ფიუსის“-ის ქვეშ გულისხმობდნენ სამფლობელოს მთლიანი არსებულისას, რომელიც თვითონ წარმოქმნის თავის თავს. ბუნება მათ ესმით არა თანამედროვე ვიწრო მნიშვნელობით, - მაგალითად, როგორც საგანი ბუნებათმეცნიერებისა, როგორც, ვთქვათ, ისტორიის საპირისპირო, აქ მხედველობაშია სიტყვის საზრისი თავდაპირველი მნიშვნელობით, „ფიუსის“, რომელიც მოიცავს მთლიან არსებულს, როგორც ბუნებას, ისე ისტორიასა და ზოგჯერ ღვთაებრივსაც კი“. (Хайдеггер, 1989, стр. 134) პირველ ფილოსოფოსთაგან თუ ვინმე შეიძლება დასახელდეს არისტოტელეს წინამორბედად, ეს ჰერაკლიტეა, რადგან მან „პირველმა დასვა საკითხი ერთიანობისა, მთლიანობისა და ამ მთლიანობის საფუძვლის შესახებ“. (წერეთელი, 1968, გვ. 78)

ადამიანი, როგორც ნაწილი მთლიანისა, ცდილობს არსებულის სიტყვაში გამოთქმას, გაცხადებას. მაგრამ გამოსათქმელი დელფოს ორაკულს ჰგავს: „დელფოს ორაკული არც გვიმჟღავნებს სათქმელს, არც გვიმალავს, არამედ მიგვანიშნებს“. (Diels, 1934, ჰერაკლიტე. ფრაგმ. 93) არსებული, ერთი მხრივ, მიდრეკილია დაფარულობისკენ, ცდილობს დარჩეს დაფარული. ჰერაკლიტე ამბობს „საგანთა საუფლოს ახასიათებს მისწრაფება დაფარულობისკენ“ (ჰერაკლიტე, ფრ. 123). ხოლო, მეორე მხრივ, „ცდილობს დაფარულობისგან თავის დაღწევას, განთავისუფლებას.

იმის ცოდნა, რაც არ არის დაფარული, და რასაც გრძნობებით ვწვდებით, სწორია, მაგრამ თვალი და ყური სინამდვილეს უძრავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოადგენს, „ცუდი მოწმენი არიან თვალი და ყური თუ კაცს ბარბაროსული სული აქვს“. (Diels, 1934, ჰერაკლიტე ფრ. 107)

დაუფარავის ცოდნა მრავლის ცოდნაა, მაგრამ მრავლის ცოდნა არ არის სიბრძნე: „მრავლის ცოდნა არ ასწავლის ჭკუას, თორემ იგი ასწავლიდა ჰესიოდეს და პითაგორას, ქსენოფანესა და ჰეკათეოსს“ (ჰერაკლიტე, ფრ. 40). მთავარი დაფარულის ცოდნაა, იმის ცოდნა, რაც არსებულის წესს და კანონს შეადგენს; რაც მთელის სიმრავლედ გაშლისა და სიმრავლის მთელად ქცევის წესია; რომ ბუნება ცვალებადია, მაგრამ ერთიანობასაც წარმოადგენს; საგნები ერთიმეორესთან არიან დაკავშირებულნი იმით, რომ ერთ მთლიანში არსებობენ; მთლიანობას პროცესში აქვს საფუძველი ეს მთლიანობა არსისა და არარსის მთლიანობაა, მთლიანობის, წესრიგის, კოსმოსის საფუძველი ბრძოლაა და ა.შ.

„სიტყვით გამოთქმული, სიტყვაში გაცხადებული არსებობის წესი და კანონი არის „ლოგოს“-ი, რომელიც ამავე დროს შინაგანი არსებაა „ფიუსის“-ისა. „ლოგოსში“ ბუნება თავისუფლდება დაფარულობისაგან, იგი იხსნება „ლოგოს“-ში და იქცევა ცხადად“. (Хайдеггер, 1989, стр. 135) თუ რა აზრით არის „ლოგოს“-ი გამომთქმელი და გამომჟღავნებელი, ამაზე წარმოდგენას გვიქმნის ჰერაკლიტეს შემდეგი ფრაგმენტი: „უმაღლესი ჯილდო, რომელსაც ფლობს ადამიანი, აზროვნებაა და სიბრძნე იმაშია, გამოთქვა მთლიანი და მის მიხედვით იმოქმედო მისმა ყურისმგდებელმა“. (Diels, 1934, ჰერაკლიტე, ფრაგმ. 112).

უმაღლესი ჯილდო, რომელსაც ფლობს ადამიანი, ესაა უნარი დაფარულის გამოთქმისა „ლოგოსის“ მეშვეობით და კიდევ, უნარი ჩაერთოს, ჩადგეს არსებულის, როგორც ერთიანის ფერხულში და იმოქმედოს მის შესატყვისად. სიტყვა, რომელიც ათავისუფლებს არსებულს დაფარულობისაგან, ე.ი „ლოგოსი“ არის „სოფია“, ე.ი ფილოსოფია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფილოსოფია არის მოსაზრება არსებულისა, როგორც ერთიანისა და მისი გამოთქმა „ლოგოს“-ის მეშვეობით.

„ბერძნებს ჭეშმარიტება ესმოდათ, როგორც მონაპოვარი, რომელიც ბუნებასთან ჭიდილში უნდა გამოგლიჯო დაფარულობას, ჭეშმარიტება ესაა შედეგი ბრძოლისა ადამიანსა და ბუნებას, როგორც მთლიანს შორის, რომელიც მიდრეკილია დაფარულობისკენ“. (Хайдеггер, 1989, стр. 136)

ბუნება თავისუფლდება დაფარულობისაგან როგორც არსებული. იგი მთელი თავისი მრავალფეროვნებით იზიდავს ადამიანს კვლევისთვის. არსებულის, როგორც მთლიანის, მოაზრების საკითხს აუცილებლობით მოყვება ამ მთლიანის განსაზღვრული მხარეების კვლევის მოთხოვნილება. ფილოსოფოსობიდან ამოიზრდებიან ცალკეული ფილოსოფიები, რომლებიც შემდეგ მეცნიერებებად ჩამოყალიბდებიან. მათი მიზანია „ეპისტემე“ (ეპისტემე ნიშნავს გაერკვე საგნებში, დაეუფლო მათ, შეიჭრე მათ არსში). ეს სიტყვა არისტოტელესთან იძენს თეორიული კვლევის მნიშვნელობას, რომელიც პრაქტიკულად ხორცს ისხამს მეცნიერებებში. აღმოცენდებიან მეცნიერებანი ცის, მცენარეების, ცხოველების შესახებ და ა.შ.

რაც შეეხება „ეპისტემს“ არსებულის როგორც მთლიანის შესახებ, ეს არის „ეპისტემე ფიუსიკე“. არისტოტელე არსებულის საკითხს ორი მნიშვნელობით აყენებს: ერთ შემთხვევაში საკითხი დგას მთლიანი არსებულის შესახებ. იმის შესახებ, თუ რა არის ეს მთლიანი, როგორც მთლიანი, საკითხი, რომელიც ბოლოს დაიყვანება („უმაღლეს და უკანასკნელ არსებულზე“, რომელსაც არისტოტელე „უპირველეს“ არსებულს, ღვთაებრივს უწოდებს („თეიონ“, „რომელშიც არანაირი რელიგიური შინაარსი არ იგულისხმება“. (Аристотель, 1936, I, I 103256 19-33; XII, 7. ….) ესაა საკითხი პირველი მამოძრავებლის, საკითხი უძრავი მამოძრავებლის შესახებ.

როგორც ცნობილია, არისტოტელეს მიხედვით, გარეგანი მამოძრავებელი მოეპოვება ფიზიკურ სამყაროში მომხდარ ყველა ცვლილებას. იგივე მდგომარეობაშია უნივერსუმი, როგორც მთელი. მისთვისაც უნდა არსებობდეს გარეგანი მიზეზი, პირველი მიზეზი, რომელიც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ხილულ სამყაროში მოძრაობა-ცვალებადობის ყველა მიზეზის არსებობას.

სამყარო მარადიულია და მისი, როგორც მთელის, არსებობის საფუძველია წმინდა ფორმის - ღმერთის - მარადიული და აბსოლუტური სრულქმნილება. „თუ ინდივიდუალური ქმნილების გაჩენა მოითხოვს წინასწარ არსებულ ნაწილობრივსა და ფარდობით სრულქმნილებას გვარის საზღვრებში, მთელი სამყაროს არსებობაც მოითხოვს აბსოლუტური სრულქმნილების არსებობას. (გათრი, 1983, გვ. 143)

ყოველი ქმნილება, თუ შეძლებისდაგვარად, ადეკვატურად ახორციელებს თავის სპეციფიკურ ფორმას, ამით ის თავისებურად თავისი შეზღუდულობის კვალობაზე ბაძავს ღმერთის მარადიულ სრულყოფილებას. ღმერთი უძრავია, მარადიულია, სრულყოფილია და უსხეულო, იგი წარმოადგენს აქტივობის შეუფერხებელ ნაკადს, ხოლო მისი აქტივობა იმაშია, რომ ის მარადიულ აზროვნებაშია ჩაძირული. ღმერთის მარადიული აზროვნების ერთადერთი ობიექტი თავისთავია, ერთადერთი სრულყოფილი და უნაკლო არსი. ფიზიკური სფერო არ შედის მის სფეროში - თუ ღმერთი მოძრაობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე მიმართავს თავის აზროვნებას, ის თავად ვერ იქნება მოძრაობისგან

თავისუფალი ამგვარი ღვთაებრივი გონების დაშვება კი შეუძლებელია. ღმერთს არ შეუძლია სამყაროზე იზრუნოს. მან არც კი იცის მის შესახებ. „მისი მიმართება სამყაროსთან განისაზღვრება იმით, რომ ის არის სრულქმნის აუცილებელი გარეგანი მიზანი, ურომლისოდაც მთელი არსებული უმოძრაობაში ჩაეფლობოდა“. (გათრი, 1983, გვ. 140)

მარადიული, თვითგანჭვრეტით გართული ღმერთის უბრალო არსებობაც საკმარისია ბუნების იმ ფარული ძალების ზედაპირზე გამოსატანად, რომლებიც სხვადასხვა გზით იბრძვიან საკუთარი ფორმის მიღებისა და ფუნქციის შესრულებისთვის, რადგან ამით ისინი თავ-თავის კერძო სფეროებში მიბაძავენ ერთადერთ წმინდა ფორმას და მარადიულად აქტიურ არსს. სამყაროს არ შეუძლია მას არ ელტვოდეს, „იგი ამოძრავებს როგორც მისწრაფების საგანი“. (Аристотель, 1936, XII, 7. 1072.. 14-30)

მხედველობაში აქვს რა ეს ღვთაებრივი, არისტოტელე „პირველ ფილოსოფიას უწოდებს, „თეოლოგიკე“, თეოლოგიურ შემეცნებას.

რაც შეეხება მეორე მნიშვნელობას - ბუნებისას, არსებულისას („ფიუსის“) საკითხი დგას არსებულის როგორც არსებულის შესახებ, იმის შესახებ თუ რა განსაზღვრავს არსებულს, როგორც არსებულს. არსებული ბერძნულად გამოითქმის „ონ“, ხოლო „ის, რაც არსებულს არსებულად ხდის, არის არსება იმ არსებულისა ანუ „უსია“. (Аристотель, 1936, 4, 1054 – 11-13)

არსებულზე, როგორც მთლიანზე და არსებულთა არსების, ანუ „უსიის“ შესახებ კითხვის დასმას არისტოტელე უწოდებს „პირველ ფილოსოფიას“ (Аристотель, 1936, I, I, 1026. 19-33) ფილოსოფიას ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით.

ფილოსოფია პირველ რიგში კითხვას სვამს მთლიან არსებულზე, რამდენადაც ამ არსებულის მთავარი თავისებურებაა მოძრაობა; ამოსავალი კითხვა ემთხვევა კითხვას პირველი მამოძრავებლის შესახებ. იმ უკანასკნელსა და საზღვრითზე, რომელიც „თეიონ“ სახელითაც მოიხსენიება.

როცა შუა საუკუნეებში არისტოტელეს მეტაფიზიკურ თხზულებებს გაეცნენ, იმ სპეციფიკურმა კავშირმა, რომელიც არსებობს არისტოტელესთან, „პირველ ფილოსოფიასა“ და „თეოლოგიას“ შორის, გააიოლა ქრისტიანული რწმენის შინაარსის გათანაბრება „პირველი ფილოსოფიის“ შინაარსთან, რადგან ზეგრძნობადი, მეტაფიზიკური იმავდროულად თეოლოგიური შემეცნების საგანიც ყოფილა. „რამდენადაც ნამდვილი ფილოსოფოსობა, როგორც თავისუფალმოაზროვნეობის ფორმა, შუა საუკუნეების პირობებში შეუძლებელია, რამდენადაც ამ ეპოქაში მოქმედებენ სრულიად განსხვავებული წესები, არისტოტელეს ფილოსოფიის ათვისება იმგვარად ხდება, რომ წარმოიქმნება დოგმატიკა; დოგმატიკა არა მარტო რწმენისა, არამედ თვით პირველი ფილოსოფიისა“. (Хайдеггер, 1989, стр. 148)

როცა ვეხებით მეტაფიზიკის ცნების შუასაუკუნეობრივ ისტორიას, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ყველაზე თანამიმდევარი არისტოტელიკოსის, თომა აქვინელის შეხედულება მეტაფიზიკის შესახებ. მან ხომ სპეციალურად კომენტარები მიუძღვნა არისტოტელეს აღნიშნულ თხზულებებს.

აქვინელი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ერთმანეთთან აიგივებს პირველ ფილოსოფიას, მეტაფიზიკას და თეოლოგიას, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, ღმერთის შემეცნებას. აქვინელი მათი იგივეობის დაფუძნებისას იქიდან ამოდის, რომ მეტაფიზიკა როგორც უმაღლესი სახე შემეცნებისა, მიჩნეულია ნორმატიულ მეცნიერებად სხვა მეცნიერებებისათვის.

იგი განასხვავებს სამ გვარს შემეცნებისას:

1. რაღაც მიგვაჩნია შემეცნებადად. უმაღლესი მნიშვნელობით შემეცნების რიგისა და თანამიმდევრობის მიხედვით.

შუა საუკუნეებში შემეცნება ნიშნავს საგნების ახსნას მათი მიზეზებიდან. რაიმე შეცნობილია ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით, როცა გადავდივართ უკანასკნელ მიზეზებზე, უკანასკნელი მიზეზი კი, როგორც ამას მეუბნება რწმენა, არის ღმერთი, როგორც სამყაროს შემოქმედი. ეს უმაღლესი და პირველი მიზეზი წარმოადგენს პირველი ფილოსოფიის საგანს.

2. რაღაც მაქსიმალურად შემეცნებადია, გონებითი შემეცნების გრძნობადთან გათანაბრების მეშვეობით. გრძნობების მეშვეობით ჩვენ ვწვდებით ერთეულს, განცალკევებულს, ხოლო ინტელექტი იმას, რაც საერთოა ყველასათვის. მაქსიმალური შემეცნება იმის შემეცნებაა, რაც ახასიათებს ყველა არსებულს გამონაკლისის გარეშე. მაგრამ ეს ის ცოდნაა, რომელიც არისტოტელესაც აქვს მხედველობაში, როცა ის ეხება არსებულის, როგორც არსებულის შემეცნებას, ანუ ის, რასაც ჩვენ კატეგორიალურ შემეცნებას ვუწოდებთ. შემეცნება ზოგადი ცნებების მეშვეობით, ის რასაც ახალ ევროპულ ფილოსოფიაში ჰქვია შემეცნება კატეგორიალური განსაზღვრებებით.

ამ განსაზღვრულ არსებულს აქვინელი უწოდებს „ტრანსფიუსიკას“. ეს განსაზღვრებანი ეკუთვნიან არაგრძნობად სფეროს. ეს ზოგადი განსაზღვრებანი არსებულისა, როგორც არსებულისა, მოინახებიან ნაკლებ ზოგადიდან უფრო ფართო ზოგადზე გადასვლის მეშვეობით. შემეცნების ამ სახეს აქვინელი მეტაფიზიკას უწოდებს და ამ აზრით იგი გათანაბრებულია ონტოლოგიასთან, დისციპლინასთან,

რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც არსებულს და, რომელსაც შემდეგ დაერქვა „მეტაფიზიკა გენერალის“.

3. რაღაც მიიჩნევა უფრო შეცნობადად თვით ინტელექტისთვის დამახასიათებელი შემეცნების სახის შესატყვისად. აქვინელის აზრით, ამ შემთხვევაში უფრო მეტად შეცნობადია ის, რაც თავისუფალია მატერიისგან, ე.ი. ის, რაც თავისი შინაარსითა და ყოფიერების წესით ყველაზე ნაკლებაა განსაზღვრული იმით, რითაც განისაზღვრება არსებული: მხედველობაშია ისეთი არაგრძნობადი, სულიერი, როგორიცაა ღმერთი და ანგელოსები. თავისი ყოფიერების წესით, ეს სულიერი არსებანი განეკუთვნებიან უმაღლესად არსებულს და შესატყვისად უმაღლესი ხარისხით შეცნობად სფეროს. ასე რომ, უმაღლესი აზრით, შემეცნება ესაა შემეცნება ღმერთისა.

ქრისტიანული დოგმატიკა განსაზღვრულ ფორმას ანტიკური და, კერძოდ კი, არისტოტელეს ფილოსოფიის მიზანმიმართული ათვისებით იღებს. მან გარდასახა ეს ფილოსოფია თავისი ინტერესების შესატყვისად.

„შუა საუკუნეებში თეოლოგიის არისტოტელესეული გაგება გაიაზრება ღმერთის, როგორც აბსოლუტური პიროვნების ქრისტიანული გაგებიდან ამოსვლით. მეტაფიზიკა თავიდანვე ქრისტიანულ თეოლოგიაზე იღებს ორიენტაციას და აშკარად დგება ღმერთის შემეცნების სამსახურში“. (Хайдеггер, 1989, стр. 150)

ქრისტიანულ დოგმატიკაში ყურადღება კონცენტრირებულია ღმერთზე და ადამიანზე ისე, რომ ღმერთი და ადამიანი, როგორც რწმენის, ისე თეოლოგიის უმთავრეს ობიექტებად იქცევიან. იგივე პრობლემები იქცევიან მეტაფიზიკის ძირითად პრობლემებად.

ახალი პერიოდის ფილოსოფიამ, რომელმაც თითქოს გაწყვიტა კავშირი შუა საუკუნეებთან, იმავეს დამტკიცებას ცდილობს, რაც შუა საუკუნეების საკუთრივ საქმედ ითვლებოდა. აქ მხედველობაშია დეკარტე, რომელიც „პირველი ფილოსოფიის“ საგანს ღმერთის არსებობისა და სულის უკვდავების დასაბუთებაში ხედავს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კანტი ტრადიციულ მეტაფიზიკაში თეოლოგიას გულისხმობს. თეოლოგიის მიხედვით მთელი არსი განიყოფება - ღმერთად, ბუნებად და ადამიანად. ღმერთს იკვლევს თეოლოგია, ბუნებას - კოსმოლოგია, ხოლო ადამიანს - ფსიქოლოგია. ისინი ქმნიან დისციპლინას „მეტაფიზიკა სპეციალის“. მისგან განსხვავებით „მეტაფიზიკა გენერალის“ (ონტოლოგია) საგნადა აქვს არსებული საერთოდ. მარტინ ჰაიდეგერი განიხილავს რა „მეტაფიზიკის“ ცნების ისტორიას, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ესპანელ თეოლოგს და ფილოსოფოსს იეზუიტ ფრანცისკო სუარესს. ჰაიდეგერის აზრით, სუარესის გავლენა ახალევროპული მეტაფიზიკის ჩამოყალიბებაში უდიდესი იყო. „მისი როლი ახალევროპული მეტაფიზიკის განვითარებაში არა მარტო იმაშია, რომ ამ მეტაფიზიკამ სუარესის გავლენით მოიპოვა ფორმა განსაზღვრული დისციპლინისა, არამედ უფრო მნიშვნელოვანია მეტაფიზიკის შინაარსობრივი პრობლემების მისეული გააზრება, რომლებიც შემდგომში ხელახლა გააცნობიერა ახალევროპულმა ფილოსოფიამ“. (Хайдеггер, 1989, стр. 153) სუარესის აზრით, მეტაფიზიკური ჭეშმარიტებანი იმდენად აუცილებელია ნამდვილი თეოლოგიური შემეცნებისათვის, რომ მათდამი დაუდევარი მოპყრობა თეოლოგიას არამდგრადს ხდის. იგი თავდაპირველად ეხება „პირველ ფილოსოფიას“ და შესატყვისად მეტაფიზიკის არსებას. შემდეგ განიხილავს მეტაფიზიკის სხვადასხვა სახელებს და ამ მიზნით უბრუნდება არისტოტელეს ტექსტს. სუარესი აღმოაჩენს, რომ, რასაც ჩვენ მეტაფიზიკას ვუწოდებთ, არისტოტელესთან ხან „სოფიის“ სახელით მოიხსენიება, ხან - „პირველი ფილოსოფიის“ სახელით, ზოგან კი - თეოლოგიად. თეოლოგიას იგი გაიაზრებს ანტიკურობისგან განსხვავებულად. ის მიიჩნევს, რომ პირველი ფილოსოფია იმიტომაა მეტაფიზიკა, რომ ის ეხება ღმერთს, სწორედ იმიტომ იწოდება მეტაფიზიკად, რომ არის თეოლოგია. მეტაფიზიკა იმაზე ლაპარაკობს, რაც ბუნებრივ საგანთა შემდეგაა. ზეგრძნობადის შემეცნება ხდება გრძნობადის შემეცნების შემდეგ და ამიტომაც იწოდება იგი „მეტაფიზიკად“. სუარესი „მეტა“-ს გაიაზრებს, როგორც გრძნობადი შემეცნების საფეხურიდან ზეგრძნობადის შემეცნების საფეხურზე გადასვლას.

შუა საუკუნეების ფილოსოფიამ დიდი გავლენა მოახდინა ახალი ფილოსოფიის განვითარებაზე და ეს გავლენა მნიშვნელოვნად გაძლიერდა სუარესის ფილოსოფიის მეშვეობით. ახალევროპული მეტაფიზიკის პრობლემები თითქმის იდენტურია წინარე მეტაფიზიკისა. როგორც ამბობენ, ახალევროპული ფილოსოფია კრიტიკით დაიწყო, ფილოსოფიის კრიტიკული დაფუძნებით და არავინ ისე, როგორც კანტმა დააყენა ტრადიციული მეტაფიზიკა ეჭვქვეშ. ახალ პერიოდში მეტაფიზიკა ახალ ნიშნებს იძენს. პირველი თავისებურება იმაშია, რომ ტრადიციული მეტაფიზიკის მთელი პრობლემატიკა განიხილება ახალი მეცნიერებების თვალთახედვით, ხოლო მეცნიერულობის ნიმუშად და განსახიერებად ცხადდება მათემატიკა, მათემატიკური ბუნებისმეცნიერება. ეს შემდეგს გულისხმობს: რამდენადაც მეტაფიზიკას საგნადა აქვს საერთოდ არსებული და უმაღლესი არსებული, „რომლისადმი ინტერესი ყველა ადამიანშია, როგორც ბუნებრივი მიდრეკილება“ (კანტი), ის ითვლება უმაღლესი ღირსების მქონე

მეცნიერებად, „მეცნიერების დედოფლად“, ამიტომ მისი შემეცნების მეთოდი უნდა იყოს ძალიან მკაცრი, აუცილებელი და სავალდებულო, აქედან მოთხოვნა - იგი უნდა გაუთანაბრდეს შემეცნების იდეალს. ასეთი კი - მათემატიკური შემეცნებაა. იგი ითვლება აპრიორულობისა და რაციონალურობის უმაღლესი ხარისხის მქონედ. ე.ი. გონების წმინდა მეცნიერებად.

ასე რომ, საერთოდ არსებულის შემეცნება „მეტაფიზიკა გენერალის“ და შემეცნება მისი რეგიონებისა „მეტაფიზიკა სპეციალის“ იქცევიან წმინდა გონების მეცნიერებებად.

ბიბლიოგრაფია:
გათრი, უ. (1983). *ბერძენი ფილოსოფოსები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ერქომაიშვილი, ვ. (1998). *ფილოსოფია.* თბილისი.
თევზაძე, გ. (1996). *შუა საუკუნეების ფილოსოფია.* თბილისი.
წერეთელი, ს. (1968). *ანტიკური ფილოსოფია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
Diels, H. (1934). *Die Fragmente der Vorsokratiker.* Berlin.
Аристотель. (1936). *Метафизика.* Москва.
Хайдеггер, М. (1989). Основные понятия метафизики. *Вопросы философии* (9).
Хайдеггер, М. (1996). *Кант и проблема метафизики.* Москва.

Nugzar Abramishvili
Gori State Teaching University

FOR THE HISTORICAL UNDERSTANDING OF THE NOTION OF METAPHYSICS (FROM ANTIQUITY TO KANT)

RESUME

The work shows how the word ‘metaphysics’ purely technically used in the works of Aristotle, when Andronicus the Rhodes was reviewing the Aristotle`s works, changed its meaning and turned into the term expressing philosophical essence; what was the historical adventure of this term from Thomas Aquinas to Kant, how the metaphysics became similar to theology and how the following disciplines were established: Rational Theology, Rational Cosmology and Rational Psychology.

Keywords: Metaphysics, Theology, God, Logos.

მანანა გაგოშიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნულობის ბედი გლობალიზაციის ეპოქაში

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ნეოლიბერალური მოდელი, ტრანსნაციონალური კორპორაცია, ვესტერნიზაცია, პოსტინტეგრაციული პოლიტიკა.

დღეს გლობალიზაციის თემა ძალზე მოდურია და ამასთანავე სადისკუსიოც. ცხარე დებატების საგანია თითქმის ყველაფერი: რა არის გლობალიზაცია, როგორ ერწყმის ის საზოგადოების სხვადასხვა ასპექტებს, როგორია მისი უახლოესი და შორეული პერსპექტივები და ა. შ. ერთი სიტყვით, გლობალიზაცია მეტად რთული საკითხი გამოდგა არა მარტო საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის, არამედ სამეცნიერო ანალიზისთვისაც.

მეცნიერთა საკმაოდ ვრცელი სპექტრი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის მსოფლიო პროცესი, რომელიც განპირობებულია უპირველეს ყოვლისა საბაზრო და არა სახელმწიფოებრივი ძალებით. ძალას იკრეფს კაცობრიობაზე დიდი ზეგავლენის მქონე პროცესი. ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესი სუვერენული სახელმწიფოების ეროვნული საფუძვლების რღვევას იწვევს. ეს გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე სახელმწიფოები თავიანთი უფლებამოსილების დელეგირებას უპირველეს ყოვლისა ახდენენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებზე, როგორიცაა გაერო, ევროკავშირი, ნატო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

დღეს გლობალიზაცია მსოფლიოში, ფაქტობრივად ნეოლიბერალური მოდელის შესაბამისად ვითარდება. ამ მოდელის მიხედვით განვითარების ძირითად რეგულატორად მიჩნეულია სტიქიური საბაზრო მექანიზმი, ხოლო ეროვნული სამეურნეო კომპლექსი – უპერსპექტივო ორგანიზმად.

გლობალიზაციის პროცესში ჩართულ თანამედროვე მსოფლიოში დომინირებადი ადგილი ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს უკავია. ფინანსური ცენტრები მოიცავს ფაქტიურად მსოფლიო არენაზე გაბატონებულ მსხვილ ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს. დადგენილია, რომ მსოფლიოში, ამჟამად რეალურად მოქმედებენ საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის ორგანიზაციები.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დღეს დიდი ქალაქები ერთმანეთთან თანამშრომლობენ ეროვნულ ხელისუფლებასთან როგორც შეთანხმებით, ასევე გვერდის ავლით – სრულიად დამოუკიდებლად. ასეთი ტიპის მოქმედება კი ანგრევს ეროვნულ სისტემებს.

ეს სიტუაცია, რომელიც სულ უფრო მეტად ატარებს საყოველთაო ხასიათს, ბუნებრივია, სახელმწიფოებს თანდათანობით უქმნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს; საბოლოო ჯამში ყოველივე ეს ეროვნული ეკონომიკის მართვის ფუნქციების თანდათანობით შესუსტებას იწვევს. ამ ფონზე აშკარაა ის, რომ მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ისტორიულ საფუძველს – სუვერენულ სახელმწიფოს – კარგა ხანია ანგარიში არ ეწევა, იგი დღეს სერიოზულად შერყეულია; ტრანსნაციონალური კაპიტალისადმი აშკარა მხარდაჭერით აკნინებენ სუვერენული სახელმწიფოების მეურნეობრიობის როლს. ტრანსნაციონალური კაპიტალი ლიბერალიზაციის მოტივით ეროვნული სახელმწიფოებისათვის საფუძვლის გამოცლის რეალურ საფრთხეს ქმნის; ყოველივე აქედან გამომდინარე სადაო არ არის ის მოსაზრება, რომ დღევანდელი და მოსალოდნელი პრესინგით გლობალიზაციის შემოთავაზებულ მასშტაბებს სუვერენული სახელმწიფოები ვერ გაუძლებენ და ისინი დაკარგავენ თვითმყოფად ფუნქციებს.

მკვლევართა აზრით, გლობალიზაციის ცნება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მსოფლიო რეგიონებისა და ზონების, ქვეყნების, ხალხების და თვით ცალკეული ადამიანების კავშირს ასახავს. ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მასშტაბით ხდება.

გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკაში სულ ცოტა სამ მნიშვნელობას მოიცავს:

ერთია ინტერნაციონალიზაცია. იგი აღნიშნავს სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო, ფინანსური და წარმოებითი კავშირების მუდმივ ზრდას. ინტერნაციონალიზაციის პროცესი ვითარდება და ყალიბდება ვაჭრობის, ინვესტიციებისა და კაპიტალის ურთიერთმიმოქცევის შესახებ მიღწეული სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

მეორეა ლიბერალიზაცია. გლობალიზაცია ლიბერალიზაციად წარმოგვიდგება, რამდენადაც ის არის სახელმწიფოებრივი შეზღუდვების შემცირება და ღია, ინტეგრირებული ეკონომიკის განხორციელება მოსახლეობის თავისუფალი მიმოსვლით.

გლობალიზაციის მესამე მნიშვნელობას ავტორები ხედავენ უნივერსალიზაციაში – მატერიალური და სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელებაში მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

და ბოლოს, მკვლევართა აზრით, შესაძლოა მსოფლიოს ყველაზე დიდი პრობლემა იყოს გლობალიზაციის შეთავსება ვესტერნიზაციასთან. ვესტერნიზაცია გულისხმობს ეროვნული ცხოვრების გადაყვანას დასავლურ რელსებზე. ეს უაღრესად მტკივნეული საკითხია. (ბეკი, 2001, გვ. 1)

მკვლევარები (ბაილისი, სმიტი) ხაზგასმით განასხვავებენ გლობალიზაციას ინტერნაციონალიზაციისაგან. მათი აზრით, ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობების ზრდასა და გაძლიერებას ეროვნულ დონეზე ანუ სახელმწიფოებს შორის. ინტერნაციონალიზაციის შედეგად, სახელმწიფოებმა შეიძლება ძლიერი ურთიერთგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე, ბევრი რამით დაუახლოვდნენ ერთმანეთს; მაგრამ ისინი მაინც რჩებიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ და

განცალკევებულ ერთეულებად. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, როგორ მჭიდრო კავშირშიც უნდა იყვნენ ერთმანეთთან, ცხადია, ნათლად გამოკვეთილი საზღვრებით არიან ერთმანეთისაგან გამიჯნულნი. ამისგან განსხვავებით, გლობალური მსოფლიო გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სახელმწიფოებრივი საზღვრები არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო და გლობალური ურთიერთობები შესაძლებელია თანაარსებობდნენ. დღევანდელი მსოფლიო სწორედ ამის მაგალითია. იგი ერთდროულად არის ინტერნაციონალიზებულიც და გლობალიზებულიც. (Baylis & Smith, 2001)

ამგვარად, ჯ. ბაილისი და ს. სმიტი გლობალისაციას განიხილავენ ისეთ პროცესად, რომელიც მსოფლიოს გეოგრაფიულ და კულტურულ დანაწევრებულობას თანდათან ბოლოს უღებს და მსოფლიოს ერთ განუყოფელ მთლიანობად აქცევს.

ყველა ზემოთქმული განმარტებიდან ჩანს, რომ გლობალიზაციის მთავარი ნიშანია სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლა.

პროფ. ზ. დავითაშვილის აზრით, ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ნაციონალიზმს, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს, ეროვნულ ეკონომიკას, საერთოდ ეროვნულ ცნობიერებას უმაღლეს ღირებულებად თვლის. ამიტომ გლობალიზაცია და ნაციონალიზმი თანამედროვე ეპოქის მთავარი დაპირისპირებული ძალებია და მათ შორის წინააღმდეგობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს. (დავითაშვილი, 2003, გვ. 2) გლობალიზაცია, დენაციონალიზაციას ნიშნავს, ამიტომ გლობალიზაციის პროცესში ახლებურად დგება ეროვნული სუვერენიტეტის საკითხი. ძნელდება ეროვნულ ღირებულებათა შენარჩუნება. სულ უფრო მწვავედ ისმის კითხვა: რა მომავალი ელოდება ეროვნულ ღირებულებებს? რა მექანიზმები იცავს მათ? ან იქნებ სულაც აღარაა საჭირო მათი დაცვა? მკვლევარ უ. ბეკის აზრით ეს კითხვები გლობალიზაციის შესახებ მსჯელობის დროს წამოტივტივდება ხოლმე. (ბეკი, 2001, გვ. 1)

გლობალიზაციის პროცესის მხარდამჭერებმა სახელმწიფო დრომოჭმულ ინსტიტუტად გამოაცხადეს. კენიჩე ომე, მაგალითად, პირდაპირ აღნიშნავს: „საზღვრების გარეშე დარჩენილი ერი-სახელმწიფო დღევანდელ მსოფლიოში იქცა არაბუნებრივ, უფუნქციო ერთეულად. ის გამოუსადეგარი გახდა ადამიანთა მოქმედების ორგანიზაციისათვის და ეკონომიკური ცხოვრების მართვისათვის“. (დავითაშვილი, 2003, გვ. 2) მსოფლიო გამთლიანების გლობალისტური ტენდენცია მიმდინარეობს გარკვეული დეტერიტორიზაციის ანუ სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების ერთგვარი მოშლის ნიშნით.

რაც შეეხება სკეპტიკოსებს, ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ასეთ მტკიცებას. მათი თვალსაზრისით სახელმწიფო არათუ ინარჩუნებს თავის ფუნქციებს, არამედ მომავალშიც იქნება საერთაშორისო ურთიერთობების, მათ შორის ეკონომიკის ძირითადი აქტორი. მათი თვალსაზრისით სახელმწიფოს ფუნქციებად ძველებურად რჩება ძალის გამოყენება და სამართლებრივი ზეწოლა, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების აკრეფა, საერთო სახელმწიფოებრივი კომუნიკაციების სრულყოფა, ეროვნული ენის და ეროვნული იდენტურობის გაძლიერებაზე ზრუნვა, ეროვნულ კულტურაზე, განათლების სისტემაზე და კიდევ სხვა მრავალ სფეროზე მონოპოლია; სახელმწიფოს როლი ამ სფეროებში იზრდება. სკეპტიკოსების აზრით, ერი-სახელმწიფოები რჩებიან პოლიტიკურ ერთობებად და ქმნიან ყველა პირობას ნაციონალური ერთობების გასაძლიერებლად.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკეპტიკოსები ვერ ხედავენ გლობალიზაციის ფენომენს და მის გავლენას სახელმწიფოზე. მაგრამ მათი აზრით, აქ რაიმე ახალი და უპრეცედენტო არაფერია.

თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ (გაეროთი და მისი სპეციალური ორგანიზაციებით დაწყებული და არასამთავრობო გაერთიანებებით დამთავრებული) შეცვალა როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოების დინამიკა. სახელმწიფო იქცა დანაწევრებულ არენად, სადაც ტრანსნაციონალური ძალები (სამთავრობო და არასამთავრობო), და სხვადასხვა შინაური ძალა ერთობლივად აკეთებენ პოლიტიკას. ახალი საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ინსტიტუტები შეკავშირდა სუვერენულ სახელმწიფოებთან და სუვერენიტეტი საზიარო ძალად აქციეს. ეროვნული სახელმწიფოების რაღაც ნაწილი არასახელმწიფოებრივი სუბიექტების ხელში აღმოჩნდა. საფუძველი ეყრება ეგრეთ წოდებულ რეგიონალურ დიპლომატიას, ხდება რეგიონებს შორის დაახლოება, ამას კი საბოლოოდ მივყავართ ერთიან გლობალურ მსოფლიომდე, სადაც გლობალური ინტერესები დაჩრდილავს ეროვნულ ინტერესებს. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის ტენდენცია

მთელი სისავსით ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი, მისი საბოლოო განხორციელება როგორც გ. კასტელსი აღნიშნავს „მხოლოდ დროის საკითხია“. (ბარათაშვილი, 2003, გვ. 4)

ერთი რამ უდავოა: საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ უბნებზე გლობალიზაციის მომძლავრების პირობებში, მართლაც, განსაკუთრებით მწვავდება ეროვნული კულტურების მომავლის საკითხი. სოციალური პროგნოზირების გამოჩენილი მკვლევარი დ. ბელი ამ საკითხს შემდეგი სახით სვამს: „შეგვიძლია თუ არა გადავარჩინოთ ეროვნული კულტურა, რომელიც ერთ ქვეყანას მეორე ქვეყნისგან განასხვავებს? რა დაემართება, კერძოდ, ეროვნულ ტრადიციებს? ასევე, როგორი იქნება ისტორიული ტრადიციები? (Кастельс, 2000, стр. 6)

გლობალიზაციისა და ეროვნული პოლიტიკის რთული პროცესი მომავალში თუ როგორ განვითარდება, ამის სრულყოფილად განჭვრეტის პრეტენზია, არა გვგონია, დღევანდელ მეცნიერთა შორის ვინმეს ჰქონდეს, მაგრამ მსოფლიოს განვითარების უნიკალური გამოცდილების შესწავლა–გამოკვლევის თაობაზე განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა დღეს მრავალს აქვს. (ბარათაშვილი, 2003, გვ. 4)

დღევანდელობა დღის წესრიგში ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სუვერენული სახელმწიფოების მოღვაწეობაში გლობალურისა და ლოკალურის თანაფარდობის საკითხს აყენებს. გლობალიზაციის ერთ-ერთი მკვლევარი რობერტსონი ყველგან ხაზს უსვამს იმას, რომ გლობალიზაცია ყოველთვის ლოკალიზაციას უკავშირდება. ძირითადი შეხედულება გლობალიზაციაზე ასეთია: გლობალიზაცია არ არის ერთმნიშვნელოვანი და ცალმხრივი. „გლობალურად“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არსად არაფერი ხდება. სწორედ ის ფირმები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას გლობალური მასშტაბებით აწარმოებენ და ასაღებენ, იძულებული ხდებიან განავითარონ ლოკალური კავშირები. უპირველესად, უნდა აწარმოონ და დახვეწონ საკუთარი პროდუქცია ლოკალური პირობების გათვალისწინებით. სიტყვა „გლობალურად“ ნებისმიერ ენაზე ნიშნავს „მრავალ ადგილზე ერთდროულად“ ე. ი. ტრანსლოკალურად მყოფს. (ბეკი, 2001, გვ. 1)

ერთი სიტყვით, სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად მუსირებს აზრი იმის თაობაზე, რომ დადგა ინვესტიციებზე ტერიტორიების კონკურენციის დრო. ინვესტიციებში წარმატება ექნება მას, ვინც აზროვნებს გლობალურად და მოქმედებს ლოკალურად, ვინც ინვესტიციებს წარმართავს არა რომელიმე ქვეყანაში საერთოდ, არამედ კონკრეტულ ქალაქსა და რეგიონში. მართებულია ექსპერტთა მოსაზრებაც, რომ რეგიონალ პროცესს აძლიერებს ქვეყნის პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, რაც ნიშნავს ქვეყნის შიგნით ცენტრალურ და რეგიონალ ერთეულებს შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების ახალი სისტემის ჩამოყალიბებას, პოლიტიკური და ეკონომიკური პასუხისმგებლობის გადანაწილებას. (ბარათაშვილი, 2003, გვ. 4)

გლობალიზაციის ერთ-ერთი მკვლევრის როზენაუს თვალსაზრისით დაიწყო პოსტინტეგრაციული პოლიტიკის საუკუნე, როცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანოები იძულე-ბულნი არიან გლობალურ არენაზე ხელისუფლება გაუნაწილონ ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კონცერნებს და ტრანსნაციონალურ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობებს. მთელმა რიგმა ინტერნაციონალურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის არასამთავრობოებმა მიაღწია არნახულ გავლენას და ეს გავლენა როგორც ჩანს კვლავ გაიზრდება. (დავითაშვილი, 2003, გვ. 2)

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იძენს სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას საერთაშორისო ორგანიზაციები. მუდმივად იზრდება შეგრძნება, რომ ხალხის მართვა შესაძლებელია არა მარტო წმინდა ეროვნულ დონეზე, არამედ ახალი ინტერნაციონალური ინსტიტუტების მეშვეობითაც. როგორც აღვნიშნეთ იგრძნობა პოლიტიკის დეცენტრალიზაციის ძალზე ძლიერი ტენდენცია. ბეკის აზრით, იგი წარმოიშობა კომუნიკაციის, ტექნოლოგიის ზრდის კვალდაკვალ. ფაქსი და ინტერნეტი ყოველდღიური მოხმარების საგნებად იქცა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია წამებში დაუკავშირდეს მეორე ადამიანს დედამიწის სფეროს ნებისმიერ წერტილში, ისე, რომ სახელისუფლებო დიპლომატიას არ მიმართოს.

სწორედ ტექნოლოგიამ გააძლიერა ურთიერთკავშირები ეროვნულ და ინტერნაციონალურ საზოგადოებებს შორის, თანაც ისეთ მასშტაბებში, როგორიც არცერთ ისტორიულ ეპოქას არ ახსოვს. (ბეკი, 2001, გვ. 1)

კაცობრიობა ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, ამართლებს თავის სახელწოდებას, რამდენადაც არსებობს არა დიფუზიური, არამედ, ინტეგრალური წარმონაქმნის სახით.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება მოკლედ შევაჯამოთ: მსოფლიოს გლობალიზაცია, რასაც წარსულის დიდი ფილოსოფოსები წინასწარმეტყველებდნენ, დღეს რეალურ ფაქტად იქცა. ეს პროცესი დაიწყო მსოფლიოს ქვეყნებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კავშირების გაღრმავებით, რასაც მოჰყვა კულტურათა დაახლოება. ამ პროცესს მძლავრი ბიძგი მისცა ეგრეთ

წოდებულმა ცივი ომის ეპოქის დასრულებამ და საბაზრო ურთიერთობების თავისუფალმა განვითარებამ მთელ მსოფლიოში. ეროვნული, კლასობრივი პრობლემები შეცვალა გლობალურმა პრობლემებმა. თითქოს გლობალური პრობლემა უფრო ადვილად უნდა გადაწყდეს, ვიდრე კლასობრივი, რადგან მისი გადაწყვეტით მთელი მსოფლიოა დაინტერესებული. ეს ქმნის ოპტიმიზმის საფუძველს. მაგრამ მსოფლიოს ფაქტობრივი ცხოვრება სხვა სურათს გვიჩვენებს. ისე ჩანს, რომ ცივი ომის ეპოქის დასრულებით წინააღმდეგობის მხოლოდ გარეგანი ფორმა შეიცვალა.

მსოფლიო ჩათრეულია ეთნო-კონფლიქტებში, სეპარატისტულ მოძრაობებში, რელიგიურ კონფრონტაციებში, პოლიტიკური გავლენის სფეროთა გადანაწილების მტკივნეულ პროცესებში. ეს გვაფიქრებინებს, რომ მსოფლიოს გაერთიანება ერთობ აბსტრაქტული ტერმინია ზედაპირული პროცესების აღსანიშნავად. სიღრმეში კი ეს პროცესები ზესახელმწიფოთა ამბიციებს მალავენ.

გლობალიზაცია, კერძოდ, მსოფლიოს გაერთიანება საუკეთესო შემთხვევაშიც კი შეიცავს ეროვნულ კულტურათა ქრობის დიდ საშიშროებას. ამიტომ მსოფლიო ინტეგრაციის ზრდა განაპირობებს დეზინტეგრაციის ზრდასაც. ერთი მხრივ, წარმოიშობა ერთიანი მასობრივი კულტურა, რომელიც აშკარად უპირისპირდება ეროვნულ კულტურებს. თუ ეს კულტურები გადარჩა, მაშინ მსოფლიო ვერ ჩაითვლება ერთ გლობალურ კულტურულ მთლიანობად. ხოლო თუ ეს კულტურები ვერ გადარჩა, მაშინ კულტურულად ერთიანი მსოფლიო იქნება მასობრივი კულტურის მატარებელი. მასობრივი კულტურა კი ვერ გამოდგება მსოფლიოს გარეგანი ერთობის საფუძვლად და „გლობალური კულტურა“ მაინც ზედაპირულ, გარეგან ფორმად დარჩება კონფლიქტებით სავსე მსოფლიოსათვის.

ბიბლიოგრაფია:

ბარათაშვილი, ნ. (2003). *გლობალიზაცია და მსოფლიოს ახალი წესრიგი.* თბილისი.

ბეკი, უ. (2001). *რა არის გლობალიზაცია?* თბილისი: ელფი.

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

Baylis, J., & Smith, S. (2001). *The Globalization of World Politics.* New York.

Белл, Д. (1999). *Грядущее постиндустриальное общество.* Москва.

Кастельс, М. (2000). *Информационная эпоха.* Москва.

Manana Gagoshidze

Sokhumi State University

THE FATE OF NATIONALITY IN THE ERA OF GLOBALIZATION

RESUME

In conclusion, Globalization, which was predicted by ancient philosophers, is a real fact today. The First reason of this process was deepen economic relations, which caused rapprochement of cultures. Civil war's repining process and development of free market economy supported globalization process. Class and national problems were changed by global issues. It's seemed that global problems were easily solved because the whole world is interested in solving them. This created basis of optimism, but world actual reality makes us different image. Thus wise, by the end of civil war changed only external form of contradiction.

The world is interpolated in process as – ethno-conflicts, separatist movements, religion confrontations, political influence reapportion themes. This makes us think that world uniting is abstract term for indicating surficial processes. In real this processes are conceal super-state's ambitions.

Globalization, privately, unionizing of world, in the finest case, implies on danger of cultural disappear. Because of this, the growth of the world integration considers growth of disintegration.

Originates whole massive culture, which obviously opposes national cultures. If, national cultures survive severally, world will be considered as global cultural unity. But, if not, united world will be carrier of massive culture. Massive culture will not be useful to be base of world external alliance. "Global Culture" still stays external form, for world with full of conflicts.

Keywords: Globalization, Neoliberal model, Transnational corporation, Westernization, Postintegration policy.

დავით გეფერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციისა და ამავე კონვენციის საფუძველზე შექმნილი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 75-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით

საკვანძო სიტყვები: ჩიკაგოს კონვენცია, იკაო, კონფერენცია, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაცია, საერთაშორისო საჰაერო სამართალი

ნაშრომი ეძღვნება ჩიკაგოს 1944 წლის „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის შემუშავებისა და მიღების წინაპირობებს. მოცემულია კონვენციის შინაარსისა და ამავე კონვენციის საფუძველზე შექმნილი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის შეფასება, ნაჩვენებია ჩიკაგოს კონვენციის ადგილი და არსი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დარგში. ასევე, წარმოჩენილია ჩიკაგოს კონვენციის მნიშვნელობა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის განვითარებისთვის.

2019 წელი საერთაშორისო საჰაერო სამართლის ფუნდამენტური და ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის - „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის ხელმოწერის 75 წლის საიუბილეო წელია. საჰაერო ტრანსპორტის სფეროში, ამ დოკუმენტმა მიიღო საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული სახელი **1944 წლის ჩიკაგოს კონვენცია,** ან უბრალოდ **ჩიკაგოს კონვენცია.**

საერთაშორისო საჰაერო სამართლის ისტორიაში იყო გარკვეული პერიოდი, როდესაც სახელმწიფო გატაცებული იყო საკუთარი ეროვნული ფრენების სისტემის შექმნით. მალე გაირკვა, რომ ასეთი წესების მრავალფეროვნება იმგვარია, რომ საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტზე აღნიშნული წესებით ფრენა პრაქტიკულად შეუძლებელია. აი, ამიტომ დადგა დღის წესრიგში ფრენების ერთგვაროვანი წესების შექმნის აუცილებლობა მხოლოდ კოლექტიური ძალისხმევით საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოებში. სწორედ ასეთი ამოცანა დაუსახა **იკაოს** ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციამ. მისი მიღება ასოცირდება მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილთან, საჰაერო სივრცეში ადამიანთა და ტვირთის ნაკადების რეგულარული მოძრაობის ორგანიზებასთან და ამ მიზნისთვის ავტორიტეტული და გავლენიანი ორგანიზაციის შექმნასთან, რომელსაც ეწოდება **სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (იკაო).**

სინამდვილეში, ჩიკაგოს კონვენცია არის უნიკალური დოკუმენტი მისი შინაარსისა და დებულებების წარმოდგენის სიცხადის თვალსაზრისით. შთამბეჭდავია კონვენციის იდეოლოგიური და თანმიმდევრული სემანტიკური შენარჩუნების ფაქტი, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. რასაკვირველია, ეს არ ითვალისწინებს მოგვიანებით მიღებულ არაერთ ძირეულ სამართლებრივ ცვლილებას, რომელიც უკავშირდება ახლადმიერთებულ სახელმწიფოებისა და იკაო–ს ოფიციალური სამუშაო ენების რაოდენობას. ასევე, არ იქნა დათვლილი ორი დამატებითი მუხლი (3 ბის და 83 ბის) იმ საკითხებზე, რომლებიც ხელმოწერის დროს შეუძლებელი იყო ყოფილიყო გათვალისწინებული. ეს მუხლები ბუნებრივად ახსნილია და არ ცვლის ამ საერთაშორისო შეთანხმების არსს და მიმართულებას.

ჩიკაგოს კონვენციის შექმნის ათვლის თარიღი დაიწყო, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე ექვსი თვეღა იყო დარჩენილი. გამარჯვების დღის ლოდინის გარეშე, სახელმწიფოებმა წამოიწყეს თავიანთი მცდელობები, რომლებიც ომის გამო იყო შეწყვეტილი, რათა შექმნან აერნაოსნობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების სისტემა, და ამით „დაეხმარონ მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამკვიდრებასა და შენარჩუნებას მსოფლიოს ქვეყნებსა და ხალხებს შორის“, როგორც მოგვიანებით იყო ნათქვამი ჩიკაგოს კონვენციის პრეამბულაში. (კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, 1944)

თვით კონვენციის შექმნა არ დაწყებულა ნულიდან და იურიდიული ვაკუუმის გარემოცვაში; ავიაციის, როგორც უაღრესად მოძრავი სატრანსპორტო საშუალების ეფექტურობა, სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, საქმიანი და კულტურული კავშირების გასაძლიერებლად, უკვე განსაზღვრული იყო XX საუკუნის დასაწყისში.

გასული საუკუნის ოციანმა-ოცდაათიანმა წლებმა ჩვენს მეხსიერებაში დატოვა კვალი, როგორც სამგზავრო მოძრაობის აქტიური დაწყების ხანამ, ასევე, საჰაერო ხომალდების მშენებლობის სწრაფი

განვითარებისა და ფრენების სპონტანური ზრდის სპექტრით, სიჩქარითა და ფრენათა ხანგრძლივობით გამორჩეულმა პერიოდმა. სამოქალაქო ავიაციის დარგის წარმომადგენლები თავიანთი ეპოქის გმირები იყვნენ. მსოფლიო საავიაციო სფეროში სტაბილურად იზრდებოდა კოორდინაციისა და მოქმედებების რეგულირების საჭიროება.

ომის დაწყებამდე მსოფლიო საავიაციო საზოგადოებაში შედგა არაერთი მნიშვნელოვანი რეგიონული ხელშეკრულება და შეიქმნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ექვემდებარებიან უწყვეტ ფუნქციონირებას.

ევროპულ რეგიონში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1919 წლის პარიზის კონვენციის დასკვნა (Бордунов, 2006), რომლის საფუძველზეც შეიქმნა საავიაციო საერთაშორისო კომისია, შემოკლებით SINA. ორგანიზაციამ განახორციელა საარბიტრაჟო ფუნქციები კონვენციის განმარტებასთან დაკავშირებით და შეიმუშავა საჰაერო ნავიგაციის საერთაშორისო წესები და პროცედურები. 1925 წელს SINA–ს ფარგლებში დაფუძნდა იურისტთა საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტი - ექსპერტები საჰაერო სამართალში (CITEGA).

CITYEGA კომიტეტის საქმიანობამ დიდი წვლილი შეიტანა 1929 წელს ვარშავაში კონვენციის შემუშავებასა და ხელმოწერაში, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებით გარკვეული წესების უნიფიცირებას. 1929 წლის ვარშავის კონვენცია მრავალი ათწლეულის განმავლობაში ემსახურებოდა, როგორც საერთაშორისო იურიდიულ ინსტრუმენტს, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტს და ავიაგადამზიდველის პასუხისმგებლობას.

დედამიწის სხვა კონტინენტზე, ლიმაში, პერუ, გაიმართა ავიაკომპანიის ტექნიკური პრობლემების ინტერ-ამერიკული კონფერენცია, რომელმაც 1927 წელს დააფუძნა თავისი უმსხვილესი რეგიონალური ორგანო - მუდმივმოქმედი ამერიკის საავიაციო კომისია (CAPA). CAPA- ს თითქმის იმავე საკითხებით იყო დაკავებული, რითაც ევროპაში SINA.

მეორე მსოფლიო ომში სახელმწიფოების ჩართვისთანავე, მიღწეული ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები დაიშალა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებმა შეწყვიტეს არსებობა, რის შედეგადაც მათ დატოვეს დოკუმენტები და დაგროვილი გამოცდილება.

1945 წლის დასაწყისში, ომის დამთავრების წინა დღეს, ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებს შორის გაიმართა მოლაპარაკებათა სერია მშვიდობიანობისას მსოფლიო საჰაერო ტრანსპორტის განვითარების ერთობლივი სტრატეგიის შესახებ, რამაც გამოიწვია საერთო გადაწყვეტილების მიღება - უმოკლეს დროში აშშ-ში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებისა.

ასეთივე კონფერენცია, საერთაშორისო საჰაერო სამართლის შესახებ, გაიხსნა ჩიკაგოში 1944 წლის 1 ნოემბერს და ისტორიაში შევიდა, როგორც **ჩიკაგოს კონფერენცია.**

მომდევნო ხუთი კვირის განმავლობაში კონფერენციის მონაწილეთა ინტენსიური მუშაობა, მოსაზრებების მკვეთრი ჭიდილის კონტექსტში, 1944 წლის 7 დეკემბერს საზეიმო ხელმოწერით დასრულდა. აღნიშნული დოკუმენტი, თავისი სიღრმითა და სრულყოფილებით, დღესაც კი გაოცებას იწვევს თანამედროვე სპეციალისტებში.

28 თვის შემდეგ, 1947 წლის 4 აპრილს, 26-ე რატიფიცირებული სიგელის ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს, ჩიკაგოს კონვენცია ძალაში შევიდა მისი 91-ე მუხლის შესაბამისად.

დღეისათვის მსოფლიოს 193 ქვეყანაა ჩიკაგოს კონვენციის მონაწილე, მათ შორის 1993 წლიდან საქართველო. იკაო აღიარებულია, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც მეტწილად მოწმობს ჩიკაგოს კონვენციის სრულყოფილებასა და მის მნიშვნელობას მსოფლიოს სახელმწიფოებისთვის.

იკაო–ს საქმიანობა, რომელიც პრაქტიკაში ახორციელებს ჩიკაგოს კონვენციის დებულებებს, მიზნად ისახავს სახელმწიფოების ინტერესების დაკმაყოფილებას, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონისა. მწარმოებელი სახელმწიფოები ინარჩუნებენ თვითმფრინავების გაყიდვების სტაბილურობას და მომარაგების გაფართოებას ეროვნული ტექნიკური მოთხოვნების სრული დაცვით, იკაოს სტანდარტებთან შესაბამისობაში. მწარმოებელი სახელმწიფოები, ასევე ცდილობენ, საერთაშორისო საჰაერო სერვისების მარეგულირებელი წესების, პროცედურების, მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციას, მათი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

განვითარებადი ქვეყნები იყენებენ იკაო–ს პოტენციალსა და შესაძლებლობებს ეროვნული სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში, ეროვნული საავიაციო კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის ფორმირებასა და საჰაერო კვალიფიციური პერსონალის უზრუნველყოფაში.

თავისი შინაარსით, ჩიკაგოს კონვენცია არის საერთაშორისო საჰაერო სამართლის მთავარი წყარო და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მარეგულირებელი აქტი. კონვენციის დასახელება მოცემულია მის პრეამბულაში, სადაც ვკითხულობთ, რომ საერთაშორისო სამოქალაქო

ავიაცია: „შეიძლება განვითარდეს უსაფრთხო და მოწესრიგებული წესით“ და ა.შ. საერთაშორისო საჰაერო სერვისები „შეიძლება შეიქმნას შესაძლო თანასწორობის საფუძველზე და განხორციელდეს რაციონალურად და ეკონომიურად“. (კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, 1944)

ეს მითითება განთავსებულია 22 თავსა და გადმოცემულია 96 მუხლში, რომლებიც თავის მხრივ გაერთიანებულია კონვენციის 4 ნაწილში. ამასთან, ყველა ხელმისაწვდომი მუხლი შეესაბამება ერთიან - უსაფრთხო, რეგულარულ, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ეფექტური განვითარების უზრუნველყოფის ზოგად პრინციპებს სამოქალაქო ავიაციისა. მიღებული პრინციპი ემყარება უამრავ კონცეპტუალურ საკვანძო დებულებას, რაც განმტკიცებულია კონვენციით და, უპირველეს ყოვლისა, საშუალებით საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის განვითარების შესაძლებლობებით; ამავდროულად ყოველი სახელმწიფო ფლობს სრულ და განსაკუთრებულ სუვერენიტეტს საკუთარ საჰაერო სივრცეზე.

კონვენციის დებულებები სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებებს ერთობლივად და კოორდინირებულად განავითარონ მსოფლიო გადაყვან-გადაზიდვები და საჰაერო მარშრუტები, საერთაშორისო აეროპორტის ქსელი, აერნაოსნობა და საჰაერო სივრცე, საჰაერო ხომალდების კონსტრუირება. ასევე, უზრუნველყონ საავიაციო პერსონალის მომზადება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განუხრელი დაცვით. ამასთანავე კონვენცია სახელმწიფო პასუხისმგებლობას აკისრებს უსაფრთხო სამოქალაქო ფრენების უზრუნველყოფას, რათა მიღწეულ იქნას წესების, სტანდარტების, პროცედურების ერთგვაროვნება, რაც თავის მხრივ განაპირობებს საავიაციო საჰაერო სერვისების განხორციელებასა და უზრუნველყოფას (12 და 37 მუხლები). (კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, 1944)

მოცემული პოსტულატი ხორციელდება სახელმწიფოთა მიერ, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით, რომლებიც იკაო–ს მიერ არის შემუშავებული და ეფუძნება მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებას, აღნიშნული კი მოთავსებულია ჩიკაგოს კონვენციის 19 დანართში. უფრო მეტიც, ახალი და არსებული სტანდარტების შემუშავება არის მიმდინარე პროცესი, რომელიც დაკავშირებულია სტაბილურობასთან გლობალური საჰაერო სერვისების სწრაფი და მზარდი მომსახურება.

ამ პოსტულატთან ასოცირდება კონვენციის ძირითადი დებულება (მუხლი 43) სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (იკაო). კონვენცია ადგენს იკაო-ს მიზნებს და ამოცანებს (44-ე მუხლი), რომლებიც შეიცავს შემდეგ ძირითად მოსაზრებას: - „საერთაშორისო პრინციპების და მეთოდების შემუშავებაა საჰაერო ნავიგაციის არსი და საჰაერო ტრანსპორტის დაგეგმვისა და განვითარების ხელშეწყობის უმთავრესი ბერკეტი.“ (კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, 1944)

იკაო–ს უმთავრესი როლი, როგორც ერთადერთი აღიარებული ფორუმი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის სფეროში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს სტანდარტების შემუშავებისა და რეგულარულად განახლების კუთხით; ასევე, სახელმწიფოებს გაუწიოს დახმარება დეტალური ინსტრუქციების მომზადებაში და აღნიშნული მიზნებისათვის სახელმწიფოებს დაეხმაროს ტექნიკურად და ფინანსურად.

ძირითადი დებულებები ასევე უნდა შეიცავდეს სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „სამოქალაქო ავიაცია არ იქნას გამოყენებული, რაიმე მიზნებისათვის, რომლებიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებთან“ (მუხლი 4)“. მოცემული პოსტულატი, კერძოდ, გაძლიერდა 1984 წელს კონვენციაში დამატებით მე–3 bis მუხლის შეტანით. (კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, 1944)

ბოლო პერიოდის სამწუხარო მოვლენები, მხედველობაში გვაქვს 2014 წლის 17 ივლისის ტრაგიკული შემთხვევა - მალაიზიის თვითმფრინავი Boeing 777, რეისი MH17, უკრაინის თავზე, ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება ამ პოსტულატზე, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-9 მუხლით.

მოცემული მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს უფლებას სამხედრო მიზეზების გამო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით შეზღუდოს ან აკრძალოს სხვა სახელმწიფოს თვითმფრინავების ფრენები საკუთარი ტერიტორიის გარკვეულ ზონებზე.

ამ მიზნებისათვის, სხვა საკითხებთან ერთად, საჭიროდ მიიჩნევა სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს იკაო-სთვის სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებას, რის საფუძველზეც მას შეუძლია დახმარების გაწევა სახელმწიფოებისთვის ყოველმხრივი, საფუძვლიანი და დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიებების ჩატარება საავიაციო შემთხვევებისა და შეიარაღებული კონფლიქტებისას საჰაერო ზონებში.

ამჟამად, ჩიკაგოს კონვენცია აქტიურად განაგრძობს ფუნქციონირებას და კვლავ რჩება საერთაშორისო საჰაერო სამართლის ეფექტურ დოკუმენტად. იკაო ატარებს თანმიმდევრულ პოლიტიკას ჩიკაგოს კონვენციის არსებული ფორმით შესანარჩუნებლად.

ცალკე წინადადებები ჩიკაგოს კონვენციის შინაარსის გადახედვის საჭიროებასთან დაკავშირებით, მისი დებულებების არქაული ხასიათის გამოვლენის ნიშნების არსებობის გამო, ვერ პოულობს მხარდაჭერას მსოფლიო საავიაციო საზოგადოებაში.

იკაო–ს ეგიდით, კონვენციის განვითარების პროცესში, შემუშავდა საერთაშორისო საჰაერო სამართლის ოცზე მეტი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ეხება შემდეგ სფეროებს: საჰაერო ტრანსპორტში უკანონო ჩარევის აქტების წინააღმდეგ ბრძოლას; საჰაერო გადამყვან-გადამზიდავის მიერ პასუხისმგებლობათა რეგულირება ზიანის მიყენების შემთხვევაში მგზავრებისთვის, ბარგისა და ტვირთისთვის; მესაკუთრეთა, კრედიტორთა, მელიზინგეთა ძვირადღირებული საავიაციო ქონების დაცვა; არადისციპლინირებული მგზავრების ქცევის წესებს საჰაერო ხომალდზე.

ჩიკაგოს კონვენციის დებულებები ძირეულია საერთაშორისო აერსანაოსნო სატრანსპორტო სისტემის მდგრადი განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის სისტემის მზარდი მოთხოვნილებების ფონზე საზოგადოებისთვის საავიაციო მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით.

2018 წლის შედეგების მიხედვით, მსოფლიოში საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა 3.1 მილიარდმა მგზავრმა, ე.ი. დედამიწაზე არსებული შვიდი მილიარდი მოსახლეობის თითქმის 45%. ამ შემთხვევაში, ოთხი მგზავრი ათიდან, იყენებდნენ საჰაერო ტრანსპორტს, როგორც ტურისტი.

საერთაშორისო სამოქალაქო ავიაცია, როგორც ყველაზე ეფექტური და გლობალური სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის სექტორი - საერთაშორისო ტურიზმისა, აკმაყოფილებს მსოფლიო ტურისტული გადაყვანების ყოველწლიურ ზრდას 3,3%-ით. ასეთი ზრდის ტემპი შეესაბამება ტურისტული ტრეფიკის საშუალო წლიური მოცულობის მიღწევას 2021 წლისთვის, რაც შეესაბამება 1.6 მილიარდ ადამიანს.

ასეთ პირობებში სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება ობიექტური აუცილებლობაა. მთელი 75 წლის განმავლობაში ჩიკაგოს კონვენცია ემსახურებოდა და კვლავაც აგრძელებს ხელშეწყობას ავიამომსახურებათა სისტემის, ასევე მშვიდობიანი მიზნებისთვის საავიაციო ტექნიკის შექმნის საქმეში, აერნაოსნობის გლობალური სისტემის დამკვიდრებასა და გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებში, რათა კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს მსოფლიო აერნაოსნობის სისტემა.

მსოფლიო ავიაკომპანიათა თვითმფრინავებს არ შეუძლიათ იფრინონ საკუთარი ფრენის წესებით - ეს სფერო წარმოადგენს სახელმწიფოთა განსაკუთრებულ კომპეტენციებს. ამ წესების დამორჩილება და ფრენისას მათი დაცვა ითვლება საერთაშორისო და ეროვნული საჰაერო სამართლის ძირითად მოთხოვნად.

ჩვენც უკვე შთამბეჭდავი შედეგების მოწმენი ვართ!

ბიბლიოგრაფია:

კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ. (1944 წლის 07 დეკემბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1279517?publication=0

Бордунов, В. Д. (2006). *Международное воздушное право.* Москва: Научная книга.

Davit Geperidze

Gori State Teaching University

ON THE OCCASION OF THE 75TH ANNIVERSARY OF THE INTERNATIONAL CIVIL AVIATION CONVENTION AND THE INTERNATIONAL CIVIL AVIATION ORGANIZATION ESTABLISHED UNDER THE SAME CONVENTION

RESUME

The Article is dedicated to the preconditions for the development and adoption of the 1944 Chicago Convention on International Civil Aviation. It analyzes the content of the Convention and the activities of the International Civil Aviation Organization established under the same Convention, defines the basic prinicples of international aviation law, examines the lagan nature of Chicago Convention in modern International Law. The article also analyzes the importance of Chicago Convention for the development of Civil Aviation.

***Keywords**:* Chicago Convention, General Principles, ICAO, Conference, International Civil Aviation, International Air Law.

მაკა დოლიძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

კულტურის საკითხების გაშუქება მედიაში

საკვანძო სიტყვები: კულტურა, მედია, პუბლიკაცია, მუსიკალური პროექტი, ფესტივალი.

„საქართველოს მასშტაბის ქვეყნისთვის საამაყოა - ქვეყანაში გქონდეს 15 მუსიკალური ფესტივალი და კონკურსი. მხარს უჭერდე და აფინანსებდე 4 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს და საერთაშორისო მასშტაბის 6 კინოფესტივალს. ყველა უნდა ვამაყობდეთ, რომ ქართული ფილმები ყოველწლიურად, ჩვენი მხარდაჭერით, მონაწილეობას იღებს მსოფლიოში მნიშვნელოვან კონკურსებზე და იმსახურებენ 80-ზე მეტ ჯილდოს. საამაყოა, რომ ქართველი მწერლების შემოქმედება ითარგმნება მრავალ ენაზე და მონაწილეობას ვიღებთ ლაიფციგის და ლონდონის წიგნის ბაზრობებზე და გამოფენებზე. საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს 2018 წელს დაგეგმილ გრანდიოზულ პროექტს - როცა ფრანქფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარსდგება. კულტურის სამინისტრო მხარს უჭერს ნიჭიერ მომავალ თაობას - ჩვენი დაფინანსებით საზღვარგარეთ სწავლობს და წარმატებებს აღწევს ათობით ახალგაზრდა შემოქმედი... ქართულმა თეატრებმა მონაწილეობა მიიღეს 25-მდე საერთაშორისო ფესტივალში საზღვარგარეთ და საკმარისია, გადავხედოთ უცხოურ პრესის გამოხმაურებას ჩვენი თეატრალური დასების წარმატების დასტურად" - აღნიშნავს ახალი ამბების სააგენტო. (ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარსდგება, 2014)

როგორც ვხედავთ, კულტურას ქმნის სხვადასხვა სფეროები, აქედან უნდა გამოვყოთ რამდენიმე მათგანი და განვიხილოთ, თუ როგორ შუქდება თითოეული მათგანი მედიაში. არის თუ არა ეს თემები აქტუალური, რამდენად ხშირად იწერება მათ შესახებ.

როგორც ვიცით, ქართულ კულტურას მრავალი უცხოელი ქომაგი ჰყავს. მათ შორის არის **გერმანელი მუსიკოსი ზოლტან კოვაჩ-გოკიელი, რომელსაც შეხვდა „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ნათია დოლიძე და მისგან ინტერვიუ აიღო.**

„ძალიან შემიყვარდა საქართველო ბევრი მიზეზის გამო - საოცარი სილამაზის ბუნება; ქართველების გულღიაობა და სტუმარმასპინძლობა; უძველესი და უნიკალური კულტურა; უმდიდრესი მუსიკალური ტრადიციები, პირველ რიგში, ქართული პოლიფონია, ასევე ქორეოგრაფია;“ - აღნიშნავს ზოლტან კოვაჩ-გოკიელი. (დოლიძე, 2019)

ინტერვიუერი გვიხატავს მუსიკოსის სახეს, ხაზს უსვამს მის პროფესიასა და ჰობს, გვიჩვენებს მის დამოკიდებულებას ოჯახთან და საზოგადოებასთან. „ქართული ღვინისა და საზოგადოდ, კულტურის ერთ-ერთი დიდი ქომაგი ზოლტან კოვაჩია, რომელიც დიდი შრომის ფასად ცდილობს ქართული ბუნებრივი ღვინო და ტრადიციები გერმანელებს გააცნოს" - ვკითხულობთ ინტერვიუში.

პუბლიკაციაში საყურადღებოა მუსიკოსის საქმიანობა და საზრუნავი. მის პრიორიტეტად განისაზღვრა ქართული ბუნებრივი ღვინის პოპულარიზაცია, მისი მიზანი იყო საქართველოდან ღვინის ექსპორტი.

პუბლიცისტი ცდილობს ზოლტან კოვაჩი წარმოგვიჩინოს არა როგორც მუსიკოსი, არამედ როგორც ქართული ღვინის ქომაგი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართული ღვინო და ქართული კულტურა საზღვრებს გარეთ გაიტანოს, გააცნოს და დაინტერესოს უცხოელები ქართული ღვინის წარმოებით.

ქართული ღვინით იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიში ოჰაშიც დაინტერესდა. მან ქართული ღვინის პრეზენტაცია იაპონელი ღვინის პროფესიონალებისთვის გამართა, რომლებსაც ქართული ღვინის კულტურასა და ქართულ ღვინოს აცნობდა. „კენიჩი ოჰაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია იაპონიაში, რომელიც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორ მარკეტინგულ კომპანია "Red Bridge“-ს ხელმძღვანელობს. ეს კომპანია ქართული ღვინისა და მეღვინეობის შესახებ მარკეტინგულ და სარეკლამო კამპანიას იაპონიაში 2017 წლიდან ახორციელებს” - ვკითხულობთ „კვირის პალიტრაში“. (იაპონელი ღვინის მაგისტრი, რომელიც მსოფლიოს ქართულ ღვინოს აცნობს, 2019)

ინფორმაციაში საუბარია საქართველოს, როგორც პირველი ღვინის მწარმოებელი ქვეყნის შესახებ, ქართულ ღვინოებზე „შატო მუხრანზე“, „თელიან ველზე“, „ასკანელ ძმებზე“ და სხვ.

ამ ინფორმაციით გაზეთი ცდილობს გააღვივოს ინტერესი ქართულ ღვინოსა და ქართული ღვინის კულტურის უნიკალურობაზე, მკითხველს გააცნოს გამოფენა „საქართველო - ღვინის სამშობლო“. ტექსტს, მეტი დამაჯერებლობისათვის, ახლავს ფოტო, სადაც ასახულია პროექტის სარეკლამო ბანერები.

ღვინის ფესტივალი საკმაოდ პოპულარული გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მას აშუქებენ როგორც რადიოსა და ტელევიზიაში, ასევე პრესაში. გაზ. „კვირის პალიტრა“ ფესტივალთან დაკავშირებით გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის და სად ჩატარდება ფესტივალი. „რა არის "ქართული ღვინის ფესტივალი"? - კითხულობს პუბლიცისტი და თავადვე პასუხობს „ეს არის: ამაღლებული განწყობა, ულამაზესი ნივთები, რომლებსაც ახალგაზრდა სტარტაპერები თავად ამზადებენ; ყველი, რომელიც ნამდვილი ყველის გემოს გაგრძნობინებთ; ჩურჩხელა, რომელიც ვაზის სამშობლოში გამოგზაურებთ; თეატრალური წარმოდგენები, რომლებიც ემოციურ შთაბეჭდილებებს გაგიძლიერებთ და რაც მთავარია, ქართული ღვინის რამდენიმე ათეული სახეობა, ყველა მათგანი მზად არის დეგუსტაციისთვის და თავის პირველ სტუმრებს ელოდება.“ (ზაქრაძე, 2019)

ღვინის ფესტივალს გამოეხმაურა ინტერპრესნიუსიც (თელავი ღვინის ფესტივალს „თელავინო 2019“ მასპინძლობს, 2019), სადაც საუბარია ქართული ღვინის დღეების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს წარმოჩენას და, ზოგადად, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას. ინფორმაციას თან ერთვის ფოტო მასალა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტის მიერ გადმოცემული ინფორმაცია იმავე შინაარსის არის, რაც სხვაგან იყო, მაგრამ ამასთან ერთად ის სხვებისაგან სრულიად განსხვავდება მიწოდებისა და გავრცელების ფორმით.

საქართველოში ჩატარებული კულტურული ღონისძიებებიდან, ყოველთვის დიდ ყურადღებას იწვევს ლიტერატურული პრემია „საბა“. სხვადასხვა დროს ეს პრემია მიღებული აქვთ მწერლებსა და პოეტებს, რომელთა სახელები ქართული პროზისა და პოეზიის მშვენებაა. ამ ღონისძიების შესახებ პუბლიკაციები შეგვიძლია ჭარბად მოვიძიოთ ქართულ პრესაში. „ **სწორედ „საბა“ იქცა ბოლო პერიოდის ყველაზე მასშტაბურ სოციალურ-ლიტერატურულ აქციად, რომელიც წიგნიერების ამაღლებას ემსახურება და ხელს უწყობს წიგნების ხელმისაწვდომობას მკითხველი საზოგადოებისთვის.“ - წერს გაზეთი „რეზონანსი“.** (გოცირიძე, 2018)

პუბლიკაციაში საკმაოდ ბევრი კომენტარი გვხვდება. პირველი კომენტარი მწერალ ვახტანგ ჯავახაძეს ეკუთვნის. იგი მადლობას უხდის ღონისძიების ორგანიზატორს. „უკანასკნელი წლების ქართული ლიტერატურის ცხოვრებაში "საბა" არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. მან დაარღვია ქართული ლიტერატურის მყუდროება და გახდა დღესასწაული, რომელსაც ყოველწლიურად მწერლები და მკითხველები დიდი მოთმინებით ელოდებიან. (გოცირიძე, 2018) ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ლევან ბერძენიშვილმა, რომელმაც აღნიშნა „ნებისმიერი მწერლის დაუოკებელი სურვილია, იბრძოლოს ამ პრემიის მოპოვებისთვის, საოცრად დიდია ეს სტიმული. ცხადია, სხვა რამდენიმე პრემიაც გაიცემა, მაგრამ "საბა" აშკარად გამოკვეთილი ლიდერია“. პოეტ ბესიკ ხარანაულის აზრით „საბა" უზომოდ წარმატებული კულტურული პროექტია, რომელიც ამ მიმართულებით ლიდერია. გადაჭარბებულად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ მან სულზე მოუსწრო ახალი დროის ათვლას ჩვენს ქვეყანაში - დემოკრატიის წინსვლას დაემთხვა. რესპექტაბელური და შთამბეჭდავია უზადო თავისუფლებით, უბრალოებით და გამორჩეული ობიექტურობით“. ამ ფესტივალის შესახებ კომენტარი მრავალმა მწერალმა და პოეტმა გააკეთა. მათი აზრით „საბა“ ძალიან პრესტიჟული, სასიამოვნო, ყველასთვის საოცნებო პრემიაა გამორჩეული ნომინაციებითა და ყოველთვის უმაღლესი ხარისხით.

აქვე, გაზეთი ინფორმაციას გვაწვდის, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართული მწერლობის მედროშეობას „საბა" გასწევს.

ინფორმაცია საინტერესო და საყურადღებოა. ტექსტთან ერთად მოთავსებულია ფოტო ქართული პავილიონის შესახებ, რომელიც მასალას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

დღეს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში მრავლად არის გავრცელებული მუსიკალური ტელეპროექტები, რომელთა ძირითადი მიზანია აღმოაჩინოს ახალი ნიჭიერი შემსრულებლები, როგორც სიმღერაში, ასევე ცეკვაში.

მუსიკალური პროექტების რეიტინგის ასამაღლებლად საჭიროა ნებისმიერი ინფორმაცია. ამიტომ სატელევიზიო გადაცემები, ასევე პრესა, რადიო, სოციალური ქსელები დიდ ყურადღებას უთმობენ ინფორმაციას პროექტში მონაწილეთა შესახებ.

საინფორმაციო საშუალებები რეგულარულად აშუქებდნენ მუსიკალურ პროექტს, საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც მუსიკოსების წინაშე იდგა. მაგრამ მიუხედავად ამისა, პროექტის შესახებ იმდენ ინფორმაციას ვერ მოიძიებ, რამდენსაც უშუალოდ მის მონაწილეებზე. როგორც ჩანს საზოგადოებაში მონაწილეების პირადი ცხოვრება, ჩაცმის სტილი, მუსიკალური გემოვნება უფრო დიდ

ინტერესს იწვევს, ვიდრე უკვე დავიწყებული პროექტი, თუმცა თავის დროზე მასზე საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდნენ და აქტიურად განიხილავდნენ.

ამ პერიოდის ყველაზე აქტუალურ მუსიკალურ პროექტებიდან ერთ-ერთია **„რუსთავი 2"-ის პროექტი „მხოლოდ ქართული",** რომელშიც მხოლოდ ქართულ სიმღერებს მღერიან. პროექტის მიზანია ქართული სიმღერების პოპულარიზაცია. „მხოლოდ ქართული" განიხილებოდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში. მის შესახებ ძირითადად მოცემულია ვიდეო და ფოტო მასალა, ასევე ვხვდებით ინფორმაციული სახის მასალებსაც. „რუსთავი 2"-ის საშუალებით მაყურებელი უყურებდა არა მარტო კონცერტებს იმ 10 კონკურსანტის მონაწილეობით, რომლებმაც შესარჩევ ტურებში გაიმარჯვეს, არამედ საშუალება ეძლეოდათ თვალი ედევნებინათ კასტინგის მიმდინარეობაზე, თუ რა ხდებოდა შესარჩევ ოთახში და მის გარეთ, რას ფიქრობდნენ და განიცდიდნენ მონაწილეები და მათ საგულშემატკივროდ მისული ოჯახის წევრები და მეგობრები. (მუსიკალური მეგა-შოუ „მხოლოდ ქართული" რუსთავი ორის მაყურებელს უბრუნდება, 2019)

„მხოლოდ ქართული" ის პროექტია, სადაც აბსოლუტურად მთელი რესურსი ქართულ სიმღერაშია ჩადებული. აქ მხოლოდ ქართულად, მშობლიურ ენაზე მღერიან, ამიტომ, ყველაზე ეროვნული პროდუქტია." - აცხადებს ჟიურის ერთ-ერთი წევრი სოფო ნიჟარაძე. ("დაცინვა ზუსტად ის იქნებოდა, უარი გვეთქვა მონაწილეობაზე" - ჰყავს თუ არა ფავორიტები სოფო ნიჟარაძეს პროექტში "მხოლოდ ქართული"?, 2018)

ინტერვიუს დასაწყისში ავტორი წარმოგვიდგენს სოფო ნიჟარაძეს, რომელიც განმარტავს თუ რითია „რუსთავი 2"-ის ახალი პროექტი გამორჩეული. ჟურნალისტი გარკვეულია ახალ პროექტში, თავად ინტერვიუირებულის საქმიანობაში და ეს საკმაოდ საინტერესოს ხდის ინტერვიუს. ის დეტალურად ეკითხება მუსიკოსს როგორც პროექტის, ასევე მონაწილეების შესახებ, ცდილობს კონკრეტული პასუხები მიიღოს და მკითხველისთვის გასაგებად და საინტერესოდ წარმართოს საუბარი. ამავე დროს რესპონდენტიც ხედავს, რომ ინეტრვიუერი კარგად ერკვევა სასაუბრო თემაში და ეს მას აძლევს სტიმულს უფრო გულწრფელად უპასუხოს მას.

- ვიცი, რომ ჟიურის ის 10 კონკურსანტი, რომელმაც 23 აპრილს ბრძოლა უნდა დაიწყოს, უკვე შერჩეული გყავთ. პროექტიდან რას და ვის აღმოჩენას ელით?

ამ კითხვით ჟურნალისტი ცდილობს დააზუსტოს დეტალები. ინტერვიუირებულს საშუალება მისცეს ისაუბროს შემსრულებლის შესახებ.

გაზეთ „რეზონანსში" დაიბეჭდა ლელა ოჩიაურის პუბლიკაცია „მხოლოდ ქართულის" გამარჯვებულის სოფო ბათილაშვილის შესახებ. „სოფო ბათილაშვილის გამოჩენა ქართულ მუსიკალურ სამყაროში მოვლენად იქცა და როგორც ქართველი მსმენელის, ისე „მხოლოდ ქართულის" კომპეტენტური ჟიურისათვისაც! როგორც ცნობილია, ეს მოხდა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ახალი პროექტის პირველი სეზონის პირველივე ტურში. შემდეგ ახალგაზრდა მომღერალმა ისე განვლო მთელი კონკურსი, რომ ყველა ეტაპზე უცვლელი ლიდერი იყო და ლიდერადვე დარჩა". - ვკითხულობთ პუბლიკაციაში. (ოჩიაური, 2019)

ლელა ოჩიაური საინტერესოდ გვესაუბრება ფესტივალის „ქართველები ამერიკაში" შესახებ. პუბლიკაციის ავტორი ინფორმაციას გვაწვდის ამ პროექტში მონაწილე ჯგუფზე „მხოლოდ ქართული", რომელიც სოფო ბათილაშვილმა შექმნა. გვესაუბრება იმ მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, რომლებიც მკითხველისათვის საყურადღებოა და ცდილობს საზოგადოებას ეს პუბლიკაცია უფრო საინტერესოდ მიაწოდოს.

თბილისში ციფრული ხელოვნების მუზეუმის გახსნის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა როგორც ბეჭდურმა, ასევე ელექტრონულმა მედიამ. ინფორმაციებში განსხვავებულს ვერაფერს ვნახავდით. სრულყოფილად იმის ნახვა, თუ რა ხდებოდა მუზეუმში, ეს მხოლოდ ისევ და ისევ ვიდეო მასალის საშუალებით იყო შესაძლებელი. და ეს გასაკვირი არც არის. რადგან, ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციას უფრო მეტი დასწრების ეფექტი მოაქვს მომხმარებლისთვის, უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებთ აუდიო-ვიდეო მასალით, ვიდრე სხვადასხვა ვებგვერდებზე დადებული და პრესაში დაბეჭდილი ინფორმაციით. ვიდეო მასალაში არის აღბეჭდილი მონაწილეების აზრი, მსმენელების კომენტარები როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე, ინტერვიუები პროექტის დამფუძნებელთან, მონაწილეებთან და მსმენელებთან.

ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო გადაცემაში კორესპონდენტმა შორენა კოპალეიშვილმა გაგვაცნო მუზეუმი. შესაძლებლობა მოგვცა მუზეუმის დამფუძნებელთან თაკო მიქაშავიძესთან ერთად გვემოგზაურა ვირტუალურ სამყაროში. (თბილისში ციფრული ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა, 2019)

საქართველოში მომრავლდა ფილმების გადაღება, იღებენ სხვადასხვა ჟანრის ფილმებს, ასევე ბევრია ქართული სერიალები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ქართულ საზოგადოებაში.

კანის კინო ფესტივალის მრავალფეროვან პროგრამაში საქართველოც იქნა წარმოდგენილი. წარმოშობით ქართველი, შვედი რეჟისორის ლევან აკინის ქართულ-შვედური ფილმის „და შემდეგ ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერა კანის “Director’s Fortnight“ სექციაში შედგა. პირველმა გეი ფილმმა კანის კინოფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა. 10 საუკეთესო ფილმს შორის მეშვიდე ადგილზე გავიდა. ამერიკულმა ჟურნალმა W-მ 2019 წლის კანის კინოფესტივალის 15 ვარსკვლავი დაასახელა, რომელთა შორის ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი ქართველი მსახიობი ლევან გელბახიანიც მოხვდა.

ივლისში ოდესის კინოფესტივალზე „და შემდეგ ჩვენ ვიცეკვეთ“ საუკეთესო ფილმად აღიარეს და გრან-პრი **მოიპოვა.** ლევან გელბახიანი კი საუკეთესო მსახიობად დასახელდა. („და ჩვენ ვიცეკვეთ“ შესაძლოა „ოსკარზე“ მოხვდეს, 2019) **„ამ ფილმის საშუალებით, მე დავუბრუნდი ჩემს ფესვებს, როგორც რეჟისორი. ძალიან ორგანულად ვმუშაობ ფილმზე, რომელზეც ნამდვილი ადამიანების ისტორიები და საქართველოში მიმდინარე ამბები დიდ გავლენას ახდენს.“ - აცხადებს რეჟისორი.** (ჩოხელი, 2019)

როგორც ფილმის, ასევე რეჟისორისა და მსახიობების შესახებ პუბლიკაციები დაიბეჭდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ პრესაში. გამოცემა “Indiewire“ წერს, აკინმა ქართველ მოცეკვავეებთან ვრცელი ინტერვიუების მეშვეობით დაინახა, რომ გენდერისა და სექსუალობის საკითხები მთავარ კონფლიქტს წარმოშობს კონსერვატიულ, რელიგიურ კულტურაში. (Dry, 2019)

მედია საშუალების ინფორმაციით, ფილმი, რომელიც გეი სიყვარულზე მოგვითხრობს, შვედეთის სახელით „ოსკარზე" უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში იბრძოლებს. შვედური გამოცემა წერს, რეჟისორს ჰკითხეს, რატომ არ გაიტანა მან ფილმი საქართველოს სახელით, აკინმა უპასუხა : „საქართველოში ფილმმა დიდი სიმპატიები ვერ დაიმსახურა და ეს რთული იქნებოდა“. (And then we danced blir Sveriges Oscarsbidrag, 2019) ამ პასუხით ვხვდებით, რომ ქართველმა მაყურებელმა ფილმი არ მიიღო და ამაზე განაწყენებულმა რეჟისორმა „ოსკარზე“ ფილმი საქართველოს სახელით არ გაიტანა. თუმცა, რეჟისორი ამას ფილმის გადაღებისთანავე გრძნობდა „მგონია რომ ქართველი და ევროპელი მაყურებელი სხვადასხვანაირად შეხედავს ამ ფილმს. ქართველმა მაყურებელმა შეიძლება სხვა შრეები დაინახოს მასში. ეს ფილმი ჩემთვის ერთგვარი სასიყვარულო წერილია საქართველოსადმი“. (72-ე კანის კინოფესტივალი და ლევან აკინის წარმატებული პრემიერა, 2019)

უცხოურ პრესაში „Indie Wire", ,,The Hollywood Reporter", "Screen Daily", "Liberation" და სხვა დაიბეჭდა დადებითი რეცენზიები ფილმის შესახებ, ხოლო ქართულ მედიაში ძირითადად ინფორმაციები არის მოთავსებული, ხოლო მსჯელობისა და ანალიზისაგან თავს იკავებენ. მხოლოდ ფილმის შემქმნელების კომენტარები გვხვდება, რომლებიც დადებითად აფასებენ ფილმს „ფილმი როგორც კი ვნახეთ, ყველამ ერთხმად აღვნიშნეთ, რომ ის დიდ წარმატებას მიაღწევდა და ასეც აღმოჩნდა: „და ჩვენ ვიცეკვეთ“ კანის კინოფესტივალზე მოხვდა“ (მეფარიშვილი, 2019) - **აღნიშნა Post Red Audio-ს დამფუძნებელმა და ხმის დიზაინერმა ბესო კაჭარავამ.**

როგორც ვხედავთ, ქართული მედია კულტურის საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენს. საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები ეძღვნება კინოს, მუსიკას, ცალკეულ კულტურულ ღონისძიებებს. აქვე უნდა ითქვას, ხშირად სხვადასხვა არხის სიუჟეტები იდენტურია. თითოეული სიუჟეტი უფრო ინფორმაციული ხასიათისაა. იშვიათად გვხვდება პრობლემის წინ წამოწევა და ამ პრობლემაზე მსჯელობა, გადაჭრის გზები. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები ერთი და იგივე თემებს ეხებიან. ხშირად ეს თემები პოლიტიკური ხასიათისაა. პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული.

პრესაში კულტურის საკითხებზე გვხვდება როგორც დადებითი, ასევე კრიტიკული პუბლიკაციები. რაც შეეხება ჟანრებს, უფრო ინფორმაციული ხასიათისაა. ძირითადად გვხვდება ინფორმაციული შენიშვნები და ინტერვიუები. პორტრეტული ნარკვევი უფრო ყვითელი პრესისათვის არის დამახასიათებელი.

ონლაინ მედიაშიც შეიმჩნევა ანალიტიკური პუბლიკაციების ნაკლებობა, იშვიათად გვხვდება კრიტიკული აზრი და კულტურული ცხოვრების შეფასება.

ბიბლიოგრაფია:

გოცირიძე, მ. (2018 წლის 14 სექტემბერი). "საბა" - საოცნებო პრემია გამორჩეული ნომინაციებითა და ყოველთვის უმაღლესი ხარისხით. *რეზონანსი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=6&id_artc=55830

"დაცინვა ზუსტად ის იქნებოდა, უარი გვეთქვა მონაწილეობაზე" - ჰყავს თუ არა ფავორიტები სოფო ნიჟარაძეს პროექტში "მხოლოდ ქართული"? (2018 წლის 12 აპრილი). *კვირის პალიტრა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.kvirispalitra.ge/public/42106-qdacinva-zustad-is-iqneboda-uari-gvethqva-monatsileobazeq-hyavs-thu-ara-favoritebi-sofo-nizharadzes-proeqtshi-qmkholod-qarthuliq.html

„და ჩვენ ვიცეკვეთ“ შესაძლოა „ოსკარზე“ მოხვდეს. (2019 წლის 07 აგვისტო). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://sputnik-georgia.com/culture/20190807/246183796/qartuli-gei-pilmi-oskarebze.html

დოლიძე, ნ. (2019 წლის 01 ოქტომბერი). "ქართული ღვინის გემო თავის ამბავს თვითონ ჰყვება". *კვირის პალიტრა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/57417-qqarthuli-ghvinis-gemo-thavis-ambavs-thvithon-hyvebaq.html?device=xhtml

ზაქრაძე, ნ. (2019 წლის 30 სექტემბერი). 12 ოქტომბერს "ქართული ღვინის ფესტივალი 2019" ჩატარდება. *კვირის პალიტრა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.kvirispalitra.ge/mnishvnelovani-informacia/57418-12-oqtombers-qqarthuli-ghvinis-festivali-2019q-chatardeba.html

თბილისში ციფრული ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა. (2019 წლის 07 ოქტომბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://imedinews.ge/ge/kultura/118307/tbilisshi-tsipruli-khelovnebis-muzeumi-gaikhsna

თელავი ღვინის ფესტივალს „თელავინო 2019“ მასპინძლობს. (2019 წლის 05 ოქტომბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.interpressnews.ge/ka/article/566850-telavi-gvinis-pestivals-telavino-2019-maspinzlobs/

იაპონელი ღვინის მაგისტრი, რომელიც მსოფლიოს ქართულ ღვინოს აცნობს. (2019 წლის 13 აპრილი). *კვირის პალიტრა,* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.kvirispalitra.ge/mnishvnelovani-informacia/52526-iaponeli-ghvinis-magistri-romelic-msoflios-qarthul-ghvinos-acnobs.html?add_new=1&all=0&rnd=1560444156.5364

მეფარიშვილი, თ. (2019 წლის 05 ივნისი). *“და ჩვენ ვიცეკვეთ” – ქართული ფილმი კანის ფესტივალზე, რომლის ხმის პოსტპროდუქციაზე Post Red Audio-მ იმუშავა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.marketer.ge/georgian-movie-cannes-postred/

მუსიკალური მეგა-შოუ „მხოლოდ ქართული“ რუსთავი ორის მაყურებელს უბრუნდება. (2019 წლის 22 მაისი). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://musicbox.ge/gadacema/musikaluri-mega-shou-mkholod-qartuli-rustavi-oris-mayurebels-ubrundeba/

ოჩიაური, ლ. (2019 წლის 23 იანვარი). სოფო ბათილაშვილი და ჯგუფი "მხოლოდ ქართული" ნიუ-იორკში მიიწვიეს. *რეზონანსი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=6&id_artc=64089

ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის გაზრობაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარსდგება. (2014 წლის 03 ივლისი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://ghn.ge/news/111199

ჩოხელი, ქ. (2019 წლის 10 მაისი). *კანის კინოფესტივალის ფარგლებში ქართულ-შვედური ფილმის „და შემდეგ ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერა გაიმართება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://1tv.ge/news/veneciis-72-e-kinofestivalis-farglebshi-qartul-shveduri-filmis-da-shemdeg-chven-vicekvet-premiera-gaimarteba/

72-ე კანის კინოფესტივალი და ლევან აკინის წარმატებული პრემიერა. (2019 წლის 21 მაისი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://tbilisifilmfestival.ge/web/index.php?r=newsall%2Findex&id=732&cat=news

And then we danced blir Sveriges Oscarsbidrag. (2019, Augusti 28). *SVT Nyheter*. Retrieved from https://www.svt.se/kultur/sveriges-oscarsbidrag

Dry, J. (2019, May 9). *'And Then We Danced' Trailer: First Look at Georgian Gay Dance Romance Ahead of Cannes Debut.* Retrieved from https://www.indiewire.com/2019/05/and-then-we-danced-trailer-gay-dance-romance-1202132725/

Maka Dolidze

David Aghmashenebeli University of Georgia

HIGHLIGHTING OF CULTURAL ISSUES IN MEDIA

RESUME

The role of media in culture is discussed in the given work. The topic speaks about the standards and violations that are observed in Georgian media.

The aim of the thesis is to study out how active is media and how the development trends have changed. We have undertaken a study where we have used a qualitative analysis, which helped us in our work. Practical examples and theoretical analyzes consider signs and the characteristics of the role of media in culture. Some examples are presented from Georgian and Foreign media.

Finally, according to the publications, we may conclude, that media pays great attention to culture. Lately, changes for the better have been observed in this direction. But it is not enough. More material should be printed in the media and it should systematically cover current culture problems. More attention should be paid to the role of media in culture.

Keywords: Culture, Media, Publication, Music project, Festival.

კლარა ელჩიბეგაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიზმი, რენესანსი, ნეოპლატონიზმი, არეოპაგიტიკა, ეკლექტიკა.

ნაშრომის შესავალი

მსოფლიო კულტურის ისტორიაში რუსთაველი უდიდესი და ერთ-ერთი ადრინდელი ჰუმანისტია, რა თქმა უნდა რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმი იგულისხმება. რენესანსული ჰუმანიზმი, რენესანსის იდეურ შინაარსს წარმოადგენს. ცხადია ბუნებრივად დგება აღმოსავლური და კერძოდ ქართული რენესანსის პრობლემა, რადგან ბევრ მკვლევარს საკამათოდ მიაჩნია რენესანსის საკითხი არაევროპულ ქვეყნებში. ქართული რენესანსი ადამიანის სულიერი ზეასვლის შესაძლებლობას აღმერთებს. ქართული რენესანსი არა მარტო ნეოპლატონიზმზე დგას მყარად, არამედ ღრმად ფლობს ანტიკურ ფილოსოფიას: სოკრეტეს, პლატონს, არისტოტელეს. შალვა ნუცუბიძის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებლის აღმოსავლური რენესანსის თეორია სულ მეტ მომხრეებსა და ფართო აღიარებას პოულობს. დავიმოწმებთ ისეთ ავტორიტეტულ მკვლევარს, როგორიც ა. ლოსევია, რომელსაც მიაჩნდა, რომ „ქართველი მოაზროვნეები გამოდიოდნენ ნეოპლატონური და არეოპაგიტული რენესანსის წამომწყებად ევროპაში, რომ მათ, ეჭვს გარეშე, ეკუთვნით ამ მხრივ პრიორიტეტი და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას“.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში რუსთაველი უდიდესი და ერთ-ერთი ადრინდელი ჰუმანისტია, რა თქმა უნდა რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმი იგულისხმება. რენესანსული ჰუმანიზმი, რენესანსის იდეურ შინაარსს წარმოადგენს. ცხადია ბუნებრივად დგება აღმოსავლური და კერძოდ ქართული რენესანსის პრობლემა, რადგან ბევრ მკვლევარს საკამათოდ მიაჩნია რენესანსის საკითხი არაევროპულ ქვეყნებში. თუმცა ისიც ცხადია, რომ შალვა ნუცუბიძის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებლის აღმოსავლური რენესანსის თეორია სულ მეტ მომხრეებსა და ფართო აღიარებას პოულობს. დავიმოწმებთ ისეთ ავტორიტეტულ მკვლევარს, როგორიც ა. ლოსევია, რომელსაც მიაჩნდა, რომ „ქართველი მოაზროვნეები გამოდიოდნენ ნეოპლატონური და არეოპაგიტული რენესანსის წამომწყებად ევროპაში, რომ მათ, ეჭვს გარეშე, ეკუთვნით ამ მხრივ პრიორიტეტი და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას. დავა ამის წინააღმდეგ შეუძლებელია.“ (ხიდაშელი & მახარაძე, 2013, გვ. 315) უეჭველი ფაქტია, რომ რუსთაველის ჰუმანიზმი რჩება პოემის იდეური შინაარსის კვლევის ამოსავლად და შედეგების საზომად.

შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა დუალისტური იყო. მისი დაძლევა ვერ მოხერხდა მონოთეიზმის საფუძველზე. უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე დუალიზმის დაძლევას აძლევდა დიდი მნიშვნელობას რუსთაველის მსოფლმხედველობაში. სწორედ ამ სინთეზშიაო რუსთაველის მიერ ამქვეყნიურ სიკეთეთა პოეტური ხორცშესხმის სიდიადეო, წერდა იგი. რუსთაველის „ვეფხისტყოსანში“ სამყაროც ამაღლებულია, ადამიანიც და ბუნების ყველა მოვლენა კოსმიურ ჰარმონიაშია ჩართული, მთელი სამყარო, დაწყებული მნათობებით და დამთავრებული ქვეყნებით.

„მნათობებში ადამიანის ბედის განმგებლობის დანახვა შეესაბამება ნეოპლატონურ წარმოდგენებს და რუსთაველის ფილოსოფიურ გარემოს ისევე, როგორც მზის გატანას პირველ ადგილზე - ნეოპლატონიზმში აქვს გამართლება. მზე, როგორც ცნობილია, აღიარებულია ამ მოძღვრებაში პირველი საწყისის, ღმერთის ხილულ ხატად.“ (ხიდაშელი & მახარაძე, 2013, გვ. 318) პირველი საწყისის სამყაროსთან მიმართების რთული საკითხი გარკვეულია მზისა და მისი გამოსხივების, სხივთა ფენის ანალოგიით. მზე აღემატება დანარჩენ მნათობებს.

ჯერ კიდევ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან, კლასიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთან, არისტოტელეს მასწავლებელთან, პლატონთან, რომლისგანაც მნიშვნელოვნადაა დავალებული ნეოპლატონიზმი, იდეა წარმოადგენდა უმაღლეს არსს, უმაღლეს სიკეთეს, უმაღლეს მშვენიერებას და ჭეშმარიტი შემეცნების უმაღლეს მიზანს. სამყარო ერთი მთლიანობაა რუსთაველისთვისაც, მაგრამ, როგორც პოეტისათვის. ის ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს. რუსთაველის პოემაში გვხვდება არაერთი პირდაპირი გამოთქმა მთლიანად სამყაროს და მისი ცალკეული მოვლენების მშვენიერებაზე:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“ (რუსთაველი, 1951, გვ. 14)

„ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების მთავარ მოტივს სიყვარულის გრძნობა წარმოადგენს, სიყვარული ადამიანურის ერთ-ერთი კომპონენტია. რუსთაველის გაგებით მიჯნურობა განსხვავებულია, მისი გაგება ზეციურისა და მიწიერის მსოფლმხედველობრივი სინთეზით არის განსაზღვრული. ერთსა და იმავე დროს ის ადამიანური გრძნობაცაა და ამაღლებულიც, ისევე ამაღლებული, როგორც სამყარო და ადამიანი.

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა,

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა,

ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.“ (რუსთაველი, 1951, გვ. 10)

ცირიტებულ სტროფებში მიჯნურობის სამი სახეობაა განხილული:

- ამაღლებული სიყვარული, რომელიც განეკუთვნება იდეალურ სამყაროს და არის „აღმაფრენათა“ მომცემი გრძნობა;
- დაბალი, ხორციელ სიამოვნებაზე დაყვანილი გრძნობა, რომელიც არსებითად იგივე სიძვაა;
- მიჯნურობის ისეთი გაგება, რომელიც პოემაში არის პოეტურად განსხვავებული „არ სიძვენ, შორით ბნდებიან.“

უფრო ადრე, ვიდრე ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის თეორია წარმოიქმნებოდა შალვა ნუცუბიძემ ყურადღება მიაქცია არეოპაგიტულ მოძღვრებას, როგორც რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების წყაროს. რუსთაველის წყაროს ძიება ამ მიმართულებით რჩებოდა ნეოპლატონიზმის თეორიის ფარგლებში, რადგან თვით არეოპაგიტიკის ფილოსოფიურ წყაროს იგივე ნეოპლატონიზმი წარმოადგენს. ნეოპლატონიზმი შუა საუკუნეების და ნაწილობრივ რენესანსის აზროვნებაზე არეოპაგოტული მოძღვრების მეშვეობით ახდენდა ზეგავლენას. ამ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ძიება, მათი მნიშვნელობის გარკვევა, კერძოდ, რენესანსის ეპოქაში და ანალოგიების დადგენა რუსთაველის ეპოქის ქართულ კულტურულ და ფილოსოფიურ ვითარებასთან, წარმოადგენს შალვა ნუცუბიძის დიდ და უდაო დამსახურებას.

შალვა ნუცუბიძე მივიდა იმ აზრამდე, რომ შუა საუკუნეებში რენესანსის ფილოსოფიური ძირების ძიებისას ანტიკურობის ათვისება ხდებოდა ორი გზით: „ანტიკური მემკვიდრეობის ლოგიკური განვითარება მის საბოლოო ფორმირებამდე და საეკლესიო აზროვნების ცდები - ეკლექტიკურად შეეგუებინათ ანტიკური აზროვნება ქრისტინული დოგმების დაფუძნებისადმი. პირველ გზას მიეკუთვნებიან ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, იოანე სკოტ ერიუგენა, იოანე პეტრიწი და სხვ.“ (მახარაძე, 2013, 329) მეორე გზის მიმდევარნი კი იყვნენ: კლიმენტ ალექსანდრიელი, ტერტულიანე, ავგუსტინე, თომა აქვინელი და სხვ.

ანტიკურობის ათვისების პირველი გზა შალვა ნუცუბიძის აზრით, მსოფლმხედველობრივად ამზადებს რენესანსს, აქ მთავარი როლი ეკუთვნოდა არეოპაგიტულ მოძღვრებას, სადაც მოცემული იყო პირველმიზეზიდან არსებათა აუცილებლად გამომდინარეობის პრინციპი და გამორიცხული იყო წინასწარი არჩევანი, რაც ეწინააღმდეგება დოგმატს (ღმერთის მიერ არსებათა შექმნას არაფრისგან). შალვა ნუცუბიძეს არეოპაგიტული მოძღვრება რენესანსის მთავარ მსოფლმხედველობრივ საფუძვლად მიაჩნდა. მისი აღმოსავლური რენესანსის თეორიის ბირთვია ქართული რენესანსის თვალსაზრისი. შალვა ნუცუბიძეს არეოპაგოტული მოძღვრების ნამდვილ ავტორად მიაჩნდა პეტრე იბერი და ამდენად XI ს-ში ეფრემ მცირეს მიერ ქართულად თარგმნილ არეოპაგიტულ თხზულებებს, მისი აზრით, გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა „ვეფხისტყაოსანზე“ და იგი რენესანსულ ძეგლად მიაჩნდა, რომელსაც მსოფლმხედველობრივი ნიადაგი სამშობლოში ჰქონდა.

პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი და რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, კარი მეორე, მზის წილი, წერს: „თავის შესანიშნავ წერილში ნესტანი ტარიელს, სხვათა შორის, ასე მიმართავს:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღმაცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი.“ (ნოზაძე, 2006, გვ. 413)

შემდეგ მკვლევარი ასე შლის ამ სტროფს:

- ტარიელის გარეშე ვერ იარსებებს მზე, რადგან ტარიელი მზის ნაწილია;
- ამიტომ ტარიელი მას ეახლება, როგორც მისი ზოდიაქოს შემადგენელი ნაწილი;
- ნესტანს გაუნათლებს გულს მოვლენის ხილვა, რადგან ტარიელი დაბადებული მზის ნიშანზე, მზიური ბედის ვარსკვლავზე და ამიტომ ტარიელი არის მზის ნაწილი.

ტარიელი არის მეფე და როგორც მეფე იგი აგრეთვე არის მზის ნაწილი, ამიტომ ნესტანი ფიქრობს, რომ უტარიელოდ მზე ვერ იქმნება. ნესტანის სული ტარიელის სულს მზეზე ნახავს, რადგან ტარიელი მზის წილია და ნესტანის მეფური სულიც უეჭველად მზეზე აფრინდება.

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი თავის ნაშრომში „ნადიმი“ წერს: „სიყვარული არის სურვილი სიკეთის მარადიული ფლობისა... მამრისა და მდედრის თანაყოფის შედეგი შობაა, ხოლო ჩასახვასა და შობას ღვთაებრივ აქტს ვუწოდებ მე, როგორც უკვდავი საწყისის გამოვლენას მოკვდავ არსებაში.“ (პლატონი, 1964, გვ. 56) პლატონის აზრით შობა ანიჭებს უკვდავებას მოკვდავ არსებას, ხოლო სიყვარულში მხოლოდ სიკეთის მარადიული ფლობის სურვილია, სიყვარული აგრეთვე სურვილია უკვდავებისა. პლატონის აზრით სიყვარული არის სურვილი სიკეთის მარადიულ ფლობისა, როგორც რუსთაველი იტყვის თავის უკვდავ პოემაში „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“. პლატონის აზრით შობა ანიჭებს უკვდავებას მოკვდავ არსებას, სიყვარული აგრეთვე სურვილია უკვდავებისა. ქართული რენესანსი ადამიანის სულიერი ზეასვლის შესაძლებლობას აღმერთებს. ქართული რენესანსი არა მარტო ნეოპლატონიზმზე დგას მყარად, არამედ ღრმად ფლობს ანტიკურ ფილოსოფიას: სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს. „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ - რუსთაველი პლატონის იდეათა სამყაროზე მიანიშნებს „ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა.“

ბიბლიოგრაფია:

ლოსევი, ა. (2005). *აღმოსავლური რენესანსი.* ბათუმი: გამომცემლობა აჭარა.

მახარაძე, მ. (რედ.). (2013). *ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია* (ტ. 4). თბილისი: უნივერსალი.

ნოზაძე, ვ. (2006). *ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება* (ტ. III). თბილისი.

პლატონი. (1964). *ნადიმი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

რუსთაველი, შ. (1951). *ვეფხისტყაოსანი.* თბილისი: სახელგამი.

ხიდაშელი, შ., & მახარაძე, მ. (რედ.). (2013). *ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია* (ტ. 1). თბილისი: უნივერსალი.

Klara Elchibegashvili

Gori State-teaching University

„IT UPLIFTS TO HEAVEN THE SOUL OF THOSE WHO ENDURE LOVE'S ANGUISH" RESUME

The Eastern Renaissance theory of Shalva Nutsubidze, the founder of the Scientific School of the History of Georgian Philosophy, is gaining more and more supporters and wide recognition. .We will testify to such an authoritative researcher as A. Losevia, who believed that "Georgian thinkers were emerging as the initiators of the Neoplatonic and Areopagite Renaissance in Europe, that they undoubtedly had priority in this regard, and that they were several centuries ahead of Western Europe here." Rustaveli is the greatest and one of the earliest humanists in the history of world culture, of course, it means the humanism of the Renaissance era. Renaissance humanism is the ideological content of the Renaissance. Obviously, the problem of the Eastern and Georgian Renaissance arises naturally, as many scholars find the issue of the Renaissance controversial in non-European countries. .Georgian Renaissance deifies the possibility of human spiritual ascent. The Georgian Renaissance not only stands firmly on Neoplatonism, but also deeply owns the ancient philosophy: Socrates, Plato, Aristotle.

Keywords: Humanism, Renaissance, Neoplatonism, Areopagistics, Eclecticism.

ანა იმნაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საწარმოს საკომუნიკაციო სტრატეგია

საკვანძო სიტყვები: საკომუნიკაციო სტრატეგია, მარკეტინგი, კომპანია, ბრენდი.

საწარმოს საკომუნიკაციო სტრატეგია წარმოადგენს კომპანიის ყოვლისმომცველ გავლენას შიდა და გარე გარემოზე, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ბაზარზე სტაბილური მომგებიანი საქმიანობისთვის. საწარმოს საკომუნიკაციო სტრატეგია ორმხრივი პროცესია: ერთი მხრივ, მოსალოდნელია, რომ ის გავლენას მოახდენს სამიზნე და სხვა აუდიტორიაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მიიღებს კონტრ ინფორმაციას ამ აუდიტორიის რეაქციის შესახებ კომპანიის გავლენაზე. ეს ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია; მათი ერთიანობა იძლევა იმის საფუძველს, რომ ისაუბრონ საწარმოს, როგორც სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიაზე.

საწარმოთა საკომუნიკაციო მარკეტინგის სტრატეგიები შემუშავებულია როგორც არსებული პროდუქტის ან მომსახურების ბაზარზე წარმატებული რეკლამირებისთვის, ასევე ახალ ბაზრებზე შესვლის ან ახალი პროდუქტის ან მომსახურების შემოღებისთვის.

საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება ემყარება ბაზრის მიმდინარე საჭიროებებს, სამიზნე აუდიტორიის პრეფერენციების, მისი მენტალობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების მთავარი მიზანია მომხმარებლისა და ბრენდის ურთიერთქმედების მართვა, ბრენდთან ეფექტური და პროგნოზირებადი სამომხმარებლო კომუნიკაციის ფორმირება, ბრენდის გაუმჯობესება, მომხმარებლის მიხედვით, დროისა და ბაზრის მოთხოვნები. საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ხდება ამოცანების ანალიზი, ჩამოყალიბდა შეტყობინებები და განისაზღვრება ძირითადი ელემენტები, რომლითაც მოხდება სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლებისთვის შეტყობინებების ეფექტური გადაცემა.

კომპანიის საკომუნიკაციო სტრატეგიის კომპონენტები

არსებობს სამი კომპონენტი, რომლებიც განსაზღვრავს ბრენდის მშენებლობასა და განვითარებას და რომელზეცაა დაფუძნებული საკომუნიკაციო სტრატეგია: მარკეტინგი, კრეატიული და მედია სტრატეგიები.

საფუძველი, რომელზეც უნდა შეიქმნას კომუნიკაციის ნებისმიერი სტრატეგია, არის მარკეტინგი. მარკეტინგის ან ბრენდის მშენებლობის სტრატეგია ემყარება საფუძვლიან ანალიზს, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნას პოტენციურ მომხმარებლებზე, კონკურენტებზე და თავად პროდუქტზე. ეს ცოდნა ფუნდამენტურია მომავალი ბრენდის პოზიციონირებისა და კომუნიკაციისთვის კონცეფციების შემუშავებისთვის. საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებისთვის, მარკეტინგი გთავაზობთ უამრავ მეთოდს მიმდინარე ბრენდის აღქმის შესასწავლად - ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები, საექსპერტო ინტერვიუები და ა.შ.

კრეატიული სტრატეგიის შექმნის ეტაპზე იქმნება ბრენდის სურათი, ვითარდება აღქმის მოდელები და ბრენდის შევსების ელემენტები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქმნება საკვანძო შემოქმედებითი იდეა, რომელიც მიმზიდველი და ახლოს იქნება სამიზნე აუდიტორიასთან და გახდება მომხმარებელთან ბრენდის დიალოგის საფუძველი.

როგორც მედია სტრატეგიის ნაწილი, არსებობს საკომუნიკაციო მედიის არჩევანი, რომლითაც საკომუნიკაციო გზავნილი მიეწოდებათ სამიზნე აუდიტორიას, შემუშავებულია მედია გამოყენების სტრატეგია და ოპტიმიზირებულია სარეკლამო სტრატეგიის ბიუჯეტი. შემდეგ, თითოეული მედიისთვის (არხები, სადგურები, პუბლიკაციები და ა.შ.) სარეკლამო მედიის შერჩევა ხორციელდება და თითოეულის როლი განისაზღვრება.

ამას მოსდევს წარმოება და მოსამზადებელი ეტაპი, რომლის დროსაც ხორციელდება წარმოების სარეკლამო მასალების მომზადება, სცენარის დასრულება, სარეკლამო კლიპის წარმოება და ა.შ., რაც დამოკიდებულია დამტკიცებულ მედია მიქსზე.

ამრიგად, ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო სტრატეგიის საფუძველზე ვითარდება ყველა ბრენდის კომუნიკაცია. კომპანიის საკომუნიკაციო სტრატეგია ადგენს სახელის, ლოგოს, კორპორატიული იდენტურობის, ბრენდის წიგნის, შეფუთვის სტილს. მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია ემყარება ლოზუნგის, სარეკლამო ვიდეოს ან აუდიო კლიპის, გარე რეკლამირების, სარეკლამო მასალების (POS) სარეკლამო მასალების, ვებსაიტის და ა.შ.

კომუნიკაცია წარმოიქმნება ინტერესთა კვეთაზე, როგორც საპასუხო ურთიერთობა. საკომუნიკაციო პოლიტიკა არის მოქმედებათა და ღონისძიებების ერთობლიობა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დამყარების, შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით. რეკლამირების ჩვენება, სპონსორობისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩვენება, სარეკლამო რგოლის გაყიდვა, სარეკლამო ღონისძიებების ჩატარება, თანამშრომლების საჯარო გამოსვლები, პრეზენტაციის მასალები, საჩუქრები და სუვენირები, პრესრელიზები, ვებსაიტები - ეს ყველაფერი საკომუნიკაციო პოლიტიკის ელემენტებია.

საკომუნიკაციო სტრატეგია - ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი პროგრამა კომპანიის ძირითადი საკომუნიკაციო მიზნების მისაღწევად, როგორც მისი მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილი. მისი მთავარი ამოცანაა კომპანიის ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ხდება კომპანიის არსებული სურათის გაანალიზება, განისაზღვრება მის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანები, განისაზღვრება ძირითადი საინფორმაციო ტენდენციები და მედია არხები, რომლითაც ხდება გზავნილის გადაცემა სამიზნე აუდიტორიასთან, შეიმუშავებს საკომუნიკაციო პროგრამების და პრი-პროექტების სერიას, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდება კომპანიის იმიჯი და მისი პირველი პირები ინფორმაციულ სივრცეში. დროებითი რეგულირებისა და ეფექტურობის გაზრდის PR კამპანიის, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების ნაწილი, ასევე განსაზღვრულია PR საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI) კომპლექტი.

კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპები ექვემდებარება მათი კლასიფიკაციის მნიშვნელობას, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი თავისებურებები საკუთარი მიზნების მისაღწევად. კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციები, მიუხედავად მათი მაღალი თვითღირებულებისა, ყველაზე მიმზიდველია თანამედროვე კომპანიებისთვის, რადგან ასეთი სამუშაოს შედეგები მარტივად არის დაგეგმილი და იძლევა კონტროლის შესაძლებლობას.

ინდივიდუალური კომუნიკაციები უფრო ძვირია კონტაქტების ღირებულების თვალსაზრისით, მაგრამ მათ აქვთ უკეთესი ინდიკატორები გარე გარემოში შემავალი სუბიექტების პირადი დამაჯერებლობის შესახებ. ეფექტური პროდუქტის კომუნიკაციის ფორმირება ხდება საწარმოს ტრადიციული მარკეტინგული საქმიანობის ფარგლებში და ეს დამოკიდებულია მენეჯმენტის უნარზე, შექმნას რეგიონალური, ეროვნული და მსოფლიო სავაჭრო ნიშნები (ბრენდები).

საბაზრო კომუნიკაციის მიმართულებების ტექნიკური ეკვივალენტობის პირობებში ცენტრალურ ადგილს იკავებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიები. ეს არის საზოგადოებასთან ურთიერთობა, რომელიც მოქმედებს როგორც საკოორდინაციო ცენტრი, კომპანიის ინფორმაციული პოლიტიკის დაგეგმვა, ყველა სახის მასობრივი და ინდივიდუალური კომუნიკაციის ორგანიზაცია, ინფორმაციისა და სარეკლამო ღონისძიებების ჩატარება და საბოლოო, შეფასების კონტროლი დამოკიდებულია მისი გამოყენების ეფექტურობაზე. დ. ააკერის აზრით, საზოგადოებასთან ურთიერთობა არის „საწარმოს მენეჯმენტის ინსტრუმენტი“, რადგან იგი მუშაობს კომპანიის გარე და შიდა გარემოს სუბიექტებთან. (Aaker, 2010)

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული რეკომენდაციები სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო პოლიტიკის ერთობლიობის გათვალისწინებით, უნდა გავითვალისწინოთ კომპანიის, საწარმოს, მისი ინდუსტრიის ან ტერიტორიული ადგილმდებარეობის მახასიათებლები. სამრეწველო საწარმოს საკომუნიკაციო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება სამ კომპონენტს: კორპორატიული სტრატეგია (ბიზნესის პოზიციონირება, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების დასახვა, სპეციალობის ცოდნა, საწარმოს შესაძლებლობები); ბიზნესის განყოფილების (ფილიალი) სტრატეგია; მარკეტინგის სტრატეგია (პროდუქტის შემუშავება, სამომხმარებლო აუდიტორიის შეძენა და შენარჩუნება).

სამრეწველო საწარმოს საკომუნიკაციო პოლიტიკის მიზანია კონკურენტული უპირატესობების შექმნა, რომელიც მოიცავს წარმოების (პოტენციურ) და სამომხმარებლო (კონკურენტულ პოზიციებს) უპირატესობებს. კომუნიკაციის წარმოების ასპექტები დამოკიდებულია საწარმოს შიდა გარემოსთან (პერსონალთან, მენეჯმენტთან) მუშაობასთან, საწარმოს ორგანიზაციულ კულტურასთან, თანამშრომელთა ინფორმირების მეთოდებთან და შიდა მოტივაციის სისტემასთან. საგარეო გარემოში ურთიერთქმედების პოლიტიკა ძირითადად გავლენას ახდენს საწარმოსა და მომხმარებელს შორის გრძელვადიანი სამომხმარებლო ურთიერთობების შექმნაზე და იწვევს ინსტიტუციონალურ ხარჯებს.

გარე კომუნიკაციები მოითხოვს ცალკეული დანაყოფების საქმიანობის მკაფიო დაგეგმვას და კოორდინაციას. თანამედროვე ლიტერატურაში, გარე კომუნიკაციებისთვის აბსტრაქტული გეგმების შესაქმნელად ბევრი ვარიანტია. კომუნიკაციის დაგეგმვის ალგორითმი დაახლოებით შემდეგია: „დავალებები და ბიუჯეტი - პოზიციონირება - კვლევა - სამიზნე აუდიტორიის არჩევა და პრაქტიკული დავალებები - საკომუნიკაციო დავალებები - კრეატიული სტრატეგია - მედია სტრატეგია და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები - კამპანიის მონიტორინგი და შედეგების შეფასება“.

გარე კომუნიკაციების დაგეგმვისას ინფორმაციულ-ანალიტიკური მიდგომით და თითოეული მითითებული ეტაპის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემოთავაზებულია სამრეწველო საწარმოს გარე ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა. (Aaker, 2010)

ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების ყოვლისმომცველი გადაწყვეტის საკითხს განიხილავს ტ. ამბლერი, რომელმაც შესთავაზა შიდა კომუნიკაციების ყველა წინააღმდეგობის გადაჭრა საწარმოს შემდეგი სფეროების საშუალებით: „საწარმოს კულტურა“, „მართვის სისტემა“, „ორგანიზაციული მუშაობა“, „დაგეგმვისა და კონტროლის სისტემა“, „ინტერპერსონალური ურთიერთობები“. ადგილობრივი კორპორატიული სპეციალისტები სერტიფიკატს მიიჩნევენ საწარმოს შიდა კომუნიკაციების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზაზე, რაც პერსონალთან ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებას იძლევა.

საწარმოში შიდა ურთიერთქმედების განვითარების ფუნდამენტური მიდგომა აღწერილია ტ. ამბლერის კვლევებში. მათ წყვეტს ორგანიზაციის მდგომარეობის დიაგნოზისთვის ეფექტური სისტემის შექმნის თვალსაზრისით, მენეჯერული გადაწყვეტილებების შემუშავების მეთოდებს, ორგანიზაციული და საქმიანი კულტურის ყველა სფეროს ფორმირებას, როგორც ზოგადი კულტურის მრავალფეროვნებასა და კომპონენტს. ეფექტური კორპორატიული კულტურის შექმნის შედეგად კომუნიკაციური შიდა პროცესების გაძლიერების შედეგად, მისი აზრით, ჩნდება მენეჯერული მოგება. ამ ტიპის საწარმოს მაგალითია კომპანიის მოდელი, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ კომუნიკაციების ღირებულებაზე, რომელიც წარმოდგენილია მ. კაპლინის ერთ-ერთ ნაშრომში. ფაზური დამოკიდებულება ასეთია: საკომუნიკაციო პოლიტიკაში მიღებული ხარჯები (ინვესტიციები) იწვევს კომპანიის არამატერიალური აქტივების ღირებულების ზრდას, ბიზნეს პროცესების დაჩქარებას, ფულადი ნაკადისა და აქციონერების შემოსავლის ზრდას (აქციების ფასი და დივიდენდების ზომა იზრდება).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს ეფექტური კონკურენტული საკომუნიკაციო საწარმოს მშენებლობის განმსაზღვრელი ფაქტორია გარეგანი გარემო, რომელიც ადაპტირებს მის თანამედროვე ტექნიკურ სტრუქტურას. ცხადია, შინაგანი გარემოს ურთიერთქმედების პრობლემების გადაჭრა დიდწილად დამოკიდებულია სამრეწველო საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის კომპეტენციაზე და შესაბამისი დანაყოფების მარკეტინგის და ტექნიკური ურთიერთქმედების კორპორატიულ ტრადიციებზე.

ბიბლიოგრაფია:

Aaker, D. A. (2010). *Building Strong Brands.*

Kaplan, M. (2003). *PR Theory and Practice.*

Амблер, Т. (2009). *Практический маркетинг.* Санкт-Петербург: Питер.

Ana Imnadze

Gori State Teaching University

ENTERPRISE COMMUNICATION STRATEGY

RESUME

The communication strategy of the enterprise represents the comprehensive impact of the company on the internal and external environment in order to create favorable conditions for stable and profitable activities in the market. An enterprise communication strategy is a two-way process: on the one hand, it is expected to have an impact on the target and the other audience, and on the other hand, it will receive counter-information about the reaction of that audience to the company. These are both equally important; their unity provides a basis for talking about enterprise as a communication strategy of the system.

The development of a communication strategy is based on the current needs of the market, taking into account the preferences of the target audience, its mentality and other factors. The main goal of developing a communication strategy is to manage the interaction between the customer and the brand, to form effective and predictable consumer communication with the brand, to improve the brand, according to the customer, time and market requirements. In the process of developing a communication strategy, tasks are analyzed, messages are formed, and key elements are identified that will effectively convey messages to the target audience.

Keywords: Communication strategy, Marketing, Company, Brand.

ნარგიზა კანკია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)

ძალადობის თემატიკა ქართულ გასართობ ტელეგადაცემებში

საკვანძო სიტყვები: ტელევიზია, გასართობი გადაცემები, ძალადობა, ტელესერიალი, შოუ

ძალადობა პრობლემური საკითხია მთელს მსოფლიოში - ძალადობენ ქალებზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, უსუსურ ადამიანებზე და ა.შ. თანაც მას ვხვდებით სხვადასხვა სახით, მაგალითად, ასახელებენ ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ და ა.შ. ძალადობას. ამ პრობლემაზე საუბრობენ პოლიტიკოსები, სამართალდამცავები, უფლებათა დამცველები, ხელოვანები, მოკლედ, ყველა ვისაც როგორ შეუძლია მსჯელობს და ებრძვის ამ სიბოროტეს, მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობას თურქი დიზაინერი ინსტალაციით გამოეხმაურა - კერძოდ, მან კედელზე ქალის 440 ფეხსაცმელი გამოსახა, რადგან სწორედ ამდენი ძალადობა მოხდა ამ ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა საქართველოშიც. ამას ადასტურებს თუნდაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში (ამის შესახებ გვამცნეს 2019 წლის 25 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ქრონიკა“), რომლის მიხედვით, საგანგაშოდ დიდია ძალადობის ფაქტები. სახალხო დამცველიც ეხმიანება ამ ამბავს და მისთვის ისევ ბუნდოვანია საკითხი - რა იწვევს ამ ფაქტს და როგორ ებრძვიან მას ჩვენს ქვეყანაში. ეს სიუჟეტი დამთავრდა შსს-ს რეკლამით, სადაც აუდიტორიას, რომელიც რინგზე ძალადობის ფაქტს ესწრება, ახსენებენ, რომ ოჯახში ძალადობა სანახაობა არ არის და ნუ იქნებიან მაყურებლები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემას შსს-მ მიუძღვნა რამდენიმე რეკლამა, მაგალითად, ერთ-ერთში ქალს, რომელიც მალავს მასზე ძალადობას და სახეზე და ტანზე ზიანის ნიშნებს სხვადასხვა მიზეზით ხსნის, პოლიციელი სთავაზობს არ შეეშინდეს და ენდოს მას, თუ უნდა, რომ მის ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს.

ძალადობის საკითხების გაშუქებას თანამედროვე პერიოდში დიდი ადგილი ეთმობა. ამ თემასთან დაკავშირებულ მოვლენებს აშუქებენ საინფორმაციო პროგრამებში, მსჯელობენ ტოქშოუებში, მათ გამოხმაურება პოვეს გასართობ გადაცემებშიც.

საერთოდ, მასმედია და მათ შორის ტელევიზია მრავალ ფუნქციას ასრულებს, ცხადია, ისინი დროთა განმავლობაში იცვლება, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ფუნქციები ყოველთვის სტერილურად, კონკრეტულად მისთვის განკუთვნილ გადაცემებში კი არ ხორციელდება, არამედ ისინი ერთმანეთში გადადიან და სინთეზური სახითაც გვევლინებიან. ამ მოვლენას განაპირობებს თვითონ ფაქტის აქტუალურობა, არსებული პერიოდი და სხვ. მაგალითად, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს, ახალი ამბებისა და წმინდა პროპაგანდისტული გადაცემების გვერდით, დიდი როლი შეასრულა და მეტიც, შეიძლება ითქვას, ლომის წილიც კი შეიტანა კინოგადაცემამ „ფსიქო“. ამ საკითხს ჩვენ რამდენიმე სტატია მივუძღვენით და მასზე ახლა დეტალურად არ შევჩერდებით, მაგრამ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ იმას, რომ იმ დროისთვის შესაფერისი ფილმებით, წამყვანისა (გ. გვახარია) და მოწვეული სტუმრების მეშვეობით, ამ კინოგადაცემამ ეფექტურად შეასრულა ის როლი, რომელიც, პირდაპირი გაგებით, მისი ფუნქცია არც იყო.

რაც შეეხება გასართობ გადაცემებს, მათ დიდი როლი ეკისრება ტელევიზიაში. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ტელევიზიის ფუნქციები BBC-ს მიერ ასეა ჩამოყალიბებული - ინფორმირება, განსწავლა, გართობა. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ გასართობი გადაცემები წარმატებით ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას. ასეთ გადაცემებში ხშირად აშუქებენ ლიტერატურის, ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის სფეროში არსებულ საკითხებს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ზოგიერთი მეცნიერი გასართობ გადაცემებს კულტურულ-საგანმანათლებლო გადაცემათა გაგრძელებად მიიჩნევს.

ასევე, ხშირად ხდება, როცა გასართობი გადაცემები პოლიტიკის სფეროში იჭრებიან და პოლიტიკურ პარტიებსა თუ ლიდერებს უწევენ პროპაგანდას. ამ მხრივ საქართველოს სატელევიზიო სივრცეში გამოირჩეოდა „ნანუკას შოუ“, რომელიც პოლიტიკურად მწვავე პერიოდებში განსაკუთრებით აქტიურობდა. თუმცა, მის გასართობ ტოქშოუში ვხვდებოდით სხვა თემებსაც, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ძალადობის თემა.

სანამ „ნანუკას შოუში“ ძალადობის თემის განხილვას დავიწყებთ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ დღეს ეს საკითხი ძალიან აქტუალური გახდა. ცხადია, ჩვენი მიზანი არ არის სიღრმისეულად გავარკვიოთ ის, თუ რა იწვევს ძალადობას, რა უწყობს ხელს მის არსებობას, რომელ პერიოდებში იყო ის ყველაზე გავრცელებული და როდის როგორ შუქდებოდა ეს საკითხები, რადგან ეს ძალიან რთული და მრავლისმომცველი თემაა. მაგრამ საინტერესოდ გვეჩვენება იმის განხილვა, თუ როგორ ეხმაურებიან გასართობი გადაცემები ძალადობის თემას და რამდენად საინტერესო და ეფექტიანია ისინი.

ერთ-ერთი გასართობი გადაცემა, რომელმაც ძალადობაზე გაამახვილა ყურადღება, არის „ცეკვავენ ვარსკვლავები“. ეს შოუ პერიოდულად გადის ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. „ცეკვავენ ვარსკვლავებში,“ ძალადობის თემის გასვლის შესახებ, თავდაპირველად გავიგეთ „იმედის დღის“ მეშვეობით, სადაც მოწვეული იყვნენ ტურის მონაწილეებიც, მაგალითად, ირინკა კავსაძე საუბრობდა ამ თემის აქტუალურობაზე და იმაზე, რომ ეს საკითხი მაყურებელს უნდა მიეწოდოს, რაც შეიძლება სწორად. ტურის სხვა მონაწილემ - რუსკა ქარქაშაძემ - აღნიშნა, რომ მისი თემაა ბულინგი, რომელიც ცუდია და ეს საყურებლად იქნება ძალიან ემოციური. ის, რომ სწორედ მას მოუწია ამ როლის შესრულება, გასაგებია, რადგან რუსკა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო. ბულინგზე საუბარი გაგრძელდა უკვე უშუალოდ ტურის დროს, კერძოდ, ეს მონაწილე ცეკვამდე იმყოფებოდა სკოლაში და გაესაუბრა მოსწავლეებს. აქ მან ერთხელ კიდევ აღინიშნა, რომ სკოლაში ბულინგი არის საშინელება და ამაზე მდაბიო და ამაზრზენი საქციელი არ არსებობს. რაც შეეხება ზოგადად ამ ტურს, ის გავიდა „მშვიდობის ტურის“ სახელწოდებით და წამყვანებმა შესავალ ნაწილშივე გვამცნეს, რომ საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია, რაც, მათივე თქმით, ძალიან ცუდი მაჩვენებელია და ის როგორღაც უნდა დასრულდეს. მოცეკვავეებმა შეასრულეს სხვადასხვა სახის ძალადობის თემატიკაზე შექმნილი ნომრები, რაც მართლაც ამაღელვებელი და, ამავე დროს, დამაფიქრებელიც იყო.

ვინაიდან ეს ტური მთლიანობაში მშვიდობის თემას ეძღვნებოდა, ამიტომაც ამ გადაცემაში შესრულდა ცეკვები, რომლებიც ოკუპაციის თემას უკავშირდებოდა და მას ლოზუნგად ჰქონდა „არა ოკუპაციას“. ტურის მონაწილეებმა შეასრულეს ოსური და აფხაზური ცეკვები და ყველანი - წამყვანები, მოცეკვავეები და ჟიურის წევრები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ - ქართველები, ოსები და აფხაზები ვიქნებით ერთად და მთავარია მშვიდობა იყოს ამ ქვეყანაზე.

ძალადობის თემას მიეძღვნა „ნანუკას შოუს“ ერთ-ერთი გადაცემა, სადაც ისაუბრეს სხვადასხვა სახის ძალადობაზე. საინტერესოა, რომ ამ დღეს სტუმრების მრავალფეროვნება იყო (ის ადამიანები, ვისაც შეხება ჰქონია ამ საკითხთან), საუბრობდნენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, მაგალითად, ამ თემის აქტუალურობაზე და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა მამა პეტრემ, სტუდიაში იმყოფებოდა ფოტოგრაფი - მარი ნაკანი თავის ქალიშვილთან ერთად, რომელსაც ბავშვები აბულინგებდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მას თმა სხვა ფრად ჰქონდა შეღებილი. მართალია, დედა თითქოს ცდილობდა ამ ფაქტის ახსნას - პირველად სამი წლის ასაკში რეკლამისთვის მოუხდა თმის შეღებვაო, მაგრამ ეს, ალბათ, სრულიად ზედმეტი იყო, რადგან ბავშვის და მისი დედის ნებაა - რას და როგორ გააკეთებენ.

ამ გადაცემაში მოწვეული იყო ჰიპერაქტიური ბავშვის დედაც. ის ყვებოდა, რომ მისმა შვილმა შემთხვევით, სხვა მოსწავლეს კბილები ჩაუმტვრია. თუმცა, ამ ბავშვს არ უჯერებდნენ, რომ ეს მართლა ასე მოხდა, რის გამოც ის ფანჯრის რაფაზე ასულა და ყვიროდა: თუ არ დამიჯერებთ, რომ ეს შემთხვევით მომივიდა, ფანჯრიდან გადავხტებიო. მშობელი ასევე ამტკიცებდა, რომ ამ შემთხვევის გამო, მას სკოლის მასწავლებლები და დირექტორი ბავშვის სკოლიდან წასვლას აიძულებდნენ.

„ნანუკას შოუს“ ეს ეპიზოდი მაყურებელს აუცილებლად გაახსენდებოდა ამ დღეებში სატელევიზიო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ (2019 წ. სექტემბრის ბოლო რიცხვები) - როცა რუსთავში მე-6 კლასის მოსწავლემ კიბიდან ჩააგორა მუსიკის მასწავლებელი (რის გამოც ის თავის შერყევით საავადმყოფოში აღმოჩნდა). ამ ამბავს მოჰყვა სკოლის სხვა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების აღშფოთება. მეტიც, მშობლებმა უკიდურეს ზომასაც მიმართეს - მათ განაცხადეს, რომ თუ ამ მოსწავლეს სკოლიდან არ გარიცხავენ, ისინი თავიანთ შვილებს სკოლაში არ გამოუშვებდნენ, რადგან არ იცოდნენ, შემდეგში რას მოიმოქმედებდა ეს ბავშვი. ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ ეს მოსწავლე ფსიქიკურად გაუწონასწორებელია, ასეთ შემთხვევებს სხვა დროსაც ჰქონია ადგილი და ამიტომ, ტრაგედია რომ არ დატრიალდეს, შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ღონისძიებები უნდა ჩაატარონო.

ამ ბოლო ფაქტს, ნანუკა ჟორჟოლიანი კვლავ გამოეხმაურა თავის ახალ გადაცემაში „სხვა ნანუკა“ (ტელეკომპანია „მთავარი არხი“), სადაც მოიწვია იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებმაც ამ ბავშვის გარიცხვა მოითხოვეს და მათი ამ ფორმით საკითხის გადაწყვეტა გააკრიტიკა... მაგრამ ეს გადაცემა ახლა აღარ არის გასართობი ფორმატის და დავუბრუნდეთ ისევ იმ ძველ „ნანუკას შოუს“ და სკოლაში ბულინგის თემას. ჩვენი აზრით, ამ თემის გაშლას კარგად მოერგო ნაწყვეტები სერიალიდან „ჩემი ცოლის

დაქალები“, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად გავრცელებულია ეს პრობლემა სკოლებში (სერიალებში ამ თემის ასახვას ჩვენ ცოტა ქვევით დავუბრუნდებით).

„ნანუკას შოუს“ ამ გამოშვებიდან კი გაირკვა, რომ ბულინგის მსხვერპლი გამხდარა მომღერალიც და ამის მიზეზი, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ მისი სიმსუქნე. ამ გადაცემაში კიდევ მრავალი ადამიანი მონაწილეობდა... მაგრამ იგი მაინც ოპტიმისტურად დამთავრდა - ახალგაზრდა მსახიობი ქალი იუმორით მიუდგა ამ საკითხს და დააფიქსირა, რომ თავს არავის დააჩაგვრინებდა. ამ დღეს ერთხელ კიდევ დაფიქრდებოდა მაყურებელი - რა უბედურების მოტანა შეუძლია ღვარძლს, ბოროტებას, დაცინვას, რომ არაფერი ვთქვათ, ფიზიკურ ძალადობაზე, რომელიც ძალიან ხშირად მსხვერპლითაც მთავრდება.

ტელეაუდიტორიას, ალბათ, ძალიან დააფიქრებდა ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ასევე გასართობ გადაცემაში „სიცრუის დეტექტორი“. განსაკუთრებით ცუდია ის, რომ აღმოჩნდა - მომალადეები ყოფილან ცნობილი ადამიანები, მეტიც, ზოგიერთი ამას სიამაყითაც კი აღიარებდა და დანაშაულს ვერც კი გრძნობდა. მაგალითად, ამ გადაცემის ერთ-ერთი სტუმარი (2018 წ ოქტომბერი) - მომღერალი გია სურამელაშვილი სიცილით ყვებოდა, თუ როგორ იძალადა ყოფილ ცოლზე. მისთვის დამამშვიდებელი და უდანაშაულობის მაჩვენებელი იყო ის ფაქტი, რომ მას ქალისთვის მძიმე დაზიანებები არ მიუყენებია, მაგრამ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მას კარგად, გემრიელად უცემია ეს ქალი და მეტიც - ხელითაც, ფეხითაც, ბევრჯერ შეხებია. როცა მომღერალს გადაცემის წამყვანმა ეს საქციელი არ მოუწონა, მან თავი იმით იმართლა, რომ ის მწყობრიდან გამოიყვანეს და სხვა გზა არ ჰქონდა.

ასევე, ძალიან ცუდი მოსასმენი იყო იგივე გადაცემაში მსახიობ გივი სიხარულიძის მიერ მოყოლილი ამბავიც, სადაც ის აღიარებდა ქალზე სექსუალური ძალადობის ფაქტს, მაგრამ მსახიობმა ამას იქვე გამართლებაც მოუნახა - თვითონ ამ ქალს რომ არ ნდომოდა, ეს ამბავი არ მოხდებოდაო.

ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ გადაცემებად ითვლება ტელესერიალები, რომელიც მასკულტურას განეკუთვნება. ჟურნალისტიკის ქართველი მკვლევარები რ. სურგულაძე და ე. იბერი ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდნენ: „სპეციალისტები ამბობენ, რომ „მასობრივ კულტურას“, მასობრივ ხელოვნებას რეალობის შემეცნების ფუნქცია არ გააჩნია, მისი მიზანია ისეთი ხელოვნური გარემოს შექმნა, რომელიც ემოციურად მოემსახურება ადამიანს, უზრუნველყოფს მის ფსიქიკურ კომპენსაციას, დაძაბულობის მოხსნას, ნარკოტიზაციას. რეალობა მხოლოდ მასალაა, რისგანაც იქმნება ის ემოციური ღირებულება, ის პროდუქტი, რომელმაც აღგზნების გარკვეული დოზა უნდა მიაწოდოს მაყურებელს, მძაფრი შეგრძნებებით შეუვსოს სულიერი ვაკუუმი..“ (სურგულაძე & იბერი, 2003, გვ. 93) შეიძლება, ამაში სიმართლის ნაწილიც იდოს, მაგრამ თანამედროვე სერიალებში მიმდინარე ფაქტები და მოვლენებიც რომ აისახება, ესეც ცხადია. სწორედ ამ მიზეზით საქართველოში ბოლო პერიოდის სერიალებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“. მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ეს სერიალი ძალადობის თემებსაც შეეხო, აქ ვხვდებით მომალადე მამაკაცების სხვადასხვა კატეგორიას - თუ ერთ-ერთი გმირი ცოლზე ფსიქოლოგიურად ძალადობს (ამცირებს, დასცინის მას და, ცხადია, ღალატობს კიდეც, რის შემდეგადაც ქალიც მოღალატე გახდება და საბოლოოდ, ოჯახი ინგრევა), სხვა მამაკაცი ქალზე ფიზიკურ ძალადობას არ ერიდება.

„ჩემი ცოლის დაქალებში“ ბავშვებში ბულინგის საკითხიც აშკარად არის გამოკვეთილი. მაგალითად, ფილმში ვხედავთ ბიჭს, რომელსაც სხვა ბავშვები ჩაგრავენ და ისიც უკვე იმ დონემდეა მისული, რომ „აღიარებს“, თავის „მშიშრობას და ჩმორობას“ (ამ ეპიზოდში კიდევ უფრო უცენზურო ტერმინიც არის გამოყენებული). როგორც ფილმიდან ირკვევა, სკოლის მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ ჩაგრავენ უფროსი, ძლიერი მოსწავლეები პატარებსა და მათზე სუსტებს, მაგრამ მასწავლებლები „საქმის კურსში არ არიან“, მეტიც, როცა ერთ-ერთი გოგო მასწავლებელს ეუბნება: თქვენ ვერ ხედავთ კლასში, თორემ ბავშვები სკოლაში პატარებს ჩაგრავენო, მასწავლებლის პასუხი ასეთია: შენ რა, ჩვენ გვაკრიტიკებო?!

საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა გასართობ გადაცემაში აისახა ძალადობის პრობლემა, საიდანაც, ვფიქრობთ, მაყურებელმა ბევრი რამ გაიგო ამ თემაზე და თანაც ეს მათ მიეწოდათ საინტერესოდ - ცეკვით, მსახიობების თამაშით, იუმორით და სხვ.

ასევე, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გასართობი გადაცემები არცთუ იშვიათად, ასრულებენ იმ ფუნქციებს, რომლებიც უშუალოდ მათ არ ეკისრებათ, მეტიც, შესაძლებელია, ამ სახის გადაცემებში სოციალური, პოლიტიკური და სხვ. თემატიკის შემოტანამ უკეთესი შედეგი გამოიღოს და ამას განაპირობებს, როგორც თვითონ გასართობი გადაცემების მაღალი რეიტინგი, ისე

ის ფაქტორი, რომ მაყურებელი ასეთ გადაცემებს უფრო ენდობა მათზე ნაკლები კონტროლის გამო, თანაც, ამ სახის გადაცემების მონაწილე ადამიანები უფრო გახსნილები და უშუალოები არიან.

ბიბლიოგრაფია:
სურგულაძე, რ., & იბერი, ე. (2003). *მასობრივი კომუნიკაცია.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

Nargiza Kankia
Teaching National University SEU

THE TOPIC OF VIOLENCE IN GEORGIAN ENTERTAINMENT PROGRAMS
RESUME

The topic of violence is very popular in today's media. A lot of people are talking and writing on the subject with the biggest influence out of all of these being TV shows. TV plays a big role in spotlighting these issues since it can have heavily affect the public.

The topic of violence is brought up in many types of TV shows and interestingly enough most of these shows don't have violence as the main topic yet they raise a lot of awareness about the subject. This isn't surprising since these shows are very influential due to their high ratings and viewer counts.

Keywords: TV(television), entertainment programs, violence, TV series, TV show.

ქეთევან ლომსაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სკინერის „ოპერანტული განპირობებულობიდან“ „ვერბალურ ქცევამდე“

საკვანძო სიტყვები: ოპერანტული განპირობებულობა, ვერბალური ქცევა, დადებითი განმამტკიცებელი, უარყოფითი განმამტკიცებელი, გაძლიერების სქემა.

ქცევის გამოყენებითი ანალიზი ფსიქოლოგიაში ბიჰევიორისტული მიმდინარეობის ნაწილია. ბიჰევიორისტულ მიმდინარეობას საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა ფსიქოლოგმა უოტსონმა, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა ქცევის სტრუქტურის სქემა S-R (სტიმული-რეაქცია), რაც ნიშნავს, რომ ქცევა არის გარემოს ზემოქმედებაზე რეაქცია არა მარტო ადამიანის, არამედ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის შემთხვევაში. ბიჰევიორიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფიზიოლოგმა ივანე პავლოვმა, რომელიც იკვლევდა პირობითი რეფლექსების ფორმირების პრინციპებს, რითაც საფუძველი ჩაუყარა კლასიკური ბიჰევიორისტული თეორიის ექსპერიმენტულ კვლევებს. პავლოვი ექსპერიმენტულ კვლევებს ცხოველებზე ატარებდა. პავლოვის კლასიკური განპირობებულობის თეორია შემდეგში განავითარა ბიჰევიორისტული მიმდინარეობის თვალსაჩინო მოღვაწემ ბურფუს ფრედერიკ სკინერმა, რომელმაც ის ოპერანტული განპირობებულობის დონემდე განავითარა. სკინერის ეს თეორია და მასზე დაფუძნებული ტექნიკები ძალზე აქტუალურია დღესაც და წარმატებით გამოიყენება ქცევის მოდიფიცირებისა და ანალიზისათვის რიგ სფეროებში, როგორიცაა განათლება, კლინიკური თერაპია და კორექცია, კრიმინალისტიკა და ა.შ. ყველგან, სადაც საჭიროა ქცევის მართვა და მოდიფიკაცია.

ამიტომ აქტუალურია მისი შეხედულებების ფორმირების ანალიზი განვითარების სრულ დიაპაზონში, რომელიც ოპერანტული განპირობებიდან ვერბალურ ქცევამდე ხორციელდებოდა და რომლის შედეგადაც კლასიკური ბიჰევიორიზმი რადიკალურ ბიჰევიორიზმამდე განვითარდა.

სკინერი იყო ქცევითი თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი. მან უარყო ყოველგვარი მოსაზრება, რომ ადამიანის ქცევა აიხსნება დამოკიდებულებებით, შინაგანი მდგომარეობებით, მოტივებით და ა.შ. მან განაგრძო იდეების შემუშავება ქცევითი დამოკიდებულების შესახებ. სკინერის აზრით, კლასიკური პირობითი რეაქცია საკმაოდ ხშირად ხსნის ცხოველებისა და ადამიანის ქცევას. ამასთან, სხვა ტიპის პირობითი რეაქცია, ოპერანტი ან ინსტრუმენტული კონდიცირება უფრო მნიშვნელოვანია ადამიანის სწავლის პროცესში. ოპერატორის კონდიცირება შეისწავლის სიტუაციას, რომლის დროსაც ადამიანი ან ცხოველი იმისდა მიხედვით მოქმედებს, წახალისებადი იყო ადრე თუ დასჯადი ეს მოქმედება. წახალისება არის გარკვეული ქცევის განმტკიცების პროცესი, რათა მომავალში ეს ქცევა უფრო ხშირად და წარმატებით განმეორდეს. სკინერი მე-20 საუკუნის ყველაზე გავლენიან ფსიქოლოგად ითვლებოდა 2002 წლის ივნისის გამოკითხვის მიხედვით. (Skinner, 1971; Skinner, 1974)

თავისი მოღვაწეობის შედეგად, სკინერმა შექმნა ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფია-რადიკალური ბიჰევიორიზმი და დააარსა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სკოლა. (Skinner, 1969) ადამიანის ქცევის სკინერისეული ანალიზი შეჯამებულია ნაშრომში „ვერბალური ქცევა“, რომელიც 1957 წელს გამოაქვეყნა. (Skinner, 1957) რადიკალური ბიჰევიორიზმი არის ქცევითი მეცნიერების ფილოსოფია - მისი მიზანია ქცევის, როგორც განმამტკიცებლების ზემოქმედების შედეგად მიღებული ფენომენის გაგება. ქცევის ხასიათი, სხვა ფორმებისგან განსხვავებით, უგულებელყოფს პირად მოვლენებს, როგორიცაა აზროვნება, აღქმა და ემოციები, როდესაც განმარტავს ორგანიზმის ქცევის მიზეზს.

სკინერმა ასევე აღმოაჩინა და დახვეწა რეაგირების სიჩქარე, როგორც დამოკიდებული ცვლადი ფსიქოლოგიურ კვლევაში. მან გამოიგონა კუმულატორის ჩამწერი, რომელიც ზომავს რეაგირების სიჩქარეს გრაფიკის საშუალებით. ის იყო ნაყოფიერი ავტორი, რომელმაც გამოაქვეყნა 21 წიგნი და 180 სამეცნიერო სტატია. (Vikipeedia, n.d.)

სკინერის კვლევები ფსიქოლოგიაში დაიწყო ოპერატიული ქცევის თეორიის შემუშავებით. აღნიშნული ნაშრომი იყო მისი სადოქტორო ნაშრომის თემა ჰარვარდის უნივერსიტეტში 1931 წელს, სადაც სკინერი 1936 წლამდე მუშაობდა მკვლევრად, ხოლო 1946-47 წლებში მოღვაწეობდა ინდიანას უნივერსიტეტში, როგორც მოქმედი პროფესორი და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. 1948 წლიდან კი სკინერი კვლავ ჰარვარდში დაბრუნდა, სადაც მუშაობდა და ასწავლიდა მთელი ცხოვრების განმავლობაში, გარდაცვალებამდე (1990 წლამდე). (Skinner, 1967)

სკინერის თეორიის მიხედვით სწორი განმამტკიცებლის პოვნა, მათი წარმოდგენის ხერხები და განმეორებების რაოდენობა მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ქცევის დასწავლისათვის. თუ განმტკიცება დადებითია, ქცევა მეორდება და დაისწავლება; თუ უარყოფითია, ადამიანი არ გაიმეორებს ქცევას. ნეგატიური განმტკიცება არ უნდა იყოს მიბმული სასჯელთან, რადგან სასჯელის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ემოციები და სრულიად მოულოდნელი შედეგები. სკინერის თეორიაში მოცემულია პრინციპები, რომლითაც შეიძლება პიროვნება შეიცვალოს, ანუ, თუ ქცევის გარკვეულ შაბლონებს აკონტროლებენ გარკვეული წინაპირობები, მაშინ ამ პირობების შეცვლა ქცევას შეცვლის. სკინერი განასხვავებს პირველად და მეორად დადებით სტიმულებს. პოზიტიური წახალისება არის ადამიანისთვის სასურველი სტიმულები (ეს შეიძლება იყოს ტკბილეული, ფული, ერთად გატარებული დრო, ქება). თუ რეაქცია თავდაპირველ დადებით სტიმულს იწვევს, ამგვარი ქცევის განმეორების ალბათობა იზრდება. ბიოლოგიურად ნეიტრალური სტიმულები, რომლებსაც თან ახლავს პირველადი პოზიტიური სტიმული, თავად ხდება პოზიტიური (გაშუალებული) პრომოუტერი. ნეგატიური წახალისება მთავრდება ინდივიდის არასწორი ქცევით. პირველადი ნეგატიური სტიმულაცია სხეულის პოტენციურად მტკივნეული სტიმულია (ხმამაღალი ხმა, ძალიან ნათელი შუქი ან ელექტრული შოკი). რეაქციები, რომლებიც შეაჩერებს ან ამცირებს ამ უსიამოვნო სტიმულებს, იზრდება და ამას ეწოდება უარყოფითი სტიმულირება. (Skinner, 1948)

სკინერი განასხვავებს ქცევის ორ ტიპს: რეაქტიულს და ოპერანტულს. რეაქტიული ქცევა არის რეაქცია კონკრეტული და ნაცნობი გარემოს სტიმულირებაზე. საბაზისო დონეზე, ეს ქცევა არსებობს რეფლექსების სახით, მაგალითად, ნერწყვის (რეაქცია, რეფლექსი) საკვებიდან (სტიმული). ასეთი ქცევა არ ისწავლება, ანუ ის არის ავტომატური და ნებაყოფლობითი. უფრო რთულ დონეზე ხდება რეაქტიული ქცევა. მისი დასწავლა ან კონდიცირება გულისხმობს ერთი სტიმულის შეცვლას მეორით. ეს არის პირობითობის პროცესი, რომელიც აღმოაჩინა ი. პავლოვმა. ამრიგად, რეაქტიული ქცევა არის კონკრეტული სტიმულით გამოწვეული რეაქცია, რასაც მოჰყვა სტიმულაცია. მაგრამ სკინერმა ჩათვალა,

რომ სწავლის პროცესში ოპერანტული კონდიცირება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე კლასიკური კონდიცირება. (Skinner, 1966)

ოპერატორის ქცევა. სკინერი აღიარებს, რომ ადამიანის ქცევა ფაქტობრივად არის განპირობებული, რათა გარემოს მრავლობით სტიმულებზე პირდაპირ რეაგირება მოახდინოს, მაგრამ ყველა ქცევა ამ გზით ვერ აიხსნება. ადამიანები და ცხოველები ხშირად იქცევიან ისე, რასაც შეიძლება ეწოდოს სპონტანური ქცევა. ეს ქცევები უფრო თავად ახდენენ სტიმულს, ვიდრე უბრალოდ მათზე რეაგირებას. ეს არ არის არასასურველი რეაქცია პირობით სტიმულზე. ამ ქცევას შეიძლება ეწოდოს ოპერანტი, რადგან მის ბუნებასა და სიხშირეზე გავლენას მოახდენს და მოდიფიცირდება ის განმამტკიცებლები, რომლებიც მას მოჰყვება. რეაქტიული ქცევა გავლენას არ ახდენს გარემოზე (მაგ., ძაღლის ნერწყვის გამოყოფა ვერ მოახდენს გავლენას ზარზე ან გაძლიერებაზე). იმავდროულად, ოპერატორის ქცევა გავლენას ახდენს საოპერაციო გარემოზე და ჩვეულებრივ ცვლის მას. მაგალითად: ახალშობილის ტირილი იწვევს დედის ყურადღებას, რითაც იცვლება ახალშობილის გარემო. გარემოში ცვლილებები არის უკუკავშირის ქცევა. თუ გარკვეული ქცევებით გამოწვეული გარემო ცვლილებები გამწვავდება (ანუ სხეულის სტიმულირება ან მტკივნეული სტიმულაციის აღმოფხვრა), მაშინ კვლავ ჩნდება ასეთი ქცევის ალბათობა. ამრიგად, თუ ბავშვის ტირილი სტიმულირებულია მშობლის ყურადღების ცენტრში, იზრდება ბავშვის ქცევის განმეორების ალბათობა. თავის მხრივ, თუ გარემო ცვლილებები არ უზრუნველყოფს გაძლიერებას, ამგვარი ქცევის ალბათობა მცირდება. (Skinner, 1966)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განმტკიცება დამოკიდებულია ქცევის ტიპზე. ქცევას, რომელსაც მოჰყვება გაძლიერება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეცვლის ქცევა გარემოს. გარემო მიჰყვება და ცვლის ქცევას. ასე რომ, ქცევა იცვლის გარემოს, ხოლო გარემო ცვლის ქცევას. ეს არის ოპერანტული კონდიცირების პროცესი. სკინერის აზრით, ადამიანისა და ცხოველების ქცევის უმეტესობა სწორედ ამ გზით დაისწავლება. აქედან გამომდინარეობს, რომ არსებითად გარემო ქმნის ჩვენს ქცევას. ჩვილი ბავშვობიდანვე შეიძლება ძალიან განსხვავებულად მოიქცეს, მაგრამ იქ იქნება მხოლოდ მოქმედებები, რომლებიც გამძაფრდება - ეს მოქმედებები გაძლიერდება და შექმნის ერთობლიობას. შეიძლება ითქვას, რომ სკინერის პიროვნების კონცეფცია არის გარკვეული ქცევების ერთობლიობა, რომლებიც განპირობებულია ოპერატიულად და მეტი არაფერი. ასევე, ნებისმიერი ნევროზული ან არანორმალური ქცევა სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული ქცევის გაძლიერება. (Skinner, 1956)

სკინერის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის ის, რომ ქცევა შეიძლება ჩამოყალიბდეს გამაძლიერებლებით, რომლებიც ყოველთვის არ მუშაობენ, ანუ არ იწვევენ მოქმედებას. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ცხადია, რომ ქცევა ყოველ ჯერზე არ ძლიერდება - მაგალითად, ბავშვი ყოველთვის არ იკვებება მას შემდეგ, როცა ტირილს დაიწყებს. თუმცა, ეს ქცევა შეიძლება გამწვავდეს მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ განმამტკიცებლით არის გაძლიერებული - ეს არის მხოლოდ გარკვეული რეაქციის ან რეაქციის შემდეგი პერიოდის შემდეგ. სკინერმა განასხვავა ოთხი გაძლიერების სქემა:

ფიქსირებული დროითი ინტერვალის მოგების სქემა - რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოგება ეძლევა ყოველ გარკვეულ (ფიქსირებულ) დროის ინტერვალს. მაგალითად: მოგება შეიძლება მიეცეს ყოველ წუთს (რა თქმა უნდა, თუ მოსალოდნელი რეაქცია მოხდა ამ წუთში). ამ შემთხვევაში, მოგება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი რეაქცია არსებობს - ბევრი ან რამდენიმე.

ფიქსირებული გამაძლიერებელი სქემა - აძლიერებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი ახდენს გარკვეული რაოდენობის რეაქციების შესრულებას. მაგ: გაძლიერება ყოველი მე-10 ან მე-20 რეაქციის დროს. ვინაიდან აქ ამპლიფიკაცია დამოკიდებულია რეაქციების რაოდენობაზე, ანუ გამაძლიერებელი სქემა ხელს უწყობს რეაქციების უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე განსაზღვრული დროის სქემა. ამრიგად, სათანადოდ ორგანიზებულმა ხელფასებმა - გამომავალი თვალსაზრისით - შეიძლება ხელი შეუწყოს მუშაკს მეტი პროდუქტის წარმოებაში.

შემთხვევითი დროის ინტერვალის გაძლიერების სქემა. ცვლადი დროის ინტერვალის გამაძლიერებელ სქემაში, ამპლიფიკაცია შეიძლება გამოჩნდეს ინტერვალებით, რომლებიც, მართალია, არ არის ერთგვაროვანი - ანუ, ორ საათში ერთხელ, ერთი საათნახევარში, მესამე ორსა და ნახევარში და ა.შ.

რეაქციების შემთხვევითი გაძლიერების სქემა - ემყარება გაუმჯობესებებს შორის რეაქციების საშუალო რაოდენობას, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. ეს არის გამაძლიერებელი სქემა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია მაღალი და სტაბილური რეაგირების სიჩქარის შენარჩუნებისათვის. მაგალითად აზარტული თამაში, სადაც მოგება გარკვეული რაოდენობის აზარტული თამაშების (რეაქციების) შემდეგ მოდის, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს.

მარტივი ოპერატორის კონდიცირების ექსპერიმენტში, ოპერანტის ქცევა, მაგალითად, ბერკეტის დაჭერით, არის შედარებით მარტივი ქცევის ტიპი, რომელსაც აქვს შედარებით მაღალი ალბათობა. იმავდროულად, ცხოველები და ადამიანები აჩვენებენ ბევრად უფრო დახვეწილ ოპერანტულ ქცევას. მაგალითად, თუ როგორ სწავლობენ ცხოველები ცირკში, ასევე როგორც ბავშვები სწავლობენ

ლაპარაკს. ბავშვები თავდაპირველად ბევრ უაზრო ბგერას ამბობენ, რასაც მშობლები აძლიერებენ: იღიმებიან, იცინიან, ელაპარაკებიან. მოგვიანებით, მშობლები ამდიდრებენ ბავშვის გარკვეული ბგერების ამპლუას, რომლებიც სიტყვებს წააგავს, რითაც მათ სიტყვების სწავლის წახალისებას უწყობენ ხელს. შემდეგში, მშობლის განმამტკიცებელი აქტივობა შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვების სწორად გამოთქმასა და გამოყენებაში. ეს არის ის, თუ როგორ ხდება რთული ქცევის (ენის) სწავლება. განუწყვეტელი დიფერენციაციით განმტკიცება ქცევაზე.

ქცევის შეცვლა. სკინერი თვლის, რომ ნებისმიერი ქცევა, მათ შორის არაადამიანური, მარტივად შეიძლება აღმოიფხვრას ქცევისთვის გათვალისწინებული გაუმჯობესებების ჩანაცვლებით. ამის გაკეთების ორი გზა არსებობს: პირველი, თქვენ შეგიძლიათ აღმოფხვრათ არასასურველი ქცევა ამ ქცევის გამომწვევი განმამტკიცებლების ამოღებით. მეორე, შესაძლებელია გააძლიეროთ ქცევა, რომელიც სასურველია. ნებისმიერ შემთხვევაში, მონიტორინგი მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა აძლიერებს როგორც სასურველ, ისე არასასურველ ქცევას და ამ გამაძლიერებლების გამოყენება შესაძლებელია ქცევის მოდიფიცირებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკინერი ფიქრობდა, გამაძლიერებლები ან ინდუქციები უნდა შეიცვალოს, მაგრამ ეს სასჯელები არ უნდა იქნას გამოყენებული ქცევის შესწორების მიზნით, რადგან ისინი ხშირად მხოლოდ ადამიანის წინააღმდეგობის პროვოცირებას ახდენენ, ხოლო ქცევის ცვლილებებზე მათი მოქმედება ჩვეულებრივ ხანმოკლეა.

ქცევის აღნიშნული თეორია წლების განმავლობაში ვითარდებოდა სკინერის ნაშრომებსა და კვლევებში და საბოლოოდ ის განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს ეტაპები თანმიმდევრულადაა გადმოცემული მის წიგნში - „ვერბალური ქცევა“, რომელიც სკინერმა 1957 წელს გამოაქვეყნა. წიგნი ეძღვნება ვერბალური ქცევის განმარტება-აღწერას, მის ძირითად ოპერანტებს, ასევე მათ ფორმალურ და ფუნქციონალურ თავისებურებებს. სკინერის ახსნით წიგნი ეძღვნება ადამიანის ქცევისათვის დამახასიათებელ განმასხვავებელ თვისებას - ვერბალურ ქცევას. ვერბალური ქცევა არის მოვლენა, რომელიც ადამიანებს განსაკუთრებით საინტერესო არსებებად წარმოაჩენს და ამავდროულად ამ ინტერესის გამოხატვის საშუალებაცაა. ის შესაძლებელს ხდის თაობათა შორის კავშირებს და მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების მუდმივ განვითარებას. წიგნის პირველ ნაწილში აღწერილია ვერბალური ოპერანტების ტიპები, რომლებიც სხვადასხვა შედეგებითაა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ვერბალური ოპერანტები თავისი არსით სტრუქტურაზე მეტია, რადგან ისინი შეიძლება წახალისდნენ, ისინი ჯერ არ არიან გამონათქვამები. წიგნის მეორე ნაწილში აღწერილია ოპერანტების გამონათქვამად გარდაქმნის პროცესი, რომელიც იმისდა მიხედვით მიმდინარეობს, თუ როგორ გამოთქვავენ, განმარტავენ, უარყოფენ და ა.შ.: ოპერანტები იმგვარად გარდაიქმნებიან პროდუქტიულ ვერბალურ გამონათქვამებად, რომ მკითხველი ეფექტურად რეაგირებს. ამგვარად მწერალი ავითარებს გამონათქვამებს, როგორც მოცემულ მომენტში სიტუაციის გათვალისწინებით აღძრულ მასალის ეფექტურ თანმიმდევრობას. (Skinner, 1957)

მ. სანდბერგი ვერბალურ ქცევას განიხილავდა ბავშვის ტიპური განვითარების კონტექსტში, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ამახვილებდა მეტყველების უნარის შეფასებასა და აუტიზმისა და სხვა გადახრების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამებზე. მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სკინერის ფორმულირებაზე „სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევის გასაუმჯობესებლად“. ადამიანის ქცევის სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები ხომ ვერბალურ ქცევასთანაა დაკავშირებული და მისი საშუალებით ხორციელდება: მეტყველების დაუფლება, სწავლა, აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, ცოდნა, აღქმა, ისტორია, მეცნიერება, პოლიტიკა, რელიგია. გარდა ამისა, ვერბალურ ქცევასთან დაკავშირებულია ისეთი ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები, როგორიცაა აუტიზმი, გაუნათლებლობა, ასოციალური ქცევა, ოჯახური კონფლიქტები, აგრესია და ომები. ასე თუ ისე, ვერბალური ქცევა გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტების განხორციელებაში. (Sundberg, 2004)

მეტყველების შესწავლისას სკინერი გამოყოფს მის ფორმალურ და ფუნქციონალურ მახასიათებლებს. ფორმალურ მახასიათებლებს მიეკუთვნება ტოპოგრაფია (ფორმა, სტრუქტურა), ხოლო ფუნქციონალურს მისი მიზეზები. ორივე კომპონენტის გათვალისწინება აუცილებელია. იმის ანალიზი, თუ როგორ და რატომ წარმოთქვამს ადამიანი სიტყვას, ერთდროულად მიეკუთვნება როგორც ფსიქოლოგიის, ასევე ლინგვისტიკის სფეროსაც, რაც საფუძვლად დაედო ფსიქოლინგვისტიკის წარმოშობას. ბევრი მეტყველების თეორია არსებობს და ყველა მათგანი ცდილობს ახსნას მეტყველების მიზეზები. ყველა ეს თეორია იყოფა სამ, ხშირად ერთმანეთის გადამკვეთ, ჯგუფად. ესენია: ბიოლოგიური, კოგნიტური და გარემო ფაქტორების ზემოქმედების თეორიები.

ბიოლოგიური თეორიების მიხედვით - მეტყველება დამოკიდებულია ფიზიოლოგიურ პროცესებზე და თვისებებზე. ამ თეორიებს შორის ყველაზე მეტი აღიარება მოიპოვეს მეტყველების თეორიებმა, რომელთაც საფუძვლად უდევს კოგნიტური ფსიქოლოგიის პრინციპები. ამ თეორიების მიმდევრები

თვლიან, რომ მეტყველებაზე პასუხისმგებელია თავის ტვინის გადამამუშავებელი სისტემები, რომლებიც ახდენენ მეტყველებისათვის საჭირო ინფორმაციის მიმღებლობას, კლასიფიცირებას, კოდირებას და შენახვას. მათი წარმომადგენლების აზრით მეტყველების წერითი და ზეპირი ფორმები აზროვნების სტრუქტურებად განიხილება. ხშირად ეს სხვადასხვა მიმართულების თეორიები, განსაკუთრებით ბიოლოგიური და კოგნიტური, ერთმანეთის ინფორმაციას იყენებენ.

სკინერი 23 წლის განმავლობაში მუშაობდა წიგნზე „ვერბალური ქცევა", რათა მეტყველების ფუნქცია აეხსნა ქცევის თეორიის საფუძველზე. მან დაუშვა, რომ მეტყველება არის შეძენილი ქცევის ერთ-ერთი ფორმა და ის წარმოიქმნება, ვითარდება და ნარჩუნდება გარემოსთან დაკავშირებული იმავე ფაქტორებით (ცვლადებით) და კანონზომიერებებით, რომლებიც აკონტროლებენ არავერბალურ ქცევას (სტიმულებით კონტროლი, მოტივაციური პირობები, განმამტკიცებლები და ა.შ.) (Skinner, 1957); ის ვერბალურ ქცევას განმარტავდა არა ფორმის, არამედ რეაქციის ფუნქციის მიხედვით. ასეთი მიდგომით ნებისმიერი რეაქცია შეიძლება გახდეს ვერბალური. მაგალითად, ორი თვის ბავშვის გამიზნული ტირილი ან სხვა მრავალი რეაქცია. სხვაგვარად, ვერბალური ქცევა მოიცავს სოციალურ ურთიერთქმედებას მოსაუბრესა და მსმენელს შორის, სადაც ყურადღება გადატანილია მოსაუბრის ქცევაზე. მსმენელმა უნდა განამტკიცოს მოსაუბრის ვერბალური ქცევა.

ვერბალური ქცევის ძირითადი ელემენტებია ვერბალური ოპერანტები. ვერბალური ოპერანტი დაფუძნებულია მოტივაციური პირობების, დისკრიმინაციული სტიმულების და შედეგების რეაქციების ტიპებს შორის ფუნქციონალურ კავშირზე. ძირითადი ვერბალური ოპერანტებია: მანდი-ვერბალური ოპერანტია, რომელიც კონტროლდება მოტივაციური პირობებით და იწვევს სპეციფიკურ განმამტკიცებელს. ტაქტი -ვერბალური ოპერანტია, რომელიც კონტროლდება არავერბალური დისკრიმინაციული სტიმულებით და იწვევს გენერალიზებულ პირობით განმტკიცებას. ეხო რეაქცია-ვერბალური ოპერანტია, რომელიც კონტროლდება ვერბალური დისკრიმინაციული სტიმულებით, რომლებსაც აქვთ რეაქციასთან ზუსტი შესაბამისობა და ფიზიკური მსგავსება. ინტრავერბალიზაცია-ვერბალური ოპერანტია, რომლის დროსაც ვერბალური დისკრიმინაციული სტიმული იწვევს ამ სტიმულის ზუსტად შესატყვის ვერბალურ რეაქციას. წაკითხვა - ვერბალური ოპერანტია, რომლის დროსაც ვერბალური დისკრიმინაციული სტიმული იწვევს ამ სტიმულის ზუსტად შესატყვის ვერბალურ რეაქციას, მაგრამ არა ფიზიკური თანხვედრით მასთან. ტრანსკრიფცია - ვერბალური ოპერანტია, რომლის დროსაც ვერბალური დისკრიმინაციული სტიმული აკონტროლებს რეაქციას წერილობით ან ბეჭდით ფორმაში. აქ გვაქვს ზუსტი შესაბამისობა, მაგრამ არა ფიზიკური მსგავსება სტიმულსა და რეაქციას შორის. (Купер, Херон, & Хьюард , 2016)

როგორც სკინერი წინასწარმეტყველებდა 1978 წელს, „ვერბალური ქცევა" მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი აღმოჩნდა მართლაც. (Skinner, 1978) ამ ნაშრომმა ქცევის ბიჰევიორისტული თეორია გადაიყვანა ახალ ეტაპზე, როგორც სკინერი უწოდებდა, რადიკალურ ბიჰევიორიზმზე. მართალია სკინერი, კლასიკური ბიჰევიორიზმის სხვა წარმომადგენლების მსგავსად უარყოფდა მაღალ.(კოგნიტურ) ფსიქიკურ პროცესებს, მაგრამ მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, აღნიშნული ნაშრომით სწორედ ამ პროცესებს ახასიათებს. თუმცა ვერბალური ქცევის ფენომენის შემოტანით სკინერი შეეცადა არ გამოსულიყო ბიჰევიორიზმის საზღვრებიდან. მისი ვერბალური ქცევის მოდელი გახდა მნიშვნელოვანი მეთოდური სახელმღვანელოს, „ქცევის გამოყენებითი ანალიზის", საფუძველი. აღნიშნული სახელმძღვანელო შექმნეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დ. ო. კუპერმა, თ. ე. ჰერონმა და უ. ლ. ჰიუარდმა და წარმატებით გამოიყენება ქცევის მართვისა და მოდიფიკაციისათვის თითქმის ყველა სფეროში.

ბიბლიოგრაფია:

Skinner, B. F. (1948). "Superstition" in the pigeon. *Journal of Experimental Psychology, 38*, 168-172.

Skinner, B. F. (1956). A case history in scientific method. *American Psychologist, 11*, 221-233.

Skinner, B. F. (1957). *Verbal behavior.* New York: Appleton-Century-Crofts.

Skinner, B. F. (1966). Operant behavior. In W. K. Honig (Ed.), *Operant behavior* (pp. 12-32). New York: Appleton-Century-Crofts.

Skinner, B. F. (1967). An autobiography. In E. G. Boring, & G. Lindzey (Eds.), *A history of psychology in autobiography* (Vol. 5, pp. 387-413). New York: Irvington Publishers Inc.

Skinner, B. F. (1969). *Contingencies of reinforcement: a theoretical analysis.* New York: Appleton-Century-Crofts.

Skinner, B. F. (1971). *Beyond Freedom and Dignity.* New York: Knopf.

Skinner, B. F. (1974). *About Behaviorism.* New York: Knopf.

Skinner, B. F. (1976). *Particulars of My Life.* New York: Knopf.

Skinner, B. F. (1978). *Reflections on behaviorism and society.* NJ: Prentice Hall.

Skinner, B. F. (1979). *The Shaping of a Behaviorist.* New York: Knopf.
Skinner, B. F. (1981a). Selection by consequences. *Science, 213*, 501-504.
Skinner, B. F. (1981b). How to discover what you have to say - a talk to students. *The Behavior Analyst, 4* , 1-7.
Skinner, B. F. (1982). Contrived reinforcement. *The Behavior Analyst, 5*(1), 3–8.
Sundberg, M. L. (2004). A behavioral analysis of motivation and its relation to mand training. In L. W. Williams (Ed.), *Developmental disabilities: Etiology, assessment, intervention, and integration* (pp. 199-220). Reno NV: Context Press.
Sundberg, M. L., & Michael, J. (2001). The Benefits of Skinner's Analysis of Verbal Behavior for Children with Autism. *Behavior Modification, 5*, 698-724.
Sundberg, M. L., & Partington, J. W. (1998). *Teaching Language to Children with Autism or Other Developmental Disabilities.* Pleasant Hill, CA: Behavior Analysis, Inc.
Sundberg, M. L., Endicott, K., & Eigenheer, P. (2000). Using Intraverbal Prompts to Establish Tacts for Children with Autism. *The Analysis of Verbal Behavior, 17*, 89–104.
Vikipeedia. (n.d.). *Burrhus Frederic Skinner*. Retrieved from https://et.m.wikipedia.org/wiki/Burrhus_Frederic_Skinner
Купер, Д. О., Херон, Т. Э., & Хьюард , У. Л. (2016). *Прикладной анализ поведения.* Москва: Практика.

Ketevan Lomsadze
Gori State Teaching University

FROM SKINNER'S "OPERANT CONDITIONING" TO "VERBAL BEHAVIOR"

RESUME

The paper presents and analyzes the dynamics of the development of behaviorist theory against the background of the works of Burfus Frederick Skinner, "Operant Conditionality" and "Verbal Behavior". These works highlight the stages in the development of this theory of behavior, from classical behavioral theory to "radical behaviorism", which contributed to the rise of the once critically acclaimed behavioral theory and its emergence as one of the most relevant psychological techniques of recent times.

Keywords: Operant conditioning, Verbal behavior, Positive reinforcement, Negative reinforcement, Reinforcement scheme.

ნიკოლოზ მიდოდაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის მოდელების თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მმართველობის მოდელები, აკადემიური მმართველობა, ერთობლივი მმართველობა, კორპორაციული მმართველობა.

გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით ცოდნის ეფექტურად გამოყენება წარმოადგენს. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა საზოგადოებრივი განვითარების კონტექსტში უმაღლესი განათლების როლის მნიშვნელოვანი ამაღლება და მისი შემდგომი განვითარების აქტუალურობა. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში მიმდინარე პროცესები ნათლად მიუთითებს,

რომ უკანასკნელ პერიოდში უპრეცედენტოდ გაიზარდა უმაღლესი განათლების მიმართ საზოგადოების მოთხოვნები და მოლოდინები. მათი დაკმაყოფილება საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის უკიდურესი გამძაფრების, უმაღლესი განათლების მწირი სახელმწიფო დაფინანსებისა და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე საზოგადოების კონტროლის გაძლიერების ფონზე, თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ მნიშვნელოვანი ხდება უსდ-ის მიერ მმართველობის ისეთი მოდელის შერჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს სათანადო ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პოლიტიკაში, ორგანიზაციულ ფორმებში, ხარისხის სტანდარტებში და უზრუნველყოფს შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირებასა და არსებული რესურსების ოპტიმიზაციის გზით ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ის მმართველობის ძირითად პრინციპები სახელმწიფო კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი აქტებით განისაზღვრება, დაწესებულებას, კანონმდებლობით მინიჭებული ავტონომიის ფარგლებში, შეუძლია წარმატებით გამოიყენოს მმართველობის იმ მოდელის კომპონენტები, რომელიც უკეთესად პასუხობს მიმდინარე ეტაპზე მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

ვინაიდან აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისათვისაც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ უსდ-ის მმართველობის განსხვავებული მოდელები, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში, მიმოვიხილოთ თითოეული მათგანის თავისებურებები, მათი ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებები.

ერთობლივი მმართველობა. 1920 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკულმა ასოციაციამ ჩამოაყალიბა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დემოკრატიულ ღირებულებებზე და თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მართვის პრინციპები, ხოლო 1966 წელს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მმართველობის დებულების სახით წარმოადგინა მისი განახლებული და დახვეწილი ვერსია, რომელშიც ხაზგასმული იყო ფაკულტეტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის აუცილებლობა გადაწყვეტილების მიღების, ადმინისტრაციის არჩევის და ბიუჯეტის შემუშავების პროცესებში, აგრეთვე საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრაში. აღნიშნული პრინციპები შეადგენს ე.წ. ერთობლივი ან წარმომადგენლობითი მმართველობის საფუძველს. (American Association of University Professors, 1966)

ერთობლივი მმართველობა განისაზღვრება როგორც თვითმმართველობის სოციალური სისტემა, რომელშიც გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა ერთობლივად ეკისრება მათ, ვისზეც აღნიშნული გადაწყვეტილება ვრცელდება. (Schuetz, 1999)

სამეცნიერო ლიტერატურაში უსდ-ის ერთობლივი მმართველობის შემდეგი ოთხ ძირითად ფორმას განიხილავენ:

ერთპალატიანი მმართველობა (Unicameral Governance) - მართვა ხორციელდება ერთი მმართველი ორგანოს, მაგალითად, საბჭოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია როგორც ადმინისტრაციულ, ისე აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე.

ორპალატიანი მმართველობა (Bicameral Governance) - გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია ორი წარმომადგენლობითი ორგანო:

- მმართველი საბჭო (კოლეგია), რომელიც, ჩვეულებრივ, ირჩევს/ამტკიცებს პრეზიდენტს/რექტორს და პასუხისმგებელია ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხების გადაწყვეტაზე;
- აკადემიური სენატი ან დაწესებულების/საგანმანათლებლო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე.

სამპალატიანი მმართველობა (Tri-cameral Governance) - გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია სამი წარმომადგენლობითი ორგანო:

- მმართველი საბჭო (კოლეგია), რომელიც, ჩვეულებრივ, ირჩევს/ამტკიცებს პრეზიდენტს/რექტორს და პასუხისმგებელია ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხების გადაწყვეტაზე;
- აკადემიური სენატი ან დაწესებულების/საგანმანათლებლო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე;
- დაწესებულების/საგანმანათლებლო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კანცლერისა და რექტორის არჩევის წესებს, მეთვალყურეობს მათ არჩევნებს და იხილავს დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჰიბრიდული მმართველობა (Hybrid Governance) - მმართველობა, რომელიც ხორციელდება უსდ-ის პრეზიდენტისა და აკადემიური საბჭოს, ან უსდ-ის პრეზიდენტის მიერ დაარსებული ფაკულტეტის საბჭოს მიერ. საბჭო, რომლის წევრთა ნახევარს, ჩვეულებრივ, შეადგენენ პროფესორები, წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს პრეზიდენტისათვის და მისი უფლებამოსილების არე განისაზღვრება პრეზიდენტის მიერ.

ერთობლივი მმართველობისათვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სპეციფიური არეების მიხედვით უფლებამოსილებათა სათანადოდ გამიჯვნა და შესაბამისი პასუხისმგებლობების ნათლად განსაზღვრა. (Alfred, 1998) ერთობლივი მმართველობის წარმატებისათვის აუცილებელია ყველა მონაწილის მაღალი პასუხისმგებლობა და მიზანმიმართული ძალისხმევა. (Taylor, 2013; Lau, 1996)

ერთობლივი მმართველობის მაგალითს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრადიციული მოდელი, რომელსაც საფაკულტეტო მმართველობას ან აკადემიური პერსონალის მმართველობას უწოდებენ. ამ მოდელში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის წარმომადგენლობითი ორგანოს ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილი აკადემიური პერსონალი. (Lau, 1996) ამ მოდელის მნიშვნელოვან უპირატესობად ითვლება ის, რომ აკადემიური პერსონალი, ჩვეულებრივ, ყველაზე უკეთესად აცნობიერებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებსა და მისწრაფებებს და მათი მიღწევის გზებს. (Dill & Helm, 1988)

კორპორაციული მმართველობა. უსდ-ის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების მკვლევრები (მათ შორის, ლ. გერბერი (*L.G. Gerber*), ჯ. მიტჩელი (*J. Mitchell*) და სხვ.) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ უმაღლესი განათლების სივრცეში უკანასკნელ პერიოდში წარმოქმნილი გამოწვევების ფონზე ტრადიციული კოლეგიური აკადემიური მმართველობა, რომელიც ეფექტურად გამოიყენებოდა წინა საუკუნეში, აღარ შეესაბამება თანამედროვე უსდ-ის საჭიროებებსა და მოთხოვნებს (Gerber, 2001; Mitchell, 2007) და ნათლად იკვეთება საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის არსებითად ახალი პარადიგმის შემუშავების და გამოყენების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარებას ახალ, სწრაფად ცვალებად გარემოში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის შესაბამისი მოდელი - ე.წ. კორპორაციული მმართველობა, სათავეს იღებს კორპორაციული სამყაროდან და გულისხმობს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა უნდა ხორციელდებოდეს ბიზნეს-კორპორაციის მსგავსად, ვინაიდან ფინანსური საქმიანობის ყოველ ფაზაში (სტუდენტთა სწავლის გადასახადების მიღება, ხელფასების გაცემა, შენობების კონსტრუირება და მართვა, შესყიდვების განხორციელება და ა.შ.) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს ისეთივე კომერციულ ერთეულს, როგორიცაა კორპორაცია. (Fish, 2007)

კორპორაციის ცნება გულისხმობს ორგანიზაციას, რომლის ფუნქციონირების მექანიზმი უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, ჯგუფების ურთიერთხელსაყრელ სარგებლობას ორგანიზაციის საქმიანობაში ერთობლივი წვლილის შეტანით კაპიტალის, ცოდნისა და გამოცდილების (ანუ კვალიფიკაციის), აგრეთვე შრომის სახით. ტერმინი - „კორპორაციული მმართველობა“ - გულისხმობს ურთიერთმიმართებებსა და ურთიერთკავშირებს სამ ძირითად დაინტერესებულ მხარეს (ჯგუფს) შორის (დირექტორთა საბჭო, მმართველები და აქციონერები) კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებში. მისი საჭიროება განპირობებულია ინვესტორებსა და მმართველებს შორის არსებული კონფლიქტით, რომელიც საკუთრებისა და მმართველობის განცალკევებასთან არის დაკავშირებული. (La Porta, Lopez-de-Silanes, Shleifer, & Vishny, 2000) აღნიშნული კონფლიქტის არსი განპირობებულია, ერთი მხრივ, ინვესტორთა სურვილით, რომ მიიღონ მაქსიმალური მოგება მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების საკომპენსაციოდ, ხოლო მეორე მხრივ, მენეჯერებსაც სურთ მიიღონ მაქსიმალური კომპენსაცია მათი მენეჯერული უნარებისა და ძალისხმევის სანაცვლოდ. ამ კონფლიქტში კონსენსუსის მიღწევის მეთოდს, რომლითაც ინვესტორები იცავენ საკუთარ ინტერესებს მმართველებზე კონტროლის დაწესების გზით, წარმოადგენს კორპორაციული მმართველობა. შესაბამისად, კორპორაციული მმართველობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც პროცედურების, პრინციპების, სამართლებრივი აქტებისა და ინსტიტუციური სტრუქტურების გარკვეული კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მართვას დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით. (Mostovicz, Kakabadse, & Kakabadse, 2011) კორპორაციული მმართველობის ძირითადი პრინციპებია სამართლიანობა, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა.

კორპორაციული მმართველობის შემოტანა თავდაპირველად საჯარო სექტორში და შემდეგ, უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელდა ახალი მენეჯერიალიზმის (New Public Management) იდეოლოგიის ზეგავლენით. (Ferlie, Lynn, & Pollitt, 2007; Vigoda-Gadot & Meiri, 2008) ამ იდეოლოგიის თანახმად, საჯარო დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად სტიმულს და მამოძრავებელ ძალას კონკურენტული გარემო წარმოადგენს და შესაბამისად, იგი მხარს უჭერს კერძო სექტორში აპრობირებული, წარმატებული მართვის მეთოდების გამოყენებას საჯარო სექტორში. (დოღონაძე & ბაღათურია, 2009) კორპორაციული მმართველობისათვის დამახასიათებელია მმართველთა მაღალი პროფესიონალიზმი, ორიენტაცია მაღალეფექტიანობასა და მომხმარებლის კმაყოფილებაზე,

მიღწევების შეფასების მიზნით ნათელი და მკაფიო სტანდარტების გამოყენებაზე. (Lapworth, 2004; Trakman, 2008)

უსდ-ის მმართველობის კორპორაციული მოდელის დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს ფოკუსირება დაწესებულების ფინანსური მდგრადობისა და სტრატეგიული განვითარების უზრუნველყოფაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესების მაღალი სისწრაფე და ეფექტიანობა, ინსტიტუციური მართვის პროცესებზე აკადემიური პერსონალის გავლენის მნიშვნელოვანი შემცირება. კორპორაციული მმართველობის მოდელის ძირითად უპირატესობად ითვლება ის, რომ იგი, მისი მოქნილობის გამო, იძლევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე არსებული ფინანსური პრობლემების ეფექტურად გადაჭრის შესაძლებლობას. (Newman, Couturier, & Scurry, 2004)

კორპორაციული მიდგომების კონტექსტში, აკადემიური პერსონალის მონაწილეობა უსდ-ის ინსტიტუციურ მმართველობაში რიგი მკვლევრების მიერ არა მხოლოდ უსარგებლოდ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, ზიანის მომტანადაც კი განიხილება. (Rowlands, 2017; Zemsky, Wegner, & Massy, 2005)

უსდ-ის მმართველობის კორპორაციულ მოდელთან დაკავშირებით არსებული კრიტიკული მოსაზრებების მიუხედავად, მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არსებული გამოწვევების ფონზე, მაღალი ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესების სისწრაფეს და რესურსების გამოყენების ეფექტიანობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობაში ამ მოდელის გარკვეული კომპონენტების და მიდგომების გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაწესებულების წარმატებულ ფუნქციონირებას.

დაინტერესებული მხარეების მმართველობა. ერთობლივი მმართველობის კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. ამ მოდელში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობაში ჩართულია დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრე, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პარტნიორი დაწესებულებების, ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებს. განსხვავებით კორპორაციული მოდელისაგან, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობაზე დაფუძნებული საბჭოს ფორმირება არ ეფუძნება მისი წევრების პროფესიონალიზმსა და ბიზნესზე ორიენტაციას და შესაბამისად, ასეთი საბჭოს უფლებამოსილებათა ფარგლები გაცილებით ფართოა, ვიდრე ეფექტური მენეჯმენტი და პასუხისმგებლობა ფინანსურ საქმიანობაზე. (Lapworth, 2004; Currie, 2005)

დაინტერესებული მხარეების სახით საბჭოში შესაძლოა შედიოდნენ საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც არ არიან ფორმალურად დაკავშირებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და რომლებიც წარმოადგენენ რეგიონალურ, ეთნიკურ, გენდერულ და სხვა საზოგადოებრივ ინტერესებს, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის განვითარების მიმდინარე ეტაპზე. ამ მოდელისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მართვაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების შერჩევა, საბჭოში მათი წარმომადგენლობის წესის განსაზღვრა და მათი უფლებამოსილებების დადგენა. ასეთი მოდელისათვის ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენს სიტუაცია, როდესაც საბჭოში ჩართული დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები თვლიან, რომ პასუხისმგებელი არიან არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - როგორც ერთიანის, არამედ მხოლოდ იმ ჯგუფის წინაშე, რომელმაც ისინი აირჩია ან წარადგინა საბჭოში. მიუხედავად ამ ნაკლისა, უნივერსიტეტები ჩვეულებრივ იყენებენ მმართველობის ამ მოდელს გარკვეული ფორმით - საბჭოში აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, ხელისუფლების წარმომადგენლების და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართვით.

დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებში სავარაუდოდ, გაამდიდრებს დაწესებულებას ახალი და განსხვავებული გამოცდილებით, აამაღლებს მისი საქმიანობის გამჭვირვალობას და გაამლიერებს საზოგადოების ნდობას დაწესებულებისადმი. მაგრამ, ამავდროულად, გარე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების დომინანტობა მართვის ორგანოებში, ხშირ შემთხვევებში, იწვევს ინსტიტუციური ავტონომიის შეზღუდვის განცდას დაწესებულების პერსონალში და ამცირებს მართვის ორგანოებთან მათი აქტიური თანამშრომლობის მოტივაციას. (Shattock, 2003)

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობა დაინტერესებული მხარეების მიერ დაკავშირებულია ისეთ სირთულეებთან, როგორიცაა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების საკითხი, აგრეთვე მათ შორის არსებული განსხვავებებით განპირობებული პრობლემები. მმართველობის ამ მოდელში, მისი ფორმირების პრინციპებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად მძაფრად ხორციელდება გადაწყვეტილების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების პოზიციების განსხვავებებზე ფოკუსირება, რაც ხელს არ უწყობს მართვის ორგანოში რაციონალური

დისკუსიებისა და დემოკრატიული განხილვების პროცესებს და შესაბამისად, მნიშვნელოვნად ამცირებს ასეთი მართვის ორგანოს ეფექტიანობას. (Morrow, 1998)

მართვის შერეული მოდელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კიდევ ერთი გავრცელებული მოდელია მართვის შერეული მოდელი, რომელიც ზემოაღნიშნული მოდელების გარკვეულ კომბინაციას წარმოადგენს. ამ მოდელის დადებით მხარედ ითვლება ის გარემოება, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, იგი იძლევა მართვის სხვადასხვა მოდელებისათვის დამახასიათებელი უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობას. (Dearlove, 1997)

ამრიგად, თითოეული მმართველობითი მოდელი ემსახურება განსხვავებულ მიზნებსა და მისწრაფებებს, გულისხმობს განსხვავებული ამოცანების გადაჭრას განსხვავებულ კონტექსტში და დროში. შესაბამისად, კონკრეტული მოდელის უპირატესობების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეალური საჭიროებების ადეკვატურად არის შერჩეული.

კარგი მმართველობითი მოდელის არსებობა გულისხმობს თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში სწრაფი და კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. ამ მიზნით უნდა არსებობდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლების უფლებამოსილებათა ნათელი გამიჯვნა და, ამასთან ერთად, თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობები სრულად უნდა შეესაბამებოდეს მის უფლებამოსილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს მმართველობის მკაცრ ცენტრალიზაციას, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია რექტორის, დეკანის ან სხვა მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირის ჩარევის გარეშე. მმართველობის ჭარბი ცენტრალიზაცია იწვევს რესურსების არაეფექტურ ხარჯვას და შრომის ნაყოფიერების შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიციური საკადრო რესურსების სიმწირის შემთხვევაში ეფექტური მმართველობითი სტრუქტურის აგება მნიშვნელოვნად რთულდება, რაც, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური არაერთგვაროვნების ფონზე, იწვევს აქცენტების გადანაწილების აუცილებლობას მმართველობითი ამოცანების ფორმულირებაში და შედეგად წარმოიქმნება ახალი მმართველობითი ფუნქციები, რომელიც არ შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული ფუნქციონირებისათვის მისი ყველა მმართველი ორგანო უნდა მუშაობდეს კოოპერაციის რეჟიმში, მაღალი გამჭვირვალობისა და სანდოობის პირობებში და უნდა გააჩნდეთ ღია საკომუნიკაციო არხები ინფორმაციის მიმოცვლისათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კარგი მმართველობა, ჩვეულებრივ, მისი პერსონალის ხანგრძლივი და მიზანმიმართული შრომის შედეგია, რაც წარმატებული მმართველობისათვის აუცილებელი სტრუქტურების, პროცესებისა და პროცედურების ერთობლიობაში ვლინდება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კარგი მმართველობა გულისხმობს მმართველი საბჭოს შესაძლებლობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიმდინარე ეტაპზე განსაზღვროს არსებული მმართველობის მოდელის სუსტი მხარეები და განახორციელოს სათანადო ნაკლოვანებების დროული აღმოფხვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის განსხვავებული მოდელები გულისხმობს დაწესებულების მისიით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტას განსხვავებულ პრინციპებზე კონცენტრირებული მიდგომებისა და განსხვავებული მეთოდების გამოყენებით. ამიტომ კონკრეტული მოდელის უპირატესობათა რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც იგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეალური საჭიროებების ადეკვატურად არის შერჩეული არსებული გამოწვევებისა და გარემოში მიმდინარე პროცესების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ბიბლიოგრაფია:

დოღონაძე, შ., & ბაღათურია, ო. (2009). *სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები.* თბილისი: ცის ნამი.

Alfred, R. L. (1998). *Shared Governance in Community Colleges.* Denver: Education Commission of the States.

American Association of University Professors. (1966). *Statement on Government of Colleges and Universities.* Retrieved from https://www.aaup.org/our-programs/shared-governance

Currie, J. (2005). What Makes Shared Governance Work? An Australian Perspective. *Academe, 91* (3), 20–23.

Dearlove, J. (1997). The Academic Labour Process: From Collegiality and Professionalism to Managerialism and Proletarianisation? *Higher Education Review, 30* (1), 56-75.

Dill, D., & Helm, K. (1988). Faculty Participation in Strategic Policy Making. In *Higher Education: Handbook of Theory and Research* (pp. 320–355). Netherlands: Springer.

Ferlie, E., Lynn, L. E., & Pollitt, C. (2007). *The Oxford Handbook of Public Management.* Oxford: Oxford University Press.

Fish, S. (2007). Shared Governance: Democracy is Not an Educational Idea. *Change, 39* (2), 8-13.

Gerber, L. G. (2001). Inextricably Linked: Shared Governance and Academic Freedom. *Academe, 87* (3), 22-24.

La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., Shleifer, A., & Vishny, R. (2000). Investor protection and corporate governance. *Journal of Financial Economics, 58*, 3-27.

Lapworth, S. (2004). Arresting Decline in Shared Governance: Towards a Flexible Model for Academic Participation. *Higher Education Quarterly, 58* (4), 299-314.

Lau, R. (1996). *Shared Governance and Compton Community College District.* Retrieved from Educational Resources Information Center (ERIC): https://files.eric.ed.gov/fulltext/ED396806.pdf

Mitchell, J. (2007). A Communitarian Alternative to the Corporate Model. *Academe, 93* (6), 48-51.

Morrow, W. (1998). Stakeholders and Senates: the governance of higher education institutions in South Africa. *Cambridge Journal of Education, 28* (3), 385-405.

Mostovicz, E. I., Kakabadse, N. K., & Kakabadse, A. (2011). Corporate governance: quo vadis? *Corporate Governance, 11* (5), 613-626.

Newman, F., Couturier, L., & Scurry, J. (2004). *The Future of Higher Education: Rhetoric, Reality, and the Risks of the Market.* San Francisco: Jossey-Bass.

Rowlands, J. (2017). *Academic Governance in the Contemporary University.* Singapore: Springer.

Schuetz, P. (1999). *Shared governance in community colleges.* Los Angeles: Eric Digests.

Shattock, M. (2003). *Managing Successful Universities.* Maidenhead: SRHE and Open University Press.

Taylor, M. (2013). Shared Governance in the Modern University. *Higher Education Quarterly, 67* (1), 80–94.

Trakman, L. (2008). Modelling University Governance. *Higher Education Quarterly, 62* (1-2), 63-83.

Vigoda-Gadot, E., & Meiri, S. (2008). New public management values and Person-Organization Fit: A socio-psychological approach and empirical examination among public sector personnel. *Public Administration, 86* (1), 111-131.

Zemsky, R., Wegner, G. R., & Massy, W. F. (2005). Today's Colleges Must Be Market Smart and Mission Centered. *Chronicle of Higher Education, 51* (45), B6-B7.

Nikoloz Midodashvili

Gori State Teaching University

SPECIFICITY OF GOVERNANCE MODELS OF HIGHER EDUCATIONAL INSTITUTION

RESUME

Various models of governance of the higher education institution are considered in the paper. Their characteristics, advantages and shortcomings are presented. It is stated that the benefits of a particular model can be realized only when it is chosen adequately to existing needs of the institution.

Keywords: Higher educational institution, Governance models, Academic governance, Shared governance, Corporate governance.

Prof. Arkadiusz Modrzejewski
Research Institute for European Policy
University of Gdansk (Poland)

DEVELOPMENT OF THE THIRD SECTOR IN POLAND

1. Historical background

During the communist period non-governmental organisations in Poland were deprived of autonomy and subjected to state control; the activity of associations of various nature – from hobby to regional organisations, veterans and scouts was licensed by state institutions. The situation began to change in the mid-1980s. The law of 6 April 1984 restored the institution of a foundation. However, in the last five years of the communist regime only 300 such entities were established (Wawrzyński, 1997, p. 21-22).

However, it cannot be stated on this basis that civil society did not exist in so-called People's Poland. Poland of that time, unlike other communist bloc countries, was characterised by a certain degree of freedom. The Catholic Church, which provided a space of freedom for Poles, had a special place in this respect. Within the framework of the church structures or under the patronage of the Church, grassroots social initiatives, not only religious but also social and cultural ones were created, such as Catholic intelligence clubs or "Znak" [*Sign*] association. The Catholic Church in Poland had a network of partially free periodicals representing different currents of Catholicism, its own colleges, including the Catholic University of Lublin and both local (diocesan) and national publishing houses (e.g. Znak Publishing House) (Modrzejewski, 2011, p. 141).

In addition to social activities undertaken under the patronage of the Church, in Poland of the days of real socialism, grassroots initiatives appeared, which were an expression of opposition to the policy of the communist authorities. This type of action includes, among others, Ruch [*Movement*] (1965-1970), Ruch Obrony Praw Człowieka i Obywatela [*Movement for Defence of Human and Civic Rights*] (est. in 1975), Komitet Obrony Robotników [*Workers' Defense Committee*] (1976-1977) or so-called flying universities (1977). Free trade unions, formed as an alternative to the regime workers' organisations, occupied an important place among these forms of civic activity. Acting unlawfully, members of these unions were exposed to repression by the authorities. Their determination led to the creation of the nationwide Independent Self-Governing Trade Union "Solidarity", which, as a result of the so-called August Agreements, became a legal, yet independent from the authorities, organisation of workers and a mass social movement that became a catalyst for systemic change. The creation of the trade union independent from the authorities was accompanied by the creation of other independent forms of civic activity – the agricultural organization, so-called „Solidarności" Rolników Indywidualnych *["Solidarity" of Individual Farmers*] and Niezależnego Zrzeszenia Studentów [*Independent Students' Union*] (Friszke, 1994).

Citizen initiatives were also launched during the period of the martial law (1981-1983) and after its termination. We should mention here Prymasowski Komitet Pomocy Osobom Pozbawionym Wolności i ich Rodzinom [*Primate Assistance Committee of the detainees and their families*], which was created under the auspices of Metropolitan of Warsaw Archbishop Józef Glemp and operated during the martial law, and many other forms of the activity of the opposition, such as Solidarność Walcząca [*Fighting Solidarity*] (est. in 1982), Ruch Wolność i Pokój [*Freedom and Peace Movement*] (1985) or the anti-communist and happening movement Pomarańczowa Alternatywa [*Orange Alternative*] (1982) (Wierzbicki, 2013).

On 7 April 1989, before the systemic change took place in Poland, an institutional framework was established for the functioning of legal but independent from the authorities social organisations. The Parliament of the Polish People's Republic adopted the Law on Associations, which is still valid today, although amended numerous times. In the preamble to the Act the constitutional guarantees of freedom of association and the Universal Declaration of Human Rights and the International Covenant on Civil and Political Rights were invoked [*The Act of 7 April 1989 on Associations*]. This law can be considered a milestone in the development of civil society in Poland.

2. Statistics of non-governmental organisations in contemporary Poland in the light of research of the Klon/Jawor [*Maple/Sycamore*] Association

The research which was a basis of this study was conducted in the second and third quarter of 2015 on a representative sample of 3800 foundations and associations operating in Poland. Information about non-governmental organisations was collected by two methods: a) 2975 interviews were conducted using the CAPI technique (direct computer-aided interviews conducted by field interviewers), b) 825 interviews were carried out by the CAWI technique (an online survey). In both cases the respondents were key persons in the organisation. The research conducted by the Klon/Jawor Association under the nationwide project *The condition of the sector of non-governmental organisations in Poland 2015* sheds light on the state of the third sector and the functioning of NGOs in Poland

Currently 17 thousand foundations and 86 thousand associations operate in Poland. According to the estimation of the Klon/Jawor Association, which is a promoter of civil society and the association idea in Poland, there are about 70 thousand active organisations [*Kondycja organizacji pozarządowych w Polsce 2015,* 2016: 9]. These statistics do not

cover voluntary fire brigades (according to the National Court Register there are less than 16 thousand of them) and unregistered student sports clubs, various committees (commemorating local heroes, building memorials, water supply and sewerage networks, etc.) and so-called regular associations, which do not have a legal status, but are only registered in county and municipal offices.

Polish non-governmental organisations are active in the following areas[1]:

- tourism, sports and hobbies – 34% of Polish organisations treat these fields as their main area of activity;
- education and upbringing – 15% of NGOs;
- culture and art – 13% of NGOs;
- social services and social assistance – 8% of NGOs;
- health care – 7% of NGOs;
- local development – 6% of NGOs (*Polskie organizacje pozarządowe 2015*, 2014, p. 4).

The activity of Polish non-governmental organisations is primarily local and regional (62% of NGOs). According to the research of the Klon/Jawor Association, 32% of NGOs are active in the municipality or county (counties in Poland consist of several municipalities, large cities have the status of an urban county). Only 5% of foundations and associations limit their activities to the nearest neighbourhood (e.g. village, street, district, school). Thus, about 37% of Polish organisations have a local character. The scope of activity limited to the municipality or county is declared mainly by local development organisations. As many as 50% of organisations of this type have a local character. 25% NGOs are characterised by regional activity and 28% by nationwide. Only 10% of organisations declare activity on the international scale. The highest rate of internationalisation is found among cultural and arts organisations (45% of cultural organisations declare the international range of operation) and health care ones (42% of organisations operating in the field of health care are active at the international level) (*Ibid.*).

Over the past few years the number of organisations with a long operation period has increased. In 2015 43% of all foundations and associations in Poland operated for eleven or more years (*Ibid.*). This is probably due to the fact that particular organisations and the third sector in general have taken root in Polish society. Social organisations are a natural part of the Polish social landscape.

An interesting aspect of the operation of social organisations is the activity of their members and volunteering. Social organisations in Poland are characterised by a relatively high rate of feminisation, especially when it comes to sitting on management boards of foundations and associations. In 2015 women accounted for 47% of the members of boards of Polish NGOs. Their share is especially visible in organisations working in the health care sector (66% of women in boards) and social assistance (64% of women in the governing bodies of foundations and associations) (*Ibid.*, p. 6). Board members are the most active members of associations. This may be the reason why the boards are characterised by a low level of changeableness. Approximately half of members of boards have sat on them since the creation of the organisation. This trend is particularly evident in the case of young organisations, operating up to five years, where 68% of board members have served on them since the establishment of the organisation (*Ibid.*). At the same time, it is noted that the number of organisations that employ paid staff is increasing. This is probably related to greater financial support that Polish NGOs can obtain. In 2015 more than a half of foundations and associations (55%) paid remuneration. These are usually civil law contracts, not permanent employment contracts. The latter form of employment was chosen by only 20% of organisations paying salaries. This, in turn, may indicate the fact that financial resources of Polish organisations are not large enough to employ permanent employees. They are rather inclined to fulfil the requirements of grant giving organisations funding specific tasks within projects rather than full-time jobs (*Kondycja organizacji pozarządowych…*, p. 19-20]. However, activity of NGOs in Poland is based mainly on voluntary work. It pertains in particular to organisations located in rural areas. In villages only 20% of organisations use paid work, in contrast to Warsaw – 56% and other big cities – 42% (*Polskie organizacje pozarządowe…*, p. 10).

The study of the Klon/Jawor Association also showed an increased interest in volunteering as a form of social activity. This is an interesting trend, because at the same time we can notice a decrease in the number of members of associations which constitute the predominant organisational form, 80% of Polish NGOs are associations. The average Polish association had 30 members in 2015. In 2008 there were 40 of them (*Kondycja organizacji pozarządowych…*, p. 19). Generally a half of the members are active; others remain passive and do not participate in the activity of the organisation, which of course does not exclude them from the membership of the association (*Kondycja organizacji pozarządowych…*, p. 19). Today, as many as 61% of NGOs use volunteer work, while in 2007 only 40%, although the number of volunteers is generally not increasing. 20% of Poles are engaged in volunteering (*Polskie organizacje pozarządowe…*, p. 8).

It is worth looking at the financing of Polish non-governmental organisations. In recent years, an increase in revenue of third sector entities has been noticeable. Over three years from 2011 to 2014, average NGO revenues increased from PLN 18,000 to PLN 27,000 (1 € ~ 4,2 PLN). Despite the upward trend, experts estimate that the third sector in Poland is characterised by low financial stability. Almost a half of Polish organisations in 2015 did not have a half of the secured budget for the next ten months, i.e. they operated in fact either in an improvised way, counting on obtaining a grant, or basing their activity on unpaid work. As many as 14% of Polish NGOs had budgets below 1

[1] The research of the Klon/Jawor Association pertains only to foundations and associations. It does not cover voluntary fire brigades.

thousand PLN, and only 6% were able to boast of a budget of one million or more (*Polskie organizacje pozarządowe…*, p. 14). In 2014 the revenues of Polish organisations consisted of the following components:

- funds obtained from local government and state administration (60% of NGOs used them);
- membership contributions (they constitute a source of revenue also for 60% of organisations);
- financial and material donations from individuals, companies and institutions (57% of organisations could recognise them as a source of income);
- income from paid business activity or own assets (26% of organisations treats them as a source of income);
- income from the deduction of 1% of tax by natural persons – this refers to so-called public benefit organisations (23% of organisations showed this type of income);
- foreign and European public funds (18% of organisations had such funds at their disposal);
- subsidies from other organisations, both domestic and foreign ones (this was the source of revenue for 14% of Polish NGOs) (*Polskie organizacje pozarządowe…*, p. 15).

3. Cooperation of the third sector with public administration and business

An important aspect of the functioning of the third sector are its relations with its environment, i.e. public administration, primarily local government, as well as with business, which provide both funding for the operation of non-governmental organisation and non-financial support (consultancy, contacts, goods for the organisation and persons it takes care of, etc.). In Polish reality the idea of partnership both within the third sector and between the third sector and public authorities and entrepreneurs is promoted. In the normative aspect, the argument is raised that activity of non-governmental organisations in itself already assumes co-operation; the effectiveness of the third sector is therefore linked with the ability to start cooperation (Wygnański, 2012, p. 12).

Relations between non-governmental organisations and local government are considered particularly important. It is at the local level that the most significant human activity takes place, covering various spheres of activity from sport and tourism to ecology and social assistance. NGOs are, should be and can be a partner for local governments, architects and co-creators of local and regional public policies (educational, cultural, environmental, security, health, social, promotion, etc.) (*Poradnik modelowej współpracy administracji publicznej i organizacji pozarządowych* 2012, p. 33-47).

According to the research of the Klon/Jawor Association, 92% of Polish organisations maintain contact with local government, for 46% of them these are permanent and regular relations. They are particularly strong in rural areas and small towns, where the degree of social interaction is much higher. 43% of organisations in Poland received subsidies from local governments for the realisation of their statutory objectives. Local governments generally support such activities as sports, tourism and hobbies (55% of organisations received grants from local government), culture and art (44%), social assistance (44%), health care (43%) and education and upbringing (38%) (*Kondycja organizacji pozarządowych…*: 86). The so-called participatory (civic) budget is becoming a more and more popular form of co-participation of non-governmental organisations, as well as of other informal groups in the creation of local reality.

A civic budget is a way to mobilise the residents as well as to spend money efficiently, as residents themselves indicate which expenditures are the most needed according to them.

The decisions can be made directly by residents or through social organisations. The process of creation of the city budget can be regarded as participative if it meets the following condition: – firstly, its integral part is a public discussion on financial and budgetary issues of the city among the residents who meet and deliberate at meetings or forums organised for this purpose at least at one of the stages of the initiative, – secondly, the discussion within the participatory budget concerns clearly defined, limited financial resources, – thirdly, the participatory budget is not limited to the level of a district, residential area or institution, but pertains to the level of the whole city, – fourthly, its results are binding; investment proposals chosen by the residents are implemented. The residents receive feedback on both the projects selected in the discussion as well as the rejected ones. The implementation of investments resulting from the participatory budget is monitored, – fifthly, the participatory budget is not a one-off, but long-term process – it is organised every year for years (Sorychta-Wojszczak, 2015, p. 422). The first participatory budget in Poland was introduced in Sopot (the municipality belonging to Gdansk agglomeration) in 2011.

Cooperation with local government also has a non-financial dimension. It concerns mainly consultations. Organisations become participants of public debates and co-architects of local reality. In 2014 39% of organisations took part in the preparation or consultation of local law, strategies, or in drafting of documents and plans (*Kondycja organizacji pozarządowych…*, p. 88).

So-called social economy is also gaining in popularity in Poland. What brings it closer to the business world is so-called corporate social responsibility, a concept which implies taking into account social interests and ecological issues in the business strategy. Małgorzata Kaliszewska draws attention to several benefits resulting from cross-sectoral cooperation:

- obtaining new, permanent sources of financing;
- reduction of dependence on grants awarded by public administration;

– gaining know-how from the world of business in the form of expertise knowledge, experience and tools enabling the implementation of a more complex system of managing the organisation;
– development and implementation of standards and patterns of work applied in the business sector;
– obtaining funding for specific statutory goals;
– reducing the cost of activity through the use of work of volunteers from the business sector;
– dissemination of proactive attitudes among the beneficiaries and in the local environment;
– elimination of negative stereotypes in the business environment;
– obtaining real capital (transport infrastructure, buildings, equipment) (Kaliszewska, 2012, p. 26].

Benefits, however, are mutual. Not only do organisations receive support from business, but also entrepreneurs, especially those who engage in social action, can gain significant benefits. The following can be enumerated here:

– finding new business opportunities that cannot arise without the involvement of the social partner;
– access to new markets, experts and services that are not commercially available;
– contracting and using EU funds that would not be available without a partnership with a social organisation;
– using the experience of working with volunteers to involve employees in social projects (so-called employee volunteering);
– gaining new channels of communication between the commercial entity and the local community;
– participation in the management of social conflicts and risks;
– creating the image of the company as a socially engaged entity;
– being associated with a clear social programme;
– improving the ecological, social and cultural awareness of people employed in the company;
– in the case of supported employment enterprises cooperation with social entities enables the recruitment of potential employees with various degrees of disability and the acquisition of funds from a special fund for the disabled [*Ibid.*: 27].

In general, Polish non-governmental sector positively assessed cooperation with the business sphere. As many as 75% of the organisations surveyed by the Klon/Jawor Association contact private companies. This is a clear upward trend as in 2009 just over 50% of NGOs declared such contacts. However, in general these contacts are not permanent or regular. Only 14% of organisations declare this kind of relationship (*Kondycja organizacji pozarządowych*, p. 95). According to Janusz Reichel's study, mainly local businessmen are partners of NGOs in Poland. It is among them that non-governmental activists look for financial and non-financial support. This author expresses some fears about the future of contacts between the non-governmental sector and business. These are not only ideological and structural barriers that can be overcome just by changing the paradigm of thinking about the role of the social and business sectors (Reichel, 2015, p. 331).

4. The importance of lobbying

In their current activity Polish NGOs reach for a variety of tools and methods of implementing their statutory goals. One of them is lobbying, defined primarily as the stimulation and transmission of communication by people who wish to effectively influence the decision-making process in the state [*International Encyclopedia of Public Policy and Administration*]; contacting legislators and state officials and making them inclined to specific legal and administrative solutions (Koetler, 1994, p. 621); a set of techniques for influencing the decision-making process, which consist in convincing the representatives of state authorities of the appropriateness of specific legal, administrative, problem solutions (Jasiecki, Molęda-Zdziech, Kurczewska, 2000, p. 16) or the process of shaping a policy (Mrozowska, 2014, p. 16).

Lobbying of non-governmental organisations is carried out both in relation to local government and state authorities and at the European level – with regard to EU institutions. In each of these cases it is characterised by varying effectiveness, among others, due to different perception of lobbying by various levels of authority.

In the case of non-governmental organisations the subject of lobbying are primarily financial resources supporting their statutory activity.

The report on research and monitoring of lobbying in the voivodeship self-government shows that NGOs are involved in social and environmental programmes and actively participate in the consultation of strategic and programme-planning documents. Their voice is better heard when they act together, creating forums of NGOs (Makowski, 2010, p. 67). The importance of non-governmental organisations as a very important consultant and advisor to local government units was reflected in the provisions of the Act on Public Benefit and Volunteerism. The legislator also took legal steps to make it possible for non-governmental organisations to influence the regional policy. Provincial councils of public benefit are such a statutory forum.

Lobbying of NGOs at the national level is hampered by the fact that decision-makers are reluctant to open up to debate or consultation, and "the requirement of openness" is not treated very seriously. On the other hand, research also reveals a low level of competence on the part of stakeholders, including non-governmental organisations, which further blocks the opening up of decision-making processes. In Poland, as public opinion polls show, lobbying has negative

associations for a vast majority of citizens. It is connected with the conviction that various public decisions (for example on public procurement) are made not on the basis of substantive reasons but from the point of view of the benefits of specific individuals and their private interests (Feliksiak, 2013).

In turn, lobbying of non-governmental organisations in relation to EU institutions is most often carried out through European federations (NGOs associations from the whole EU) (Kurczewska, 2011, p. 99). The European Union assumes that non-governmental organisations treated as civil society can and should play the most important role in creating various connections between citizens and decision-makers in Europe. The lack of democratic legitimacy at the EU level is offset by the adoption of the idea of civil society and the inclusion of representation of society, including non-governmental organisations, in the policy-making process. The formal basis for conducting civil dialogue in a horizontal and vertical dimension was provided by the Lisbon Treaty in force since January 2009.

Polish NGOs benefit from a number of EU programmes, taking part in grant competitions and building networks of cooperation with similar organisations across the EU. A vast majority of financial programmes and instruments at the EU level offer NGOs the opportunity to finance their various ventures. The acquisition of EU funds, however, requires certain competences. A vast majority of Polish non-governmental organisations endeavour to systematically train their employees and members in the field of acquiring and clearing EU funds, and also take part in information meetings on the acquisition of EU funds organised by EU institutions or institutions performing such a role at the national level.

5. The 3rd sector in the Pomeranian region

According to data from the National Court Register at the end of 2015, 7426 foundations and associations were registered in Pomeranian Province. This accounted for about 6% of all NGOs officially operating in Poland. Taking into account the structure of the period of operation of Pomeranian NGOs (their age), it did not differ from the national average (deviations in this respect were not greater than 3%). Organisations operating up to 5 years (33%) constituted the largest share in Pomerania – as was the case throughout Poland. The percentage of organisations existing from 6 to 10 years accounted for 26% (Poland – 24%), from 11 to 15 years 21% (Poland – 19%), while the oldest (operating for over 15 years) accounted for 21% (Poland – 24%). The Pomeranian region did not differ from the rest of the county in terms of areas of activity of third sector entities (deviations in this respect were also not higher than 3%). The biggest number, almost 1/3 of Pomeranian organisations and associations declared their activity in the field of *sport, tourism, recreation, hobbies*. The second, most popular sector of operation was *education and upbringing* (Pomeranian – 16%, Poland – 15%). The biggest discrepancies in comparison with the rest of the country pertained to *culture and art*. While in Poland 13% of third sector entities declared this profile of activity as the leading one, in Pomerania it was only 10%. Next came *social services and social assistance* (Pomeranian – 9%, Poland – 8%); local social and economic development (8% and 6%, respectively) and health care (7%). The analysis of the coverage of Pomeranian foundations and associations revealed slightly greater divergences in comparison with the rest of the country. While throughout the country every fourth organisation indicated regional activity, in Pomeranian the share reached 37%. On the other hand, the number of entities acting both on a local scale as well as nationwide or internationally was slightly lower in the region in comparison with the national average. Taking into account human resources, NGOs in Pomerania relied to a greater extent on paid work. According to the survey, the percentage of organisations with at least one permanent employee in Pomeranian was exactly the same as in the rest of the country (35%), but local NGOs indicated that they were willing to pay for work sporadically (Pomeranian – 23% Poland – 20%).

A significant fact is that Pomeranian organisations of the third sector also had a slightly higher percentage of active members (i.e., involved in the work of the organisation). In Pomeranian 51% of members were involved in the activity of the organisation, while in Poland it was only 48%. At the same time, in the case of the Pomeranian region the cooperation of local organisations with volunteers was slightly lower – 59% of NGOs used their help, while in the whole sector it was 61%. Financial issues are an important aspect of the functioning of third sector entities. In this context Pomeranian Province is distinguished by a significantly higher share of organisations with the average income. Almost every second non-governmental entity in the region had an annual budget of between 10 and 100 thousand PLN (while in the country the percentage of foundations and associations with such funds was lower by 10%). Taking into account sources of revenues, almost every third NGO in Pomerania used funds coming from foreign public sources (mainly from European funds). In the assessment of Pomeranian third sector organisations, co-operation on between NGOs and local government was relatively good. On a 10-point scale, where 1 meant “very bad” and 10 “very good”, on average NGOs rated this cooperation at 6.92 (while the average across the sector was 6.88). One of the components of such a relatively high rating was the active participation of the third sector in consultations organised by the local government (41% of Pomeranian organisations were involved). Among the diagnosed problems of the development of the sector of NGOs in Poland, Pomeranian Province entities pointed out the following issues more frequently than in the country: lack of cooperation and conflicts in the non-governmental environment (Pomeranian – 33%, Poland –23%) and lack of effectiveness of the activity, which is often explained by means of good intentions (52% vs. 46% in Poland). In addition, entities from the Pomeranian region think that associations and foundations are becoming more similar in the way of conducting their activity to public administration (Pomeranian – 39%, Poland – 33%) (*Kondycja organizacji pozarządowych…*, p. 165-174).

References
Feliksiak M., (2013). Opinie o korupcji w Polsce. Komunikat z badań, Centrum Badania Opinii Społecznej, Warszawa, at: http://cbos.pl/SPISKOM.POL/2013/K_105_13.PDF [accessed: 10 May 2014].
Firszke A., (1994). Opozycja polityczna w PRL 1945-1980, Londyn.
International Encyclopedia of Public Policy and Administration, (1998), ed. J.M. Shafritz.
Jasiecki K., Molęda-Zdziech M., Kurczewska U., (2000). Lobbing. Sztuka skutecznego wywierania wpływu, Kraków.
Kaliszewska M., (2012). Partnerstwo międzysektorowe w ekonomii społecznej – współpraca z administracją publiczną i biznesem. In: Partnerstwo – współpraca międzysektorowa w realizacji celów społecznych, eds. A. Handzlik, J. Głowacki, Kraków.
Koetler P., (1994). Marketing, Warszawa.
Kondycja sektora organizacji pozarządowych w Polsce 2015. Raport z badań, (2016). Warszawa.
Kurczewska U., (2011). Lobbing i grupy interesu w Unii Europejskiej, Warszawa.
Makowski G., (2010). Lobbing w samorządzie województwa. Raport z badań i monitoringu, Warszawa.
Modrzejewski A. (2011). The Importance of the Catholic Church in the Polish Politics in the Recent Years, In: Media, Politics, Society, Current Problems of Social Sciences, ed. Amiran Berzenishvili, Tbilisi.
Mrozowska S., (2014). Lobbing a wyzwania regionalne w Unii Europejskiej, Gdańsk.
Polskie organizacje pozarządowe 2015, (2015). Warszawa.
Poradnik modelowej współpracy administracji publicznej i organizacji pozarządowych, (2012), Warszawa.
Reichel J., (2015). Doskonalenie partnerstwa organizacji pozarządowych i biznesu. Wstępne wyniki badań, „Prace Naukowe Uniwersytetu Ekonomicznego we Wrocławiu", no. 378.
Sorychała-Wojsczyk B., (2015). Uwarunkowania wykorzystania budżetu obywatelskiego w administracji publicznej w Polsce, „Zeszyty Naukowe Politechniki Śląskiej", vol. 78.
Wawrzyński M., (1997). Fundacje w Polsce, Warszawa.
Wierzbicki M., (2013). Ostatni bunt. Młodzieżowa opozycja polityczna u schyłku PRL 1980-1990. Fakty, konteksty, inspiracje, Lublin – Warszawa.
Wygnański J., (2012). Skuteczne animowanie kultury współpracy – czynniki sukcesu w procesie budowy partnerstw. In: Partnerstwo – współpraca międzysektorowa w realizacji celów społecznych, eds. A. Handzlik, J. Głowacki, Kraków.

ალექსანდრე მღებრიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ცხინვალი პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე
(ეკონომიკური ასპექტი)

საკვანძო სიტყვები: პრესა, ეკონომიკა, რეფორმა, კერძო საკუთრება.

1917 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ რუსეთის იმპერიის ჩამოშლამ ახალ შესაძლებლობათა ველის გახსნას შეუწყო ხელი.

საქართველო ახალი ეპოქის კარიბჭესთან იდგა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა დიდი გამოცდილება, ქვეყანაში არსებობდა ყველა რესურსი დამოუკიდებელი ორგანიზმის შესაქმნელად. ძირითადად ვგულისხმობთ მდიდარ ბუნებრივ რესურსს, ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარკვეულ გამოცდილებას. (მექვაბიშვილი, 2000, გვ. 42) თუმცა იყო ხელისშემშლელი გარემოებებიც. მიუხედავად იმისა, რომ მყარი და ეფექტური ეკონომიკური გარემოს შექმნის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის წარმატებაზე ფიქრი, ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება ხელისუფლებას არ აძლევდა საშუალებას მისი მთავარი საზრუნავი ეკონომიკის განვითარება ყოფილიყო.

დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დღეებიდანვე მყისიერად მოსაგვარებელ პრობლემათა შორის უპირველესად იქცა ქვეყანაში არსებული მატერიალური რესურსის თანმიმდევრულად დაგეგმვის

აუცილებლობა. დაგეგმილი ხარჯების ეფექტურობა განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის ამაღლებას, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სოციალური პრობლემატიკის მოწესრიგებისთვის ზრუნვას. ამდენად, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ახალშობილი დამოუკიდებელი ქვეყნის სასიცოცხლო არტერიად გადაიქცა.

ეკონომიკური რეფორმა საჭიროებდა რამდენიმე მიმართულებით განტოტვას, რომელთაგან ერთ-ერთი საგადასახადო სისტემის მოწესრიგება გახლდათ. ხელისუფლება ცდილობდა მოქალაქეთა შეგნებამდე დასულიყო, რომ განვითარებულ ქვეყნებში, გადასახადის სრულად გადახდა სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მთავრობა ზოგად დირექტივებს იძლეოდა ახლად გახსნილი სამაზრო ერობებისა და თემებისთვის. სამაზრო ერობები აქტიურად განიხილავდნენ ეკონომიკურ საკითხებს და ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ სახელისუფლებო პოლიტიკისთვის.

სხვა პერიფერიების გვერდით, ეკონომიკური საკითხები აწუხებს ცხინვალის საზოგადოებასაც. პერიოდულად იმართება დისკუსიები, მსჯელობა, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, რომლებზეც განიხილება მოქალაქეთათვის საინტერესო საკითხები.

„ცხინვალი. თანახმად გორის სამაზრო კომიტეტის ბიუროს დადგენილებისა, ნოემბრის გასვლამდე უნდა მომხდარიყო მთელი მაზრის სათემო ორგანიზაციების ჩამოვლა და ადგილობრივათ უნდა გამორკვეულიყო თუ პარტიული მუშაობა სად როგორ მიმდინარეობდა. თანახმად ამ დადგენილებისა 8 ნოემბერს მოწვეული იყო ცხინვალის თემის 10 საუბნო ორგანიზაციების წევრთა საერთო კრება. კრებას მრავალი წევრი დაესწრო.

შაქრო გოგიჩაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება. თბილისში მომხდარ ეკონომიურ თათბირის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიუროს წევრმა ეფრემიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ თათბირზე გამომუშავებული დებულებანი და მოუწოდა მისი ცხოვრებაში გატარება. შესახებ პარტიული მუშაობისა, ოსმალთა საფრთხისა და მობილიზაციის, მოხსენება გააკეთა ა. ქვათაძემ. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ორივე მოხსენება და გამოიტანა რეზოლუციები, რომლითაც სასურველათ სცნობენ თფილისში მუშათა თათბირზე გამომუშავებულ დებულებების ცხოვრებაში გატარებას; მეორე რეზოლუციით ადგენენ, რომ მხარში ამოუდგებიან მთავრობას ქვეყნის დაცვის საქმეში და ყოველ მის განკარგულების ცხოვრებაში გატარებას ხელს შეუწყობენ და მზათ იქნებიან ყოველნაირი მსხვერპლის გამოსაღებათ.

9 ნოემბერს ასეთივე კრება მოხდა შინდისში და საქაშეთში“. (ერთობა, 1920, №263, გვ. 4)

ქვეყნის საგადასახადო სისტემა საჭიროებდა ძირეულ გადახედვას. რესპუბლიკის არსებობის ბოლო სტადიაზეც კი აღნიშნული საკითხის საბოლოოდ მოწესრიგება ვერ მოხერხდა. პერიოდული პრესა დროდადრო მიუთითებდა საგადასახადო სივრცეში მიმდინარე მოვლენებსა და არსებულ ხარვეზებზე. მკითხველს წარვუდგენთ გაზ. „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერს, რომელშიც დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის უკმაყოფილება მოჩანს, რაც გამოწვეულია საგადასახადო სფეროში განვითარებული მოვლენებით. კერძოდ, მოსახლეობამ გააპროტესტა გორის სამაზრო ერობის სასურსათო გამგის პ. ეფრემიძის განკარგულება, წისქვილებზე დაწესებული ორ პროცენტიანი გადასახადის ნაცვლად ჭირნახულით ანაზღაურება. ეფრემიძის ბრძანება, რომლის აღსრულებაც ღალის ამკრეფ რწმუნებულებს დაევალათ, მეწისქვილეებს ავალდებულებს, რომ დაწესებული ორ პროცენტიანი გადასახადის ნაცვლად უნდა აიკრიფოს ჭირნახული დიდ ქვაზე 6 ფუთი, შუათანაზე 4 ფუთი და პატარაზე 2 ფუთი. (საქართველო, 1920, №33, გვ. 3-4)

ხელმძღვანელი პირის ასეთ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევს ადგილობრივი მოსახლეობა და დახმარებისთვის მიმართავს თბილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებასა და პარლამენტის ფრაქციებს.

აღნიშნული საგაზეთო მასალა საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში მოცემულია იმ გადასახადთა ჩამონათვალი, რომელსაც არსებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით იხდის ხალხი. თუმცა არსებობს ზოგიერთი ხარვეზიც. კერძოდ: „კიდევ სხვა გადასახადები გადაიხადა ხალხმა. 1. საშემოსავლო გადასახადი. ეს გადასახადი ხალხში ისე მოიტანეს მილიციონერებმა, რომ ვისაც წისქვილები აქვთ, ისინი ხდილობენო, და მართლაც მარტო წისქვილების პატრონებს გადაახდევინეს საშემოსავლო გადასახადი, ზოგს წისქვილს რამდენიმე პატრონი ჰყავს, და სათითაოდ გადაახდევინეს ეს გადასახადი თანაბრად, ვითომ ყველას თითო წისქვილი ჰქონდეს. ამათ საჩივარი აღძრეს, მაგრამ ვინ მოუსმენს. როგორც არის, საშემოსავლო გადასახადს ყველა იხდის და ყოველი კაცი მოვალე არის თავის შემოსავლის-გასავლის ანგარიში ხარჯის გამწერ ინსპექტორს წარუდგინოს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმემ წარადგინა ასეთი განცხადება. ხარჯი კი უნდა აკრეფილიყო. აი ამის გამო გადაათვალიერეს ძველი დავთრები, და ვისაც წისქვილები ჰქონდათ, შეაფასეს მისი შემოსავალი ათას-ათასი თუმანი და შეაწერეს საშემოსავლო გადასახადი. ვისაც წისქვილი არა ჰქონდა და რამდენიმე ათასი თუმნისა გაჰყიდა სოფლის

ნაწარმოები ის კი თავისუფალი დარჩა საშემოსავლო გადასახადიდან. აი ასეთი სამართლიანობა არის გადასახადებისა...

ხეობის ხალხმა გადაიხადა სანიტარული გადასახადი კომლზე ათი თუმანი. ახლა მოელიან ერთდროულ გადასახადს, რომელიც მაზრაზე ყოფილა გაწერილი შვიდი მილიონი მანეთი. ჩვენი ხალხი გადასახადების უარის მყოფელნი არ არიან, ხოლოთ უსამართლოთ, ნაჩქარევათ გაწერა ხარჯებისა ვერ მოუთმენიათ. ამაზე უკმაყოფილონი არიან რატო ჩვენც არა გვკითხავენო.

ხარჯის ამკრეფები ზოგიერთ გადასახადში ბარათებს არ იძლევიან. მაგალითად სანიტარულ გადასახადში, ამის ბარათებს საერთოდ მიიღებთ სოფელიო.

საშემოსავლო გადასახადისა კი პატარა ჩეკის ბარათები მიიღო ხალხმა ფანქარ ნაწერი. საჭიროა, რომ ყველა მოხელენი ფრთხილად მოეკიდნენ გადასახადების გაწერასა და აკრეფას". (საქართველო, 1920, №33, გვ. 3-4)

ქვეყნის სახელისუფლებო რგოლები მიიჩნევდნენ, რომ მათ მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად წარმოების ყველა დარგს უნდა მისცემოდა თავისუფალი რეჟიმის პირობებში ფუნქციონირების შესაძლებლობა და მის კოლექტიურ და კერძო ფორმებს შორის უპირატესობას ცხოვრებისეული გამოცდილება განსაზღვრავდა. ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა დახმარება აღმოეჩინა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის და ეფექტური საკანონმდებლო სივრცის შექმნით, განვითარების თანაბარი, კონკურენტული პირობები შეექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წლის აგვისტოში პირველად[1] მოხერხდა 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ. №1836, აღწ. №1, საქ. №434, ფურც. 16-17), მნიშვნელოვანი იყო საფინანსო სფეროში გატარებული რიგი ღონისძიებები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ბანკის დაფუძნებას. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი საბანკო სისტემის მქონე ქვეყნები იმ პერიოდისთვის თითზე ჩამოსათვლელია.

საემისიო უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს ბანკის დაარსების შესახებ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტის განსახილველად დამფუძნებელი კრება შეიკრიბა 1919 წლის 11 ნოემბერს, ხოლო კანონი მიღებულ იქნა იმავე წლის 31 დეკემბერს.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. „ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი ფონდი, ოქროს ფონდი. ქაღალდის ფული თუ არ არის ექვივალენტი, ძვირფასი ლითონი თავისთავად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს" - წერდა გაზ. „ერთობა". (ერთობა, 1918, №253)

დღის წესრიგში დადგა ეროვნული ვალუტის[2] შემოღების აუცილებლობა. მანამდე, 1918 წლის თებერვლიდან მიმოქცევაში მყოფი ე.წ. „ამიერკავკასიის ბონი"[3], 1919 წლის ზაფხულიდან ჩაანაცვლა ქართულმა ბონმა.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე განვითარებული ინფლაციური პროცესების გამო ბონის ღირებულება მკვეთრად ეცემოდა. ამ პერიოდის მასალების შესწავლისას თვალში საცემია საყოველთაო სიძვირე. სიძვირის პრობლემა უფრო მწვავედ რეგიონში იჩენს თავს.

ცხინვალსა და მის მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობაც შეუწუხებია სიძვირეს: „სიძვირე დღე და დღე იზრდება. ზამთარმა სიმშრალით გაიარა თებერვლის ათამდის, მერე კი დიდი თოვლიც მოვიდა, რაც სასარგებლოა მოსავლისთვის. მოვიდნენ ქალაქიდან ვაჭრები და ოსურ კართოფილს ხარბად ყიდულობენ. ფუთში აძლევენ 40-45 მანეთს. კვერცხი 80 კ. ერბო 20 მან. ყველი, რომელიც ამ სამი თვის წინათ 200-250 მანეთათ იყიდებოდა, ეხლა 450 და მეტი მანეთად ღირს. ურიებმა უკვე ნელ-ნელა

---

[1] მომდევნო 1921 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ვერ მოხერხდა ცნობილი მოვლენების განვითარების გამო.

[2] **ქართული ბონი** - 1919 წლის 11 ივლისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის დეკრეტი. იმავე წელს გამოვიდა 50 კაპ., 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500, ხოლო 1921 წელს - 5000 მანეთიანი ნომინალის მქონე ბონის კუპიურები. (ავტორი მხატვრები: იოსებ შარლემანი, ჰენრიხ პრინევსკი და დიმიტრი შევარდნაძე). ბონებზე დატანილია ქართული, რუსული და ფრანგული წარწერები, აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარის - ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის - კონსტანტინე კანდელაკის ხელმოწერები ქართულ ენაზე. 1919 წლის 11 ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე თბილისში განხორციელდა საქართველოს ბონების ხუთი ემისია. ქართული ბონი მიმოქცევაში იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე.

[3] **ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი -** საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული პირველი ქაღალდის ფული იყო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი (დროებითი ფულის ნიშანი), რომელიც იბეჭდებოდა თბილისში და მიმოიქცეოდა 1918 წლის თებერვლიდან - 1919 წლის ივლისამდე. კომისარიატის ბონი ასრულებდა გარდამავალი ფულის ფუნქციას ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ვალუტის შემოღებამდე.

საქონელი შემოზიდეს სოფელში, როგორც ფარჩა, ისე წვრილმანი და ძვირ ფასად ჰყიდიან სოფლებში“. (საქართველო, 1919, №45, გვ. 3-4)

გაზ. „საქართველო“ მალევე კვლავ უბრუნდება ფასების ზრდის საკითხს ცხინვალის რეგიონში. საუბარი ეხება მთა ოსეთიდან თეთრი ფქვილის, სიმინდის, ყველის, მატყლის, თივის, კარტოფილის და სხვა პროდუქტების ცხინვალში სარეალიზაციოდ ჩამოტანის ტრადიციას. „და დღეს თბილისის ბაზარზე მარტო ოსური კარტოფილიღა იშოვება. ცხინვალში ახლა ფუთი კარტოფილი 50-60 მანეთი ფასობს. თვით ადგილობრივ მთაში 45-50 მანეთად იყიდება. ყველა კარტოფილის ჩარჩად გადაიქცა, შეიქმნა კონკურენცია მყიდველთაგან და 20-25 მანეთიანი კარტოფილი, რომელიც ამ ორი თვის წინედ იყიდებოდა ასეთ მაღალ ფასებში ასწიეს. ახლა ამ ატალახებულ გზებზე ზიდვა ხომ მამასისხლად გაძვირდა“. (საქართველო, 1919, №60, გვ. 4)

მომდევნო წელს „საქართველო“ ისევ განიხილავს ამ პრობლემას. ინფლაციასთან ბრძოლის აუცილებლობაზე მიუთითებს სიმონ ქვარიანი[1] საგაზეთო პუბლიკაციაში „სიძვირე და მასთან ბრძოლა“. ავტორის მოსაზრებით, საღი ეკონომიკა და ფინანსები ქმნიან ჯანსაღ პოლიტიკას. ხოლო დაავადებულ ფინანსურ ნიადაგზე იბადება ხალხის უკიდურესი გაჭირვება, უკმაყოფილება, ამბოხი და რევოლუციები. ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის ბრძოლა ხელისუფლების წარმატებისა და სიმტკიცის გარანტს წარმოადგენს, ხალხისთვის კი იგი ერთგვარი სიმშვიდის წყაროა, რომელიც მიმართულია ერის კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების აღორძინებისკენ.

მიუხედავად რუსეთიდან მიღებული ცუდი იდეური მემკვიდრეობისა და 117 წლიანი მონობის დაღისა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მალე აუღო ალღო ცხოვრებას და ისტორიის ჩარხის ტრიალს. აიღეს სწორი პოლიტიკური გეზი და დაადგნენ ეროვნულსა და დემოკრატიულ გზას, თუმცა თვალშისაცემია ხარვეზები აგრარული, ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებებით.

არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებს ს. ქვარიანი ხედავს ხელისუფლების ისეთ ნაბიჯებში, როგორებიცაა: მიწების ჩამორთმევა, აგრარული პოლიტიკა, სოფელ-ქალაქებში სახლების, სარდაფების, ქარხნების, მაღაზიების კონფისკაცია-რეკვიზიციები, ზოგიერთი საქონლის მონოპოლიზაცია, კერძო ინიციატივის შეზღუდვა, კერძო მრეწველობის შეფერხება, მესაკუთრეთა გაკოტრება, ბონების ჭარბი რაოდენობით გამოშვება ბაზარზე და ა.შ. მსგავსი ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკა აფრთხობს ევროპის ქვეყნებს, ამერიკას და ერთიორად ამცირებს მათ ნდობას საქართველოსადმი. ყოველივე ეს მთელი სიმძიმით აწვება ეროვნულ ვალუტას და მიმდინარე ინფლაციური პროცესი საოცარი სისწრაფით სცემს მის კურსს, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ბაზარზე. სწორედ ამის გამო, უკანასკნელ ხანს გამოწვეულმა სიძვირემ მიიღო კატასტროფული ხასიათი.

„– კმარა, ბატონებო! ჩრდილოეთისკენ ცქერა ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის; რუსეთის მაგალითები ჩვენ დაგვღუპავს ერთიანად! რუსეთი დიდია, ჩვენ კი მეტათ პატარა, მასთან აუარება მტრებით გარემოცული. რუსეთმა შეიძლება მოინელოს ბოლშევიკთა უცნაური ექსპერიმენტები, რადგან მეტად დიდია, თუმც განახევრდა ხალხით. ქართველ ერს კი ასეთი უნიადაგო ცდანი მოსპობს ერთიანად. ხომ ხედავთ წელს პურის, სიმინდის, ხილის და ღვინის მეტად დიდი მოსავალი გვაქვს, მიუხედავათ ამისა გირვანქა 3 კაპიკიანი პური ღირს 120 მანეთი, კაპიკიანი ჭადი 60 მანეთი. გირვანქა ხილი 70-80 მ., ბოთლი ღვინო 250 მან. და სხვ. რაც შეეხება შაქარს, ფართალს, ფეხსაცმელს და საერთოდ ფაბრიკატებს, ამაზე ხომ მეტია ლაპარაკი! და ეს საარაკო სიძვირე კი არ შეჩერებულა, არამედ სულ ზეით და ზეით იწევს, არ ვიცით კი როდის ექმნება ბოლო! დღეს უკვე 3 და 2 მანეთიანები მოისპო, თუმნიანი იქცა კაპიკის ნაცვლად“. (ქვარიანი, 1920, გვ. 3)

მძიმე სოციალური ფონი სოფლის მოსახლეობას აიძულებდა მშობლიური საცხოვრებელი მიეტოვებინათ და ქალაქში მოეძებნათ გამოსავალი. ანალოგიური ვითარებაა ცხინვალში, ხოლო რაც შეეხებათ მის მთიან ზოლში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობას, ისინიც ცხინვალში ვაჭრობით ირჩენენ თავს. თუმცა ოსთა შესახებ უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია მათი მდგომარეობა ოდნავ უკეთესი ყოფილიყო, ვინაიდან, მიტროპოლიტ ან. ჯაფარიძის აზრით, რევოლუციამდეც ოსი მოსახლეობა, რომელიც მაშინ ხიზნების სახელით ცხოვრობდა შიდა ქართლში, ქართველ მოსახლეობაზე

[1] **სიმონ ქვარიანი** (1868-1946) - მწერალი, პუბლიცისტი. დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა მონპელიეს უმაღლესი აგრონომიული სასწავლებელი. 1901 წლიდან მოღვაწეობას იწყებს ლიტერატურულ სარბიელზე. აქტიურად თანამშრომლობს ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიწვია ფინანსთა სამინისტროში მდივნად. სხვადასხვა დროს მსახურობდა ბათუმში საგარეო ვაჭრობის განყოფილებაში საქმეთა მმართველად და თბილისში ფინსახკომში სავალიუტო განყოფილების ინსპექტორად, მესამე შემნახველი სალაროს გამგედ, შინვაჭრობის კომისარიატში, საქართველოს ფინსახკომში, და სხვ. 1930 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მეტი უპირატესობით და შეღავათებით სარგებლობდა სოციალურ სფეროებში. (მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), 2010, გვ. 347)

„სოფლის მოღვაწეები სოფელს გაექცნენ და ქალაქში ან კოოპერატივებში, ან სხვა სამსახურებში შევიდნენ. შეივლი ცხინვალს და აქ, ამის მიდამოებში ჯარი დგას, დენიკინს უყარაულებს რომ პირიქით ოსეთიდგან არ გადმოუშვან შუა ქართლში. ჯავამდის მართვენ ტელეფონებს და გადმოსავალ გზებზე უნდა დარაჯები დააყენონ. ოსებს ეს გარემოება აწუხებთ, ჯერ ერთი ვაი თუ უცაბედად ვინმე დაესხას თავსა და იარაღი წაართონო და ჩევნ მოგვთხოვონ პასუხიო. გარდა ამისა, ჩვენ ჭირნახულს აღარ გადმოგვატაინებენ პირიქიდგანო. მართალი კია, შარშან პირიქით ოსეთიდგან დიდძალი ფქვილი, სიმინდი, ნავთი და სხვა გადმოჰქონდათ აქ ცხინვალში ჰყიდდნენ. ოსები ხომ სულ იქიდამ გამოიკვებნენ“. (საქართველო, 1919, №125, გვ. 3-4)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი ქვეყნისთვის გარე და შიდა საფრთხეების თავიდან აცილება გახლდათ. დემოკრატიის განმტკიცების მიზნით იქმნებოდა საერობო თვითმმართველობები. ეკონომიკური რეფორმირების გზაზე პრიორიტეტულად განისაზღვრა საბაჟო სისტემის, ფულად-საკრედიტო, სავაჭრო, სტატისტიკური აღრიცხვის, სახელმწიფო კონტროლის და სხვა მიმართულებები, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პირველ რიგში მოსაგვარებელი აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება იყო.

1918 წელს დაწყებული მიწის რეფორმა ორი ძირითადი მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. პირველ ჯერზე განისაზღვრა მიწის ფართობის მაქსიმუმი ერთ სულ მოსახლეზე და მეორე, მიწა გარკვეული მოცულობით უნდა გადანაწილებულიყო გლეხზე.

ერთი შეხედვით მარტივი სქემა არ გახლდათ ადვილი განსახორციელებელი. მოგეხსენებათ, აგრარულ ქვეყანაში, აგრარული რეფორმის სწორად განხორციელება ეკონომიკური სტაბილურობის მყარი საფუძველი უნდა ყოფილიყო. საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სოფლის მკვიდრი გლეხობა შეადგენდა, რომელიც უკვე კარგა ხანი უცდიდა მიწასთან დაკავშირებული კერძო საკუთრების პრობლემის მოგვარებას. რეფორმის განმახორციელებელი მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტრო[1] მცდელობას არ აკლებდა პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

საგულისხმოა, რომ აგრარული რეფორმის პირველ ნაწილში, დადგენილი მიწის ფართობის მაქსიმუმის ზევით ექვემდებარებოდა ჩამორთმევას, ხოლო მეორე ეტაპზე, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესს ართულებდა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებისთვის დაწესებული სხვადასხვაგვარი კრიტერიუმების არსებობა.

პირველ ეტაპზე, დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი მიწის ფართობების ჩამორთმევის პროცესი დასრულდა 1919 წლის შემოდგომაზე.

მომდევნო ეტაპზე დაგეგმილი რეფორმის გეგმის მიხედვით კი მიწა მიეცემოდათ:

1) საკუთრებად;
2) მხოლოდ უმიწა-წყლოთ და მცირე მიწის მქონეთ;
3) მცირე საფასურით (500-1000 მანეთამდე დესეტინა);
4) ფასებს აწესებს სამინისტრო რაიონების მიხედვით;
5) უკანასკნელთა ფარგალში ფასს აწესებს კომისია, მიწის ღირებულების მიხედვით. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ. №1825, აღწ. №1, საქ. №49, ფურც. 20)

განსაზღვრული რაოდენობის მიწის ფართის მქონე გლეხს დამატებით მიწის ნაკვეთი აღარ ემლეოდა, ხოლო მცირე მიწის ფართობის მქონეს შეევსებოდა დადგენილ ზღვრამდე (შესაძლებლობის ფარგლებში);

რაც შეეხება ტყეებს, მდინარეებს, ბუნებრივ რესურსებს და მისთ. ყოველივე ეს გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად.

---

[1] ამ პერიოდში მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრის პოსტი უკავია ნ. ხომერიკს. **ნოე გიორგის ძე ხომერიკი** (1883-1934) - დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელ–გაბრიელში (სოფ. შრომა). დაამთავრა ქუთაისის სამეურნეო სკოლა. 1908 წლიდან არის ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1918 წლის მარტში მოწვეულ ამიერკავკასიის სეიმის შემადგენლობაში ნოე ხომერიკმა მიიღო მიწათმოქმედების მინისტრის პორტფელი. ეს პოსტი შეინარჩუნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაშიც. იყო დამფუძნებელი კრების წევრი. მისი თაოსნობით, 1919 წლის 31 იანვარს, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო აგრარული რეფორმის ჩატარების გადაწყვეტილება. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მთავრობასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში. მოღვაწეობდა სტამბოლში, შემდეგ საფრანგეთში. 1922 წლის ოქტომბერში ნოე ხომერიკი ფარულად დაბრუნდა უცხოეთიდან და ჩაება ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1923 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს, ხოლო 1924 წლის აჯანყების დაწყებისთანავე დახვრიტეს გადასახლებაში. მისი საფლავი უცნობია.

ასეთი გახლდათ ხელისუფლების მიერ დეკლარირებული აგრარული რეფორმა, თუმცა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებას ბევრი წყალქვეშა რიფი ახლდა. თუ როგორ სრულდებოდა რეფორმის თანმდევი დეტალები, გაზეთ „საქართველოში“ დაცული ცნობებით, ცხინვალის მაგალითზეც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება.

„აგრარული რეფორმის გამტარებელი კომისიებიც მიწის მზომელით დადიოდნენ სოფელ-სოფელ და აძლევდნენ ნორმებს ყოფილ მემამულეებს ძალიან ძუნწათ. გამოეკიდებოდნენ თითო მტკაველ ადგილებს და არ უთმობდენ არაფერს დაჩაგრულ მემემულეს და ხანდისხან სულ უმნიშვნელოს ჩამოუჭრიდნენ ხოლმე, რომ არც ერთისთვის გამოსადეგარი არ იყო ეს მიწის ნაგლეჯი. თუ გლეხი განაცხადებდა, რომ ამა და ამ მიწიდან ქვა ამოვაგდე ან ახო გავჩეხე, ჩირგვები ამოვყარეო, ამაგი მაქვსო, იმ მიწიდან ნორმას აღარ აძლევდნენ ძველ მეპატრონეს და არის მაგალითები, რომ მემამულე უნორმოთ დარჩა, ან ჯერ მისცეს ახოებში ნორმა და მერე ისევ წაართვეს, რადგან ახო გლეხს გაუჩენიაო და მეპატრონე მარტო კარმიდამოსი და ნახევარ დღიური ეზო-ბაღის ანაბარი დასტოვეს. მიწის მზომელსა და ადგილ-მამულის კომისიის შუა მუდამ შუღლი იყო, ერთმანეთს მექრთამეობაზე პასუხისგებაში აძლევდნენ“. (საქართველო, 1919, №241, გვ. 4)

წარმოდგენილ მასალაში გამოთქმულია გულისტკივილი იმ გარემოებაზე, რომ საგუბერნიო და სამაზრო ერობების მიერ გაკეთებული განკარგულებები, აგრარული რეფორმის გატარების დეტალების შესახებ, ხშირად უყურადღებოდ რჩება. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სოფლის მკვიდრი დარჩენილა დადგენილი მოცულობის მიწის ფართის გარეშე. გაუფრთხილებლობის და გულგრილობის შედეგად იჩეხება ტყე. გაზრდილი გადასახადები დაედოთ ადგილობრივ წისქვილებს, რომლებიც იმდენად მომრავლებულან დიდი ლიახვის ხეობაში, რომ ორ-სამ კვირაობით უსაქმოდ რჩებიან.

მიწის საკითხი ცხინვალში ჯერ კიდევ 1918 წლის იანვრიდან იქცა მსჯელობის საგნად. 5 იანვარს გამართულ გლეხთა საბჭოების სარაიონო ყრილობაზე სხვა საკითხებთან ერთად საუბარი შეეხო მიწის კომიტეტის დაარსების აუცილებლობის საკითხს. ცხინვალში გამართული ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პ. ეფრემიძე, მდივნად ეფ. გულიევი. დამსწრეთა შორის იყო ასზე მეტი დელეგატი ცხინვალის რაიონის სოფლებიდან.

ყრილობის მსვლელობისას მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც ყრილობა ნდობას უცხადებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, მსჯელობა შეეხო ფრონტის მდგომარეობას და შინაურ ანარქიას. ყრილობის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ამოძრავდეს მასა, კონტაქტი იქონიოს ეროვნულ პოლკებთან და პირველივე დაძახებისთანავე დაირაზმონ სამშობლოსი და თავისუფლების დასაცავად.

„დიდის ყურადღებით შეხვდა კრება მიწის საკითხსაც. ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული დეკრეტის გასატარებლათ აუცილებელ საჭიროდ სცნო დაარსდეს ცხინვალის რაიონისთვის, სადაც 30 ათასამდე მცხოვრებია, საკუთარი მიწის კომიტეტი. კომიტეტის წევრებად აირჩიეს ოთხი კაცი, თანახმად ინსტრუქციისა; ერთი ალაგიც დაუტოვეს ოსების საბჭოს წარმომადგენელს, რომ მიწის საკითხში ვაწარმოოთ შეთანხმებული მოქმედება, ვინაიდან ამ რაიონში ძრიელ ბევრი საერთო რამ აქვთ ამ ორ მეზობელ ხალხს. გამოითქვა სურვილი ერობის საჩქაროთ შემოღებაზე“. (ერთობა, 1918, №8, გვ. 4)

1918-1921 წლების პერიოდიკას წითელ ზოლად გასდევს ცხინვალსა და მის მიმდებარედ არსებული რთული ვითარებით გამოწვეული უაღრესად გამწვავებული კრიმინოგენული ვითარება. განსაკუთრებით თვალშისაცემია შეიარაღებულ ოსთა უკანონო რაზმების თავაწყვეტილი თარეში. ძარცვა-გლეჯისკენ მიდრეკილი მათი ამაზრზენი საქმიანობა, ყაჩაღობები და მკვლელობები დიდი ხნის მანძილზე უნუგეშო თავისტკივილად იყო გადაქცეული ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობისთვის.

ჩვენს ნათქვამს მოწმობენ იმ დროინდელ ცენტრალურ პრესაში მრავლად გაბნეული მასალები, რომლებიც დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალური პალიტრის თვალსაჩინო სურათის შედგენის შესაძლებლობას გვაძლევს.

ჯერ კიდევ 1917 წელს იუწყება გაზ. „საქართველო“ ცხინვალიდან ერთი ოსი ეროვნების მოქალაქის მიერ ოთხი ადამიანის მკვლელობის შესახებ. (საქართველო, 1917, №104, გვ. 4) როგორც ჩანს, არც მომდევნო წელი გამოირჩევა სიმშვიდით, ვინაიდან გაზ. „ერთობა“ ცხინვალში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, მალევე იტყვის: „დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქურდ-ბაცაცებთან, შანტაჟისტებთან და ნაძირალებთან ბრძოლის საკითხმა. მოთმინებიდან გამოსული ხალხი თავის დელეგატების პირით აღიარებდა, რომ საჭიროა სასტიკი ბრძოლა ამ ბოროტებასთან“. (ერთობა, 1918, №8, გვ. 4)

კრიმინოგენული ვითარების სიმძიმე ცხინვალის რეგიონში კვლავ მალევე ექცევა მკითხველის ყურადღების ცენტრში. სხვისი ქონების გატაცება, ქურდობა, ყაჩაღობა, მგზავრებზე თავდასხმა, მკვლელობები, ეს იმ დანაშაულთა ჩამონათვალია, რომელთა გახშირებული ფაქტების გამო და ხშირ

შემთხვევაში, დამნაშავეთა დაუსჯელობით გულგატეხილი ადამიანები თავად ცდილობენ სამართლიანობის აღსრულებას. მართლმსაჯულებას თავდაღწეული მკვლელები „ამაყად დაბრძანდებიან სოფელ-სოფელ“ (საქართველო, 1919, №45, გვ. 3-4) და დაშინებულ მოსახლეობაში გარკვეული პატივისცემითაც სარგებლობენ.

კრიმინალისგან დაცული არც ის ტერიტორიებია ცხინვალის რეგიონში, სადაც ქართველი და ოსი ეროვნების მოქალაქეები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. „ამ ხეობის[1] ოსები და ქართველები მშვიდობიანად ცხოვრობენ, მხოლოდ კეხვს[2] ზევით ოსებში ამ ზაფხულს დიდი ყაჩაღობა იყო. 60 კაცამდე შემდგარი მძარცვავ-ქურდების თარეში მხნედ მოქმედებდა. ღამით ქურდობით და დღისით მგზავრებზე დაცემით იყო მაგალითები მთელი ოჯახის ამოწვეტისაც. კავკავისკენ მიმავალი მგზავრები ვეღარ ბედავდნენ სავაჭროთ წასვლას ყაჩაღების შიშით. გაჭირველბულმა ოსებმა მოილაპარაკეს, ამოარჩიეს მარჯვე ბიჭები, აასხეს იარაღი და დევნა დაუწყეს ყაჩაღებს. რამდენიმე მოჰკლეს და ბევრი დაატუსაღეს. ამ ჟამ კი ძალიან მშვიდობაა“. (საქართველო, 1919, №241, გვ. 4)

როგორც ჩანს კორესპონდენტის მიერ ნანატრმა „ძალიან მშვიდობამ“ დიდხანს არ გასტანა, რადგანაც იგივე გაზეთი მალევე გვაუწყებს ცხინვალის თემის სოფ. კეხვში ოსთა მიერ კეხველი დათა კახნაშვილის გაძარცვისა და მკვლელობის, აგრეთვე მიხეილ ამილახვრის საქონლის ქურდობის, მეხრეთა ტყიდან გატაცების, კეხველი ზურაბ ალიძის საქონლის ქურდობის და სხვა მრავლობითი კრიმინალური ფაქტების შესახებ.

„ეს სოფელი უკანასკნელი სოფელია ქართველების, ოსების მიჯნაზე. მუდამ მტრისაგან თავდასხმის შიშში ყოფილა უწინაც და ეხლაც. ამიტომ აქ დიდი ციხეებია, საცა მდგარა მუდამ მორიგი ჯარი. დღეს კი არავინ არის, ამ გადატრიალების ხანაში კეხველებს ტყეში და ახოებში ოსები სცარცვამდნენ, ძველ ტანისამოსს ქალებსაც კი ჰხდიდნენ“. (საქართველო, 1920, №113, გვ. 4)

ციხიდან გამოქცეული, კატორღელი და მკვლელი ყაჩაღის დაკავების ფაქტის შესახებ აუწყებს გორის მაზრის კომისარი ქარცივაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს, მინისტრის სახელზე გაგზავნილი დეპეშით (ერთობა, 1919, №140, გვ. 3) და მრავალი სხვ.

დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა ფინანსური კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიებას. მომძლავრებული კრიმინალის წინააღმდეგ ხორციელდებოდა ისეთი შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა, როგორებიც გახლდათ თვითმმართველი ორგანოების გაძლიერების ხარჯზე მართვის გამარტივება, სასამართლო რეფორმის ეფექტურად დასრულება, უმაღლესი სასამართლო ინსტიტუტის დაარსება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება და პარალელურად სოფლის მეურნეობის განვითარება აგრარული რეფორმის დროული დასრულების გზით.

მეტი ყურადღება ეთმობოდა პერიფერიებში დემოკრატიული პროცესების განვითარებას. რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის თანაბარუფლებიანობის მიღწევას მიუხედავად მათი სქესისა, ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

ფართო ასპარეზი მიეცა ბრძოლას სპეკულაციისა და კორუფციის წინააღმდეგ.

„საშინელია ჩვენი დრო! თითქმის ყველას დაეკარგა პასუხისმგებლობის გრძნობა და აღარავის ესმის სახელმწიფოებრივი მოვალეობა და საზოგადოებრივ სამსახურის მნიშვნელობა. მდაბალ ინსტინქტებს გასაქანი მიეცა. დაუსჯელობით წაქეზებული მძარცველ-ყაჩაღები მიესივნენ რესპუბლიკის სიმდიდრეს და ხალხის ნაამაგარით ხარბად ძღებიან! საქართველოს ნარდათ და ნაწილ-ნაწილად საჯაროდ ჰყიდიან, ბოლო საშუალება არ არის ამ თავხედების ასალაგმავად“. (საქართველო, 1919, №60, გვ. 1)

კორუფციასთან ბრძოლა მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა და მათ შორის ცხინვალშიც. 1920 წლის დამლევს მოჰყვა თაღლითურ სქემებში ჩართულ ჩინოვნიკთა დაპატიმრებების სერიაც, რაც ადგილზე არსებულ რთულ ვითარებაზე მიუთითებს. 13 ნოემბერს დიდი ოდენობით სახაზინო სახსრების გაფლანგვის ბრალდებით ცხინვალში დაპატიმრებულ იქნა ტყის მცველი დადიანი, რომელიც „ამ ორი თვის წინათ აქ მოვიდა გაცვეთილ-დაგლეჯილი ტანისამოსით. ერთი თვის შემდეგ მოსვლისა შეიმოსა საუკეთესო ტანისამოსით და თან დუქნებში ყოველი დღე ხარჯავდა ათასობით“. (ერთობა, 1920, №269, გვ. 4)

ამავე პერიოდში დაკავებულ იქნა ჯავის ყოფილი კომისარი ილია მაისურაძე. (ერთობა, 1920, №269, გვ. 4)

დასასრულს, ავტორი დასძენს, რომ ძალზე სუსტია ადმინისტრაცია ცხინვალის რაიონში.

---

[1] იგულისხმება დიდი ლიახვის ხეობა.

[2] **კეხვი** - რუსეთის მიერ ოკუპირებული სოფელი საქართველოში. მდებარეობს ქურთის მუნიციპალიტეტში, 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში, 2006 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში.

ცხინვალის ადმინისტრაცია სხვა დროსაც არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი. კერძოდ: „ცხინვალის თემს წვრილ ერთეულს ეძახიან, მაგრამ ის სხვილი ერთეულია. ამოდენა სათემო მხარეს, თავის მრავალი მცხოვრებლებით, მეორე რომელიმე თემი არ შეედრება. ეს კუთხე ჯერ ისევ მშვიდობიანობის დროს დიდი ყურადღების ღირსი იყო მთავრობისაგან ყოველნაირ საქმეებისთვის, და შემდეგ, როცა ომი დაიწყო, მაშინ ხომ მეტი მნიშვნელობა მიეცა. მაგრამ სამწუხაროთ, ამ მხარეში მთავრობამ არ დააყენა ისეთი შესაფერი ხელისუფალნი, ვინაც შესძლებდა ამ მდიდარი და მშვიდობიანი კუთხის მოვლა-პატრონობას“. (საქართველო, 1920, №164, გვ. 4)

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში სათემო გამგეობები საკმაოდ ფართო და საპასუხისმგებლო უფლება-მოვალეობებით გახლდათ აღჭურვილი. მაგალითად ცხინვალის თემის გამგეობის მოვალეობათა შორის ითვლებოდა: გადასახადების აკრეფა, კულტურული მამულების მოვლა-პატრონობა, სატყეო მეურნეობის მართვის უზრუნველყოფა, 1920 წელს ცხინვალიდან დროებით გახიზნულ ოსთა საცხოვრებელი ადგილების მოვლა, საცდელი მინდვრების გამართვა, სასოფლო-სამეურნეო იარაღის გამქირავებელი პუნქტის აღჭურვა-ექსპლუატაცია, საქონლისა და ფრინველის ჯიშების გაუმჯობესება, სამკითხველოს შენახვა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა, სათანადოდ აღჭურვილი და სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფილი საავადმყოფოს დაარსება, სკოლების გახსნა და სწავლა-განათლების ხელშეწყობა, მასზე დაქვემდებარებული მილიციის ეფექტური მართვა და სხვ.

თუმცა, როგორც ჩანს, ცხინვალის თემის გამგეობა სათანადოდ ვერ უძღვება დაკისრებულ მოვალეობებს და სასაყვედურო სიტყვებიც არ აყოვნებს: „ცხინვალის წვრილი ერთეული, ანუ თემი, არც ისე „წვრილია“, რომ მართლა წვრილი ერთეულის სახელი ატაროს, ასეთი დიდი სათემო ტერიტორია საქართველოს არც ერთ თემს არ ეჭირება. მართალია, ამ წვრილი ერთეულის გამგეობაში ტანწვრილი გამგეები სხედან. მოქმედებითაც დაწვრილმანებული გამგენი გრძნობენ თავიანთ უტიფრობას, სურთ დიდი საქმეები გააკეთონ, მაგრამ არ ძალუძთ იგი“. (საქართველო, 1920, №150, გვ. 4)

მოხელეთა თავგასულობას და უნიათობას თან ერთვოდა ნაკლებმოსავლიანობა, რაც კიდევ უფრო უნუგეშოს ხდიდა გლეხის ისედაც მძიმე მდგომარეობას. უხვი მოსავლის მომლოდინე გლეხის იმედგაცრუების შესახებ არაერთხელ უხდებათ წერა პერიოდული პრესის კორესპონდენტებს. მაგალითად, ქართლში ხორბლის მწირ მოსავალზე იწერება გაზ. „საქართველო“: „ჩვენში წელს გლეხი კარგი მოსავლის მოლოდინში იყო, მაგრამ კალომ იმედი გაუცრუვა. ერედვის სახნავი მამული, მიუხედავად იმისა, რომ ურწყავია, მეზობელი სოფლების მამულებთან შედარებით უფრო მეტს და ღირსებითაც უკეთეს პურს იძლევა. ერედვის პური გორის მაზრაში განთქმულია და კარგი გასავალიც აქვს ბაზარზე. ამის გამო აქაური გლეხი უმთავრესად პურის მოსავლით სცხოვრობს. წელს, ამ საშინელ სიძვირეში, ჩვენ გლეხს ცხოვრების ეს უკანასკნელი სახსარიც გამოეცალა ხელიდან. ქვენა ქარმა უდროოდ აასწრაფა ყანები და თუ დღიური მიწა წინად 4-5 ურემ ძნას იძლეოდა, ხოლო ურემს 3-4 კოდი გამოდიოდა, წრეულ დღიურზე 2-3 ურემი ძლივს დგება და ურემი 1-2 კოდს ძლივს იძლევა.

მაგრამ ბედნიერი იქნებოდა ჩვენი გლეხი, რომ ნაკლები მოსავლის მეტი არა აწუხებდეს რა მას. შიმშილით არავინ მოკვდებაო - ყოველთვის იმედით ამბობს იგი. ხოლო ეხლანდელი მისი გამოურკვეველი მდგომარეობა და უიმედოთ უარესი მომავლის მოლოდინი უმწარებს გლეხს ისედაც გამწარებულს და და ტანჯულ ცხოვრებას. მართლაც და გამოურკვეველია გლეხის ეხლანდელი მდგომარეობა მაგალითად ყოველგვარ გადასახადების მხრივ“. (საქართველო, 1917, №194, გვ. 4)

მოსავლის ნაკლებობას უჩივიან პატარა ლიახვის ხეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას თავის გასატანად სამყოფი ყოველთვის მოსდიოდა ხორბალიც, სიმინდიცა და ხილიც, ბოლო პერიოდში[1] მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა. მაგალითად, ადგილობრივ მოსახლეობას იმედები გაუცრუა 1920 წლის ხორბლის მოსავალმა, რომელიც საშუალოზე ნაკლები აღმოჩნდა. საშუალოზე ნაკლები გამოვიდა ხილის მოსავალიც. გაზაფხულის სიცივეებმა და ხეხილის ავადმყოფობამ თითქმის გაანახევრა იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის რეგიონის მეხილეები ამ პერიოდში უჩივიან ევროპული ჯიშების გადარგვის შედეგად გაჩენილ ხილის ახალ დაავადებებს (საქართველო, 1920, №98, გვ. 4) და მოუწოდებენ ხელმძღვანელ პირებს, რათა დროულად ჩატარდეს წამლობები და გატარებულ იქნას ხეხილის მავნებლების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები.

ყოველივე ამის მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობა გულს არ იტეხს და იმედით შეჰყურებს მომავალს. იმ ჭირნახულს კი, რომელსაც იღებს და აბინავებს, ეზიდება ცხინვალში სარეალიზაციოდ. ცხინვალის ბაზარში ჩამოდის ოსი მოსახლეობაც, ჩამოაქვს ერბო, მატყლი, ტყავეული, ყველი, საკლავი

[1] ვგულისხმობთ 1919-1920 წლებს.

საქონელი, ცხვარი, ღორი, ძროხა, ხარი, ტყის მასალა და სხვ. ცხინვალის ბაზარი უმთავრესი სავაჭრო ცენტრია, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს ივაჭრონ და მოიმარაგონ მათთვის საჭირო საქონელი.

აი, როგორ არის დახასიათებული ცხინვალის ბაზარი ცენტრალურ პრესაში: „ცხინვალი ბაზარი ადგილია დიდი და პატარა[1] და ფრონეს ხეობებისა, სავაჭრო და საადმინისტრაციო პუნქტია. მეტადრე საჭირო, რომელიც თავისი ცოცხალი და ბარაქიანი ვაჭრებით ქ. გორს არ ჩამოუვარდება“. (საქართველო, 1920, №108, გვ. 4)

ბუნებრივია, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გვერდით მის ხვედრს იზიარებენ სხვა ეროვნების მოქალაქეებიც. აღნიშნულ საკითხზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად დავსძენთ, რომ ცხინვალში მოსახლე ებრაული თემის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ი. პაპისმედოვი. ეს ცნობა საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცხინვალში მოსახლე ებრაელთა რაოდენობის, მათზე დაკისრებული გადასახადების და მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

„ერთი ებრაელის ოჯახში შემთხვევით აღმოჩენილი გადასახადების სია (თუმცა სიაში არაა ნაჩვენები, თუ რა გადასახადებს ეკუთვნის იგი) მოგვეპოება ცხინვალში მცხოვრებ ებრაელთა შესახებაც. საბუთი ქართულ ენაზეა დაწერილი, დათარიღებული არ არის, მაგრამ მასში შეტანილი სახელებისა და გვარების მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს 1875-1880-ან წლებს. საბუთის მიხედვით ამ პერიოდში ცხინვალში უცხოვრია 246 (270) კომლ ებრაელს). ამ რიცხვიდან 51 კომლზე გამოწერილი ყოფილა 20-40 კაპიკი გადასახადი, 44 კომლზე 50-70 კაპიკი, 27 კომლზე-80 კაპ. ერთ მანეთამდე ჩათვლით, ხოლო 124 კომლი სრულიად განთავისუფლებული ყოფილა გადასახადისგან. თუ აქაც პირობითი გადასახადისგან განთავისუფლებულებს უღარიბეს ებრაელთა სიაში მოვაქცევთ, 20-40 კაპიკის გადამხდელებს მცირე შემლების მქონეთა რიცხვში, 50-70 კაპ. გადამხდელებს საშუალო შემლებულთა რიცხვში და 80კაპ.-1 მანეთის გადამხდელებს შემლებულთა რიცხვში, მაშინ გამოდის, რომ ცხინვალში მცხოვრებ ებრაელთაგან შემლებულ ნაწილს შეადგენდა დაახლოებით 27 კომლი, ანუ მთელი მოსახლეობის 11% საშუალო შემლებულებს - 44 კომლი ანუ 18%, მცირე შემლების მქონეებს - 51 კომლი ანუ 21% და ღარიბებს - 124 კომლი ანუ მთელი მოსახლეობის - 50%.

ამ საბუთების განხილვიდან ჩანს, რომ ახალციხესა და ცხინვალში მცხოვრებ ებრაელთა დიდი უმრავლესობა დაახლოებით 60% ღარიბი და მცირე შემლების მქონენი ყოფილან, უფრო მცირე ნაწილი ანუ დაახლოებით 30%-საშუალო შემლების მქონენი, ხოლო დაახლოებით 10% - შემლებულნი (საბუთი დაცულია საქ. ებრაელთა მუზეუმში.)“. (პაპისმედოვი, 2014, გვ. 541)

რაც შეეხება ოს მოსახლეობას, ბარში მცხოვრებთაგან განსხვავებით, მძიმეა მაღალ მთიანი ზოლის მკვიდრთა ეკონომიკური მდგომარეობა. ზოგადად ოსთა საკითხით XIX საუკუნეშიც არაერთ რუსულენოვან წყაროს გამოუხატავს დაინტერესება. მაგალითად, სახელწოდებიდან („ირ“, „ირონ“) გამომდინარე ირანულენოვან ტომებთან მათ საერთო ფუძეზე მიანიშნებდა ბარონი უსლარი: "Осетины или, лучше сказать оссы, сами себя называют иронами, название, происходящее несомненно от одного корня с иранцами..." (Услар, 1881, стр. 327)

განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ა. ანდრეევს, რომლის თქმითაც ამ პერიოდის კავკასიაში (მხედველობაში გვაქვს XIX ს. - ა. მ.) ოსები ყველაზე უფრო შესწავლილ ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებიან: "Они составляют одну из наиболее изученных национальностей на Кавказе. Однако, известностью этой они обязаны не своему могуществу, а скорее тем различным теориям, которыми ученые пытались объяснить происхождение и родственные связи этих горцев. Кто видел в них алан; кто - представителей арийскаго племени, братьев германцев и персов; кто - азов, родственных тем, которые переселились в Скандинавию; кто, наконец – семитов... Однако, разнообразие их типов, варирующих от идеально красивых до отвратительно безобразных, приводит к тому заключению, что осетины - национальность смешанная, заключающая в себе грузин, армян, кабардинцев, татар. Вообще, по красоте они стоят гораздо ниже всех других племен Кавказа: они - угловаты, неуклюжи, у них нет того чарующаго взгляда, того благородства в лице, той стройной походки, которыми отличаются черкесы и кабардинцы...” (Андреев, 1895, стр. 78-79)

მკაცრი კლიმატური პირობები და მცირემიწიანობა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც განაპირობებდა ოსთა თანდათანობით ჩამოსახლებას ბარის მიმართულებით. სამხრეთის კალთებზე ჩამოვაკებულ ოსთა უმრავლესობა სწავლობდა ქართულს და ხდებოდა მათი ქართულ მოსახლეობასთან შერევა.

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ოსთა მიერ ავაზაკობისა და მძარცველობისაკენ მიდრეკილებისა გახლდათ საერთო სიღარიბე, რაც სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთაგან გახლდათ გაპირობებული. საგულისხმოა, რომ ხასიათსა და ყოველდღიურობაში გამჯდარი ეს

[1] იგულისხმება დიდი და პატარა ლიახვის ხეობები.

თავისებურებანი განსაკუთრებულად აისახა ოსთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. ა. ანდრეევის სიტყვით რომ ვთქვათ, ოსთა რელიგია - ეს ქრისტიანული, ისლამური და წარმართული შეხედულებების და რიტუალების წარმოუდგენელი ნარევია. (Андреев, 1895, стр. 87)

„Малоземелье было причиной того, что часть осетин перешла на южный склон Кавказскаго хребта, покинутый грузинами, спустившимися ниже, в места, где население сделалось редким от безпрерывных опустошений. Там они, поселившись на помещичьих землях, сделались из свободных людей крепостными, выучились по-грузински, а у предгорий даже совсем смешались с грузинами.

Бедность развила в осетинах склонность к грабежу и убийствам (осетинская пословица говорит: „что находим на большой дороге, то нам послано Богом"). Замкнутая жизнь и редкия сношения друг с другом породили гостеприимство, общее всем горцам, а отсутствие всякой гражданственности заставило прибегать к личной расправе, породившей кровомщение, которое бывало иногда причиною ужаснейших злодеяний". (Владыкин, 1885, стр. 187)

ქურდობისა და მძარცველობის ხასიათში გამჯდარი თავისებურებანი ძალზე საინტერესოდ აისახა ოსთა როგორც ეთნოგრაფიულ წარსულში, ისე მათ რელიგიურ წარმოდგენებშიც. ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც იკმარებდა, რომ ოსეთში XX საუკუნემდე მოიპოვებოდა ქურდების, ყაჩაღების, მკვლელების მფარველი ღვთაებების არსებობის ფაქტები. მაგალითად, ფართოდ გახლდათ ცნობილი ალაგირის თემში მდებარე შავი მხედრის ჯვრის (Саубараг) ღამის თავგადასავალთა მაძიებლების, მპარველთა და მოძალადეთა მფარველი ღვთაების სახელი. არანაკლები პოპულარობით გამოირჩეოდა მკვლელთა მფარველი ჯვარ-სალოცავი „ფარინჯი ძუარ“ და ა.შ.

თუ ზემოთ წარმოდგენილ სურათს გავითვალისწინებთ, ოსთა საცხოვრებელი ადგილების შესაბამისად მათი ცხოვრების დონე ამ დროისათვის ძალზე დაბალია. ნ. ვორონოვის აზრით, ოსები, სიღარიბესთან ერთად, სიძუნწითაც გამოირჩეოდნენ: „Все осетины весьма жадны до денег, котория однакоже они стараются приобрести не для употребления, не для улучшения своего быта, а для хранения в заперти; богатый и бедный одинаково ходят почти голые в лохмотьях. Всеобщая бедность царствует между осетинами“. (Воронов, 1869, стр. 49)

იმავე ავტორის ცნობით, მთიანი ოსეთის ნიადაგის მცირემოსავლიანობამ მიიყვანა მოსახლეობა უკიდურეს სიღარიბემდე. ოსები ყოველთვის განიცდიდნენ ისეთი პროდუქტების სიმცირეს, როგორებიცაა - მარილი და პური. მიწა მოსახერხებელია ხორბლის მოსაყვანად, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე გაუგონარი ფასი აქვს: ღირს იმ ცხოველად, რომელიც მასზე დაეტევა. მიწის ნაწილი, რომელსაც დაიკავებს მწოლარე ძროხა, ღირს ერთი ძროხა, სხვა ერთი ცხვარი და ა.შ. ეს მცირემიწიანობა გახლდათ მიზეზი, რომ ოსთა ნაწილი გადასახლდა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე და ნებაყოფლობით მისცა თავი ქართველი თავადების ყმობას. ამგვარად, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, სხვა ხეობებისა და მათი შენაკადების დაკავებით ოსები გახდნენ თავადი ერისთავებისა და მაჩაბლების ყმები... ყველა დანარჩენი ოსი ღარიბია, თითქმის შიშველი და უკიდურესად ცუდად ჩაცმული. ცხოვრობენ მიწურებში, დანგრეულ კოშკებში და მიტოვებულ სიმაგრეებშიც კი. (Воронов, 1869, стр. 49)

ოსთა მძიმე სოციალური ფონი განაპირობებდა მათ თანდათანობით ჩამოსახლების დასაწყისს საქართველოში, უფრო კონკრეტულად, შიდა ქართლის მთიან ზოლში, რაც, ძირითადად, XVIII საუკუნის დამდეგიდან ხორციელდებოდა კუდაროს, ჟამურის, დიდი და პატარა ლიახვისა და თრუსოს სათავეებში.

XIX საუკუნის რუსულენოვანი წყაროების თანახმად, 1802 წელს ცხინვალის რეგიონში მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები მოსახლეობენ. (Берже, 1866)

აქვე უნდა მივუთითოთ ოსთა საკითხით ილია ჭავჭავაძის დაინტერესების შესახებ. მის მახვილ თვალს არ გამორჩენია მაღალმთიანეთში მცხოვრები ოსების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. მთის ოსთა ჩამორჩენილი ცხოვრების მიზეზები და გამოსავლის ძიების ავტორისეული მოსაზრება გამოქვეყნდა ილიას ვრცელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევის სახით. ტექსტში - „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“ ნათქვამია: „ცივი ჰავა მთისა, სიმწირე მამულ-დედულისა, უილაჯოდ ჰქმნის მთიელს ოსს სარჩო-საბადებლის შესაძენად. მიწა და ჰავა არას იძლევა ქერის მეტსა და იქაური ოსი მარტო ქერის ხვნა-თესვაზეა მინაბრებული. მთიელის ოსის საჭმელი მარტო ქერის პურია და სასმელი ლუდი, რომელსაც ქერისაგანა ჰხდის. ამითი უნდა გაუძღვეს იგი ცოცხალსა და მკვდარს, სახელმწიფოს და სოფლის ხარჯსა, გადასახადსა და ხშირად მამულის ღალასაც“. (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 206)

ამას ემატება ის მამა-პაპეული ტრადიციები, რომელთა შესრულებაც ოს გლეხს ადათით მოეთხოვება. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ჩამოთვლილი ყველა ხარჯი ქერის მოსავალმა უნდა გაისტუმროს და ილიას მართლაც სამართლიანად ებადება კითხვა: „რითიღა ცოცხლობს ოსი და მისი სახლობა?“ (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 206)

ი. ჭავჭავაძე შეწუხებულია ოსების უაღრესად გაჭირვებული ყოფა-ცხოვრების გამო და იქვე დასძენს: „ყოველ ამას ზედ დაუმატეთ უგზო-უკვლობა, რომლის გამოც გამოტანა რისამე მთიელ ოსს უფრო

ძვირად უჯდება, ვიდრე გამოტანილი ჰღირს, და მაშინ სრული სურათი მთიელ ოსის უილაჯობისა თვალწინ წარმოგიდგებათ მთელის თავისის უძლეველი სახითა“. (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 207)

აქვე, ავტორი ამხელს გარკვეულ ნაწილს იმ მთიელი ოსებისას, რომლებსაც იოლი გზით გამდიდრება განუზრახავთ და პატიოსანი შრომის ნაცვლად ყაჩაღობა და ხალხის ძარცვა-რბევა დაუწყიათ: „დისციპლინა ოსისათვის უჩვევი ამბავია, ამიტომ იგი უფრო მარტო თარეშობს და ძნელად თუ ამხანაგად გაიხდის ვისმე, და თუ გაიხდის – იმისთანას, რომელიც ძალიან გამოცდილი ჰყავს ერთგულებაში და ამასთან იმისთანა დანაშაული ჩაუდენია, რომ მთავრობას შემჩნეული ჰყავს და მთავრობისაგან დევნილია. გაცემა და ღალატი ამხანაგისა ოსს ძალიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, პატიობა აღუთქვეს, ან ფულით დაახარბეს. თუნდ ესეც არ იყოს, ადვილად იცის ამხანაგებთან ჩხუბის ატეხა, დავა ნაძარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ღალატი...“ (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 205)

მოცემულ მასალაში იგრძნობა ილიას მხარდაჭერა მთიელი ოსებისადმი და მათი ცხოვრების გაუმჯობესების სურვილი. ამიტომ მოუწოდებს ხელისუფლებას, როგორმე შეუმსუბუქოს ხვედრი გაწამებულ მოსახლეობას, და თუ ასეთი დახმარება „მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოგება იქნება“. (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 231)

ოსი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესება არაერთხელ გამოუხატავს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ პრესას. გაზ. „ერთობა“ (გაგლოევი ა., 1918, გვ. 4) საფუძვლიანად იკვლევს თუ რა მდგომარეობაშია ოსი ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, როგორია მათი სოციალური გარემო, მათი შეხედულებები დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური კურსის შესახებ და სხვ. შესწავლის ობიექტად შერჩეულია ახალქალაქის, ბობნევის, ზორეთის, გუჯარეთის, ხცისის, ავლევის და სხვა რაიონების ოსი მოსახლეობა. გაზ. „ერთობის“ მოცემული პუბლიკაციის ავტორი ან. ბიბილოვი უშუალოდ მართავს შეხვედრებს, ჩამოთვლილი რაიონების ოსურ საზოგადოებებთან. ცდილობს მაქსიმალურად მიაწოდოს მათ ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ, შეისწავლოს, შექმნას წარმოდგენა მათი მდგომარეობის შესახებ და სახელისუფლებო წრეებთან შუამდგომლობით, შესაძლებლობის ფარგლებში ხალხს აღმოუჩინოს დახმარება.

რაც შეეხება ცხინვალის მიმდებარედ და მის მაღალმთიანეთში განსახლებულ ოსებს, მათი მდგომარეობის შესახებ „ერთობა“ წერს: „ბარის ოსები მისდევენ ხვნა-თესვას, იღებდენ მიწებს იჯარით ქართველ მემამულეებისაგან, იხდიდენ შემოსავლის მეოთხედს ისე, როგორც ქართველი გლეხები. უკანასკნელ სამეურნეო აღწერის მიხედვით ბარში მცხოვრებ ოსის ოჯახს საშუალოდ უჭირავს 6 დღიური (სამ დესეტინამდე), რომლის შემოსავალი უდრის დაახლოებით 20-30 კოდამდე (80-120 ფუთს). მთის ოსები კი მეტ წილად საქონლით ცხოვრობენ. პური იქ არ მოდის, ქერიც კი ვერ ასწრობს ხშირად მომწიფებას, რადგანაც თოვლი მოუსწრობს ხოლმე. ამიტომ მთის ადგილი საძოვრებს და ტყეებს უჭირავთ. ოსები აქ ას წლობით სცხოვრობენ ზოგი ხიზნათ, ზოგი გრძელ ვადიან იჯარით. საშუალოდ იქაურ ოჯახს მოსდის 3-4 დღიური სახნავი მიწა, რომლის შემოსავალი უდრის 12-15 კოდ ქერს, ისე რომ, სამხრეთ ოსეთში სახნავ მიწების დიდი სივიწროვეა, ხორბალს გარედან ეზიდებიან. ერთად-ერთი წყარო შემოსავლისა მთაში არის საძოვრები და ტყეები“. (გაგლოევი გ., 1918, გვ. 4)

XX საუკუნის დამდეგიდან ცხინვალში ასამდე სავაჭრო ობიექტი და ათეულობით მანუფაქტურული მოწყობის საწარმო ფუნქციონირებს. ყოველწლიურად იზრდება ხელოსნების რიცხვი და თუ საუკუნის პირველ ათწლეულში მათი რაოდენობა ორასიდან სამასამდეა, უკვე 1912 წლისთვის ხელოსანთა შემადგენლობამ ხუთ ასეულს გადააჭარბა.

დამოუკიდებლობის კარიბჭესთან მდგარ საქართველოში ცხინვალში და მის მიმდებარედ გაშლილი სამრეწველო-სამეურნეო ცხოვრების პალიტრა ერთობ მრავალფეროვანია. 1917 წლისთვის აქ მოქმედ საწარმოთა შორისაა წისქვილები, საკონდიტრო, ფურნეები, თონეები და ა.შ. ფუნქციონირებენ მეწაღეები, თერძები, ხარაზები, ზეინკლები, ოქრომჭედლები, ნალბანდები მეყასბეები და მრ. სხვ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოების განვითარება ქვეყნის განვითარების უმთავრეს წინაპირობად და გარდაუვალ აუცილებლობად იქცა.

წარმოების განვითარებისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი არ რჩება ცენტრალური პრესის ყურადღების მიღმა. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი გახლდათ ცხინვალის მეზობლად, სოფ. ქურთაში[1] საფეიქრო სკოლის დაარსება.

[1] **ქურთა** - რუსეთის მიერ ოკუპირებული სოფელი საქართველოში. მდებარეობს ქურთის მუნიციპალიტეტში, 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში, 2006 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში. მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. ცხინვალი-ონის საავტომობილო გზაზე. ცხინვალიდან 7 კილომეტრი.

საქართველოში და მათ შორის ცხინვალის რეგიონში საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა მატყლი და აბრეშუმი, რომელიც უცხოეთში გადიოდა დასამუშავებლად, ხოლო გადამუშავებულს საკმაოდ დიდი ფასი ჰქონდა. საჭირო იყო მისი ადგილზე გადამუშავება. თბილისში არსებულ სართავ ფაბრიკას კვალიფიციური მუშახელი სჭირდებოდა. გარდა ამისა, საფეიქრო საქმის შესწავლას და მიღებული ცოდნის რეგიონში გამოყენებასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სოფ. ქურთაში დაარსებული საფეიქრო სკოლის შესახებ არსებული ცნობების მიხედვით, მის დასათვალიერებლად და სარევიზიოდ ჯერ კიდევ 1917 წელს თბილისიდან მივლენილ პირს დაევალა რეგიონის შესწავლა ამ მხარეში საფეიქრო მრეწველობის გაფართოების შესაძლებლობის მიზნით. მხარის შესწავლისას სოფელ დიდ გუფთაში მასწავლებელი ქალის ნაამბობის მიხედვით, აქ შალის ქსოვას ყველა ოჯახი მისდევდა. მისი ნათქვამი დაუდასტურებიათ იქვე თავმოყრილ გლეხებს.

ქურთის საფეიქრო სკოლის შესახებ მომზადებულ პუბლიკაციაში გაზ. „საქართველო“ წერდა: „და აი, მე მსურს მივაქციო ამ მხარის ოსების ინტელიგენციის ყურადღება შალების ქსოვასა და მის გაუმჯობესებას; ამ მხარის ინტელიგენტთა შორის მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც გულწრფელად არიან დაინტერესებულნი თავის ხალხის ყოფა-ცხოვრებით. ასეთ პირთა ვალია ყოველ მხრივ დაეხმარნენ თავის ხალხს, დაბეჩავებულს და დაცემულს ეკონომიურად.

მათ უპირველესად ყოვლისა შეუძლიანთ ინახულონ სოფელ ქურთაში არსებული საფეიქრო სკოლა-სახელოსნო და დაათვალიერონ თანამედროვე საქსოვი დაზგები. ამისთანა დაზგებზედ მუშაობა შეუძლიანთ ორგანიზმის უვნებლად თორმეტ და ცამეტ წლის ქალიშვილებს და, რაც უფრო საყურადღებოა, ამისთანა დაზგის საშუალებით დახელოვნებულ ფეიქარს დღეში ოცისა და მეტ ალაბის მოქსოვაც შეუძლიან.

შალის ქსოვის საქმე ოსებს შორის მით უფრო ჩქარა და ფართოთ წავა, რომ მათში თითქმის ყველა ქსოვს და მატყლიც ძაფისთვის ადგილობრივ მოიპოვება. ხარჯს ამ საქმის დაწყება ბევრს არ მოითხოვს. თვით მთავრობაც სიამოვნებით დაეხმარება, რადგანაც არსებობს ტენდენცია შინაურ მრეწველობის ხელის შეწყობისა. არც სკოლის ხარჯი დასჭირდებათ, რადგანაც, როგორც კავკასიის სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენელი ამბობდა, ისეთი აზრია ამ კომიტეტის ხელმძღვანელთა შორის გამეფებული, რომ საქსოვი დაზგები დაედგათ გლეხებს თავის სახლებში. იქნება ინსტრუქტორი ქალი ან კაცი, რომელიც ივლის იმ ოჯახებში, სადაც დაზგები იქნება და ასწავლის ქსოვას, ხოლო ინსტრუქტორს ჯამაგირი მიეცემა მთავრობისაგან“. (საქართველო, 1917, №40, გვ. 4)

დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის გზაზე გათვალისწინებულთან ერთად იკვეთებოდა უამრავი დაუგეგმავი ხარჯი, რაც აფერხებდა საწარმოო ძალების განვითარებას. ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის შესახებ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მერვე ყრილობაზე, ფინანსთა მინისტრის მოადგილის კ. კანდელაკის[1] აზრით, ქვეყანაში მდგრადი ფინანსური მდგომარეობის მიღწევა ნორმალური განვითარების პირობებშიც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ყოველივე ეს მით უფრო რთულია სახელმწიფოში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ. #1825, აღწ. #1, საქ. #49, ფურც. 24)

საშინაო და საგარეო ფრონტებზე დაუსრულებელი საომარი მდგომარეობებით გამოწვეული კრიზისი, ქვეყანაში შემოსავლების ნაკლებობა და ხარჯვითი ნაწილის გამუდმებული ზრდა მტკივნეულად აისახებოდა მეურნეობის ყველა დარგზე და იწვევდა ანარქიას.

ასეთ კრიზისს ვერც ცხინვალი და საზოგადოდ ვერც ქართლი გადაურჩა. „ცუდი ამბები მოდის ქართლიდან; საქართველოს გული ლამის აგრარულმა ტერორმა გასჭრას სასტიკი მახვილით. მოკლეს ორი ძმა ციციშვილი, ერთი მათი ბიძაშვილი, მაღალაშვილი, ყარანგოზიშვილი, თურქესტანიშვილი, ქვლივიძე და სხვა. გაზეთებმა გადმოგვცეს: თავს ესხმიან ავლევის, თამარაშენის, ცერინისის, კნოლევის და სხვა გორის მაზრის სოფლების მემამულეებს: ამირეჯიბებს, ბაგრატიონ-დავითიშვილებს, ფალავანდიშვილებს. ძალზე გაულახავთ ბ. ნ. ფალავანდიშვილი, დუშიკო ფალავანდიშვილი („გლეხთა პარტიის“ ლიდერთაგანი), ლუკა ფალავანდიშვილი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი. უცემიათ აგრეთვე კონსტანტინე ამირეჯიბის მოურავისთვის, – უგინებიათ სიტყვით კონსტანტინე ამირეჯიბი, ავლევის რაიონის კომისარი. მემამულეებისათვის წაურთმევიათ ვერცხლი და ოქრო, ქვემო ხანდაკში თოფით დახვრიტეს ილია ჩიქოვანი და სხვ.“ (აგრარული ანარქია, 1918, გვ. 2)

---

[1] **კონსტანტინე კანდელაკი** (1883-1958) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. დაიბადა სამტრედიაში. სწავლობდა ქუთაისის სემინარიაში. შემდეგ მოსკოვში უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში. იგი ჯერ ფინანსთა და ვაჭრობა–მრეწველობის მინისტრის, გიორგი ჟურულის მოადგილეა, ხოლო 1919 წლის 21 მარტიდან კი მინისტრია. მის სახელს უკავშირდება ქართული ფულის ერთეულის გამოშვება. 1921 წლის მარტიდან კ. კანდელაკი წავიდა ემიგრაციაში. ჯერ სტამბულში, მოგვიანებით საფრანგეთში. უცხოეთში ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. გარდაიცვალა შვეიცარიაში. დაკრძალულია ლევილში.

ეს 1918 წლის დამდეგი გახლავთ. ასეთ მძიმე ვითარებას ემატებოდა გასული წინა წლის თებერვლის ცნობილი მოვლენების შემდეგ რუსეთის ჯარებიდან მასობრივად დაბრუნებული „სალდათობის სულის განწყობილება: ომით მოღალულობა, უმცროს-უფროსობის გრძნობის დაკარგვა, საერთოდ ანარქიული გონება“. (აგრარული ანარქია, 1918, გვ. 2) ყოველივე ეს კიდევ უფრო ამძიმებდა საერთო ფონს და ნოყიერ ნიადაგს უმზადებდა ქართლში აგრარულ მოძრაობას.

გაზ. „საქართველო“ მოუწოდებს მოქალაქეებს მაქსიმალურად გამოიჩინონ სიმშვიდე და გაუფრთხილდნენ საქართველოს. თავიდან აირიდონ სამოქალაქო ომის საფრთხე, ვინაიდან ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის რეჟიმში ვის რად უნდა ან ეროვნული თავისუფლება ან სხვა რაიმე იდეალის განხორციელება. ერთიმეორისგან გაწყვეტილ ერს ხომ აღარც პირველი დაჭირდება და აღარც მეორე.

მოხმობილი ტექსტის ავტორი შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალსაც სთავაზობს მკითხველ საზოგადოებას. იგი ძირითადი პასუხისმგებლობის ტვირთს მმართველ პარტიას აკისრებს და დასძენს: „მან უნდა მოუნახოს შეგნებული გადაწყვეტა აღნიშნულ მოძრაობას. იგი უნდა შეიჭრას სოფლად და საქმიანი სიტყვით დააჯეროს გლეხობა, რომ პოლიტიკური ძლევამოსილება საქართველოში მას აქვს, – და როცა აზვირთებული საერთო ანარქია შენელდება, იგი მართებულად გადასჭრის მიწის საკითხს. დარწმუნებული ვართ, ამგვარი მოქმედებით ხსენებული პარტია უთუოდ შეაჩერებს გლეხობის ამხედრებულ სტიქიონს“. (აგრარული ანარქია, 1918, გვ. 2)

რაც შეეხება მიწის საკითხს, თუ როგორი ტიპის რეფორმას ატარებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ამ პრობლემის გადასაჭრელად და რა გამოხმაურება ჰქონდა მას საზოგადოებაში, ამაზე უკვე ვესაუბრეთ მკითხველს.

ბიბლიოგრაფია:

აგრარული ანარქია. (1918). *საქართველო* (29).

გაგლოევი, ა. (1918). მდგომარეობა ოსებში. *ერთობა* (192).

გაგლოევი, გ. (1918). ოსების თვითგამორკვევა. *ერთობა* (1).

ერთობა. (1918). (253).

ერთობა. (1918). (8).

ერთობა. (1919). (140).

ერთობა. (1920). (263).

ერთობა. (1920). (269).

მექვაბიშვილი, ე. (რედ.). (2000). საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები. *სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები.*

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). (2010). *ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში.* თბილისი.

პაპისმედოვი, ი. (2014). *საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის, დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, I-II-III.*

საქართველო. (1917). (104).

საქართველო. (1917). (194).

საქართველო. (1917). (40).

საქართველო. (1919). (45).

საქართველო. (1919). (60).

საქართველო. (1919). (125).

საქართველო. (1919). (241).

საქართველო. (1920). (33).

საქართველო. (1920). (113).

საქართველო. (1920). (164).

საქართველო. (1920). (150).

საქართველო. (1920). (98).

საქართველო. (1920). (108).

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონ. #1836, აღწ. #1, საქ. #434, ფურც. 16-17.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონ. #1825, აღწ. #1, საქ. #49, ფურც. 20.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონ. #1825, აღწ. #1, საქ. #49, ფურც. 24.

ქვარიანი, ს. (1920). სიძვირე და მასთან ბრძოლა. *საქართველო* (152).

ჭავჭავაძე, ი. (1956). *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად* (ტ. VI). თბილისი.

Андреев, А. П. (1895). *От Владикавказа до Тифлиса.* Тифлис.

Берже, А. Д. (Ред.). (1866). *Акты собранные кавказской археографической комиссией* (Т. I). Тифлис.

Владыкин, М. (1885). *Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу* (часть I). Москва.
Воронов, Н. И. (Ред.). (1869). *Сборник статистических сведений о Кавказе* (Т. I). Тифлис.
Услар, П. К. (1881). *Древнейшія сказанія о Кавказе.* Тифлис.

Aleksandre Mghebrishvili
Gori State Teaching University

TSKHINVALI ON THE PRESS SHEETS OF THE FIRST INDEPENDENT REPUBLIC (ECONOMIC ASPECT)

RESUME

After the 1917 known events the demise of the Russian Empire stipulated the emergence of the room for new opportunities. During the first days of the Democratic Republic it had become of utmost necessity to plan the existing resources in a consistent manner. The effectiveness of the planned state costs had resulted in the increase of state defense capacity, infrastructure projects development and organization of the social problems.

Thus, the consistent economic policy had become the vital artery of the newborn independent state. Along with other state peripheries, Tskhinvali had also been affected with the economic issues. Periodically, discussions and informational meetings had been held, where the critical issues for the society had been discussed.

Keywords: Press, Economy, Reform, Private property.

მაკა სალხინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის განმარტებისათვის

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, კოდექსი, სასამართლო, გასაჩივრება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან ყველაზე მოძველებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (შემდგომში ,,კოდექსი“), რომელიც მიღებულია 1984 წლის 15 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ. საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად დასახელებული კოდექსი ვერ პასუხობს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველდღიურად ხდება მისი განახლება, ცვლილებების შეტანა, მაინც „საბჭოური“ საკანონმდებლო აქტია და ვერ მიყვება 21-ე საუკუნის ცხოვრების რითმს.

ბოლო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა კოდექსის რამდენიმე მუხლი. მათ შორისაა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის კონსტიტუციურობის დადგენის შესახებ სარჩელი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით. კერძოდ, მოქ. ი.ხ-მ სარჩელი აღძრა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში და კოდექსის 273-ე მუხლის კონსტიტუციორობის დადგენის საკითხი დააყენა.

№1263 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის სამართლებრივ საფუძვლად ი.ხ.-ს მითითებული ჰქონდა: საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“

ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლები. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამავე კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა). (საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984)

მოსარჩელე საკონსტიტუციო სარჩელში განმარტავდა, რომ სადავო ნორმა ადგენს დადგენილების გასაჩივრების 10-დღიან ვადას. ამავდროულად, გასაჩივრების ვადის ათვლა ხდება არა დადგენილების ჩაბარების, არამედ მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დადგენილებების სარეზოლუციო ნაწილში ასახულია მხოლოდ ის, თუ რა სახის სახდელი დაეკისრა სამართალდამრღვევად ცნობილ პირს, ხოლო ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რომლებიც საფუძვლად დაედო პირის სამართალდამრღვევად ცნობას, მოცემულია დადგენილების სამოტივაციო ნაწილში. შესაბამისად, მხოლოდ სამოტივაციო ნაწილის გაცნობის შემდეგ არის სამართალდამრღვევისთვის შესაძლებელი, მიმართოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული საჩივრით და გააქარწყლოს დადგენილების მიღების მოტივები. სადავო ნორმა უშვებს შესაძლებლობას, რომ სამართალდამრღვევმა სამოტივაციო ნაწილი მიიღოს გასაჩივრების 10-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, როგორც ეს ხშირად ხდება, ხოლო გასაჩივრების ვადის ათვლა უკავშირდება დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარისთვის ჯერ კიდევ უცნობია დადგენილების მიღების სამართლებრივი დასაბუთება და იგი ობიექტურად მოკლებულია შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული საჩივრით. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019)

ამავე კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, პირს შეუძლია, გაასაჩივროს დადგენილება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი (საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997) ადგენს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის მოთხოვნას. იმ პირობებში, როდესაც მხარისთვის უცნობია სასამართლოს მოტივაცია და სამართლებრივი არგუმენტაცია, დიდია იმის ალბათობა, რომ იგი ვერ შეძლებს საჩივრის სათანადოდ დასაბუთებას, რაც გამოიწვევს მის დაუშვებლად ცნობას. სხვა შემთხვევაში მხარეს შეუძლია, არ გაასაჩივროს პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი დადგენილება მანამ, სანამ არ ჩაბარდება დასაბუთებული დადგენილება. თუმცა ამ დროისათვის შესაძლებელია, გასული იყოს გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადები, რაც ასევე საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველია. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში პირი მოკლებულია გასაჩივრების რეალურ შესაძლებლობას და ბუნებრივია გარკვეული სახის პრობლემებს ქმნის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოდექსის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, დადგენილების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში გასცეს მისი ასლი, თუმცა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლო ხელისუფლების მიერ საპროცესო ვადის დაცვის კონტროლის ეფექტურ და გამჭვირვალე მექანიზმებს. პრაქტიკაში არის ძირითადად ისეთი შემთხვევები, როდესაც დადგენილების ასლი ფოსტის მეშვეობით იგზავნება მხარესთან, თუმცა ფოსტა ვერ პოულობს ადრესატს და ფაქტიურად ვერ ბარდება დადგენილების ასლი, რაც კიდევ უფრო აფერხებს გასაჩივრების უფლების გამოყენებას.

მოსარჩელის პოზიციით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019), კანონმდებელმა უნდა შექმნას ისეთი რეგულაცია, რომლის პირობებშიც უზრუნველყოფილი იქნება გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია და სასამართლოს მხრიდან საპროცესო ვადის დარღვევა ნეგატიურად არ აისახება მხარის უფლებებზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, სადავო ნორმით გათვალისწინებული გასაჩივრების 10-დღიანი ვადა ბლანკეტურად უკავშირდება დადგენილების გამოტანის მომენტს და არ ითვალისწინებს ამ ვადის გაგრძელების ან შეჩერების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მხარეს კანონით განსაზღვრულ ვადაში არ ჩაბარდა დასაბუთებული დადგენილება. ხსენებული კი, თავის მხრივ, იწვევს სასამართლოს აქტის გასაჩივრების კონსტიტუციური უფლების დარღვევას.

ყველაზე პრობლემატურია სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება სასამართლო დარბაზში

სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვის მომენტიდან და არა დასაბუთებული დადგენილების მოსარჩელისთვის ჩაბარებიდან. ფაქტიურად მხარე მოკლებულია შესაძლებლობას სიღრმისეულად შეისწავლოს დადგენილების შინაარსი და არგუმენტირებულად დაასაბუთოს ზედა ინსტანციაში შესატანი საჩივარი. აღნიშნული კი ვერ გახდება დამრღვევის უფლებების დაცვის მყარი პროცესუალური გარანტია.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საქართველოს კონსტიტუციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებას „არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომელთა ერთობლიობამაც უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ადამიანების რეალური შესაძლებლობა, სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან, აღიდგინონ საკუთარი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლება-თავისუფლებებში ჩარევისას, დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს თვითნებობისაგან“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014)

მნიშვნელოვანია, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, სადაც აღნიშნულია, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს უფლების დაცვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მართლმსაჯულების ინსტიტუციური გარანტიების, საერთო სასამართლოს სისტემის მეშვეობით. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას საერთო სასამართლოთა სისტემაში, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ამავე სისტემის ზემდგომ ინსტანციაში“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2018, II-9)

უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილების გასაჩივრების კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, არსებობს ალბათობა, ისე გავიდეს გასაჩივრების ათდღიანი ვადა, რომ პირს მითითებულ ვადაში არ ჩაბარდეს დასაბუთებული დადგენილება, რაც განაპირობებს იმ გარემოებას, რომ მისთვის უცნობია, თუ რა ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე დაედო ადმინისტრაციული სახდელი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოქ. დ. ხ-ს კონსტიტუციური სარჩელი №1263 და საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს კონსტიტუცია, 1995) 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში.

მართალია საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო არაკონსტიტუციური ნორმა 2019 წლის 1 ივლისიდან, თუმცა 2019 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ არის მიღებული ახალი ნორმა და პრაქტიკულად საკანონმდებლო ვაკუუმში იმყოფება ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია იმ არგუმენტაციით, რომ გასაჩივრების ვადის დადგენილების გამოტანიდან ათვლის გამო დასაბუთებული დადგენილების დროულად ჩაუბარებლობის შემთხვევაში პირს არათანაზომიერად ეზღუდება არგუმენტირებული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. ამასთანავე, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში აღარ იარსებებს სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრებისათვის განსაზღვრული ვადა. შესაბამისად, მხარეს შესაძლებლობა ექნება, გაასაჩივროს სასამართლოს დადგენილება ნებისმიერ ვადაში. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014)

ვფიქრობთ, საქართველოს პარლამენტი ამ ნორმის მიღებას რაც უფრო დააჩქარებს, მით უფრო დროულად მოგვარდება ეს პრობლემური საკითხი. უფრო მეტიც, დღეს გასაჩივრების რა ვადა უნდა იქნეს გამოყენებული საზოგადოებისთვის მსჯელობის საგანია. თუ მოქმედ რეგულაციებს გადავხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა გამოაცხადა ძალადაკარგულად, თუმცა მის ნაცვლად ჯერ კიდევ ვერ მიიღო ახალი, შესაბამისად ისმის კითხვა გასაჩივრების ვადის ათვლა საიდან უნდა დავიწყოთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან (დადგენილების გამოტანიდან?) თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან?

საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცვლილების შეტანამდე პრობლემური საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა (წერილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, 2019) წერილობითი განმარტებისათვის მიმართეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს, თუმცა არც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს აქვთ პასუხი აღნიშნულზე.

საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში ჩვენი რეკომენდაცია ასეთია:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლში ცვლილებების შეტანამდე უპირატესობა მიენიჭოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმ

რეგულაციას, რომელიც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების 1 თვიან ვადას აწესებს და ამ ვადას ითვლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის დღიდან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში. (საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999)

ჩვენი აზრით, ეს არ გადაჭრის პრობლემას სრულად და საჭიროა დაუყოვნებლივ შეტანილ იქნეს ცვლილება მოქმედ საკანონმდებლო აქტში და გასაჩივრების ვადა აითვალოს დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. თუ 10 დღის ნაცვლად საქართველოს პარლამენტი 10 სამუშაო დღის ვადას მიუთითებს, ამით უფრო მეტად იქნება დაცული დამრღვევის გასაჩივრების უფლება.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984. (№161). (2019 წლის 16 მაისამდე არსებული ცვლილებებით და დამატებებით). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=471

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 1999. (№2181). (2019 წლის ცვლილებებით და დამატებებით).

მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=36

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1997. (№1106). (2019 წლის ცვლილებებით და დამატებებით).

მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=144

საქართველოს კონსტიტუცია 1995.

მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2014 წლის 23 მაისი). *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".* (№3/1/574).

მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2358226?publication=0

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2018 წლის 19 ოქტომბერი). *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.* (№2/7/779).

მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4349899?publication=0

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2019 წლის 18 აპრილი). *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".* (№1/3/1263).

მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4544474?publication=0

წერილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. (2019 წლის 29 ივლისი). (OG19-0288566).

Maka Salkhinashvili

Gori State Teaching University

FOR THE DEFINITION OF ARTICLE 273 OF THE CODE OF ADMINISTRATIVE OFFENSES OF GEORGIA

RESUME

The most out of the current Georgian legislation is the Code of Administrative Offenses of Georgia (hereinafter "the Code"), adopted on December 15, 1984 by the Supreme Council of the Georgian SSR. Despite the legislative changes, the aforementioned code fails to meet the requirements of modern life.

Pursuant to Article 273 of the Code of Administrative Offenses of Georgia, a resolution on an administrative offense case, as well as a rule under Article 2341 of the same Code, may be appealed within 10 days of its filing when adjudicating the case. If the time limit is exceeded for a valid reason, the time limit may be reinstated by the person against whom the decision is taken, the body authorized to examine the complaint (the official).

The Constitutional Court has annulled the unconstitutional norm from July 1, 2019, but as of October 1, 2019, a new norm has yet to be adopted and administrative legislation is practically in a vacuum.

In the context of a legislative vacuum, our recommendation is:

Prior to amending Article 273 of the Code of Administrative Offenses of Georgia, priority shall be given to the Regulation of the General Administrative Code of Georgia, which lays down a one-month time-limit for appealing an individual administrative act, and shall count as a period of formal notification to the party of the individual administrative act. From Ghi. In particular, according to Article 180 of the General Administrative Code of Georgia, an administrative complaint must be filed within one month of the date of publication or official notification of the administrative act.

In our opinion, this will not solve the problem completely and it is necessary to amend the existing legislative act immediately and calculate the appeal period within 10 days after the adoption of the resolution. If the Parliament of Georgia indicates 10 working days instead of 10 days, the right to appeal the violator will be more protected.

Keywords: Administrative Offense, Code, Court, Appeal.

მარიკა შერაზადიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სინტაქსური სტრუქტურების სპეციფიკა მედიატექსტის მიხედვით

საკვანძო სიტყვები: მასმედია, მედიის ენა, კომუნიკაცია, ანგლიციზმები.

ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, მუდმივად იცვლება. ენა, როგორც სისტემათა სისტემა - არაერთგვაროვანი რაობაა, იგი მდიდრდება და იცვლება, მაგრამ რჩება ადამიანური არსის ყველაზე მყარ შემადგენელ ნაწილად, ეროვნული ტრადიციების გარანტად, სულიერი კულტურის მცველად. ქვეყნის სოციალური და კულტურული თავისებურებანი უშუალოდ ზემოქმედებს საზოგადოებრივი ენის პრაქტიკაზე, ენობრივი ურთიერთობის ფორმებზე, მასობრივი და პერსონალური ურთიერთობის სტილისტურ ნორმებზე. მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებში უფრო მკვეთრად შესამჩნევი, ენის ნორმების კუმულაციური ცვლილებები ლინგვისტების ღრმა ინტერესის საგანია. პუბლიცისტურ მეტყველებაში, მეტყველებასა და სტილში მჟღავნდება მისი რაობა, საზოგადოებრივი ფენები, პოლიტიკური მოღვაწისა და მოქალაქის რენომე; აისახება საზოგადოების ფსიქოლოგია, ხასიათი, შეფასება და გააზრება. მედიამეტყველების გარეგნულ წარმავლობაში სიღრმისეულისა და მუდმივის ამოსაკითხად საჭიროა ზედმიწევნით ხანგრძლივი ლინგვისტური დაკვირვება. ჟურნალისტების მიერ თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიისა და ტაქტიკის სხვადასხვაგვარობის გამო, აქტუალური რჩება მასობრივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ზეგავლენის პრობლემა მკითხველისა და მსმენელის ცნობიერებაზე, ანუ გამიჯვნა საზოგადოების ინფორმირებასა და მისი ცნობიერებით მანიპულაციებისაგან.

მედიის განვითარება უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა უკეთესით იცვლება, თუმცა ახალ მედიასაშუალებებთან ერთად ძველიც არსებობს. მედია ენის მოქმედებისა და შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს, რომელსაც ყველა სახლში შეღწევა შეუძლია. მედიის ენა ბუნებრიობითა და კომუნიკაციური სპონტანურობით გამოირჩევა, ხოლო პრესის ენა უფრო დაკვირვებულია და დაფიქრების საშუალებას იძლევა, მაგრამ ორივე მათგანში აირეკლება მუდმივად ცვალებადი ენობრივი მოვლენები.

საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებები მჭიდროდ უკავშირდება ლექსიკურ ცვლილებებს და ენობრივი ნორმების ერთგვარ ტრანსფორმაციას იწვევს. ირღვევა ძველი ლექსიკური,

სინტაქსური კავშირები და მათ ნაცვლად ახალი ყალიბდება. ამ პროცესს „ლექსიკური პარადიგმების ცვლა“ შეიძლება ვუწოდოთ.

თანამედროვე ლინგვოკულტურული სიტუაციისათვის დამახასიათებელია არანორმატიული ლექსიკა, არაფორმალური კოდების სიხშირე. მასმედიის ენაში ფართოდ ვრცელდება ანგლიციზმები, ამერიკანიზმები და მათი დერივატები (კონსენსუსი, სტაგნაცია, ბრაუზერი...). საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, ასევე ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული ტერმინების სიხშირეს ზოგჯერ ენის გაუგებრობამდე მივყავართ. ახლად შემოსული სიტყვები სამეტყველო ენის შემადგენელ ნაწილად იქცა. ამის შედეგად ქვეითდება მეტყველების კულტურა, რაც არ შეიძლება, ლინგვისტების შეშფოთებას არ იწვევდეს.

მასობრივი კომუნიკაციის ენის შესწავლა ფილოლოგთა აქტუალური ამოცანაა. ფართო კონტექსტში საჭიროა გაანალიზდეს, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებაში ენის ფუნქციონირებაზე სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები. დადგენილია, რომ ენის და საზოგადოების კავშირი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეგუება ენობრივი სისტემა ენობრივ გარემოცვას. საზოგადოებრივი ცვლილებები თითქმის ყოველთვის იწვევს ცვლილებებს ენობრივ სისტემაში. ენის ლექსიკა, რომელიც, ერთი მხრივ, შედარებით მობილური და ცვლილებებისადმი მზადმყოფია, მეორე მხრივ კი მკაცრად სტრუქტურირებული, - ექსპლიციტურ ფორმაში ასახავს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს.

აღვნიშნავთ რა თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე გლობალურ ცვლილებებს, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება სწრაფად განვითარებად მასობრივ კომუნიკაციებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ეს ცვლილებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცხოვრების პირობებზე, არამედ, პირველ რიგში, ადამიანის აზროვნებაზე, მის მიერ სამყაროს აღქმასა და მეტყველებაზე.

მასმედია ცხოვრების ახალი სოციალური და კულტურული მოვლენების გამტარია, მისი საშუალებით ინერგება ენაში ახალი ცნებები, ახალი გრამატიკული ნორმები. მასმედიის ტექსტი - ეს ტექსტის განსაკუთრებული სახეობაა, „ტექსტის განზოგადებული სივრცის“, როგორც ენობრივი მატერიის, ერთგვარი გამოვლინება. მასმედიის ტექსტი - ეს უმაღლესი დონის ენობრივი ერთეულია. როგორც ი. ლოტმანი აღნიშნავდა, „ტექსტი - ეს არსებული ინფორმაციის გადაცემაა, იგი იბადება სემიოსფეროში - კულტურული საზღვრების შემავსებელ სინქრონულ სემიოტურ სივრცეში“. (Лотман, 2005, стр. 32) განსაკუთრებით საინტერესოა მასმედიის ტექსტის მოდელის ფორმირება. თანამედროვე პრესის ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე გამოყოფენ შემდეგ ტიპოლოგიურ ნიშნებს: სასათაურო კომპლექსების სემანტიკური სტრუქტურა, თემატური ბლოკების დასახელებათა სემანტიკურ-სტილისტიკური სტრუქტურა, ტექსტის სამეტყველო სტრუქტურა, ტექსტის სინტაქსური თავისებურებები. (Лысакова, 2008, стр. 75)

დღევანდელი მასმედიის ენისათვის დამახასიათებელია:

1. სამეტყველო კომუნიკაციის სფეროების გაფართოება (პირველ რიგში, ესაა ინტერნეტი, სადაც დიალოგური ურთიერთობის და ტექსტის ახალი ფორმები ვითარდება);
2. ცალკეული სოციალური ჯგუფების სამეტყველო ნორმათა მრავალფეროვნება, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ენობრივი კომუნიკაციისათვის და ასახვას პოულობს მასმედიის ენობრივ სინამდვილეში;
3. პუბლიცისტური სტილის დემოკრატიზაცია და მასობრივი კომუნიკაციების ენის ნორმატიული საზღვრების გაფართოება;
4. ენის სფეროთა ექსპანსია: ხალხური მეტყველება, ჟარგონი, არგო, ვულგარიზმები, ანგლიციზმები, ამერიკანიზმები.

განსაკუთრებით გვინდა შევეხოთ ენაში ანგლიციზმების დამკვიდრების საკითხს. ანგლიციზმების ინტენსიური გამოყენება სრულიად ახალ ლინგვისტურ სიტუაციას ქმნის, როდესაც ერთი ინგლისური ტერმინის გამოყენებით ჩანაცვლებულია მთელი სინტაქსური კონსტრუქცია. მასმედიის ენაში, სარეკლამო და ახალი ამბების ტექსტში დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკლებ მოცულობაში მეტი ინფორმაციის ჩატევას, სწორედ ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ადგილი დაიმკვიდრეს ანგლიციზმებმა. უცხოურენოვანი სიტყვები თანდათან ასიმილირდებიან, ერგებიან ჩვენს ბგერით სისტემას, ექვემდებარებიან სიტყვათწარმოქმნის წესებს და დროთა განმავლობაში მყარად იკიდებენ ფეხს ჩვენს მეტყველებაში.

სიტყვათა სესხებაში მკაფიოდ აისახება ერთი ხალხის ისტორიული ურთიერთობა სხვა ხალხებთან. სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული კონტაქტები, სამხედრო შეჯახებანი წარუშლელ კვალს ტოვს ამა თუ იმ ხალხის ენის განვითარებაზე. ქართულ ენაში მრავლადაა მეზობელი ქვეყნებიდან (ირანი, ოსმალეთი, საბერძნეთი, რუსეთი) შემოსული სიტყვები. ამჯერად პირდაპირი თუ არაპირდაპირი სესხების გზით შემოსულ ინგლისურ სიტყვებზე შევჩერდებით: ლიდერი, დეპარტამენტი,

ბოიკოტი, პარლამენტი, ლიფტი, დოკი, ბიუჯეტი, სკვერი, კოტეჯი, ტროლეიბუსი, რელსი, რომი, ვისკი, ტორტი, პლედი, პიჯაკი, ფინიში, სპორტი, სპორტსმენი, პოკერი, ჟოკეი, სპინინგი და სხვ.

მე-20 საუკუნესა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაში ანგლო-ამერიკული ექსპანსია, ძირითადად, მსოფლიო გლობალიზაციითაა გამოწვეული. ენობრივი სესხების პრობლემები დიდი ხანია გასცდა თეორიული მსჯელობის ჩარჩოებს, მასზე აქტიურად მსჯელობენ არა მხოლოდ ლინგვისტები. დღეს ენა განიხილება არა მხოლოდ როგორც მოცემული ეთნოსის სპეციფიური ნიშანი და მისი თვითგამოხატვის ინსტრუმენტი, არამედ ასევე - როგორც მსოფლიო სურათის ფორმირების მექანიზმი.

მასმედიის ენაში ანგლიციზმების ექსპანსია განპირობებულია არა მხოლოდ ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა: საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და კულტურათშორისი კომუნიკაციის გააქტიურება, აქ გარკვეულ როლს თამაშობს სოციალურ-კულტურული ფაქტორი - ცხოვრების ამერიკული წესის გაიდეალება, მზარდი ინტერესი ამერიკული კულტურისადმი, განათლებისადმი, ბიზნესისადმი. უცხოურენოვანი სიტყვების სესხების მიზეზები იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც მრავალწახნაგოვანია თვით კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესი. ანგლიციზმების ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

1. ტერმინოლოგია (კომპიუტერის ენა, თანამედროვე ეკონომიკა, ფინანსები: საიტი, ბანერი, ბრაუზერი, ინტერნეტ-პროვაიდერი, ჰოლდინგი, ვებ-დიზაინი, პიარ-მენეჯერი...);

2. „ხარკი მოდას“ (პრეზენტაცია, რეიტინგი, კონსენსუსი, ბრიფინგი, შოპ-ტური, ქილერი, ფეშენ-ვიკი, ქასთინგი, თოქ-შოუ...).

მსგავს პროცესს შეგვიძლია მივადევნოთ თვალი სპორტულ ტერმინოლოგიაში (ბოულინგი, დაივინგი, სქეითბორდი, სნოუბორდი...); პოლიტიკაში (სპიკერი, ინაუგურაცია, მერი, ვიცე-მერი, პრესკონფერენცია, პრესრელიზი...); პროფესიულ სფეროში (პროვაიდერი, რეალტორი, ბრენდი, ბროკერი...).

დროთა განმავლობაში უცხოურენოვანი სიტყვები სინტაგმებსაც ქმნიან: როუმინგის ტარიფი, საქმიანი იმიჯი, ეკონომიკის რეანიმაცია, ჩვენი სპონსორი, შოკური თერაპია, აუდიტორული შემოწმება, შოუ-ბიზნესი, საბანკო ბიზნესი, ინტერნეტ-ბანკინგი, ოფიციალური დისტრიბუტორი და სხვ.

ამ ჯგუფებს შორის მკვეთრი საზღვრის გავლება ჭირს. სამწუხაროდ, ბევრი უცხოურენოვან სიტყვებს მაშინაც ხმარობს, როცა ენაში მისი შესატყვისი მოიძებნება, რადგან თვლის, რომ ანგლიციზმების გამოყენება მას გარკვეულ წრეებში უპირატესად წარმოაჩენს.

სესხება არ ხდება სპონტანურად, არც მყისიერად. ეს არის თანდათანობითი, ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც უცხოურენოვანი სტრუქტურული ელემენტი ქართული ენის მორფემულ თვისებებს იძენს და მკვიდრდება ენაში.

ამრიგად, ინფორმაციის გადაცემის დაჩქარებული რეჟიმის პირობებში უპირატესობა ენიჭება მეტყველების ნაკლებად ოფიციალურ სტილს, რაც ჟანრების საზღვრების მოშლასთან ერთად სინტაქსური სტრუქტურების სპეციფიურობითაც ხასიათდება.

ბიბლიოგრაფია:

Лотман, Ю. М. (2005). *Внутри мыслящих миров. Человек – текст – семиосфера – история.* Москва.

Лысакова, И. П. (2008). Социолингвистический анализ журналистского текста. *Социология журналистики: Очерки методологии и практики*.

Marika Sherazadishvili

Gori State Teaching University

SPECIFIC CHARACTERISTICS OF SYNTACTIC STRUCTURES ACCORDING TO MEDIATEXT

RESUME

Socio-cultural changes taking place in society are closely linked to changes in the lexical and linguistic norms leading to transformation. Old lexical, syntactic connections are broken and instead of being formed. This process can be called "the lexical paradigm changes".

Modern linguistic and cultural situation is characterized by substandard vocabulary, frequency of informal codes.

Modern media language is charachterized by:

1. Expansion areas of speech communication (first of all, this is the Internet, where communication of dialog and texting are developing);

2. Variety of speech standards of certain social groups, which are common in modern linguistic media communication and which reflects linguistic reality;

3. publicistic-style democratization and expansion the boundaries of media communication normative language;

4. Expansion of language fields: vernacular, slang, Argo, vulgarisms, Anglicisms, Americanisms.

Loaning happens neither spontaneously, nor instantly. This is a gradual, long process, during which the foreign structural element is acquiring morphemic properties of Georgian language and is establishing in the language.

Thus, less formal style of speech is preferred while transferring information in accelerated conditions, which, together with the dysfunction of syntactic structures, is also characterized by disordering of genre boundaries.

Keywords: Mass media, Media language, Communication, Anglicisms.

სოფო ჩქოფოია

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მიგრაციისა და უსაფრთხოების ურთიერთკავშირი მსოფლიოსა და საქართველოში

საკვანძო სიტყვები: არალეგალური, იძულებითი, ნებაყოფლობითი, ძალადობრივი, რეგიონალური, გლობალური, უსაფრთხოება.

XXI საუკუნეს თანამედროვე მსოფლიო შეხვდა არა მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი სიძველის გამოწვევებით, არამედ ახალმა ეპოქამ წინა პლანზე წამოსწია ახალი გამოწვევებიც, როგორიცაა მიგრაციის ფაქტორი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა თანამედროვე განვითარებული სამყაროსათვის. ნებაყოფლობითი თუ იძულებითი მიგრაცია სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს როგორც მიმღები, ასევე გამცემი ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ნებაყოფლობითი მიგრაცია დღითიდღე იზრდება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულის მიმართულებით, რომლის ხელშემწყობი ფაქტორიცაა ტექნოლოგიების განვითარება, მგზავრობის გაიაფება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შრომის ბაზრის მრავალფეროვნება, განსხვავებული ანაზღაურება და სხვა ფაქტორები.

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, თავად აირჩიოს საცხოვრებელი, თუმცა ნებაყოფლობით მიგრაციასთან ერთად გვაქვს მეორე უკიდურესი სახე იძულებითი მიგრაცია. მილიონობით ადამიანი დღესაც კი, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე იძულებულია დატოვოს სამშობლო და თავი შეაფაროს სხვა სახელმწიფოს. იძულებითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, ფორმები და ხანგრძლივობა სხვადასხვაა, შედეგიც რა თქმა უნდა განსხვავებულია.

ტერმინი „მიგრანტი“ საერთაშორისო სამართლის კონტექსტში გამოყენებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაშინ როდესაც მილიონობით ხალხი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო ძალით თუ ნებაყოფლობით. თანამედროვე საერთაშორისო სივრცეში არსებობს უამრავი სამართლებრივი ნორმა, რომელიც იცავს მათ უფლებებს. მიგრანტების უფლებები აღიარებულია, როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. თანამედროვე მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრანტთა რაოდენობა და იქცა გლობალურ პრობლემად, რომელმაც სირთულეები შექმნა არა მხოლოდ დემოგრაფიული კუთხით, არამედ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხითაც. მათი დიდი რაოდენობა არასდროს არ ბრუნდება სამშობლოში.

მილიონობით ადამიანი იძულებით თუ ნებაყოფლობით ტოვებს საკუთარ სახლებს, კონფლიქტის, პოლიტიკური კრიზისისა და კატასტროფების გამო, ასევე კლიმატის ცვლილებისა და განვითარების პროექტების გამო და ახლა მიგრანტების სახით ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნებში.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცემებით, მსოფლიოში დღეს იძულებით გადასახლებულია 44 მლნ. კაცი, რომელთაგან 15.4 მლნ. ლტოლვილია, ხოლო 27,5 მლნ - იძულებით ადგილნაცვალი პირი, რომლებიც თავისსავე ქვეყნის ფარგლებში დასახლდნენ. 800 ათასი ადამიანი არის თავშესაფრის მაძიებელი, რომელთა მიზანია მოიპოვონ ცხოვრების უფლება და მიიღონ ლტოლვილის სტატუსი სამართლებრივად. 12 მლნ. ადამიანს მოქალაქეობა საერთოდ არ აქვს. ძალიან რთულია ამ ტიპის ადამიანებზე ინფორმაციის მოძიება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2004 წელს ამ ადამიანებზე ინფორმაციას იძლეოდა 30 ქვეყანა, დღეს უკვე ამ ქვეყნების რიცხვი 65-მდე გაიზარდა. (ეკო, 2015)

2012 წლის მსოფლიო კატასტროფების ანგარიშში ნათქვამია, რომ იძულებით გადაადგილებული მიგრანტები ითხოვენ ჰუმანიტარული უწყებებიდან და რიგი სახელმწიფოებიდან უფრო მოქნილი მიდგომების მიღებას. როგორც პროფესორი როჯერ ზეთერი აღნიშნავს თანამედროვე ეტაპზე „იძულებით გადაადგილების ბუნება გაცილებით უფრო არაპროგნოზირებადია ვიდრე წარსულში და ბევრად უფრო რთული“. მისი ეს განცხადება განპირობებული იყო იმით, რომ გაიზარდა არა მხოლოდ იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც საცხოვრებლებს ტოვებენ კონფლიქტის შედეგად, არამედ ბუნებრივი კატასტროფების, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და სხვადასხვა მიზეზების გამო. (Causes and impacts relating to forced and voluntary migration, n.d.)

იძულებითი მიგრაცია უფრო მეტად „ურბანიზებულია“, დევნილი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს ქალაქებში. იძულებითი მიგრაცია არის მიგრაციის უარყოფითი ფორმა, რომელიც ხშირად გამოწვეულია დევნის, განვითარების ან ექსპლუატაციის გზით. კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი და ყველაზე გამანადგურებელი იძულებითი გადაადგილება იყო აფრიკის მონათვაჭრობა, რომლის მსხვერპლიც 12-დან 30 მილიონამდე აფრიკელი ოჯახი აღმოჩნდა, ისინი ჩრდილოეთ ამერიკაში, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში გადაჰყავდათ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ.

თუმცა იძულებითი მიგრაცია ყოველთვის არ არის ძალადობრივი. ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი იძულებითი მიგრაცია განხორციელდა ჩინეთის სამი ხეობის კაშხლის მშენებლობის დროს, დაახლოებით 1.5 მილიონი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა საცხოვრებელი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხშირად უზრუნველყოფს მათ დაკმაყოფილებას ახალი საცხოვრებლებით, ხშირია შემთხვევები, რომ ზოგიერთი ახალი დასახლებული პუნქტი გეოგრაფიულად ნაკლებად იდეალურია.

მიგრაციული პროცესები XXI საუკუნეში რიგი სახელმწიფოებისათვის მთავარ გამოწვევად იქცა, თუმცა ეს პროცესი არ არის ახალი. 1948 წელს, 492 ემიგრანტი გაემგზავრა იამაიკიდან ლონდონში, სადაც დაიწყეს ახალი ცხოვრება (ეს არის ნებაყოფლობითი მიგრაციის მაგალითი).

1972 წელს პრეზიდენტმა იდი ამინმა აიძულა უგანდაში მცხოვრები აზიელი მოსახლეობა დაეტოვებინათ საცხოვრებელი. მიგრანტთა დიდი რაოდენობა გადავიდა ბრიტანეთში (ეს არის იძულებითი მიგრაციის მაგალითი).

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის ქვეყნები დგანან დიდი გამოწვევების წინაშე, რადგან მიგრანტთა დიდი ტალღა სწორედ ევროკავშირის ქვეყნებს დააწვა, როგორც განვითარებადი ქვეყნებიდან წამოსული ნებაყოფლობით წამოსული მიგრანტები, ასევე სირიაში მიმდინარე მოვლენების შედეგად წამოსული ტალღა.

2004 წელს, როდესაც პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი შეუერთდა ევროკავშირს, მათი მოქალაქეების დიდი ნაწილი გადავიდა ბრიტანეთში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. 2004 და 2006 წლებში ბრიტანეთი აღმოსავლეთ ევროპის 600 000 მიგრანტის მასპინძელი ქვეყანა გახდა. ბევრმა შეძლო დასაქმება, განსაკუთრებით სამშენებლო და საცალო გაყიდვებში, რაც ხუთჯერ აღემატებოდა მათ მშობლიურ ქვეყნებში არსებულ სამუშაო ადგილებს. თუმცა ბევრი აღმოსავლეთ ევროპელი დაბრუნდა საკუთარ ქვეყნებში. ეს ნიშნავს, რომ მათი მიგრაცია დროებითი იყო.

გლობალიზაცია მიიჩნევა მიგრაციული პროცესების ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად. მას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც, მიგრაციული პროცესები განვითარებადი და ღარიბი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში პრობლემას წარმოშობს ორივე მხარისთვის. ნებაყოფლობითი მიგრაციის ერთ-ერთი მთავრი ფაქტორია ანაზღაურება, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

ნებაყოფლობითი მიგრაციის ერთ-ერთი სახეა სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ უნარების ასამაღლებლად და განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიის, ცოდნის ასათვისებლად და გასაზიარებლად ტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რადგან მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე სწორედ მათ უნარებზეა დამოკიდებული მათი დასაქმება და ანაზღაურება საერთაშორისო ბაზარზე. მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა და მიგრაციული პროცესების მიმართ დიდი დაინტერესებისა, სტატისტიკური მონაცემები მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ძალიან მწირია. თუმცა ნათელია, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი იშვიათად ბრუნდება განვითარებული

ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან განვითარებად ან ღარიბ ქვეყანაში, რადგან აქ ისინი ვერ მოახდენენ უნარების სრულად რეალიზებას და ვერც შესაბამის ანაზღაურებას ვერ მიიღებენ. ეს განპირობებულია იმით, რომ განვითარებადი ქვეყნები ძალიან ცოტა რესურსს უთმობენ კვლევებსა და განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ მომ მიგრაციას აქვს უარყოფითი მხარეები, მას ქვეყნის ეკონომიკისათვის სარგებლის მოტანაც შეუძლია, რაც ფულად გზავნილებში მდგომარეობს, რომელიც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მთავარი წყაროა და ადგილობრივი ვალუტის გამყარებას უწყობს ხელს.

ლეგალური მიგრაციის დროს აუცილებელია მთელი რიგი პროცესების მოგვარება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სავიზო პროცედურებს, დაზღვევას და ა.შ. მკვლევარი და მასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი, ხალიდ ქოზერი თავის წიგნში, „საერთაშორისო მიგრაცია“ აღნიშნავს, რომ არალეგალური მიგრაციის პოპულარობა, ლეგალური მიგრაციისათვის აუცილებელი ბიუროკრატიული მექანიზმების სირთულით აიხსნება. (Koser, 2007)

რაც შეეხება უკანონო მიგრაციას, არალეგალური მიგრაცია მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან და მრავალფეროვან კომპონენტს, მაგალითად:

- არალეგალი მიგრანტი, ანუ ადამიანი, როდესაც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შედის შესაბამისი პროცედურების დარღვევით, რა დროსაც ირღვევა სახელმწიფო სუვერენიტეტი, ვინაიდან სუვერენიტეტი განიმარტება, როგორც სახელმწიფოს უზენაესობა თავის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში, ხოლო არალეგალური მიგრაციის შემთხვევაში სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხდება ნებართვის გარეშე.

- არალეგალი მიგრანტები, რომლებიც შედიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ე.წ. გაყალბებული საბუთებით.

- არალეგალი მიგრანტები, რომლებიც მიემგზავრებიან მასპინძელ ქვეყანაში ლეგალურად, მაგრამ რჩებიან ვიზის დამთავრების შემდგომაც უნებართვოდ. ფიქტიური ქორწინებები, ფიქტიური შვილად აყვანა და ა.შ.

არასამთავრობო ორგანიზაციების დღის წესრიგში აქტიურად დგას მიგრაციული საკითხების შესწავლა და გაშუქება, დასკვნებსა და კვლევის შედეგებს ისინი აქტიურად აქვეყნებენ, საიდანაც ჩანს, რომ არალეგალური მიგრაციის კუთხით სტატისტიკა არცთუ ისე სახარბიელოა. მიგრანტები ხშირად ხდებიან ადამიანთა ვაჭრობის, ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ტრეფიკინგი საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, თუმცა მისი მსხვერპლი განვითარებადი და ღარიბი ქვეყნის მოქალაქეები უფრო ხდებიან. ადამიანით ვაჭრობის ყველაზე გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება: ბავშვებითა და ქალებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, იძულებითი შრომა, სხეულით ვაჭრობა. ნებაყოფლობით, თუმცა არალეგალურად წასული მიგრანტების დასაქმება საბუთების გარეშე საკმაოდ რთულია, ასევე რთულია მათთვის საცხოვრებლად ბინის ქირაობა, ყოველივე აქედან გამომდინარე ისინი ყველაზე ხშირად ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

ტერმინ „მიგრანტის“ საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არ არსებობს, ამ ტერმინში მოიაზრება ყველა ის შემთხვევა, როდესაც ადამიანი გადაწყვეტილებას თვითონ, ძალდაუტანებლად იღებს მიგრაციის შესახებ, პირადი კეთილდღეობის მიზნით. მიგრანტები ნებისმიერ ქვეყანაში ერთიანდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე პირების (უცხოელის) კატეგორიაში, თუმცა მისი სტატუსი განსხვავდება თავშესაფრის მაძიებლის კატეგორიისაგან, ანუ მიგრანტი არის პირი, რომელსაც არ აქვს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა და არ გააჩნია არც ლტოლვილის, არც ჰუმანიტარული სტატუსი და ცდილობს ან უკვე მოიპოვა ადგილსამყოფელ ქვეყანაში ბინადრობის უფლება. აუცილებელია მოხდეს ტერმინ „მიგრანტის“ ზოგადი და საერთო განმარტების დამკვიდრება, რადგანაც არ ხდება ხოლმე მათი გამიჯვნა სხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე პირებთან.

ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა, ისლამური სახელმწიფოებისაგან მომდინარე საფრთხეები და მასთან ბრძოლის გზები თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის მეექვსე პანელის განხილვის საგანს წარმოადგენდა, ჯერ კიდევ 2015 წელს, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გააზრებული ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოსაგან“ მომდინარე რეალური საფრთხე და მისი შედეგები, რის შემდეგადაც მილიონობით ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები. აღნიშნული საკითხი ძალიან მწვავედ შეეხო თურქეთსაც, თურქეთის მიგრაციის მართვისა და უცხოელების მომსახურების დეპარტამენტის უფროსმა ქუნეით გურერმა აღნიშნულ პანელზე შეხვედრის დროს განაცხადა, რომ: „არასტაბილური რეგიონი, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, პრობლემებს უქმნის არა მხოლოდ მის მეზობელ ქვეყნებს, არამედ ევროკავშირსაც. დასავლეთ ბალკანეთს უსაფრთხოების პრობლემას უქმნის ასევე მიგრაციის კრიზისიც. ეს პრობლემა ბალკანეთის გარდა ევროკავშირის ქვეყნებზეც ვრცელდება, რადგან ლტოლვილთა უმეტესობა ევროპის ქვეყნებში შეღწევას ცდილობს უკეთესი ცხოვრებისათვის. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიგრაციამ შესაძლოა ევროპას პოტენციური პრობლემებიც შეუქმნას. ლტოლვილთა შორის შესაძლოა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში მიუღია მონაწილეობა და შესაბამისი გამოცდილებაც აქვთ თუ

როგორ მოახდინონ ინფილტრაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში“. („ცვლილებები ახლო აღმოსავლეთში: ISIS და სხვა საფრთხეები“, 2015)

2011 წლის მარტში ლიბანის საზღვარი გადაკვეთა 5000 ადამიანისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომლებიც გაექცნენ ძალადობას. ამჟამად დაახლოებით 5 მილიონი სირიელი ლტოლვილია რეგისტრირებული. ლტოლვილების მეოთხედი მილიონი ერაყიდანაა წამოსული, თუმცა სირიელი ლტოლვილების 90% აღმოსავლეთ აფრიკაში არსებული სიტუაციისაგან განსხვავებით, კარვებში არ ცხოვრობენ. მათ მიერ დაკავებული იქნა მასპინძელი ქვეყნის ურბანული, პერი-ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებები. მათი ასაკი მერყეობს 18-დან 59 წლამდე. გენდერული პარიტეტი თითქმის თანაბარია 51.5 % მამაკაცი, ხოლო 48,5 % ქალია. ლტოლვილთა რაოდენობის მიღებით ლიდერი სახელმწიფოა თურქეთი, ლიბანი, იორდანია, ერაყი და ეგვიპტე. თურქეთი ცდილობს განახორციელოს თანმიმდევრული და ეფექტური პოლიტიკა, მათი ნებისმიერი ქმედება ლტოლვილთა ბანაკის შიგნით და გარეთ თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის მენეჯმენტის დირექტორატის მიერაა კოორდინირებული. თურქეთის მთავრობის მიერ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში 12 მილიარდი დოლარი იქნა დახარჯული სირიელი ლტოლვილების დასახმარებლად, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 4 %-ს შეადგენენ.

სირიელი ლტოლვილების საკმაოდ დიდი რაოდენობაა ლიბანში, სადაც ისინი ადგილობრივი მოსახლეობის 20%-ს შეადგენენ. ლიბანში სირიის სამოქალაქო ომამდე ისედაც უკვე 450 ათასი თავშესაფრის მაძიებელი პალესტინელი იყო. ქვეყანა არ არის 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმების მომხრე, რაც ართულებს ლტოლვილთა უფლებების სრულ უზრუნველყოფას. მძიმე მდგომარეობაა იორდანიაშიც, სადაც ლტოლვილებმა ქვეყნის მოსახლეობის 10 % შეადგინეს, ამასთან აქაც ცხოვრობენ პალესტინელი ლტოლვილები, რომლებსაც ამჟამად ქვეყნის მოქალაქეობაც აქვთ მიღებული. იორდანიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაგეგმარების სამინისტრო, გაერო და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ ქვეყნისათვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. იორდანია ცდილობს შექმნას განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, რომელიც ცხოვრებას გაუადვილებს ლტოლვილებს. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მთავრობამ 30 ათასი სამუშაო ნებართვა გასცა. საკმაოდ რთული მდგომარეობაა ერაყში, სადაც როგორც სირიელი ლტოლვილების ნაკადებთან უწევთ გამკლავება, ასევე ადგილობრივი დევნილი მოსახლეობის ნაკადებთან. ერაყის მიგრაციისა და ლტოლვილთა სამინისტრო და ქურთების რეგიონალური მთავრობა თანამედროვე ეტაპზე მჭიდროდ თანამშრომლობენ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსთან, რათა გაუწიონ დახმარება არაბ და ქურთ დევნილებს. საკმაოდ მნიშვნელოვანია ქურთების ჩართულობა აღნიშნულ საკითხში, რამდენადაც ქურთებით დასახლებულ ჩრდილოეთ რეგიონში საკმაოდ ბევრი ლტოლვილია შესახლებული და ამავდროულად სირიიდან წამოსული ლტოლვილების საკმაოდ დიდი რაოდენობა ქურთია. რაც შეეხება ეგვიპტეს, მან ლტოლვილების შეზღუდული რაოდენობა მიიღო. მათი ძირითადი ნაწილი კი კაიროსა და გიზაშია მოთავსებული. ეგვიპტის ხელისუფლება მომხრეა 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის და უზრუნველყოფს, რომ ლტოლვილებს ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა საყოველთაო განათლებაზე, ჯანდაცვასა და ყველა იმ მომსახურებაზე, რაზეც წვდომა აქვთ ეგვიპტის მოქალაქეებს.

ბოლო წლებში მეტად აქტუალური გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო პოლიტიკა. ქვეყანა, რომელიც ემიგრანტების სამშობლოა და სადაც აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლებები, როგორც მთავარი ფასეულობა, დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ტრამპმა გაამკაცრა საიმიგრაციო პოლიტიკა ტერორიზმისა და მომატებული კრიმინალის წინააღმდეგ, რასაც ამ ყველაფერთან ერთად მოტივად დაედო აშშ-ის მოქალაქეებისათვის სამუშაო ადგილებისათვის გაზრდის აუცილებლობა.

აშშ-ის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს 20,35-მა მოქალაქემ მიიღო აშშ-ში ბინადრობის უფლება 2000-2015 წლებში. თუმცა აშშ-ში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშეც ცხოვრობს, რაც ხელს უშლის ზუსტი რიცხვის დადგენას.

ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო საუბარი საერთაშორისო უსაფრთხოებაზეც, ექსპერტების აზრით, დიდი რაოდენობის ლტოლვილის მიღება საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. რადგან ამ ყველაფერს მოსდევს შიდა, ერთმანეთთან კონფლიქტი და ასევე, ლტოლვილებთან ერთად სრულიად შესაძლებელია საზღვარზე გადმოვიდნენ ტერორისტებიც, მაგალითად, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები. ამ ყველაფერთან ერთად იზრდება დანაშაულის რაოდენობა ლტოლვილების მიმართ ჩადენილი უკანონო ქმედებების კუთხით.

ბოლო პერიოდში საქართველო აქტიურად ჩაერთო გლობალურ მიგრაციულ პროცესებში. წინა პლანზე წამოვიდა მიგრაციის როლი საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და დემოგრაფიული კუთხით. მიგრაციული პროცესების მართვა ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. ის ასევე ხელს უწყობს ევროკავშირთან დაახლოებას და ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებას. საქართველოს ამ კუთხით აქვს რიგით მესამე დოკუმენტი, 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია წარმოადგენს მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს. პირველი დოკუმენტი, რომელიც მსგავს მიზნებს უსვამდა ხაზს, გახლდათ 1997 წელს მიღებული დოკუმენტი, საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა და რომელშიც წარმოდგენილი გახლდათ სახელმწიფოს ხედვა იმიგრაციული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო დაცვის და შიდა მიგრაციის შესახებ, თუმცა არ გააჩნდათ კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

დღეს საქართველოს წინაშე, ისევე როგორც მსოფლიოს წინაშეც, აქტიურად დგას უსაფრთხოების საკითხი, დღის წესრიგში დგას ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმების აღკვეთის ღონისძიებების გაძლიერება, როგორიცაა მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანა, ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ფულის გათეთრება და სხვა. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლთან, ხოლო 30-მდე სახელმწიფოსთან გაფრმებული აქვს ხელშეკრულებები დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლისა და ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

მეტად საინტერესოა თუ როგორ ერთვებიან საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები მიგრაციული პროცესებიდან გამოწვეული პრობლემების მოგვარებასა და დარეგულირებაში, აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ „საერთაშორისო მმართველობა“ და „გლობალური მმართველობა“. საერთაშორისო მმართველობის დროს ძირითადად სამთავრობო ინსტიტუტები არეგულირებენ სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებს, ხოლო „გლობალური მმართველობის“ დროს არასამთავრობო, საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ინსტიტუტები, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი საერთაშორისო მმართველობისაგან განსხვავებით უფრო მეტად არიან ჩართულები ნორმათა და წესების ფორმულირების პროცესში არასახელმწიფო აქტორების მიმართ. თუმცა გლობალური მმართველობის გაიგივება არ უნდა მოვახდინოთ გლობალურ მთავრობასთან.

გლობალიზაციის პროცესმა კიდევ უფრო დააახლოვა მსოფლიო ერთმანეთთან, სახელმწიფო საზღვარი დღეს ნაკლებად წარმოადგენს ბარიერს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასასვლელად, აქედან გამომდინარე ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ და ისწავლონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბები დღითიდღე იზრდება, აქედან გამომდინარე კი აუცილებელია ყველა ქვეყანას ჰქონდეს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაცია, რაც, რა თქმა უნდა, აისახება თითოეული ქვეყნის განვითარების სტრატეგიაზე.

ბიბლიოგრაფია:

ეკო, უ. (2015 წლის 30 ოქტომბერი). *მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://liberali.ge/articles/view/19010/migratsia-shemtsynarebloba--da-sheutsynarebloba

„ცვლილებები ახლო აღმოსავლეთში: ISIS და სხვა საფრთხეები“. (2015 წლის 27 ოქტომბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://mod.gov.ge/ge/news/read/4271/GDSC-ISIS-da-sxva-saxfrtxeebi

Causes and impacts relating to forced and voluntary migration. (n.d.). Retrieved from https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/z8g334j/revision/1

Koser, K. (2007). *International Migration, a very short introduction.* Oxford.

Sopo Chkopoia

Gori State Teaching University

INTERCONNECTION OF MIGRATION AND SECURITY BOTH IN THE WORLD AND IN GEORGIA

RESUME

The problem of migration is acute today to the international community, the issue is equally important and problematic for both developed and developed countries. It does not create demographic problems, but serious challenges to each country, social, political or economic. The cause of migration is varied. International migrants create big problems today, as it is quite voluntary (when people leave their place of residence, desire to change, or otherwise) and forced migration. Quite interesting and important is the issue of compulsory migration (describes a form of movement that contains life-threatening elements). Religious extremism, ethnic indifference, armed conflicts and other ongoing problems, social tensions increase and migrant flows are rising, with some of the worst times that the European states.

In recent years, the number of internally displaced persons has increased in the background of the recent developments in the Middle East, and most of them are EU countries, which have contributed to the EU crisis. The epoch of globalization has also contributed to making each other close to each other. The scarcity and education market became global, which allowed people to make a choice based on the international market, this factor has both positives and adverse sides that have been discussed by us. In order to avoid a number of threats, including security, it is necessary to increase information exchange between the states and increase cooperation.

Keywords: Illegal, Forced, Voluntary, Violent, Regional, Global, Security.

Dr. ***Agnes Horvath***
Agria Universitas Association
Eszterhazy Karoly University

The Role of NGO in Hungary at the Local Level

Abstract

Non-governmental organizations (NGOs) in Hungary have undergone a major transformation in various aspects since the 1990s. During the last years under communist dictatorship, non-government sector was the destination for those who desired drastic changes in society because this sector was strongly supported by those who desired democratic reform such as academic and media elites, foreign organisations and governments… The principal goal of this study is to present the role of Hungarian NGOs on local decision-making processes and elections through legal background, financial support and human resource management.

I. Historical Background of NGOs in Hungary

As European system claims that one of the most important consequences of civic transformation is when a citizen knows his/her right and is willing to take an active role in public life, non-profit sector was form with the same spirit in Hungary. Alongside the state, the civil society also governs the political movements and aims to have a certain influence on the state. A strong civil society guarantees a strong non-profit sector and the development of political parties The civic sector is a part of the civil society where smaller groups functioning as an institution can stand up and raise their voice.

1. From the Age of Reform until the First World War

The civic sector was born in the reform era but only after 1867 did this sector actually witness a major development. If there were 319 associations in 1862, by 1878, this number was multiplied by six times. Around 2000 associations varying in forms and goals were founded until the First World War. Some of them already aimed at political goals or at least, had the attempt to influence the political life. Notably, there was a feminist association which strived for women suffragette from 1904 and national associations which were concerned with the autonomy of different nations.

2. Between the First and the Second World War

This period featured the blooming of approximatelt 14 000 organisations in different fields.

According to Putman (2000), there were more than 400 registered organisations only in Budapest.

3. From the Second World War until the 1990s

The era slipped into the shadow of Communist dictatorship; therefore, everything was subjected to close inspection of the centralised authority. A number of organisations were still allowed to continue their work as long as they did not pose any threat to the political regime. For example, the Post Pigeon Sport Association founded in 1882 could remain their operation with 10 000 members during this period. It is safe to say that organisations which dealed with hobbies and culture could still survived during this time.

Towards the end of this period, the non-profit sector and non-profit organizations had experienced a significant change. The sector was supported actively by Hungarian intellectual community as well as foreign associations aiming at democratisation. Associations created in this era were financed from abroad with an international background. During the 1980s, Gyorgy Soros provided generous financial support for education, culture and science so that with the modification of law, associations were still able to operate independently. The modification of the Civic Code of Law marked the reemergence of foundations in Hungary: there were more than 8000 new organisations registered by 1989. The merging law of 1989 paved the way for independent organisations. Regardless of the deep crisis in economy, education, healthcare, etc., non-profit sector had an unexpected fast growth which can be explained in many ways. Eva Kuti / Kuti Éva: The place and the role of the third sector in the Hungarian society and the transition of economy. The nonfprofit Sector in Hungary / Studies/ Nonprofit Research Group, Budapest 1992./ has summarised the main reasons for this phenomenon which are presented as follows:

- Respect for traditions: When the Civic Code of Law was approved, people revived the organisations which were previously banned due to political reasons, namely the Scout Organisation.
- Nostalgia: People tended to have strong nostalgia towards the Pre-communist time.
- Solutions for ex-party members: Associations and foundations were places where ex-party members could take refuge in to survive in the new era.
- Support from the government: The development of this sector was strongly supported by the government in terms of finance and politics.
- Replacing public services: During the first year after the change of regime, most public services were missing; therefore the appearance of non-profit organisations became crucially important.

In addition, one can also take into consideration the fear and disappointment by 1990 as one of the reasons. While a part of the society wanted a more radical change, the other part was already satisfied with what they had achieved. A lot of political organisatios had a starting point as civil organisations, but later on they became political parties. It cannot be denied that neither the government nor the private sector could react to the changed demands of the society, hence there came the exponential growth of the non-profit organisations.

More attention started to be given to international organisations, governments and private figures who financially supported new organisations. However, there have been no studies so far about how the organisations were chosen other than the general demand for the organisation to be democratic, legal and respect the organisation that gave them support.

On the whole, the growth of this sector at this time can be well-defined in numbers. Non-profit organisations were a new frame for advocacy and social convergence. It was possible for different groups to conduct advocacy for themselves and handle social problems without the intervention of the government. In brief, one can conclude that the most important elements of traditional civic democracy were active partipation, legal and political equality and solidarity.

4. From the 1990s until now



Existing non-profit organizations between 1993-2015 Source: KSH database

By the mid 1990s, the change of regime resulted in disappointment for many people. Apart from the adoption of presidential institution of the republic and constitutional court, the acceptance of parties, parliament and media was declining rapidly. The reason why trade unions' acceptance has never been in a high level after the change of regime although they played an important role for the third sector would certainly worth researching. The growth of the civil sector was essentially steady until 2010, when the number of organizations started to decreased due to the new regulators and the change in political environment.



Once again, there was a major transformation in the development of the civil sector in the beginning of the new millennium. Lots of trainings and other opportunities were given to the non-profit sector, including the outcome of the Phare Programme as a preparation for European Union membership. Participants in the non-profit sector acquired necessary financial and legal knowledge to stabilise the operation of their organisations. Thereofore, it was not difficult to realise that the quality of services offered by civil associations were substantially improved.

However, like other countries in Eastern Europe, the rapid and spectacular growth of organisations may mask the fact that there is a relatively low level of participation and commitment towardds civil organisations. The market-like environment was seen as a huge challenge for a majority of people who had been able to plan and live their lives without competition before. In the new system, conviction of being left alone is the only thing that needs to be solved. This individualization is different from Western Europe since there have been already market players who competed against each other.

In the 2000s and even today, there have been a major issue whether actors in the civil sector can work on cooperation's that have mutual benefits and are able to build partnership with governmental and economic actors or not. Several researchers including Robert D. Putman have examined this area and finally concluded that states function better and people live better when civil sphere is strong. Putman (2000) also indicated that in a community that works efficiently, there are more people who are members of all kinds of civil society. Therefore, there is an actual and strong network that can have a positive impact on both the state and the government as well as the decisions of economic operators. Governance is regarded to be much more effective when society was willing to act to enforce its interest and tend to cooperate with others.

II. Challenges faced by civil sector in current system

There has been a growing doubt among citizens about the situation of civil sector no matter how far Hungarian political system progresses. The problem at European Union level is that they do not see how they can influence decision-making processes. Because of the internal contradictions of representative democracy in Europe and Hungary in particular, their problems are often articulated by civilians.

Changing the welfare system leads to the decrease of trust in the state. In Hungary, the promise about a welfare state has created nothing but an unfulfilled dream. This negative effect, therefore, causes citizens to turn away from traditional political organisations and membership of parties. Trade unions, not to be excluded, also lies in this downward trend. Thanks to democratization, nowadays the gap between decision makers and ordinary people has been widened greatly since it is not until the election period that there are much more activities to be done. After the regime change, trust in political parties and politicians in Hungary has never been high, but nowadays, we can see that the rejection of traditional political parties is becoming a trend in many other European countries.

Regarding the activities of NGOs, there is a constant dilemma between the achievement and acceptance of national organisation. The one-tiered national organisations of Kadar system, which were guided by the state, haunted people with centralization processes. The reorganization observed since 2010 in Hungarian political system clearly shows the marks of centralization. Jeane Monnet once listed some essential principles of democracy participation, "There is nothing possible without the help of people, without institutions, without patience there in nothing constant". For civil society plays a major role in the operation of democratic systems, we had better pay more attention to where and how civil society can be strengthened. Well-established and well-functioning NGOs are able to exercise constant control over elected leaders and have influence on periods which are not only before elections.

Besides, in order to tackle these challenges, it is vital that actors from non-profit sector reach a high level of dialogue and cooperation. There are two paths for effective national and international organizations. One is that organizations working on a professional basis (for example legal aid, security, or education…) are horizontally structured based on their portfolio. The other way requires local level cooperation that creates trust and mutual benefits. Thanks to Internet, there are plenty of resources for those who are looking for good examples of effective operation of non-profit sector. In many cases, these cooperation are mainly based on personal relationships and there is a sense of trust but no institutional relationship.

It is easily seen that central government is strongly involved in decision-making processes in many cases. The majority of decision-making bodies in different decision-making bodies are now given to government delegates. The downgrading of the local government also caused serious damage to the civil sector as they were potential negotiating partners and practicing terrain where civil organisations were able to act effectively for their members. State level is considered bureaucratic, and does not guarantee necessary conditions for effective work in terms of organisation and finance. There is no "rural foot", a bottom-up cooperation framework in the majority of civil society organisations.

Here, someone may question the funding of civil sector. In the previous time, foundations and associations were created out of donations from private individuals. There was a dependence: if a donor had secured the fund, the organisation must have clearly met the donor's expectations, but this was independent from the state. Nowadays modern civil organisations in Hungary as well as elsewhere in the world receive funds mostly from where their controlled activities are expected to expand.

IV. Potential solutions for civil sector

There should be cooperation between public bodies and civil organisations that would guarantee their intervention in decision-making processes but do not become addictive to sponsoring programs. Companies, businesses and international or domestic aid can help free the civil sphere from excessive use of public crutches. There are also problems caused by actors and winners of recent post-communist market economy with no social profile, the new owner or manager middle class "philanthropy" of the long established stable and open capitalism with centuries old socio-cultural norms who give, help, merge and measure traditions of self-help cultures.

It is ultimately important that civil sector should have an area that must maintain its independence in every circumstance. This is the area of legal rights protection, political culture, democratic rights and procedures. In Hungary, the potential for cooperation between these types of organisations and the appropriate level of state increases. This happens due to the fact that a number of human right principles are enshrined in the principles of European Union. In order to protect these principle, they are willing to provide financial resources, professional and political support to Hungarian organisations. It should be noted that these types of organisations have to retain their independence from other "donors".

Today's political debates are filled with operation of NGOs in Hungary and the transparency of their funding. There was a bill before that parliament would make it mandatory to indicate all foreign donations to all Hungarian NGOs.

Hungarian legislation adapts to interantional practice in the sense that political parties and their organisations cannot belong to non-profit organisations. There is a difference among the opinions on which organisations belong to political sphere. The new law adopted in 2011 excludes Hungarian political parties from the non-profit sector, but foundations and associations that support them and also participate in election campaigns are considered non-profit organisations.

Referenses:

A nonprofit szervezetek száma, megoszlása és összes bevétele településtípus szerint (2005–). Retrieved from https://www.ksh.hu/docs/hun/xstadat/xstadat_eves/i_qpg003.html

Balázs, M. (1991). Az alapítványi élet indulása Magyarországon. *Esély, 1*.

Cél a régióépítő és fejlesztő munka. (2005, 04 01). Retrieved from http://regioregia.hu/index.php?hir_id=735

Kuti, É. (1992). *A harmadik szektor helye és szerepe a magyar társadalom és gazdaság szerkezetének átalakulásában.* Budapest: A nonprofit szektor Magyarországon (Tanulmányok), Nonprofit Kutatócsoport.

Nonprofit szervezetek Magyarországon, 1995. (1997). Budapest: Központi Statisztikai Hivatal.

Putnam, R. D. (2000). *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community.* New York: Simon & Schuster.

Szabó, M. (2014). *A 21. század kihívásai az NGO-k számára*. Budapest: 21. Századi Intézet.